12 წლის ბიბლიოთეკა

მე მიყვარს კითხვა

ჰენრი რაიდერ ჰაგარდი

მონტეზუმას ასული

ვინ იყო მონტესუმას ასული?

მსოფლიო ლიტერატურამ „მონტესუმას ასული“ აღიარა, როგორც საუკეთესო ისტორიული რომანი, რომელიც კი ოდესმე შექმნილა ისტორიულ-გეოგრაფიულ აღმოჩენათა ეპოქის თემაზე: ესპანეთის ინკვიზიციაზე, ინდიელთა ცხოვრებასა და თავისუფლებისთვის ბრძოლაზე, კონკისტადორებზე...

ამ წიგნის შექმნამდე მწერალმა იმოგზაურა მექსიკაში, რათა თავად ეგრძნო ოდესღაც აყვავებული ცივილიზაციის იდუმალება.

რომანში ინგლისელი ახალგაზრდის, თომას ვინგფილდის ისტორიაა გადმოცემული, რომელიც თავის ოჯახთან ერთად წყნარად ცხოვრობს ინგლისის ერთ მყუდრო დაბაში. ერთ დღეს იგი იგებს, რომ დედამისი მისმა ყოფილმა საქმრომ, ესპანელმა ხუან დე გარსიამ მოკლა. თომასი ფიცს დებს და მკვლელის საძებნელად ესპანეთში მიდის. საბოლოოდ კი სამხრეთ ამერიკაში ხვდება, სადაც იგი ისტორიულად ცნობილ კონკისტადორებს უპირისპირდება. ვინგფილდი აქ გაიცნობს გმირული სულისმქონე მონტესუმას ასულს, რომელიც მისი ცოლი ხდება.

მწერალს შემთხვევით არ აურჩევია გმირად რეალურად არსებული, დაუმორჩილებელი აცტეკების უკანასკნელი იმპერატო-

რის, მონტესუმას ასული, ოთომი - ოთომის ტომის მამაცი ბელადი, რომელმაც მხარი დაუჭირა ესპანელთა წინააღმდეგობის მოძრაობას, რამაც განაპირობა ის, რომ ამ ხალხმა, რომელიც დღემდე მექსიკის მთიანეთში ცხოვრობს, შეინარჩუნა თავისი ენა და ტრადიციები.

ამ რეალისტურ რომანში ინდიელებისა და ესპანელების დაპირისპირების პარალელურად ვითარდება არაჩვეულებრივი სიყვარულის ისტორია: მკვეთრად იხატება მშობლის, სამშობლოს, მეუღლის, შვილების სიყვარულის რაობა....ეს წიგნი მკითხველს არა მარტო წარსულის ამბებს განაცდევინებს, არამედ დღევანდელობაზეც ბევრჯერ დააფიქრებს - მწერლის უკვდავებაც ხომ სწორედ ამაშია. [1]

მადლობა ღმერთს, ესპანეთის ძლიერება შეირყა, მისი ხომალდები ჩაიძირა ან გაიფანტა, ასობით და ათასობით მეზღვაური თუ ჯარისკაცი ზღვამ შთანთქა და ახლა ჩემს ინგლისს შეუძლია თავისუფლად ამოისუნთქოს. მათ ჩვენი დაპყრობა, კოცონზე ჩვენი ცოცხლად დაწვა უნდოდათ; მზად იყვნენ, ჩვენც, თავისუფალ ინგლისელებს, ისევე მოგვქცეოდნენ, როგორც კორტესი - ანაუაკის ინდიელებს. მათ გადაეწყვიტათ, ჩვენი სული ხუცესებისთვის გადაეცათ, ხოლო ჩვენი ქონება - რომის პაპისა და თავიანთი იმპერატორისთვის, მაგრამ ღმერთმა მათ ქარიშხლით, ხოლო დრეიკმა - ტყვიებით უპასუხა. ისინი გაქრნენ და მათთან ერთად გაქრა ესპანეთის დიდებაც.

1.მთარგმნელი.

მე, თომას ვინგფილდმა, ეს ამბავი დღეს, ხუთშაბათს, ბანგის ბაზრის მოედანზე გავიგე. აქ ჩემს ხალხთან სალაპარაკოდ ჩამოვედი, თან ვაშლის გაყიდვა მინდოდა, რომელიც ჩემს ბაღს საშინელი ქარბუქის შემდეგ შემორჩა.

ჩემამდე ხმები წინათაც აღწევდა, მაგრამ დღეს აქ შევხვდი ერთ კაცს, სახელად იუნგს, რომელიც იარმუტის ხომალდზე იმყოფებოდა და თავად მონაწილეობდა გრაველინთან ბრძოლაში, შემდეგ კი ესპანელებს იქამდე სდია, ვიდრე ისინი შოტლანდიის ზღვაში არ გაუჩინარდნენ.

ამბობენ, წვრილმანი წარმოშობს მსხვილმანსო, აქ პირიქით მოხდა: - მსხვილმანმა წარმოშვა წვრილმანი: ამ დიდებულმა ამბებმა მე, ნორიჯელ მოხუცს, თომას ვინგფილდს, ნორფოლკის საგრაფოს დითჩინჰემის მრევლის ერთ-ერთ წევრს, სტიმული მომცა, ჩემი ცხოვრების მიწურულს ხელში კალამი ამეღო.

ათი წლის წინ, 1578 წელს, როცა ჩვენი დედოფალი ელისაბედი ნორიჯში გავლით იყო, მისმა უდიდებულესობამ ჩემი ნახვა მოისურვა. მან მითხრა, შენმა ამბებმა ჩემამდე მოაღწიაო და მთხოვა, მეამბა მისთვის რაიმე საინტერესო, უფრო სწორად, - იმ ოც წელზე, რომელიც ინდიელთა შორის გავატარე მაშინ, როდესაც კორტესი მათ ქვეყანას - ანაუაკს - ი პყრობდა. მაგრამ ის-- ის იყო თხრობა დავიწყე, რომ მისი უდიდებულესობა მოულოდნელად კოსეიში წავიდა. წასვლის წინ დედოფალმა მითხრა, შენი ამბავი დაწერე და თუ ის ნახევრად მაინც იქნება ისეთი თავშესაქცევი, როგორსაც მოველი, ბარონის ტიტულს გიბოძებ და შენს ცხოვრებას სერ თომას ვინგფილდის წოდებით დაამთავრე-

ბო. ამაზე ვუპასუხე, კალამი და ქაღალდი ხელში არასდროს მჭერია, მაგრამ თქვენი უდიდებულესობის ბრძანების შესრულებას შევეცდები-მეთქი. შემდეგ გავბედე და მას მივართვი ერთ-ერთი იმ ზურმუხტთაგანი, რომელიც ოდესღაც მონტესუმას ასულს, მანამდე კი ბევრ სხვა პრინცესას ამშვენებდა. ზურმუხტის დანახვაზე მის უდიდებულესობას თვალები გაუბრწყინდა და, რადგანაც ჩვენს დედოფალს უყვარდა ამგვარი სამშვენისები, რომ მომენდომებინა, ვფიქრობ, იქვე მივიღებდი მისგან ტიტულს, მაგრამ დიდხანს ვიყავი ძლიერი ტომის ბელადი და არავითარი სურვილი არ მქონდა, ვინმეს მსახური გავმხდარიყავი; ამიტომ დედოფალს უბრალოდ, ხელზე ვეამბორე (მას ისე მაგრად მოეჭირა ხელი ძვირფასი ქვისთვის, რომ თითები გათეთრებოდა), დავემშვიდობე და იმ დღესვე დავბრუნდი შინ, უეივნის ხეობაში.

დედოფალთან შეხვედრამდეც ვფიქრობდი, დამეწერა ჩემი ცხოვრების ისტორია, სანამ ცოცხალი ვიყავი. ჩემთვის, ასეთ საქმეში სრულიად გამოუცდელი კაცისთვის, ეს ჭეშმარიტად ძნელი ამოცანაა. მაგრამ, რატომ უნდა მეშინოდეს სიძნელეების, როცა სამუდამო განსვენების ჟამი კარს მომდგომია?! მე ვნახე ბევრი ისეთი რამ, რაც არასდროს უნახავს არც ერთ ინგლისელს და დიახაც, რომ ღირს მოსაყოლად!

მე მართლაც საოცარი ცხოვრება მქონდა. ბევრჯერ, როდესაც მეგონა, უკვე დავიღუპე-მეთქი, რადგან ხსნა არსაიდან ჩანდა, ღმერთი მწყალობდა, - შეიძლება, მხოლოდ იმისთვის, რომ ადამიანებს გაეგოთ ჩემი ცხოვრების ამბავი და ჭკუის სასწავლად გამოეყენებინათ, ვინაიდან ყველაფერი, რაც ვნახე და განვიცადე, ერთ მარადიულ ჭეშმარიტებას ადასტურებს: ბოროტებას არასოდეს მოაქვს სიკეთე, ბოროტება მხოლოდ ბოროტებას

შობს და საბოლოოდ, ის თავს დაატყდება იმას, ვინც მას სჩადის, იქნება ეს ერთი პიროვნება თუ მთელი ხალხი.

გაიხსენეთ, თუ გნებავთ, კორტესის, დიდი დამპყრობლის ბედი! იგი მაშინ გავიცანი, როცა თითქმის ღვთაებრივი ძალაუფლებით სარგებლობდა. ორმოცი წლის წინ კი გავიგე, რომ სახელგანთქმული კორტესი სიღატაკეში და შერისხული მოკვდა ესპანეთში. ასე ხდება! და კიდევ, მისი ვაჟი, დონ მარტინი უწამებიათ იმ ქალაქში, რომელიც მამამისმა გაუგონარი სისასტიკით დაი პყრო. ყველაფერი ეს კორტესს მისმა საყვარელმა, მალინალმა, ესპანელები მას მარიანას ეძახდნენ, სწორედ მაშინ უწინასწარმეტყველა, როცა კორტესმა იგი მიატოვა და დონ ხუან ჰარამილიოს შერთო, დაივიწყა რა ყველაფერი, რაც მათ აკავშირებდათ და ისიც, რომ ამ ქალმა ის და მისი ჯარისკაცები გარდაუვალი სიკვდილისგან არაერთხელ იხსნა.

გაიხსენეთ თვით მარიანას ბედი! მას უყვარდა კორტესი, ანუ მალინცინა, (როგორც მალინალთან ურთიერთობის შემდეგ შეარქვეს ინდიელებმა), მის გამო უღალატა საკუთარ სამშობლოს. მარიანა რომ არ ყოფილიყო, ესპანელები ვერასდროს დაი პყრობდნენ ტენოჩტიტლანს, ახლანდელ მეხიკოს. მან სიყვარულს შესწირა პატიოსნება, მაგრამ, რა მიიღო სანაცვლოდ?! როცა მარიანას შესაძლებლობები ამოიწურა და სილამაზეც გაილია, ის სხვას, ნაკლებად ცნობილ კაცს გადაულოცეს, ზუსტად ისე, როგორც ვალმოხდილ პირუტყვს მიჰყიდიან ხოლმე თავისზე უფრო ღარიბს.

გავიხსენოთ, თუნდაც, ისეთი ძლიერი ხალხის ბედი, როგორიც ანაუაკი იყო. მათნაირები ბოროტებას სიკეთისთვის სჩადიოდნენ, - თავიანთ ცრუღმერთებს ათასობით ადამიანის სიცოცხლეს იმ იმედით სწირავდნენ, რომ ღმერთები მშვიდობას, კე-

თილდღეობასა და სიუხვეს მოუტანდნენ. მაგრამ, როგორ უპასუხა ამას ჭეშმარიტმა ღმერთმა?! - სიუხვის ნაცვლად აოხრება, მშვიდობის ნაცვლად ესპანური მახვილი, კეთილდღეობის ნაცვლად კი მწუხარება, წამება და მონობა მოუვლინა. და ყველაფერი სწორედ იმიტომ, რომ ანაუაკელები უიცილოპოჩტლისა და ტესკატლი პოკის სამსხვერპლოზე თავიანთ საუკეთესო შვილებს სწირავდნენ.

ახლა ვთქვათ ესპანელებზეც, რომლებმაც კეთილმოწყალების სახელით იმდენი სისასტიკე და ბოროტება ჩაიდინეს, როგორიც წარმართ აცტეკებსაც კი არ დასიზმრებიათ. ქრისტეს სახელით ისინი ყოველდღე არღვევდნენ მის ყველა მცნებას. ნუთუ, მათ ეს ყველაფერი შერჩებათ?! დარწმუნებული ვარ, რომ - არა! მე ღრმად მოხუცებული ვარ და ამას ვეღარ მოვესწრები, თუმცა ჩემთვის დღესაც ყველაფერი ნათელია.

ესპანელებს სამაგიერო რისხვა აუცილებლად დაატყდებათ თავზე და მე უკვე ვხედავ დედამიწის ამ ყველაზე ამაყ ხალხს - სახელგატეხილს, შერცხვენილსა და გაკოტრებულს, რომელსაც აღარაფერი აქვს, გარდა დიადი წარსულისა. ესპანეთის ძლიერებიდან აღარაფერი დარჩება, ეს იმპერია ისევე გაქრება, როგორც გაქრა მონტესუმას იმპერია.

ასე წყდება დიდი ამბები და ზუსტად ასეთივე რამ მოხდა იმ ყველასთვის უცნობი ადამიანის ცხოვრებაშიც, როგორიც მე, თომას ვინგფილდი ვარ. ღმერთი ჭეშმარიტად მწყალობდა; მან მომცა დრო, მომენანიებინა ცოდვები, რომლებიც ისევ ჩემს წინააღმდეგ შემობრუნდა, რადგანაც ყოვლისშემძლის უფლება მივითვისე და სამართლიანადაც დავისაჯე! ამ ფაქტმაც განაპირობა, ჩემი ამბავი დამეწერა, რათა მომავალში სხვებმა იგივე შეცდომა არ გაიმეორონ!

ეს აზრი ჩემში დიდი ხნის მანძილზე მწიფდებოდა, თუმცა, სიმართლე გითხრათ, ამაზე სერიოზულად პირველად დედოფალთან შეხვედრის შემდეგ დავფიქრდი. ახლა, როცა დანამდვილებით ვიცი, „უძლეველი არმადას“ დაღუპვის შესახებ, იმდენი სათქმელი დამიგროვდა, რომ, ჩემი მხრიდან, დანაშაულიც იქნება, ფართო საზოგადოებას ამაზე არაფერი ვუთხრა.

ბოლო დროს იმდენი რამ მოხდა, რომ ფიქრებმა არაერთხელ გადამისროლა ჩემი ჭაბუკობის ხანაში, როცა ესპანელთა წინააღმდეგ ჩემთვის, კუაუტემოკისა და ოთომის ხალხისთვის ვიბრძოდი; ეს დრო სავსე იყო ვნებებით, ბრძოლებითა და დაუჯერებელი ფათერაკებით. ზოგჯერ ისეთი გრძნობა მეუფლება, რაც შორეულ წარსულში განვიცადე, სწორედ ის იყო ჩემი ნამდვილი ცხოვრება, დანარჩენი ყველაფერი კი მხოლოდ სიზმარია. მოხუცებს ზოგჯერ მოსდით ასეთი რამ.

იმ ოთახის ფანჯრიდან, სადაც ამ წიგნს ვწერ, უეივნის წყნარი ხეობა ჩანს. მდინარის გაღმა მოოქროსფრო, კურდღლისცოცხათი დაფარული ფართო მინდვრებია, ხოლო შორს, ციხე--დარბაზის ნანგრევები და წმ. მარიამის ეკლესიის ირგვლივ მდებარე სახლების წითელი სახურავები მოჩანს. კიდევ უფრო შორს გადაშლილია სტოუვის სამეფო ტყეები და ფლიქსტოუნის სააბატო. მდინარის მარჯვენა ციცაბო ნაპირზე აყვავებული ირშემის ბაღებია, მარცხენა სანაპიროს მწვანე მინდვრებზე კი საქონელი ბალახობს. უკან, ამწვანებულ ფერდობზე, რომელსაც ძველად საგრაფოს ზვარს ეძახდნენ, ტერასებადაა გაშენებული ჩემი პარკი და ხეხილის ბაღი. თუმცა ამ წუთებში, უეივნის ხეობის ნაცვლად, ტენოჩტიტლანის ხეობას ვხედავ, სტოუვის ტყეების ნაცვლად - ისტაქსიუატლისა და პოპოკატეპეტლის ვულკანების თოვლიან ფერდობებს, ხოლო ირშემის მწვერვალისა და ბანგის,

დითჩინჰემისა და ბექსლის სამრეკლოების მაგიერ, საღმრთო ცეცხლით განათებული სამსხვერპლო პირამიდები აღმართულა ჩემ წინ. იმ წყნარ მინდვრებზეც კი, სადაც საქონელი მშვიდად ბალახობს, საბრძოლველად მომზადებულ კორტესის მხედრებს ვხედავ. ყველაფერი მახსენდება, ყველაფერი, რაც სიცოცხლე იყო, ნამდვილი სიცოცხლე, დანარჩენი კი... თუმცა, ეს თავად თქვენ განსაჯეთ...

წერა დავიწყე და თავი ისევ ყმაწვილად ვიგრძენი... ახლა მხოლოდ ერთს ვთხოვ ღმერთს, მომცეს დრო, ეს წიგნი დავასრულო, ვიდრე სამარადისო სიზმრების ქვეყანაში წავიდოდე...

უნდა გამოვტყდე, რომ წერა კარგა ხნის დაწყებული მექნებოდა, რომ არა ჩემი აწ გარდაცვლილი, ძვირფასი მეუღლე, რომელმაც სულ ახლახანს დამტოვა. მის სიცოცხლეში ამ წიგნს დასრულება არ ეღირსებოდა; სიმართლე გითხრათ, მას ძალიან ვუყვარდი, ცოტას თუ ჰყვარებია ასე თავისი ქმარი. ამ გაგებით, ბედმა გამიღიმა, თუმცა ჩემს წარსულში ბევრი რამ იყო ისეთი, რაც ჩრდილს აყენებდა მის სიყვარულს. დიახ, გაგიკვირდებათ - ეს იყო ეჭვიანობა მკვდრისადმი. მაგრამ მან დიდი ხანია ყველაფერი მომიტევა. ეჭვიანობის გარდა, ჩემს ცოლს სხვა რამ უფრო ტანჯავდა, თუმცა ამაზე მუდამ დუმდა...

ჩვენ გვეყოლა მხოლოდ ერთი შვილი, რომელიც ჩვილობისას გარდაიცვალა. იგი ღმერთს ეევედრებოდა, ჩვენთვის მეორე შვილი მოეცა, მაგრამ - ამაოდ. უშვილობას ჩემი ცოლი უფრო განიცდიდა, ვიდრე - მე. მან იცოდა, რომ ოკეანის გაღმა მეორე ქალისგან მყავდა შვილები, რომლებიც ძალიან მიყვარდა და მუდამ მეყვარება, თუმცა, დიდი ხანია, არც ერთი მათგანი აღარ არის ცოცხალი. ცოლი მზად იყო ჩემთვის სხვა ცოლის ყოლა ეპატიებინა, ოღონდ ის, რომ იმ ქალისგან გაჩენილი შვილები

დღემდე მიყვარდა, ამის დავიწყება ვერ შეძლო, რადგან თვითონ უშვილოდ დარჩა. ერთხელ ვიჩხუბეთ კიდეც ამის გამო, ამჯერად უკვე - უკანასკნელად.

ეს მოხდა ჩვენი ქორწინების მეორე წელს, იმის შემდეგ, რაც ჩვენი ბავშვი დითჩინჰემის სასაფლაოზე დავმარხეთ. ერთ ღამეს, როცა ცოლის გვერდით ვიწექი, უცნაური სიზმარი ვნახე: თითქოს სახლში ჩემს ოთხივე ვაჟს მოეყარა თავი და ყველაზე უფროსს, რომელიც ტენოჩტიტლანის დიდი ბლოკადის დღეებში დაიღუპა, ხელში ჩემი პირმშო ეჭირა. ისინი ისევე გამოიყურებოდნენ, როგორც მაშინ, ფიჭვთა ქალაქში, როცა ოთომის ხალხის განმგებელი ვიყავი. ისინი მელაპარაკებოდნენ და ხელებს მიკოცნიდნენ. ვტკბებოდი მათი ვაჟკაცობით, სილამაზით და სიამაყის გრძნობას გული ვეღარ იტევდა. მეჩვენებოდა, თითქოს უზომო მწუხარება დასრულდა, ისევ შევხვდი ჩემს შვილებს, რომლებიც ოდესღაც დავკარგე. არაფერია ისეთ სიზმარზე უფრო საშინელი, რომელიც თითქოს დაგვცინის, მკვდრეთით აღადგენს მიცვალებულებს, გვიბრუნებს იმათ, ვინც არასდროს გვავიწყდება, მერე კი ქრება და კიდევ უფრო მეტად დამწუხრებულებს გვტოვებს.

სიზმარში ხმამაღლა ველაპარაკებოდი შვილებს, საალერსო სიტყვებს ვეძახდი... გამომეღვიძა თუ არა, მათი დაკარგვის სიმწარე ხელახლა ვიგრძენი და ხმამაღლა ავქვითინდი.

აგვისტოს ადრიანი დილა იყო. მე ისევ ლოგინში ვიწექი და ვტიროდი. სიზმრით აღელვებული, უკვე ცხადში ვიმეორებდი ჩემი ბიჭების სახელებს... მეგონა, ცოლს ეძინა, მაგრამ მას გაღვიძებოდა და ყველაფერი გაეგონა. უეცრად ლოგინიდან წამოხტა და წინ ამესვეტა. თვალები მრისხანებით ანთებოდა, რომელიც მალე ცრემლებმა შეცვალა. იგი ასეთი არასოდეს მინახავს.

- რა მოგივიდა, ძვირფასო? - გაკვირვებით ვკითხე!

- როგორ ფიქრობ, ჩემთვის ადვილია შენგან ასეთი სიტყვების მოსმენა? - მი პასუხა მან, - განა არ კმარა, რომ ჩემი ახალგაზრდობა შენ შემოგწირე და შენი ერთგული დავრჩი მაშინაც კი, როცა ყველა დაღუპულად გთვლიდა?! თავად იყავი ჩემი ერთგული?! განა ოდესმე რაიმე გადაკრული სიტყვაც კი მითქვამს იმაზე, რომ დამივიწყე და ცოლად ველური ქალი შეირთე?!

- დიახ, ასეა, ჩემო კარგო, მაგრამ მეც ხომ ყოველთვის მახსოვდი და ეს მშვენივრად იცი. მხოლოდ ის მიკვირს, რომ გარდაცვლილზე ეჭვიანობ!

- განა მკვდრებზე ეჭვიანობენ?! განა შეიძლება, ებრძოლო სიყვარულს, რომელსაც სიკვდილმა სრულყოფის დაღი დაასვა და უკვდავად აქცია? თუმცა, ამას გპატიობ, რადგან იმ ქალამდე ჩემი იყავი და იმ ქალის შემდეგაც ჩემი ხარ! მაგრამ შვილები სულ სხვა საქმეა! ისინი მხოლოდ შენი და მისი იყვნენ. ვიცი, შენ გიყვარდა ისინი, გიყვარს მკვდრები და გეყვარება მარად - სიკვდილის შემდეგაც კი. იმ ოცი წლის განმავლობაში, როცა გელოდი, ნაადრევად დავბერდი! და ახლა ვეღარ გაგიჩენ შვილს. შენგან მყავდა ერთი ბავშვი, მაგრამ ღმერთმა წაიყვანა, რათა არ ვყოფილიყავი ზედმეტად ბედნიერი!.. შენ მისი სახელიც კი არ გიხსენებია, იმ უცნაურ სახელებს შორის... ჩემი უბედური ბავშვი შენთვის მეტად პატარა იყო!..

ამ სიტყვებზე ენა დაება და ცრემლები წასკდა.

გაჩუმება ვარჩიე, ვინაიდან იმ ბავშვებსა და ამ პაწიას შორის მართლაც დიდი განსხვავება იყო. ყველა ჩემი ვაჟი, პირველის გარდა, თითქმის მოზარდ ასაკში წავიდა იმქვეყნად, ამ პაწაწინას კი ორი თვეც არ უცოცხლია. მივხვდი, ამ ამბავს ცოლი ძალიან განიცდიდა და ვერასდროს დაივიწყებდა. ამიტომაც არ შე-

მეძლო, დამეწერა სიმართლე მის სიცოცხლეში. ჩემს თავს პირობა მივეცი, თუ ოდესმე ჩემს ცხოვრებაზე დავწერდი, აუცილებლად გულწრფელი უნდა ვყოფილიყავი. აბა, რა იქნებოდა ეს წიგნი, ოთომის ტომის ბელადის, მონტესუმას ასულის გარეშე, რომელიც ერთ დროს ჩემი ცოლი იყო, ანდა, თუ არაფერს ვიტყოდი იმ ბავშვებზე, რომლებიც მან ჩემგან გააჩინა?!

ასე ვბერდებოდით ერთად და წლები წყნარად, უშფოთველად გადიოდა; იშვიათად ვიგონებდით იმ დიდ შუალედს, როცა ერთმანეთისთვის დაკარგულები ვიყავით. ჩემი ცოლი ოთხმოცდაშვიდი წლის ასაკში უეცრად გარდაიცვალა; თავი ფრთამოტეხილ ჩიტად ვიგრძენი. ღრმადდამწუხრებულმა დავასაფლავე, თუმცა ჩემი მწუხარება არ იყო უნუგეშო - მალე შევხვდებოდი მას და სხვებსაც, ვინც მიყვარდა.

იმქვეყნად მელოდება დედაჩემი, ჩემი და, შვილები, მეგობარი კუაუტემოკი, აცტეკთა უკანასკნელი იმპერატორი და ბევრი სხვა თანამებრძოლი. დავიწყებას მიეცემა ჩემი ჭაბუკობის ყველა ცოდვა და სიმწიფის ასაკის შეცდომები. ამბობენ, იქ არ არიან ქმრიანი ქალები და ცოლიანი კაცებიო! ეს ძალიან კარგია, რადგან სხვანაირად ვერ წარმომიდგენია, როგორ შეეწყობოდა ერთმანეთს ჩემი ორი ცოლი - მონტესუმას ამაყი ასული და ინგლისელი სკვაირის ნაზი ქალიშვილი.

2

ბაბუაჩემი თავისი შინაგანი ბუნებით უფრო იომენი იყო, ვიდრე სკვაირი, მიუხედავად იმისა, რომ შთამომავლობით აზნაურთა გვარს ეკუთვნოდა. სწორედ მან იყიდა ეს სახლი ახლომდე-

ბარე მიწებით და ცოტაოდენი ქონებაც დააგროვა, - უმთავრესად იმით, რომ გონივრულად ცხოვრობდა, საქონლით ვაჭრობდა და ორივეჯერ ცოლად შეძლებული ქალი შეირთო.

ბაბუაჩემი მორწმუნე იყო და ძალიან უნდოდა მისი ერთადერთი ვაჟი მღვდელი გამოსულიყო. მაგრამ მამაჩემს საერთოდ არ ჰქონდა ამისკენ მიდრეკილება. ბაბუაჩემი ამაოდ ცდილობდა მის ჭეშმარიტების გზაზე დაყენებას; ხან შეგონებით, ხან საღვთო წერილებიდან მოჰყავდა მაგალითები, ხანაც ეკლიანი კეტით სცემდა,. იგი ახლაც ბუხრის ზევით, ჩემს პატარა სასტუმრო ოთახში ჰკიდია. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მამაჩემი ბანგის მონასტერში მიიყვანეს. ერთი წელიც არ ყოფილა გასული, რომ მონასტრის წინამძღვარმა მოითხოვა, მშობლებს მისთვის საერო ცხოვრებაში გამოენახათ რაიმე საქმე. თურმე, ღამღამობით მონასტრიდან იპარებოდა და საეჭვო დუქნებში დადიოდა. მოძღვარს ბოლოს ისიც უთქვამს: გთხოვთ, წაიყვანეთ თქვენი შვილი, არ მინდა კოცონზე ბანგის მონასტრის ალაყაფის კარიდან ავიდესო.

ბაბუაჩემი ისე განრისხებულა, ლამის დამბლა დასცემია. მერე, რომ ცოტა დაშოშმინებულა, თურმე შვილს კეტით ეცა... მაგრამ მამაჩემმა, რომელიც მაშინ უკვე ცხრამეტი წლის იყო და ღონიერი ჯეელი გახლდათ, კეტი გამოსტაცა და სულ ცოტა, ორმოცდაათ იარდზე გადაისროლა, თან მტკიცედ განაცხადა: ამიერიდან ვერავინ გაბედავს, თითიც რომ დამაკაროს, თუგინდ ის ასჯერ მამაჩემი იყოსო! ბაბუაჩემი წინამძღვართან მიატოვა და მონასტრიდან მარტო წამოვიდა. სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, მოკლედ გეტყვით, რით დამთავრდა ეს ყველაფერი. ბაბუა და წინამძღვარი ერთსულოვნად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მამაჩემის ურჩობის ნამდვილი მიზეზი ვნება იყო, რომელიც მას

თითქოს დაბალი წარმოშობის ვაინფორდელი მეწისქვილის სანდომიანი ასულის მიმართ გასჩენოდა (არავინ იცის, რამდენად მართალი იყვნენ ისინი, რადგანაც ქალიშვილი მალევე გათხოვდა ბექლსელ ყასაბზე). ბაბუაჩემმა დაიჯერა ეს ამბავი და სიყვარულისგან გასათავისუფლებლად ახალგაზრდების განშორება ყველაზე საიმედოდ მიიჩნია, კერძოდ, წინამძღვარს მოელაპარაკა და გადაწყვიტა, მამაჩემი ესპანეთში, სევილიის ერთ-ერთი მონასტერში (სადაც აბატად ამ წინამძღვრის ძმა იყო) გაეგზავნა, რათა მეწისქვილის გოგოსთან ერთად, მას საერო ცხოვრების ყველა სხვა ცდუნებაც დაევიწყებინა.

მამაჩემი ამაზე სიამოვნებით დათანხმდა. მიუხედავად ახალგაზრდობისა, ის საკმაოდ ჭკვიანი იყო და უცხო ქვეყნის ნახვა აინტერესებდა, თუნდაც მხოლოდ მონასტრის ფანჯრიდან. საქმე იმით დამთავრდა, რომ იგი ნორფოლკში ღვთისმშობლის ხატის თაყვანისსაცემად ჩამოსულ ესპანელ ბერებს გააყოლეს.

ამბობენ, ბაბუაჩემი თითქოს გრძნობდა, რომ შვილს მეტად ვეღარ ნახავდა და გამომშვიდობებისას ატირდაო. მაგრამ სარწმუნოება, უფრო სწორად, ცრუსარწმუნოება იმდენად ღრმად იყო მასში გამჯდარი, რომ ერთადერთი შვილი უცხო ქვეყანაში უყოყმანოდ გაგზავნა, თუმცა ამის არავითარი საჭიროება არ იყო. ისე გაწირა, როგორც აბრაამმა ისააკი;. თუმცა მამაჩემი სულაც არ ფიქრობდა, რომ ისააკის მსგავსად, ზვარაკად შეწირულიყო. როგორც შემდგომში თვითონ ამბობდა, მას სულ სხვა განზრახვა ჰქონდა.

ამ ამბიდან წლინახევრის შემდეგ, სევილიელი აბატისგან წერილი მოვიდა მისი ძმის, ბანგის წმ. მარიამის მონასტრის წინამძღვრის სახელზე. აბატი იტყობინებოდა, რომ მამაჩემი მონას-

ტრიდან გაიქცა და მის კვალს ვერავინ მიაგნო. ამ ცნობას ბაბუა ძალიან დაუღონებია, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

გავიდა კიდევ ორი წელი და ბაბუას უთხრეს, შენი შვილი დაუჭერიათ, წმინდა სამსჯავროსთვის გადაუციათ[2] და წამების დროს სევილიაში მომკვდარაო. დამწუხრებული ბაბუაჩემი თურმე საკუთარ თავს კიცხავდა იმ უგუნური აკვიატებისთვის, რამაც მისი შვილი სამარცხვინო სიკვდილამდე მიიყვანა. ამ ამ-ბის მერე ბაბუაჩემი ბანგის წმ. მარიამის მონასტრის წინამ-ძღვარს წაეჩხუბა და მონასტერში შესაწირის მიტანა შეწყვიტა. მამაჩემის სიკვდილი მაინც არ დაიჯერა, მასზე ისე ლაპარაკობ-და, როგორც ცოცხალზე და ნაანდერძევ მიწებზე დაწვრილები-თი განმარტებებიც კი დაუტოვა. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ბა-ბუაჩემი მართალი იყო! მისი გარდაცვალებიდან მესამე წელს, იარმუტის ნავსადგურში გემიდან სწორედ მამაჩემი გადმოვიდა, რომელიც სამშობლოში თითქმის რვა წლის მანძილზე არ ყოფი-ლა. მას თან ახლდა ცოლიც, მომხიბლავი ახალგაზრდა ესპანე-ლი ქალი, ანუ დედაჩემი - დონია ლუისა დე გარსია - სევილიის კეთილშობილი ოჯახიდან იყო.

კარგად არ ვიცი, რას აკეთებდა მამაჩემი რვა წლის განმავ-ლობაში. ამაზე თვითონ თითქმის არაფერს ამბობდა, თუმცა რამდენიმე საინტერესო დეტალზე მაინც შევაჩერებ თქვენს ყუ-რადღებას.

გავიგე, რომ იგი ნამდვილად იყო წმინდა სამსჯავროს ხელში. ერთხელ მე და მამა უეივნის წყალში ვბანაობდით, მის მკერდსა და მკლავებზე ნაიარევი შევნიშნე და ვკითხე, საიდან გაქვს--

---

[2] ასე უწოდებდნენ მაშინ ინკვიზიციას

მეთქი. მას კეთილი სახე უეცრად გაულურჯდა და უფრო საკუთარ თავს უპასუხა, ვიდრე მე: ეს ეშმაკებმა დამმართეს, იმ სატანის ბრძანებით, რომელიც დედამიწაზე დაძრწის და ჯოჯოხეთში მეფედ იქნება. მისმინე, შვილო, თომას! არის ასეთი ქვეყანა - ესპანეთი, სადაც დაიბადა დედაშენი, სადაც ეშმაკები ადამიანებს აწამებენ და ქრისტეს სახელით კოცონზე ცოცხლად წვავენ! მე გამცა სატანამ, რომელიც ჩემზე სამი წლით უმცროსია და მე ეშმაკების ხელში მოვხვდი. ეს ნაიარევი მათ მარწუხებმა და გავარვარებულმა რკინამ დამიტოვა. ისინი მეც სიამოვნებით დამწვავდნენ, დედაშენი რომ არ დამხმარებოდა გაქცევაში! ისე კი, ასეთი ამბები ბავშვებმა არ უნდა გაიგონ. არსად წამოგცდეს რამე, თომას! წმინდა სამსჯავროს გრძელი ყურები აქვს! შენ ნახევრად ესპანელი ხარ, ამაზე მეტყველებს შენი თვალები და კანის ფერი. მიუხედავად ამისა, ინგლისელი ხარ, შენ მიუწვდომელი უნდა იყო ყოველგვარი ცდუნებისთვის. გძულდეს ყველა ესპანელი, გარდა დედაშენისა და გაფრთხილებ, მისმა სისხლმა შენში ჩემი სისხლი არ უნდა გადაწონოს!

მაშინ ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი. მისი ნათქვამის მნიშვნელობა მოგვიანებით გავაცნობიერე. რაც შეეხება მამაჩემის რჩევას - ჩამეცხრო ჩემში ესპანური სისხლი, ყოველთვის ვითვალისწინებდი, რადგან ზოგჯერ სწორედ იგი იყო მიზეზი ჩემი განსაკუთრებული უდრეკობისა და სიჯიუტისა. ჩემში ქრისტიანი კაცისთვის შეუფერებელ სიძულვილს იწვევდა ყველა, ვინც თუნდაც ერთხელ რაიმეს დამიშავებდა. ყველაფერს ვაკეთებდი იმისთვის, რომ გამომესწორებინა ეს და სხვა ნაკლიც, მაგრამ, ხომ იცით, რამდენიც არ უნდა მალოთ შუბი ხალთაში, სულ ერთია, იგი სადმე წვერს მაინც ამოჰყოფს. ამაში თვითონაც არაერთხელ დავრწმუნდი.

ოჯახში სამი ბავშვი ვიყავით: მე, ჩემი უფროსი ძმა ჯეფრი და ერთი წლით ჩემზე უმცროსი, მომხიბლავი დაიკო, მერი. ბედნიერი ბავშვობა გვქონდა. დედამა ამაყობდა ჩვენი სილამაზით, რაც ბევრს შურდა. დედისგან მე შავგვრემანი კანი (ამის გამო დედა ესპანელს მეძახდა, რასაკვირველია, როცა მამა ახლოს არ ეგულებოდა!), მერის კი მშვენიერი, ხავერდოვანი თვალები და ვაშლივით წითელი ლოყები გამოჰყვა. დედამ ვერა და ვერ ისწავლა ხეირიანი ინგლისური, მაგრამ მამაჩემი მაინც არ აძლევდა სხვა ენაზე ლაპარაკის უფლებას. სამაგიეროდ, როცა იგი შინ არ იყო, დედაჩემი ესპანურად გველაპარაკებოდა. ეს ენა მხოლოდ მე ავითვისე კარგად, - იმ ძველი ესპანური რომანების წყალობით, რომლებიც დედას თავისი სამშობლოდან ჩამოჰყვა. ამ წიგნებს სიამოვნებით ვკითხულობდი, რადგანაც სათავგადასავლო ამბები პატარაობიდანვე მიტაცებდა. დედაჩემს ენატრებოდა თავისი ქვეყანა, რომელზეც ხშირად გვიყვებოდა, განსაკუთრებით, ცივ ზამთარში. ერთხელ ვკითხე, ესპანეთში დაბრუნება თუ გინდა-მეთქი. იგი შეკრთა და მი პასუხა: არ მინდა, ვინაიდან იქ ცხოვრობს ერთი კაცი, ჩემი მტერი, რომელსაც დაფიცებული აქვს, რომ აუცილებლად მომკლავს. ამიტომ მთელი სულითა და გულით მიჯაჭვული ვარ თქვენსა და მამათქვენზეო. გულში გავიფიქრე, ალბათ, ეს ის „სატანაა“, მამამ რომ ახსენა-მეთქი, მაგრამ ხმამაღლა მხოლოდ ეს ვთქვი: საეჭვოა, მოიძებნოს ისეთი ავაზაკი, ვინც ასეთი კეთილი და ლამაზი ქალის მოკვლას გადაწყვეტს-მეთქი!

- ეეჰ, ჩემო ბიჭო! - მი პასუხა დედამ, - ის სწორედ იმისთვის მომკლავს, რომ ასეთი ლამაზი ვარ, უფრო სწორად, ლამაზი რომ ვიყავი! მამაშენი რომ არა, ვინ იცის, იქნებ, იძულებული ვყოფილიყავი, ცოლად სხვა კაცს გავყოლოდი. ერთ საღამოს

(უკვე მეცხრამეტე წელში ვიყავი), ჩვენთან იარმუტიდან მომავალმა მამაჩემის მეგობარმა, სკვაირ ბოზარდმა (მისი მამული ჩვენს სამრევლოში იყო) გვინახულა და საუბრისას, სხვათა შორის თქვა, ნავსადგურში საქონლით დატვირთული ესპანეთის გემი შემოვიდაო. მამა მაშინვე გამოცოცხლდა და ჰკითხა, ვინ იყო იმ ხომალდის კაპიტანიო. ბოზარდმა უპასუხა, არ ვიცი, ერთხელ ბაზრის მოედანზე ვნახე, მაღალი, წარმოსადეგი, მდიდრულად ჩაცმული, ლამაზი კაცია, საფეთქელზე ნაჭრილობევი აქვსო.

უკანასკნელი სიტყვების გაგონებაზე დედაჩემს ფერი ეცვალა და ესპანურად წაილუღლუღა: - წმინდაო, მარიამ! ნეტავ, ის არ იქნებოდეს!

მამაც შეშფოთდა და სკვაირს რამდენიმე შეკითხვა დაუსვა, მაგრამ მეტი ვერაფერი გაიგო. იგი სასწრაფოდ ცხენს შემოახტა და იარმუტისკენ გააჭენა. იმ ღამეს დედას თვალი არ მოუხუჭავს, დილამდე იჯდა თავის ღრმა სავარძელში და რაღაცაზე ფიქრობდა. ბავშვები დავწექით. დილას ის იმავე პოზაში დამხვდა.

- დედა, დღეს ადრე ამდგარხართ, - გავიკვირვე მე

- წუხელ არც დავწოლილვარ, თომას, - მიპასუხა მან.

- რატომ? რისი გეშინიათ?

- მეშინია წარსულის და მაშინებს მომავალიც, შვილო; ნეტავ, მამაშენი მალე დაბრუნდებოდეს!

დილის ათ საათზე, როცა ის-ის იყო ექიმთან (მასთან საექიმო ხელობას ვსწავლობდი) წასვლას ვაპირებდი, მამაჩემიც მოვიდა. დედა სასწრაფოდ შეეგება. მამაჩემი ცხენიდან ჩამოხტა, დედას მოეხვია და უთხრა: - ნუ გეშინია, ჩემო კარგო. ის ალბათ სხვა კაცია, მას სხვა სახელი ჰქვია.

- ჰო, მაგრამ, თავად ნახე? - შეეკითხა დედა.

- არა, არ მინახავს. მან ღამე თავის გემზე გაათია, მე კი შინ მეჩქარებოდა, ვიცოდი, რა დღეშიც იქნებოდი.

- მე უფრო დავმშვიდდებოდი, ის საკუთარი თვალით რომ გენახა, ჩემო კარგო. მას ხომ სახელის გამოცვლა სულაც არ გაუჭირდებოდა!

- ამაზე აღარ მიფიქრია, - ჩაილაპარაკა მამამ, - მაგრამ ნუ გეშინია, მან რომც გაბედოს დითჩინჰემის სამრევლოში გამოჩენა, აქ არიან ადამიანები, რომლებმაც იციან, როგორ მოექცნენ მას. ისე კი, მგონია, ეს კაპიტანი სხვა კაცია.

- ღმერთმა ქნას! - უპასუხა დედამ.

მათ ხმადაბლა განაგრძეს საუბარი. მივხვდი, რომ იქ ზედმეტი ვიყავი, ამიტომ ჩემი კეტი ავიღე და საცალფეხო ბილიკზე გამოვედი. ამ დროს დედაჩემმა დამიძახა. მეც მაშინვე მივბრუნდი.

- წასვლის წინ მაკოცე, თომას, - მითხრა მან, - შენ, ალბათ, გაკვირვებული ხარ ამ ამბით, მაგრამ მოვა დრო და მამაშენი ყველაფერს აგიხსნის. მე კი მხოლოდ ერთ რამეს გეტყვი: წლების მანძილზე სიცოცხლეს საშინელი აჩრდილი მიშხამავდა, ოღონდ, ახლა მჯერა, რომ ის სამუდამოდ გაქრა.

- თუ იმ აჩრდილში კაცს გულისხმობ, სჯობს თავი შორს დაიჭიროს ამ კეტისგან! - ვუთხარი მას სიცილით და მძიმე კეტი რამდენჯერმე ჰაერში ავაგდე.

- დიახ, კაცია, - მი პასუხა დედამ, - მაგრამ თუ ოდესმე მას შეხვდები, ჯოხით ვერაფერს გააწყობ! ძალიან ნუ იჩქარებ, შვილო, შენი ღონის გამოჩენას, ნუ დაივიწყებ ძველ ესპანურ ანდაზას: „ვინც უკანასკნელი ურტყამს, ის უფრო ძლიერად ურტყამს“.

- კი მაგრამ, არის მეორე ანდაზაც, დედა: „დაარტყი, სანამ დაგარტყამდნენ“. ამ სიტყვებით მას დავემშვიდობე.

როდესაც ათიოდე ნაბიჯი გადავდგი, თითქოს რაღაცამ მაიძულა და უკან მოვიხედე. დედაჩემი ღია კარის წინ იდგა; ძველი სახლის კედელზე აყოლილი თეთრი ყვავილების ფონზე, მისი წარმოსადეგი ტანი ამ ყვავილების ჩარჩოში ჩასმულს ჰგავდა. როგორც ყოველთვის, თავსაფარი ნიკაპქვეშ ჰქონდა გამოსკვნილი. დედა სევდიანად მიყურებდა, თითქოს სამუდამოდ მეთხოვებოდა...

3

უნდა ითქვას, რომ სკვაირ ბოზარს სრულებითაც არ მოსწონდა, მისი ქალიშვილი მე რომ მხვდებოდა. ოღონდ, ეს არ აიხსნება იმით, რომ იგი მიწუნებდა. ბოზარდს უნდოდა, ლილი ჩემი უფროსი ძმის - ჯეფრისთვის მიეთხოვებინა, რომელიც კანონით მამაჩემის მთელი ქონების მემკვიდრედ ითვლებოდა. ბოზარდს ჩემი დანახვა მაინცდამაინც არ სიამოვნებდა; ასე რომ, მე და ლილი თავს ისე ვაჩვენებდით, ვითომ შემთხვევით ვხვდებოდით ერთმანეთს. სამაგიეროდ, ჩემი ძმა ყოველთვის სკვაირის ოჯახის სასურველი სტუმარი იყო. ამის გამო, ჩვენს შორის ურთიერთობა გამწვავდა, რაც სრულიად ბუნებრივია. ჩემს ძმასაც შეუყვარდა ლილი. კაცმა რომ თქვას, მას მეტი უფლებები ჰქონდა, ვიდრე მე, ვინაიდან ჩემზე სამი წლით უფროსი იყო და მემკვიდრეობაც ელოდა! ზოგი იფიქრებს, რომ ჩემი გრძნობა მოუმწიფებელი და ნაადრევი იყო, რამდენადაც მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ ჩემს ძარღვებში ახალგაზრდული, მით უმეტეს, ესპანური სისხლი დუღდა, რამაც მამაკაცად მაქცია იმ ასაკში, როცა წმინდა სისხლის ინგლისელთა უმრავლესობა ჯერ კი-

დევ პატარა ბიჭად რჩება. ასეთ საქმეში სისხლსა და მის გამათ-ბობელ მზეს დიდი მნიშვნელობა აქვს! ამაში თვითონაც ბევრჯერ დავრწმუნდი, როდესაც ვაკვირდებოდი ანაუაკის თხუთმეტი წლის ინდიელებს, ცოლებად ცამეტ-თოთხმეტი წლის გოგონები რომ მოჰყავდათ. თვრამეტი წლის ასაკში, საკმაოდ მოზრდილი გახლდით იმისთვის, რომ ვინმე ჭეშმარიტი სიყვარულით ერ-თხელ და სამუდამოდ შემყვარებოდა. თუმცა, ზოგიერთს შეიძ-ლება მოეჩვენოს, თითქოს ამ აზრს ჩემი შემდგომი ცხოვრება სავსებით აბათილებს. ვინც ასე იფიქრებს, ის ცდება, რადგან არ უნდა დავივიწყოთ, რომ მამაკაცს შეუძლია ცხოვრებაში უყვარ-დეს რამდენიმე ქალი და მაინც ერთის ერთგული დარჩეს; მას შეუძლია დაარღვიოს სიყვარულის კანონის ფორმალური მხა-რე, მაგრამ, ამავე დროს, წმინდად დაიცვას მისი არსი.

ამგვარად, როცა მეცხრამეტე წელში გადავედი, უკვე სავსე-ბით ჩამოყალიბებული მამაკაცი ვიყავი, ამასთან მეტად მიმზიდ-ველიც. ახლა, სიბერეში, ეს ყოველგვარი მოკრძალების გარეშე შემიძლია ვთქვა. ვიყავი არც ძალიან მაღალი, სულ ხუთი ფუტი-სა და ცხრანახევარი დუიმის სიმაღლის, სამაგიეროდ - ღო-ნიერი, მხარბეჭიანი და აგებულების იშვიათი პროპორციულო-ბით გამორჩეული. დღესაც, მიუხედავად წლებისა, ჯერ კიდევ შე-მომრჩა კანის არაჩვეულებრივი, მუქი ფერი და დიდრონი შავი თვალები, ეს ოდნავ ხუჭუჭი თმა, მაშინ კუპრივით შავი მქონდა. მუდამ თავშეკავებული და სერიოზული ვიყავი, ზოგი პირქუშა-დაც კი მთვლიდა. ვლაპარაკობდი დინჯად, დაფიქრებულად და ვამჯობინებდი, მეტი მომესმინა, ვიდრე მეთქვა. სანამ რაიმე გა-დაწყვეტილებას მივიღებდი, ყველაფერს გულდასმით ავწონ--დავწონიდი და დიდხანს ვფიქრობდი; შეცვლა გადაწყვეტილები-სა, იქნებოდა ის კარგი თუ ცუდი, გონივრული თუ სულელური,

უკვე აღარაფერს შეეძლო, გარდა სიკვდილისა! იმ ხანებში ნაკლებად მწამდა ღმერთის, ნაწილობრივ - მამაჩემთან ფარული საუბრების, ნაწი ლობრივ, საკუთარი მოსაზრების გამოც; სიჭაბუკეს სჩვევია ამგვარი ნაჩქარევი განზოგადება - ამქვეყნად ყველაფერი სიცრუეა მხოლოდ იმიტომ, რომ რომელიმე მოვლენა მართლაც სიცრუე აღმოჩნდა. იმ დღეებში მეც ვფიქრობდი ღმერთის არარსებობაზე, რადგან მღვდელი გვარწმუნებდა, ბანგის ღვთისმშობლის ხატი ცრემლებს ღვრის და სხვა სასწაულებსაც ახდენსო, სინამდვილეში კი ეს სიცრუე იყო. მხოლოდ სიბერეში მივხვდი, რომ არსებობს უზენაესი სამართლიანობა, რაშიც ცხოვრებამ ბევრჯერ დამარწმუნა.

ერთ კვირა დღეს ლილიმ ეკლესიის შესასვლელთან დამინახა და თქვა, ოთხშაბათისთვის კუნელი ალბათ უკვე აყვავებული იქნება და საღამოს მისი სურნელოვანი ტოტების დასატეხად წავალო. ვიფიქრე, რომ მან ეს განგებ თქვა, ჩემს გასაგონად, ვინაიდან სიყვარული ხშირად ეშმაკობას ასწავლის სრულიად უმწიკვლო ქალიშვილსაც კი. ამ დროს მას გვერდით ედგნენ მამამისი და ჩვენი ოჯახის წევრები. ლილი შეეცადა, ჯეფრის არაფერი გაეგო და თავისი ნაცრისფერი თვალები შემომანათა. მაშინვე დავიფიცე, რომ ამ დროისთვის პარკში ვიქნებოდი, თუნდაც მასწავლებლისგან გაქცევა და ყველა ბანგელი ავადმყოფის ბედის ანაბარად მიტოვება დამჭირვებოდა. მაშინ მტკიცედ გადავწყვიტე, ლილი თუ მარტო იქნებოდა, მეტს აღარ გავაჭიანურებდი და ვეტყოდი ყველაფერს, რასაც ვფიქრობდი. თუმცა, ჩვენ ვხვდებოდით, რასაც ერთმანეთის მიმართ განვიცდიდით, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთთან არასოდეს ვსაუბრობდით სიყვარულზე. არ მიფიქრია, რომ ლილი მაშინვე გამხდარიყო ჩემი ცოლი - მე ხომ ჯერ ჩემი ადგილი უნდა მეპოვა ცხოვრებაში.

მხოლოდ ის მაშინებდა, რომ თუ არ გაირკვეოდა ჩვენი მომავალი, უფროსი ძმა ჩემზე ადრე მიმართავდა მამამისს, რომელიც ლილის აიძულებდა, მიეღო მისი წინადადება, რაზეც ის უარს იტყოდა იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ საიდუმლო ნიშნობაზე შევთანხმდებოდით.

მაგრამ სწორედ იმ დღეს გამიჭირდა თავის დაძვრენა. ჩემი მასწავლებელიექიმი ავად გახდა. მის ნაცვლად, ყველა ავადმყოფის ნახვა და მათთვის წამლების დარიგება მე მომიწია. მხოლოდ საღამოს ხუთი საათისთვის მოვახერხე წასვლა, უფრო სწორად, გაქცევა ისე, რომ არავის დავმშვიდობებივარ.

ერთ მილზე მეტი ვირბინე ნორიჯის გზაზე, ვიდრე ციხე-დარბაზს მივაღწევდი; ეკლესიის შესახვევთან, დითჩინჰემის პარკთან ახლოს, ნაბიჯი შევანელე, არ მინდოდა, ლილის აქოშინებული ვენახე. დღევანდელი დღისთვის განზრახ გამოვი პრანჭე, მინდოდა, რაც შეიძლება, უკეთესი მოვჩვენებოდი.

როგორც კი გზაზე დავეშვი, რომლის გადაღმა პარკი იწყებოდა, უცებ უცნობი ცხენოსანი დავინახე. იგი გზაჯვარედინზე შეჩერდა, ეტყობოდა, ვერ გადაეწყვიტა, საით წასულიყო. ეს მაშინვე შევამჩნიე, თუმცა იმ წუთებში ძალიან ცუდად ვაზროვნებდი, მთელი ჩემი გონება ლილისთან მომავალი საუბრის ირგვლივ ტრიალებდა. მივხვდი, რომ ცხენოსანი ჩვენებური არ იყო.

უცნობი დაახლოებით ორმოცი წლის იქნებოდა; ტანად მაღალს კეთილშობილური გარეგნობა ჰქონდა და ხავერდის მდიდრული ტანსაცმელი ეცვა. კისერს ოქროს ძეწკვი უმშვენებდა. გრძელ, ნაოჭებიან სახეზე საშინელება აღბეჭდვოდა. მის პატარა, ლამაზ ტუჩებს მკაცრი ღიმილი მანჭავდა. მაღალ შუბლზე, რაც მისი პატრონის გონიერებაზე მიუთითებდა, ნაჭდევი ემჩნეოდა. სამხრე თელს ჰგავდა - შავგვრემანი იყო, ჩემსავით ოდ-

ნავ ხუჭუჭი თმა ჰქონდა. ცხენოსანს მივუახლოვდი და მანაც დამინახა თუ არა, სახე იმწამსვე შეეცვალა: ბოროტი ღიმილი გაუქრა და ახლა იგი სასიამოვნო და კეთილი მეჩვენა. უცნობმა დიდი მოწიწებით აიწია ქუდი და რაღაც ჩაილუღლუღა ისეთი ინგლისურით, რომ მხოლოდ ერთი სიტყვა გავიგე - იარმუტი. შემდეგ მიხვდა, რომ მისი არაფერი მესმოდა და სუფთა კასტილიურ კილოზე ხმამაღლა დაუწყო გინება ინგლისურ ენასა და ყველას, ვინც ამ ენაზე მეტყველებდა.

გადავწყვიტე, მის ენაზე დავლაპარაკებოდი: - სენიორ, რა გნებავთ, იქნებ, რამეთი დაგეხმაროთ? - მივმართე მე.

- როგორ, კეთილშობილო ჭაბუკო, ესპანური იცით? - გაკვირვებით წამოიძახა მან. - თქვენ ხომ ესპანელი არ ხართ, თუმცა გარეგნობა ისეთი გაქვთ, რომ შეიძლება, იყოთ კიდეც! უცნაურია! - ჩაილაპარაკა მან და ამათვალიერჩამათვალიერა. - ეშმაკმა დალახვროს, პირდაპირ საოცარია!..

- შესაძლოა, ეს მართლაც საოცარი იყოს, სერ, მაგრამ მეჩქარება. იქნებ მითხრათ, რა გნებავთ, - ვკითხე მე.

- ოჰო, მგონი მივხვდი, რატომ ჩქარობთ ასე! აი, იქ, თეთრკაბიანი ქალი დავინახე, - მითხრა ესპანელმა და ხელი პარკისკენ გაიშვირა, - დაუჯერეთ უფროსის რჩევას და ფრთხილად იყავით, კეთილშობილო ყმაწვილო! მოექეცით ქალს, როგორც გინდათ, ოღონდ მას არაფერი დაუჯეროთ! რაც მთავარია, ცოლად არ შეირთოთ, თორემ ერთხელაც იქნება, იქამდე მიგიყვანთ, რომ მის მოკვლას მოინდომებთ!

წასასვლელად მოვემზადე, მაგრამ ესპანელი ისევ ალაპარაკდა: - მაპატიეთ, კეთილი გულით გითხარით. თავის დროზე შეიძლება თვითონ დარწმუნდეთ, რომ მართალი ვარ. მეტს აღარ დაგაყოვნებთ, იქნებ, მხოლოდ ის მითხრათ, რომელი

გზით მივალ იარმუტამდე? სულ დამაბნია ინგლისის გზებმა - სავსეა ხეებით და წინ ერთ მილზეც კი არაფერი ჩანს!

რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და ვაჩვენე იარმუტის გზა. ამავე დროს შევამჩნიე, რომ უცნობი რაღაც ფარული შიშით მიყურებდა. თითქოს ცდილობდა ამ შიშის დაძლევას და ვერ ახერხებდა. როცა გავჩუმდი, ცხენოსანმა კიდევ ერთხელ აიწია ქუდი, მადლობა გადამიხადა და მითხრა: - ხომ არ მეტყვით, კეთილშობილო ჭაბუკო, რა გქვიათ?

- რაში გაინტერესებთ? თქვენ ხომ არ გითქვამთ თქვენი სახელი! - მკვახედ მივუგე, რადგან რატომღაც თავიდანვე არ მომეწონა ის კაცი.

- თქვენ მართალი ხართ, მაგრამ მე მალულად ვმოგზაურობ. იქნებ, მეც მქონდა დანიშნული პაემანი ერთ მანდილოსანთან აქ სადმე, ახლომახლო!

ამ სიტყვებზე უცნობმა უცნაურად გაიღიმა და განაგრძო: - მე მხოლოდ მინდოდა, გამეგო იმის სახელი, ვინც თავაზიანად დამეხმარა, მაგრამ აღმოჩნდა, იგი არც ისე თავაზიანი ყოფილა, როგორც ვფიქრობდი! - და აღვირი მოსწია, რომ ადგილიდან დაძრულიყო.

- ჩემი სახელის არ მრცხვენია! აქამდე მას ჩირქი არ მოსცხებია და თუ ასე ძალიან გინდათ, გაიგოთ ჩემი ვინაობა, გეტყვით: მე თომას ვინგფილდი ვარ!

- მეც ასე ვფიქრობდი! - წამოიძახა უცნობმა და მღელვარებისაგან სახე დაემანჭა. მერე, ვიდრე მასში მომხდარი ცვლილების გამო გაკვირვებას მოვა სწრებდი, ცხენიდან გადმოხტა და ჩემგან სამიოდე ნაბიჯზე გაჩერდა.

- ბედნიერი დღეა! ახლა ვნახოთ, რამდენად მართლდება წინასწარმეტყველება, - წაიბუტბუტა მან და მოვერცხლილი დაშნა

ქარქაშიდან დააძრო. - სახელი სახელის წილ! ხუან დე გარსია მოგესალმება შენ, თომას ვინგფილდ! უცნაურია, რომ მხოლოდ ამ დროს გამახსენდა ყველაფერი, რაც გაგონილი მქონდა ვიღაც ესპანელზე, რომლის ინგლისში გამოჩენამ ასე ააღელვა ჩემი მშობლები. სხვა დროს ამაზე მაშინვე ვიეჭვებდი, მაგრამ იმ დღეს ლილის გარდა, სხვა რამეზე ფიქრისთვის ჩემს თავში, უბრალოდ, ადგილი აღარ დარჩენილიყო.

„ალბათ, ეს სწორედ ის კაცია“, - ამის გაფიქრება იყო და, ესპანელი ჩემსკენ გამოქანდა, დაშნით ხელში. მახვილის წვერის დანახვაზე გვერდზე გავხტი. პირველად გაქცევა მინდოდა, რადგან სრულიად უიარაღოსთვის ამაში სამარცხვინო არაფერი იყო. მიუხედავად მთელი ჩემი სიმარჯვისა, გვერდზე გახტომა დამაგვიანდა, - გულში დამიზნებულმა დაშნის წვერმა მარცხენა სახელოსა და წინამხრის სირბილეში გამიარა. მეტი არაფერი დამშავებია, თუმცა ჭრილობის გამო, უცებ გააფთრებამ შემი პყრო და სულითა და გულით მომინდა, მომეკლა ეს კაცი, ვინც ყოველგვარი საბაბის გარეშე, უიარაღოს თავს დამესხა. ხელში ჩემი საიმედო მუხის კეტი მეჭირა. ახლა ისღა დამრჩენოდა, ეს კომბალი საუკეთესოდ გამომეყენებინა.

კეტი, ტორეადორის დაშნასთან შედარებით, უმწეო იარაღად მოგეჩვენებათ, თუმცა, მას ერთი უპირატესობა აქვს: როცა თქვენზე კეტი აღიმართება, მაშინვე გავიწყდებათ, რომ მომაკვდინებელი ფოლადი გიჭირავთ და იმის ნაცვლად, რომ შეტევაზე გადახვიდეთ, პირველ ყოვლისა, ცდილობთ, მოქნეული ჯოხი აიცდინოთ.

სწორედ ასე მოხდა. ესპანელი დახელოვნებული მოფარიკავე აღმოჩნდა. მეც რომ მასავით ვყოფილიყავი შეიარაღებული, უთუოდ მალე მომიღებდა ბოლოს. მაშინ დაშნის ხმარებაც კი არ

ვიცოდი, რადგან იმ დროს ინგლისელისთვის ის სრულიად უცხო იარაღი იყო. როგორც კი ესპანელმა მისკენ მოღერებული კომბალი დაინახა, თავისი უპირატესობა დაავიწყდა და თავზე ხელი დაიფარა, რათა დარტყმა შეენელებინა. კეტი ხელზე მოხვდა, რის გამოც დაშნა ბალახებში ჩაუვარდა. ბრაზმორეულმა ესპანელს კეტი ახლა სახეში ჩავარტყი; მას ერთი კბილი იქვე ჩამოუვარდა და თვითონაც მიწაზე დაენარცხა. მე მაშინვე ფეხებში წავავლე ხელი და უმოწყალოდ დავუწყე ცემა, ოღონდ ვცდილობდი, თავში არ ჩამერტყა, რადგან ახლა, როცა ვაჯობე, მისი მოკვლა აღარ მინდოდა.

იმდენი ვურტყი, სანამ ხელები არ დამეღალა. მერე ფეხებით შევდექი. იგი გველივით იკლაკნებოდა და საშინლად მწყევლიდა. საინტერესოა, რომ ერთხელაც არ დაუყვირია და არც პატიება უთხოვია. ბოლოს, როგორც იქნა, დავწყნარდი და დაკვირვებით ავხედ-დავხედე. ის მართლაც საუცხოო სანახავი იყო - კარგად ნაცემი და მტვერში ამოგანგლული; ახლა უკვე აღარ ჰგავდა იმ წარმოსადეგ მხედარს, სულ რაღაც ხუთი წუთის წინ რომ ვნახე. იგი ჩემს წინ ბილიკის გარდიგარდმო პირაღმა ეგდო და ღვარძლიანი თვალებით მიყურებდა.

- რას იტყვი, სენიორ ესპანელო, მიიღე თუ არა დამსახურებულად? - ვკითხე მას, - არ ვიცი, რა მაკავებს, თორემ ღირსი ხარ, ზუსტად ისე გაგისწორდე, როგორც შენ გინდოდა, მე მომქცეოდი!

მისი დაშნა ავიღე და ყელზე მივაბჯინე.

- მომკალი, შეჩვენებულო ნაძირალავ! - ჩაიხიხინა ესპანელმა, - უკეთესია მოვკვდე, ვიდრე ამნაირი სირცხვილის შემდეგ ვიცოცხლო!

- ოო, არა! მე არ ვარ უცხო ქვეყნიდან ჩამოსული მკვლელი! უიარაღოს არ ვკლავ! შენ მოგიწევს ყველაფერზე სასამართლოს წინაშე პასუხისგება. ისეთებისთვის, როგორიც შენ ხარ, ჩვენს ჯალათებს ყოველთვის აქვთ თოკი.

- სასამართლოში ახლა საკუთარი ზურგით თუ წამიღებ, - ჩაიბურდღუნა და თვალები დახუჭა, თითქოს გული წაუვიდაო.

იმ დროს, როცა ვიდექი და ვფიქრობდი, რა მექნა ამ არამზადისთვის, შემთხვევით, ხერგულის საშუქში გავიხედე და ჩემგან სულ რაღაც სამასი იარდის დაშორებით ნაცნობ თეთრ კაბას მოვკარი თვალი. გავიფიქრე, რომ თუ მას სოფლის საპყრობილეში ან სხვა რომელიმე საიმედო ადგილას წავათრევდი, ლილის დღეს ვეღარ ვნახავდი, მეორე ასეთი შემთხვევა კი, ღმერთმა იცის, როდის მექნებოდა. ამას გარდა, იგი ისე იყო ნაცემი, კარგა ხანს მაინც ვერსად წავიდოდა. მე კი, ამასობაში, ჩემს საქმეებსაც მოვათავებდი. თავის დაზღვევის მიზნით, ესპანელის ცხენს სადავეები მოვხსენი და გზიდან მოშორებით, შეძლებისდაგვარად, მაგრად მივაბი ხეზე.

- აქ იქნები, სანამ ჩემს საქმეს მოვათავებ, მერე კი საკადრისად გაგისწორდები! - მივაძახე.

რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და ამ დროს, რაღაც ეჭვმა შემი პყრო: გამახსენდა შეშინებული დედაჩემი და მამის ვიღაც ესპანელის გამო სასწრაფოდ წასვლა იარმუტში. რატომ მეცა ცოფიანივით ჩემი სახელის გაგონებაზე ეს კაცი? იქნებ, ეს სწორედ ის ესპანელია, რომლისაც დედაჩემს ასე ეშინოდა? სწორად მოვიქეცი თუ არა, რომ უმეთვალყურეოდ დავტოვე, მხოლოდ იმიტომ, შეყვარებულს რომ შევხვედროდი? - ვეკითხებოდი ჩემს თავს.

ვგრძნობდი, შეცდომას ჩავდიოდი, მაგრამ ჩემი სიყვარული იმდენად ღრმა იყო, რომ გული შეუკავებელი სიძლიერით მექაჩებოდა თეთრკაბიანი ქალიშვილისკენ, რომელიც პარკის ხეებს შორის ოდნავ მოჩანდა, ამიტომ საფრთხე გავაუბრალოვე...

ეჰ, მაშინ რომ დავბრუნებულიყავი, რამდენად უკეთესი იქნებოდა ეს ჩემთვისაც და იმათთვისაც, რომლებიც იმ დროს ამქვეყნად გაჩენილნი ჯერ კიდევ არ იყვნენ! ისინი ხომ აღარ შეიგრძნობდნენ სიკვდილის საშინელებას და არც მე მივატოვებდი სამშობლოს; არ მექნებოდა მუდმივი ნოსტალგია ამის გამო, არც მონობის სიმწარეს ვიგემებდი და არც სამსხვერპლოზე ჯოჯოხეთურ ტანჯვას!

4

ლილი ასე ლამაზი არასოდეს მომჩვენებია, - იგი ვითომც გაოცებული იდგა და წაბლისფერ ნაწნავებზე ჩამავალი მზის სხივები დასთამაშებდა.

ლილი არ ჰგავდა სოფლის პირმრგვალ გოგოებს, რომელთა მთელი სილამაზე მათ ახალგაზრდობასა და ჯანმრთელობაშია. იგი უკვე ტანადი, გრაციოზულობითა და სილამაზით დაჯილდოებული ლედი იყო. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ტოლები ვიყავით, მის გვერდით თავს უმცროსად ვგრძნობდი, რაც მისადმი ჩემს სიყვარულს მოკრძალებულობის თავისებურ ელფერს ანიჭებდა.

- ეს შენ ხარ, თომას? - ჩაილაპარაკა ლილიმ და გაწითლდა. - მე კი მეგონა, არ მოხვიდოდი, უკვე შინ წასვლას ვაპირებდი, რადგან გვიანია. მაგრამ... რა დაგემართა, თომას? საიდან მორ-

ბოდი ასე გახელებით? ღმერთო, ხელიც დასისხლიანებული გაქვს, თან დაშნა გიჭირავს. ვინ მოგცა?

- დაიცა, ცოტა სული მოვითქვა. მოდი, დავბრუნდეთ კუნელის ბუჩქთან, იქ ყველაფერს გიამბობ, - ვუპასუხე მე.

- კი, მაგრამ, ახლა ხომ შინ წასვლის დროა?! უკვე საათზე მეტია, ვსეირნობ. თანაც, ყვავილები თითქმის აღარ არის კუნელზე.

- ლილი, უფრო ადრე ვერ მოვიდოდი. გზაში მოულოდნელად თავს ვიღაც ესპანელი დამესხა... ყვავილები ბლომადაა, თვითონ დავინახე, შენთან რომ მოვრბოდი.

- არ ვიცოდი, თომას, თუ მოხვიდოდი, - მითხრა ლილიმ და თვალები დახარა.

- შენ ხომ ბევრი საქმე გაქვს?! განა შემეძლო, მეფიქრა, რომ კუნელის ყვავილების დასაკრეფად მოხვიდოდი? მიამბე, რა მოხდა, ოღონდ - მოკლედ. ცოტა ხნით გამოგყვები.

უკან დავბრუნდით, გასხეპილ მუხებთან. გზაში ლილის ვუამბე ესპანელზე, თუ როგორ შეეცადა იგი ჩემს მოკვლას და როგორ გავუსწორდი მას ჩემი დიდი კეტით. იგი სულგანაბული მისმენდა და როცა გაიგო, ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, შიშისგან გაფითრდა.

- შენ დაჭრილი ხარ, თომას? - შემაწყვეტინა მან. - შეხედე, ხელიდან რამდენი სისხლი მოგდის. ჭრილობა ღრმაა?

- არ ვიცი, არც კი დამიხედავს... ისე ვჩქარობდი!..

- გაიხადე, თომას, ქურთუკი! შეგიხვევ. არა, არა, ნუ მეწინააღმდეგები! ასეა საჭირო.

ძლივს გავიძრე ქურთუკი და პერანგის სახელო ავიწიე. ლილიმ ჭრილობა რუს წყლით მომბანა და თავისი ცხვირსახოცით

შემიხვია, თან განუწყვეტლივ ჩურჩულებდა შესაბრალის სიტ-ყვებს.

სიმართლე გითხრათ, სიამოვნებით ავიტანდი კიდევ უფრო მეტ ტკივილს, ოღონდ მას ჩემთვის ასე მოევლო. მისმა სინაზით აღსავსე ზრუნვამ გამიფანტა ეჭვები და ისეთი გამბედაობა დამე-უფლა, რომელიც სხვა პირობებში, მასთან პირისპირ შეხვედრი-სას, შესაძლოა, არც მქონოდა. მართალია, თავიდან საჭირო სიტყვები ვერ ვი პოვე, ოღონდ მერე, როცა ლილი ჭრილობას მიხვევდა, დრო ვიხელთე, დავიხარე და მოწყალე ხელზე ვაკო-ცე.

ლილი გაწითლდა. - რატომ შვრები ამას, თომას? - წაიჩურჩუ-ლა მან.

- იმიტომ, რომ მიყვარხარ და არ ვიცი, როგორ გითხრა ეს... მიყვარხარ, ყოველთვის მიყვარდი და მუდამ მეყვარები, - მივა-ყარე სხაპასხუპით.

- დარწმუნებული ხარ ამაში, თომას? - კვლავ წაიჩურჩულა ლილიმ.

- ამქვეყნად ყველაზე მეტად ამ სიყვარულისა მჯერა, ლილი! მაგრამ მინდა დარწმუნებული ვიყო, რომ შენც ძლიერ გიყვარ-ვარ.

რამდენიმე წამს ლილი მდუმარედ და თავჩაქინდრული იდგა, შემდეგ თავი ასწია და მე დავინახე ისეთი გაბრწყინებული თვა-ლები, როგორიც მანამდე არასოდეს მენახა.

- ნუთუ, ამაში ოდნავ მაინც გეპარება ეჭვი? - ჩაილაპარაკა მან. მოვეხვიე და ტუჩებში ვაკოცე.

ამ კოცნის გემოს შემდეგ, მთელი სიცოცხლის მანძილზე ვგრძნობდი. მაშინ ძალიან ბედნიერი ვიყავი. სამწუხაროდ, ეს პირველი უბიწო კოცნა მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა!

- შენც ისევე ძლიერ გიყვარვარ, როგორც მე, არა? - კვლავ ამოვიდგი ენა, თუმცა, ჯერ კიდევ არ ვიყავი სავსებით გონსმოსული.

- ნუთუ ეჭვი გეპარებოდა? - ოდნავ გასაგონად მიპასუხა ლილიმ და განაგრძო, - მისმინე, თომას, სიყვარული დიდებული გრძნობაა! ჩვენ ერთმანეთისთვის ვართ გაჩენილნი და რომც მოვინდომოთ ამის დავიწყება, ვერ შევძლებთ. ოღონდ, რამდენად ტკბილი და უმწიკვლოც არ უნდა იყოს სიყვარული, არ შეიძლება მოვალეობის დავიწყებაც. რას იტყვის, თომას, მამაჩემი ამაზე?

- არ ვიცი, საყვარელო, თუმცა, ამის მიხვედრა ძნელი არ არის. დარწმუნებული ვარ, იგი ჩემს თავიდან მოშორებას მოინდომებს და შენ ჩემს ძმას მიგათხოვებს.

- ამაზე არასდროს დავთანხმდები. რამდენად ძლიერიც არ უნდა იყოს მოვალეობის გრძნობა, მას არ აქვს უფლება, ქალი იძულებით, უსიყვარულოდ გაათხოვოს. თუმცა, ხელის შეშლა ნამდვილად შეუძლია.

- ლილი, ყველაზე მთავარი სიყვარულია, თუნდაც მაშინვე არ მოგვცეს ნაყოფი. სულ ერთია, ამიერიდან ჩვენ სამუდამოდ ერთად ვიქნებით!

- ეეჰ, თომას, ასეთი გადაწყვეტილებისთვის შენ ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ხარ... მეც ახალგაზრდა ვარ, მაგრამ ჩვენ, ქალები, უფრო ადრე ვხდებით დიდები. შენთვის კი... ვაითუ, ყველაფერი ეს გატაცებაა და ახალგაზრდობასთან ერთად გაქრეს?

- ეს არასდროს გაქრება, ლილი... ტყუილად როდი ამბობენ, ახალგაზრდობაში გაჩენილი პირველი სიყვარული ყველაზე საიმედოა და მომწიფების წლებში იფურჩქნებაო. მისმინე, ლილი, მე ჯერ საკუთარი ადგილი უნდა ვი პოვო ცხოვრებაში, ამას

კი დრო სჭირდება! მხოლოდ ერთ რამეს გთხოვ, თუმცა ვიცი, ჩემი თხოვნა ეგოისტურია: შემპირდი, რომ ჩემი ერთგული იქნები და არასდროს გათხოვდები სხვაზე, ვიდრე ცოცხალი ვარ!

- ეს არც ისე ადვილია, თომას, რადგან დროთა განმავლობაში ბევრი რამ იცვლება. თუმცა, საკუთარ თავში დარწმუნებული ვარ და გიერთგულებ, კი არ გპირდები, არამედ ფიცს გაძლევ! შენში კი ბოლომდე არ ვარ დარწმუნებული, მაგრამ რა ვქნა? ქალები ხშირად მივდივართ რისკზე. თუ წავაგე, მშვიდობით, ბედნიერებავ!

აღარ მახსოვს, კიდევ რაზე ვილაპარაკეთ, მაგრამ ეს სიტყვები მეხსიერებაში სამუდამოდ ჩამებეჭდა. ამაზე შემდგომში არაერთხელ მიფიქრია.

ბოლოს ვიგრძენი, რომ ჩემი წასვლის დრო იყო, თუმცა დაშორება ორივეს გაგვიჭირდა. ერთხელ კიდევ მოვეხვიე ლილის, ვაკოცე და გულში ისე მაგრად ჩავიკარი, რომ ტკივილი ვიგრძენი და რამდენიმე წვეთი სისხლი მის თეთრ კაბას დაეცა. უცებ შიშისგან გავშეშდი, - ჩვენგან ხუთ ნაბიჯზე ლილის მამა, განრისხებული სკვაირი ბოზარდი იდგა.

როგორც შემდგომ გაირკვა, სკვაირი ბოზარდი ბილიკზე ცხენით მიდიოდა და დაინახა თუ არა მუხებქვეშ ვიღაც წყვილი, ცხენიდან ჩამოხტა, რათა დაუპატიჟებელი სტუმრები თავისი პარკიდან გაეძევებინა.

მე და ლილი ერთმანეთს მოვშორდით და სკვაირს შევაცქერდით. იგი დაბალი, მსუქანი კაცი იყო, წითური სახე და მკაცრი ნაცრისფერი, გადმოკარკლული თვალები ჰქონდა. წამიერად იგი დაბნეული მეჩვენა, მერე ენა ამოიდგა და აღარც გაჩერებულა... დღეს ყველაფერი აღარ მახსოვს, რას ყვიროდა, მაგრამ

საერთო აზრი ის იყო, რომ სკვაირს უნდოდა გაეგო, ჩვენს შორის რა ხდებოდა.

სანამ ის ყვიროდა, თავი ხელში ავიყვანე და წყნარად ვუთხარი:

- მე და ლილის ერთმანეთი გვიყვარს და ეს-ეს არის, დავინიშნეთ-მეთქი.

- ეს მართალია, შვილო? - ჰკითხა მან ლილის.

- კი, მართალია, - გაბედულად უპასუხა ლილიმ.

პასუხის გაგონებისთანავე სკვაირი ლანძღვა-გინებას მოჰყვა:

- აი, ქარაფშუტა! კაცმა უნდა გაგწკეპლოს და ჩაგკეტოს ისე, რომ შიმშილით სული ამოგხდეს. შენ კი, - მომიბრუნდა მე, - მამლაყინწავ და ესპანელო ნაბიჭვარო, ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრე: ეს გოგო საშენო არ არის, მისთვის ვინმე უკეთესი მოინახება! ეი, შენ, აბების ცარიელო კოლოფო! როგორ ბედავ ჩემს ქალიშვილთან გაარშიყებას, როცა ჯიბეში ორი პენიც კი არ გიჭყავის! ჯერ სახელი მოიხვეჭე, ფული იშოვე და მერე დაადგი თვალი ისეთს, როგორიც ჩემი ქალიშვილია!

- მეც სწორედ ასე ვაპირებ და კიდეც გავაკეთებ ამას, სერ! - შევაწყვეტინე ლაპარაკი.

- შენ?! შენ, მეაფთიაქის შიკრიკს, გინდა, სახელი და მდგომარეობა მოიხვეჭო?! ვნახოთ, მოსინჯე! ოღონდ, სანამ ეცდები, ჩემი ქალიშვილი ვერ დაგელოდება და ცოლად გაჰყვება იმას, ვისაც ეს ყოველივე უკვე აქვს. შენ თვითონ იცი, ვისზეცაა ლაპარაკი. ჩემო შვილო, - მიუბრუნდა იგი ლილის, - ახლავე უთხარი, ჩვენს შორის ყველაფერი გათავებულიაო-თქო!..

- მამა, ამას ვერ გავაკეთებ, - უპასუხა ლილიმ და კაბა გაისწორა. - თუ თქვენ ამიკრძალავთ, თომასს გავყვე ცოლად, მე შე-

ვასრულებ ჩემს მოვალეობას და დაგემორჩილებით. მხოლოდ იცოდეთ, მეც მაქვს გული და ვერავითარი მოვალეობა ვერ მაიძულებს, მივთხოვდე იმას, ვინც არ მიყვარს. მე დავიფიცე, სანამ თომასი ცოცხალია, მეყვარება და არავის მივთხოვდები!

- ვხედავ, გამბედავი გოგონა მყავხარ და ესეც კარგია! - ჩაილაპარაკა სკვაირმა. - მაგრამ, ახლა მომისმინე: ან მითხოვდები იმას, ვინც ამოგირჩიე, ან შინიდან გაგაგდებ და იცხოვრე, როგორც გნებავს. უმადურო! დაგავიწყდა, ვინ გაგზარდა? რაც შეგეხება შენ, ოყნის მილო, - ისევ მე მომმართა სკვაირმა, - ბუჩქებში პატიოსანი ოჯახის შვილების კოცნას გადაგაჩვევ!

მან ჯოხი აიღო და ჩემკენ გამოქანდა.

იმ დღეს მეორედ ამივარდა სისხლი თავში, ხელი დავავლე დაშნას, რომელიც იქვე ბალახში ეგდო და შევუტიე. რომ არ ჩარეულიყო ლილი, რომელმაც ისე ამკრა ხელზე ქვევიდან, რომ დაშნა გამაგდებინა, მამამისს აუცილებლად მოვკლავდი და ბევრად უფრო ადრე დავამთავრებდი სიცოცხლეს - თოკით ყელზე.

- უგუნურო! - დამიყვირა ლილიმ, - ნუთუ ფიქრობ, შენი გავხდები, მამას თუ მომიკლავ?!

- მთელი დედამიწის ქალიშვილების გულისთვისაც კი არავის მივცემ ნებას პატარა ბიჭივით ჯოხით გამლახოს! - წამოვიძახე გაცხარებულმა.

- შენზე გული აღარ მომდის, ჯეელო, - მითხრა სკვაირმა უკვე ლმობიერად.

- ვხედავ, შენც გაქვს ვაჟკაცობა, რაც კეთილ სამსახურს გაგიწევს; ვაღიარებ, რომ მართალი არ ვიყავი, როცა ოყნის მილი გიწოდე. უკვე გითხარი, ჩემი ქალიშვილი საშენო არაა, ამიტომ გირჩევნია, წახვიდე და დაივიწყო. მიფრთხ ილდი! მეორედ რომ

გნახო, ამას კოცნიდე, სიცოცხლეს გამოესალმები. იცოდე, ხვალ ამაზე მამაშენს დაველაპარაკები!

- რას ვიზამ, წავალ, ჩემი წასვლის დროა... ოღონდ, არასოდეს დავკარგავ იმედს, რომ ოდესმე თქვენს ქალიშვილზე დავქორწინდები! - ვუპასუხე მას. - მშვიდობით, ლილი! დავიცადოთ, სანამ ქარიშხალი ჩაცხრება!

- მშვიდობით, თომას! - მითხრა ცრემლმორეულმა. - შენ არ დამივიწყო, თორემ, მე მუდამ მემახსოვრები!

სკვაირმა ხელი წაავლო და წაიყვანა.

იქაურობას გავეცალე. მართალია, ცუდ გუნებაზე ვიყავი, მაგრამ - არც ისე დიდად შეწუხებული, ვინაიდან მამის რისხვა თუ დავიმსახურე, სამაგიეროდ, მისი ქალიშვილის გულწრფელი სიყვარული მოვი პოვე, სიყვარული კი უფრო ხანგრძლივია, ვიდრე ბრაზი.

საბოლოოდ, ადრე თუ გვიან, სიყვარული იმარჯვებს!

მცირე მანძილი გავიარე და უცებ ესპანელი მომაგონდა, რომელიც ამდენ დავიდარაბაში გადამავიწყდა კიდეც. მაშინვე უკან დავბრუნდი, რათა იგი სოფლის საპყრობილეში წამეთრია. ამის გამო წინასწარ განვიცდიდი კმაყოფილებას, რადგან მიხაროდა, რომ ვინმეზე მაინც ამოვიყრიდი ჯავრს. მაგრამ ის იქ აღარ დამხვდა. ჩვენი სოფლელი, სულელი ბილი მინსი, ხან ხეს უყურებდა, ხან ვერცხლის ფულს - თავის ხელისგულზე.

- ჰეი, ბილი, სად არის ის კაცი, აქ რომ იყო მიბმული? - ვკითხე მას.

- არ ვიცი, სერ თომას, - ამოღერღა ენაბლუ ბილმა და როგორც იქნა, გამაგებინა, რომ იგი ცხენზე, დაახლოებით, ერთი საათის წინ შეესვა.

- შენ კიდევ უფრო მეტად ბრიყვი ყოფილხარ, ბილი მინს, ვიდრე აქამდე მეგონა, - ვუთხარი გაბრაზებულმა. - იმ კაცმა კინაღამ მომკლა, ძლივს გავუმკლავდი, ხეზე მივაბი, შენ კი გაუშვი!

- ესე იგი, თქვენი მოკვლა უნდოდა და აქ მიაბით? მერედა, რატომ არ უდარაჯეთ მას ჩემს მოსვლამდე?! მე მას წავიყვანდი და ხუნდში ჩავსვამდი. ჩემთვის ეს ისეთივე ადვილი საქმეა, როგორც გადაფურთხება. აი, თქვენ ბრიყვს მიწოდებთ. მაგრამ თქვენ რომ ხეზე მიბმული კაცი გენახათ, სულ სისხლში ამოსვრილი და დალურჯებული, რომელსაც ლაპარაკის თავიც აღარ ჰქონდა, სხვანაირად მოიქცეოდით?! - თქვა სულელმა ბილმა და ფული ჰაერში აისროლა.

ბილი მართალი იყო, ყველაფერში თვითონ ვიყავი დამნაშავე. ამიტომ უსიტყვოდ მოვბრუნდი და სახლისკენ გავემართე, მხოლოდ არა პირდაპირი გზით, არამედ ბილიკით, რომელიც გზას კვეთდა და ბორცვის მწვერვალზე მდებარე საგრაფო ზვარისკენ მიდიოდა. ცოტა ხნით მარტო ყოფნა მინდოდა, რათა კარგად დავფიქრებულიყავი იმაზე, რაც ჩემს პაემანს მოჰყვა.

იმის მაგივრად, რომ პირდაპირ სახლისკენ წავსულიყავი, ცოტა ქვევით დავეშვი - მდინარის ნაპირს გავყევი.

თავდახრილი დავეხეტებოდი და ვფიქრობდი ჩემსა და ლილის სიყვარულზე, მასთან განშორების სიმწარეზე და სკვაირ ბოზარდის მრისხანებაზე. უცებ ფეხებში რაღაც თეთრი ნაჭერი გამებლანდა.

ფიქრებით გატაცებულმა ყურადღება არ მივაქციე და ესპანური დაშნის წვერით გვერდზე გადავისროლე. უკვე სახლთან ახლოს ვიყავი, როცა უნებლიეთ ბალ ახში დაგდებული ის რბილი, ნაზი ნაჭერი გამახსენდა, რომელიც თითქოს მანამდეც მენახა.

ესპანურ დაშნას დავხედე და საკუთარ თავს ვკითხე, რა უნდოდა ამ ესპანელს, რისთვის ჩამოვიდა აქ? ალბათ, რაღაც ცუდი საქმისთვის. რატომ შეშინდა ჩემს დანახვაზე? რატომ მომვარდა მოსაკლავად, როდესაც ჩემი სახელი გაიგო? შევჩერდი და ისევ დაბლა დავიხედე. ბილიკზე შემთხვევით თვალი მოვკარი ნესტიან სილაზე აღბეჭდილ ნაკვალევს. იგი დედაჩემის ნაკვალევი იყო, რომელსაც ათას სხვა ნაკვალევში ამოვიცნობდი, რადგან ასეთი პატარა ზომის ფეხი არც ერთ ქალს არ ჰქონდა ჩვენს სამრევლოში.

დედაჩემის ნაკვალევს თითქოს ვიღაც ფეხდაფეხ მისდევდაო, სხვა ნაკვალევი მიჰყვებოდა. პირველად ისიც ქალის მეგონა, იმდენად ვიწრო იყო, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ ვცდებოდი - ნაკვალევი ქალის ფეხისთვის მეტისმეტად გრძელი ჩანდა. ეს იყო ფეხსაცმლის ანაბეჭდი, რომელსაც ძალიან ვიწრო ჭვინტი და მაღალი ქუსლი ჰქონდა.

უცებ გამახსენდა, რომ ესპანელს სწორედ ასეთი ფორმის ჩექმები ეცვა. მათ კარგად ვაკვირდებოდი, სანამ მას ველაპარაკებოდი. მაშასადამე, ის მიჰყვებოდა დედაჩემს! ახლაღა მივხვდი, ვის ეკუთვნოდა ის ნაჭერი - დედაჩემის თავშალი! შიშისგან თავზარი დამეცა.

გიჟივით გავიქეცი იმ ადგილისკენ, სადაც თავშალი გადავაგდე. მალე ვი პოვე. იგი მართლაც დედაჩემის იყო, თითქოს უხეშად მოუგლეჯიათო.

- მაგრამ, სად არის დედაჩემი? - ვეკითხებოდი ჩემს თავს.

გულშემოყრილი ისევ ფეხის კვალს გავყევი. მინდოდა გავრკვეულიყავი, რა მოხდა. ორი ნაკვალევი ერთმანეთში ისე იყო არეული, თითქოს ორი კაცი ერთმანეთს ებრძოდა. ბილიკს იქით

არაფერი ჩანდა. მაშინ მონადირე ძაღლივით ირგვლივ კვალის ძებნა დავიწყე.

პირველად მდინარისკენ წავედი, მერე - ზევით, ფერდობზე. აქ ნაკვალევი კვლავ გამოჩნდა. აშკარა იყო, ერთი მირბოდა, მეორე მას მისდევდა. ამ ნაკვალევს ორმოცდაათ იარდზე გავყევი. ასე მივედი დიდ მუხამდე, სადაც ორი ნაკვალევი ერთმანეთში აირია, - მდევნელი, ეტყობოდა, აქ დაწეოდა თა-ვის მსხვერპლს.

ჩემთვის ახლა ყველაფერი ცხადი გახდა და შიშისგან კინაღამ გავგიჟდი. დარეტიანებული აქეთ-იქით ვაწყდებოდი, სანამ ესპანელის ჩექმის კვალს არ მივაგენი; ნაკვალევი აქ იმდენად ღრმა იყო, იფიქრებდით, რომ მას რაღაც მძიმე ტვირთი მიჰქონდა.

ამ კვალმა მიმიყვანა ხშირ ბუჩქთან, რომელიც მიწამდე დაზნექილი ტოტები გადავწიე და... მკვდარი დედაჩემის სახემ შემომანათა!

5

როცა ყველაფერი გავაცნობიერე, სიმწრის, სიბრაზისა და სირცხვილის გამო ცრემლები თქრიალით წამომივიდა...

მოვტრიალდი და შინისკენ გიჟივით გავიქეცი.

მამაჩემსა და ჯეფრის ალაყაფის კართან შევხვდი. ისინი ის-ის იყო, ბანგის ბაზრიდან ცხენებით დაბრუნდნენ. მე ისეთი სახე მქონდა, რომ ჩემს დანახვაზე ორივემ ერთხმად დაიყვირა: - რა ამბავია? რა მოხდა?!

რამდენჯერმე შევხედე მამაჩემს თვალებში და მაინც ვერ გავ-ბედე პასუხის გაცემა, რადგან შემეშინდა, ვაითუ ამ ამბავს ვერ გაუძლოს-მეთქი. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ხომ უნდა გაეგოთ?! მეც ჯეფრის მივმართე: - იქ, ბორცვის ძირში, დედაჩვე-ნის ცხედარია. იგი ესპანელმა ხუან დე გარსიამ მოკლა.

მამაჩემი ისე საშინლად გაფითრდა, ვიფიქრე, გული გაუჩერდა-მეთქი. ყბა მოეღრიცა, თავი უნაგირზე ძლივს შეიკავა და მკითხა: - სად არის ესპანელი? მოკალი თუ არა?

- არა, მამა, მას შემთხვევით შევხვდი გრაბსველის ახლოს. როცა ჩემი ვინაობა გაიგო, მოკვლა დამიპირა, მაგრამ კეტი გა-დავამტვრიე, ცემით დავალურჯე და დაშნა წავართვი.

- მერე რა უყავი?

- მერე... ხელიდან გავუშვი, რადგან ეს ამბავი არ ვიცოდი. ყველაფერს შემდეგ გიამბობ...

- შენ იგი გაუშვი?! გაუშვი ხუან დე გარსია?! შეჩვენებულ იყავ, შვილო, თომას, მანამდე, სანამ არ დაასრულებ იმას, რაც დღეს დაგიწყია!

- ნუ მწყევლი, მამა, მე უკვე დავწყევლე საკუთარი თავი. სჯობს, სასწრაფოდ იარმუტში ჩახვიდეთ, რადგან ორი საათის წინ იგი იქითკენ გაიქცა. იქ მისი ხომალდი დგას. შესაძლოა, მი-უსწროთ, სანამ ნავსადგურიდან გავა.

მამაჩემს აღარაფერი უთქვამს. ორივე ღამის წყვდიადში გაუჩინარდა.

კარგი ცხენები ჰყავდათ და მთელი გზა სულ ჭენებით იარეს. დაახლოებით საათნახევარში იარმუტამდე მიაღწიეს, მაგრამ სვავი უკვე გაფრენილიყო. ნავსადგურში გაიგეს, რომ მას უცდი-და ნავი, რომელმაც გემამდე მიიყვანა. გემი მაშინვე დაძრულა. მამაჩემმა გამოაცხადა, ვინც მკვლელს დაიჭერს, ორას ოქროს

მივცემო. როგორც კი მამა და ჯეფრი იარმუტისკენ გაეშურნენ, ჩვენი ყველა მსახური შევკრიბე და ვუთხარი, რაც მოხდა. მერე ფანრებით ხშირი ბუჩქნარისკენ გავწიეთ, სადაც დედაჩემის ცხედარი ესვენა. მე წინ მივდიოდი, რადგან მსახურებს ეშინოდათ. სიმართლე გითხრათ, თვითონაც ვგრძნობდი ერთგვარ შიშს... როცა ადგილზე მივედით და სიბნელეში ორი ანთებული თვალი დავინახე, თან რტოების ტკაცანიც მომესმა, კინაღამ წავიქეცი, თუმცა კარგად ვიცოდი, რომ ეს ცხედრის სუნზე მოსული მაწანწალა ძაღლი შეიძლებოდა ყოფილიყო. ძალა მოვიკრიბე და მსახურების დახმარებით ნეშტი კარზე დავდეთ, რომელიც ანჯამებიდან ჩამოვხსენით. დედაჩემი უკანასკნელად დაბრუნდა თავის სახლში...

იმ დღიდან, რაც დედაჩემი თავისმა ბიძაშვილმა, ხუან დე გარსიამ მოკლა, სამოცდათხუთმეტ წელზე მეტი გავიდა. უკვე ძალიან მოვხუცდი და ყოველგვარ საშინელებას მივეჩვიე, თუმცა დღემდე ვერ ვბედავ ამ ბილიკზე მარტო გავლას, განსაკუთრებით - ღამით. რას იზამ, ყველანი საკუთარი წარმოსახვის მონები ვართ. მეც შიშს მგვრის ამ ბილიკებზე ღამით სიარული, თუმცა თვითონაც თითქმის ნახევრად მკვდარი ვარ.

ცხედარი შინ მოვასვენეთ და ქალები ტირილით უკანასკნელი წესის შესრულებას შეუდგნენ. ამ ვითარებაში ვებრძოდი არა მარტო საკუთარ სასოწარკვეთას, არამედ მერიზეც უნდა მეზრუნა. მისმა მდგომარეობამ ყველაზე მეტად შემაშინა - მეგონა, მწუხარებისგან ჭკუიდან შეიშლებოდა, რადგან ბოლოს თითქოს გაშეშდა და ენა ჩაუვარდა. იმ ღამეს არავის გვძინებია.

მსახურებისგან გავიგე, რომ დაახლოებით ერთი საათით ადრე, სანამ ესპანელს მე შევხვდებოდი, მათ მდიდრულად ჩაცმული უცნობი კაცი დაუნახავთ. მაღლობზე ცხენი ხეზე მიება და

როცა დედაჩემი სახლიდან გამოსულა, ისიც მის კვალდაკვალ დაშვებულა. ისიც გავიგე, რომ ერთ-ერთ ჩვენს მოჯამაგირეს, რომელიც ბაღში მუშაობდა, მკვლელობის ადგილიდან დაახლოებით სამას ნაბიჯზე, ყრუ ყვირილი გაუგონია, მაგრამ მისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია, ტყეში ბანგელი ქალ-ვაჟის ჩვეულებრივი, სამაისო რბოლა მეგ ონაო. იმ დაწყევლილ დღეს მთელი დითჩინჰემის სამრევლო ბრიყვების თავშესაფრად მეჩვენა, რომელთა შორის პირველი და ყველაზე დიდი ხეპრე თავად ვიყავი.

გათენებისას მამაჩემი ჯეფრისთან ერთად იარმუტიდან დაბრუნდა. ისინი სხვა ცხენებით მოვიდნენ, რადგან თავიანთი გზაში დავარდნოდათ. შუადღისთვის ცნობა მოვიდა, გემები, რომლებიც ესპანელს დაედევნენ, ქარიშხლის გამო ნავსადგურში დაბრუნდნენ ისე, რომ მისი ხომალდი არც კი დაუნახავთო. გამწარებულ მამას ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე და კიდევ ერთხელ მოვისმინე მისი საყვედური: ხომ იცოდი, რომ დედაშენს ვიღაც ესპანელის ეშინოდა, რატომ არ დაფიქრდი?! შეყვარებულის გამო რატომ გაუშვი ხელიდან მკვლელი? ჯეფრისაც არ გამოუხატავს თანაგრძნობა. ლილი ხომ მასაც მოსწონდა. იგი მხოლოდ მაშინ გაბრაზდა, როცა გაიგო, ჩვენი შეხვედრა უშედეგო არ იყო. უკანასკნელი წვეთი, რამაც მოთმინების ფიალა ამივსო, სკვაირ ბოზარდის გამოჩენა იყო, რომელიც მეზობლებთან ერთად სამძიმრის სათქმელად მოვიდა. ცხედართან ორიოდე წუთს დაჰყო და მერე იქვე განუცხადა მამაჩემს, თომასისა და ლილის ნიშნობა ჩემი სურვილის წინააღმდეგ მოხდა და თუ შენი ვაჟი ისევ განაგრძობს მის ტრფიალს, ჩვენს მეგობრობას ბოლო მოეღებაო.

უბედურება ყველა მხრიდან დამატყდა: საყვარელი დედის სიკვდილი, შეყვარებულთან განშორება, სინდისის ქენჯნა იმის გამო, რომ ესპანელი ხელიდან გავუშვი, მამის რისხვა და ძმის გულისწყრომა. მწარე დღეები დამიდგა იმ ასაკში, როდესაც სირცხვილი და მწუხარება ყველაზე მწვავედ აღიქმება - სიკვდილსა და დედაჩემთან ერთად დამარხვას ვნატრობდი. ერთადერთი, რამაც მაშინ გამამხნევა, ლილის წერილი იყო, რომელიც ერთგული მოახლის ხელით გამოეგზავნა. იგი სიყვარულს მეფიცებოდა და მევედრებოდა, სულით არ დაეცეო. დაკრძალვის დღეც დადგა. თეთრი ტანსაცმლით შემოსილი დედაჩემის ცხედარი მისთვის განკუთვნილ ადგილას, დითჩინჰემის ეკლესიის ეკვდერში, ჩაუშვეს. დასაფლავების დროს მამა გულისშემძვრელად აქვითინდა, ჩემი და კი უგრძნობლად ჩამივარდა ხელებში. თითქმის ყველა ტიროდა, რადგან დედაჩემი, თუმცა წარმოშობით უცხოელი იყო, თავაზიანობისა და კეთილი გულის გამო ყველას უყვარდა. ამგვარად, ინგლისელის ცოლი, კეთილშობილი ესპანელი მანდილოსანი, სამუდამოდ მივიბარეთ ეკლესიის სასაფლაოს.

ყველაფერი დამთავრდა. შინ დავბრუნდით. დამწუხრებული მამაჩემი სასტუმრო ოთახში ჯეფრის გვერდით იჯდა. მან ისევ მწარედ მისაყვედურა: ცოცხალი როგორ გაუშვი მკვლელი, როცა იგი თვით განგებამ ჩაგიგდო ხელშიო.

- თქვენ გავიწყდებათ, მამაჩემო, რომ იგი ქალიშვილს ეარშიყებოდა, - გესლიანად შენიშნა ჯეფრიმ. - ეს კი მისთვის, ალბათ, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო. მან ერთბაშად ორი დანაშაული ჩაიდინა: მკვლელს გაქცევის საშუალება მისცა და გაგვინაწყენა ჩვენი კეთილი მეზობელი, სკვაირ ბოზარდი, რომელსაც სრულებით არ მოსწონს იგი სასიძოდ.

- შენ მართალი ხარ, ჯეფრი, - გამოეხმაურა მამა. - დედის სისხლი შენზეა, თომას! ვგრძნობდი, ამ უსამართლობას ვეღარ ავიტანდი და ავფეთქდი: - ყველაფერი ეს სიცრუეა! იმ კაცმა მოკლა დედაჩემი, მანამ მე შევხვდებოდი. იგი უკვე იარმუტში ბრუნდებოდა და შემთხვევით გზა აებნა. რაც შეეხება იმას, რომ ლილი ბოზარდი მიყვარს, ეს უკვე ჩემი პირადი საქმეა, ძმაო ჯეფრი, და არა - შენი, თუმცა ძალიან გინდა, რომ ყველაფერი სხვანაირად იყოს. თქვენ კი, - მივუბრუნდი მამას, - რატომ არ მითხარით აქამდე, რომ ამ ესპანელის გეშინოდათ? თქვენგან მხოლოდ მიკიბ-მოკიბული სიტყვები მესმოდა, ამიტომაც ბოლომდე ვერ გავაცნობიერე საქმის არსი. თქვენ, მამაჩემო, დამწყევლეთ! ღვთის შეჩვენება თან მდევდეს მანამდე, სანამ არ ვი პოვი მკვლელს და არ დავასრულებ იმას, რაც დავიწყე. დაე, ასე იყოს! მართალია, ჯერ ახალგაზრდა ვარ, სამაგიეროდ, ძალ-ღონე და საკმაო ჭკუაც მაქვს. პირველი შემთხვევისთანავე წავალ ესპანეთში და ამ საქმეს ბოლომდე მივიყვან. თუ ფულს მომცემთ, ხომ კარგი, თუ არა და რამეს მოვახერხებ. ფიცს ვდებ ღვთისა და დედაჩემის სულის წინაშე, არ გავჩერდე მანამ, სანამ არ მოვკლავ ავაზაკს იმავე დაშნით, რომლითაც მან მოკლა დედაჩემი! თუ ოდესმე საკუთარ ფიცს დავარღვევ, მაშინ თვითონ მოვკვდე დედაჩემზე უფრო საშინელი სიკვდილით; დაე, ჩემი სული იმქვეყნად წაწყმდეს და სახელი სამუდამოდ შემირცხვეს!

გააფთრებულმა და სასოწარკვეთილმა დავიფიცე და ხელები მაღლა აღვაპყრე, რათა განგება ჩემი ფიცის ჭეშმარიტების მოწმედ მომეყვანა.

მამაჩემი მოწონებით მისმენდა. - თუ ასე გადაწყვიტე, ფულს არ მოგაკლებ, ამას თვითონაც მოვაგვარებდი, სისხლი მხოლოდ სისხლით განიბანება, მაგრამ ჯანი აღარ მერჩის. გარდა

ამისა, ესპანეთში კარგად მიცნობენ და წმინდა სამსჯავრო მაშინვე მი პოვის. წადი, დაე, ჩემი ლოცვა-კურთხევაც თან გაგყვეს. შენ ეს უნდა გააკეთო, რადგან მტერი დაუდევრობის გამო გაგისხლტა!

- კი, კი, იგი აუცილებლად უნდა წავიდეს! - კვერი დაუკრა ჯეფრიმ.

- შენ ამას ამბობ მხოლოდ იმიტომ, რომ გინდა, თავიდან მომიშორო, - ვუპასუხე გაბრაზებულმა, - და ლილის გულში დაიკავო ჩემი ადგილი. რა გაეწყობა, შეეცადე, თუ სინდისი ამის ნებას მოგცემს. ოღონდ დაიმახსოვრე: ჩემს ზურგს უკან მზაკვრობა კეთილ დასასრულამდე არ მიგიყვანს!

- ქალიშვილი იმისი იქნება, ვინც მის გულს დაი პყრობს! - მი პასუხა ჯეფრიმ.

- ქალიშვილის გული უკვე დაპყრობილია, ჩემო ძმაო! შენ შეგიძლია მამამისისგან მხოლოდ სხეული იყიდო, მაგრამ ვერასდროს მიიღებ მის სულს, უსულო სხეული კი დიდად სახარბიელო ნადავლი როდია!

- გეყოფათ! - ჩაერია მამა. - ახლა არ არის ქალებზე და სიყვარულზე ლაყბობის დრო. მისმინეთ ორივემ! მე მოგიყვებით დედათქვენისა და მისი მკვლელი ესპანელის ამბავს. წინათ არაფერი მითქვამს ამაზე, მაგრამ თქვენ ყველაფერი უნდა იცოდეთ.

და მამამ დაიწყო: „როცა ჯეელი ვიყავი, მამის სურვილის თანახმად ესპანეთში გავემგზავრე. სევილიის მონასტერში ვცხოვრობდი, მაგრამ ბერები და ბერ-მონაზვნური ცხოვრება არასოდეს მომწონდა. იქიდან გავიქეცი და ერთ წელზე მეტი თავი იმით გამქონდა, რითაც შემეძლო, რადგან მონასტრიდან გაქცევის შემდეგ ინგლისში დაბრუნებისა მეშინოდა. სხვათა შორის, არც ისე ცუდად ვცხოვრობდი, ფულს ვშოულობდი სხვადასხვა შემ-

თხვევითი გზით, უმთავრესად - მრცხვენია, ამას რომ ვამბობ - აზარტული თამაშით. ერთხელ სათამაშო მაგიდასთან შევხვდი ხუან დე გარსიას. იმ ხანებში მას უკვე ცუდი სახელი ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო; იგი გამოირჩეოდა კარგი გარეგნობითა და თავაზიანობით, თანაც დიდგვა როვანი ოჯახიდან იყო. ერთხელ მომიგო, ამან ძალიან გაამხიარულა და თავისი ბიცოლის, მდიდარი სევილიელი ქვრივის ოჯახში დამპატიჟა, რომლის ერთადერთ ქალიშვილ ლუისაზე იყო დანიშნული, მათი დანიშვნის კონტრაქტს ხელი მოაწერეს მაშინ, როცა იგი რვა წლისაც არ ყოფილა! მიუხედავად ამისა, ეს კავშირი კანონიერად ითვლებოდა, რამდენადაც ესპანეთში ასეთ გარიგებას ისე უყურებენ, როგორც ეკლესიის მიერ კურთხეულ ქორწინებას. ამის გამო იქაურ ქალიშვილთა უმრავლესობას საერთოდ არ უყვარს თავისი საქმრო. სიმართლე რომ ვთქვათ, ლუისასაც სძულდა ხუან დე გარსია და ეშინოდა მისი, თუმცა, ვფიქრობ, დე გარსიას თავისებურად უყვარდა ის და ამქვეყნად ყველაფერს ერჩია. სხვადასხვა საბაბით ლუისამ ხუანი დაითანხა, ქორწინება გადაედოთ, სანამ მას ოცი წელი შეუსრულდებოდა. დროთა განმავლობაში, რამდენადაც გულცივი ხდებოდა ლუისა, იმდენად უფრო ეზრდებოდა ხუანს სურვილი, მალე დაუფლებოდა ქალს და მასთან ერთად, მის დიდ ქონებასაც. ყველა ესპანელის მსგავსად, ისიც ვნებას ვერ იოკებდა და, როგორც ყოველი ფუქსავატი მოთამაშე, მუდამ ფულის ნაკლებობას განიცდიდა.

მე და დედათქვენს ერთმანეთი შეგვიყვარდა და ერთად ყოფნა გვინდოდა. ჩვენთვის ეს დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა, რადგან ლუისას დედასაც არ უყვარდა მაზლისწული და ცდილობდა მისგან როგორმე დაეხსნა თავისი ქალიშვილი. ყველა-

ფერი იმით დამთავრდა, რომ ლუისას სიყვარული ავუხსენი და ინგლისში გამოპარვა გადავწყვიტეთ. მაგრამ ეს ამბავი გაიგო ხუან დე გარსიამ, რომელსაც დანიშნულის სახლში თავისი ჯაშუშები ჰყავდა და თავადაც მეტად ჭკვიანი და შურისმაძიებელი იყო, როგორც ნამდვილი ესპანელი.

გარსიას ჯერ დუელში უნდოდა ჩემი მოკვლა, მაგრამ ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ დაშნებიც არ ამოგვიღია, ისე დავშორდით ერთმანეთს. მერე მკვლელები დაიქირავა. ერთ ღამესაც ჩამისაფრდნენ. საბედნიეროდ, ქურთუკის ქვეშ აბჯარი მეცვა, რომელზეც ხანჯლები გადაუტყდათ; ერთ-ერთი მათგანი კი შემომაკვდა. ორჯერ გაწბილებული დე გარსია მაინც არ დაწყნარდა. არ ვიცი, მან საიდან გაიგო, რომ მონასტრიდან გავიქეცი. წმინდა სამსჯავროში დამასმინა, როგორც ერეტიკოსი და სარწმუნოებისგან განდგომილი.

ჩვენ ამ დროს ესპანეთიდან გაქცევას ვგეგმავდით, ინგლისის გემზე უკვე გველოდნენ. წინა დღეს ლუისა, დედამისი და მე სახლში ვიყავით, ოთახში უცებ ექვსი კაპიუშონიანი კაცი შემოიჭრა და ხელი მტაცეს. როდესაც ვკითხე, ჩემგან რა გინდათ-მეთქი, პასუხის ნაცვლად პირზე ჯვარცმა მომაფარეს. იმ წამსვე მივხვდი, რაც ჩემს თავს ხდებოდა. ქალებმა ზურგი შემომაქციეს და აქვითინდნენ. კაცებმა წმინდა სამსჯავროს კოშკში მიმიყვანეს.

დაწვრილებით ვერ მოგიყვებით, რაც იქ გადამხდა. ორჯერ იარაღით მცემეს, ერთხელ გავარვარებული შანთით დამდაღეს, სამჯერ რკინის ღვლერჭები მირტყეს; ყოველდღე მაჭმევდნენ ისეთ ნაყარ-ნუყარს, როგორსაც ინგლისში ძაღლსაც არ აკადრებენ. როცა მონასტრიდან ჩემი „დანაშაულებრივი“ გაქცევა და სხვა „მკრეხელობანი“ საბოლოოდ დაადგინეს, კოცონზე დაწვა მომისაჯეს. როცა მთელი წლის წამებისა და საშინელების შემ-

დეგ, უკვე გადარჩენის ყოველგვარი იმედი დავკარგე და სასიკ-ვდილოდ მოვემზადე, სრულიად მოულოდნელად მხსნელი გა-მომიჩნდა. უკანასკნელ დღეს, საღამოს (დილით ცოცხლად დამ-წვავდნენ კოცონზე) საკანში, სადაც ჩალაზე ღონემიხდილი ვეგ-დე, მთავარი ჯალათი შემოვიდა. იგი მომეხვია და მითხრა: გამ-ხნევდი, სამსჯავრომ შეგიცოდა და გადაწყვიტა, თავისუფლება დაგიბრუნოსო. პირველად გიჟივით გადავიხარხარე, ვიფიქრე, ესეც, ალბათ, წამების ახალი ფორმაა-მეთქი. როცა ძონძები გამხადეს, ხეირიანი ტანსაცმელი ჩამაცვეს და შუაღამით საპ-ყრობილის კარიდან გამომიყვანეს, დავრწმუნდი, რომ ეს ნამ-დვილი სასწაული იყო. დატანჯული და განცვიფრებული საპყრო-ბილის კართან ვიდექი და არ ვიცოდი, საით წავსულიყავი. უცებ შავ ლაბადაში გახვეული ვიღაც ქალი მომიახლოვდა და ჩამ-ჩურჩულა, მე გამომყევიო. ის დედათქვენი იყო. ხუან დე გარსიას ტრაბახიდან მას გაუგია, რაც მელოდა და გადაწყვიტა, დამხმა-რებოდა. მას სამჯერ ჰქონდა ამის მცდელობა და ბოლოს, ერთი მოხერხებული კაცის შუამავლობით, ოქრომ გააკეთა ის, რაზეც უარი მითხრა მართლმსაჯულებამ. ჩემი სიცოცხლისა და თავი-სუფლების საყიდლად დედათქვენმა დიდი თანხა გაიღო.

ჩვენ იმ ღამესვე დავიწერეთ ჯვარი და კადისში გავიქეცით. ლუისას დედა ლოგინს იყო მიჯაჭვული და ვერ წამოგვყვა. ჩემი გულისთვის დედათქვენმა უარი თქვა ქონებაზე და თავისი ოჯა-ხი, თავისი სამშობლო მიატოვა. აი, რა შეუძლია ქალის სიყვა-რულს!

კადისში ღუზაჩაშვებული იდგა ინგლისის გემი „მერი“, ჩვენი სამგზავრო ფულიც უკვე გადახდილი იყო, მაგრამ ნავსადგურში უამინდობამ შეგვაჩერა. კაპიტანმა, მიუხედავად ჩვენი გადარჩე-ნის დიდი სურვილისა, ვერ გაბედა გაშლილ ზღვაში „მერის“ გაყ-

ვანა. ორი დღე-ღამე ნავსადგურში გავატარეთ, ყველაფრის გვეშინოდა, მაგრამ მაინც ბედნიერები ვიყავით. ჩვენი შიში არ იყო უსაფუძვლო: გაიგო თუ არა თავისი დანიშნულის გაუჩინარება, დე გარსია მიხვდა, რომ ჩვენ ერთად ვიმალებოდით. მან განგაში ატეხა და ყველა დაარწმუნა, თითქოს ჩემი მბრძანებლის, ეშმაკის დახმარებით გავიქეცი და მთელ სანაპიროზე მეძებდნენ. სიძულვილითა და ეჭვიანობით გამახვილებული ალღო დაეხმარა მას, ჩვენს კვალს გამოყოლოდა და ბოლოს, მოგვაგნო კიდეც. მესამე დღეს ქარი ჩადგა, ღუზა ასწიეს და „მერი“ დაიძრა. ის-ის იყო გემმა მობრუნება დაიწყო და მეზღვაურები იალქნების ასაშვებად მოემზადნენ, ქიმს ნავი მოადგა - ორი ათეული ჯარისკაცით, ორი ნავიც უკან მოჰყვებოდა. ნავიდან კაპიტანს უბრძანეს, ღუზა ჩაეშვა, - წმინდა სამსჯავროს განკარგულებით, შენი ხომალდი უნდა გავჩხრიკოთო. შემთხვევით ბაქანზე აღმოვჩნდი. ამ დროს, ნავიდან ერთმა ჩემკენ ხელი გამოიშვირა და დაიყვირა: - აი, სწორედ ესაა გაქცეული ერეტიკოსი! მაშინვე ვიცანი ხუან დე გარსია.

კაპიტანი ალბათ გადამცემდა კიდეც მას, რადგან შეეშინდა, მის გემს დააკავებდნენ და მასაც და მის მეზღვაურებსაც ციხეში ჩასვამდნენ. სასოწარკვეთილმა ტანსაცმელი შემოვიგლიჯე, გამოვაჩინე საშინელი ჭრილობებით დაფარული ჩემი სხეული და მეზღვაურებს დავუყვირე: „ინგლისელებო, ნუთუ თქვენ გადამცემთ მე, თქვენს თანამემამულეს, ამ უცხო ქვეყნის ეშმაკებს?! შეხედეთ, რა მიქნეს მათ!“ და ყველას ვაჩვენე ჩემი იარები. „თუ ამათ გადამცემთ, კიდევ უფრო საშინელი ტანჯვისთვის გამწირავთ - ცოცხლად დამწვავენ კოცონზე! ჩემი ცოლი მაინც შეიცოდეთ, თუ მე არ გებრალებით! და თუ არ გებრალებით, მაშინ მო-

მეცით დაშნა; მზად ვარ, თავად მოვიკლა თავი და გადავრჩე წამებას!“

ამ სიტყვების გაგონებაზე ერთ-ერთმა მეზღვაურმა, რომელიც მამაჩემს იცნობდა, წამოიძახა: „ღმერთს გეფიცები, მე შენკენ ვარ, ვინგფილდ! სანამ ესენი შენ და შენს ცოლს წაგიყვანენ, მანამდე, ჯერ მე უნდა მომკლან!“ მან მაშინვე ხელი დასტაცა მშვილდს, ჩამოაძრო შალითა და ნავში მჯდომ ესპანელებს დაუმიზნა. მას მიჰყვნენ სხვა მეზღაურებიც, თან ყვიროდნენ: „თუ რომელიმე ჩვენგანის წაყვანა გნებავთ, ერთი გაბედეთ და ცხვირი შემოყავით, მწვალებლებო“!

მეზღვაურების შემხედვარე, კაპიტანმაც გაბედა და ბრძანა, ნახევარ ეკი პაჟს იალქნები აეშვა, ნახევარს კი ჯარისკაცები მოეგერიებინა, თუ ისინი გემბანზე ამოძრომას შეეცდებოდნენ.

ამასობაში კიდევ ორი ნავი მოვიდა და ხომალდის კიდეს ბარჯებით ჩაეჭიდნენ. ვიღაც ესპანელი გემბანზეც კი ამოცოცდა; შევხედე თუ არა, მაშინვე ვიცანი ინკვიზიციის ერთ-ერთი მღვდელი. ბრაზი ყელში მომაწვა, როცა გამახსენდა, როგორ ეუბნებოდა ეს ჯოჯოხეთის მოციქული მწვალებლებს, ღმერთი თუ გიყვართ, მაგრად ურტყითო. იქვე მდგომ მეზღვაურს ისარი გამოვგლიჯე და ვესროლე. მიზანში მოვარტყი, - მღვდელი გადაყირავდა და ზღვაში ჩავარდა. თომას, მეც შენსავით კარგად ვხმარობდი მშვილდ-ისარს.

ამის შემდეგ ხომალდზე ამოსვლა არავის უცდია. ესპანელებმა სროლა აგვიტეხეს და ერთი მეზღვაური დაჭრეს. კაპიტანმა გვიბრძანა, აღარ გვესროლა და გემის ქიმს ამოვფარებოდით, რადგან იალქნებს ქარმა უკვე დაუბერა და გემი წინ გაქანდა. ამ დროს ხუან დე გარსიამ მოგვაძახა: „თქვენ, სულ ერთია, ვერსად გამექცევით, ოცი წლის ცდაც რომ დამჭირდეს, მაინც გადაგიხ-

დით სამაგიეროს ყველას და იმათაც, ვინც თქვენთვის ძვირფასია! შენ კი, ლუისა დე გარსია, გახსოვდეს: - სადაც არ უნდა დაიმალო, ყველგან მოგაგნებ და როცა გი პოვი, იძულებული იქნები, გამომყვე, სადაც მოვისურვებ ან მაშინვე მოკვდები!“

ჩვენი გემი უკვე ინგლისისკენ მიცურავდა. ნავები უკან მოვიტოვეთ.

- აი, ჩემო შვილებო, ახლა უკვე იცით, რა გადამხდა ახალგაზრდობაში და როგორ შევირთე დედათქვენი. ხუან დე გარსიამ თავისი სიტყვა შეასრულა, - ამოიოხრა მამამ და გაჩუმდა.

- რაღაც უცნაურია, - ჩაილაპარაკა ჯეფრიმ, - ამდენი ხნის შემდეგ მან მაინც მოძებნა დედაჩვენი და მოკლა. თქვენი სიტყვით, ოდესღაც მას უყვარდა იგი. თუ უყვარდა, როგორღა მოკლა? არც ერთი ავაზაკი არ ჩაიდენდა ამას!

- აქ გასაკვირი არაფერია, - უპასუხა მამამ, - ჩვენ არ ვიცით, მათ რაზე ილაპარაკეს. ნათელია მხოლოდ ერთი რამ: როცა დე გარსიამ დაუყვირა თომასს, მინდა გავიგო, რამდენად მართლდება წინასწარმეტყველებაო, მას, ალბათ, მხედველობაში ჰქონდა დედათქვენის რაღაც ნათქვამი. ესეც რომ არ იყოს, მან დაიფიცა, დედათქვენი ან გაყვებოდა მას ან იქვე მოკლავდა. დედაშენი, ჯეფრი, ჯერ კიდევ ლამაზი იყო. შესაძლოა, ხუანმა მას შესთავაზა ან მასთან ერთად გაქცეულიყო ან მოკლავდა.

მამამ თავი ვეღარ შეიკავა, სახეზე ხელები აიფარა და საცოდავად აქვითინდა.

- რატომ არ გვიამბე, მამა, ყველაფერი ეს აქამდე?! - ვკითხე მე, როცა ოდნავ დამშვიდდა, - ეს რომ მცოდნოდა, ახლა ხომ ერთი ავაზაკით ნაკლები იქნებოდა ამ ქვეყანაზე და აღარც შორეულ ქვეყანაში წასვლა დამჭირდებოდა?!

6.
მშვიდობით, სიყვარულო!

თორმეტი დღის შემდეგ იარმუტის ნავსადგურში კადისში მიმავალი ხომალდი „ავანტიურისტი ქალი“ შემოვიდა. მას მიჰქონდა მაუდი და სხვა ინგლისური საქონელი, უკან დაბრუნებისას კი ღვინითა და ისრების დასამზადებლად საჭირო ურთხელის მორებით იტვირთებოდა.

მამამ ჩემი მგზავრობის ფული გადაიხადა და ორმოცდაათი გირვანქა სტერლინგი ოქროთი მომცა. მეტის წაღება ვერ გავბედე. მამამ კადისში იარმუტელი ვაჭრების სარეკომენდაციო წერილები გამატანა აგენტებთან, რომლებსაც წინადადება ეძლეოდათ, მოეცათ ჩემთვის ასორმოცდაათი ინგლისური გირვანქა სტერლინგის ფარგლებში, მოთხოვნისამებრ და შემდგომშიც ყოველნაირად დამხმარებოდნენ.

ხომალდი ნავსადგურიდან სამ ივნისს გადიოდა. პირველ რიცხვში იარმუტში უნდა წავსულიყავი. ჩემი ბარგი წინასწარ გაგზავნეს და უკვე ყველას დავემშვიდობე, გარდა იმისა, ვისი ნახვაც ყველაზე მეტად მინდოდა. სიყვარულის ახსნის მერე, ლილი მხოლოდ დედაჩემის დასაფლავებაზე ვნახე, თუმცა, დალაპარაკება ვერ მოვახერხეთ. ბოზარდმა გააფრთხილა ჩემიანები, თომასი თუ გაბედავს და ჩემს სახლთან გამოჩნდება, მსახურები ძალით გააგდებენო. მე კი არ მინდოდა, შევრცხვენილიყავი.

შორეულ ქვეყანაში გამგზავრება ძალიან მიმძიმდა შეყვარებულთან გამომშვიდობების გარეშე. ხომ შეიძლებოდა, ვერც

დავბრუნებულიყავი. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი და მამას ვთხოვე დახმარება: - მივემგზავრები, რათა ჩვენი საერთო დანაკლისისთვის შური ვიძიო. ვინ იცის, იქნებ, ჩვენი გვარის ღირსებისთვის სიცოცხლის გაწირვაც დამჭირდეს. უნდა დამეხმაროთ, მამაჩემო.

- ბოზარდს უნდა, თავისი ქალიშვილი შენს ძმას მიათხოვოს და არა შენ, თომას! ყველას აქვს უფლება, საკუთარი სიმდიდრე ისე მოიხმაროს, როგორც სურს. მაგრამ დღეს, თუ შევძლებ, დაგეხმარები. იმედი მაქვს, არ გამომაგდებს სახლიდან! უბრძანე, ცხენები შეკაზმონ, ერთად წავიდეთ ბოზარდთან, - მი პასუხა მან.

ნახევარი საათიც არ გასულა, რომ ჩვენ უკვე ლილის სახლის წინ ვიყავით. მამამ მსახურს უთხრა, სკვაირთან მინდა ლაპარაკიო. მსახურმა ეჭვის თვალით გადმომხედა, მაგრამ მაინც შეგვიშვა მისაღებ დარბაზში, სადაც ბოზარდი მაგიდასთან იჯდა და არაყს წრუპავდა.

- გამარჯობა, მეზობელო! - ჩაიბუზღუნა სკვაირმა, - მიხარია, რომ მოხვედი, მაგრამ მოგიყვანია ის, ვისი ნახვაც არ მსიამოვნებს, მიუხედავად იმისა, რომ იგი შენი ვაჟია.

- ის აქ უკანასკნელად მოვიყვანე, ძმაო ბოზარდ, - უპასუხა მამამ. - მოუსმინე მას. შეგიძლია, ჰო ან არა უთხრა, ეს შენი საქმეა, ოღონდ თუ უარს ეტყვი, ამით ჩვენი მეგობრობა ნამდვილად არ განმტკიცდება, რადგან ყმაწვილი დღეს საღამოს იარმუტში მიდის, რათა ესპანეთში გაემგზავროს. იგი მიდის იმის საძებნად, ვინც დედა მოუკლა, მიდის საკუთარი სურვილით, რადგან მან უნებურად ხელიდან გაუშვა მკვლელი. ვფიქრობ, ის ახლა სწორად იქცევა.

- ის ჯერ კიდევ ლეკვია! - ჩაილაპარაკა ბოზარდმა, - ძალიან ახალგაზრდაა ამნაირი ნადირობისთვის, თანაც, უცხო მხარეში!

მაგრამ გამბედაობას ვუწონებ და ვუსურვებ წარმატებას. რას მოითხოვს ჩემგან?

- ნებართვას, დაემშვიდობოს შენს ქალიშვილს. ვიცი, ლილისთან მისი გამიჯნურება არ მოგწონს, ეს არც მიკვირს. მეც ვფიქრობ, რომ მისთვის ჯერ ძალიან ადრეა ცოლის შერთვაზე ფიქრიც კი, მაგრამ წასვლისას თუ ნახავს ლილის, ამით არაფერი დაშავდება. სიტყვა ახლა შენზეა! - დაამთავრა მამაჩემმა.

სკვაირი ბოზარდი ოდნავ ჩაფიქრდა და უპასუხა: - ყმაწვილი მართლაც ყოჩაღია, თუმცა, ჩემი სიძე ვერასოდეს გახდება. თანაც შორს მიემგზავრება. ვინ იცის, იქნებ, სულაც ვერ დაბრუნდეს. არ მინდა, ცუდად მომიგონოს! - მერე მომიბრუნდა და მითხრა: - წადი და ლილის წიფლის ქვეშ დაელოდე; შეგიძლია, ნახევარი საათი ელაპარაკო. მაქედან ფეხი არ მოიცვალოთ, მე ფანჯრიდან გიყურებთ.

მაშინვე გავვარდი მითითებულ ადგილას და გულისფანცქალით ველოდი ლილის, როგორც ციდან მოვლენილ ანგელოზს. დავინახე თუ არა, ანგელოზიც ვერ იქნება მასზე მშვენიერი, კეთილი და ნაზი-მეთქი, გავიფიქრე.

- თომას! - ჩაიჩურჩულა მან და მომესალმა. - ნუთუ მართალია, რომ ესპანელის მოსაძებნად ზღვის გაღმა მიემგზავრები?

- კი, მივდივარ, რათა მოვძებნო ის ესპანელი და მოვკლა. მაშინ მივატოვე ის, შენთან რომ გამოვქცეულიყავი, ახლა კი შენ უნდა მიგატოვო, ის რომ ვი პოვო; არა, არა, ნუ ტირი! უკვე დავიფიცე და ფიცს თუ არ შევასრულებ, ხომ იცი, თავი მომეჭრება.

- მე კი შენი ფიცის გამო ისე უნდა დავქვრივდე, რომ შენი ცოლი არც ვყოფილვარ. ოჰ, თომას, თუ წახვალ, ვეღარასოდეს გნახავ!

- ვინ იცის, ჩემო მშვენიერო! მამაჩემიც იყო ზღვისიქითა ქვეყანაში, რა აღარ გადაიტანა და შინ მშვიდობით დაბრუნდა.

- მართალია, თანაც მარტო არ დაბრუნებულა! შენ ახალგაზრდა ხარ, თომას, შორეულ ქვეყნებში კი ბევრია მშვენიერი და დიდგვაროვანი ბანოვანი! შეინარჩუნებ გულში ჩემს ადგილს, როცა ასე შორს ვიქნები?

- გეფიცები, ლილი...

- ნუ მეფიცები, თომას. რატომ იღებ შენ თავზე ზედმეტ ცოდვას? რა იცი, იქნებ ფიცის გატეხა მოგიხდეს?! გახსოვდეს, საყვარელო, მე არასოდეს დაგივიწყებ! შესაძლოა, ეს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრაც იყოს, - გული მიკვდება, როცა ამაზე ვფიქრობ; გარწმუნებ, სანამ ცოცხალი ვარ, შენი ერთგული ვიქნები. რაც არ უნდა გააკეთოს მამაჩემმა, მანამდე მოვკვდები, ვიდრე ჩემს ნათქვამს გადავალ. ცხადია, ახალგაზრდა ვარ იმისთვის, რომ ასე დაბეჯითებით ვილაპარაკო, მაგრამ ეს აუცილებლად ასე იქნება. ღმერთო ჩემო, ეს განშორება სიკვდილზე უარესია! ნეტავ, ახლა სამუდამოდ დაგვეძინებოდეს, რომ ყველას დავავიწყდეთ! ან, იქნებ, მართლაც უკეთესია, რომ მიდიხარ... წარმოიდგინე, შენ რომ აქ დარჩე, როგორი იქნება ჩვენი მდგომარეობა?!

- სამუდამო ძილი და დავიწყება ისედაც ჩქარა მოდის, ლილი... მას დიდხანს არავინ დალოდებია. მაგრამ, სანამ ცოცხლები ვართ, უნდა ვიცოცხლოთ. მოდი ვილოცოთ, რათა ცოცხლები და ბედნიერები ვიყოთ! მე არა მარტო მტრის მოსაძებნად მივდივარ, არამედ - სიმდიდრის მოსაპოვებლადაც! ეს იმისთვის, რომ შევძლო შენი ქმარი გავხდე.

ლილიმ მწარედ გააქნია თავი.

- ეს უდიდესი ბედნიერება იქნებოდა, თომას; სიყვარულით ქორწინება იშვიათია ჩვენს დროში და თუ ზოგჯერ მაინც ხდება, მხოლოდ იმისთვის, რომ ერთმანეთი მაშინვე დაკარგონ. განგებას ვუმადლოდეთ, რომ ამქვეყნიური სიყვარულის ფასი გავიგეთ და თუ ერთმანეთს ვეღარ შევხვდებით, გვიყვარდეს ერთმანეთი იმქვეყნად, სადაც ვერავინ გვეტყვის, არ შეიძლებაო!

ჩვენ კიდევ დიდხანს ვჩურჩულებდით სევდიანად სიყვარულსა და იმედებზე. ბოლოს, ლილიმ სახლისკენ მიიხედა და ნაღვლიანი ღიმილით მითხრა: - დროა, ძვირფასო... მამაჩემი მეძახის... დამთავრდა...

- რაც იქნება, იქნება! - აღელვებულმა ლილი წიფლის იქით გავიტაცე, ხელები მაგრად მოვხვიე და კოცნა დავუწყე. ისიც მოურიდებლად მპასუხობდა.

კარგად არ მახსოვს, მერე რა მოხდა. ერთი კია, როცა ბოზარდის სახლიდან მოვდიოდით, ფანჯრიდან დაღვრემილი და ჩაფიქრებული ლილი მიყურებდა.

ამის შემდეგ, ოცი წლის მანძილზე, ეს სახე მუდამ თვალწინ მედგა; ახლაც, თითქოს ყველაფრის - სიკვდილისა თუ სიცოცხლის - ჯიბრზე, იგი კვლავ დაჟინებით შემომცქერის. სხვა ქალებსაც ვუყვარდი, კიდევ უფრო საშინელი განშორების მოწმეც ვყოფილვარ, მაგრამ ლილისთან გამომშვიდობება ყველაზე შთამბეჭდავი აღმოჩნდა. როცა წარსულს ვიხსენებდი, ყოველთვის ვხედავდი მას და ვიცოდი, იგი არასოდეს დაჭკნებოდა. განა, რამე შეედრება ყმაწვილის სევდას?! განა, არსებობს განშორებაზე უარესი მწუხარება?!

პირველ სიყვარულს, ჩვეულებრივ, დასცინიან ხოლმე, მაგრამ თუ იგი ნამდვილი გრძნობაა და არა - გაღვიძებული ვნება,

ასეთი პირველი სიყვარული გადაიქცევა უკანასკნელ, სამუდამო სიყვარულად, ყველაზე ბედნიერ ან მწარე ხვედრად, როგორიც კი შეიძლება წილად ხვდეს ადამიანს. ამას გეუბნებით მე, უდიდესი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე ბერიკაცი. დიახ, ეს ჭეშმარიტებაა!

კინაღამ დამავიწყდა, მეთქვა, რომ გამომშვიდობებისას ლილიმ თითიდან ბეჭედი წაიძრო და ხელში მომაჩეჩა: „ყოველ დილით, როცა გაიღვიძებ, დახედავ და მომიგონებო“. იგი ახლაც ბრწყინავს ზამთრის მზის სხივებში ჩემს დანაოჭებულ ხელზე. სრულიად დაუჯერებელი ამბებით აღსავსე წლებში, სიყვარულსა თუ ბრძოლაში, სამსხვერპლო ცეცხლის ანაბზინებზე თუ უკაცრიელ უდაბნოებში, ეს ბეჭედი ბრწყინავდა ჩემს თითზე; იმ ქვეყნადაც ამავე ბეჭდით წავალ, რომელსაც შიდა მხარეს აწერია: „თუმცა ერთმანეთს დავშორიშორდით, სულით კი ერთად დავრჩით მარადის.“

ჭეშმარიტად! მას დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

იმავე დღეს მე და მამაჩემი ცხენებით გავემგზავრეთ იარმუტში. ჯეფრი არ წამოგვყვა, მაგრამ ერთმანეთს მეგობრულად დავემშვიდობეთ, რითიც კმაყოფილი ვარ, რადგან ამის შემდეგ იგი აღარ მინახავს. ლილი ბოზარდზე ერთი სიტყვაც არ გვითქვამს, თუმცა ვგრძნობდი, რომ დავტოვებდი თუ არა აქაურობას, ჯეფრი მის მოხიბვლას მაშინვე შეეცდებოდა. კაცმა რომ თქვას, ვერც გაამტყუნებდით, - ალბათ, ძნელად ი პოვიდით თუნდაც ერთ ახალგაზრდას, რომელიც ლილის გაიცნობდა და მის შერთვას არ მოინდომებდა! წინათ ჩვენ კარგი მეგობრები ვიყავით; მხოლოდ შემდეგ, როცა ორივე დავვაჟკაცდით და ორივეს ლილი შეგვიყვარდა, თანდათან გავუცხოვდით. საკმაოდ ბანალური ამ-

ბავია. ჯეფრიმ ვერაფერს მიაღწია, ამიტომ მასზე გაბრაზების საბაბი არ მაქვს.

ჩემი დაიკო მერი, რომელიც ლილი ბოზარდის შემდეგ ყველაზე ლამაზი საპატარძლო იყო ჩვენს მხარეში, დამშვიდობებისას გულამოსკვნილი ტიროდა. წამოსვლისას, როგორც შემეძლო ვანუგეშე; ვუამბე რა ყველაფერი, რაც ჩემსა და ლილის შორის მოხდა, ვთხოვე, ჩვენი მოკავშირე ყოფილიყო. ის შემპირდა, იმედი მაქვს, დაგეხმარებითო. თუმცა არ დაუკონკრეტებია, რას გულისხმობდა. მივხვდი, რომ მას ლილის ძმის იმედი ჰქონდა, რომელსაც მერი მოსწონდა.

ჩვენს დასახლებას გავცდით თუ არა, ცხენი შევაჩერე, უკან - უეივნის თვალწარმტაცი ხეობისკენ მოვიხედე და ტკივილისგან გული შემეკუმშა. წინასწარ რომ მცოდნოდა, აქ ოცი წლის შემდეგ დავბრუნდებოდი, ალბათ, გული გამისკდებოდა. ერთხელ კიდევ გავხედე ბნელით მოცულ ხის კენწეროებს, რომელთა იქით ლილის სახლი მეგულებოდა და ადგილიდან დავიძარი.

მეორე დღეს უკვე „ავანტიურისტი ქალის“ გემბანზე ვიყავი. მამაჩემს მღელვარება ხომალდის გასვლის ბოლო წუთებში დაეტყო; გაახსენდა რა, რომ დედაჩემს გამორჩეულად ვუყვარდი და შეეშინდა, ვაითუ მეტად ვეღარ ვნახოო. იგი იმდენად შეწუხდა, რომ თავისი გადაწყვეტილების შეცვლა მოინდომა. რა თქმა უნდა, მე არ დავთანხმდი, ვინაიდან განშორების მთელი სიმწარე უკვე გადატანილი მქონდა და მეზობლების დასაცინად უკან არ დავბრუნდებოდი.

- უკვე გვიანია, - ვუთხარი მამას, - თქვენ თვითონ გინდოდათ, შური მეძია. ახლა კი, დანამდვილებითაც რომ ვიცოდე, ერთი კვირის შემდეგ მოვკვდები, სულ ერთია, აქ აღარ დავრჩები, ჩემს

ფიცზე უარს არ ვიტყვი; სანამ მას არ აღვასრულებ, შეჩვენებული ვიქნები!

- დაე, შენებურად იყოს, შვილო! - ამოიოხრა მამამ, - დედაშენის სიკვდილმა გონება დამიბნელა და არასწორად მოგექეცი, რასაც გულწრფელად ვნანობ. მე უნდა გამხსენებოდა, რომ შურისძიება ღვთის ხელშია და იგი, თავის დროზე, ჩვენს დაუხმარებლადაც გადაუხდის ბოროტმოქმედს სამაგიეროს. თუ მეტად შეხვედრა არ გვიწერია, ნუ მომიგონებ ცუდად, ჩემო ბიჭო. მიყვარხარ, მხოლოდ დედაშენისადმი უსაზღვრო სიყვარულმა მაიძულა, ასე სასტიკად მოგქცეოდი.

- ვიცი მამა და არ გძრახავთ; თუ ჩემს წინაშე თავს მოვალედ თვლით, გადამიხადეთ მარტო ერთი რამით: შეეცადეთ, ჩემს არყოფნაში ჯეფრიმ ჩემი და ლილის ურთიერთობა არ გააფუჭოს.

- ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლია; ჩემო შვილო, უნდა გამოგიტყდე, რომ არ გამეგო თქვენი სიყვარულის ამბავი, მათ სიამოვნებით დავაქორწინებდი. მაგრამ გიმეორებ, მე, ალბათ, მალე გავლენას ვეღარ მოვახდენ ამქვეყნიურ საქმეებზე; როცა აღარ ვიქნები, ყველაფერი თავისი ბუნებრივი გზით წავა. შენ კი, თომას, ანდერძად გიბარებ: რაც არ უნდა გაგიჭირდეს, არ დაივიწყო შენი რჯული და სამშობლო, გვერდი აუარე უსაფუძვლო შეხლა-შემოხლას, მოერიდე მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს, უმთავრესად - მიხედე შენს ენასა და ხასიათს, იგი არც ისე ანგელოზისა გაქვს. გარდა ამისა, სადაც არ უნდა იყო, არ აგინო უცხო ქვეყნის სარწმუნოებას, არ დასცინო მის ადათებს და არც დაარღვიო ისინი, თორემ იგრძნობ, როგორი სასტიკნი არიან ადამიანები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ყველაფერს თავიანთი ღმერთებისთვის აკეთებენ. ეს მე საკუთარ თავზე გამოვცადე!

დავპირდი, შენს რჩევას არ დავივიწყებ-მეთქი. მამა გადამეხვია, დამლოცა და ასე დავშორდით. ორმოცი დღის შემდეგ მშვიდობიანად ჩავედი კადისში.

შემდგომში მამის რჩევა-დარიგებამ მრავალი უსიამოვნებისგან მიხსნა. იგი მეტად აღარ მინახავს. მიუხედავად იმისა, რომ მამას მოხუცებულობამდე ჯერ კიდევ ბევრი უკლდა, ჩემი გამგზავრებიდან ერთ წელიწადში, ერთ-ერთი საკვირაო წირვის შემდეგ, დედაჩემის საფლავთან შეჩერებულა და გულის შეტევით გარდაცვლილა.

ღმერთმა აცხონოს მისი სული! მთელი ქონება ჩემს ძმას დარჩა.

მამაჩემი გულწრფელი კაცი იყო, ოღონდ მეტისმეტად უყვარდა დედაჩემი, იმდენად, რომ ეს გრძნობა ხელს უშლიდა, უფრო საღად შეეხედა ცხოვრებისთვის და სამართლიანი ყოფილიყო. ამნაირი სიყვარული უფრო ქალებს ახასიათებთ, რაც ზოგჯერ თავისებურ ეგოიზმად გადაექცევათ ხოლმე და ყველაფერ დანარჩენს გულგრილად უყურებენ.

დედაჩემისგან განსხვავებით, მამასთვის შვილები იმდენად მნიშვნელოვან არსებებს არ წარმოვადგენდით; იგი სიამოვნებით გაგვიმეტებდა ყველას, ოღონდ ცოლისთვის სიცოცხლე დაებრუნებინა. მაგრამ ეს მისი კეთილშობილური ნაკლი იყო, რადგან მამა თავის თავზეც არ ფიქრობდა და ეს სიყვარული თავად მასაც ძვირად დაუჯდა.

7

პირველ ყოვლისა სევილიისკენ გავემართე. ამ ძველი მავრიტანული ქალაქის სილამაზით აღტაცებაში მოდიოდა მრავალი მოგზაური და აღარ შევჩერდები ამაზე, რადგან საჭიროდ ვთვლი, ისეთ ადგილებზე მოგითხროთ, სადაც ჯერჯერობით არც ერთ ინგლისელს არ დაუდგამს ფეხი.

თავიდანვე ვფიქრობდი, რომ რამდენიმე ხნით სევილიაში გაჩერება მომიწევდა. არ მინდოდა ვინმეს ყურადღება მიმექცია და ზედმეტი ხარჯები გამეწია. გადავწყვიტე, ჩემი წინანდელი საქმე - მედიცინის შესწავლა გამეგრძელებინა. მივმართე ინგლისური სავაჭრო კომპანიის აგენტებს. მათ მომცეს სარეკომენდაციო წერილები სევილიელ ექიმებთან, რომლებიც, ჩემი თხოვნით, დიეგო დ'აილას სახელზე იყო შედგენილი. რადგანაც გარეგნობა ნამდვილი ესპანელისა მქონდა და პრობლემა მხოლოდ ჩემი მეტყველება იყო. არც ერთ შესაძლებლობას არ ვუშვებდი ხელიდან, კითხვასა და ლაპარაკში რომ გავწაფულიყავი. ნახევარ წელიწადში ისე დავეუფლე კასტილიურ კილოს, მკვიდრი ესპანელისგან ძნელად თუ ვინმე განმასხვავებდა. ენების შესწავლა საერთოდ ძალიან მეადვილებოდა. სევილიაში ჩასვლისთანავე ბარგი ერთ-ერთ ღარიბულ სასტუმროში დავტოვე და წავედი, რათა ჩემი სარეკომენდაციო ბარათი ცნობილი სევილიელი ექიმისთვის გადამეცა. მას შესანიშნავი სახლი ჰქონდა საუცხოო ნარგავებით დამშვენებულ ლას პარმასის ფართო ქუჩაზე, რომელსაც სხვა პატარა ქუჩებიც უერთდებოდა. სასტუმროდან სწორედ ერთ-ერთი მათგანის - ვიწრო, წყნარი შუკისკენ გავეშურე.

ჩემი ყურადღება ჩია ტანის მოხუცმა მიიქცია, რომელიც თავისი ეზოს[3] წინ, ჩრდილში, ტაბურეტზე იჯდა.

ცოტა ხანს შუკაში შევყოვნდი, რათა მომეფიქრებინა, რა უნდა მეთქვა ექიმისთვის. მთელი ამ დროის განმავლობაში მოხუცი თავის გამჭრიახ თვალებს არ მაშორებდა. ბოლოს მომზადებული სიტყვით რიხიანად გავემართე ექიმის სახლისკენ, მაგრამ იგი შინ არ დამხვდა. უკან გამოვბრუნდი. როცა მოხუცს გავუსწორდი, მას ჩემს ფეხებთან ფართოფარფლებიანი ქუდი დაუვარდა, რითაც სახეს იგრილებდა. მაშინვე ავიღე ქუდი და მივაწოდე.

- დიდად გმადლობთ, ჭაბუკო! უცხოელის კვალობაზე თქვენ მეტად თავაზიანი ბრძანდებით, - მითხრა მან სასიამოვნო, დაბალი ხმით.

- საიდან იცით, რომ უცხოელი ვარ, სენიორ? - გაკვირვებით ვკითხე და ყოველგვარი სიფრთხილე გადამავიწყდა.

- წინათ რომ ვერ მივმხვდარიყავი, ამას ახლა გავიგებდი, - მი პასუხა მოხუცმა ღიმილით. - თქვენი კასტილიური კილო ამაზე თავად მეტყველებს.

თავი დავუკარი და ის-ის იყო, წასვლა დავაპირე, რომ იგი ისევ დამელაპარაკა: - თქვენ სადღაც მიგეჩქარებათ, ჩემო მეგობარო. იქნებ ჩემთან შემოხვიდეთ, ჭიქა ღვინოზე გეპატიჟებით. ნამდვილად ღირს მისი გასინჯვა!

პირველად უარის თქმა დავაპირე, მაგრამ მერე ვიფიქრე, საქმე მაინც არაფერი მაქვს და შესაძლოა, მისგან რაიმე სასარგებლო გავიგო-მეთქი.

---

[3] ესპანურად - პატიოს

- გმადლობთ, სენიორ... დღეს ძალიან ცხელა და არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, ცოტა გავგრილდე, - ვუპასუხე მე.

იგი მაშინვე წამოდგა და მარმარილოს ფილებით დაგებულ და ვაზით დაბურულ პატარა ეზოში შემიყვანა. შუა ეზოში წყლით სავსე აუზი იყო, რომლის ახლოს, ხეივნის ჩრდილში სკამები და მაგიდა იდგა. მოხუცმა ჩაკეტა პატიოს კარი და მაგიდასთან დამსვა. მაგიდიდან ვერცხლის ზანზალაკი აიღო და დააწკარუნა. ზარის ხმაზე სახლიდან უცნაურ ესპანურ ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა, ლამაზი ქალიშვილი გამოვიდა.

- მოგვიტანე ღვინო! - უბრძანა მოხუცმა.

მაგიდაზე იმ წამსვე გაჩნდა, თეთრი ღვინო „ოპორტო“, რომლის მსგავსი მანამდე არასოდეს დამელია.

- თქვენ გაგიმარჯოთ, სენიორ... - ასწია ჭიქა ჩემმა მასპინძელმა და კითხვის გამომხატველი თვალებით შემომაცქერდა.

- დიეგო დ'აილა, - ვუპასუხე მე.

- ჰმ, - მან თავი გააქნია, - სახელი ესპანურია, უფრო სწორად, ესპანურის მსგავსი, ასეთი სახელი ჯერ არ გამიგონია.

- ეს ჩემი სახელია, დანარჩენზე კი, როგორც გენებოთ, ისე იფიქრეთ, სენიორ...

- და შევხედე.

- ანდრეს დე ფონსეკა, აქაური ექიმი, საკმაოდ ცნობილი, განსაკუთრებით მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა შორის, - მითხრა მან თავის დახრით.

- დაე, თქვენებურად იყოს, დონ დიეგო! ვღებულობ ამ სახელს, ვინაიდან სახელი თავისთავად არაფერს ნიშნავს და რამდენჯერაც გინდა, იმდენჯერ გამოიცვლი. ჩემი აზრით, ეს არავის ეხება, გარდა მისი პატრონისა. გატყობთ, ჩამოსული ხართ... ნუ გიკვირთ, სენიორ! აქაური არ დაიწყებს აქეთ-იქით ცქერას და

ყოყმანს, რა გზით წავიდეს. გარდა ამისა, სევილიელი არასოდეს დადის ზაფხ ულში ქუჩის მზიან მხარეს. ახლა კი, თუ ჩემს თხოვ-ნას მოურიდებლად არ მიიჩნევთ, მიამბეთ, ასეთი ჯანმრთელი ახალგაზრდა რამ მიგიყვანათ ჩემს კონკურენტთან? - სათქმელი დაასრულა და თავით სახელგანთქმული ექიმის სახლისკენ მა-ნიშნა.

- კაცის საქმე, ზუსტად ისევე, როგორც მისი სახელი, არავის ეხება; ის მხოლოდ თავად მისთვისაა საინტერესო, - ვუპასუხე მე, დარწმუნებულმა, რომ ჩემ წინაშე იყო ერთ-ერთი ისეთი მკურნალთაგანი, რომელიც არცხვენს ჩვენს პროფესიას და უსირცხვილოდ ნადირობს პაციენტზე. - მაგრამ თქვენ მაინც გი პასუხებთ. მეც ექიმი ვარ; თუმცა, ნაკლებად გამოცდილი. ვეძებ ადგილს რომელიმე ცნობილ ექიმთან, რომელსაც დავეხმარები, თან ცოდნას გავიმდიდრებ და ლუკმაპურის ფულსაც ვიშოვი.

- აი, რაში ყოფილა საქმე! ასეთ შემთხვევაში, სენიორ, იქ ვე-რაფერს ი პოვით, - მითხრა მან და ისევ გაიხედა ექიმის სახლის-კენ. - მასეთები შეგირდებს მხოლოდ კარგი გასამრჯელოსთვის იღებენ. ასეთია ჩვენი ქალაქის ადათი.

- მაშასადამე, ცხოვრებისთვის საჭირო ფულის შოვნა სხვა სა-შუალებით, ან სხვა ადგილას მომიხდება.

- ნუ ჩქარობთ, ჭაბუკო! მოდით, ჯერ გავიგოთ, როგორ ერკვე-ვით მედიცინაში და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ადამიანის ბუ-ნებაში, ვინაიდან მედიცინაში რიგიანად საერთოდ არავის არა-ფერი ესმის; მხოლოდ მას, ვინც შეიცნო ადამიანის ბუნება, შეუძ-ლია გახდეს მამაკაცთა ან მათ გულისმპყრობელ ქალთა მბრძა-ნებელი.

ეს თქვა თუ არა, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე საქმე-ზე გადავიდა და ისეთი აზრიანი შეკითხვები დამისვა, რომ აღტა-

ცებული დავრჩი. ადამიანის ხასიათებიდან მედიცინაზე გადავიდა, უმთავრესად ქალის ორგანიზმის თავისებურებაზე მეკითხებოდა. ბოლოს მან ჩემი გამოცდა დაამთავრა და ჩაილაპარაკა: - კარგია, სენიორ! გატყობთ, მცოდნე და ნიჭიერი ახალგაზრდა ხართ, თუმცა გამოცდილება გაკლიათ, რაც თქვენი ასაკისთვის სავსებით ბუნებრივია. ჭკუა ნამდვილად გიჭრით, კეთილი გულიც გაქვთ და ეს ძალიან კარგია, რადგან ხშირად კეთილი ადამიანის შეცდომებიც კი სჯობს გულღრძო ხელმარჯვის წარმატებებს. გარდა ამისა, ნებისყოფიანი და თავდაჭერილიც ჩანხართ.

მადლობის ნიშნად თავი დავხარე - არ მინდოდა ეგრძნო, რამდენად მესიამოვნა მისი შეფასება.

- თქვენზე მეტად ღირსეული ყმაწვილები არიან ზოგჯერ ბედუკუღმართები, - განაგრძო მან, - ბრიყვები ან ფხუკიანი ჩხუბისთავები, როგორიც შეიძლება თქვენც იყოთ. მაგრამ მაინც წავალ რისკზე, რადგან ჩემთვის შესაფერისი ბრძანდებით სულ სხვა მხრივ, - თქვენ, ალბათ, არც იცით, რომ დაჯილდოებული ბრძანდებით იშვიათი, არაჩვეულებრივი სილამაზით, რის დაფასებასაც არ დააყოვნებენ სევილიელი ბანოვნები.

- ფრიად სასიამოვნოა თქვენგან ამის მოსმენა. მხოლოდ გთხოვთ, ამიხსნათ, რას ნიშნავს ეს ქათინაურები? მოკლედ, რას მთავაზობთ? - ვკითხე მე.

- მოკლედ? კარგი, გეტყვით: მე მჭირდება ყველა თქვენი თვისებით შემკული ახალგაზრდა თანაშემწე, ოღონდ, მას უნდა ჰქონდეს კიდევ ერთი, ყველაზე ძვირფასი თვისებაც, თავმდაბლობა. მას არ მოაკლდება ფული, მის განკარგულებაში იქნება ეს სახლი და ის მიიღებს ადამიანების შესწავლის ისეთ შესაძ ლებლობას, როგორზეც ბევრი მხოლოდ ოცნებობს. რას იტყვით ამაზე?

- გეტყვით, სენიორ, ჯერ უნდა გავიგო, რაში უნდა დაგეხმაროთ. თქვენი წინადადება მეტისმეტად მაცდუნებელია; ხომ არ მომიხდება ისეთი სამუშაოს შესრულება, რაც პატიოსანი კაცის ღირსებას არ შეეფერება?

- მომისმინეთ: თქვენ ალბათ გითხრეს, რომ ის ექიმი, რომელთანაც ახლა იყავით და, აგრეთვე... - აქ მან დაასახელა ოთხი-ხუთი პიროვნება, - სევილიაში ყველაზე სახელგანთქმული ექიმები არიან. მე კი გეტყვით, ეს სიცრუეა! ყველაზე სახელმოხვეჭილი და მდიდარი, ვისაც ორჯერ მეტი კლიენტი ჰყავს, ვიდრე სხვა რომელიმეს, მე ვარ. გინდათ იცოდეთ, რამდენი ფული გავაკეთე მარტო დღეს? გეტყვით: ოცდახუთი პესო ოქროთი, ბევრად მეტი, ვიდრე ჩემმა ყველა კოლეგამ ერთად. შემიძლია, ამის სანაძლეო დავდო. გაინტერესებთ, როგორ ვშოულობ ამდენ ფულს? თქვენ, ალბათ, ისიც გაინტერესებთ, რატომ არ მინდა, ასეთი შემოსავლის შემდეგ, თავი დავანებო შრომას და დავისვენო; კარგი, ყველაფერს აგიხსნით. ფულს ვშოულობ ქალების წაქეზებით, ელტვოდნენ დიდებას და ვეხმარები მათ, განთავისუფლდნენ საკუთარი სისულელის შედეგისგან. როცა რომელიმე ბანოვანს გული დაუმძიმდება, ის ჩემთან ნუგეშისა და რჩევა-დარიგების მისაღებად მოდის; როდესაც ქალს სახეზე მუწუკები გაუჩნდება, ჩემთან მორბის და ვმკურნალობ; როცა მას საიდუმლო რომანი აქვს, ვმალავ მისი საჩოთირო საქციელის ნაყოფს. ასევე ვეკითხები მომავალზე, ვადგენ მის წარსულს, ვკურნავ მის მიერ წარმოსახული სატკივრებისგან, ძალიან ხშირად კი - ნამდვილი სნეულებისგანაც. ჩემს ხელშია სევილიის ნახევარი საიდუმლოება და ეს ყველაფერი რომ გავთქვა, სისხლისღვრა არ ასცდება დიდგვაროვანთა მრავალ ოჯახს. მაგრამ მე ხმას არ ვიღებ, ვინაიდან ფულს სიჩუმისთვის მიხდიან. და იმ

შემთხვევაშიც კი, როცა არ მაძლევენ, სულ ერთია, მაინც ვდუმვარ, რათა არ შევარყიო ჩემი რეპუტაცია. ასობით ქალი თავის მხსნელად მთვლის, მე კი ისინი ქარაფშუტებად მიმაჩნია. ოღონდ იცოდეთ, არასოდეს ვაჭარბებ: შემიძლია გავყიდო სასიყვარულო ელექსირის სახით უბრალოდ შეღებილი წყალი, მაგრამ მოწამლული ვარდი - არასოდეს! ამისთვის შეუძლიათ, სხვა ვინმეს მიმართონ! რაც შეეხება დანარჩენს, ჩემებურად პატიოსანი კაცი ვარ. მე ვხედავ ადამიანებს ისეთებად, როგორებიც ისინი სინამდვილეში არიან. აი, ამაშია მთელი საიდუმლო. ქალებს თუ მოსწონთ, იყვნენ ქარაფშუტები, ვსარგებლობ მათი სისულელით. სწორედ ამ სისულელით შევიძინე სიმდიდრე. დიახ, ახლა მდიდარი ვარ, მაგრამ ამ საქმიანობისგან თავის შეკავება უკვე აღარ შემიძლია! მიყვარს ფული, ვინაიდან მასშია ძალა, ოღონდ კიდევ უფრო მეტად მიყვარს სიცოცხლე! ზოგჯერ მსჯელობენ რომანებსა და ბალადებზე! განა შეიძლება, რომელიმე რომანი შევადაროთ იმას, რაც ყოველდღიურად ხდება ჩემ თვალწინ? ყოველ ასეთ ამბავში ერთ-ერთ-ერთ პირველ როლს ვთამაშობ, თუმცა, არ ვიბღინძები და არ ვყვირი.

- თუ ყველაფერი ასეა, დახმარებისთვის რატომ მომმართეთ მე, უცნობ კაცს, რომლის შესახებ არაფერი იცით? - შევეკითხე დაეჭვებულმა.

- ჩანს, გამოუცდელი ხართ! - გაეცინა მოხუცს. - ნუთუ ფიქრობთ, შევარჩევდი რომელიმე ესპანელს, რომელმაც ამ ქალაქზე ყველაფერი იცის? რაც შეეხება იმას, თითქოს თქვენ არ გიცნობთ, რატომ გგონიათ, ჭაბუკო, რომ ორმოცი წელი ამაოდ ვიშრომე და ვერ ვისწავლე ადამიანის ერთი ნახვით გამოცნობა? შესაძლოა, მე უკეთესად გიცნობთ, ვიდრე თქვენ თვითონ - საკუთარ თავს. სხვათა შორის, თქვენ რომ ინგლისელი ქალიშვილი

გიყვართ, ჩემთვის საკმაო რეკომენდაციაა, რადგან ამის გარეშე ბევრ სისულელეს ჩაიდენდით, რაც თქვენც და მეც უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაყენებდა.

- თქვენ საიდან იცით ეს?.. - გამიკვირდა მე და ენა დამება.

- საიდან ვიცი? სულ უბრალოდ! თქვენი ჩექმები შეკერილია ინგლისში. ასეთები ბევრი ვნახე, როცა თქვენს ქვეყანაში ვიყავი. თქვენს საუბარში იგრძნობა არა მარტო ინგლისური აქცენტი, არამედ, უკვე ორჯერ ჩაურთეთ ინგლისური სიტყვა, როდესაც შესატყვისი ესპანური ვერ გაიხსენეთ. რაც შეეხება ქალიშვილს, თითზე განა ქალის ბეჭედი არ გიკეთიათ?! გარდა ამისა, როცა გიყვებოდით ჩვენი ქალების ამბავს, ამან მაინცდამაინც არ დაგაინტერესათ. გული რომ თავისუფალი გქონდეთ, თქვენს ასაკში ჩემს სიტყვებს სხვაგვარად აღიქვამდით. ის ქალიშვილი, რა თქმა უნდა, მაღალი და ქერათმიანია, არა? დიდი ხანია, ვამჩნევ, რომ ქალები თუ კაცები, თავიანთი საწინააღმდეგო ტიპისკენ მიილტვიან: შავგვრემანი - ქერათმიანისკენ და პირიქით. ცხადია, არ არსებობს წესი, გამონაკლისის გარეშე, თუმცა ამ შემთხვევაში გამოვიცანი!

- თქვენ ძალიან ჭკვიანი ხართ, სენიორ!

- არა, საქმე აქ ჭკუაში კი არა, პრაქტიკაშია და ამაში თავად დარწმუნდებით, თუ ჩემთან თუნდაც ერთ წელს იმუშავებთ. თუმცა გეტყობათ, არ აპირებთ ასე დიდხანს სევილიაში დარჩენას. ცხადია, აქ განსაკუთრებული მიზნით ჩამოხვედით და გინდათ, დრო კარგად გამოიყენოთ, სანამ მიზანს მიაღწევდეთ. მგონი, ამჯერადაც გამოვიცანი. რა გაეწყობა, მე მაინც წავალ რისკზე, იმიტომ, რომ მიზანი და მისი მიღწევის გზები ხშირად ძალზე დაშორებულია ერთმანეთისგან. აბა, რას იტყვით, ჩემს წინადადებაზე?

- ალბათ უნდა მივიღო.

- თუ ასეა, თქვენ მას მიიღებთ. ოღონდ, სანამ პირობებზე შეთანხმდებით, ზოგი რამ უნდა იცოდეთ. არ მინდა, ჩემთან შეგირდის როლში გნახონ, ამიტომ ყველასთვის თქვენ ჩემი უცხოელი დისწული იქნებით, ექიმის პროფესიის შესასწავლად ჩამოსული. თუმცა, ეს ყველაფერი არაა: თქვენ უნდა ჩაებათ სევილიის ცხოვრებაში, თვალყური ადევნოთ ჩემთვის საჭირო ადამიანებს და წვეთ-წვეთობით, აქ - სიტყვით, იქ - მოვლითი გზებით და ასობით სხვა საშუალებით, რასაც ისინი ჩაგჩურჩულებთ, ასხათ წყალი ჩემსა და, აგრეთვე, საკუთარ წისქვილზე. უნდა გამოიჩინოთ მხიარულება და გონებამახვილობა ან, პირიქით, სიმკაცრე, როდესაც ამას მე გიბრძანებ. თქვენ დაგჭირდებათ ყველა პირადი ღირსებისა და უნარის გამოყენება, რადგან სხვანაირად ჩემს კლიენტებთან ვერაფერს გახდებით. იდალგოს უნდა ელაპარაკოთ დუელზე, ქალბატონებს ებაასოთ სიყვარულზე, ოღონდ ღმერთმა დაგიფაროთ, თვითონ ჩაერიოთ ერთში ან მეორეში, - მაშინ თქვენი საქმე წასულია. და, რაც მთავარია, - ამ სიტყვებზე მოხუცს სახე გაუმკაცრდა, - ჭაბუკო, არც იფიქროთ, ჩემი ან ჩემი კლიენტების ნდობის ბოროტად გამოყენება. სხვა რამეში შეგიძლიათ, არ დამიჯეროთ, ეს თქვენი საქმეა. ჩვენს ურთიერთობაში მთავარი ნდობის ფაქტორია! სავსებით გულღიად გეუბნებით: თუ მიღალატებთ, მოკვდებით, მოკვდებით არა ჩემი ხელით, მაგრამ მაინც მოკვდებით. ასეთია ჩემი პირობა; შეგიძლიათ მიიღოთ იგი ან უარი თქვათ. უარი რომ თქვათ, მერე კი სადმე ყველაფერი წამოაყრანტალოთ, რაც აქ გაიგეთ, მაშინაც, ადრე თუ გვიან მოულოდნელი სასჯელი არ აგცდებათ. გაიგეთ, რაც ვთქვი?! - შემეკითხა იგი.

- გავიგე. საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, უმჯობესია, ჩუმად ვიყო, - ვუპასუხე მე.

- ახალგაზრდავ, სულ უფრო და უფრო მომწონხართ! თქვენ რომ გეთქვათ, ჩუმად ვიქნები, რაკი მენდეთო, არ დაგიჯერებდით, რადგან იფიქრებდით, აბა, რა შესანახია ისეთი საიდუმლო, რომელსაც ასე ადვილად ანდობენო! მაგრამ თუ მიხვდით, რომ საიდუმლოს გაცემისთვის სიკვდილი გელით, ეს უკვე სხვა საქმეა. მაშ, ასე, თანახმა ხართ?

- თანახმა ვარ.

- ჩინებულია! მგონი, ბარგი სასტუმროში გაქვთ დატოვებული, არა? ახლავე გავგზავნი მოახლეებს, ისინი თქვენს ანგარიშს გადაიხდიან და ყველაფერს აქ მოიტანენ. არაა საჭირო თვითონ წახვიდეთ. უმჯობესია, აქ ვისხდეთ და თითო ჭიქა ღვინო კიდევ შევსვათ, ჩემო დისწულო. რაც უფრო მალე დავუახლოვდებით ერთმანეთს, მით უკეთესია.

ასე გავიცანი ჩემი მწყალობელი სენიორ ანდრეს დე ფონსეკა, ყველაზე საოცარი ადამიანი, ვინც კი ოდესმე შემხვედრია.

თქვენ უეჭველად იფიქრებთ, თომასი ამ კაცს არ უნდა შეკვროდა, წინდაუხედევად მოიქცა, თავისი ნებით შეეყარა უბედურებას და მოხერხებული თაღლითის მახეში ადვილად გაებაო. მაგრამ, სინამდვილეში სულ სხვა რამ მოხდა და სწორედ ესაა ყველაზე უცნაური მთელ ამ საოცარ ისტორიაში. ანდრეს დე ფონსეკას თითოეული სიტყვა სიმართლე იყო!

იგი საოცარი ნიჭით დაჯილდოებული ჯენტლმენი იყო, თუმცა უბედურებას, რაც დიდი ხნის წინათ თავს დასტყდომოდა, მისთვის დაღი დაესვა. ვერ გეტყვით, ვინ ასწავლა მედიცინა ან საერთოდ, ოდესმე თუ სწავლობდა, მაგრამ ადამიანის ამოცნობაში მას ბადალი არ ჰყავდა. დე ფონსეკას ბევრი უმოგზაურია,

ბევრი რამ უნახავს და არაფერი დავიწყებია. ის ერთგვარი ჯადოქარი იყო, რომელიც არასდროს გადაუქცევია უაზრო შარლატანობად. მართალია კრეჭდა ბრიყვებს და ასტროლოგიასაც მიმართავდა, რათა ადამიანთა ცრურწმენის ხარჯზე ფული ეშოვა, მაგრამ ამასთან ანდრეს დე ფონსეკა ბევრ კეთილ საქმეს უანგაროდ აკეთებდა. მას შეეძლო მდიდარი ქალისგან ათი პესო აეღო თმის შეღებვისთვის და ამასთან ერთად სრულიად უსასყიდლოდ ეზრუნა ხათაბალაში ჩავარდნილ ვინმე ღარიბ ქალიშვილზე. მეტიც: გამოჯანმრთელების შემდეგ თვითონ ეძებდა მისთვის შესაფერის საქმეს. მან იცოდა სევილიის ყველა საიდუმლო, მაგრამ არასოდეს უცდია ამ საიდუმლოებებით ვაჭრობა, ამბობდა, - ეს საქმე სახეირო არ არისო. ანდრეს დე ფონსეკა თავის თავს მსოფლიო დონის გაიძვერად თვლიდა, მაგრამ სინამდვილეში, ის უპატიოსნესი ადამიანი იყო.

მასთან თავს თავისუფლად და ბედნიერად ვგრძნობდი, რამდენადაც ეს შეეძლო ჩემს მდგომარეობაში მყოფ კაცს. მალე საჭირო როლში შევიჭერი და შესანიშნავადაც ვთამაშობდი. საზოგადოებაში ყველგან ფონსეკას დისწულად წარმადგინეს, რომელიც საექიმო პრაქტიკას გადის მდიდარ ბიძასთან, რათა შემდგომ მისი ადგილი დაიკავოსო. ამის, ჩემი გარეგნობისა და მანერების წყალობით, ჩემთვის სევილიის საუკეთესო ოჯახების კარი გაიღო, სადაც ვასრულებდი ჩვენი საერთო საქმის იმ ნაწილს, რაც ჩემმა პატრონმა მთლიანად მე დამაკისრა, რადგან თვითონ უკვე აღარ ჩნდებოდა ქალაქის მაღალ საზოგადოებაში. ფული უხვად მქონდა და შემეძლო, კარგად მეცხოვრა. სხვათა შორის, საქმეებსაც მასზე არანაკლებ ვართმევდი თავს. საზეიმო მიღებების დროს სულ უფრო ხშირად მიახლოვდებოდა ხან ერთი, ხან მეორე ბანოვანი და ჩუმად მეკითხებოდა: ხომ არ და-

თანხმდება დონ ანდრეს დე ფონსეკა, მეტად მნიშვნელოვანი საქმისთვის მიმიღოსო? მეც ვუნიშნავდი მათ პაემნის დროსა და ადგილს. მე რომ არა, ყველა კლიენტი ქალი ჩვენთვის დაკარგული იქნებოდა, ვინაიდან ბევრი მათგანი სხვაგვარად ვერ დაძლევდა თავის მორცხვობას. როცა უკვე შინ წასასვლელად ვემზადებოდი, რომელიმე დიდგვაროვანი მოხელე ხელკავს გამომდებდა და ჩემი პატრონის დახმარებას ითხოვდა: სამიჯნურო, ფინანსურსა თუ პირადულ საქმეში. იგი მიმყავდა ჩვენს ძველ, მავრიტანულ სახლში, სადაც ხავერდის მანტიაში გახვეული დონ ანდრესი იჯდა და წერდა. იგი მოგაგონებდათ ღამის ობობას, რომელსაც თავისი ქსელი მსხვერპლის დასაჭერად ჰქონდა გაშლილი. და მართლაც, ყველა საქმეს უმეტესად ღამით ვაგვარებდით... თითოეული საკითხი ისე წყდებოდა, როგორც ყველასთვის მისაღები იყო. ცხადია, პირველ რიგში, ჩემი პატრონის სახეიროდ!

თანდათან მოვიპოვე გონიერი კაცის რეპუტაცია, რომელიც არასოდეს ლაპარაკობდა იმაზე, რაც გაიგო, არ ერეოდა აყალმაყალში, არ სვამდა მაგარ სასმელებს, არ იყო გატაცებული აზარტული თამაშებით და არ ამხელდა არც საკუთარ და არც სხვის საიდუმლოს. ვერც ერთი ჩემი ახლო ნაცნობი მშვენიერი ბანოვანი ვერ დაიტრაბახებდა, რომ ჩემი მესაიდუმლე იყო. სწორედ ამიტომ გამივარდა სახელი, თითქოს უკვე საკმაოდ დახელოვნებული ექიმი ვიყავი; სევილიელმა ბანოვანებმა ხმა გაავრცელეს: მოხუც ფონსეკას დისწულს კაბიდან ლაქების მოცილების ოსტატობასა და თმების შეღებვის საქმეში ვერავინ შეედრებაო. ასეთი ხმები კი, როგორც ცნობილია, უკვე თავისთავად მთელ ქონებად ღირს. ამის შემდეგ კლიენტი ქალები სულ უფრო ხშირად პირადად ჩემთან მოდიოდნენ. მოკლედ, საქმე ისე კარ-

გად მიდიოდა, რომ ნახევარი წლის განმავლობაში თითქმის ერთი მესამედით გავზარდე ჩვენი ისედაც ფართო პრაქტიკის შემოსავალი და ერთდროულად პატრონს მისი საქმის დიდი ნაწილი მოვაშორე. იმ დროს მეჩვენებოდა, თითქოს მდუმარებისა და ღიმილის ყველა ნიღაბი, რითაც ადამიანები თავიანთ ნამდვილ ფიქრებს მალავენ, ჩემ წინ ჩამოიხსნა და მათი გულიდან ამოხეთქილი სიმართლე გავიგე. ჩვენთან მოდიოდნენ მომხიბლავი ქალიშვილები, სანდომიანი ცოლები და აღიარებდნენ ისეთ ცოდვებს, რასაც არავინ დაიჯერებდა. ხანდახან საქმე გვქონდა მეუღლის ან საყვარლის (კაცისა თუ ქალის) საიდუმლო მკვლელობასთან; ხანდახან გვაკითხავდა ასაკოვანი მანდილოსანი, რომელსაც ახალგაზრდა საქმროს გამოჭერა უნდოდა ან მდიდარი ქალი ან კაცი, რომელიც ოცნებობდა, ტიტული გაღატაკებულ დიდგვაროვან ოჯახთან დამოყვრებით მიეღო. ასეთებს უხალისოდ ვეხმარებოდი. სამაგიეროდ, მუდამ თანაგრძნობით ვისმენდი ამბებს გაცრუებულ სიყვარულზე. ზოგჯერ ჩემი სიმპათია იმდენად ღრმა და გულწრფელი იყო, რომ ბევრი გაუბედურებული ქალიშვილი ჩემში ნუგეშს პოულობდა. ერთხელ საქმე იქამდე მივიდა, ცოტა რომ მომენდომებინა, სევილიის ყველაზე ლამაზ და მდიდარ ქალიშვილს შევირთავდი, მაგრამ არც ერთი მათგანი არ მიზიდავდა, ვინაიდან, ვერავინ შეედრებოდა ჩემს ოქროსთმიან ლილის, რომელზეც გამუდმებით ვფიქრობდი.

8

გავიგე, რომ დედაჩემისა და მამაჩემის ესპანეთიდან გაქცევის შემდეგ დე გარსიას საჩივრებითა და სხვა ხრიკებით ბებიაჩემი სასტიკად შეუვიწროებია, სრულ გაღატაკებამდე მიუყვანია და მიუტოვებია. იგი შიმშილით მომკვდარა და ღარიბთა სასაფლაოზე დაუმარხავთ. დე გარსიას მალე სხვა ბოროტებაც ჩაუდენია და გაქცეულა, მაგრამ კონკრეტულად რა, არ ახსოვდა, ვინაიდან მას შემდეგ დაახლოებით თხუთმეტი წელი იყო გასული.

ყველაფერი ეს სევილიაში ყოფნიდან მეოთხე თვეს გავიგე. მოხუცის ნაამბობი, ცხადია, ჩემთვის საინტერესო იყო, მაგრამ მის ძებნაში ვერაფრით დამეხმარა.

ამ საუბრიდან მეხუთე დღეს, ღამით, შინ დაბრუნებისას, პატიოს შესასვლელთან გვერდი ავუარე იქიდან გამოსულ პირბადიან ახალგაზრდა ქალს, რომელიც თავშეუკავებლად ტიროდა და მთელი ტანით ცახცახებდა. ასეთ სცენას მიჩვეული ვიყავი, ვინაიდან ბევრს, ვინც ჩემს პატრონთან დახმარების სათხოვნელად მოდიოდა, სრული საფუძველი ჰქონდა, მწარედ ეტირა. მისთვის ერთი სიტყვაც არ მითქვამს, თუმცა, როცა პაციენტების მისაღებ ოთახში შევედი, დონ ანდრესს ვკითხე, ის ბანოვანი ვინ იყო-მეთქი.

- ეეჰ, დისწულო! - მი პასუხა ფონსეკამ, რომელიც მუდამ ასე მეძახდა, ბოლო დროს კი ისე მეპყრობოდა, თითქოს მართლაც მისი ნათესავი ვიყავი. - ეს უაღრესად არასასიამოვნო შემთხვევაა; შენ ამ ქალს არ იცნობ, იგი ერთერთი უფასო კლიენტთაგანია,ყთუმცა დიდგვაროვანი ოჯახიდანაა. მონაზვნად აღკვეცი-

ლა; ამ დროს გამოჩენილა ვიღაც კავალერი, რომელიც მას მონასტერში საიდუმლოდ ხვდებოდა. იგი დაპირებია, ცოლად შეგირთავ, თუ ერთად გავიქცევითო. სინამდვილეში კი, როგორც ქალი ამბობს, ჯვრისწერის მსგავსი კომედია მოუწყვია და ბოლოს მიუტოვებია, ქალი კი უკვე ბავშვს ელოდება. მაგრამ, ყველაზე საშინელი ისაა, რომ თუ ხუცესებს ჩაუვარდა ხელში, ქალს მონასტრის კედლებში ცოცხლად დამარხვა ემუქრება. ის ჩემთან რჩევა-დარიგების მისაღებად მოვიდა და გასამრჯელოდ თავისი ვერცხლის ჩხარუნები დამიტოვა.

- მერედა, აიღეთ მისგან გასამრჯელო?

- კი, ავიღე. გასამრჯელოს ყოველთვის ვიღებ. სამაგიეროდ, ყველაფერი ოქროთი ავუნაზღაურე: მივასწავლე მყუდრო ადგილი, სადაც ხუცესებს დაემალება, სანამ მასზე ნადირობა არ დამთავრდება. თუმცა, არ მითქვამს, შენი საყვარელი ყველაზე უკანასკნელი არამზადაა, ვინც კი სევილიის ქუჩებში ოდესმე გამოჩენილა-მეთქი. ამას არც ჰქონდა აზრი, სულ ერთია, იმ კაცს ვერასდროს ნახავს. ჩუმად! მგონი, ჰერცოგის ცოლი მოვიდა. ეს ასტროლოგიური შემთხვევაა. სად არის ჰოროსკოპები და კვერთხი? აა! ბროლის ბურთი? გმადლობ. ახლა ლამპებს ჩაუწიე და აქედან გაქრი!

ოთახი სასწრაფოდ დავტოვე და კინაღამ დავეჯახე უშველებელ მანდილოსანს, რომელიც მოახლე ქალის თანხლებით ფრთხილი ნაბიჯებით მოდიოდა ბნელ დერეფანში, რათა ჩემი პატრონისგან თავისი მომავალი გაეგო, რაშიც საკმაოდ ბევრ ოქროს იხდიდა. მის დანახვაზე გამეცინა და ეს ამბავიც დამავიწყდა.

ორი დღის შემდეგ, რაც პირბადიან მტირალ ბანოვანს შევეფეთე, შუაღამისას, ქალაქის ერთ-ერთ განაპირა პატარა ქუჩაზე

მივდიოდი. ასეთ დროს აქ კაციშვილი არ ჭაჭანებდა ხოლმე, რადგან ამ კვარტალში მარტოდ გამოჩენა საშიში იყო, მაგრამ პატრონმა ისეთი დავალება მომცა, რომლის გადადებაც არ შეიძლებოდა. ამასთან, მტრები არ მყავდა და თან შეიარაღებულიც ვიყავი: წელზე მეკიდა დე გარსიას დაშნა, რომლითაც მან დედაჩემი მოკლა და იმავე იარაღით მასზე შური უნდა მეძია. იმ დროისთვის ამ იარაღის ხმარების დიდი გამოცდილება მქონდა - ყოველ დილით დავდიოდი ფარიკაობის გაკვეთილზე.

დავალება შევასრულე და აუჩქარებლად ვბრუნდებოდი შინ, თან ჩემს უცნაურ ცხოვრებაზე ვფიქრობდი, რომელიც უეივნის ხეობაში გატარებული ბავშვობის წლებისგან ძალიან განსხვავდებოდა. ვფიქრობდი ლილიზე, მაინტერესებდა, როგორ უმკლავდებოდა ის ჯეფრის თავხედობას და მამის ზეწოლას. ასეთი ფიქრებით შეპყრობილი კედლის გასასვლელთან მივედი, საიდანაც გვადალ კვივირის ნაპირისკენ მიმავალი დაღმართი იწყებოდა. დაბალ მოაჯირს იდაყვით დავეყრდენი და უნებლიეთ ღამის სილამაზემ გამიტაცა.

ღამე მართლაც რომ საუცხოო იყო. ვინც იცნობს სევილიას, დამემოწმება, რომ არაფერია აგვისტოს ღამეზე უფრო წარმტაცი, როცა კაშკაშა მთვარე ძველ ქალაქს დაჰყურებს და გვადალკვივირის ფართო წყლებში ირეკლება.

ამ დროს ქვევიდან საფეხურებზე ვიღაც კაცი ამოვიდა, ჩემ უკან გაიარა და ქუჩის სიბნელეში მიიმალა. პირველად არ მივაქციე ყურადღება, მაგრამ მერე, როდესაც ხმაც შემომესმა, უცებ მივბრუნდი და დავინახე, ის კაცი ქალს ელაპარაკებოდა. ალბათ, შეყვარებულები არიან-მეთქი, გავიფიქრე და ცნობისმოყვარეობამ მძლია მათთვის მომესმინა.

მალე დავრწმუნდი, რომ ისინი ერთმანეთისადმი არავითარ სინაზეს არ იჩენდნენ, განსაკუთრებით, მამაკაცი ჩანდა გულგრილი. იგი უკან - ჩემკენ იხევდა, თითქოს ჩქარობდა, მალე მისულიყო ნავთან, რომლითაც, ეტყობა, აქ მოვიდა. ამან გამაკვირვა, რადგან ქალი ლამაზი იყო, ხოლო მამაკაცის სახე ვერ გავარჩიე - მთლიანად უფარავდა ფართოფარფლებიანი სომბრერო.

ისინი თანდათან ისე მომიახლოვდნენ, რომ ცალკეული სიტყვებიც გავიგონე. კაცი ისევ უკან იხევდა, ქალი კი ფეხდაფეხ მოყვებოდა და ემუდარებოდა: - არა, ვერ დავიჯერებ, შენ არ დამტოვებ! ცოლად შემირთე, შემომფიცე, დამპირდი... ნუთუ მიმატოვებ? შენი გულისთვის ყველაფერზე უარი ვთქვი! საფრთხე ახლოსაა. ამასთან, მე ხომ...

ქალმა ხმას დაუწია და ვერაფერი გავიგე.

- ჩემო მშვენიერო! - თქვა მამაკაცმა, - წინანდებურად გაღმერთებ, მაგრამ დროებით ერთმანეთს უნდა დავშორდეთ. ნუ მისაყვედურებ, იზაბელა, შენ ისედაც დიდად ხარ ჩემგან დავალებული. მე ამოგიყვანე საფლავიდან, გასწავლე ცხოვრება და სიყვარული. ცხადია, შეძლებ შენი ღირსებისა და სილამაზის გამოყენებას. ფულს ვერ მოგცემ, რადგან არ მაქვს. სამაგიეროდ, მოგეცი გამოცდილება, რაც ფულზე მეტი ღირს. გული მიკვდება, რადგან იძულებული ვარ, მცირე ხნით დაგტოვო. მაგრამ როგორც ნათქვამია: მზე თუ ძლიერ აცხუნებს, კაცს სიყვარულს აწყურებს.

- მე კი ჯერ...

მამაკაცმაც ხმას დაუწია და მეტი ვერაფერი გავიგე.

როდესაც კაცმა პირველად დაილაპარაკა, თავიდან ფეხებამდე ჟრუანტელმა დამიარა. ეს სცენა თავისთავად საკმაოდ ტრა-

გიკული იყო, მაგრამ ამან კი არ ამაღელვა, არამედ - ხმამ, რომელიც მეცნო... მან მომაგონა... არა, ალბათ, უბრალოდ, მომეჩვენა!

- ნუ ხარ ასეთი გულქვა! - წამოიძახა ქალმა, - ნუთუ მარტო დამტოვებ, როცა იცი, რა მდგომარეობაში ვარ და რამდენად დიდი საფრთხე მელის? გთხოვ, თან წამიყვანე, ხუან!

ამ სიტყვებით მან ხელი დაუჭირა და ზედ დაეკონა. კაცმა საკმაოდ უხეშად ჰკრა ხელი ქალს; ამ დროს ფართოფარფლებიანი ქუდი დაუვარდა და მთვარემ მისი სახე გაანათა. იგი ხუან დე გარსია იყო.

იგივე სასტიკი, დანაოჭებული სახე, ნაიარევი მაღალ შუბლზე, გესლიანი თხელი ტუჩები, წაწვეტებული წვერი. შემთხვევამ კვლავ შეგვახვედრა ერთმანეთს: ან ახლა მოვკლავ მას, ან იგი მომკლავს-მეთქი, გავიფიქრე.

რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი, დაშნა დავაძრე და მათ წინ გავჩერდი.

- რა ამბავია? - დაიყვირა კაცმა და განცვიფრებულმა უკან დაიხია. მერე ქალს შეხედა და უთხრა: - ხედავ, ჩემო მტრედო, შენ თურმე ქომაგიც გყოლია! რა გნებავთ, სენიორ! - მომიბრუნდა მე. - თქვენ, ალბათ, დამწუხრებული ტურფას დასაცავად მობრძანდით!

- ხუან დე გარსია! მოვედი, რათა შური ვიძიო! იქნებ, გახსოვთ, აქედან შორს, ინგლისში, ერთ ნაცნობ მანდილოსანს რომ შეხვდით და მოკალით? თუ ეს დაგავიწყდათ, ალბათ გაიხსენებთ ამ დაშნას, რომლითაც თქვენ უნდა მოკვდეთ! - შევძახე და მისი დაშნა საბრძოლველად მოვამზადე.

- ღმერთო! ეს ხომ ის ინგლისელი ყმაწვილია!.. - წამოიყვირა ენის ბორძიკით.

- დიახ, თომას ვინგფილდი გახლავარ, რომელმაც გცემათ და გაგთოკათ. ახლა მინდა აღვასრულო ჩემი ფიცი და დავამთავრო ის, რაც მაშინ დავიწყე. დაიცავით თავი, ხუან დე გარსია, თორემ გაგათავეთ!

უაღრესად მტკიცე და მრისხანე ტონით წარმოთქმული ეს სიტყვები, დღეს რაღაც თეატრალური მეჩვენება, მაგრამ მაშინ, ამ სიტყვებმა დე გარსია განწირულ მგელს დაამსგავსა.

შევატყე, ბრძოლა არ უნდოდა, მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ შეეშინდა - სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ის საერთოდ მშიშარა არ იყო, - არამედ, ცრურწმენის გამო. როგორც მოგვიანებით გავიგე, ის გაურბოდა ჩემთან შეხვედრას, რადგან ფიქრობდა, მას ჩემი ხელიდან ეწერა სიკვდილი. ამიტომაც უნდოდა ჩემი მოკვლა, როცა პირველად შემხვდა ინგლისში.

- დუელს თავისი კანონები აქვს... უსეკუნდანტებოდ ბრძოლა და ისიც ქალის თანდასწრებით, მიღებული როდია, - თავაზიანად შემეპასუხა იგი, - თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ რაიმე შეურაცხყოფა მოგაყენეთ, თუმცა, სიმართლე გითხრათ, არ მესმის, რაზეა ლაპარაკი და არ ვიცი, რატომ მიწოდებთ ამ სახელს, მზად ვარ, სხვა დროს შეგხვდეთ, სადაც და როცა ინებებთ.

ამასობაში იგი აქეთ-იქით იყურებოდა და უკან დასახევ გზას ეძებდა. მაგრამ მე შევაწყვეტინე და ვუთხარი: - მოსახდენი ახლავე მოხდება! დაიცავით თავი, თორემ გაგათავეთ!

მაშინ მანაც დაშნა იშიშვლა და მთელი პატარა ქუჩა ფოლადის ჭახაჭუხმა მოიცვა. დაშნებს სულ ნაპერწკლები სცვიოდა. თავდაპირველად უპირატესობა დე გარსიას მხარეზე იყო, ვინაიდან სიბრაზემ დამაბრმავა, მაგრამ თანდათან დავშოშმინდი და უფრო მშვიდად დავიწყე ბრძოლა. ძალიან მინდოდა მისი მოკვლა და ვიცოდი, მოვკლავდი, ხელს თუ არაფერი შეგვიშლი-

და. ის ჩემზე უფრო გამოცდილი მებრძოლი იყო. ჩვენს შეხვედრამდე დითჩინჰემის ახლოს საერთოდ არ მქონდა ნანახი ესპანური დაშნა, მაგრამ ახლა ჩემს მხარეზე იყო სამართლიანობა და სიჭაბუკე, ფოლადის ხელი და ორბისებრი თვალი.

ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ შევავიწროვე მოწინააღმდეგე და, რამდენადაც უფრო დამაჯერებელი და საშიში ხდებოდა ჩემი შეტევა, მით უფრო ვეღარ იცავდა იგი თავს. უკვე ორგან დავჭერი და მდინარისკენ გასასვლელ კედელთან მივიმწყვდიე. იგი თავს აღარ მესხმოდა, მხოლოდ ჩემს შეტევას იგერიებდა. სწორედ ამ დროს, როცა გამარჯვება უკვე ჩემკენ იყო, მოულოდნელი რამ მოხდა: ქალი, რომელიც აქამდე განზე იდგა და შეშინებული ჩვენს ორთაბრძოლას შესცქეროდა, მიხვდა, რომ მის საყვარელს საფრთხე ემუქრებოდა და უკნიდან მომებღაუჭა, თან საშინელი კივილით მშველელებს უხმობდა. იგი მყისვე ჩამოვიცილე, მაგრამ დე გარსიამ ამით ისარგებლა, შემომიტია და მარჯვენა მხარი თითქმის ბოლომდე გამიხვრიტა. ახლა თვითონ მომიწია თავდაცვაზე გადასვლა, რათა თავი გადამერჩინა.

ქალის ყვირილმა პოლიციელთა ყურადღება მიი პყრო და ისინიც მოულოდნელად გამოჩნდნენ. მათ დანახვაზე დე გარსია სწრაფად შებრუნდა და მდინარისკენ გაიქცა, ქალიც სადღაც გაქრა. ადგილზე მარტო მე დავრჩი. პოლიციელები მომიახლოვდნენ. კაპიტანი ფარნით ხელში ჩემკენ გამოქანდა, რათა დავეჭირე. დაშნის ტარი ფარანს ჩავარტყი, იგი ქვაფენილზე დავარდა, გატყდა და კოცონივით აგიზგიზდა. ამის შემდეგ უცებ მოვტრიალდი და მოვკურცხლე, რადგან არ მინდოდა, ამ ჩხუბის გამო ქალაქის სასამართლოში აღმოვჩენილიყავი. პოლიციელებს კი გავუსხლტი, მაგრამ ჩემი მტერიც გაიქცა.

სამი პოლიციელი დამედევნა, ოღონდ ისინი ძალიან მსუქნები იყვნენ და არაქათი მალე გამოეცალათ. ნახევარი მილის გარბენის შემდეგ უკვე სამშვიდობოს ვიყავი. ცოტა ხნით შევჩერდი, რომ სული მომეთქვა, და მხოლოდ მაშინღა მომაგონდა დე გარსია. ახლა სადღა უნდა ვი პოვო-მეთქი, ვფიქრობდი.

პირველად უკან დაბრუნება დავაპირე, მაგრამ მალევე გადავიფიქრე, რადგან ვიცოდი, იქ აღარ დამხვდებოდა, პოლიციელებს კი ჩემი ამოცნობა არ გაუჭირდებოდათ. ამასთან, ჭრილობაც მაწუხებდა და შინ წავედი. ჩემს ბედს ვწყევლიდი. მტანჯავდა იმაზე ფიქრი, რომ შურისძიებასთან ასე ახლოს ვიყავი და ხელი მომეცარა.

შინ მისულმა გადავწყვიტე, დონ ანდრესისთვის მეთხოვა დახმარება. აქამდე მისთვის არაფერი მითქვამს, ვინაიდან ყოველთვის მიზანშეწონილად ვთვლიდი, დამოუკიდებლად მემოქმედა. მან ჩემს წარსულზე არაფერი იცოდა. პირდაპირ შევედი მისაღებში, მაგრამ ფონსეკა დასაძინებლად წასულიყო და მსახურისთვის დაებარებინა, არ გამაღვიძოთ, რადგან თავს უქეიფოდ ვგრძნობო. საკუთარი ბედით უკმაყოფილომ ჭრილობა დიდი წვალებით შევიხვიე და დავწექი.

დილით კვლავ პატრონის ოთახში შევედი. დონ ანდერსს ტკივილები აწუხებდა და იწვა. მისთვის წამლის მომზადება როცა დავიწყე, შემატყო, მარჯვენა ხელს ცუდად რომ ვხმარობდი და მკითხა, რა დაგემართაო.

- გეყოფათ მოთმინება, მოისმინოთ ჩემი ამბავი? - შევეკითხე მას. - ძალიან მჭირდება თქვენი დახმარება.

- ჰოო, ჩვეულებრივი ისტორიაა, - მი პასუხა მან. - ექიმს საკუთარი თავის მკურნალობა უჭირს. დიახ, დისწულო, გისმენ.

ლოგინთან მივუჯექი და დაწვრილებით მოვუყევი: ჩემი დედ--მამის გაცნობის ამბავი, ჩემს ბავშვობაზე, როგორ მომიკლა დე გარსიამ დედა და როგორ დავიფიცე, მასზე შური მეძია. ბოლოს, წინაღამინდელ შემთხვევაზეც ვუამბე. ვიდრე ვლაპარაკობდი, მდიდრულ, მავრიტანულ ხალათში გახვეული ფონსეკა ლოგინ-ზე ფეხმორთხმული იჯდა, ნიკაპით მუხლებს დაყრდნობოდა და თავისი შორსმჭვრეტელი თვალებით სახეში მიცქერდა; სანამ ამბავს დავასრულებდი, კრინტი არ დაუძრავს, მოთმინებით მის-მენდა.

- ჰოო, რა ბრიყვი ყოფილხარ, ჩემო დისწულო, თანაც, იშ-ვიათი ბრიყვი! - თქვა ბოლოს. - ყმაწვილები, ჩვეულებისამებრ, ზედმეტი გულახდილობით სცოდავენ, შენ კი ყველაფერი გადა-ჭარბებული სიფრთხილის გამო მოგსვლია, ხელიდან გაგიშვია საუკეთესო შემთხვევა. სულელური გულჩათხრობილობის გამო კიდევ ერთი შესაძლებლობა არ გამოიყენე: რატომ არ მომმარ-თე რჩევისთვის?! ნუთუ არ იცი, რომ არაერთხელ დავხმარები-ვარ ამნაირ საქმეებში სრულიად უცხო ადამიანებს და არასო-დეს გამიცია მათი საიდუმლო?!

- არ ვიცი, - ჩავილუღლუღე მე, - მინდოდა, თვითონ მომეგვა-რებინა...

- ყოყოჩობას სიკეთე არასოდეს მოუტანია! ახლა კი მომისმი-ნე, დისწულო! ერთი თვის წინ რომ მცოდნოდა ეს ამბავი, დე გარსია დღეს უკვე მკვდარი იქნებოდა. იგი მოკვდებოდა ყველა-ზე საზიზღარი სიკვდილით, არა - ჩემი ხელიდან, არამედ, კანო-ნის ძალით. ამ კაცს დაბადებიდან ვიცნობ და მასზე იმდენად ბევ-რი ვიცი, რომ ორჯერ მაინც ჩამოკიდებენ თოკზე. უფრო მეტიც: მე ვიცნობდი დედაშენს, ჩემო ბიჭო, ახლა გასაგებია ჩემთვის, მაშინვე რატომ მეცნო შენი სახე - მას ძალიან ჰგავხარ. სწორედ

მე მოვისყიდე ინკვიზიციის დარაჯები, რათა გაეთავისუფლებინათ მამაშენი, თუმცა ის არასოდეს მინახავს. ინგლისში გაქცევაშიც მე დავეხმარე. რაც შეეხება დე გარსიას, ის სულ ცოტა, ხუთჯერ იყო ჩემს ხელში და ხუთივეჯერ სხვადასხვა სახელს ატარებდა. ერთხელაც მოვიდა ჩემთან, როგორც კლიენტი, მაგრამ არ მინდოდა ხელის გასვრა და უარი ვუთხარი იმ საძაგელ საქმეზე, რაც მან შემომთავაზა. დე გარსია უბინძურესი არამზადაა სევილიაში ჩემთვის ცნობილ ყველა არამზადას შორის. ამავე დროს, იგი ყველაზე ჭკვიანი და გაიძვერაა. ჩაფლულია ბოროტებაში და მის სინდისზე არაერთი გარდაცვლილია, თუმცა სხვისმა უბედურებამ ვერ გაამდიდრა. იგი დღემდე რჩება ყველასთვის უცნობ ვიგინდარად და გამოძალვით ან რომელიმე ქალის ხარჯზე ცხოვრობს, რომელსაც მოცლილობისას ძარცვავს. ამოიღე ჩემი დავთარი იმ სკივრიდან და გეტყვი, ვინ არის შენი დე გარსია.

ავდექი და თხელ ტყავში გახვეული ეტრატის რამდენიმე მძიმე დავთარი მივუტანე. მათში დაშიფრული ჩანაწერები იყო.

- ეს ჩემი შენიშვნებია, - ჩაილაპარაკა ფონსეკამ. - მათი წაკითხვა მხოლოდ მე შემიძლია. ვნახოთ სათაური; აი, სწორედ ეს! ახლა მესამე დავთარი მომეცი, მონახე ორას პირველი გვერდი...

მითითებული გვერდი გადავშალე და ლოგინზე დავუდე. მან გაუგებარი ნიშნები ისე ადვილად ამოიკითხა, თითქოს ისინი ჩვეულებრივი ასოებით იყო დაწერილი.

- ხუან დე გარსია. სიმაღლე, გარეგნობა, ოჯახური მდგომარეობა, მოგონილი სახელები და სხვა. აი, მისი ისტორია, მისმინე!

ფონსეკა კითხულობდა...

ჩანაწერი სიტყვამცირე იყო, მაგრამ მსგავსი არაფერი მინახავს, არც გამიგია, არც მანამდე, არც მას შემდეგ: აქ თავმოყრილი იყო ყველაფერი, ყველა საზიზღრობა და ბოროტმოქმედება, რაც კი შეუძლია ჩაიდინოს ადამიანმა განცხრომისა და ოქროს ფულისთვის, საკუთარ ვნებათა და ადამიანის სიძულვილით გამოწვეული შურისძიების დასაკმაყოფილებლად - მკვლელობები, საყვარლის მოწამვლა...

- ცხადია, ჩემს შენიშვნებში ზოგი რამ არ არის შეტანილი, - წყნარად ჩაილაპარაკა ანდრესმა. - მან ბევრი სხვა სისაძაგლეც ჩაიდინა, მაგრამ ის, რაც აქ წერია, დადასტურებულია. როცა მას დაიჭერენ, საკმაო საბუთები მაქვს მის ჩამოსახრჩობად. აბა, ერთი, მელანი მომაწოდე! ეს ჩანაწერი უნდა შევავსო.

და მან ქვევით მიაწერა: „1517 წლის მაისში დე გარსია გემით გაემგზავრა ინგლისში, ვითომც ვაჭრობის მიზნით და იქ, ნორფოლკის საგრაფოს დითჩინჰემის სამრევლოში, მოკლა ლუისა ვინგფილდი, ქალიშვილობაში ლუისა დე გარსია, თავისივე ბიძაშვილი, რომელზეც ადრე იყო დანიშნული. იმავე წლის დაახლოებით სექტემბერში ცრუქორწინების საშუალებით შეაცდინა და შემდეგ მიატოვა დონა იზაბელა სიგუენსას დიდგვაროვანი ოჯახიდან, ჩვენი ქალაქის მონასტრის ყოფილი მონაზონი“.

- რას ამბობთ? - წამოვიძახე მე. - ნუთუ დე გარსიამ მიატოვა სწორედ ის ქალიშვილი, რომელიც გუშინწინ ღამით მოვიდა თქვენთან რჩევა-დარიგების მისაღებად?

- სწორედ ის ქალიშვილი, დისწულო. შენ თვითონ მოისმინე, როგორ ემუდარებოდა იგი წუხელ დე გარსიას. მე რომ გუშინწინ მცოდნოდა ის, რაც დღეს ვიცი, ეს არამზადა უკვე საიმედოდ იქნებოდა ჩაკეტილი საპყრობილეში. ვნახოთ, იქნებ ჯერ კიდევ არაა გვიანი. მართალია, ავად ვარ, მაგრამ მაინც ავდგები და

გავაკეთებ, რაც შემიძლია. ეს მე მომანდე, ჩემო დისწულო! ახლა წადი, თავს მიხედე, ეს კი მე დამიტოვე. მოიცა, უთხარი შიკრიკს, მზად იყოს, დღეს საღამოსვე გავიგებ ყველაფერს, რისი გაგებაც შესაძლებელია.

გვიან ღამით ფონსეკამ თავისთან მიმიხმო და მითხრა: - მივიღე ინფორმაცია, პირველად ამ მრავალი წლის მანძილზე სასამართლოს ჯაშუშებიც კი ნადირობენ დე გარსიაზე, როგორც კაციჭამია ძაღლები - გაქცეულ კატორღელზე. მაგრამ მასზე ჯერჯერობით არაფერი ისმის, უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ამ საღამოს წერილი გავგზავნე კადისში, რადგან იგი, ალბათ, მდინარის დინებას გაჰყვა. ზოგი რამ მაინც გავიგე: სენიორა იზაბელა იმ ღამით, როცა შენ დე გარსიას შეხვდი, პოლიციას დაუჭერია და როგორც მონასტრიდან გაქცეული მონაზონი, დასაკითხად ინკვიზიციისთვის გადაუცია. მოკლედ, ბრალდება თუ დაუმტკიცდა, სიკვდილით დასჯიან.

- ნუთუ, დახმარებას ვერ შეძლებთ? - შევეკითხე მე.

- უკვე გვიანია. ჩემთვის რომ დაეჯერებინა, ამ მდგომარეობაში არ აღმოჩნდებოდა, - მი პასუხა დონ ფონსეკამ.

- კი მაგრამ, მასთან დაკავშირება რომ შევძლოთ?

- არა, არაფერი გამოვა. ადრე კიდევ შეიძლებოდა რაიმეს გაკეთება, მაგრამ ახლა ინკვიზიცია უფრო მკაცრი და მოუსყიდავია. ოქროს ძველებურად აღარ აქვს გასავალი. მას ამიერიდან ვეღარ ვნახავთ და ვერაფერს გავიგებთ, სანამ არ მოკლავენ. თუ სიკვდილის წინ ჩემთან შეხვედრა მოინდომა, შეიძლება, ამის ნება მისცენ, თუმცა ძალიან მეეჭვება. ნუ განიცდი ასე დისწულო, რელიგია მსხვერპლს მოითხოვს. იმ ქალისთვის მონასტრის კედლებში ნელ-ნელა, ცოცხლად დამარხვას, იქნებ, სჯობდეს კი-

დეც უეცარი სიკვდილი. ადამიანი ხომ ერთხელ კვდება! მისი ცოდვა ხუან დე გარსიას კისერზეა!

9

იგი სიკვდილის მოახლოებას გრძნობდა. ერთხელ ნოტარიუსის ნახვა მოისურვა, რომელმაც მასთან ერთ საათზე მეტხანს დაჰყო. შემდეგ ნოტარიუსი სახლიდან გავიდა და მალე რამდენიმე კოლეგასთან ერთად დაბრუნდა. მთხოვეს, ფონსეკას ოთახში არავინ შემეშვა. ბოლოს ყველანი წავიდნენ და თან რაღაც დოკუმენტები წაიღეს.

საღამოს ფონსეკამ მიხმო. იგი ძალიან დასუსტებული ჩანდა, მაგრამ მხნეობა არ დაეკარგა.

- უფრო ახლოს მოდი ჩემთან, დისწულო, - მითხრა მან, - დღეს ბევრი საქმე მქონდა. მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მოუცლელი ვიყავი არ შემფერის, ამ ქვეყნიდან წავიდე და აქ მოუგვარებელი საქმეები დავტოვო. შენ იცი, რას ვაკეთებდი დღეს?

მე თავი გავაქნიე.

- მაშ, თვითონ გეტყვი: დღეს ანდერძი შევადგინე. ჩემი სიკვდილის შემდეგ ცოტა ქონება რჩება.

- ნუ მელაპარაკებით ანდერძზე! - შევევედრე მას. - თქვენ კიდევ დიდხანს იცოცხლებთ, დამიჯერეთ, ასე იქნება!

ფონსეკას გაეცინა.

- ცუდი წარმოდგენა გქონია ჩემზე, დისწულო, თუ ფიქრობ, რომ ასე ადვილია ჩემი მოტყუება! მე მალე მოვკვდები, მაგრამ სიკვდილის არ მეშინია. ცხოვრებაში იღბლიანი კაციც ვიყავი და უბედურიც, ვინაიდან ახალგაზრდობა დამიმახინჯეს. ამას ახლა

მნიშვნელობა არ აქვს, ეს ძველი ამბავია და არ ღირს მისი გახსენება. ამასთან, რა გზასაც არ უნდა დაადგეს ადამიანი, საბოლოოდ, მაინც სამარემდე მივა. თითოეულ ჩვენგანს საკუთარი ცხოვრების გზა გვაქვს, მხოლოდ, როდესაც ბოლომდე მიხვალ, უკვე აღარ ფიქრობ, ეკლიანი იყო ის, თუ უეკლო. რელიგია ჩემთვის არაფერია: იგი ვერც მანუგეშებს და ვერც შემაშინებს. მხოლოდ ჩემს ცხოვრებას შეუძლია მსჯავრი დამდოს ან გამამართლოს. ცხოვრებაში ბოროტებაც მიკეთებია და სიკეთეც. ბოროტება - იმიტომ, რომ ცდუნებანი ხშირად ძალზე ძლიერი იყო და თავს ვერ ვიკავებდი, თუმცა გული მუდამ სიკეთისკენ მიილტვოდა. ახლა ყველაფერი დამთავრდა. კაცმა რომ თქვას, სიკვდილი არსებითად არც ისეთი საშინელია; ერთი რამის მჯერა: ღმერთი ბევრად უფრო მოწყალეა, ვიდრე ის ადამიანები, რომლებიც მის რწმენას გვაძალებენ.

უცებ ფონსეკას ძალა გამოელია და გაჩუმდა.

შემდეგ ხშირად ვიხსენებდი მის სიტყვებს, მით უმეტეს ახლა, როცა თავადაც ძალიან ახლოს ვარ სიკვდილთან. ფონსეკა ფატალისტი იყო და არ შემიძლია, მას დავეთანხმო, ვინაიდან მჯერა, რომ ნაწილობრივ თავად ჩვენ ვქმნით საკუთარ ხასიათსა და ბედ-იღბალს. თუმცა, სავსებით ვეთანხმები იმაში, რომ ღმერთი არსებობს, მოწყალეა და სიკვდილის არ უნდა გვეშინოდეს.

ცოტა ხნის შემდეგ ფონსეკამ ისევ განაგრძო: - გთხოვ, მაცალე ლაპარაკი, ხომ ხედავ, მალე ვიღლები, დრო კი ცოტაღა დამრჩა. ჩემს ანდერძზე გეუბნებოდი. მისმინე, დისწულო, გარდა გარკვეული და, როგორც შენ იცი, ღარიბების დასახმარებლად დატოვებული თანხისა, მთელი ჩემი ქონება შენ გიანდერძე.

- მე?! - წამოვიძახე განცვიფრებულმა.

- ჰო, შენ, დისწულო. აბა, რატომ არ უნდა მეანდერძა?! ახლობელი არავინ მყავს, შენ კი შემიყვარდი, თუმცა მეგონა, უკვე აღარავინ შემიყვარდებოდა. შენი მადლობელი ვარ: შენ დამიმტკიცე, რომ ჩემი გული ჯერ კიდევ არ გაქვავებულა. მიიღე ეს საჩუქარი, ნიშნად ჩემი მადლიერებისა!

მადლობას უთავბოლოდ ვიხდიდი, მაგრამ ფონსეკამ შემაწყვეტინა: - საერთო თანხიდან შენ შეგხვდება დაახლოებით ხუთი ათასი ოქროს პესო, ანუ თორმეტი ათასზე მეტი თქვენებური გირვანქა სტერლინგი. დასაწყისისთვის სრულიად საკმარისი თანხაა, რომ შენისთანა ახალგაზრდამ თავი გაიტანოს ცოლთან ერთადაც კი. ინგლისში ეს უთუოდ დიდ ქონებას წარმოადგენს. ვფიქრობ, შენი დანიშნულის მამა ახლა აღარ იქნება თქვენი ქორწილის წინააღმდეგი. გარდა ამისა, გიანდერძე ჩემი სახლი, მთელი მისი მოწყობილობით. ასევე - ვერცხლი, წიგნები... ცოტა როდი ღირს. გირჩევ, შეინახო ისინი. ყველაფერი ეს კანონიერად გადმოგეცემა, ყველა ფორმალობა დაცულია და შენს უფლებებში ვერავინ შემოგედავება. როდესაც უკანასკნელი დღის მოახლოება ვიგრძენი, წინასწარ შევაგროვე მთელი ჩემი ფული - ოქროს მეტი ნაწილი კოლოფებში დევს, სამალავ ნიშაში, აი, ამ კედელში, ეს შენ იცი, დისწულო! ბევრად მეტს დაგიტოვებდი, რამდენიმე წლის წინ რომ შემხვედროდი, მაგრამ, მაშინ ვფიქრობდი, რად მინდა ამდენი სიმდიდრე, მემკვიდრე არ მყავს-მეთქი და ფულს უანგარიშოდ ვხარჯავდი: ვეხმარებოდი ღარიბებს, უპატრონოებსა და უსახლკაროებს. მისმინე, თომას ვინგფილდ! ამ ოქროს დიდი ნაწილი ადამიანთა ბიწიერებისა და სისულელის ნაყოფია, მათი სუსტი მხარეებისა და ცოდვების საფასურია. ეცადე, ჭკვიანურად გამოიყენო იგი. დაე, ამ ოქრომ სარგებლობა მოგიტანოს, დაე, გაგახსენოს მოხუცი ესპანელი

თაღლითი, სანამ შენ თვითონ არ დაუტოვებ მას საკუთარ შვილებს ან ღატაკებს. კიდევ ერთ რამეს გეტყვი: თუ შეგიძლია, დაიოკე შენი შურისძიების გძრნობა და ხელი აიღე ხუან დე გარსიას დევნაზე. წაიღე ეს ქონება, დაბრუნდი ინგლისში, შეირთე შენი სატრფო და იცხოვრეთ ბედნიერად! აბა, დაფიქრდი, ვინ ხარ შენ, რომ კისრულობ შურისძიებას იმ არამზადაზე? დაანებე თავი, იგი თვითონ შეეყრება საკუთარ უბედურებას. თუ ასე არ მოიქცევი, ბევრი სიძნელისა და საფრთხის გადატანა მოგიწევს, ყველაფერი კი შეიძლება იმით დამთავრდეს, რომ დაკარგო სიცოცხლე, სიყვარული და მთელი შენი ქონებაც.

- იქნებ, ასეც მოხდეს, მაგრამ მე ხომ დავიფიცე! განა შეიძლება ფიცის გატეხა? განა შევძლებ, საქვეყნოდ თავმოჭრილი მშვიდად ვიჯდე სახლში?! - შევეპასუხე მე.

- არ ვიცი, არ ვიცი! ამ საქმეში შენი მსაჯული არ ვარ. გააკეთე, რაც გინდა, ოღონდ გახსოვდეს: შენებურად თუ მოიქეცი, შესაძლოა, კიდევ უფრო გაგიტყდეს სახელი. შენ შეებრძოლე მას და გაგექცა. ნუ ხარ სულელი, დაანებე მას თავი. ახლა კი დაიხარე და მაკოცე. ერთმანეთს დავემშვიდობოთ! არ მინდა მიყურო, როგორ მოვკვდები, სიკვდილი კი უკვე აქვეა. ძალიან მინდა იმქვეყნად შევხვდეთ, თუ ასე არ მოხდება, მაშინ, მშვიდობით სამუდამოდ!

დავიხარე და შუბლზე ვაკოცე. თვალები ცრემლებით ამევსო. მივხვდი, რა ძლიერ მყვარებია იგი. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ნამდვილი მამა მიკვდებოდა.

- ნუ ტირი, - მითხრა ფონსეკამ, - მთელი ჩემი ცხოვრება განშორებაა. ოდესღაც ისეთივე შვილი მყავდა, როგორიც შენ ხარ და არაფერი იყო ჩვენს გამოთხოვებაზე უფრო საშინელი. ახლა

კი მასთან მივდივარ. რა საჭიროა ტირილი? მშვიდობით, თომას! ღმერთი იყოს შენი მფარველი! ახლა კი წადი.

აცრემლებული გამოვედი ოთახიდან, იმავე ღამეს ანდრეს დე ფონსეკა გარდაიცვალა. მოახლე ქალმა მითხრა, ისე მოკვდა, რომ გონება არ დაუკარგავს და სულ თავის ვაჟს ახსენებდაო.

დღემდე არ ვიცი, რა შეემთხვა მის შვილს ან რა ახალგაზრდობისდროინდელ უბედურებაზე მელაპარაკებოდა სიკვდილის წინ. ინდიელის მსგავსად, ცხოვრე ბის ბილიკზე იგი ისე მიაბიჯებდა, რომ გზადაგზა თავის ნაკვალევს შლიდა. ფონსეკას გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ წავიკითხე მისი დაშიფრული ჩანაწერების ყველა დავთარი - სიკვდილის წინ მან შიფრის გასაღები მომცა. როცა ამ სტრიქონებს ვწერ ისინი ახლაც ჩემ წინ დევს. ამ დავთრებში წავიკითხე ბევრი რამ მწუხარებასა და ბოროტმოქმედებაზე, გაცრუებული ნდობის, გაყიდული პატიოსნების, მღვდელმსახურთა ულმობლობის, სიყვარულზე სიხარბის გამარჯვებასა და სიკვდილზე სიყვარულის გამარჯვებაზე. მთელი ეს მასალა, სულ ცოტა, ორმოცდაათ დიდ რომანს ეყოფოდა. საინტერესოა, რომ ამ შორეული და დავიწყებული თაობის ქრონიკაში ერთხელაც არ არის ნახსენები, გადაკვრითაც კი არაფერია ნათქვამი ფონსეკას საკუთარ ისტორიაზე.

ფონსეკას ცხედარი მშვიდი და, წარმოიდგინეთ, ლამაზიც კი მეჩვენა. ამ დროს მომიახლოვდა ერთი ქალი, რომელმაც ცხედარი განბანა და სპილოს ძვლის ორი შესანიშნავი პორტრეტი-- მედალიონი გადმომცა. ისინი მან მიცვალებულის საწოლზე ი პოვა, ეს მედალიონები დღემდე მაქვს. ერთ-ერთ მათგანზე გამოსახულია ქალი, ნაზი და ჩაფიქრებული გამომეტყველებით; მეორეზე - ლამაზი, მაგრამ სევდიანი ყმაწვილი. ისინი, ალბათ, დედა-შვილი იყვნენ, მათზე მეტი არაფერი ვიცი.

მეორე დღეს დავასაფლავეთ ანდრეს დე ფონსეკა. დასაფლავება უბრალო იყო, ვინაიდან დაიბარა, ჩემს დაკრძალვაზე ზედმეტი ფული არ დახარჯოთო. სასაფლაოდან შინ დავბრუნდი, უკვე მელოდნენ ნოტარიუსები, რომლებმაც ანდერძს ლუქები ააძრეს, წაიკითხეს და მიცვალებულის მთელი ქონების ბატონ--პატრონად გამომაცხადეს. იქვე გადავიხადე საგერბო და სამემკვიდრეო გადასახადი, მივეცი დაწესებული გასამრჯელო ნოტარიუსებს, მათ კი მადლობა გადამიხადეს და წავიდნენ. ამიერიდან მე უკვე მდიდარი ვიყავი!

დიახ, გავმდიდრდი და სიმდიდრე, რომლისკენაც ასე მივილტვოდი, მოულოდნელად ჩამივარდა ხელში, ყოველგვარი გარჯის გარეშე. ოღონდ, ეს სიხარულს არ მანიჭებდა.

ის საღამო ჩემთვის ყველაზე მწარე იყო მას შემდეგ, რაც ესპანეთში ჩავედი. მწუხარება და ეჭვები მღრღნიდა, მარტოობა სულს მიხუთავდა...

მაგიდასთან ვიჯექი, მაგრამ ყელში ლუკმა არ გადამდიოდა. როცა მსახური შემოვიდა და მომახსენა, სასტუმრო ოთახში ვიღაც ბანოვანი ფონსეკას ელოდებაო, ჯერ გავბრაზდი და მომინდა, მსახურს გაეგდო, მაგრამ გადავიფიქრე, - იქნებ მას რაიმეთი დავეხმარო ან მოვუსმინო მაინც და დროებით საკუთარი მწუხარებაც დავივიწყო-მეთქი. ამიტომ ვუთხარი, ჩემთან შემოეყვანა. ოთახში შემოვიდა მუქ ლაბადაში გახვეული მაღალი ქალი, რომელსაც კაპიუშონი სახეს უფარავდა. სკამი შევთავაზე, მაგრამ იგი უცბად წამოდგა და ჩუმად მითხრა: - მე დონ ანდრეს დე ფონსეკას ნახვა მინდოდა და არა თქვენი!

- ანდრეს დე ფონსეკა დღეს დავასაფლავეთ, - ვუპასუხე მე. - ყველა საქმეში მისი თანაშემწე ვიყავი და ახლა მისი ერთადერ-

თი მემკვიდრე ვარ. მოხარული ვიქნები, თუ რაიმეთი დაგეხმარებით.

- თქვენ ახალგაზრდა ხართ, ძალიან ახალგაზრდა, ჩემი საქმე კი საშინელი და სასწრაფოა. შემიძლია, გენდოთ? - ჩაილაპარაკა შემცბარმა ქალმა.

- თქვენი გადასაწყვეტია, სინიორა.

ქალი ოდნავ ჩაფიქრდა და ლაბადა მოიძრო. მას მონაზვნის სამოსელი ეცვა.

- მომისმინეთ, - მითხრა მან. - ამაღამ ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი, ძლივს გამოვნახე დრო, რომ აქ მოვსულიყავი. ხელცარიელი ვერ დავბრუნდები, ამიტომ იძულებული ვარ, გენდოთ. ოღონდ ჯერ წმინდა ღვთისმშობელი დაიფიცეთ, რომ არ გამცემთ.

- გაძლევთ პატიოსან სიტყვას, და თუ ეს თქვენთვის ცოტაა, სჯობს მიბრძანდეთ, - ცოტა მკვახედ ვუთხარი.

- ნუ მიჯავრდებით! - შემევედრა ქალი. - დდიდი ხანია, არ გამოვსულვარ მონასტრიდან, ძალიან უბედური ვარ... მჭირდება ძლიერმოქმედი საწამლავი, დიდ ფულს გადაგიხდით.

- მე მკვლელების ხელშემწყობი არ ვარ, - შევეპასუხე სტუმარს, - რისთვის გჭირდებათ საწამლავი?

- როგორ, არ მაქვს უფლება?... ვატყობ, მაინც მომიხდება ამის თქმა. ამ ღამით ჩვენს მონასტერში უნდა მოკვდეს ერთი ახალგაზრდა, ლამაზი ქალი, თითქმის გოგონა. მან დაარღვია აღთქმა და დღეს მოკვდება თავის ბავშვთან ერთად. ის, ის... ოჰ, ღმერთო ჩემო! მათ ცოცხლად დამარხავენ იმ მონასტრის კედელში, რომელიც მან წაბილწა. ასეთია განაჩენი და შეუძლებელია მისი გაუქმება ან შემსუბუქება. მე ამ მონასტრიდან ვარ, ნუ მკითხავთ ჩემს სახელს. მე მიყვარს ეს ცოდვილი, როგორც

ღვიძლი ქალიშვილი. მხოლოდ ჩემი განსაკუთრებული დამსახურების გამო ეკლესიის წინაშე და ფარული მფარველების დახმარებით მოვახერხე მისთვის უმაღლესი მოწყალების გამოთხოვა - სანამ ამოქოლავენ, შემიძლია მივცე მას ფიალა წყლით, რაშიც საწამლავი იქნება შერეული და, ასევე, შხამი წავუსვა ბავშვს ტუჩებზე, რათა დედა-შვილი სწრაფად მოკვდეს. ამის გაკეთება შემიძლია ისე, რომ ცოდვა არ დამედოს კისერზე. დამეხმარეთ, გავხდე უბიწო მკვლელი და ვიხსნა ის ცოდვილი უკანასკნელი, მიწიერი ტანჯვისაგან.

სიტყვები არ მყოფნის, გადმოგცეთ, რა განვიცადე, როცა ამ გულშემზარავ ამბავს ვისმენდი. ნაამბობით გაშეშებული ამაოდ ვცდილობდი რამე მეპასუხა. უცებ ერთმა აზრმა გამიელვა თავში.

- ის ქალი იზაბელა დე სიგუენსაა? - შევეკითხე მე.

- დიახ, - მი პასუხა აბატისამ. - ასე ეძახდნენ მას მონაზვნობამდე, თუმცა ვერ გამიგია, საიდან იცით თქვენ ეს.

- ამ სახლში ბევრი რამ იციან, დედაო. მითხარით, შეიძლება თუ არა მისი გადარჩენა ფულით ან სხვა რაიმე გზით?

- ეს შეუძლებელია: განაჩენი დაამტკიცა შეწყალების ტრიბუნალმა. ის ორ საათში უნდა მოკვდეს. მომცემთ საწამლავს?

- შემიძლია მოგცეთ იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნებული ვიქნები, რისთვის იყენებთ მას. აბა, რა ვიცი, იქნებ მთელი ეს ამბავი გამოიგონეთ და საწამლავს მოიხმართ ისე, რომ შემდეგ კანონის წინაშე პასუხისგება მე მომიწევს! ერთი სიტყვით, საწამლავს მოგცემთ, მხოლოდ ერთი პირობით: თვითონ უნდა ვუყურო, როგორ გამოიყენებთ მას.

აბატისა ერთი წამით ჩაფიქრდა და შემდეგ მითხრა: - კარგი, ეს შესაძლებელია, ოღონდ თქვენ ბერის ანაფორა უნდა ჩაიც-

ვათ; იმათ, რომლებსაც სისრულეში მოჰყავთ განაჩენი, არაფერი უნდა იცოდნენ ამის შესახებ, მაგრამ სხვებს ეცოდინებათ. გაფრთხილებთ, ხმას თუ ამოიღებთ, სასტიკი სასჯელი მოგელით. ეკლესია, სენიორ, მკაცრად სჯის მას, ვინც მისი საიდუმლოების გამჟღავნებას გაბედავს.

- ეს საიდუმლო, დადგება დრო, თვითონვე წამწარდება ეკლესიას, - ვუპასუხე მე. - ახლა კი მაპატიეთ, საწამლავი უნდა მოვამზადო. მან სწრაფად უნდა იმოქმედოს, ოღონდ არც ისე, რომ თქვენი ქოფაკები რაიმეს მიხვდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ მე და აბატისა „სამადლო საქმის“ შესასრულებლად წავედით. სწრაფად გავიარეთ ხალხმრავალი ქუჩები და მდინარისკენ დავეშვით, სადაც აბატისას ნავი უცდიდა. შიგ ჩავსხედით და მდინარეს აღმა ავუყევით. ერთი მილის გავლის შემდეგ მაღალი კედლის ძირში ნავსაბმელს მივადექით. ნაპირზე გადმოვედით და მივუახლოვდით ხის ყრუ კარს, რომელზეც აბატისამ სამჯერ დააკაკუნა. მაშინვე ჩამოეშვა საკარე სარკმელი, რომლის იქით, სიბნელეში, ბუნდოვნად გამოჩნდა კაცის სახე. მან რაღაც იკითხა, ჩემმა თანამგზავრმა კი ხმადაბლა უპასუხა. მალე კარი გაიღო და ჩვენ ქვის გალავნიან დიდ ბაღში აღმოვჩნდით.

- თუ იცით, რა ჰქვია ამ ადგილს, თქვენივე სიკეთის გულისთვის, სჯობს, დაივიწყოთ, როცა აქედან გახვალთ! - მითხრა აბატისამ.

პასუხი არ გამიცია, მხოლოდ ირგვლივ მიმოვიხედე. აი, ის ნესტიანი, ბნელი ბაღი! დე გარსია ალბათ აქ შეხვდა იმ უბედურ ქალიშვილს, რომელიც ამაღამ უნდა მოკვდეს-მეთქი, - გავიფიქრე.

ბაღში დაახლოებით ასი ნაბიჯი გავიარეთ და ისევ შევჩერდით მავრიტანული სტილის დაბალი შენობის კართან. აბატისამ აქაც დააკაკუნა, მაგრამ ამჯერად მოლაპარაკება უფრო დიდხანს გაგრძელდა. ბოლოს, კარი გააღეს და შევედით ოდნავ განათებულ, ვიწრო და გრძელ დერეფანში, რომლის სიღრმეში მონაზონთა სილუეტები შევნიშნე. აბატისა დერეფანში გამიძღვა, ბოლო კარი გააღო, სენაკში შემიყვანა და სიბნელეში მარტო დამტოვა.

ათ წუთზე მეტხანს ვიდექი, ურთიერთსაწინააღმდეგო ფიქრებმა შემი პყრო, რომელთა მოგონება ახლა არც მინდა. ისევ გაიღო კარი და დომინიკანელთა თეთრ ანაფორაში ჩაცმული აბატისა მაღალ ბერთან ერთად შემოვიდა. მისი სახე ვერ გავარჩიე, ვინაიდან თავზე იმასაც თეთრი, წაწვეტებული არახჩინი ჩამოეფხატა, რომლის განაჭრებში მხოლოდ თვალები უჩანდა. ბერმა ფარნის სინათლეზე წამით შემათვალიერა, მერე თქვა: - სალამი, შვილო ჩემო! დედა აბატისამ მიამბო შენზე, შენ ძალიან ახალგაზრდა ხარ ასეთი რამეებისთვის...

- წმინდაო მამაო, ასაკოვანი რომ ვიყო, ამით ეს საქმე არ გახდებოდა უფრო სასიამოვნო. თქვენ იცით, რაზე ვლაპარაკობ, მე სამადლო მიზნისთვის მთხოვეს საწამლავი, რომელიც თან მაქვს და მინდა, თავად დავრწმუნდე, რომ მას დანიშნულებისამებრ გამოიყენებთ.

- შვილო ჩემო, შენ მეტისმეტად ეჭვიანი ხარ! ეკლესიას ეზიზღება სისხლი, მაგრამ ის ქალი უნდა მოკვდეს, ვინაიდან მისი ცოდვა დამტკიცებულია, უკანასკნელ ხანებში კი გარყვნილებას საყოველთაო ხასიათი მიეცა. დიდი ხნის ლოცვის, ფიქრისა და დამნაშავის ხვედრის რაიმე შემამსუბუქებელი საბუთის ამაო ძებნის შემდეგ ქალს სიკვდილი მიუსაჯეს იმათ, რომელთა სახე-

ლები მეტისმეტად წმინდაა იმისთვის, აქ რომ მოვიხსენიო. პირადად მე აქ ვარ იმიტომ, რომ თვალყური ვადევნო განაჩენის სისრულეში მოყვანას იმ გამონაკლისის ჩათვლით, რომელიც დამნაშავის მიმართ გამოიჩინა მისმა უზენაესმა მსაჯულმა. შვილო ჩემო, ვხედავ, ამ სამადლო საქმის აღსრულებას გინდა დაესწრო, ამიტომ ხელს აღარ შეგიშლი. დედა აბატისამ ხომ გაგაფრთხილა, რა სასჯელი მოელის მას, ვინც ეკლესიის საიდუმლოების გამჟღავნებას გაბედავს! შენივე სიკეთის გულისთვის გთხოვ, ყველაფერი დაივიწყო.

- მოლაყბე არ ვარ, წმინდა მამაო, ამიტომ გაფრთხილებაც ზედმეტია. ამ ვიზიტისთვის კი კარგი გასამრჯელო უნდა მომცეთ. საწამლავი ძვირი ღირს.

- ნუ გეშინია, მკურნალო! - ერთგვარი ზიზღით მი პასუხა ბერმა. - თქვი, შენი ფასი და გადაგიხდიან.

- მე ფული არ მინდა, წმინდა მამაო; იქით გადავიხდიდი მხოლოდ იმისთვის, რომ აქ არ მოვხვედრილიყავი. გთხოვთ, ნება დამრთოთ, იმ ქალს სიკვდილის წინ დაველაპარაკო.

- რაო? - წამოიძახა ბერმა. - შენ ხომ არ შეაცდინე იგი?! თუ ასეა, ნამდვილად თავხედი ყოფილხარ, ღირსი იმისა, რომ გაინაწილო მისი ხვედრი!

- არა, წმინდა მამაო, მე არ შემიცდენია, იზაბელა დე სიგუენსა მხოლოდ ერთხელ ვნახე, არასოდეს მილაპარაკია მასთან. მე ვიცი, ვინ არის მისი გამაუბედურებელი. მას ხუან დე გარსია ჰქვია.

- აი, რა ყოფილა! - ჩაილაპარაკა ბერმა. - იმ ცოდვილმა არაფრით გაამხილა მისი ნამდვილი სახელი, თუმცა იცოდა, რომ წამება ელოდა. რა უნდა უთხრა მას, შვილო ჩემო?

- მინდა გავიგო, სად წავიდა ის კაცი; იგი ჩემი მტერია და დიდი ხანია ვეძებ.

მან ჩემს ოჯახს ბევრად უფრო დიდი უბედურება მიაყენა, ვიდრე იმ ქალს. ნუ მეტყვით უარს, წმინდა მამაო, იქნებ მისგან რაიმე გავიგო.

- უფალმა თქვა: „ჩემი არს შურისგება და მე მივაგო“. მაგრამ უფალმა იქნებ შენ აგირჩია, შვილო ჩემო, თავისი შურისძიების იარაღად. ამიტომ მოგცემს მასთან ლაპარაკის საშუალებას. შეიმოსე ამ ტანსაცმლითდა უკან გამომყევი - დომინიკანური კაპიუშონიანი თეთრი ანაფორა გამომიწოდა და მითხრა:. - უკან გამომყევი!

- უწინარეს ყოვლისა, საწამლავი აბატისას უნდა გადავცე, რადგან არ მინდა, იგი თვითონ მივცე იმ ქალს, - შევეპასუხე ბერს. - თქვენ კი, წმინდაო დედაო, - მივმართე აბატისას, - წაიღეთ ეს შუშა და, როცა დრო მოვა, წყლიან ჭიქაში ჩაასხით. ხსნარი კარგად წაუსვით ბავშვს ბაგეებსა და ენაზე, დანარჩენი დედას მიეცით და თვალყური ადევნეთ, რომ სულ გამოცალოს. ვიდრე უკანასკნელ აგურს ამოაშენებდნენ, მათ სამუდამოდ დაეძინებათ.

- ამას გავაკეთებ, - ჩაიბუტბუტა აბატისამ. - ცოდვების მიტევება გამბედაობას მმატებს, ამას შევასრულებ სიყვარულისა და შეწყალების სახელით.

- შენ მეტად გულჩვილი ხარ, დაო, - ჩაილაპარაკა ბერმა და პირჯვარი გადაისახა, - მართლმსაჯულებაა ჭეშმარიტი მოწყალება! უბედურია უძლური ხორცი, რომელიც სულის წინააღმდეგ ამხედრებულა!

როდესაც თეთრი მოჩვენების სამოსელი გადავიცვი, ბერმა და აბატისამ ფარნები აიღეს და წინ გამიძღვნენ.

10

დერეფნის ბოლოში აღმოჩნდა კიბე, რომლითაც ძირს ჩავედით და მალე მძიმე რკინის კარს მივადექით. ბერმა გააღო, შეგვიშვა და შიგნიდან დაკეტა. აქედან გადიოდა კედელში გაჭრილი მეორე ვიწრო დერეფანი, რომლის ბოლოში სასჯელი უნდა აღსრულებულიყო.

ეს იყო ნესტიანი, დაბალი მიწისქვეშეთი, რომლის გარე კედელს დაახლოებით, რვა ნაბიჯი სიგანე და ათი ნაბიჯი სიგრძე ჰქონდა. ჩირაღდნებითა და ფარნებით მკრთალად განათებულ ამ საშინელი აკლდამის შორეულ კუთხეში, ორი შავანაფორიანი კაცი, რომლებსაც თავზე ანახჩინები ჩამოეცვათ, ხმაამოუღებლივ ამზადებდა კირის ხსნარს, რომელსაც ოხშივარი ასდიოდა აშმორებულ ჰაერში. იქვე ხორა-ხორად ეწყო გათლილი ქვები, პირდაპირ კი მოჩანდა კე დელში გამოჭრილი ნიშა, რომელიც ვერტიკალურად დადგმულ დიდ კუბოს მოგაგონებდათ. მის წინ ხის მძიმე სავარძელი იდგა. იმავე კედელში შევნიშნე ისეთივე მოთეთრო ქვით ამოშენებული ორი სხვა ნიშა. ორივეს ღრმად ამოკვეთილი თარიღი ესვა. ერთი ამოშენებული იყო ას წელზე მეტი ხნის წინ, მეორე - სამოცდაათი წლის შემდეგ.

როცა მიწისქვეშეთში შევედით, იქ მხოლოდ ორი ბერი იყო. მალე მეორე დერეფნიდან ნაზი და საზეიმო გალობა შემოგვესმა. კარი გაიღო. ბერებმა მუშაობა შეწყვიტეს და კირის გროვას მოსცილდნენ. გალობა ისე კარგად ისმოდა, რომ სიტყვებიც გავარჩიე - ლათინური შესანდობელი ლოცვა იყო. შემდეგ გამოჩნდა თვითონ გუნდიც - რვა პირსაბურველიანი მონაზონი; მათ

წყვილწყვილად გაიარეს კარში, მოპირდაპირე კედელთან ჩამწკრივდნენ და დადუმდნენ. რამდენიმე წამიც და, ორი მონაზვნის თანხლებით შემოვიდა სიკვდილმისჯილიც, სულ ბოლოს კი გამოჩნდა შავანაფორიანი, ნახევრადშეშლილსახიანი მღვდელი - ჯვრით ხელში.

ეს წვრილმანები დამამახსოვდა, თუმცა მაშინ თითქოს ვერაფერს ვამჩნევდი, გარდა საბრალო მსხვერპლისა. იგი ვიცანი, თუმცა სულ ერთხელ ვნახე და, ისიც, მთავარის შუქზე. ქალი ძლიერ გამოცვლილიყო: მომხიბლავ სახეზე მკვდრისფერი დასდებოდა, მხოლოდ მუქ წითელ ტუჩებსა და ვარსკვლავებივით მოელვარე დიდრონ თვალებს შეენარჩუნებინა ძველი იერი. სწორედ ეს ქალი ვნახე სულ რაღაც რვა თვის წინ, როცა თავის მუხთალ საყვარელს ელაპარაკებოდა, ოღონდ, ახლა მისი შოლტივით ტანი სასიკვდილო სუდარაში გახვეულიყო, რომელზეც შავი თმები ტალღისებურად ჩამოშლოდა; მას ხელში მძინარე ბავშვი ეჭირა და დროდადრო მღელვარებით გულში იკრავდა.

იზაბელა დე სიგუენსა თავისი სამარის წინ გაჩერდა და დაფეთებული აქეთიქით იყურებოდა, თითქოს შველას ითხოვსო, მაგრამ ამაოდ აშტერდებოდა მისი სასოწარკვეთილი თვალები კაპიუშონებით სახედაფარულ მაყურებლებს. მალე მან დაინახა ნიშა, აორთქლებული კირი და აკანკალდა. ალბათ, დაეცემოდა, იქვე მონაზვნები რომ არ მდგარიყვნენ, - მათ ხელკავი გამოსდეს საბრალო ქალს, სავარძელთან მიიყვანეს და ცოცხალი გვამივით დასვეს.

დაიწყო საშინელი რიტუალი. ბერი მისჯილის წინ გაჩერდა, მისი დანაშაული გამოაცხადა და განაჩენი წაიკითხა: დაე, ის და მასთან ერთად მისი ცოდვის ნაყოფი ღმერთთან მარტო დარ-

ჩნენ, რათა იგი მოეპყრას მათ საკუთარი ნების თანახმად.უბე-
დურ ქალს ალბათ არც განაჩენი გაუგონია და არც მის მერე
წარმოთქმული შეგონებანი. ბოლოს, ბერმა დაამთავრა, პირჯვა-
რი გადაიწერა, ჩემკენ მობრუნდა და მითხრა: - მიუახლოვდი
ცოდვილს, ძმაო ჩემო, დაელაპარაკე, სანამ დროა!

შემდეგ იქმყოფებს უბრძანა, მიწისქვეშეთის შორეული კუთ-
ხისკენ დაეხიათ, ჩვენი საუბარი რომ არ გაეგოთ. ბრძანება ყვე-
ლამ უსიტყვოდ შეასრულა. ვფიქრობ, მათ სიკვდილმისჯილის
აღსარების მოსასმენად მისული ბერი ვეგონე. ქალს გულის ფან-
ცქალით მივუახლოვდი, დავიხარე და ყურში ჩავჩურჩულე: მის-
მინეთ, იზაბელა დე სიგუენსა! - როცა მისი სახელი ვახსენე, იგი
ათრთოლდა.

- სად არის დე გარსია, რომელმაც შეგაცდინათ და მერე მიგა-
ტოვათ?

- საიდან იცით მისი სახელი? - მკითხა მან. - წამებითაც კი ვერ
მათქმევინეს მისი ვინაობა...

- მე ის კაცი ვარ, დე გარსიას იმ ღამით რომ ვებრძოდი, როცა
დაგიჭირეს. თქვენ რომ ხელი არ შეგეშალათ, მას იქვე მოვ-
კლავდი.

- მე ის ვიხსენი და ესაა ჩემი ნუგეში.

- იზაბელა დე სიგუენსა, - განვაგრძე მე, - მე თქვენი ყველაზე
გულწრფელი და უკანასკნელი მეგობარი ვარ, რაშიც ახლავე
დარწმუნდებით... მითხარით, სად არის ის კაცი! ჩვენს შორის ან-
გარიშია, რომელიც უნდა გავასწოროთ.

- თუ ჩემი მეგობარი ხართ, ნუ მტანჯავთ. მისი ამბავი არ ვიცი.
რამდენიმე თვის წინ გაემგზავრა იქ, სადაც საეჭვოა, რომ თქვენ
ოდესმე მოხვდეთ. ის ინდოეთში წავიდა... სულ ერთია, მას იქაც
ვერ ი პოვით...

- ვინ იცის! ყოველ შემთხვევაში, თუ ჩვენ მაინც შევხვდებით ერთმანეთს, ხომ არ გინდათ, რაიმე გადავცე?

- არაფერი. თუმცა... უამბეთ მას, როგორ მოვკვდით ჩვენ, მისი ცოლი და შვილი... უთხარით, რომ გავაკეთე ყველაფერი, რათა ინკვიზიციას არ გაეგო მისი ნამდვილი სახელი, თორემ ისიც ჩვენს ბედს გაიზიარებდა.

- სულ ეს არის? - ისევ შევეკითხე.

- ჰო... გადაეცით, რომ სიკვდილამდე მიყვარდა და ყველაფერი ვაპატიე.

- ცოტა დრო დამრჩა, - ვუთხარი მე, - მისმინეთ! მე ვიყავი თანაშემწე ანდრეს დე ფონსეკასი, რომლის რჩევა-დარიგებას არ დაუჯერეთ და თავი დაიღუპეთ. აბატისას მივეცი ერთი წამალი. როცა ის მოგაწოდებთ წყლით სავსე ფიალას, დალიეთ და მოასმევინეთ ბავშვსაც. ასე თუ მოიქცევით, ადვილად და უმტკივნეულოდ მოკვდებით. მიხვდით, რაც გითხარით?

- კი! - წაიჩურჩულა მან და სული შეეხუთა, - უფალმა მოგიზღოთ სამაგიერო ამ სიკეთისთვის! ახლა აღარ მეშინია, დიდი ხანია, მინდოდა სიკვდილი, მაგრამ ამ სასჯელისა მეშინოდა.

- მაშ, მშვიდობით, უბედურო ქალო! ღმერთი იყოს თქვენი შემწე!

- მშვიდობით! - მი პასუხა მან. - რატომ მიწოდებთ უბედურს, თუკი ასეთი მსუბუქი სიკვდილით მოვკვდები, თანაც იმასთან ერთად, ვინც მიყვარს? - იზაბელამ ჩვილს დახედა.

მოვცილდი და კედელთან თავჩაქინდრული დავდექი. დომინიკანელმა მაშინვე ყველას უბრძანა, თავიანთი ადგილები დაეკავებინათ.

- გზააბნეულო დაო, - კვლავ მიმართა მან სიკვდილმისჯილს, - ხომ არ გსურს, თქვა რაიმე, სანამ შენი ბაგეები სამუდამოდ დადუმებულან?

- კი, მინდა, - უპასუხა იზაბელა დე სიგუენსამ ნაზი ხმით. როცა გაიგო, რომ სწრაფად და უმტკივნეულოდ მოკვდებოდა, ხმაც თითქოს აღარ უკანკალებდა.

- მინდა გითხრათ, რომ ვკვდები წმინდა სინდისით, ვინაიდან, თუ ცოდვა ჩავიდინე, ეს მხოლოდ ადათის და არა ღმერთის წინააღმდეგ... მართალია, გავტეხე აღთქმა, რომელიც ძალით მიმაღებინეს და ამიტომ არაფერს მავალებდა. მე დავიბადე სიყვარულისა და სინათლისთვის, თქვენ კი ჩამკეტეთ მონასტრის ბნელეთში. სწორედ ამის გამო გავტეხე აღთქმა და მიხარია, რომ ასე მოვიქე ცი, თუმცა, ეს სიცოცხლის ფასად მიჯდება. თუ მომატყუეს და ჩემი ჯვრისწერა არ იყო ნამდვილი, ამაზე არაფერი მინდა ვიცოდე, ვინაიდან იგი სულერთია, ჩემთვის მაინც რჩება ჭეშმარიტად წმინდად და ღვთის წინაშე სინდისიც სუფთა მაქვს. მე ვიცხოვრე ნამდვილი ცხოვრებით, რამდენიმე ბედნიერი საათით, ვიყავი ცოლიც და დედაც; დღეს, მიჯობს, უცებ დავასრულო სიცოცხლე, ვიდრე ნელ-ნელა ამომხდეს სული მონასტრის რომელიმე სენაკში. ახლა მოისმინეთ, რასაც გეტყვით! თქვენ გყოფნით თავხედობა, უთხრათ ღვთის შვილებს, „არ გაბედოთ სიყვარულიო“ და მათ კლავთ ერთმანეთის სიყვარულისთვის. თქვენ ურჯულოები ხართ და თქვენი ბოროტება თავადვე დაგატყდებათ თავს! დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები. თქვენს ეკლესიასა და თქვენ, მის მსახურებს, მომავალი თაობა წყევლა--კრულვით მოგიხსენიებთ!

განცვიფრებამ და შიშნარევმა ჩურჩულმა გადაუქროლა მთელ მიწისქვეშეთს.

- გაგიჟდა! - წამოიძახა დომინიკანელმა. - გონება დაკარგა და ჭკუიდან შეშლილი, ღმერთს გმობს! შეაგონე და გზა დაულოცე მას, ძმაო ჩემო, რაც შეიძლება ჩქარა, ვიდრე კიდევ რაიმეს იტყოდეს, - მიმართა მან შავანაფორიანს.

მღვდელი გამჭოლი, ბოროტი თვალებით მიუახლოვდა ქალს, ჯვარი ცხვირთან მიუტანა და რაღაც ჩაიბუტბუტა. მაგრამ ქალი უცებ წამოდგა სავარძლიდან და ჯვარს ხელი ჰკრა.

- შორს! - წამოიძახა მან. - ვინ მოგცა უფლება, აღსარება მათქმევინო?! ჩემს ცოდვებს ღმერთის წინაშე მოვინანიებ და არა ისეთთან, როგორიც შენ ხარ! აქ ადამიანებს ჟლეტთ ქრისტეს სახელით!

ამ სიტყვებმა ფანატიკოსი საშინლად გააბრაზა.

- წარვედ ჯოჯოხეთს მოუნანიებელი, შეჩვენებულო!- დაიღრიალა მან და უწმაწური ლანძღვა-გინებით საბრალო ქალს მძიმე ჯვარცმა პირდაპირ სახეში სთხლიშა.

გაბრაზებულმა დომინიკანელმა მღვდელს უბრძანა, გაჩუმებულიყო. იზაბელა დე სიგუენსამ კი გახეთქილი შუბლიდან სისხლი მოიხოცა და შემდეგ გიჟივით გადაიხარხარა. - ოჰო, ახლა ვხედავ, რომ სხვა სიკეთესთან ერთად, მშიშარაც ყოფილხარ! - უთხრა მან მღვდელს. - სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში ვევედრები ღმერთს, რომ შენ თვითონ გახდე ფანატიკოსთა მსხვერპლი და კიდევ უფრო საშინელი სიკვდილით მოკვდე, ვიდრე მე!

როცა ნიშაში შეაგდეს, ის კვლავ ალაპარაკდა: - მოგვეცით წყალი, მე და ბავშვს!

საპყრობილის კართან, სადაც მანამდე სიკვდილმისჯილი იჯდა, დავინახე, როგორ გამოჩნდა აბატისა წყლიანი ფიალითა და მრგვალი პურით ხელში; სახეზე შევატყვე, რომ მას უკვე ჩასხმული ჰქონდა ჩემი საწამლავი. ამის მეტი აღარაფერი დამინახავს.

მაშინვე ვთხოვე დომინიკანელს, ჩქარა გაეღო კარი და მიწისქვეშეთიდან გამოვეშვით. დერეფანში რამდენიმე ნაბიჯი გავიარე და ნანახი საშინელებით გაშეშებული, ღმერთმა იცის, რამდენ ხანს ვიდექი იქ, ერთ ადგილას. ბოლოს, აბატისაც მოვიდა ფარნით ხელში.

- ყველაფერი გათავდა, - მითხრა მან და გულამოსკვნილი ატირდა. - არა, ნუ გეშინიათ, თქვენმა წამალმა იმოქმედა. პირველი ქვაც არ იყო ამოშენებული, რომ დედა-შვილს უკვე ეძინა. მაგრამ მოუნანიებლად და უაღსარებოდ მოკვდა. ეჰ, წაწყმდება მისი სული!

- წაწყმდება ყველა ის, ვინც ერია ამ საქმეში! - ვუპასუხე მე. - ახლა კი გამიყვანეთ აქედან, წმინდა დედაო, ღმერთმა ქნას, რომ კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს!..

მან ისევ წამიყვანა სენაკში, სადაც მაშინვე გავიხადე ბერის სამოსელი. იქიდან ბაღის გალავნის კარისკენ გავეშურე, მერე - ნავისკენ, რომელიც მდინარის პირას მელოდებოდა. ღამის ნიავის ქროლვა რომ ვიგრძენი, ისე გამეხარდა, თითქოს საშინელი სიზმრისგან გამოვფხიზლდი. ამ ამბიდან კარგა ხანს ნორმალურად არ მეძინა. საკმარისი იყო, თვალები დამეხუჭა, რომ იმწამსვე მეჩვენებოდა ის საბრალო ქალი - ისეთივე, როგორიც უკანასკნელად ვნახე: სუდარაში გახვეული და ჩირადღნების შუქით ბუნდოვნად განათებული, იგი ამაყად, ქედმოუხრელად იდგა ქვის კუბოს მსგავს ნიშაში, ერთი ხელით გულში იკრავდა თავის პირმშოს, ხოლო მეორე შხამიანი ფიალისკენ გაეწვდინა.

საეჭვოა ვინმემ ისურვოს ამგვარი სურათის ორჯერ ნახვა. ისეთები კი, ვინც მსგავსი რამ თუნდაც ერთხელ ნახა, ძალიან ცოტაა, ვინაიდან ინკვიზიცია და მისი დამქაშები, თავიანთი ბოროტმოქმედების ჩადენისას ცდილობდნენ, მოწმეები მოესპოთ.

თუ სათანადოდ ვერ აღვწერე იმ ღამეს მომხდარი ამბები, ეს აიხსნება იმით, რომ დღესაც, თითქმის სამოცდაათი წლის შემდეგ, ყველა იმ საშინელებაზე წერა მიძნელდება. შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე განსაცვიფრებელი, რაც იმ ღამეს ვნახე, გაუბედურებული ქალის ფაქიზი გრძნობა იყო არამზადასადმი, რომელმაც ის შეაცდინა, ყალბი ჯვრისწერით მოატყუა, მერე კი მიატოვა, რომ სასტიკ წამებაში მომკვდარიყო. მას დე გარსია სიცოცხლის უკანაკნელ წუთამდე უყვარდა. რით დაიმსახურა ამ არაკაცმა ასეთი წმინდა მსხვერპლი? არ ვიცი. მხოლოდ ის ვიცი, რომ ეს სწორედ ასე იყო. ამგვარად მოკვდა იზაბელა დე სიგუენსა, რომელიც ხუცესებმა მათეული ცხოვრების წესის დარღვევისთვის გასწირეს.

როცა იმ საშინელ ღამეს ნანახით გამოწვეული მღელვარება ოდნავ დამიცხრა, ისევ საკუთარ მდგომარეობაზე დავიწყე ფიქრი. მე უკვე მდიდარი ვიყავი და მთელი ჩემი ქონებით ნორფოლკში დაბრუნება რომ მომენდომებინა, შესანიშნავი მომავალი მექნებოდა. მაგრამ დადებული ფიცი ლოდივით მაწვა გულზე. როგორ ვიძიებდი შურს, თუ ინგლისში დავბრუნდებოდი და მყუდროდ ვიცხოვრებდი?!

ახლა ვიცოდი, სად იყო ჩემი მტერი, ყოველ შემთხვევაში, წარმოდგენა მქონდა, დედამიწის რომელ კუთხეში უნდა მეძებნა. იქ, სადაც თეთრკანიანები ცოტანი არიან, დე გარსია ვერ შეძლებს ისე დამალვას, როგორც ესპანეთში. ასე მითხრა იზაბელა დე სიგუენსამ და რომ არა ის, არასოდეს გავემგზავრებოდი ესპანიოლაში.ვერასოდეს დავბრუნდებოდი ინგლისშიც, ოთომის ქურუმებს თავიანთი ღმერთებისთვის მსხვერპლად რომ არ შეეწირათ ჯალათი მამა პედრო, ვინაიდან ესპანელებიც არ შემოარტყამდნენ ალყას ქალაქს და მე, ალბათ, დღემდე იქ ვიქნე-

ბოდი, ცოცხალი ან მკვდარი. ასეც ხდება: ერთი შეხედვით, თითქოს

სრულიად უმნიშვნელო შემთხვევა ხშირად ადამიანის მომავალს განსაზღვრავს! დიახ, იზაბელას ნათქვამმა ჩამიყვანა უცნობ ქვეყანაში! ჩემი ჯიუტი ხასიათის გამო წავედი საკუთარი სურვილის წინააღმდეგ, არ დავუჯერე ჩემი მწყალობლის სიკვდილისწინა რჩევა-დარიგებას და გადავწყვიტე, მტერს გავკიდებოდი. ჯერ უნდა გამერკვია, მართლაც გაემგზავრა თუ არა დე გარსია ინდოეთში. გავიგე, რომ ვიღაც კაცი, რომელიც აღწერილობით ძალიან ჰგავდა მას, თუმცა, სხვა სახელს ატარებდა, სევილიიდან კანარის კუნძულებისკენ მიმავალი კარაკით გამგზავრებულიყო, რომელიც იქ სხვა ხომალდებს უნდა დალოდებოდა და მათთან ერთად წასულიყო ესპანიოლაში.

ერთმანეთს მთელი რიგი გარემოებანი შევადარე და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ის კაცი, უთუოდ ხუან დე გარსია იყო. გასაკვირსაც ვერაფერს ვხედავდი, რადგან მაშინ ყველა ჯურის ავანტიურისტი და არამზადა, ვისაც ესპანეთში უკვე აღარ დაედგომებოდა, ვესტინდოეთში გარბოდა. გადავწყვიტე, მის კვალს გავყოლოდი - წარმოდგენაც არ მქონდა იმ საფრთხეებზე, რაც წინ მელოდა.

გამგზავრებამდე, ცხადია, ჩემი ქონება უნდა დამებინავებინა. შემთხვევით ყური მოვკარი, იარმუტიდან კადისში „ავანტიურისტი ქალი“ (ხომალდი, რითაც ინგლისიდან ესპანეთში ჩამოვედი) მოვიდაო. მაშინვე გადავწყვიტე, ოქრო და დანარჩენი ძვირფასი ნივთები ინგლისში გამეგზავნა, სადაც ყველაფერს შემინახავდნენ. იმ დღესვე ვაფრინე შიკრიკი ჩემს მეგობართან, ამ გემის კაპიტან ბელთან და შევატყობინე, რომ მისი გემით ძვირფასეულობის ინგლისში გაგზავნა მინდოდა. ამ დროს მეც სამგზავ-

როდ ვემზადებოდი. ძალიან მეჩქარებოდა და იძულებული გავხდი, მეტად დაბალ ფასად გამეყიდა ჩემი მწყალობლის სახლი და ბევრი სხვა ნივთი. ვუბრძანე, ყუთებში ჩაეწყოთ წიგნების უმეტესი ნაწილი, ჭურჭლეული და ისინი მდინარით კადისში გავაგზავნე - იმ ვაჭრების სახელზე, რომლებთანაც იარმუტელი ვაჭრების სარეკომენდაციო წერილები მქონდა. მალე მეც წავედი და თან წავიღე ოქრო, რაც წინასწარ პატარ-პატარა ტომსიკებში და ბარგში გადავანაწილე.

ამგვარად, ერთი წლის ცხოვრების შემდეგ, სევილია სამუდამოდ დავტოვე. ამ ქალაქმა ბევრი სიკეთე მომიტანა: ჩამოვედი ღარიბი და მივდიოდი მდიდარი. ლაპარაკიც ზედმეტი იყო იმ უდიდეს გამოცდილებაზე, რაც თავისთავად, საკმაო ღირებულებას წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, აქედან წასვლა მაინც მიხაროდა - აქ ისევ გამისხლტა ხელიდან ხუან დე გარსია, დავკარგე ყველაზე საუკეთესო მეგობარი, ანდრეს დე ფონსეკა და ვნახე ინკვიზიციის მსხვერპლის, იზაბელა დე სიგუენსას ცოცხლად დამარხვა.

კადისში ისე ჩავედი, რომ არაფერი დამკარგვია. ნავსადგურში ნავი დავიქირავე და მალე „ავანტიურისტ ქალზე“ აღმოვჩნდი, სადაც კაპიტანი ბელი მელოდებოდა. მას ძალიან გაუხარდა ჩემი დანახვა და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა სამი წერილი გადმომცა: ერთი მამაჩემისგან, მეორე დაიკო მერისგან და მესამე - ლილი ბოზარდისგან.

თუმცა, წერილების შინაარსი სრულებით არ გამოდგა სასიხარულო. მამა ძალიან ავად ყოფილა და ლოგინიდან თითქმის ვეღარ დგებოდა (როგორც შემდეგ გაირკვა, იგი გარდაცვლილა დითჩინჰემის ეკლესიაში, სწორედ იმ დღეს, როდესაც მისი წერილი მივიღე). მამაჩემის წერილი მოკლე და სევდიანი იყო: ძა-

ლიან ვწუხვარ, რომ გაგიშვი, ალბათ, ვეღარ გნახავ, ამიტომ ღმერთს ვევედრები, სამშობლოში მშვიდობიანად დაბრუნდეო, მწერდა.

რაც შეეხება ლილის წერილს, რომლის გამოგზავნაც ჩუმად მოუხერხებია, მატყობინებდა, როგორც კი აქედან გაემგზავრე, შენმა ძმამ მამაჩემის თანხმობა მიიღო და ორივე ერთად ძალადობენ ჩემზე, სიცოცხლე ახლა ნამდვილ ჯოჯოხეთად მექცაო. მამა ყოველდღე თავს მაბეზრებს, გაჯიუტებულ ვირს მეძახის, რატომ ამბობ უარს სიმდიდრეზე, ვიღაც ღატაკი მაწანწალას გამოო. „მაგრამ მერწმუნე, საყვარელო, ჩემს ფიცს არ ვუღალატებ! და თუ მაინც შეძლეს საკურთხევლამდე ჩემი ძალით მიყვანა, დიდხანს ვერ ვიქნები მისი ცოლი. ალბათ, სირცხვილითა და ჯავრით მოვკვდები. რატომ მარგუნა ბედმა ასეთი ტანჯვა? ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ შენ ღარიბი ხარ? მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, მაინც მაქვს იმედი, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება, თუნდაც იმიტომ, რომ შენი და სერიოზულად მოსწონს ჩემს ძამიკოს. მერი უილფრიდის ჩვენს მხარეზე გადმობირებას მოახერხებს“.

დაახლოებით ასეთივე შინაარსისა იყო ჩემი დის ბარათიც: ჯერ ვერაფერი გავაკეთე შენთვის და ლილისთვის; ჯეფრი გაგიჟებულია, მამა მძიმედაა ავად და არაფერში ერევა, სკვაირ ბოზარდს კი თვალები სულ ჩვენს ადგილ-მამულზე უჭირავს, ამიტომ დაჟინებით მოითხოვს ჯეფრისა და ლილის დაქორწინებას. იმედი მაქვს, ეს სიტუაცია მალე შეიცვლება, ალბათ, მალე შევძლებ, სიტყვა შეგაწიო და მგონი, - წარმატებითო.

ინგლისიდან მიღებულმა ამბებმა დამაფიქრა. ჩემში ახალი ძალით იფეთქა ნოსტალგიამ, რაც მუდამ თან მდევდა, როგორც განუყრელი ცდუნება. ლილის თბილმა სიტყვებმა და მისი წერი-

ლის სურნელებამ ამაფორიაქა და მის გვერდით ყოფნა მომინდა; ამასთან, დარწმუნებული ვიყავი ხელგაშლილი შემხვდებოდნენ, ვინაიდან ჩემი ქონება ბევრად მეტი იყო ჯეფრის მემკვიდრეობაზე, ხოლო ისეთ სასიძოს, ვისაც ჯიბეში თორმეტი ათასი ოქროს ფული უჩხრიალებს, გარეთ არ აგდებენ! ამასაც რომ თავი დავანებოთ, ძალიან მინდოდა, მამა მენახა, ვიდრე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო!

მაგრამ ჩემსა და სამშობლოს შუა ხუან დე გარსიას აჩრდილი და ჩემი ფიცი იდგა. მე ისე დიდხანს ვისწრაფვოდი შურისძიებისკენ, იმდენად ვიყავი შეპყრობილი ამ გრძნობით, რომ ბედნიერ ცხოვრებაზე ვერ ვიფიქრებდი, სანამ მიზანს არ მივაღწევდი. ჩემი დაშოშმინება მხოლოდ გარსიას სიკვდილს შეეძლო. მჯეროდა, ვიდრე იგი ცოცხალი იყო, მისი აჩრდილი არ მომასვენებდა.

გამოსავლის ძებნა დავიწყე - ნოტარიუსს ნაჩუქრობის საბუთი მოვამზადებინე, ინგლისურად ვთარგმნე და რამდენიმე სანდო პირს დავამოწმებინე. ფული სამ ნაწილად გავყავი და სამ პიროვნებას ჩავაბარე: ჩემს მასწავლებელს, უაღრესად პატიოსან ბანგელ ექიმ გრიმსტონს, ჩემს დას - მერის და საცოლეს, ლილი ბოზარდს. ნაჩუქრობის საბუთის თანახმად, რაც მეტი უტყუარობისთვის კაპიტან ბელსა და კიდევ ორ ინგლისელს დავამოწმებინე, ზემოხსენებულ სამ პირს უფლება ეძლეოდა, ჩემი ქონება მოეხმარა საკუთარი შეხედულებისამებრ, ოღონდ ერთი პირობით: მთელი თანხის არა ნაკლებ ნახევრისა დაებანდებინა ადგილ-მამულში, დანარჩენი - სხვა შემოსავლიან საქმეებში. მოგება და ადგილ მამულის შემოსავალი უნდა მიეღო ლილი ბოზარდს, სანამ ის არ გათხოვდებოდა. ამასთან ერთად შევადგინე ანდერძიც, რომლის თანახმად, ქონების უმეტესი ნაწილი, ჩემი სიკვდილის შემთხვევაში, გადადიოდა ლილი ბოზარდის

საკუთრებაში, თუ იგი იმ დროისთვის უქმრო იქნებოდა, დანარჩენი კი გადაეცემოდა ჩემს დას. ლილის გათხოვების ან სიკვდილის შემთხვევაში, მისი წილი დარჩებოდა მერის ან მის მემკვიდრეს.

როცა ორივე საბუთი გავაფორმე და დავლუქე, ისინი სხვა ქონებასთან ერთად კაპიტან ბელს ჩავაბარე, რათა ბანგში ჩაეტანა და გადაეცა ექიმ გრიმსტონისთვის, რომელსაც, ჩემი განკარგულებით, მიმტანი უხვად უნდა დაესაჩუქრებინა. აცრემლებული კაპიტანი მეხვეწა, ჩემთან ერთად ინგლისში დაბრუნდიო და როდესაც გადაჭრით ვუთხარი უარი, შემპირდა, ყველაფერს ზუსტად შევასრულებო.

ოქროსა და საბუთებთან ერთად რამდენიმე წერილიც გავგზავნე: მამის, დის, ძმის, ექიმ გრიმსტონის, სკვაირ ბოზარდისა და ლილის სახელებზე. ამ წერილებში მათ ჩემი ესპანეთში მოგზაურობის ამბავი ვუამბე, რადგან დავრწმუნდი, რომ არც ერთ ჩემ წინანდელ წერილს ინგლისამდე არ მიუღწევია. ამასთან, ვაცნობე ჩემი გადაწყვეტილება - უნდა მოვძებნო დე გარსია, მიწაშიც რომ ჩაძვრეს-მეთქი.

„მე თვითონ ვშორდები ან შეიძლება, სამუდამოდ ვკარგავ ისეთ ბედნიერებას, რაც უძვირფასესია ჩემთვის მთელ დედამიწაზე, - ვწერდი ლილის, - დაე, ადამიანებმა გიჟად ჩამთვალონ! შენ კარგად მიცნობ და არ დამძრახავ, თუმცა ჩემი გადაწყვეტილება დაგამწუხრებს. შენ ხომ იცი, თუ რამე გადავწყვიტე, ვერაფერი დამახევინებს უკან. მე კი, სხვა არა იყოს რა, ფიცი მაქვს დადებული და საკუთარი სინდისი არ მომცემს უფლებას, გავტეხო იგი. შენთანაც რომ ვიყო, ვერ ვიქნები ბედნიერი, თუ მტრის ძებნაზე ხელს ავიღებ. ჯერ საქმე, მერე - დასვენება, ჯერ მწუხარება და მხოლოდ შემდეგ - სიხარული. მჯერა, არ დავიღუპები

და მშვიდობით დავბრუნდები. იმ შემთხვევისთვის კი, თუ დაბრუნება არ მიწერია, ყველაფერი გავაკეთე, რომ არასოდეს გათხოვდე შენი სურვილის წინააღმდეგ; ოღონდ ახლა, ვიდრე დე გარსია ცოცხალია, მას ვერ შევეშვები“.

ჩემს ძმას, ჯეფრის, ყველაზე მოკლე წერილი მივწერე, სადაც გავუზიარე ჩემი აზრი, რასაც ვფიქრობდი ისეთ ადამიანზე, რომელიც უმწეო ქალიშვილს სდევნიდა და საზიზღრობას ჩადიოდა შინ არმყოფი ძმის მიმართ (შემდგომ მიამბეს, წერილი არ მოეწონაო).

აქვე ვიტყვი, რომ ქვემოთ ნახსენებ ამბავს სანამ გავიგებდი, ბევრმა, ძალიან ბევრმა წყალმა ჩაიარა. წერილები და ჩემი ბარგი მშვიდობიანად ჩასულა იარმუტში. ოქრო და ნივთები მერე ლოუსტოფში გადაუგზავნიათ, კარაპაზე დაუტვირთავთ და როცა კაპიტანმა ბელმა თავისი ხომალდი დაცალა, იგი ამავე კარაპით გამგზავრებულა მდინარე უეივნის აღმა, ბანგამდე და ყველაფერი ექიმ გრიმსტონის სახლში გადაუზიდავს.

კაპიტან ბელს ყველა ადრესატისთვის წინასწარ შეუტყობინებია, ექიმის სახლში შეკრებილიყვნენ. მას ყველა ადგილზე დახვედრია, გარდა მამაჩემისა, რომელიც ორი თვის წინ გარდაცვლილა.

შეკრებილებს უხმოდ მოუსმენიათ კაპიტნისთვის, მაგრამ უსაზღვროდ განცვიფრებულან, როდესაც სკივრები გაუხსნიათ და შიგთავსის აწონვა დაუწყიათ, რათა ჩემს წერილში მოყვანილ ციფრებთან შეემოწმებინათ, ვინაიდან იმდენი ოქრო ბანკშიც კი არავის ჰქონდა ნანახი.

თურმე ლილი ჯერ სიხარულისგან ატირებულა, რადგან ახლა მდიდარი ვიყავი, მერე კი - მწუხარებისგან, ჩემს განძეულობასთან ერთად სამშობლოში რომ არ დავბრუნდი. სკვაირ ბოზარდს

დაუნახავს თუ არა ოქრო და ჩემი ნაჩუქრობის წერილის შინაარსი გაუგია, რამაც ლილი უცებ შეძლებულ ქალად აქცია, ყველას გასაგონად დაუფიცია, თითქოს მუდამ კარგი აზრის ყოფილიყო ჩემზე, მერე გადაუკოცნია თავისი ქალიშვილი, გამდიდრება მიულოცავს და ბედნიერება უსურვებია.

მოკლედ რომ ვთქვათ, ყველანი კმაყოფილნი დარჩენილან, გარდა ჩემი ძმისა, რომელიც სახლიდან უსიტყვოდ გამოვარდნილა. ამ დღიდან მას უწესო ცხოვრება დაუწყია და ზნეობრივად დაცემულა, - მას ხომ სასურველი ფიალა გამოსტაცეს, ისე, რომ ერთი წვეთიც არ გაასინჯეს! ჯეფრიმ მემკვიდრეობით მიიღო მამაჩვენის მთელი ავლადიდება და ეგონა, ლილი აუცილებლად მისთხოვდებოდა - ნებით თუ არა, ძალდატანებით მაინც, რადგან ჩვენს დროშიც კი, მამას შეუძლია თავისი ქალიშვილი იძულებით გაათხოვოს!

სკვაირი ბოზარდი, რომელსაც ზედმეტად მიაჩნდა, გასათხოვარი ქალის სურვილის გათვალისწინება, რა თქმა უნდა, თავისას გაიტანდა. მაგრამ იმ დღიდან ყველაფერი შეცვლილა. დიახ, დიდია ოქროს ძალა! ამის შემდეგ ლილის გათხოვებაზე ლაპარაკიც აღარ ყოფილა! ახლა მას რომ მოესურვებინა გათხოვება, მამამისი არ დაანებებდა, რადგან მისი ქალიშვილი მთელ სიმდიდრეს დაკარგავდა. სამაგიეროდ, ყველას ხმამაღლა გამოუთქვამს თავისი აღშფოთება იმის გამო, რომ მტრის კვალს შორეულ ვესტინდოეთში მივყვებოდი. სკვაირი ბოზარდს თავი უნუგეშებია, დაიღუპება თუ გადარჩება, ფული ჩემს ქალიშვილს დარჩებაო! მარტო ლილი გამომსარჩლებია: - თომასმა ფიცი დადო და უნდა შეასრულოს, ეს მისი სინდისის საქმეა! მე დავიცდი, ვიდრე ერთმანეთს ამქვეყნად ან საიქიოში არ შევხვდებითო.

11

მთელი კარაკა გაჭედილი იყო ავანტიურისტებით, უმეტესად - განსაცვიფრებელი ბიოგრაფიების მქონე ყველა ჯურის თაღლითებით. უნდა აღვნიშნო, რომ ისინი არც ისე ცუდი თანამგზავრები იყვნენ, სანამ არ დათვრებოდნენ. იმ დროისთვის იმდენად დაუფლებული ვიყავი კასტილიურ კილოს, რომ გემზე ყველა თავიანთ თანამემამულედ მთვლიდა, თანაც, შევთხზე სათანადო ზღაპარი ჩემს შთამომავლობასა და იმ მიზეზებზე, რამაც ვითომ მაიძულა, ბედი უცხო ქვეყნებში მეცადა. დანარჩენ ყველაფერში, უწინდებურად, მხოლოდ საკუთარი თავის იმედად ვიყავი. სხვათა შორის, ჩემი თავდაჭერილობისა და იმის მიუხედავად, რომ არ ვმონაწილეობდი აღვირახსნილ საერთო ღრეობაში, თანამგზავრებმა მალე შემიყვარეს, უმთავრესად იმიტომ, რომ მათ ვმკურნალობდი. ამ მოგზაურობაზე ბევრი არაფერია სათქმელი, თუ არ ჩავთვლით მის საბედ ისწერო დასასრულს. ერთი თვე კანარის კუნძულებზე გავატარეთ, მერე ესპანიოლაში გავემგზავრეთ. მთელი გზა შესანიშნავი ამინდი იყო, მხოლოდ სუსტი ქარი ქროდა, ამიტომ ხომალდი ნელა მიდიოდა.

როდესაც სანტო-დომინგომდე სულ რაღაც ერთი კვირის სავალიღა დარჩა, ამინდი მოულოდნელად შეიცვალა. ჩრდილოეთიდან საშინელი ქარიშხალი ამოვარდა, რაც ყოველ საათში ძლიერდებოდა. სამ დღე-ღამეს ჩვენს ხომალდს გრიგალი აკვნესებდა, აჭრიალებდა და, ღმერთმა უწყის, საით მიგვერეკებოდა. ბოლოს, აშკარა გახდა, რომ თუ ქარი მალე არ ჩადგებოდა, ჩვენ დავიღუპებოდით. ტლანქ ხომალდს ჭრაჭაჭრუჭი გაჰქონდა,

გრიგალმა ერთი ანძა მოგლიჯა, მეორეს ზედა ნაწილი წაატეხა და გემში წყალი შემოვიდა. ყველაფერი ეს არაფერს ნიშნავდა იმასთან შედარებით, რაც მერე მოხდა. ვეებერთელა ტალღამ გემს საჭე მოგლიჯა და მთლიანად დაეპატრონა. ერთი საათის შემდეგ მძვინვარე სტიქია ერთხელ კიდევ დაეჯახა გემბანს, ამოაძრო საღუზე საჭე და წყალი თქრიალით შევარდა ტრიუმში. ეს უკვე გარდაუვალი სიკვდილი იყო.

სწორედ ამ მომენტში დაიწყო ყველაზე შემზარავი ამბავი. უკანასკნელი დღეების განმავლობაში მეზღვაურებიც და მგზავრებიც განუწყვეტლივ ლოთობდნენ, რათა შიში დაეძლიათ და ახლა, როცა დაინახეს, რომ აღსასრული ახლოს იყო, აქეთ-იქით აწყდებოდნენ. ლოცვა, გოდება, წყევლა-კრულვა ერთმანეთში აირია. ვინც ჯერ კიდევ ფხიზლები იყვნენ, წყალში ნავები ჩაუშვეს. ერთ მღვდელთან ერთად მე შევეცადე, პირველ რიგში, ბავშვები და ქალები გადამერჩინა, რომლებიც, ჩემდა გასაკვირად, საკმაოდ იყვნენ გემზე, მაგრამ გაგვიძნელდა - გალეშილმა მეზღვაურებმა მიგვატოვეს და ნავებში გადაცვივდნენ. ერთ-ერთი ნავი იქვე გადაბრუნდა და ყველა შიგ მსხდომი დაიხრჩო. ამასობაში კარაკაც გადაიხარა და სწრაფად დაიწყო ჩაძირვა.

დრო არ ითმენდა, მღვდელს ვუთხარი, გამომყოლოდა; ზღვაში გადავხტი და მეორე ნავისკენ გავცურე, რომლის მართვასაც ამაოდ ცდილობდა რამდენიმე შეშინებული ქალი. კარგად ვცურავდი და არა მხოლოდ მშვიდობიანად მივაღწიე ნავამდე, არამედ წყლიდან მღვდლის ამოთრევაც მოვახერხე.

ამ დროს კარაკას ცხვირი მაღლა აიწია, კიჩო კი მთლიანად წყლით დაიფარა. ორი წუთით გაჩერდა ზედაპირზე, რამაც საშუალება მოგვცა, იქაურობას ცოტა მოვშორებოდით. მალე გემზე დარჩენილთა სასოწარკვეთილი ხმები გაისმა -კარაკა ჩაიძი-

რა. იქვე ახლოს რომ ვყოფილიყავით, ჩვენც თან ჩაგვიტანდა. შიშისგან ერთხანს გაუნძრევლად ვიდექით. მერე, როცა ხომალდის ჩაძირვის ადგილას შექმნილმა მორევმა ბობოქრობა შეწყვიტა, უკან დავბრუნდით. წყლის ზედაპირზე გემის ნამსხვრევები ტივტივებდა. ჩვენ მოვახერხეთ მხოლოდ ერთი ბავშვის გადარჩენა, რომელიც ნიჩაბს ჩაბღაუჭებოდა. ორასი ადამიანი გემთან ერთად ოკეანის უფსკრულში გაუჩინარდა. შესაძლოა, ვინმე კიდევ იყო ცოცხალი და წყლის ზედაპირზე იმყოფებოდა, მაგრამ სიბნელეში ვერავინ ვი პოვეთ. ნავში ათნი ვისხედით და მეტს ვეღარც დაიტევდა. მამაკაცი ორი აღმოვჩნდით - მე და მღვდელი. როგორც ვთქვი, უკვე ბნელოდა. ჩვენდა საბედნიეროდ, ღამით ზღვა რომ არ დაწყნარებულიყო, ჩვენც გადავბრუნდებოდით. ახლა მთავარი იყო ნავი ცხვირით ტალღებისკენ სწორად გვემართა. ასე გავატარეთ მთელი ღამე. უცნაური დასანახი, უფრო სწორად - გასაგონი იყო, როცა ჩემი კეთილი თანამგზავრი, მღვდელი, თან ნიჩბებს უსვამდა, თან ქალების აღსარებას ისმენდა და შეუნდობდა რა მათ ამქვეყნად ჩადენილ ცოდვებს, განგებას ჩვენი სულების ხსნას ევედრებოდა, რადგან სხეულის გადარჩენაზე უკვე აღარავინ ფიქრობდა. იმ ღამეს ისეთი რამ განვიცდე, რაც არასდროს მიგრძვნია, თუმცა წინ უფრო უარესი მელოდა...

როგორც იქნა, მზე ამოვიდა. გაგვეხარდა, სიცივისგან გაყინულები გავთბით, მაგრამ მალე სიცხეც აუტანელი გახდა. ნავში არც საჭმელი გვქონდა, არც სასმელი; განსაკუთრებით წყურვილი გვტანჯავდა.

ამასობაში ქარი ნიავმა შეცვალა. ნიჩბებისა და საბნებისგან რაღაც იალქნის მსგავსი გავაკეთეთ და ნავი საკმაო სისწრაფით წინ გაქანდა, თუმცა არ ვიცოდით, საით მიგვაქანებდა. შუადღი-

სას ერთი ბავშვი მოგვიკვდა და მისი ცხედარი ზღვაში ჩავუშვით. სამი საათის შემდეგ დედამისმა მთელი მათარა ზღვის წყალი დალია, ერთხანს თითქოს შეუნელდა წყურვილი, მაგრამ უცებ სიგიჟემ მოუარა, წამოხტა, ნავიდან გადავარდა და დაიხრჩო.

როცა მცხუნვარე მზე ჰორიზონტს ამოეფარა, ნავში დავრჩით მხოლოდ ორნი, რომლებსაც კიდევ შეგვეძლო ჯდომა - მე და მღვდელი. დანარჩენები ძირს ეყარნენ, ძლივს ინძრეოდნენ, ცოცხალ-მკვდარი თევზებივით სულს ღაფავდნენ და კვნესოდნენ. საღამოს აგრილდა დატანჯვაც ცოტაოდენ შეგვიმსუბუქდა. ღმერთს წვიმას ვევედრებოდით, მაგრამ არ ჩანდა. დილით მოწმენდილ ცაზე მზე ისევ გამოჩნდა, ვიგრძენით, რომ მას უკანასკნელად ვხედავდით, თუ რაიმე სასწაული არ გვიხსნიდა.

მზის ამოსვლიდან ერთი საათიც არ გასულა, რომ მეორე ბავშვმა დალია სული. როდესაც მის ცხედარს წყალში ვუშვებდი, შემთხვევით თავი ავწიე და შორს ხომალდი შევნიშნე. იგი ჩვენკენ მოდიოდა და ჩემი ვარაუდით, ჩვენგან ორი მილის დაშორებით უნდა გაევლო. მე და მღვდელმა ღმერთს მადლობა შევწირეთ ასეთი სასწაულისთვის, ნიჩბებს ხელი დავავლეთ და ძალუმად მოვუსვით, რათა გემისთვის გზა გადაგვეჭრა. ამასობაში ქარი იმდენად მიწყნარდა, რომ ჩვენმა უბადრუკმა იალქანმა ნავი ადგილიდან ვერ დაძრა.

ასე ვუსვამდით ნიჩბებს თითქმის ერთ საათს. ქარი სრულიად ჩადგა და ჩამოშვებულიალქნებიანი ხომალდი ჩვენგან სამი მილის მანძილზე გაჩერდა. მე და მღვდელმა უკანასკნელი ძალ--ღონე მოვიკრიბეთ და ნიჩბები ავამუშავეთ. ასე მეგონა ამ ნავში სული ამომხდებოდა - ოდნავი ნიავიც კი არ ანელებდა უმოწყალო სიცხეს და უკვე ბაგეები დაგვისკდა წყურვილის გამო. მიუხედავად ამისა, არ შეგვიწყვეტია ბრძოლა, სანამ იალქნების

ჩრდილი არ დაეცა ნავს და არ დავინახეთ მეზღვაურები, რომლებიც განცვიფრებით გვიცქერდნენ. ნავი ხომალდის გვერდზე მივაყენეთ, ზევიდან თოკის კიბე ჩამოეშვა და მალე ესპანური ლაპარაკიც გავიგონე.

არ მახსოვს, როგორ ავედი ხომალდზე, მახსოვს მხოლოდ ის, რომ ქერელის ტილოთი გადახურული ფარდულის ჩრდილში დავვარდი და დავეწაფე წყალს, რომელსაც ტოლჩებით მაწვდიდნენ. როგორც იქნა, წყურვილი მოვიკალი, მაგრამ პირში ლუკმა ვერ ჩავიდე, თუმცა საჭმელს ხელში მაჩრიდნენ. ისეთი გულისრევა და თავბრუსხვევა ვიგრძენი, რომ გონებადავკარგე. როცა გრძნობაზე მოვედი, მზე უკვე ზენიტში იყო.

მეგონა, ისევ მეძინა. თითქოს ნაცნობი და საძულველი ხმა მესმოდა, თუმცა სინამდვილეში, მარტო ვიყავი ფარდულქვეშ; ყველას ხომალდის კიჩოსთან მო ეყარა თავი - იქ ადამიანის ცხედარი იდო.

როგორც კი ოდნავ მოვსულიერდი, ხარბად დავეწაფე საჭმელ-სასმელს, ვიდრე გული არ ვიჯერე. ამასობაში მეზღვაურებმა ცხედარი ზღვაში გადაისროლეს. შევამჩნიე, რომ მკვდარს შავი ფერის კანი ჰქონდა. სამი კაცი, რომლებიც ჩაცმულობის მიხედვით ოფიცრებად მივიჩნიე, ჩემკენ წამოვიდა. მაშინვე წამოვდექი, რათა მივსალმებოდი.

- სენიორ, - დაილაპარაკა ყველაზე მაღალმა ოფიცერმა, სასიამოვნო და ზრდილობიანი კილოთი, - ნება მომეცით, მოგილოცოთ სასწაულებრივი...

ამ სიტყვებზე იგი უეცრად გაჩუმდა.

ნუთუ, ისევ ბურანში ვარ? - გავიფიქრე გულში. ეს ხმა ხომ ძალიან ნაცნობია! თავი ავწიე, ოფიცერს პირდაპირ შევხედე და სახტად დავრჩი: ჩემ წინ თვით ხუან დე გარსია იდგა!

თავის მხრივ, იმანაც მაშინვე მიცნო.

- კარამბა!- წამოიძახა დე გარსიამ. - აი, შეხვედრა! მოგესალმებით თქვენ, თომას ვინგფილდ! შეხედეთ, მეგობრებო, ვინ ამოგვითრევია ზღვიდან! - მიმართა მან თავის ორ ამხანაგს. - ეს ყმაწვილი ესპანელი არ არის, იგი ინგლისელი ჯაშუშია! ერთმანეთს ბოლოს სევილიის ერთ-ერთ ქუჩაში შევხვდით, ჩემი მოკვლა უნდოდა, ვინაიდან ხელისუფლებისთვის უნდა გადამეცა. ახლა კი ეს კაცი აქ აღმოჩნდა. საინტერესოა, რა მიზნით?

- ეს სიცრუეა! - ვუპასუხე მას. - მე ჯაშუში არ ვარ და აქ პირადმა საქმემ მომიყვანა. მინდოდა თქვენი ნახვა, ხუან დე გარსია!

- ოჰო! ამაში ბედმა გაგიღიმათ, მართლაც გაგიღიმათ! ოღონდ, მეტისმეტად გადაჭარბებული ხომ არ არის თქვენი წარმატება, სენიორ? ახლა კი მი პასუხეთ, მართალია თუ არა, რომ თქვენ ინგლისელი თომას ვინგფილდი ხართ?

- ეს მართალია, მაგრამ მე...

- დაიცათ! მაშინ რატომ მითხრა თქვენმა მეგობარმა მღვდელმა, რომ „ლას ჩინქუე გლაგას"-ზე დ,აილას სახელით მგზავრობდით?

- მქონდა საამისო საბაბი, ხუან დე გარსია.

- თქვენ ცდებით, სენიორ! მე სარსედას მეძახიან და ამას ჩემი ამხანაგებიც დაადასტურებენ. ოდესღაც მართლაც ვიცნობდი ერთ აზნაურს, სახელად დე გარსიას, მაგრამ იგი დიდი ხნის წინ გარდაიცვალა.

- სტყუი! - დავუყვირე მე, მაგრამ მისმა ერთ-ერთმა მეგობარმა იმწამსვე პირდაპირ კბილებში ჩამარტყა.

- წყნარად, გეთაყვა, - გააჩერა იგი დე გარსიამ. - ნუ გაისვრი ხელს ამ ვირთხაზე. თუ მაინცდამაინც მისი ცემა გინდა, უკეთესია, ჯოხი აიღო. თქვენ ხომ გაიგეთ, მეგობრებო, მან თვითონ

აღიარა, გამოგონილი სახელით მოვდიოდი და სინამდვილეში ინგლისელი ვარო! მაშასადამე, ჩვენი სამშობლოს მტერია. შემიძლია დავამატო, რომ პირადად ვიცნობ მას, როგორც ჯაშუშს, რომელსაც ჩემი მოკვლა უნდოდა. ახლა კი, სენიორებო, რამდენადაც ჩვენ აქ მისი უდიდებულესობის - მეფის წარმომადგენლები ვართ და სრული უფლება გვაქვს მონიჭებული, ასევე გვევალება, მას განაჩენი გამოვუტანოთ, მხოლოდ იმიტომ, რომ არავინ იფიქროს, თითქოს კანონის წინაშე ვცოდავ, რადგან ამ ინგლისელმა ძაღლმა მატყუარა მიწოდა. მის გასამართლებას თქვენ განდობთ.

ისევ დავაპირე რაღაცის თქმა, მაგრამ ესპანელმა, რომელმაც დამარტყა, ბანდიტისსახიანმა არამზადამ, დაშნა ამოიღო და მუქარით მითხრა, თუ კიდევ გაბედავ ხმის ამოღებას, ღმერთს ვფიცავ, ამ დაშნით მოგკლავო. ამის შემდეგ დუმილი ვარჩიე.

- კარგი სანახავი იქნება ეგ ინგლისელი, თუ ქანდარაზე ჩამოვკიდებთ! - ჩაილაპარაკა იმავე ესპანელმა.

დე გარსია თავისთვის გულგრილად ღიღინებდა რაღაც მოტივს. შემდეგ ზევით ანძისკენ აიხედა, მერე ჩემი კისერი შეათვალიერა და გაიღიმა. ცეცხლივით წამეკიდა მისი სიძულვილით აღსავსე შემოხედვა.

- მე უკეთესი წინადადება მაქვს, - ჩაერია ლაპარაკში მესამე ოფიცერი. - იგი რომ ჩამოვახრჩოთ, შეიძლება მითქმა-მოთქმა გამოიწვიოს, და ესეც რომ არ იყოს, კარგ მოგებას დავკარგავთ. თვითონ ხედავთ, საკმაოდ ჯანმრთელია და არა ერთ წელს გაძლებს მაღაროებში. წინადადება შემომაქვს, - იგი სხვა საქონელთან ერთად გავყიდოთ. თუ თქვენ წინააღმდეგი არა ხართ, მე ვიყიდი მას, ჩემს მამულში გამომადგება!

ამ სიტყვებზე დე გარსიას სახე ოდნავ გაუფითრდა. მას, რა თქმა უნდა, ჩემი თავიდან მოცილება ერჩია ერთხელ და სამუდამოდ, მაგრამ სიფრთხილის გამო უფრო გონივრულად ჩათვალა, წინააღმდეგობა არ გაეწია.

- რაც შემეხება პირადად მე, - ჩაილაპარაკა მან ნაძალადევი მთქნარებით, - წინააღმდეგი არ ვარ. წაიყვანე, ჩემო მეგობარო, თუგინდ უფასოდ, ოღონდ უფრთხილდი, ზურგში დანა არ ჩაგცეს.

ოფიცერმა გადაიხარხარა და უპასუხა: - საეჭვოა, მას ამის შესაძლებლობა მიეცეს! თვითონ მაღაროებში არ ჩავდივარ, ჩვენს ვაჟბატონს კი მოუწევს, მთელი თავისი სიცოცხლის დარჩენილი დღეები მიწისქვეშ, ასი ფუტის სიღრმეში გაატაროს. მერე მე მომიბრუნდა და მითხრა: - მგონი შენთვის ახლაც უკეთესია ქვევით იყო, ინგლისელო!

ოფიცერმა მეზღვაურს მოუხმო და უბრძანა, მოეტანა ის ბორკილი, რომელიც მკვდარს მოხსნეს. შემდეგ გამჩხრიკეს, წამართვეს შემორჩენილი ცოტაოდენი ოქრო, ფეხებზე ბორკილი დამადეს, იგი კისერზე ჩამოცმულ რგოლს შეუერთეს და ტრიუმში წამათრიეს. ვიდრე იქ მოვხვდებოდი, უკვე ვიცოდი, რას წარმოადგენდა ამ ხომალდის ტვირთი, - მას ფერნანდინაზე[4] მიჰყავდა დაჭერილი მონები, რომლებიც იქიდან ესპანიოლაში გასაყიდად გადაჰყავდათ. ახლა მეც ერთ-ერთი იმ მონათაგანი ვიყავი.

არ ვიცი, როგორ აგიწეროთ ტრიუმის ყველა საშინელება. იგი დაბალი, არა უმეტეს ექვსი ფუტი სიმაღლის იყო და ბორკილებიანი მონები პირდაპირ ხომალდის ფსკერზე ეყარნენ,

---

[4] ასე უწოდებდნენ ესპანელები კუნძულ კუბას

ტრიუმის აშმორებულ წყალში. ერთი კვირის წინ აქ დაახლოებით ორასი კაცი, ქალი და ბავშვი ჩაუყრიათ, მაგრამ ახლა მონები გაცილებით ცოტანი იყვნენ - გზაში ოცი კაცი მომკვდარიყო; ეს მცირე დანაკლისად მიაჩნდათ, ვინაიდან ესპანელები წინასწარ ვარაუდობდნენ, რომ თავიანთი ჯოჯოხეთური სავაჭრო „საქონლის“ ზარალი ერთი მესამედი ან ნახევარიც კი შეიძლება ყოფილიყო.

როცა ტრიუმში აღმოვჩნდი, ძლიერი სისუსტე ვიგრძენი; საბოლოოდ გამომაცალა არაქათი ბორკილების შემზარავმა ჟღარუნმა, საძაგელმა სუნმა და იმან, რაც დარაჯების მბჟუტავი ფარნების შუქზე ტრიუმში დავინახე - აქ არც სინათლე აღწევდა, არც ჰაერი. ცოტა ხანი და, მე უკვე ჯაჭვით მიბმული ვიდექი შავკანიან კაცებსა და ქალებს შორის, ფეხებით - წყალში. ესპანელები წავიდნენ და დაცინვით მითხრეს, ინგლისელისთვის ასეთი ლოგინიც დიდებულიაო! ერთხანს თავს ვიკავებდი, მერე სისუსტემ მძლია და დამეძინა.

ასე გავიდა ერთი დღე-ღამე.

როცა ისევ გავახილე თვალი, ჩემს გვერდით სწორედ ის ესპანელი იდგა ფარნით ხელში, ვისაც მიმყიდეს თუ გამაჩუქეს; თვალს ადევნებდა, როგორ ხსნიდნენ ბორკილს ჩემს ჯაჭვზე მობმულ უკვე გარდაცვლილ შავკანიან ქალს. აქამდე ჩემთვის უცნობი დაავადებით - „შავი ჭირით“ მკვდარი კიდევ ორი ცხედარი ესვენა. ბევრი სხვა მონაც იყო დაავადებული და ამის გამო ესპანელები მეტად შეშფოთებულად გამოიყურებოდნენ. მათ ვერაფერი მოუხერხეს ამ საშინელ ავადმყოფობას და გადაწყვიტეს, მხოლოდ ტრიუმი გაესუფთავებინათ და ჰაერი გაეწმინდათ, რისთვისაც გემბანს რამდენიმე ფიცარი ააგლიჯეს. ეს რომ არ გაეკეთებინათ, ჩვენ აუცილებლად დავიხოცებოდით. დარწმუნე-

ბული ვარ, მხოლოდ იმით გადავრჩი, რომ გემბანზე ყველაზე დიდი ჭუჭრუტანა პირდაპირ ჩემს ზევით იყო. როცა წელში გავსწორდი, რამდენადაც ამას ჯაჭვი მანებებდა, საშუალება მომეცა, შედარებით სუფთა ჰაერით მესუნთქა. ესპანელებმა მოგვიტანეს წყალი, ხმიადი ლავაშები და წავიდნენ. წყალი სიამოვნებით დავლიე, ლავაშს კი პირი ვერ დავაკარე, ვინაიდან დაობებული აღმოჩნდა.

ის, რაც ამ გემზე ვნახე და გავიგე, იმდენად შემზარავი იყო, რომ ამის გახსენებაც კი არ მინდა. მზე უმოწყალოდ აცხუნებდა და სიცხისგან ერთიანად მოთენთილი ვიყავი. ხომალდი უმოძრაოდ იდგა, რაც გვაგრძნობინებდა, რომ ქარი სრულიად არ ქროდა.

წამოვდექი და ქუსლებით სიგრძივ სამაგრს, ხოლო ზურგით ხომალდის გვერდს მივებჯინე. ასე კარგად ვხედავდი იმათ ფეხებს, ვინც ზევით, გემბანზე გაივლიდა. უცებ ჩემ თვალწინ მღვდლის ანაფორა გაფრიალდა. შევეცადე მისი ყურადღება მიმეპყრო. მალე ეს მოვახერხე კიდეც, როგორც კი გაიგო, ვინ ვიყავი, იგი გემბანზე წამოწვა, ვითომდა დასასვენებლად და ცოტა ხანს ვილაპარაკეთ.

მღვდელმა მითხრა, ზღვაზე სრული სიწყნარეა, მაგრამ ხომალდზე შავი ჭირი მძინვარებს, რამაც მეზღვაურთა მესამედი გაჟუჟაო. მათ განგების რისხვა დაატყდათ თავს, სისასტიკისა და ბოროტმოქმედებისთვისო.

ამაზე ვუპასუხე, განგების რისხვა დაატყდათ არა მარტო მტაცებლებს, არამედ მოტაცებულებსაც-მეთქი, თან შევეკითხე, სად არის ახლა დე გარსია, ანუ სარსედა, როგორც აქ ეძახიან-- მეთქი.

მღვდელმა მაცნობა, იგი დღეს დილით ავად გახდაო. ამ ფაქტმა უზომოდ გამახარა.

შემდეგ მღვდელი წავიდა, თუმცა მალევე დაბრუნდა. მომიტანა კარგი საჭმელი, ხილი და ლიმნიანი წყალი, რაც ღვთაებრივ ნექტრად მეჩვენა. ყველაფერი ეს გემბანის ჭუჭრუტანიდან გადმომცა. ჩემი ბორკილიანი ხელებით დიდი გაჭირვებით დავიჭირე საჭმელი და მაშინვე მოვუღე ბოლო. ჩემდა სამწუხაროდ, მღვდელი მალე წავიდა, რის მიზეზიც მეორე დღესვე გავიგე.

მეორე დილით კვლავ გამოჩნდნენ ესპანელები. ამჯერად მათ ორმოცი ცხედრის გათრევა მოუწიათ. ავადმყოფთა რაოდენობა სწრაფად მატულობდა. როცა ესპანელები წავიდნენ, ხელახლა წამოვდექი და მეგობარ მღვდელს დაველოდე, მაგრამ ამაოდ - იგი საერთოდ აღარ გამოჩენილა.

12

ეს მე ვარ, დ'აილა! აქ მონებს შორის ვარ, შებორკილი...

ქალი შეკრთა, მაგრამ მერე მღვდელივით, გემბანზე ჩამოჯდა. ვუამბე ტრიუმის საშინელებებზე და იმაზე, თუ როგორ მოვხვდი ასეთ სიტუაციაში. არ ვიცოდი, რომ ყველაფერი ეს მისთვის უკვე ცნობილი იყო.

- ვაი, რომ ჩვენი საქმე, სენიორ, არ არის თქვენზე ბევრად უკეთესად, - მი პასუხა მან. - საშინელი შავი ჭირი ანადგურებს ყველას. ექვსი მეზღვაური უკვე მოკვდა, ისეთები კი, რომლებიც თითქმის სულს ღაფავენ, კიდევ უფრო მეტია. უკეთესი იყო, მაშინ სხვებთან ერთად დავმხრჩვალიყავით. ზღვას გადავურჩით

და პირდაპირ ჯოჯოხეთში მოვხვდით. დედაჩემი მოკვდა, პატარა ძმაც მიკვდება...

- სად არის ის მღვდელი? - შევეკითხე მას.

- ამ დილით გარდაიცვალა, ეს-ეს არის, ზღვაში გადააგდეს. სიკვდილის წინ მიამბო თქვენი ამბავი და მთხოვა, დაეხმარეო. მაგრამ იმდენად აბნეულად ლაპარაკობდა, მეგონა, ბოდავდა. რით დაგეხმაროთ?..

- იქნებ საჭმელ-სასმელი მიშოვოთ. ვწუხვარ, მღვდლის გამო, ღმერთმა აცხ ონოს მისი სული. მითხარით, სად არის კაპიტანი სარსედა? ისიც მოკვდა?

- არა, სენიორ, ის ერთადერთია, ვინც სენი გადაიტანა, ახლა გამოჯანსაღების გზაზეა. მაპატიეთ, ჩემს ძმას უნდა მივხედო, მერე საჭმელს მოგიტანთ.

ქალი წავიდა, თუმცა მალევე დაბრუნდა საჭმლითა და კვერით, რაც კაბის ნაკეცებში ჰქონდა დამალული. მე ისევ დავნაყრდი და მომტანი დავლოცე.

ასე მკვებავდა ეს ქალი ორი დღის განმავლობაში. საჭმელი ღამღამობით მოჰქონდა. მეორე დღეს მითხრა, ჩემი ძმა მოკვდა და გემის ეკი პაჟიდან სულ თხუთმეტი მეზღვაური და ერთი ოფიცერიღა დარჩაო. თვითონაც თავს ისე ვგრძნობ, ალბათ, მეც ავად გავხდებიო; ხომალდზე წყლის მარაგი ილევა, საჭმელი კი უკვე გათავდაო. ამის მერე ის აღარ მინახავს, ვფიქრობ, ისიც მოკვდა. მალე მეც დავტოვე ეს დაწყევლილი გემი...

ტრიუმში მთელ დღეს საჭმელი არავის მოუტანია, თუმცა მონების უმრავლესობა უკვე აღარც საჭიროებდა კვებას. მხოლოდ რამდენიმე კაცი იყო ცოცხალი და ისინიც, რამდენადაც შევამჩნიე, დაავადებულნი იყვნენ. მე ეს სენი არ გადამედო, რადგან იმ დროისთვის შესაშური ჯანმრთელობა მქონდა. ამასთან,

სხვებზე ბევრად უკეთესად ვიკვებებოდი. მიუხედავად ამისა, ვგრძნობდი, რომ დიდხანს ვერ გავძლებდი. მომაკვდავებს შორის მიჯაჭვული ამ საშინელებისა და ტანჯვისგან სანეტარო გათავისუფლებაზე ვოცნებობდი.

ასე გავიდა კიდევ ერთი ასეთივე სულისშემხუთველი დღე. მას კვლავ მოჰყვა მომაკვდავების შემაძრწუნებელი გოდებითა და ხროტინით აღსავსე ღამე, მაგრამ დაძინება მაინც შევძელი, სიზმარში კი სატრფოსთან ერთად დავეხეტებოდი მშობლიური უეივნის ხეობაში...

დილით რკინის ჟღარუნმა გამაღვიძა. გავახილე თუ არა თვალი, დავინახე, ესპანელები ყველა მონას ბორკილებს ხსნიდნენ - მკვდრებსაც და ცოცხლებსაც. როგორც კი ბორკილსა და ჯაჭვს მოხსნიდნენ, ცხედარს ან მომაკვდავს ჩამოაცმევდნენ კისერზე თოკის მარყუჟს და გემბანზე აყავდათ. ამის მერე წყლის მძიმე თქაფანი ისმოდა და საქმეც ამით მთავრდებოდა. როგორც ჩანს, ესპანელებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, სასმელი წყლის ეკონომიის მიზნით, აგრეთვე, იმ იმედით, რომ ამგვარი გზით სენისგან იხსნიდნენ ჯერ კიდევ ჯანმრთელებს, ყველა მონა ზღვაში გადაეყარათ.

ესპანელები სულ უფრო და უფრო მიახლოვდებოდნენ. მალე ჩვენს შუა მხოლოდ ორი შავკანიანი მონა დარჩა, ერთი მკვდარი, მეორე - ცოცხალი. მათ შემდეგ ჩემი რიგი იყო. კარგად ვიცოდი, როგორი არასახარბიელო ხვედრიც მელოდა; ვყოყმანობდი, მეთქვა ესპანელებისთვის, ჯანმრთელი ვარ, ავადმყოფობა არ შემხებია-მეთქი და ხვეწნა-მუდარით სიცოცხლის შენარჩუნება მეთხოვა, თუ ბედს დავმორჩილებოდი და სხვებივით მეც ხომალდიდან გადავეგდე? ძალიან მწყუროდა სიცოცხლე, მაგრამ გადავწყვიტე, არავითარი საშუალება არ მეხმარა თავის

გადასარჩენად და შევხვედროდი სიკვდილს, როგორც მხსნელს. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რამდენად დამტანჯა ხორციელად და დამასუსტა სულიერად განცდილმა საშინელებამ?! ამასთან, კარგად მესმოდა ისიც, რომ ჩემი ყოველგვარი მცდელობა სიცოცხლის შესანარჩუნებლად წინასწარ იყო განწირული. ესპანელი მეზღვაურები შიშისგან გაგიჟდნენ და მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, რომ ჩქარა მოეცილებინათ თავიდან მონები, რომლებიც წყალს მოითხო ვდნენ და, რაც მთავარია, მათი აზრით, შავ ჭირს სწორედ ისინი ავრცელებდნენ. ამიტომ წავიკითხე ყველა ლოცვა, რომელიც გავიხსენე და სიკვდილის შესახვედრად მოვემზადე. ოღონდ, რამდენად მტკიცე იყო ჩემი სული, იმდენად საბრალოდ თრთოდა ჩემი სხეული მოახლოებული აღასასრულის წინაშე.

მეზღვაურები მეც მომადგნენ. ისინი გამალებით შრომობდნენ, რათა მალე დაემთავრებინათ საზიზღარი სამუშაო. ოფლში იწურებოდნენ და გული რომ არ შეწუხებოდათ, დროდადრო არაყს სვამდნენ.

- ესე ჯერ კიდევ ცოცხალია და, ეტყობა ავადაა, - ჩაილაპარაკა ერთმა მეზღვაურმა, რომელიც ბორკილს მხსნიდა.

- ცოცხალია თუ მკვდარი, ჩქარა მოათავე შენი საქმე! - ღვარძლიანად შეეპასუხა მეორე, რომელიც სწორედ ის ოფიცერი იყო, ვისაც მონად მიმცეს, - ამ ინგლისელმა ქოფაკმა უბედურება მოგვიტანა. მან გაგვთვალა, გადააგდე!

- მართალია! - უპასუხა მეზღვაურმა და უკანასკნელი დარტყმით გამათავიუფლა ბორკილისგან. - როცა თითო ტოლჩა წყალი მოდის კაცზე, სტუმრებისთვის აღარაფერი რჩება და მათ გარეთ აგდებენ; ილოცე, ინგლისელო! დაე, შენმა ლოცვამ ცოტათი მაინც მეტი გიშველოს, ვიდრე სხვებს - ამ ღმერთისგან

შეჩვენებულ ხომალდზე. აჰა, შენი წამალი, რათა შეიმსუბუქო დასასრული, იგი უფრო მეტი დაგვრჩა, ვიდრე წყალი და თავისი მათარა მომაწოდა. ხარბად დავეწაფე და დიდი ყლუპებით ვსვამდი. არაყმა ცოტა გამამხნევა. ამის შემდეგ ესპანელებმა თოკით შემკრეს, ნიშანი მისცეს და გემბანზე ისე ამწიეს, რომ მალე ჰაერში ვეკიდე.

ამ დროს ფარნის შუქი იმ ოფიცერს დაეცა, რომელმაც მონად მაქცია, ახლა კი ბრძანება გასცა ზღვაში გადავეგდე; მის სახეზე წავიკითხე ის განაჩენი, რაც ყველა ექიმისთვის ნათელია.

- მშვიდობით! - ვუთხარი მას. - ჩვენ ალბათ მალე შევხვდებით ერთმანეთს...

- რას ცოდვილობ, ბრიყვო? უკეთესია, უკანასკნელად დაისვენო, რადგან შავი ჭირი შენც შეგეყარა. ექვსი საათის შემდეგ შენც მოკვდები!

როგორც კი ჩემი სიტყვები გაიგონა, პირი დააღო და წამით გაშეშდა, მერე კი საშინელ წყევლა-კრულვას მოჰყვა. გაბრაზებულმა ჩაქუჩი მომიქნია და კინაღამ მომახვედრა, რაც ბოლოს მოუღებდა მთელ ჩემს ტანჯვას.

გემბანზე თოკი მომხსნეს და იქვე დავვარდი. ჩემ გვერდით იდგა ორი შავკანიანი, რომელთა მოვალეობას საბრალო მონების ზღვაში გადაყრა შეადგენდა. მათ უკან, სულ ახლახან გადატანილი ავადმყოფობის შემდეგ, გალეული სახით სავარძელში ხუან დე გარსია იჯდა და თავისი ქუდით სახეს იგრილებდა, - ღამითაც კი ძალიან ცხელოდა; მთვარის შუქზე მან მაშინვე მიცნო: - ოჰ, ვის ვხედავ?! შენ კიდევ აქ ხარ, ბიძაშვილო და თანაც, ცოცხალი? მართლაც ყოჩაღი ყოფილხარ; მეგონა, უკვე ჩაძაღლდი. ეს დაწყევლილი ჭირი რომ არ გაჩენილიყო, თვითონ მომიწევდა შენზე ზრუნვა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი კარგად მოეწყო.

დიდ სიამოვნებას მიიღებ, თომას ვინგფილდ, როცა ზვიგენებთან გაგისტუმრებ! ეს ერთადერთი წარმატება იქნება ჩვენს მოგზაურობაში. მაშასადამე, გადმოლახე ზღვა, რათა ჩემზე შური გეძია, ასეა არა? რას იზამ, ვფიქრობ, ცუდად არ გაატარე აქ დრო. მართალია, პირობები სახარბიელო არ იყო, სამაგიეროდ, როგორი გულითადი შეხვედრა მოგიწყვეთ?! ღამე მშვიდობისა, თომას ვინგფილდ! დედაშენს თუ ნახავ, გადაეცი, რომ ძალიან ვწუხვარ მისი მოკვლის გამო, ვინაიდან იგი ერთადერთია დედამიწაზე, ვინც მიყვარდა. შენ, ალბათ, ფიქრობ, იმიტომ ჩამოვედი ინგლისში, რომ დედაშენი მომეკლა?! არა! მან თავად მაიძულა, ეს ჩამედინა, რათა საკუთარი ტყავი გადამერჩინა. იგი რომ არ მომეკლა, ესპანეთს ვეღარ ვიხილავდი! მასში ჭარბად იყო ჩემი სისხლი და ის ცოცხალს არ გამიშვებდა. ეტყობა, შენშიც ისეთივე სისხლი ჩქეფს, თორემ შურისძიებას არ გადაწყვეტდი. სამწუხაროა, რომ ამან სიკეთე არ მოგიტანა!

- უცებ გაჩუმდა, სავარძელში გადაწვა და ქუდის ქნევა განაგრძო.

იმ წამებშიც კი, უფსკრულის პირას მდგარს, ასეთი ბოროტი დაცინვის გამო თავში სისხლი ამივარდა. დე გარსიას, რასაკვირველია, შეეძლო ეზეიმა! მას კვალდაკვალ დავდევდი და... რით დამთავრდა?! - ვკითხე ჩემს თავს. ერთი წამიც და ზვიგენის პირში აღმოვჩნდები. მიუხედავად ამისა, მაინც შევეცადე, ღირსეულად მეპასუხა მისთვის.

- ბედი ჩემს წინააღმდეგ ყოფილა, დე გარსია, მაგრამ ვაჟკაცობის თუ რაიმე ნატამალი შეგრჩა, მომეცი დაშნა, რათა ერთხელ და სამუდამოდ გადავწყვიტოთ ჩვენი დავა. ვიცი, ავადმყოფობამ დაგასუსტა, სამაგიეროდ, არც მე ვარ შენზე უკეთეს

მდგომარეობაში ამ ჯოჯოხეთური ყოფის გამო; ძალები თანაბარია!..

- ეს შესაძლებელია, ბიძაშვილო, სავსებით შესაძლებელია! მაგრამ, რატომ უნდა ვიჩხუბოთ?! სიმართლე რომ გითხრა, რამდენჯერაც ერთმანეთს შევხვდით, დღემდე ბედი არ მწყალობდა. ოღონდ იცოდე: ორჯერ ვისუსტე მხოლოდ იმიტომ, რომ წინასწარმეტყველება მაბნევდა. თითქოს შენთან შეხვედრა ჩემი სიცოცხლის დასასრული იქნებოდა. უპირველესად, ამის გამო გადავწყვიტე თბილ ქვეყნებში გამგზავრება. ახლა დავრწმუნდი, რომ წინასწარმეტყველების დაჯერება სისულელეა. მძიმე ავადმყოფობა შემეყარა, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ და სიკვდილს არ ვაპირებ. შენ კი, მაპატიე უდიერი სიტყვები, შეიძლება ითქვას, უკვე მკვდარი ხარ. აი, ეს სენიორები, - დე გარსიამ ორ შავკანიანზე მიმითითა, რომლებმაც ზღვაში გადაისროლეს ტრიუმიდან ამოღებული კიდევ ერთი მონის ცხედარი - ახლა შეწყვეტენ ჩვენს სასიამოვნო საუბარს. თუ რამე გაქვს სათხოვარი, მითხარი, თორემ დრო აღარ ითმენს. ტრიუმი დილამდე მთლიანად უნდა დავცალოთ!

- სათხოვარი არაფერი მაქვს, დე გარსია, - ვუპასუხე მას. - შენთან რაღაც დამავალეს, მანამდე კი ცოტა რამ მინდა გითხრა. შენ გგონია, რომ მძლიე, ბინძურო მკვლელო?! გამარჯვებას წინასწარ ნუ ზეიმობ, ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა! წინასწარმეტყველება შეიძლება აგიხდეს; მართალია, მოვკვდები, მაგრამ ჩემს ნაცვლად სამაგიეროს ღმერთი გადაგიხდის. შეიძლება, რამდენიმე წელს კიდევ იცოცხლო, მაგრამ სად წაუხვალ უფლის რისხვას?! ერთ დღეს შენც ზუსტად ისე მოკვდები, როგორც მე - ამაღამ.

- გეყოფა ლაყბობა, ბიძაშვილო, - ჩაილაპარაკა მან ზიზღით. - რამდენადაც ვიცი, ჯერ მქადაგებელი არ გამხდარხარ. შენ მითხარი, თითქოს ჩემთან რაღაც დაგავალეს; თქვი ჩქარა! დრო მიდის, ვინგფილდ! ვის რა უნდა შემოეთვალა ჩემისთანა დევნილისთვის?!

- იზაბელა დე სიგუენსას, რომელიც ყალბი ჯვრისწერით გააბრიყვე და მერე მიატოვე! - ვუპასუხე მე.

დე გარსია სავარძლიდან წამოხტა.

- რა მოუვიდა მას? - მღელვარე ხმით შემეკითხა.

- ბერებმა ცოცხლად ამოქოლეს თავის ჩვილთან ერთად.

- ცოცხლად ამოქოლეს?! ღმერთო ჩემო! საიდან იცით?

- შემთხვევით დავესწარი ამ პროცესს. მან მთხოვა, უამბე დე გარსიას, როგორ ვკვდებით მე და მისი შვილი, გადაეცი, რომ მისი სახელი არავისთვის გამიმხელია, უკანასკნელ წუთამდე მიყვარდა და მისთვის ყველაფერი მი პატიებიაო. მას მეტი არაფერი უთქვამს, მაგრამ ზოგი რამ მე მინდა დავამატო: დაე, მუდამ იმ უბედური ქალისა და დედაჩემის აჩრდილები გდევდეს. - აქაც და ჯოჯოხეთშიც!

ერთი წამით დე გარსიამ სახეზე ხელები აიფარა, მერე ჩამოუშვა, სავარძელზე დავარდა და შავკანიან მეზღვაურებს დაუყვირა: - გადააგდეთ ეს მონა! რაღას აყოვნებთ?

მაგრამ ასე ადვილად დანებებას არ ვაპირებდი: წინ გავიწიე, წელში ვეცი და სავარძლიდან გადმოვათრიე. ბრაზმა და სასოწარკვეთამ ძალა გამიორკეცა. დე გარსია გემის მოაჯირის კიდემდე მივათრიე. სამწუხაროდ, შავკანიანმა მეზღვაურებმა ეს არამზადა ხელიდან გამომგლიჯეს. ჩემი მცდელობა ამაო გამოდგა, ამიტომ აღარ დაველოდე, ვიდრე ზანგები მახვილებით

ამჩეხდნენ, ხელებით მოაჯირს დავეყრდენი და ზღვაში გადავ-ხტი.

გონება მკარნახობდა, რომ ამ სიტუაციაში უკეთესი იყო, უცებ დავმხრჩვალიყავი. გადავწყვიტე, ხელებს არ გავანძრევ და სწრაფად ჩავიძირები-მეთქი. მაგრამ სიცოცხლის წყურვილმა მძლია: წყლიდან ამოვყურყუმალდი და გემის გვერდით გავცუ-რე; ვცდილობდი, ბნელში ვყოფილიყავი, რადგან მეშინოდა, დე გარსიას არ დავენახე, თორემ მშვილდ-ისრებით ან ჯაზიარებით მომიღებდნენ ბოლოს. ამ დროს ზევიდან მისი ხმა მომესმა: - ახ-ლა უთუოდ ჩაძაღლდა! - თან იგინებოდა. - ეშმაკმა დალახვროს, რამდენი რამ გადავიტანე ამ ლეკვის გამო! მივცურავდი და საკუ-თარ თავს ვწყევლიდი, რატომ უცებ არ მოვკვდი! არც ერთი ზვი-გენიც რომ არ დახარბდეს ჩემს ლეშს, ამნაირ მდგომარეობაში სულ დიდი-დიდი, ექვსი-რვა საათი თუ გავძლებ; ბოლოს, სულ ერთია, მაინც დავიხრჩობი. რა აზრი აქვს ბრძოლას? მიუხედა-ვად მწარე ფიქრებისა, ცურვას მაინც განვაგრძობდი. ამყრალე-ბული ტრიუმის შემდეგ გრილი წყლის შეხება და სუფთა ჰაერი იგივე იყო ჩემთვის, რაც ღვინო და საჭმელი. ხელის თითოეული მოსმა ძალ-ღონეს მმატებდა.

გემს უკვე ასიოდე იარდით დავცილდი და საეჭვო იყო, იქი-დან ვინმეს შევემჩნიე, თუმცა მაინც მესმოდა გემბანიდან გად-მოგდებული ცხედრების მძიმე თქაფანი და ჯერ კიდევ ცოცხალი მონების შემზარავი ყვირილი. თავი ავწიე და აქეთ-იქით გავიხე-დე. ჩემს ახლოს, ტალღებზე რაღაც საგანი ირხეოდა. მაშინვე მისკენ გავცურე, თან ყოველ წამს სიკვდილს ველოდი, რადგან აქაურ წყლებში აუარებელი ზვიგენი დაცურავდა.

მცურავ საგანს მალე მივუახლოვდი და ძალიან გამეხარდა - ეს გემიდან გადმოგდებული დიდი, ცარიელი კასრი იყო. რო-

გორც იქნა, კასრის ზედა კიდეს ჩავებღაუჭე და დავინახე, რომ მასში გაფუჭებული ხმიადები ეყარა; ალბათ, ამიტომაც გადმოაგდეს ზღვაში. დამბალი ცომის მასა კასრს წყლის ზედაპირზე აკავებდა. ვიფიქრე, კასრში თუ შევძლებ ჩაძვრომას, ზვიგენებს დროებით მაინც გადავურჩები-მეთქი. მაგრამ ეს როგორ უნდა მომეხერხებინა, აღარ ვიცოდი. შემთხვევით უკან მოვიხედე და ოციოდე ნაბიჯზე ზვიგენი დავინახე. შიშმა ამიტანა, სასოწარკვეთამ ძალა და საზრიანობა შემმატა: წყლიდან სწრაფად ამოვხტი, კასრის კიდეს ჩავეჭიდე და მუხლმორთხმული შიგ ჩავხტი ისე, რომ მხოლოდ ნიკაპი გავიკაწრე.

მაგრამ მოულოდნელად მოპოვებულ „ნავს“ ჩაძირვა ემუქრებოდა - დაობებული სველი პურის, ჩემი და წყლის სიმძიმის გამო, რომელიც ჩემი ჩახტომისას შევიდა. კასრის ზედაპირი წყლიდან სულ რაღაც ერთი დუიმით მაღლა იყო. საკმარისი იყო პატარა ტალღა, კასრი ჩაიძირებოდა. სწრაფად დავიწყე წყლის ამოხაპვა. ბოლოს, როცა იგი ორი დიუმით აიწია, ზვიგენი თვალის დახამხამებაში, ცხვირით ფიცარს ეძგერა და კასრი მაგრად შეანჯღრია.

განრისხებული ზვიგენი გვერდზე გადაბრუნდა და ხის ტკეჩებსა და რკინის გვერდებზე მისი კბილების კრაჭუნი ვიგრძენი. ჩემი „ნავი“ ადგილზე დატრიალდა და შიგნით წყალი ისევ შემოვიდა. შიშით შეპყრობილი კასრიდან წყალს გიჟივით ვხაპავდი. ხელმეორედ მცდელობის შემთხვევაში ზვიგენი აუცილებლად შემჭამდა, მაგრამ ეტყობა, ხე და რკინა უგემური ეჩვენა და მომშორდა.

პირველად, სანამ კასრში ბევრი წყალი იყო, მას პეშვით ვღვრიდი, მერე კი ჩექმა გავიხადე, რომელმაც კარგად გამიწია სახაპელას მაგივრობა. როდესაც კასრის ზედაპირი წყლიდან

თორმეტ დიუმამდე აიწია, შევჩერდი, რადგან შემეშინდა: წყალი რომ სულ ამოვხაპო, არ გადატრიალდეს-მეთქი. ახლა ცოტა დასვენებაც შემეძლო. თუმცა, უცებ ისევ უიმედობამ შემი პყრო - სულ ერთია, მაინც დავიხრჩობი ან წყურვილით მოვკვდები-- მეთქი; მერე მკაცრად დავტუქსე ჩემი სულმოკლეობა, რომელიც ტანჯვას მიორკეცებდა.

სასოწარკვეთილმა ზეცისკენ აღვაპყრე ხელები და ისე გულწრფელად და მხურვალედ ვილოცე, როგორც არასდროს. ამან საოცრად დამამშვიდა და იმედიც მომეცა. უკანასკნელ დღეებში ორჯერ გადავრჩი: ხომალდის ჩაძირვისას და მონათმოვაჭრეების გემის ტრიუმში. ახლა კი, როცა მძვინვარე ზვიგენის კბილები მელოდებოდა, რატომღაც იმედი მომეცა, რომ თავს ამჯერადაც დავაღწევდი. ვერ ვიტყვი, თითქოს ასეთი მადლი მხოლოდ ზეციდან გადმომევლინა. ეს უფრო იმით აიხსნება, რომ მაშინ ჩემში ახალგაზრდული სიცოცხლე ჩქეფდა და არ შემეძლო უბრალოდ დამეჯერებინა, რომ ასე მალე მოვკვდებოდი.

თანდათან იმდენად გავმხნევდი, რომ ღამის სილამაზეც კი შევამჩნიე. ოკეანე გუბესავით წყნარი იყო; ოდნავი ნიავიც კი არ ირხეოდა. მთვარე უკვე ჩადიოდა და მთელი ცა განსაცვიფრებლად მოციმციმე ვარსკლავებით მოიჭედა, როგორსაც ინგლისში ვერ დაინახავთ. აღმოსავლეთით ცა გაწითლდა და ჰორიზონტიდან მალე მზის პირველმა სხივებმა გამოანათა. ამასობაში სქელი ნისლი ჩამოწვა და ორმოცდაათი იარდის მანძილზე არაფერი მოჩანდა.

საათზე მეტხანს ბრმად მივცურავდი. როცა მზე მაღლა აიწია და ნისლი გაიფანტა, შევამჩნიე, დინებამ ხომალდიდან საკმაოდ შორს წამიღო - მხოლოდ ანძებსღა ვხედავდი.

მერე ისინიც გაქრა.

ამ დროისთვის ოკეანის მთელი ზედაპირი გაიწმინდა, თუმცა ჩემთვის გაუგე ბარი იყო, რატომ დარჩა წყლის ზევით ნისლისა თუ ორთქლის ვიწრო ზოლი. მზე სულ უფრო მაგრად აჭერდა და ვიტანჯებოდი. გარდა რამდენიმე ყლუპი არაყისა, მთელი დღე-ღამის განმავლობაში პირში არაფერი ჩამსვლია. შიმშილმა და წყურვილმა ძალიან შემაწუხა. ზოგჯერ აუტანელი სისუსტე მეუფლებოდა და რამდენჯერმე კასრიდან კინაღამ ზღვაში გადავყირავდი. ბოლოს თითქოს ჩამთვლიმა, უფრო სწორად, ბურანში გავეხვიე, რისგანაც ტალღების თქაფანმა და ჩიტების ჟრიამულმა გამომაფხიზლა.

თავი ავწიე თუ არა, განცვიფრებულს უდიდესი სიხარული დამეუფლა - ნისლის უცნაური ვიწრო ზოლი სინამდვილეში ოკეანის ნაპირი იყო. ტალღები სწრაფად მიმაქანებდა მდინარის შესართავისკენ.

უამრავი თოლია ჭყივილით დამტრიალებდა თავს იმ ადგილას, სადაც მტკნარი და მარილიანი წყლები ერთმანეთს უერთდებოდა. უცებ თოლიამ წყლიდან არა ნაკლებ სამგირვანქიანი თევზი აიტაცა და ნანადირევით ზევით აფრენას შეეცადა, მაგრამ ნადავლი მისთვის მეტად მძიმე გამოდგა, ამიტომ თევზს ნისკარტით თავში იმდენი ურტყა, ვიდრე არ დაარეტიანა, მერე მისი ნაწილნაწილ დაგლეჯვა დაიწყო. ამ დროს ჩემი კასრი იქვე ახლოს მიცურავდა; მე იმდენი მოვახერხე, რომ თოლიას ნადავლი წავართვი და გახელებულმა ნახევრად ცოცხალი თევზის ჭამა დავიწყე . ამან შეიძლება ბევრს ზიზღი მოჰგვაროს, მაგრამ პირადად მე არასოდეს მიჭამია ასე მადიანად და არაფერი მომჩვენებია ასე გემრიელი!

შევჭამე რამდენიც შემეძლო, თევზის ნარჩენი კი კამზოლის ჯიბეში ჩავიდე. ამის შემდეგ ყურადღებით დავაკვირდი მეჩეჩის

ნაპირთან ტალღებს. თავში კარგმა აზრმა გამიელვა, - წყლიან კასრთან ერთად გადავყირავდი და, როცა ამოტივტივდა, ზევიდან გადავაჯექი. ზვირთცემის ზოლში კინაღამ გადმოვვარდი, მაგრამ წყლის მოქცევამ კასრი სწრაფად წაიღო წინ.

მალე დიდი მდინარის შესართავში აღმოვჩნდი. ბედმა ისევ გამიღიმა.

მდინარეზე მოტივტივე მსხვილი ჯოხი დავიჭირე და ახლა იმით შემეძლო მოსმა. ამგვარი „ნიჩბით“ ჩემი „ნავი“ ხშირი ლერწმით დაფარულ ნაპირისკენ მივმართე. ერთი სიტყვით, კასრში გატარებული თითქმის ათი საათის შემდეგ ნაპირზე მშვიდობიანად გამოვედი.

ხმელეთს სწორედ რომ დროზე მივაღწიე, რადგან, როცა ნაპირს მივადექი, მოქცევა დაიწყო, რომელიც მდინარის დინებასთან ერთად უკან, გაშლილ ოკეანეში წამიღებდა. უკანაკნელ ათ წუთში მთელი ძალის მოკრება დამჭირდა, რათა კასრი წინ წამეყვანა.

ბოლოს კასრიდან გადმოვხტი, მეჩეჩამდე გავცურე და ნაპირზე პირქვე დავემხე - სასწაულებრივი გადარჩენისთვის ღმერთს მადლობა შევწირე.

მაგრამ მალე ძალიან მომწყურდა და იძულებული გავხდი, ავმდგარიყავი. მდინარის ნაპირს აღმა ავყევი, ნაწვიმარი წყლით სავსე პატარა, სუფთა გუბე ვი პოვე და ხარბად დავეწაფე; სახეზეც შევისხი, მერე ჯიბიდან თევზის ნარჩენი ამოვიღე და სულ შევჭამე.

ცოტა ჯანზე მოვედი, მაგრამ იმდენად ვიყავი გაწამებული და გადაღლილი, რომ იქვე, ბუჩქის ჩრდილში გავიშხლართე და მყისვე ჩამეძინა.

როცა გამომეღვიძა, უკვე ღამე იყო.

კიდევ ვიძინებდი, მთელ ტანში ტკივილები და გაუგებარი წვა რომ არ მეგრძნო. ბოლოს ისეთ მდგომარეობამდე მივედი, რომ ცოფიანივით წამოვხტი და ყველაფერი შევაჩვენე ამქვეყნად.

ცხელ გულზე ერთბაშად ვერ გავიგე ჩემი წამების მიზეზი, მხოლოდ მერე შევნიშნე, რომ ჰაერი სავსე იყო კოღოების მსგავსი მწერებით, რომლებიც წრი პინებდნენ, ტანზე მასხდებოდნენ, ღრმად მესობოდნენ სხეულში და სისხლს მწოვდნენ. ნაკბენი ადგილები მალევე მიჩირქდებოდა. ეს მწერები, რომლებსაც ესპანელები „განა პატასს“ უწოდებდნენ, წვრილი ტკიპის ნაირსახეობას წარმოადგენდნენ. გარდა ამ მწერებისა, კიდევ დაფრინავდა ათასგვარი მწამებელი, ისინი ერთმანეთისგან ზომითა და ფორმით განსხვავდებოდნენ, მაგრამ ერთი საერთო ჰქონდათ - შხამიანები იყვნენ.

მთელი ღამის მანძილზე ვებრძოდი ამ უბედურებას და კინაღამ ჭკუიდან შევიშალე, ერთი წამით მოსვენებას არ მაძლევდნენ. გარიჟრაჟის მოახლოებისას მდინარისკენ გავიქეცი და წყალში ჩავწექი - დაიმედებული, რომ ამით ოდნავ მაინც შევიმსუბუქებდი ტანჯვას.

ათი წუთიც არ ვწოლილვარ, რომ ჩემ გვერდით, ლამიდან, ვეებერთელა ნიანგი ამოფორთხდა. მანამდე არასოდეს მინახავს ასეთი საძაგელი და საშინელი არსება და, რა თქმა უნდა, თავზარდაცემული ისევ გამოვვარდი ნაპირზე, სადაც მაშინვე ბზუილით დამეხვია ურიცხვი მფრინავი და მცოცავი სისხლისმწოველა...

13

ასე მივდიოდი საათზე მეტს, ვიდრე არ გავედი ღია ნაპირზე, სადაც ბუჩქებიც კი არ იყო. ხტუნვა-ხტუნვით დავდიოდი და გასივებულ ხელებს აქეთ-იქით ვიქნევდი, რათა მწერები მომეშორებინა, განუწყვეტლივ რომ დამტრიალებდნენ თავს. ჩემი აღსასრული უკვე ახლოვდებოდა. არაქათი გამომელია და ძირს დავარდნას ცოტაღა მაკლდა. სწორედ ამ დროს დავინახე თეთრად ჩაცმული ბრინჯაოსფერი ადამიანები. ისინი ნაპირზე ისხდნენ და რაღაცას შეექცეოდნენ. მათ უკან, წყალში, ათასგვარი ხარახურით დატვირთული გრძელი ნავები იდგა. შემნიშნეს თუ არა, გაუგებარ ენაზე რაღაც დაიყვირეს, თითოეულმა ხელი სტაცა გვერდზე დადებულ იარაღს - მშვილდ-ისარსა და კეტს, რომელიც ირგვლივ ვულკანური შუშის ნატეხები ჰქონდა ჩარჭობილი და ჩემკენ წამოვიდნენ. მე ხელები აღვაპყრე და შებრალება ვითხოვე. როდესაც დარწმუნდნენ სრულიად უმწეო ვიყავი, იარაღი დაუშვეს და თავიანთ ენაზე დამელაპარაკნენ. ნიშნად იმისა, რომ არაფერი მესმოდა, თავი გავიქნიე, ხელი ზღვისკენ გავიშვირე, მერე კი ჩემს გასიებულ სახესა და სხეულზე მივუთითე. მათ თავი გაიქნიეს. ერთ-ერთი მათგანი ნავებთან გაიქცა, რაღაც ყავისფერი, სურნელოვანი მალამო მოიტანა და ხელით მანიშნა, გამეძრო დაგლეჯილი ტანსაცმელი. როცა გავშიშვლდი, ყავისფერი მალამო წამისვეს და მაშინვე შვება ვიგრძენი: ქავილი და წვა შემიწყდა და, რაც მთავარია, მალამოს სუნმა ისე დააფრთხო მწერები, რომ იმ დღიდან თითქმის აღარ მომკარებიან.

შემდეგ შემწვარი თევზი და ლავაში მაჭამეს, მერე ქაფმოდებული, გემრიელი, ცხელი, ყავისფერი სითხე დამალევინეს. შემდეგ გავიგე, რომ ეს კაკაო იყო. ჭამა-სმა რომ მოვათავე, ადგილობრივებმა ერთმანეთში რაღაც მოილაპარაკეს, მერე კი ხელებით მანიშნეს, ერთ-ერთ ნავში ჩავმჯდარიყავი და სპეციალურად ჩემთვის ჩაფენილ ჭილოფებზე დავწოლილიყავი. ბრძანება უსიტყვოდ შევასრულე. სამკაოდ დიდ ნავში ჩემთან ერთად კიდევ სამი კაცი იჯდა. ერთი მათგანი, სასიამოვნო სახითა და მედიდური მიხრა-მოხრით - მათგან ყველაზე გამორჩეული - ჩემს პირდაპირ დაჯდა, დანარჩენი ორი კი ნავის თავსა და ბოლოში მოთავსდა და ნიჩბები მოუსვეს. ნაპირს სხვა სამ ნავთან ერთად მოვცილდით, მაგრამ ერთი მილიც არ გვქონდა გავლილი, რომ დაღლილს, ძილი მომერია. ალბათ დიდხანს მეძინა, რადგან, როცა გამეღვიძა მზე უკვე ჩადიოდა. ძილბურანში ვიგრძენი, რომ წარჩინებული პირი, რომელიც ნავში ჩემს პირდაპირ იჯდა, ცდილობდა, ძილი არ გამკრთომოდა და ფოთლებიანი ტოტით ხშირად მიგერიებდა კოღოებს. მისმა საქციელმა იმედი მომცა, რომ ცუდად არ მომეპყრობოდნენ. ამით დამშვიდებული, საკუთარ თავს ვეკითხებოდი, ნეტავ, სად მოვხვდი, რომელ ქვეყანაში და ვინ არიან ეს ადამიანები-მეთქი? თუმცა მალევე, იმის ნაცვლად, რომ ჩემს მდგომარეობაზე დავფიქრებულიყავი, აღტაცებით შევყურებდი წინ გადაშლილ საოცარ ბუნებას.

ახლა ჩვენ სხვა, უფრო ვიწრო მდინარის აღმა მივცურავდით. დაჭაობებული ბუჩქნარი ორივე ნაპირზე ღია სივრცემ შეცვალა - ალაგ-ალაგ უზარმაზარი, ულამაზესი ხეებით; მათზე შემოხლართული ლიანები ზედა ტოტებიდან ძირს ეშვებოდა. ფოთლებში თვალისმომჭრელად მოელვარე ბუმბულიანი, ხმაჩახლეწილი

ფრინველები დაფარფატებდნენ. ჩვენი მიახლოებით დაფეთებული მაიმუნები ხიდან ხეზე დახტოდნენ და გაჰკიოდნენ.

როცა მზემ უკანასკნელად გაანათა ეს საკვირველი, არაჩვეულებრივი სანახაობა და ჰორიზონტს იქით ჩაიმალა, ჩვენც ნაპირზე გადმოვედით. უცებ ჩამობნელდა და მე მხოლოდ იმას მივხვდი, რომ სადღაც გზაზე მივდიოდით. მალე ალაყაფის კარს მივაღწიეთ; აქ ბევრი ხალხი ირეოდა და ირგვლივ ძაღლების ყეფა ისმოდა. მივხვდი, რომ ეს ქალაქში შესასვლელი კარი იყო. ალაყაფს შიგნით შევედით და გავუყევით გრძელ ქუჩას, რომლის ორივე მხარეს სახლები იდგა. ჩემი თანამგზავრი უკანასკნელი სახლის ზღურბლთან შეჩერდა, ხელი

მომკიდა და თიხის ლამპრებით განათებულ, ვიწრო, დაბალ ოთახში შემიყვანა. მას რამდენიმე ქალი მიუახლოვდა და აკოცა. სხვები, როგორც ეტყობოდა - მოახლე ქალები, მის წინაშე ისე მოიხარნენ, რომ ცალი ხელით იატაკს ეხებოდნენ. მერე ყველამ მე შემომხედა და ჩემს თანამგზავრს კითხვები დააყარეს. როდესაც მან საყოველთაო ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილა, ქალებმა ლანგრებით სხვადასხვა უცნაური საჭმელი შემოიტანეს და ყველაფერი პირდაპირ იატაკზე დააწყვეს. პატრონმა ვახშამზე მიმი პატიჟა. მე მის გვერდით ჭილოფზე დავჯექი და ჭამა დავიწყე.

მოსამსახურე ქალები საკმაოდ მიმზიდველები იყვნენ, თუმცა მათ შორის ერთი, ტანადი, კეთილი გამომეტყველების ქალიშვილი, სხვებსავით შავგვრემანი, მაგრამ სახის ლამაზი ნაკვთებითა და შესანიშნავი თვალებით, ყველასგან გამოირჩეოდა. მას მალინალი ერქვა.

პირველი შეხედვისთანავე შევატყვე, რომ მალინალი (ესპანელებმა შემდგომ მარიანა შეარქვეს) ჩემმა სავალალო მდგო-

მარეობამ შეაწუხა და ყველაფერს აკეთებდა, რათა გარშემორტყმულთა მომაბეზრებელი ცნობისმოყვარეობისგან განვერიდებინე. მან დასაბანი წყალი, ტილოს სუფთა ტანსაცმელი და ფრინველის ფრთებისგან ოსტატურად გაკეთებული ლაბადა მომიტანა.

ნავახშმევს პატარა ოთახში შემიყვანეს, სადაც ლოგინის ნაცვლად ჭილოფი ეგო, რომელზეც მაშინვე გავიშხლართე და ჩემს მდგომარეობაზე დავფიქრდი. უწინდელი სამყარო სამუდამოდ დაკარგულად მეჩვენა, თავს იმით ვინუგეშებდი, რომ სასიამოვნო და კეთილ ადამიანებში მოვხვდი, რომლებიც სრულებითაც არ ჰგავდნენ ველურებს. თუმცა ერთი რამ მაწუხებდა - მიუხედავად კარგი მოპყრობისა, ისე მიყურებდნენ, როგორც ტყვეს: ჩემი ოთახის კართან სპილენძისშუბიან მეომარს ეძინა.

სანამ დავიძინებდი, გავიხედე ჭუჭრუტანაში, რომელიც ფანჯრის მაგივრობას ასრულებდა - სახლი, სადაც ვიმყოფებოდი, ვეებერთელა მოედნის განაპირას იდგა. შუაში აღმართული იყო ას ფუტზე მეტი სიმაღლის, პირამიდის ფორმის უზარმაზარი შავი შენობა, რომლის წვერზე ტაძარი მოჩანდა. მისი შესასვლელის წინ ცეცხლი ენთო. რატომ დასჭირდა ამ ხალხს ეს გიგანტური ნაგებობა? რომელი ღმერთის სადიდებლადაა აგებული? ამ ფიქრებში ჩამეძინა.

ამ ადგილს, სადაც ბედისწერამ გადმომისროლა, ტაბასკო ერქვა - ანაუაკის სამხრეთ პროვინციის დედაქალაქი, რომელიც ტენოჩტიტლანიდან რამდენიმე ასეულ მილში მდებარეობდა. მდინარეს, რომლის შესართავთანაც წყალმა გამომაგდო, რიო--ტაბასკო ერქვა. ზუსტად აქ გადმოსხა კორტესმა თავისი რაზმი მომდევნო წელს. ჩემი მასპინძელი იყო კასიყი ანუ ბელადი, რომელმაც შემდეგ მალინალი კორტესს აჩუქა. ინდიელებისთვის

მე მეორე თეთრკანიანი ვიყავი; პირველი იყო ვინმე აგილარი, რომელიც ჩემამდე ექვსი წლით ადრე რამდენიმე ამხანაგთან ერთად იუკატანის სანაპიროზე ქარს გამოურიყავს.

აგილარი კორტესმა დაიხსნა, სხვები კი ინდიელებმა მსხვერპლად შესწირეს ომის მრისხანე ღმერთს - უიცილოპოჩტლის. ინდიელებს მანამდეც ჰქონდათ გაგონილი ესპანელთა შესახებ და მათ ცრუმორწმუნეობით განპირობებული შიშით მოიხსენიებდნენ. დაახლოებით ერთი წლით ადრე იუკატანის სანაპირო ინახულა იდალგო ერნანდეს და კორდოვამ, რომელსაც მრავალი ბრძოლა ჰქო ნდა გადატანილი ადგილობრივებთან. მის შემდეგ კი, ჩემს გამოჩენამდე ცოტა ადრე, რიო-ტაბასკოს შესართავში შემოდიოდნენ ხუან დე გრიხალვის კარაველები. ამიტომ ინდიელებმა მეც მათთვის უცნობ თეულთა ტომის (ასე უწოდებდნენ ისინი ესპანელებს) ერთ-ერთ წარმომადგენლად მიმიჩნიეს, ანუ მტრად, ვისი სისხლიც მათ ღმერთებს სწყუროდათ.

კარგად გამოვიძინე და ადრე ავდექი. პირი დავიბანე, ჩემთვის მომზადებული ტილოს ტანსაცმელი ჩავიცვი და დიდ ოთახში გამოვედი. მაშინვე მომიტანეს საჭმელი და ის-ის იყო დავნაყრდი, რომ ოთახში შემოვიდა ჩემი მასპინძელი კასიყი ვიღაც ორი კაცის თანხლებით, რომელთა შესახედაობამ და საშინლად მკაცრმა გამომეტყველებამ თავზარი დამცა. მათ გრძელი, შავი თმები რაღაც ნივთიერებით საზიზღრად ჰქონდათ შეწებებული, ხოლო შავ ტანსაცმელზე სისხლისფერი მისტიკური ნიშნები ამოექარგათ. ყველა იქმყოფი, კასიყიც, აშკარა პატივისცემით ეპყრობოდა ამ ორ კაცს, რომლებიც ისეთი ბოროტი სიხარულით მათვალიერებდნენ, რომ ტანში ჟრუანტელი მივლიდა. ერთი მათგანი მომიახლოვდა, მკერდი გამიშიშვლა, ხელი მღელვარებისგან აჩქარებულ გულზე დამადო და ჩემი გულისცემის

ხმამაღლა დათვლა დაიწყო (როგორც შემდეგ შევიტყვე, მას უთქვამს, ძალიან ღონიერი ყმაწვილიაო). ამ დროის განმავლობაში მის თანმხლებს ხმა არ ამოუღია და მხოლოდ მოწონებით აქნევდა თავს. მინდოდა გამეგო, რა ხდებოდა ჩემს თავს და იქმყოფებს მივაცქერდი, რათა მათ სახეზე პასუხი ამომეკითხა; მარიანას თვალებში შიში და სიბრალული იკითხებოდა. მივხვდი, რაღაც საშინელი რომ მელოდა. ვიდრე ამას ბოლომდე გავაცნობიერებდი, ქურუმებმა ხელი მტაცეს და სახლიდან გამომათრიეს. ყველა დამსწრე, გარდა კასიყისა და მარიანასი, უკან გამომედევნა.

გამიყვანეს ფართო მოედანზე, რომლის გარშემო ქვის ლამაზი სახლები იდგა, თუმცა ალაგ-ალაგ თიხის ქოხებიც ერია. მოედანი სწრაფად ივსებოდა ხალხით. კაცები, ქალები, ბავშვები... ყველა ცდილობდა დავენახე, როგორ მივყავდი ქურუმებს მაღალი პირამიდისკენ, რომლის მწვერვალზე ცეცხლი გიზგიზებდა. მიმიყვანეს თუ არა პირამიდასთან, მის კედელში გამოჭრილ პატარა ოთახში შემაგდეს. აქ ქურუმმა ტანსაცმელი შემომაგლიჯა, გარდა თეძოსახვევისა და თავზე ყვავილების გვირგვინი დამადგა. ამ ოთახში ორი სხვა ინდიელიც იყო. შიშისგან მოღრეცილი მათი სახეები მოწმობდა, რომ ისინიც სამსხვერპლოდ იყვნენ განწირულნი.

ჩვენს ზევით დოლის ძლიერი ხმა გაისმა. სამივე გამოგვიყვანეს ოთახიდან და ქურუმების დიდი პროცესიის შუაში ჩაგვაყენეს. მე მისჯილ ინდიელთა წინ აღმოვჩნდი. ქურუმებმა რაღაც ჰიმნი გააბეს და პირამიდის ხვეულ კიბეზე ასვლა დავიწყეთ. ბოლოს მივაღწიე ზედა კვადრატულ მოედნამდე, რომლის დიამეტრი დაახლოებით ორმოც ფუტს უდრიდა. აქედან ქალაქისა და მისი შემოგარენის შესანიშნავი ხედი იშლებოდა. მე, რა თქმა

უნდა, ახლა საუცხოო პეიზაჟით ტკბობის თავი არ მქონდა. ჩემ პირდაპირ ორმოცდაათი ფუტის სიმაღლის ხის იდგა: ომის ღმერთის - უიცილოპოჩტლისა და ჰაერის ღმერთის - კეცალკოატლის ორი ტაძარი. ტაძრების დიდი, ღია კარიბჭიდან ორივე ღმერთის ქვისგან გამოთლილი, საშინლად მახინჯი ქანდაკებები მოჩანდა, რომელთა წინ მდგარ დაბალ საკურთხევლებზე, ოქროს დიდ ლანგრებში, გუშინდელ მსხვერპლშეწირულთა გულები ცურავდა. ტაძრის კედლები შიგნიდან საშინელი გამოსახულებებით იყო დაფარული. კოშკების პირდაპირ, ფართო საკურთხეველზე, მარადიული ცეცხლი ენთო. საკურთხევლის წინ ჩვეულებრივი მაგიდის სიმაღლის (როგორიც ჩვენს სამიკიტნოებში აქვთ), შავი მარმარილოსგან სწორკუთხად გამოჭრილი, ამოზნექილი ბლოკი იდგა. მის გვერდით დოლაბისებრად გამოთლილი ათი ფუტი განივის უზარმაზარი მრგვალი ქვა იდო - შუაში სპილენძის რგოლით.

ყველაფერი კარგად დამამახსოვრდა, რადგან ზედა მოედანს მივაღწიეთ თუ არა, ქურუმები მეცნენ და დოლაბისებრ ქვაზე დამაყენეს, ტყავის ქამარი შემომაკრეს, რომელიც სპილენძის რგოლზე ისეთი სიგრძის თოკით იყო დამაგრებული, რომ მხოლოდ ქვის კიდემდე შემეძლო თავისუფლად მოძრაობა. შემდეგ ხელში კაჟის სათიხრიანი შუბი შემომაჩეჩეს; ასეთივე შუბები მისცეს ორ ინდიელსაც, რომლებიც ჩემ შემდეგ ამოიყვანეს და გვანიშნეს, ბრძოლა დაიწყეთო - ინდიელები თავს უნდა დამსხმოდნენ, მე კი ჩემი ქვა უნდა დამეცვა.

თუ ამ ორ უბედურ არსებას მოვკლავ, იქნებ, შემიწყალონ-- მეთქი, გავიფიქრე და საკუთარი სიცოცხლე რომ გადამერჩინა, უდანაშაულო ადამიანების დასახოცად მოვემზადე. უზენაესმა ქურუმმა უბრძანა ინდიელებს, გადმოსულიყვნენ თავდასხმაზე,

მაგრამ ორივე იმდენად იყო შეშინებული, რომ ადგილიდან არ იძვროდნენ. გაბრაზებულმა ქურუმებმა ტყავის მათრახებით დაუწყეს ცემა და გამწარებული ინდიელები ყვირილით გამოქანდნენ ჩემკენ. ერთი მათგანი პირველი მოვარდა ჩემს ქვასთან, რომელსაც შუბი შევაგებე და ხელი გავუხვრიტე. მან იარაღი გადააგდო და გვერდზე გახტა. მეორეც ასევე მოიქცა. მათ ბრძოლა არ უნდოდათ და ვერაფერმა ვერ აიძულა ისინი ჩემთვის შემოეტიათ. ქურუმებმა დაინახეს, რომ ტყვეებმა საბოლოოდ დაკარგეს გამბედაობა და დაუყოვნებლივ გაუსწორდნენ: დაჭრილი ინდიელი გალობით წაათრიეს მარმარილოს მაგიდისკენ (მივხვდი, ეს სამსხვერპლო ქვა იყო) და გულაღმა დააგდეს. საწყალს ხუთი ქურუმი ჩაეჭიდა: ერთმა თავი დაუჭირა, ორმა ხელები და ორმაც - ფეხები. მალე მას უზენაესი ქურუმი მიუახლოვდა, სწორედ ის, ჩემი გულისცემა რომ დაითვალა. მან რაღაც ლოცვა ჩაიბუტბუტა, ვულკანური შუშის მოღუნული დანა - იტცტლი მოიქნია, ერთი დარტყმით საბრალო ინდიელს მკერდი გაუპო და მზისთვის მსხვერპლშეწირვის ძველებური წესი შეასრულა. ამ დროს ქვევით მდგომი ხალხი, რომლის თვალწინაც მთელი ეს სისხლიანი სპექტაკლი გათამაშდა, მიწაზე განერთხო იქამდე, სანამ მსხვერპლის გული ღმერთ უიცილოპოჩტლის ქანდაკების წინ დადებულ ლანგარში არ ჩააგდეს. მერე ქურუმები მსხვერპლის გვამს მისცვივდნენ, ველური ღრიალით პირამიდის,

უფრო სწორად, თეოკალის კიდემდე მიათრიეს და ძირს გადაისროლეს. თეოკალის ძირში მომლოდინეებმა ცხედარს ხელი დასტაცეს და წაიღეს.

პირველ მსხვერპლშეწირვას მაშინვე მეორე მოჰყვა; მოედანზე შეკრებილი ხალხი ისევ მოკრძალებით დაემხო. მერე ჩემი რიგიც მოვიდა. როცა ქურუმები მეძგერნენ, ჩემ თვალწინ ყვე-

ლაფერი ერთმანეთში აირია და მხოლოდ იმ წყეულ სამსხვერ-პლო ქვაზე მოვედი გონს. ისინი ფეხებსა და ხელებზე ჩამომე-კიდნენ, თავი კი უკან გამიქაჩეს, რომ ვეღარ გავნძრეულიყავი. ქვაზე პირაღმა ვეგდე და კანი ისე მქონდა დაჭიმული, მეგონა, სადაცაა, გამისკდება-მეთქი. თავზე თვით სატანა მადგა, შუშის დანით ხელში. არასოდეს დამავიწყდება მისი მრისხანე, სის-ხლის წყურვილისგან დაჭიმული სახე, გაქონილი ნაწნავები და მოელვარე თვალები. ქურუმი შუბლზე ჩამოყრილ თმას დრო-დადრო უკან იწევდა, თან დანის წვერით აუჩქარებლად იმ ადგი-ლას მჩხვლეტდა, სადაც ჩარტყმას მი პირებდა. მეგონა, მთელი საუკუნე გავიდა, სანამ ასე ვეგდე და ყოველ ჩხვლეტაზე ვკანკა-ლებდი. ბოლოს დანა მომიქნია.

თითქოს ბურუსში დავინახე, როგორ ეშვებოდა დანა. ეს ჩემი აღსასრულია!

- გამიელვა თავში. უცებ ქურუმს ვიღაცამ ხელი დაუჭირა და ჩურჩული გავიგე. ეტყობოდა, ის, რაც იმ კაცმა თქვა, ქურუმს არ მოეწონა - გულშემზარავად დაიღმუვლა და ჩემს მოსაკლავად გამოქანდა. ამჯერადაც იმავე ხელმა დანა ჰაერში შეაჩერა. ქუ-რუმი კეცალკოატლის ტაძარში წავიდა, მე კი ვეგდე სამსხვერ-პლო ქვაზე, დატანჯული, უკვე ათასსიკვდილგამოვლილი. რა-ტომ არ მკლავენ? ნუთუ, სიკვდილის წინ ჯერ უნდა მაწამონ-- მეთქი? - ვფიქრობდი და ეს აზრი ყველა სიკვდილზე უფრო საში-ნელი იყო. მზის სხივები გაშიშვლებულ გულ-მკერდს მიხრუკავ-და.

ქვევიდან მრავალათასიანი ბრბოს გუგუნი ისმოდა. სანამ ამ საშინელ სარეცელზე ვიწექი, მთელმა ჩემმა ცხოვრებამ თვალ-წინ ჩამიქროლა.

გამახსენდა დიდი ხნის წინათ დავიწყებული ათასი წვრილმანი, შორეული ბავშვობის წლები, ლილის გამოსათხოვარი კოცნა და მისი უკანასკნელი სიტყვები; იზაბელა დე სიგუენსას ამოქოლვა; მომაგონდა, როგორი სახე ჰქონდა დე გარსიას იმ დროს, როცა ზღვაში გადამაგდეს; და ბოლოს, ჩემი არეული ფიქრები ერთ სამწუხარო ფაქტზე შეჩერდა: რატომაა, რომ ღვთისმსახურნი ასეთი ულმობელნი არიან-მეთქი?

ისევ გაისმა ნაბიჯების ხმა. თვალები დავხუჭე, ამ საშინელი დანის დანახვა ნამდვილად აღარ შემეძლო! გავიდა წამი, კიდევ რამდენიმე წამი და დანას არავინ მარტყამდა. უცებ ამიშვეს და ფეხზე დამაყენეს, თუმცა მეგონა, ამიერიდან ფეხები უკვე აღარ დამჭირდებოდა. მერე მოედნის კუთხეში ხელით მიმიყვანეს, რადგან თვითონ აღარ შემეძლო სიარული. აქ ჩემმა ჯალათმა - ქურუმმა, თეოკალთან თავმოყრილ ბრბოს რაღაც გადასძახა, რასაც საშინელი ყაყანი მოჰყვა, მერე თავისი სისხლიანი ხელებით მომეხვია და შუბლზე მაკოცა.

მხოლოდ ახლა შევამჩნიე, რომ გვერდით კასიყი მედგა და იღიმებოდა. ღიმილით გადამცა მან ქურუმებს და ღიმილითვე მიხსნა მათი ბრჭყალებიდან.

იქმყოფნი დაბანვასა და ჩაცმაში დამეხმარნენ, კეცალკოატლის საკურთხეველში შემიყვანეს და ამ საშინელი ღვთაების ქანდაკების წინ გამაჩერეს. სანამ ქურუმები ლოცვებს ბუტბუტებდნენ, გაუნძრევლად ვიდექი და თვალს ვერ ვა შორებდი ოქროს ლანგარს, რომელშიც ჩემი გულიც უნდა ჩადებულიყო.

ორი ქურუმი მხარში ამომიდგა და მათი დახმარებით ხვეული კიბით ჩავედი თეოკალის კვარცხლბეკამდე, სადაც კასიყმა ხელი მომკიდა და ხალხში გამატარა. შევნიშნე, რომ ინდიელები

ჩემთვის გაუგებარი მოკრძალებით მიყურებდნენ. პირველი, ვინც კასიყის სახლში შემხვდა, მარიანა იყო.

მან ალერსიანი სიტყვებით მომმართა, რომელიც, რასაკვირველია, ვერ გავიგე. მალე ისევ ჩემს ოთახში გამიშვეს და განცდილი ამბებით უკიდურესად გაწამებულმა დღის დარჩენილი დრო იქ გავატარე. ჭეშმარიტად, სატანის ქვეყანაში აღმოვჩნდი!

დროა, გიამბოთ, როგორ გადავურჩი სამსხვერპლო დანას, - მარიანამ მიხსნა! მე მოვეწონე და შევეცოდე; როდესაც ქურუმები სამსხვერპლო ქვისკენ მიმათრევდნენ, მას კასიყისთვის უთქვამს: თეულის გამოჩენით შეშფოთებულ ანაუაკის იმპერატორ მონტესუმას, როგორც ცნობილია, მრავალჯერ გამოუთქვამს ერთერთი მათგანის ნახვის სურვილი. ისიც ხომ ესპანელია და მონტესუმა აუცილებლად განრისხდება, თუ მას მსხვერპლად შეწირავენ! სჯობს, პირველად მას უჩვენოთ, იმპერატორი თავად გადაწყვეტს, ამ თეულს რა უქნასო.

- ბრძნული ნათქვამია, - უპასუხია კასიყს, - მაგრამ ქურუმების ხელიდან მსხვერპლის გამოგლეჯა შეუძლებელია.

- ოო, არა! - შეედავა თურმე მარიანა. - მათ უბრალოდ უნდა უთხრა: - თქვენ გინდათ, თეული მსხვერპლად შესწირონ კეცალკოატლს, კეცალკოატლი კი თეთრკანიანი იყო. რას იზამთ მაშინ, ეს თეული რომ მისი ერთ-ერთი შვილი აღმოჩნდეს! ღმერთი გაწყრება, როცა მას საკუთარ შვილს შესწირავენ. ასეც რომ არ იყოს, მონტესუმა ხომ უეჭველად გაბრაზდება და შურს იძიებს როგორც თქვენზე, ქურუმებზე, ისე - ჩემზეც.

კასიყი მიხვდა, რომ ქალი მართალი იყო, საჩქაროდ ამოვიდა თეოკალზე და სულზე მომისწრო. უზენაესი ქურუმი პირველად ვერ დაარწმუნა, თუმცა მერე დაითანხმა, დათმობაზე წასულიყო და მონტესუმა არ განერისხებინა. ქურუმმა ხალხს გამოუცხადა,

ეს თეული ღმერთმა თავის ერთ-ერთ შვილად სცნოო. ამით აიხსნება ის მოკრძალება, რასაც იმ დღიდან ინდიელები ჩემ მიმართ იჩენდნენ.

14

რა არის უფრო ცუდი: ღმერთებისთვის ადამიანთა მსხვერპლად შეწირვა თუ ინკვიზიციის მიწისქვეშეთში მათი წამება და მერე ცოცხლად ამოქოლვა?! ვფიქრობ, ინკვიზიციაში მეტი სისასტიკეა.

ტაბასკოში გატარებული ერთი თვის მანძილზე ისე კარგად შევისწავლე ენა, რომ უკვე შემეძლო მარიანასთან ლაპარაკი. ჩვენ დავმეგობრდით. ამ ქვეყანაზე ცნობები უმეტესად მარიანამ მომაწოდა; მანვე მასწავლა, როგორ დამეჭირა თავი, რაიმე უბედურებაში რომ არ ჩავვარდნილიყავი. მეც, მადლობის ნიშნად, ჩვენს რელიგიასა და ევროპელთა ზნე-ჩვეულებებზე ვუამბე (სწორედ ეს ცოდნა დაეხმარა მას, შემდგომში შეუცვლელი გამხდარიყო ესპანელთათვის).

ასე ვიცხოვრე კასიყის სახლში ოთხ თვეზე მეტხანს. კეთილმოსურნე მასპინძელმა ბოლოს თავისი დაც კი შემომთავაზა ცოლად და ძალიან გაუკვირდა, როცა მე, რაც შემეძლო ზრდილობიანად, უარი ვთქვი მის წყალობაზე. ქალიშვილი მართლაც ლამაზი იყო. მიუხედავად ჩემი უარისა, მაინც ჩინებულად მეპყრობოდნენ და მეც გული შორეულ სამშობლოსკენ რომ არ მქონოდა და აღშფოთებული არ ვყოფილიყავი იმ სისხლიანი რელიგიური წესებით, რაც ჩემ თვალწინ ყოველდღიურად ხდებოდა,

მთლიანად მივენდობოდი ამ კეთილ, ხელოვან და შრომისმოყვარე ხალხს.

ოთხი თვის შემდეგ ჩამოვიდნენ მონტესუმას შიკრიკები. ისინი მდინარეების ადიდებისა და სხვა შემთხვევების გამო დაყოვნებულან. იმპერატორი იმდენად დაინტერესებულა ჩემი ამბით, რომ სასწრაფოდ გამოუგზავნია თავისი ძმისშვილი, უფლისწული კუაუტემოკი, რომელსაც საუკეთესო მეომრებისგან შემდგარი გაძლიერებული რაზმი ახლდა. მას დედაქალაქში უნდა წავეყვანე.

არასოდეს დამავიწყდება პირველი შეხვედრა უფლისწულთან, რომელიც შემდეგ ჩემი მეგობარი და თანამებრძოლი გახდა. როდესაც იგი ესკორტით ჩამოვიდა ტაბასკოში, მე ქალაქგარეთ ირმებზე ვნადირობდი და ინდიელებს მშვილდისრის ოსტატური სროლით ვანცვიფრებდი. შიკრიკმა ნადირობა შეგვაწყვეტინა და საჩქაროდ ქალაქისკენ წამოვედით, თან წამოვიღეთ ნანადირევი ირემი. მივუახლოვდით თუ არა კასიყის სახლს, დავინახე, რომ მთელი ეზო საუცხოოდ ჩაცმული მეომრებით იყო სავსე. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ერთი ახალგაზრდა, ძალიან მაღალი და მხარბეჭიანი, სასიამოვნო სახისა და არწივისებრი იერის ინდიელი, რომელსაც გულ-მკერდს ოქროს ჯავშანი უფარავდა, ხოლო მხრებზე გემოვნებით შერჩეული, ნაირფრად მოელვარე ფრთებისგან შეკერილი ლაბადა წამოესხა. თავს ოქროს მუზარადი უმშვენებდა, რაზეც სამეფო სიმბოლო - არწივი იყო ამოქარგული, ძვირფასი ქვებით ინკუსტრირებულ ოქროს გველს რომ გლეჯდა. მკლავებზე, იდაყვებს ზევით და ფეხებზე, მუხლებს ქვევით, ფერადი ქვებით მოჭედილი სალტეები ეკეთა, ხელში კი სპილენძის სათიხრიანი გრძელი შუბი ეჭირა.

ამ კაცის გარშემო ირეოდა მრავალი სხვა წარჩინებული მეომარიც, რომლებიც არანაკლებ იყვნენ მორთულნი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ოქროს ჯავშნის ნაცვლად, ბამბის დალიანდაგებულ აბჯრებს - ესკაუპილებს ატარებდნენ. მათ მუზარადებს კი ფერადქვებიანი ბალთებით დამაგრებული გრძელი ფრთების პატარა კონები ამშვენებდა. ეს იყო უფლისწული კუაუტემოკი, შემდგომ - ანაუაკის უკანასკნელი იმპერატორი.

როგორც კი იგი დავინახე, ინდიელთა ადათის მიხედვით მივესალმე - მარჯვენა ხელით მიწას შევეხე და იგივე ხელი მაშინვე შუბლზე მივიდე. კუაუტემოკმა ცოტა ხანს გულდასმით შემათვალიერა - მის წინ უბრალო სანადირო ტანსაცმლითა და მშვილდისრით ვიდექი - მერე მეგობრულად გამიღიმა და მითხრა: თუ ოდნავ მაინც გამეგება რამე ადამიანის გამოცნობაში, თეულო, მე და შენ ჩამომავლობითა და ხნოვანებით თანასწორნი ვართ, ამიტომ არ გეკადრება, ქედი მოიხარო ჩემ წინაშე, როგორც მონამ - ბატონის წინაშე!

უფლისწულმა ხელი გამომიწოდა, მეც ჩამოვართვი და მარიანას დახმარებით, რომელიც ვაჟს აღტაცებულ მზერას არ აშორებდა, ვუპასუხე: - იქნებ ასეც იყოს, უფლისწულო; ჩემ სამშობლოში სახელოვანი და შეძლებული კაცი ვიყავი, მაგრამ აქ მხოლოდ საკურთხეველზე სიკვდილისგან გადარჩენილი მონა ვარ.

- ეს ვიცი, - ჩაილაპარაკა მან, წარბებშეჭმუხნით. - კიდევ კარგი, რომ შენი გადარჩენა მოასწრეს, თორემ მონტესუმას რისხვა დაატყდებოდა მთელ ქალაქს და მაშინ... - არ დააბოლოვა მან და გადახედა იქვე მდგომ კასიყს, რომელსაც მთელი სხეული უკანკალებდა. მონტესუმას სახელის ხსენებაც კი ასეთ შიშს ჰგვრიდა ყველას.

კუაუტემოკმა მკითხა, მართალია თუ არა, რომ შენ თეული (ესპანელი) ხარო. - არა, მე თეთრკანიანთა სხვა ტომის წარმომადგენელი ვარ, ოღონდ ჩემს ძარღვებში ნახევრად ესპანური სისხლიც ჩქეფს-მეთქი, - ვუპასუხე. უფლისწულს გაუკვირდა, ვინაიდან აქამდე თეთრკანიანთა სხვა ტომების არსებობის შესახებ მას არაფერი გაეგო. მე ჩემი და ევროპის სხვა ხალხების ისტორია ვუამბე.

კუაუტემოკმა მომისმინა და მითხრა: - თუ სწორად გავიგე, ესპანელი არ ხარ; თუმცა შენში ესპანური სისხლიც ყოფილა და აქ ესპანეთის გემით ჩამოსულხარ. ყველაფერი ეს გაუგებარია, მაგრამ ამაში, დაე, თვითონ მონტესუმა გაერკვეს. ახლა კი მოდი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. მაჩვენე, როგორ ისვრი დიდ მშვილდ-ისარს. იგი ჩამოიტანე, თუ აქ გააკეთე? გავიგე, რომ ადგილობრივთა შორის შენ ყველაზე უკეთესი მსროლელი ყოფილხარ.

მას ვაჩვენე ჩემი გაკეთებული მშვილდი, რომლითაც სამოცი ნაბიჯით უფრო შორს ვტყორცნიდი, ვიდრე - რომელიმე ინდიელი. მერე ბრძოლებსა და ნადირობაზე ვსაუბრობდით, რა თქმა უნდა, მარიანას დახმარებით. საღამოს მე და უფლისწული უკვე მეგობრები ვიყავით.

კუაუტემოკი და მისი თანმხლებნი ტაბასკოში ერთ კვირას დარჩნენ. ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს და ვსაუბრობდით: უფლისწული, მარიანა და მე. მალე შევნიშნე, რომ მარიანა საპატიო სტუმარს შეყვარებული თვალებით უცქერდა. მას არ იზიდავდა უფლისწულის მხოლოდ სიმდიდრე და დიდგვაროვნება. პატივმოყვარეობით შეპყრობილი მარიანა არ აპირებდა მთელი ცხოვრება კასიყის მონობაში გაეტარებინა. ოცნებობდა, კუაუტემოკთან ერთად გაეყო ძალაუფლება და სახელი. იგი ყველა სა-

შუალებით ცდილობდა უფლისწულის მოხიბვლას, რომელიც მას ვერც კი ამჩნევდა. ბოლოს მარიანამ ვეღარ მოითმინა...

- ხვალ სტოვებთ ჩვენს ქალაქს, უფლისწულო, - დაიწყო მან შემპარავი ხმით, - თუ ნებას მომცემთ თქვენს მონას, მინდა ერთი წყალობა გთხოვოთ...

- თქვი, დედაკაცო, - უპასუხა კუაუტემოკმა.

- იქნებ, გამომისყიდოთ კასიყის მონობისგან ან, თუ მოისურვებთ, უბრძანეთ მას, გაჩუქოთ ჩემი თავი. მინდა, ტენოჩტიტლანში წამოგყვეთ. კუაუტემოკმა გადაიხარხარა.

- შენ გულღიად ლაპარაკობ, დედაკაცო, - უთხრა მან. - მაგრამ უნდა იცოდე, რომ ტენოჩტიტლანში მელოდება ცოლი, ტეჩუიშპო და კიდევ სამი დიდგვაროვანი ქალი, რომლებიც, სამწუხაროდ, საკმაოდ ეჭვიანები არიან.

მიუხედავად შავგვრემანობისა, მარიანა ჭარხალივით გაწითლდა და კეთილი თვალები სიბრაზით აენთო.

- უფლისწულო, - ჩაილაპარაკა მან, - მე მხოლოდ თან წაყვანა გთხოვეთ, არ მითხოვია ცოლად ან საყვარლად გახდომა!

- მართალია, მაგრამ შენ ეს იფიქრე, - დაცინვით უპასუხა უფლისწულმა.

- რა ვიფიქრე, უფლისწულო, მოდი, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ! მინდა, დედაქალაქი და დიდი იმპერატორი ვნახო, რადგან აქაური ცხოვრება მომწყინდა. გარდა ამისა, მეც მინდა, წინ წავიდე ცხოვრებაში. თქვენ უარი მითხარით, მაგრამ მოვა დრო და მე ყველას დაუხმარებლად მოვახერხებ ამას. მერე გავიხსენებ, როგორ დამამცირეთ და სამაგიეროსაც გადაგიხდით!

კუაუტემოკმა ჯერ გაიცინა, მერე კი უცებ გაბრაზდა: - შენ თავს გაგივიდა, მონავ! ის, რაც აქ წამოაყრანტალე, საკმარისია, რომ ათი კაცი გაიგზავნოს სამსხვერპლო ქვაზე. მაგრამ შენი ქა-

ლური პატივმოყვარეობა შეილახა და თავადაც არ გესმის, რას ლაპარაკობ, ამიტომ დავივიწყებ შენს სიტყვებს. შენც, თეულო, - მომმართა მე უფლისწულმა, - დაივიწყე ყველაფერი, რაც ახლა გაიგე!

მარიანა მიბრუნდა და კარისკენ წავიდა. დიდებისმოყვარე ქალს სიბრაზისგან და, იქნებ, უარყოფილი სიყვარულის გამოც, გულ-მკერდი უთრთოდა. გავიგე, როგორ ჩაიბუტბუტა: კარგი, უფლისწულო, შეიძლება, თქვენ მართლაც დაივიწყოთ ეს, ოღონდ მე - არასოდეს!

მომავალში არაერთხელ დავფიქრებულვარ: რა იყო ეს? მარიანას ბრაზი ალაპარაკებდა თუ მართლა იწინასწარმეტყველა თავისი მომავალი? რა გავლენა იქონია კუაუტემოკთან შელაპარაკებამ მარიანას ცხოვრებაზე? ნუთუ სამშობლოს მხოლოდ კორტესის სიყვარულის გამო უღალატა? ჩემი აზრით, მარიანას მაშინდელი გაბრაზება ჩვეულებრივი წუთიერი აღგზნება იყო, რამაც მალე გაუარა. ძალზე იშვიათია, რომ ადამიანმა თავისი ცხოვრება ერთი რომელიმე გრძნობის მტკიცე საფუძველზე ააგოს - იქნება ეს სიძულვილი თუ იმედი, სასოწარკვეთა თუ გაშმაგება. ბევრად უფრო ხშირად ადამიანის ბედ-იღბალს შემთხვევა განაპირობებს და მაინც თავისებურად წარმართავს ყველაფერს. ერთი რამ ნამდვილად ვიცი - მარიანას არასდროს დავიწყებია ის დღე. შემდგომში თვითონ მოვისმინე, როგორ მოაგონა მან კუაუტემოკს თითოეული მისი სიტყვა და რა კეთილშობილურად უპასუხა მას უფლისწულმა.

ქალაქიდან ჩვენი წასვლის დღეს, ღმერთების გული რომ მოეგოთ და შორეულ მოგზაურობაში მათთვის დახმარება ეთხოვათ, აგრეთვე, ერთ-ერთი დღესასწაულის გამოც, თეოკალზე მსხვერპლშეწირვა მოაწყვეს. ამ საშინელების ხილვა ყოველ-

დღე მიხდებოდა; იმ დღესაც, სხვებთან ერთად, მეც ავედი პირამიდის მწვერვალზე. ქვევით აუარებელი ხალხი მოგროვდა. ჩვენ სამსხვერპლო ქვის გარშემო ვიდექით და ვუცდიდით. ყველაფერი მზად იყო.

მალე საკურთხეველთან ამოვიდა ის მძვინვარე ქურუმი, რომელმაც ჩემი გულისცემა დაითვალა და თავის მსახურებს ანიშნა, სამსხვერპლო ქვაზე დაეწვინათ პირველი მონა. ამ დროს კუაუტემოკმა ნაბიჯი წინ გადადგა და ბრძანა: - სასწრაფოდ შებოჭეთ ეს კაცი!

ქურუმები შეყოყმანდნენ. მართალია, კუაუტემოკი უფლისწული იყო და მის ძარღვებში მეფური სისხლი ჩქეფდა, მაგრამ უზენაესი ქურუმის დასჯა მკრეხელობად მიიჩნიეს. კუაუტემოკმა ღიმილით წაიძრო თითიდან სამეფო ბეჭედი და გრაგნილთან ერთად უჩვენა ქურუმებს. ეს ბეჭედი თვით მონტესუმას ეკუთვნოდა, გრაგნილზე კი ტენოჩტიტლანის უზენაესი ქურუმის ხელმოწერა იყო. მისი ბრძანების შეუსრულებლობა სასიკვდილოდ თავგანწირვასა და საყოველთაო შერცხვენას უდრიდა. ამიტომ ქურუმებმა ხმის ამოუღებლად დაიჭირეს თავიანთი მეთაური და შემდგომი ბრძანების მოლოდინში ადგილზე გაქვავდნენ.

- დადეთ იგი ქვაზე და მსხვერპლად შესწირეთ ღმერთ კეცალკოატლს! - ჩაილაპარაკა უფლისწულმა.

ულმობელი ჯალათი, რომელსაც სხვების მოკვლა სიხარულს გვრიდა, ახლა შიშისგან ცახცახებდა.

- რისთვის მწირავთ მსხვერპლად, უფლისწულო? - ყვიროდა იგი. - მე ხომ ღმერთებისა და იმპერატორის ერთგული მსახური ვიყავი!

- იმიტომ, რომ მსხვერპლად სწირავდი ამ თეულს - უპასუხა კუაუტემოკმა და ჩემზე მიუთითა. - და მონტესუმას ბრძანებას არ

ასრულებდი, კიდევ სხვა მრავალი ბოროტებისთვის, რაც ამ გრაგნილზე წერია. თეული კეცალკოატლის შვილია, ეს შენ თვითონ განაცხადე. დაე, ახლა კეცალკოატლმა მიიღოს მსხვერპლი თავისი შვილისთვის! მე ყველაფერი ვთქვი. მოუღეთ მაგას ბოლო! უმცროსმა ქურუმებმა, რომლებიც აქამდე უზენაესი ქურუმის მსახურები იყვნფენ, იგი სამსხვერპლო ქვაზე წამოაქციეს. ერთ-ერთი მისი წითელი მანტიით შეიმოსა და ყოფილი პატრონის ვედრებისა და მუქარის მიუხედავად, თავისი მოვალეობის აღსრულებას შეუდგა. რამდენიმე წამში ქურუმის გვამი პირამიდის კედელზე დაგორდა. სიმართლე გითხრათ, მწუხარება არ მიგრძვნია, როცა ეს ჯალათი ზუსტად ისევე მოკვდა, როგორც მის მიერ გაწირული მრავალი, მასზე უფრო ღირსეული ადამიანი. ეტყობა, ქრისტიანული სათნოება მაკლია...

როცა ყველაფერი დამთავრდა, კუაუტემოკი მომიბრუნდა: - ასე დაიღუპება ყველა შენი მტერი, ჩემო ძმაო, თეულო!

ამ ქმედებამ მონტესუმას ძალაუფლების უსაზღვროობა მაგრძნობინა.

მე მეგობრულად დავემშვიდობე კასიყს და მარიანას, რომელმაც ბოლოს ცრემლები ვერ შეიკავა და შორეულ გზას გავუდექით. მგზავრობა მთელ თვეს გაგრძელდა. ხშირად გვიხდებოდა ბილიკის ახლად გაკაფვა და მდინარეების გადასასვლელებზე შეჩერება. გზაში ბევრი განსაცვიფრებელი რამ ვნახე. ყველა ქალაქში, სადაც შესვენება გვიხდებოდა, უდიდესი პატივისცემით გვხვდებოდნენ.

ყველაფერი რომ მოგიყვეთ, ძალიან დიდ დროს წაგართმევთ, მხოლოდ ერთ შემთხვევას გავიხსენებ: გზად ადიდებულმა მდინარემ შეგვაჩერა და გადავწყვიტეთ თავი ნადირობით შეგვექცია. მალე სამი ირემი მოვკალით და დაბრუნებას ვაპი-

რებდით, როცა კუაუტემოკმა ბორცვზე კიდევ ერთი ხარ-ირემი შენიშნა. ხუთმა კაცმა მოვინდომეთ მისი მოკვლა, მაგრამ ის გაშლილ ადგილზე იდგა და შეუმჩნევლად მი პარვა შეუძლებელი იყო. კუაუტემოკმა დაცინვით მითხრა: - თეულო, შენზე ზღაპრებს ჰყვებოდნენ, ასეთი მსროლელი მეორე არ დაიბადებაო! აგერ, ირემი. იგი სამჯერ უფრო შორს დგას, ვიდრე ჩვენ, აცტეკებს გვჭირდება, რომ ნიშანში მოვარტყათ. გვაჩვენე, რა ოსტატი ხარ!

- შევეცდები, თუმცა, სამიზნე შორსაა, - ვუპასუხე მე.

ჩვენ დავიმალეთ სეიბის ხის ქვეშ, რომლის ქვედა ტოტები ირგვლივ თხუთმეტ ფუტზე იყო დაფენილი. ისარი ჩემი ხელით გაკეთებული დიდი მშვილდის ლამბს დავადე, დავუმიზნე და ვსტყორცნე. ისარმა გაიზუილა და ირემს შიგ გულში ჩაესო, რასაც აღტაცებული შეძახილები მოჰყვა. ის-ის იყო, ხის ქვეშიდან გამოსვლას ვაპირებდით, რომ უფლისწულს მოულოდნელად მხარზე დაახტა პუმა, რომელიც, ეტყობოდა, ამ ირემს დარაჯობდა. მან უფლისწული წააქცია და ბრჭყალებით გლეჯა დაუწყო. ჯავშან-მუზარადი რომ არა, მძვინვარე მხეცი უცებ მოუღებდა ბოლოს თავის მსხვერპლს და კუაუტემოკიც ვეღარ გახდებოდა ანაუაკის იმპერატორი (ისე, შესაძლოა, მისთვის ეს უკეთესიც კი ყოფილიყო). უფლისწულის შეშინებულმა მხლებლებმა თავქუდმოგლეჯით მოჰკურცხლეს. არ გავქცეულვარ, თუმცა წამიერად მეც შემეშინდა. ქამარზე ინდიელთა საყვარელი იარაღი მეკიდა, რაც მახვილის მაგივრობას სწევდა, - ბრტყელი კეტი, ბასრ კიდეებზე ობსიდიანის ნატეხები ჰქონდა ჩარჭობილი. იგი ქამრის მარყუჟიდან გამოვაძრე და პუმას თავში დავარტყი. გასისხლიანებული მხეცი მიწაზე გაგორდა, თვალის დახამხამებაში გააფთრებული ღრიალით ახლა ჩემკენ გადმოხტა. ორივე ხელი

ხის მახვილს დავავლე და მთელი ძალით ისევ დავარტყი. კეტი პუმას თავში მოხვდა. დარტყმა ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, რომ იარაღი ნამსხვრევებად იქცა, მაგრამ იგი მაინც ვერ შეაკავა - მძლავრად დამეძგერა და ძირს დამანარცხა. რომ არა დალიანდაგებული ბამბის ქურთუკი, მხეცი აუცილებლად დამგლეჯდა, თუმცა მანაც ვერ იხსნა ჩემი კისერი და კეფა საშინელი ჭრილობებისგან (პუმას ბრჭყალები დღემდე მაჩნია ტანზე). პუმას ობსიდიანის ერთი ნატეხი ტვინამდე შესვლოდა, ძალა გამოელია და ჩემზე ჩაჭიდებული ბრჭყალები მოეკრუნჩა, უკანასკნელად ასწია თავი, მომაკვდავი ძაღლივით აღმუვლდა და ზედ დამაკვდა.

ასე ვეგდე დიდი სიმძიმით მიწაზე მიჭყლეტილი და ღრმა ჭრილობების გამო არაქათგამოლეული, სანამ ჩვენმა თანამგზავრებმა გამბედაობა არ მოიკრიბეს და უკან არ დაბრუნდნენ. მათ მკვდარი პუმა მომაცილეს. ამასობაში წამოდგა კუაუტემოკიც, რომელიც ყველაფერ ამას ხედავდა, ოღონდ განძრევა არ შეეძლო.

- თეულო, - მითხრა მან, - შენ ჭეშმარიტად გულადი ყოფილხარ! ვფიცავ, შენთვის ისეთივე თავდადებული ვიქნები, როგორიც შენ აღმოჩნდი ჩემთვის!

უფლისწულმა მხოლოდ მე მომმართა, დანარჩენები თითქოს იქ არც იყვნენ. მან საჭიროდაც არ ჩათვალა, მათთვის რაიმე საყვედური ეთქვა.

მე გონება დავკარგე...

15

არასოდეს მინახავს ასეთი უსაზღვროდ შიშველი და მოსაწყენი ადგილები, სადაც მხოლოდ ეკლიანი ალოე და რაღაც ფანტასტიკური სახეობის კაქტუსები ხარობდა. ჭეშმარიტად საკვირველი ქვეყანა იყო! აქ, ერთმანეთის გვერდით, კლიმატით სრულიად განსხვავებული მხარეები თანაარსებობდნენ - ტროპიკების ახლოს უკიდეგანო უდაბნო იწყებოდა.

ღამე გავათენე გზის პირზე მგზავრებისთვის აგებულ ერთ--ერთ სახლში, რომელიც ტენოჩტიტლანის გარშემო მდებარე მთებზე გადასასვლელთან ახლოს იდგა. გზას გარიჟრაჟამდე ბევრად ადრე გავუდექით, ვინაიდან აქ ისე ციოდა, რომ ჩვეული სიცხეების შემდეგ თითქმის არც ერთს არ დაგვეძინა. ამასთან, კუაუტემოკს უნდოდა, დედაქალაქში საღამომდე ჩავსულიყავით.

მცირე მანძილის გავლის შემდეგ უღელტეხილს მივადექით. უნებლიეთ შევჩერდი ბუნების სიმშვენიერით აღტაცებული და განცვიფრებული. შორს, ქვევით, თითქოს უზარმაზარ ფიალაში, ჯერ კიდევ ღამის ბინდში გახვეული ველები და მდინარეები გამოკრთოდა, ჩემ პირდაპირ ღრუბლებში გახვეული მთების ორი მწვერვალი აღმართულიყო. ამომავალი მზის პირველი სხივები მათ თოვლიან სითეთრეს სისხლისფრად აშუქებდა. ერთს პოპოკატეპეტლი ერქვა - „ბორცვი, რომელიც ბოლავს“, მეორეს კი ისტაქსიუატლი - „მძინარე ქალი“. შეუძლებელია კაცმა ამაზე უფრო დიდებული სანახაობა წარმოიდგინოს, ვიდრე განთიადისას ეს ორი მწვერვალია.

პოპოკატეპეტლის მაღალი კრატერის ყელიდან ბოლის სქელი სვეტი ამოდიოდა. ალის ანაბზინებით - შიგნიდან განათებული და ადრიანი დილის მზის ოქროსფერი სხივებით - გარედან გაბრწყინებული, იგი მბრუნავი ცეცხლოვანი ბოძი გეგონებოდათ. მწვერვალის ძირში მდებარე მოელვარე ფერდობები ფერს თანდათან იცვლიდნენ - თვალისმომჭრელი სითეთრიდან მუქ წითლამდე, წითლიდან - მუქ ჟოლოსფრამდე და ასე, ცისარტყელას მსგავსად. ამ სილამაზის აღწერა უბრალოდ, შეუძლებელია.

პოპოკატეპეტლით დამტკბარი ისტაქსიუატლისკენ მივბრუნდი. ეს მთა ისე მაღალი არაა, როგორც მისი „ქმარი“ - აცტეკები ამ ორ ვულკანს ცოლ-ქმრად თვლიდნენ. პირველად დავინახე უზარმაზარი, თითქოს თოვლისგან გამოქანდაკებული ქალის ფიგურა, რომელიც გეგონებოდათ, ღრუბლებამდე აზიდულ კუბოში განისვენებს და თმა მთის კალთებზე ტალღებად დაუფენიაო. სანამ მწვერვალებთა სილამაზით ვტკბებოდი, ცისკარმა თანდათან გაანათა ტყეებით დაფარული ვულკანების ფერდობები. მაგრამ უზარმაზარ ხეობაში ჯერ კიდევ ნისლი იდგა. იგი ნელ-ნელა მიგორავდა მღელვარე ზღვასავით, რომელშიც პატარა კუნძულების მსგავსად, ტაძრების სახურავები ამოშვერილიყო. რაც უფრო დაბლა ვეშვებოდით, მით უფრო თხელდებოდა ნისლი. და ბოლოს, ქვევით გიგანტურ სარკესავით გაბრწყინდა ჩალკოს, ხოჩიმილკოსა და ტესკოკოს ტბები. მათ ნაპირებზე გაშენებული იყო ქალაქები, ყველაზე დიდი მათ შორის - ტენოჩტიტლანი, თითქოს წყლის ზედაპირზე ცურავდა. ქალაქების ირგვლივ სიმინდის დამუშავებული ყანები, ალოეს ბუჩქები და ხშირი ჭალები ხასხასებდა, უფრო შორს კი, შავი კეტავდა კლდეები ხეობას.

ამ მომაჯადოებელ ქვეყანაში სწრაფად მივიწევდით წინ. ერთ დღეში უკან მოვიტოვეთ ქალაქები - ამეკამეკა და აიოცინგო, აგრეთვე, ჩალკოს ტბის ნაპირებზე მიმოფანტული ბევრი თვალწარმტაცი სოფელი. ტბაში გაკეთებულ ფართო გზის მსგავს ჯებირზე ავედით და დღის მეორე ნახევარში უკვე ქალაქ ტლაუაკში ვიყავით. შემდეგ ისტაპალაპუნასკენ გავწიეთ, რადგან კუაუტემოკს ღამის გათევა თავისი ბიძის, კუიტლაუაკის სახლში უნდოდა. მივედით თუ არა ქალაქამდე, აღმოჩნდა, რომ შიკრიკებს მონტესუმასთვის უკვე ეცნობებინათ ჩვენი მიახლოება და მასაც, დაუყოვნებლივ რომ ჩავსულიყავით ტენოჩტიტლანში, ჩვენთვის ტახტრევნები გამოეგზავნა. ჩვენც ისღა დაგვრჩენოდა, რომ შიგ ჩავმსხდარიყავით და აყვავებული ბაღების ქალაქი დაგვეტოვებინა.

სამხრეთ ჯებირის გავლით შეუჩერებლად წაგვიყანეს დედაქალაქში. გზაში ყველგან გვხვდებოდა ტბის ფსკერში ჩასობილ ხიმინჯებზე აგებული ქალაქები, ტივებზე გაშენებული ბაღები, რომლებიც ნავებივით დაცურავდნენ წყალში, თეოკალები და შესანიშნავი საკურთხევლები. ტბის ნაპირებზე ბევრი მსუბუქი ნავი იდგა, ჯებირზე კი სხვადასხვა მიმართულებით ათასობით საქმიანი ინდიელი მიმოდიოდა. ბოლოს, სწორედ მზის ჩასვლის წინ, მივადექით გამაგრებულ სადარაჯოს - ხოლოკს, რომელიც ორი ჯებირის შეერთების ადგილას მდებარეობდა[5] . ხოლოკიდან იწყებოდა ტენოჩტიტლანი - დღეს მას მეხიკო ეწოდება - ყველაზე დიდებული იმ ქალაქთა შორის, როგორიც კი ოდესმე მი-

---

[5] ყველა ზემოთჩამოთვლილი ულამაზესი ქალაქები კორტესმა დაანგრია

ნახავს. გარეუბნებში სახლები ადობებისგან - შლამის გამოუმ-წვარი აგურებისგან იყო აშენებული, ხოლო მდიდრულ ცენტრა-ლურ უბნებში წითელი ქვის შენობები იდგა. ბაღით გარშემორ-ტყმულ თითოეულ სახლს პატარა, ღია ეზო ჰქონდა. სახლებს შორის ყველგან არხი გადიოდა. მოედნებზე საფეხურიანი პირა-მიდები, სასახლეები და ტაძრები აღმართულიყო. მაგრამ ყვე-ლაფერი ეს ერთბაშად დაჩრდილა სავაჭრო მოედანზე ანუ ტიან-კესზე მდებარე გიგანტურმა პირამიდამ, რომლის მწვერვალზე ოთხივე მხრიდან ქვის კიბე ადიოდა; საფეხურებზე გროვებად ეყარა თავის ქალები, სულ ზევით კი კრიალა ლოდებისგან აშე-ნებული ტაძარი იდგა, რომლის კედლებზე გველის გამოსახუ-ლებები ამოეკვეთათ. ცოტა ხანში ესეც უკან მოვიტოვეთ და უზარმაზარი კედრებით დაფარულ ბორცვზე დავიწყეთ ასვლა. ბოლოს, მზიდველები ფართო ეზოში გაჩერდნენ და მთხოვეს, ტახტრევანიდან ჩამოვსულიყავი.

სახლი, სადაც უფლისწულმა კუაუტემოკმა მიმიყვანა, ჭეშმა-რიტად არაჩვეულებრივი აღმოჩნდა. ყველა ოთახის ჭერი კედ-რის ხის იყო, კედლებზე სხვადასხვა ფერის ძვირფასი ქსოვილე-ბი ეკიდა, ოქრო კი აქ, ალბათ, იმდენი იყო, რამდენიც ინგლი-სურ სახლში აგურია. მსახურებს ხელში კედრის კვერთხი ეჭი-რათ. ბევრი ოთახი და ტალანი გავიარეთ, ვიდრე მივაღწევდით იმ დარბაზამდე, სადაც სხვა მსახურები გველოდნენ. მათ სურნე-ლოვანი წყლით განგვბანეს, საუცხოო ტანსაცმლით შეგვმოსეს და ერთ-ერთ კარამდე მიგვაცილეს. აქ ფლოსტები გავიხადეთ და მუქი ფერის უხეში ლაბადები მოვისხით, რათა მდიდრული მორთულობა დაგვეფარა. მხოლოდ ამის შემდეგ დაგვრთეს დიდ დარბაზში შესვლის ნება, რომელშიც უკვე შეკრებილიყო დიდგვაროვანი საზოგადოება და ჩვენსავით უხეშ ლაბადებში

გახვეულნი, უძრავად იდგნენ. დარბაზის ბოლოს ხის მოოქრული თეჯირი ფარავდა, საიდანაც საამო მუსიკა ისმოდა.

ჩვენ სურნელოვანი ჩირაღდნებით განათებული დარბაზის შუაში გავჩერდით. რამდენიმე კაცი მოგვიახლოვდა და უფლისწულ კუაუტემოკს მიესალმა. შევამჩნიე, რომ ყველა ცნობისმოყვარეობით შემომცქეროდა. ჩვენთან მოვიდა შესანიშნავი ტანადობისა და არაჩვეულებრივი სილამაზის ახალგაზრდა ქალიც; მუქი ლაბადის ქვეშიდან მას ძვირფასეულობით დამშვენებული, საუცხოო ტანსაცმელი მოუჩანდა. ამდენი საკვირველების ერთბაშად ნახვამ ისე მომქანცა, რომ ფეხზე ძლივს ვიდექი. მაგრამ ამ ქალის ერთმა შემოხედვამ ყველაფერი დამავიწყა, - ასეთი მომხიბლავი არსება არასოდეს მენახა. მისი კეთილშობილური და ნაზი სახე დიდრონი, ალერსიანი თვალებით იყო განათებული. ის ოდნავ მოწყენილად გამოიყურებოდა, მაგრამ იგრძნობოდა, რომ საჭიროების შემთხვევაში, მას გაბრაზებაც და სისასტიკეც შეეძლო. იგი თვრამეტ წელზე მეტის არ იქნებოდა. მართალია, გაფურჩქვნის ასაკში იყო, მაგრამ მომწიფებული ქალის ფორმები და ჭეშმარიტად მეფური შესახედაობა ჰქონდა.

- სალამი, ძმაო კუაუტემოკ! - წარმოთქვა მან სასიამოვნო ხმით. - როგორც იქნა, მოხვედი! დიდებული მამაჩემი დიდი ხანია, გელოდება, დაგვიანების მიზეზის ახსნა დაგჭირდება. ჩემი დაც განიცდიდა შენს ამბავს.

ქალიშვილი ლაპარაკობდა, თან გულდასმით მათვალიერებდა.

- სალამი, ჩემო დაო, ოთომ! - უპასუხა უფლისწულმა. - მოგეხსენება, ტაბასკოდან აქამდე დიდი მანძილია, ამასთან, ჩემს მეგობარ თეულს, - ამ სიტყვებზე მან თავით ჩემზე ანიშნა, - გზაში უბედურება შეემთხვა.

- რა უბედურება? - ჰკითხა ქალიშვილმა.

- მან საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდო, მე რომ პუმას კლანჭებისგან გადავერჩინე, მაშინ, როცა ჩემმა ამალამ მიმატოვა.

მან მოკლედ უამბო ეს ამბავი.

ქალიშვილი ყურადღებით უსმენდა და შევამჩნიე, როგორი აღგზნებული თვალები ჰქონდა, სანამ უფლისწული ლაპარაკობდა. როცა ვაჟმა დაასრულა, ქალიშვილი მაშინვე მე მომიბრუნდა.

- კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, თეულო! ჩვენი ტომის კაცი არ ხარ, მაგრამ სულ ერთია, მაინც მომწონხარ, - მომმართა მან ღიმილით და წავიდა.

- ვინ არის ეს ქალი? - შევეკითხე კუაუტემოკს.

- ჩემი ბიძაშვილი ოთომია, ოთომის ტომთა პრინცესა, ბიძაჩემ მონტესუმას საყვარელი ქალიშვილი. მას მოეწონე, თეულო და ეს ძალიან კარგია, მრავალი მიზეზის გამო, - მი პასუხა უფლისწულმა და მანიშნა, გავჩუმებულიყავი.

ამ დროს დარბაზის შორეულ ბოლოში თეჯირი გაიწია და თამბაქოს ბოლში გახვეული კაცი დავინახე. ის მოქარგულ ბალიშებზე იჯდა და ინდიელთა წესისამებრ, ხის მოვარაყებულ ყალიონს ეწეოდა; იგი შავ, თხელ წვერებში, ინდიელის კვალობაზე მეტად ფერმკრთალი, სევდიანი და მელანქოლიური მეჩვენა. მას საუკეთესო ბამბის ქსოვილის თვალისმომჭრელად თეთრი ტანსაცმელი ეცვა, ოქროს ქამარი ერტყა და მარგალიტებით მოოჭვილი ფლოსტები ეცვა. თავს სამეფო მწვანე ფერის ფრთები უმშვენებდა. იმპერატორის უკან მოჩანდა რამდენიმე, თითქმის სულ შიშველი, ლამაზი ქალიშვილი, რომლებიც მუსიკალურ ინ-

სტრუმენტებზე უკრავდნენ. მათ პირდაპირ ფეხშიშველი და მუქ ლაბადებში გახვეული ოთხი უხუცესი მრჩეველი იდგა.

როცა თეჯირი გაიწია, ყველა, ვინც დარბაზში იყო, მუხლებზე დაეცა. მეც სწრაფად მივბაძე მათ. იმპერატორმა თავისი მოვარაყებული ყალიონის აქნევით იქ მყოფებს ანიშნა, ამდგარიყვნენ და ჩვენც წამოვდექით. ოღონდ შევნიშნე, რომ ხალხი იატაკისთვის თვალის მოშორებას ვერ ბედავდა.

მონტესუმამ ერთხელ კიდევ აიქნია ყალიონი და მას სამი ხნიერი მამაკაცი მიუახლოვდა. რამდენადაც მივხვდი, ისინი ელჩები იყვნენ და მათ იმპერატორს რაღაც თხოვნით მიმართეს, რაზედაც მისმა უდიდებულესობამ თავდაქნევით უპასუხა. ამის მერე ისინი თავის დაკვრითა და უკუსვლით იქმყოფებში გაერივნენ. ცოტა ხნის შემდეგ იმპერატორმა რაღაც უთხრა ერთ-ერთ მრჩეველს. უკანასკნელმა მოწიწებით დაუკრა თავი და აუჩქარებლად, აქეთ-იქით ყურებით, დარბაზისკენ წავიდა. მან მალე კუაუტემოკი შენიშნა, რომლის დანახვა არც ისე ძნელი აღმოჩნდა, რადგან მთელი თავით ყველაზე მაღალი იყო.

- სალამი, უფლისწულო! ჩვენს იმპერატორს შენთან და შენს თანამგზავრ თეულთან ლაპარაკი სურს, - უთხრა მრჩეველმა.

- ყველაფერი ისე გააკეთე, როგორც მე. - ჩამჩურჩულა კუაუტემოკმა და თეჯირისკენ გაეშურა. როცა შევედით, თეჯირი მოსწიეს და დარბაზიდან გადაგვტიხრეს.

რამდენიმე ხანს, ხელებჩამოშვებული და თავჩაღუნული, უძრავად ვიდექით, სანამ არ გვანიშნეს, ახლოს მივსულიყავით.

- გვიამბე, ძმისწულო! - ხმადაბლა, მაგრამ მბრძანებლურად თქვა მონტესუმამ.

- სახელგანთქმულო მონტესუმა! მე ჩავედი ტაბასკოში, სადაც ვნახე თეული და აქ მოვიყვანე. შენი ბრძანებისამებრ, მსხვერ-

პლად შევწირე ღმერთს უზენაესი ქურუმი და ახლა გიბრუნებთ საიმპერატორო ძალაუფლების სიმბოლოს.

ამ სიტყვებით კუაუტემოკმა მრჩეველს მონტესუმას ბეჭედი გადასცა.

- ასე რატომ დაიგვიანე, ძმისწულო?

- ოო, დიდებულო მონტესუმა! გზაში უბედურება შეგვემთხვა. ჩემი სიცოცხლის გადასარჩენად ტყვე თეული მძიმედ დაშავდა პუმას ბრჭყალებისგან; მისი ტყავი საჩუქრად მოგართვით.

მხოლოდ ახლა შემომხედა იმპერატორმა. ერთ-ერთმა მრჩეველმა მას გრაგნილი მიაწოდა. მონტესუმამ დაიწყო კითხვა და ხანდახან ჩემკენ იყურებოდა.

- აღწერილობა ზუსტია, - წარმოთქვა მან ბოლოს - აქ მხოლოდ ერთი რამ არ წერია: ეს ტყვე უფრო გამბედავი და მამაცია, ვიდრე ანაუაკის რომელიმე მამაკაცი. მითხარი, თეულო, რისთვის მოვიდნენ შენი თანამოძმეები ჩემს მიწაწყალზე? რატომ ხოცავენ ისინი ჩემს ხალხს?

- ამაზე არაფერი ვიცი, მბრძანებელო, ისინი ჩემი მოძმეები არ არიან, - ვუპასუხე მას კუაუტემოკის დახმარებით.

- აქ ნათქვამია, რომ შენში თეულთა სისხლი ჩქეფს და ჩვენი ქვეყნის ნაპირზე მათი ერთ-ერთი დიდი ნავიდან გადმოხვედი. ეს ხომ შენ თვითონ აღიარე.

- მართლაც ასე იყო, მბრძანებელო, ოღონდ მე სხვა ტომის კაცი ვარ, ნაპირამდე კი კასრით გამოვცურე.

- მგონი, სტყუი, თეულო, - ჩაილაპარაკა მონტესუმამ და მოიღუშა. - ასე რომ ყოფილიყო, ნიანგები ან ზვიგენები შეგჭამდნენ. ახლა მითხარი, - განაგრძო მან აშკარა მღელვარებით, - მართლა კეცალკოატლის შვილი ხარ?

- არ ვიცი, მბრძანებელო, მე თეთრკანიანთა ტომიდან ვარ, ჩვენი წინაპარი ადამი იყო.

- ეს, ალბათ, კეცალკოატლის მეორე სახელია. ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ იწინასწარმეტყველეს, მისი შვილები დაბრუნდებიანო! და აი, როგორც ჩანს, მათი მოსვლის დროც დადგა.

მონტესუმამ ღრმად ამოიოხრა და განაგრძო: - წადი, თეულო, ხვალ მიამბე შენს თანამოძმეებზე, მერე კი შენს ბედს ქურუმთა საბჭო გადაწყვეტს.

როცა ქურუმების სახელი გავიგონე, შიშისგან ავკანკალდი, ხელები მუდარით აღვაპყრე და წამოვიყვირე: - თუ გინდა, ახლავე მომკალი, მბრძანებელო, ოღონდაც ისევ ნუ ჩამაგდებ ქურუმების ხელში!

- ჩვენ ყველანი ქურუმების ხელში ვართ, მათი პირით ღმერთები გველაპარაკებიან! გარდა ამისა, ვფიქრობ, შენ მომატყუე. ახლა კი წადი! - გულცივად მი პასუხა მონტესუმამ.

საშინელი წინათგრძნობით შეპყრობილმა დავტოვე დარბაზი; თავჩაქინდრული კუაუტემოკიც ჩემთან ერთად გამოვიდა. წყევლა-კრულვით ვიხსენებდი იმ საათს, როცა ეშმაკი შემომიჩნდა და მაღიარებინა: ესპანური სისხლი მირევია-მეთქი, ეეჰ, რომ მცოდნოდა, რაც მოჰყვებოდა ჩემს აღიარებას, წამებითაც ვერ მათქმევინებდნენ ამას, მაგრამ უკვე გვიანღა იყო თითზე კბენანი...

კუაუტემოკის კვალდაკვალ, ჩაპულტეპეკის სასახლის შორეულ ოთახში შევედი, სადაც მისი მშვენიერი მეუღლე, პრინცესა ტეჩუიშპო და კიდევ რამდენიმე დიდგვაროვანი გველოდა. მათ შორის იყო მონტესუმას ასულიც.

დიდებულად გაწყობილ ვახშამზე მე პრინცესა ოთომის გვერდით აღმოვჩნდი. ის თავაზიანად მესაუბრა, ბევრი რამ მკითხა

ჩემი სამშობლოსა და თეულთა ტომის შესახებ. მისგან გავიგე, რომ ეს თეულები ანუ ესპანელები, მონტესუმას საგონებელში აგდებდნენ. იმპერატორს ისინი კეცალკოატლის შვილებად მიაჩნდა. მას ღრმად სწამდა ძველი წინასწარმეტყველება, რის მიხედვითაც, მისი ქვეყნის ხელში ჩასაგდებად, კეცალკოატლი მალე დაბრუნდებოდა.

ოთომი ისეთი მშვენიერი და მომხიბლავი იყო, რომ გული ამიტოკდა. სხვა ქალმა პირველად დამავიწყა ჩემი ლილი. თანაც იგი შორს იყო და მე უკვე იმედი მქონდა დაკარგული, რომ მას ოდესმე ვნახავდი. როგორც შემდეგ გავიგე, იმ საღამოს მარტო მე როდი ამტოკებია გული!

ჩვენს ახლოს იჯდა მონტესუმას და - პრინცესა პაპანცინი, უკვე საკმაოდ ხანშიშესული და ულამაზო. იშვიათად მინახავს ასეთი სევდიანი, თითქოს სიკვდილით დაღდასმული სახე. რამდენიმე კვირის შემდეგ იგი მართლაც გარდაიცვალა, ოღონდ, მოსვენება საფლავშიც ვერ ჰპოვა; თუმცა ამაზე, სხვა დროს... ჭამა დავამთავრეთ, ყავა დავაყოლეთ და თითო ყალიონი თამბაქო მოვწიეთ.

ეს უცნაური და თან სასიამოვნო ჩვეულება ჯერ კიდევ ტაბასკოში ავითვისე და დღემდე ვერ შევძელი თავის დანებება. თუმცა, ასეთი თამბაქოს შოვნა ინგლისში საკმაოდ ძნელია.

ბოლოს მოსასვენებლად ფიცრით მოპირკეთებულ, პატარა ოთახში წამიყვანეს. მიუხედავად დაღლილობისა, დიდხანს ვერ დავიძინე - ახალი შთაბეჭდილებები არ მასვენებდა. თვალწინ მედგა უცნობი ქვეყნის განსაცვიფრებელი სურათები, რომლებიც ერთსა და იმავე დროს მაღალცივილიზებულიც იყო და ბარბაროსულიც; ვფიქრობდი მის სევდიან იმპერატორზე, ვისაც ყველაფერი ჰქონდა, რისი ნატვრაც ადამიანს საერთოდ შეუძლია:

აბსოლუტური მმართველობა, ზღაპრული სიმდიდრე, ასობით ლამაზი ცოლი, მოსიყვარულე შვილები, უთვალავი ჯარი და ხელოვნების მთელი სიდიადე. იგი გახლდათ დედამიწის ყველაზე საუცხოო იმპერიის გამგებელი, რომლისთვისაც ხელმისაწვდომი იყო ყველა ამქვეყნიური სიხარული; ის ღვთისსწორი იყო ყველაფერში, გარდა უკვდავებისა, ღვთაებისამებრ პატივცემული და იმავე დროს, შიშისა და ცრუმორწმუნეობის გამო, გულის სიღრმეში - უფრო უბედური, ვიდრე მისი რომელიმე მონა.

სიკვდილის თამაში, რომელიც დითჩინჰემის სამლოცველოს კედლებზეა გამოსახული - ჩონჩხებს თან მიჰყავთ სამი მეფე, საკმაოდ ნათლად გვიჩვენებს, რომ მონარქებს არ ძალუძთ ასცდნენ საერთო ბედისწერას; ისინი სულაც არ არიან უფრო ბედნიერები, ვიდრე უბრალო ადამიანები, რომელთა ხვედრი, ზოგჯერ უფრო სახარბიელოც კია, როგორც ეს ერთხელ ჩემმა მწყალობელმა ანდრეს დე ფონსეკამ მითხრა: - ჭეშმარიტი ბედნიერება მხოლოდ ძილია, რომლისგანაც ვიღვიძებთ ჩვენი მოკლე და მეტად მძიმე ცხოვრების მრავალგვარი მწუხარებისთვის. ჩემი ფიქრები გადასწვდა მშვენიერ პრინცესა ოთომის, რომელიც გულთბილად შემომყურებდა და მეც ნეტარებით ვივსებოდი, ვინაიდან ახალგაზდა ვიყავი, თანაც, როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩემ ლილის სამუდამოდ დაკარგულად ვთვლიდი. რა არის გასაკვირი იმაში, რომ ჩემს მდგომარეობაში სავსებით მომხიბლა ამ ინდიელმა ქალიშვილმა?! დარწმუნებული ვარ, არ არსებობს მამაკაცი, ვისაც ის არ მოაჯადოებდა თავისი სინაზით, სილამაზითა და იმ განსაკუთრებული მეფური გრაციით, რასაც იძლევა მხოლოდ იმპერატორთა სისხლი და მბრძანებლობის მრავალწლიანი ჩვეულება. მის ქალურ სინაზეს რაღაც თავისებური ელფერი ედო, სევდიანი და გაუგებარი. მისი აღმოსავლუ-

რი სათუთობა, რაც ასე აკლიათ ზედმეტად ზრდილ ინგლისელ ქალებს, ერთდროულად მოქმედებდა ჩემს წარმოსახვაზე, გრძნობებზე და პირდაპირ სულში იჭრებოდა.

დიახ, ოთომი გახლდათ ერთ-ერთი ისეთი ქალთაგანი, ვის სიყვარულზეც მამაკაცს მხოლოდ ოცნება თუ შეეძლო, ვინაიდან, მისი მსგავსი არსება დედამიწაზე ძალიან ცოტა მოიძებნება, ის განსაკუთრებული პირობები კი, როგორშიც, შესაძლოა, მისი მსგავსნი აღიზარდონ, კიდევ უფრო იშვიათია. უმანკო და მგზნებარე, მეფურად კეთილშობილი, ბუნებისგან უხვად დაჯილდოებული, ქალური სინაზით აღსავსე, ამავე დროს მეომარივით გულადი და უმშვენიერეს ღამეზე უფრო მშვენიერი, შემეცნებისთვის გახსნილი ცოცხალი გონებისა და მტკიცე სულის პატრონი, რომელსაც ვერავითარი უბედურება ვერ გასტეხს; ერთი შეხედვით, მუდამ ცვალებადი, მაგრამ სინამდვილეში, ერთგული და მამაკაცის მსგავსად, საკუთარი ღირსების დამფასებელი - აი, ასეთი იყო ოთომი, მონტესუმას ასული, ოთომის ტომთა პრინცესა. რა გასაკვირია, რომ, როცა ბედმა პრინცესას სიყვარული მაჩუქა, ის მეც შემყვარებოდა?!

მაგრამ ოთომის ჰქონდა ისეთი ნაკლიც, რომელზეც თავიდანვე რომ მცოდნოდა, ალბათ, გზიდან ჩამოვეცლებოდი. ყველა თავისი ღირსების მიუხედავად, იგი გულის სიღრმეში ველური რჩებოდა და როგორადაც არ ცდილობდა ამის დამალვას, აცტეკური სისხლი მაინც თავისას აკეთებდა.

ამ ფიქრებში ვიყავი, როცა კარსუკან დარაჯთა მძიმე ნაბიჯებმა მომაგონეს, რომ სიყვარული და სხვა ასეთი საამური რამ ჩემთვის უცხო იყო, რადგან ჩემი სიცოცხლე წინანდებურად ბეწვზე ეკიდა. ქურუმებმა ხვალ უნდა გადაწყვიტონ ჩემი ბედი, მათ ხელში ჩავარდნილ ტყვეს კი წინასწარ შეუძლია გამოიცნოს გა-

ნაჩენი. მათთვის მე თეთრკანიანი უცხოელი ვარ. ასეთი მსხვერ-პლი, რა თქმა უნდა, ათასჯერ მეტად ესიამოვნებათ ღმერთებს. ეტყობა, იმიტომ გადამარჩინეს ტაბასკოში, რომ ტენოჩტიტლა-ნის უფრო დიდ საკურთხეველზე დამდონ. როგორც ჩანს, ასე მი-წერია - საშინელი სიკვდილით მოვკვდე სამშობლოდან შორს გადაკარგული. მძიმე ფიქრებით მოქანცულმა ძლივს დავიძინე.

დილის მზემ გამომაღვიძა და გარეთ გავიხედე.

სასახლე, სადაც ვიმყოფებოდი, იდგა ქვიანი ბორცვის მწვერ-ვალზე, რომლის ძირში ტესკოკოს ტბა იყო, შუაში კი, ჩემგან და-ახლოებით ერთ მილზე, წყლის ზედაპირზე, ტენოჩტიტლანის ტაძრის კოშკები აღმართულიყო. ბორცვის ფერდობებზე და მის ირგვლივ ჯგუფ-ჯგუფად გაზრდილიყო გიგანტური კედრები, რომლებთანაც დითჩინჰემის უდიდესი მუხა ჯუჯასავით გამოჩ-ნდებოდა. ყველაზე მაღალი კედრის წრეხაზი ძირში ოცდაორ ნა-ბიჯს უდრიდა. მათი ტოტების ჩრდილში გაშენებული იყო მონტე-სუმას ბაღები - განსაცვიფრებლად ლამაზი ყვავილებით, მარმა-რილოს შადრევნებით, მრავალი საფრინველეთი და ნადირთა საჩიხრებით. მგონი, ამ ბაღებზე მშვენიერი არაფერი მინახავს ცხოვრებაში.

„რა გაეწყობა, დაე დავიღუპო! სამაგიეროდ, ვნახე ანაუაკი, მისი იმპერატორი, მისი ხალხი და ადათები. ესეც ხომ რამედ ღირს!” - ვინუგეშე თავი.

16.
თომასი - ღმერთი?!

აბა, საიდან ვიფიქრებდი, რომ მე, უბრალო აზნაური, თომას ვინგფილდი გადავიქცეოდი ღვთაებად და მონტესუმას შემდეგ ყველაზე სათაყვანებელი კაცი გავხდებოდი, უფრო სწორად - ქალაქ ტენოჩტიტლანის ღმერთი?!

ეს ამბავი ასე დაიწყო: საუზმის შემდეგ უფლისწულ კუაუტემოკის ოჯახის წევრებთან ერთად სასამართლოში წამიყვანეს ანუ, როგორც მას აქ უწოდებდნენ, „ღვთის სამსჯავროში“, სადაც ოქროს ტახტზე მჯდომი მონტესუმა დამხვდა. იგი მართლმსაჯულების წესებს ისეთი მედიდურობით ასრულებდა, რომ მისი აღწერა შეუძლებელია. მონტესუმას თან ახლდნენ მრჩევლები და სამეფო კარის წარჩინებულები, მის წინ კი იდო ადამიანის თავი ქალა, რომელიც დიადემით, არნახული სიდიდის მოელვარე ზურმუხტებით იყო მოოჭვილი. სკი პტრის ნაცვლად იმპერატორს ხელში ისარი ეჭირა.

მონტესუმას წინაშე წარსდგა ღალატისთვის დაჭერილი რამდენიმე ბელადი. მათი გასამართლება მალე დამთავრდა. ბრალდების წაყენების შემდეგ მათ ჰკითხეს, რას იტყვით თავის გასასამართლებლადო. ყველა შეეცადა, მოკლედ გადმოეცა საკუთარი ამბავი. აქამდე მდუმარედ და უძრავად მყოფმა მონტესუმამ აიღო გრაგნილები, რომელზეც ჩამოთვლილი იყო ბელადების დანაშაულები და თითოეული ბრალდებულის გრაგნილს ხმაამოუღებლად უჩხვლიტა ისარი, რაც სიკვდილით დასჯას ნიშნავდა. ისინი მაშინვე გაიყვანეს.

ამის შემდეგ დარბაზში შემოვიდა შავად ჩაცმული რამდენიმე ქურუმი, რომელთაც მხრებზე აბურდული თმები ჩამოჰყროდათ. მათ დანახვაზე ტანში ჟრუანტელმა დამიარა; შევნიშნე, რომ ისინი თვით იმპერატორსაც კი არ ეპყრობოდნენ მაინცდამაინც დიდი მოწიწებით.

მრჩევლებმა და წარჩინებულმა მეომრებმა უკან დაიხიეს, ხოლო ქურუმები მონტესუმასთან მოსალაპარაკებლად მივიდნენ. მალე ორი მათგანი მომიახლოვდა, მცველები ჩამომაცილეს და ტახტთან მიმიყვანეს. აქ ერთმა ქურუმმა მიბრძანა, ყველაფერი გაიხადეო. დარცხვენილი დავემორჩილე. როდესაც ტანსაცმელი გავიძრე და მთლად შიშველი ტახტთან დავდექი, ქურუმები შემომეხვივნენ და გულდასმით დაიწყეს ჩემი სხეულის თვალიერება. მკლავზე დე გარსიას დაშნის ნაიარევი მაჩნდა, ბეჭებსა და ზურგზე კი - ჯერ კიდევ მოურჩენელი პუმას კბილებისა და ბრჭყალების ნაკვალევი. ქურუმებმა მკითხეს, ეს რა ჭრილობებიაო. მე ყველაფერი ვუამბე. ისინი განზე გადგნენ, რათა მათი ლაპარაკი არ გამეგონა და ერთმანეთში ცხარე კამათს მოჰყვნენ. თუმცა, როგორც მივხვდი, საერთო გადაწყვეტილებამდე ვერ მივიდნენ და იძულებული გახდნენ, იმპერატორისთვის მიემართათ. იგი ცოტა ხანს ჩაფიქრდა, შემდეგ თქვა: - ეს ნაკლი თანდაყოლილი არაა, დაბადებისას იგი ტანზე ვერ ექნებოდა. ეს ადამიანისა და მხეცის მიერ მიყენებული ჭრილობების ნაკვალევიაო.

ქურუმებმა კიდევ ითათბირეს. ბოლოს, მათგან ყველაზე მთავარმა რამდენიმე სიტყვა ჩასჩურჩულა მონტესუმას, რომელმაც თავი დაუქნია, ტახტიდან წამოდგა და მომიახლოვდა. მე შიშველი ვიდექი და ვკანკალებდი. მონტესუმამ კისრიდან ზურმუხტებიანი ოქროს ძეწკვი მოიძრო, თავისი სამეფო მანტიის შესაკრა-

ვი გაიხსნა და თვითონ ჩამომკიდა ძეწკვი და მანტიაც მომახურა. მერე ჩემ წინ დაიჩოქა, ხელები ვედრებით მომაპყრო და მომეხვია: - ოო, სალამი შენდა, კეცალკოატლის ღვთაებრივო შვილო! კურთხეულ იყავ შენ, ყოველი არსებულის გამჩენო ტესკასტლი პოკის სულის, სამყაროს სულის სათავსოვ! რა დამსახურებისთვის გაგვაბედნიერე შენი გამოჩენით? როგორ მოვიქცეთ და რით გადაგიხადოთ ასეთი მოწყალება? შენ გაგვაჩინე ჩვენ და მთელი ეს ქვეყანა! კურთხეულ იყოს შენი სახელი! გვიბრძანე - ყველანი შენი მსახურნი ვართ და შენი ბრძანება აღსრულდება, მოისურვე და შენი სურვილი შესრულდება უფრო ადრე, ვიდრე შენი ბაგენი მას წარმოთქვამდნენ! მე, მონტესუმა, შენი მონა და ჩემი ხალხი, ქედს ვიხრით შენს წინაშე! - დაამთავრა და მუხლებზე დაეცა.

- ოო, ტესკატლი პოკა! ჩვენც გევედრებით, ქედს ვიხრით შენს წინაშე! - აქვითინდნენ ქურუმებიც.

ისევ უსიტყვოდ ვიდექი მთელი ამ კომედიით განცვიფრებული. მონტესუსამ ტაში შემოჰკრა და მის ნიშანზე ლამაზად გამოწყობილი ქალები გამოჩნდნენ ყვავილების თაიგულებით ხელში. იმათ ჩამაცვეს სამოსელი, თავი ყვავილებით შემიმკეს და ლოცვით რამდენჯერმე გაიმეორეს: - ტესკატლი პოკა, რომელიც გუშინ მოკვდა, დღეს ისევ გამოგვეცხადა. გაიხარეთ ყველამ! ტესკატლი პოკა კვლავ გამოგვეცხადა ტყვე თეულის სახით!

მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ ახლა ღმერთი ვიყავი, თანაც არა უბრალო ღმერთი, არამედ - ღმერთთა ღმერთი. არასოდეს მიგრძვნია თავი ასეთ სულელურ მდგომარეობაში!

ქალების შემდეგ დარბაზში მოკრძალებით შემოვიდნენ წარჩინებული მამაკაცები მუსიკალური საკრავებით. იქვე მითხრეს,

დღეიდან ისინი სულ შენი დამრიგებლები იქნებიან, მეფის მსახურთა მთელი ესკორტი კი - შენი მონებიო. მუსიკის ჰანგზე დარბაზიდან გამიყვანეს. გამომცხადებელი წინ მიდიოდა და ხმამაღლა გაიძახოდა: - აი, ღმერთი ტესკატლი პოკა მობრძანდება, სამყაროს სული, ყოველი არსებულის გამჩენი, რომელმაც თავისი ხალხი კვლავ ინახულაო. ასეთი პროცესიით, სასახლის ყველა ეზო და ოთახები შემომატარეს - ქალები, კაცები, ბავშვები ქედს იხრიდნენ და ჩემზე ლოცულობდნენ - ნორფოლკის საგრაფოს დაბა დითჩინჰემში მცხოვრებ თომას ვინგფილდზე! ბოლოს იქამდე მივედი, რომ ვირწმუნე, ალბათ, ჭკუიდან შევიშალე-მეთქი.

შემდეგ ტახტრევანში ჩამსვეს და ჩაპულტეპეკის ბორცვიდან ქვევით, ჯებირზე წამიღეს, იქიდან კი - ქალაქის ყველა ქუჩის გავლით - ვეებერთელა მოედანზე აღმართულ ტაძრამდე. გამომცხადებლები და ქურუმები წინ მიმიძღოდნენ, ხოლო მათ უკან მოჰყვებოდნენ დიდგვაროვანი ჭაბუკები და მსახურები. ქუჩებში თავშეყრილი აუარებელი ხალხი ჩემს დანახვაზე პირქვე ემხობოდა. თანდათან მივხვდი, რომ ღმერთად ყოფნა საკმაოდ მომქანცველი იყო.

მოედნიდან ჩემი ტახტრევანი გველების გამოსახულებით დამშვენებულ კედლებს შუა გაკეთებულ ხვეულ კიბეზე აიტანეს და მალე უშველებელი თეოკალის მწვერვალზე აღმოვჩნდი, სადაც კერპები და საკურთხევლები იდგა. აქ ქურუმები დიდი დოლის განუწყვეტელი ბრახუნით შეუდგნენ ჩემს პატივსაცემად მსხვერპლშეწირვას. მეც იძულებული ვიყავი, ამ საზიზღარი მხეცობისთვის მეცქირა, რომლის დროს ძლივს ვიკავებდი თავს, გული რომ არ ამრეოდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ მთხოვეს, ტახტრევნიდან გადმოვსულიყავი; ფეხქვეშ ნოხები გამიგეს და ყვავილები დამიყარეს, მაგრამ უცებ შიშმა შემი პყრო - ახლა ჩემს თავს სხვა რომელიმე ღმერთს შესწირავენ-მეთქი. საბედნიეროდ, ჩემი შიში უსაფუძვლო გამოდგა. ზედა მოედნის კიდესთან ძალიან ახლოს მისვლაზე უარი ვთქვი, შემეშინდა, ვინმეს უნებურად ქვევით არ გადავეგდე. მრავალათასიან ბრბოს თვით უზენაესმა ქურუმმა აუწყა ჩემი ღვთაებრიობა და ხალხმა პირამიდაზე სალოცავად მუხლი მოიდრიკა. დამქანცველი ცერემონია დიდხანს გაგრძელდა. თავი გახეთქვაზე მქონდა. ამ დაუსრულებელმა ლოცვებმა, მუსიკამ, ღაღადმა და გასისხლიანებული ცხედრების ყურებამ ისე მომქანცა, რომ შვებით ამოვისუნთქე, როცა პროცესია ისევ ჩაპულტეპეკისკენ დაიძრა.

აქაც ახალი პატივისცემა მელოდა. სასახლეში, თვით იმპერატორის სეფედარბაზების გვერდით, ბევრი შესანიშნავი ოთახი გამომიყვეს და დიდი ამბით გამოაცხადეს, რომ ამიერიდან მონტესუმას ყველა ნათესავი ჩემი მსახური იქნებოდა და თუ ვინმე ურჩობას გაბედავდა, მას სიკვდილით დასჯიდნენ.

პირველად მხოლოდ მაშინ ამოვიღე ხმა და მარტო დარჩენა ვითხოვე, რათა ცოტა ამომესუნთქა. მსახურებს ვუბრძანე, სადღესასწაულო სუფრა მოემზადებინათ კუაუტემოკის სასახლეში, სადაც ოთომთან შეხვედრის იმედი მქონდა.

დამრიგებლები და ჩემი ამალის წარჩინებული მეომრები ერთხანს შემედავნენ იმ მოტივით, რომ ამ ღამეს შენს მონა მონტესუმას შენთან სურს იდღესასწაულოსო, მაგრამ გადაწყვეტილება არ შევცვალე.

როგორც იქნა, წავიდნენ, ოღონდ წინასწარ გამაფრთხილეს, ერთ საათში დავბრუნდებით, რათა ნადიმზე წამოგყვეთო. რო-

გორც კი მარტო დავრჩი, ჩემი ღვთაებრიობის ყველა ნიშანი მომეხსნა, ბალიშზე განცხრომით წამოვწექი და ფიქრებში ჩავიძირე. აღგზნებული ვიყავი. ნუთუ, ახლა ღმერთი ვარ და ჩემი ძალაუფლება თითქმის განუსაზღვრელია? - ვეკითხებოდი საკუთარ თავს. მაგრამ ქვეცნობიერი მეკითხებოდა: რატომ გამოგაცხადეს ღმერთად და ამ მდგომარეობას რამდენ ხანს შეინარჩუნებო?

ერთი საათიც არ გასულა, რომ დაბრუნდნენ ჩემი დამრიგებლები და მსახურნი, რომლებმაც ახალი ტანსაცმელი და ყვავილები მომიტანეს. მათ შემმოსეს, დამამშვენეს გვირგვინებით და კუაუტემოკის სასახლეში თან გამომყვნენ. წინ ლამაზი ქალები მიგვიძღოდნენ და საკრავებს ახმიანებდნენ.

უფლისწული კუაუტემოკი უკვე გველოდა. აქ ისეთი პატივისცემით შემხვდნენ, თითქოს მე მისი არა დიდი ხნის ტყვე, არამედ თვით იმპერატორი მონტესუმა ვიყავი. ამავე დროს შევნიშნე, რომ უფლისწული რატომღაც დარცხვენილი იყო და მის თვალებში სიბრალული გამოკრთოდა. მე გადავიხარე და კუაუტემოკს ჩავჩურჩულე: - რას ნიშნავს, უფლისწულო, ყველაფერი ეს? მე მართლაც ღმერთი ვარ თუ მასხრად მიგდებენ?

- ჩუმად! მი პასუხა მან ოდნავ გასაგონი ხმით და თავი ჩაღუნა, - შენთვის ეს კარგიც არის და ცუდიც, ჩემო მეგობარო, თეულო. შემდეგ ყველაფერს აგიხსნი. - მერე უკვე ხმამაღლა დაუმატა: - ოო, ღმერთთა ღმერთო, ტესკატლი პოკა! ჩვენთან ერთად გაიზიარებთ ტაბლას, თუ მარტო დარჩენა გსურთ?

- უფლისწულო, ღმერთებს უყვართ კარგ ხალხში ყოფნა, - ვუპასუხე მე. სანამ ჩვენ ერთმანეთს ველაპარაკებოდით, დარბაზში შემოსულთა შორის პრინცესა ოთომი დავინახე. როცა სტუმრები დაიფანტნენ, რათა დაბალი მაგიდის ირგვლივ დამსხდა-

რიყვნენ, მე დაველოდე, ვიდრე ოთომი დაჯდებოდა და მაშინვე მის გვერდით აღმოვჩნდი. ამან იქმყოფნი შეაშფოთა, ვინაიდან ჩემთვის მომზადებული იყო საპატიო ადგილი სუფრის თავში.

- შენი ადგილი აქ არ არის, მბრძანებელო ტესკატლი პოკა, - ჩაილაპარაკა ოთომიმ და შავგვრემანი სახე ოდნავ წამოუჭარხლდა.

- ჩემი აზრით, დიდებულო ოთომ, ღმერთს შეუძლია, დაჯდეს იქ, სადაც მოესურვება, - ვუპასუხე მე და თან ხმადაბლა დავუმატე: - განა ღმერთისთვის არსებობს უფრო საპატიო ადგილი, ვიდრე დედამიწაზე უმშვენიერესი ქალღმერთის გვერდით ჯდომაა ?

ის კვლავ გაწითლდა და მითხრა: - ვაი, რომ ქალღმერთი კი არა, უბრალო მოკვდავი ვარ. თუ გსურს, მაგიდასთან შენ გვერდით ვიჯდე, უნდა ადგე და ხმამაღლა განაცხადო; წინააღმდეგობას ვერავინ გაბედავს, თვით მამაჩემი მონტესუმაც კი. მაშინვე ავდექი და დამახინჯებულ აცტეკურ ენაზე მივმართე ყველა დამსწრეს: - ამიერიდან ჩემი ადგილი ნადიმებზე მუდამ პრინცესა ოთომის გვერდით იქნება, ასეთია ჩემი სურვილი!

ამ სიტყვებზე ოთომი კიდევ უფრო გაწითლდა. სტუმრებმა ერთმანეთში ჩურჩული დაიწყეს. პრინცი კუაუტემოკი ჯერ მოიღუშა, მაგრამ მერე გაიღიმა. სამაგიეროდ, ჩემმა წარჩინებულმა დამრიგებლებმა თავი დახარეს, გამომცხადებლებმა კი საჯაროდ წარმოთქვეს: - დაე, დღეიდან პრინცესა ოთომი ტესკატლი პოკას გვერდით იჯდეს, ვინაიდან იგი ღმერთს შეუყვარდა!

იმ დღიდან ოთომი ყოველთვის ჩემთან იჯდა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა მონტესუმასთან ვიყავი ნადიმზე. ქალაქში ახლა მშვენიერ ოთომს ყველა „ღმერთ ტესკატლი პოკას მიერ დალოცვილ და შეყვარებულ პრინცესას“ უწოდებდა. იმდენად

დიდი იყო ადათებისა და ცრურწმენის ძალა, რომ აცტეკებს გულწრფელად სჯეროდათ, თითქოს იმ კაცს, ვინც თუნდაც მოკლე ხნით „სამყაროს სულის“ განსხეულება გახდა, შეეძლო გაებედნიერებინა ქვეყნის ყველაზე დიდგვაროვანი ქალი და უდიდესი წყალობა მიეგო მისთვის.

ლხინის დაწყებისას ჩუმად ვკითხე ოთომის, რა ხდება ჩემს თავს-მეთქი.

- ნუთუ, არ იცი? - ჩამჩურჩულა მან. - ახლა არ შემიძლია გი პასუხო, გეტყვი მხოლოდ ერთს: ჯერ შენ ღმერთი ხარ და უფლება გაქვს, ყველგან დაჯდე, მაგრამ მოვა დრო და დაგდებენ ისეთ ადგილას, სადაც არ გენდომება. მომისმინე: როცა ქეიფი დამთავრდება, თქვი, ოთომის თანხლებით სასახლის ბაღში მინდა გასეირნება-თქო. მაშინ ალბათ მოვახერხებ ყველაფრის ახსნას.

ასეც მოვიქეცი. როგორც კი ნადიმი მორჩა, საჯაროდ განვაცხადე: პრინცესა ოთომთან ერთად ბაღში მსურს გასეირნება--მეთქი. ჩვენ გამოვედით სასახლიდან და მალე დიდებული კედრების ქვეშ აღმოვჩდით. სამწუხაროდ, აქ მარტონი არ ვიყავით - ოცი ნაბიჯის მოშორებით მოდიოდა მთელი ჩემი ამალა, მუსიკოსთა თანხლებით, რომლებიც შეუჩერებლად აჭყი პინებდნენ დაწყევლილ ფლეიტებს. მათ მუსიკაზე შეუწყობლად ცეკვავდნენ ლამაზი ქალები. ბევრჯერ ვუბრძანე მათ, შეეწყვიტათ ხმაური, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა. ეს იყო ერთადერთი ჩემი ბრძანება, რასაც არასოდეს ასრულებდნენ. ამალა, მუსიკოსები და მოცეკვავეები ყველგან დამყვებოდნენ, სადაც არ უნდა წავსულიყავი. მხოლოდ იმ დღეებში მივხვდი, ზოგჯერ რა ფასდაუდებელი საუნჯეა მარტოობა.

მალე მე და ოთომი ცხარე საუბარში გავერთეთ, საიდანაც გავიგე, როგორი ბედი მელოდა მომავალში.

- მისმინე, თეულო, - მითხრა ოთომიმ, რომელიც ყოველთვის ასე მეძახდა, როცა არავინ გვისმენდა, - ჩვენი ადათია, ყოველ წელს აირჩიონ ახალგაზრდა ტყვე და გამოაცხადონ იგი სამყაროს გამჩენ ღმერთ ტესკატლი პოკას მიწიერ განსხეულებად. ამისთვის ტყვეს უნდა ჰქონდეს მხოლოდ ორი ღირსება - კეთილშობილი ჩამომავლობა და უნაკლო გარეგანი სილამაზე. იმ დღეს, როცა შენ აქ მოგიყვანეს, ახალი ტყვე უნდა აერჩიათ, ღმერთის განსხეულებისთვის. ქურუმებმა შენ დაგასახელეს, რადგან დიდგვაროვანი და ანაუაკის ყოველ მამაკაცზე უფრო მშვენიერი ხარ. გარდა ამისა, შენ კეცალკოატლის შვილების - თეულების ტომიდან ხარ, რომლებზეც ხმები დიდი ხანია ჩვენამდე აღწევს. მამაჩემს ყველაზე მეტად აშინებს მათი გამოჩენა. ქურუმებმა გადაწყვიტეს, რომ შენ შეგიძლია აგვაცილო თეულთა რისხვა და ღმერთებს გულს მოულბობ. ოთომი გაჩუმდა, თითქოს გაუჭირდა იმ სიტყვების მოძებნა, რაც კიდევ უნდოდა ეთქვა, მაგრამ მე არ მიმიქცევია ამისთვის ყურადღება. მისი სიტყვები საამო იყო და ერთგვარად მამაღლებდა საკუთარ თვალში. მშვენიერმა პრინცესამ ხომ თვითონ აღიარა, რომ მე ანაუაკის ყოველ მამაკაცზე ლამაზი ვიყავი! აქამდეც თავი საკმაოდ მოსაწონ ჯეელად მიმაჩნდა, მაგრამ არც ერთ კაცს, ქალს ან ბავშვს, აქამდე არ უთქვამს ჩემთვის, შენ „ლამაზი“ ხარო. ერთი რამ არ უნდა დაივიწყოს კაცმა: რაც მეტად ამაღლდები, თურმე მით უფრო საშინელია ძირს ჩამოვარდნა. ასე იყო ამჯერადაც.

- თეულო, სამწუხარო სიმართლე უნდა გითხრა, - განაგრძო ოთომიმ. - მთელი წელი იქნები ტენოჩტიტლანის ღმერთი და არაფერი შეგაშფოთებს; სხვადასხვა ცერემონიაზე დასწრება მოგიწევს და რამდენიმე საღმრთო წესს შეგასწავლიან. ყოველი შენი სურვილი კანონი იქნება; თუ ვინმეს გაუღიმებ, შენი ღიმი-

ლი ღვთის წყალობად ჩაითვლება და ხალხი შენზე ილოცებს. თვით მამაჩემი მონტესუმა ისე მოგეპყრობა, როგორც თანასწორს. წლის ბოლოს ცოლებად ამოგირჩევენ ჩვენი ქვეყნის ოთხ ყველაზე ლამაზ ქალიშვილს.

- ვინ ამომირჩევს? - შევეკითხე მე.

- არ ვიცი, თეულო, - აჩქარებით მი პასუხა ოთომიმ. - არ ვიცი ეს საიდუმლო წესები. ხან თვით ღმერთი ირჩევს, ზოგჯერ კი ამას ქურუმები აკეთებენ. საერთოდ, სხვადასხვანაირად ხდება. მაგრამ მომისმინე და ყველაფერი დანარჩენი დაგავიწყდება. ერთ თვეს იცხოვრებ შენს ცოლებთან, ეს დრო გაივლის ნადიმებსა და დღესასწაულებში. თვის ბოლო დღეს ჩაგსვამენ სამეფო ორჩხომელაში და ცოლებთან ერთად წაგიყვანენ იმ ადგილას, რასაც „ლითონების სადნობარი“ ეწოდება. იქ აგიყვანენ თეოკალზე, რომელსაც ჩვენ ვეძახით „საჭურვლის სახლს“ და შენი ცოლები სამუდამოდ გამოგეთხოვებიან. მერე კი თეულო, მიმძიმს ამით თქმა, - მსხვერპლად შეგწირავენ დიდ ღმერთს, ტესკატლი პოკას, ვისი განსხეულებაც თვითონ ხარ. მკერდიდან გულს ამოგგლეჯენ, თავს წაგაცლიან და მარგილზე ჩამოაცმევენ, რომელსაც „თავების ბოძი“ ჰქვია... ამ საშინელი განაჩენის გაგონებაზე შიშისგან ფეხები ისე მომეკვეთა, კინაღამ წავიქეცი. მერე გავმწარდი, დავივიწყე მამაჩემის რჩევა-დარიგება და წყევლაკრულვით მოვიხსენიე ანაუაკის ყველა ღმერთი და ხალხიც, რომელიც მათ თაყვანს სცემდა. პირველად აცტეკთა და მაიას ენებზე ვიგინებოდი, როცა სიტყვათა მარაგი ამომეწურა, ესპანურზე და ინგლისურზე გადავედი.

ოთომიმ, რომელმაც ნახევრად გაიგო, რაც ვთქვი, დანარჩენს კი, შესაძლოა, მიხვდა, ხელები აღაპყრო და შემევედრა: - გთხოვ, თეულო, ნუ აგინებ მრისხანე ღმერთებს, თორემ

დაუყოვნებლივ თავს დაგატყდება სასტიკი სასჯელი. სხვებმა რომ გაიგონონ, იფიქრებენ, შენში კეთილი კი არა, ბოროტი სული ზის და საშინელ ტანჯვაში მოკვდები. მაგრამ ხალხმაც რომ არაფერი გაიგოს, შენს გინებას ღმერთები გაიგონებენ, ისინი ხომ ყველგან არიან!

- დაე, გაიგონონ! - წამოვიძახე მე. - ისინი ცრუღმერთები არიან და ეს ქვეყანაც შეჩვენებულია, რადგან მათ ეთაყვანება. თქვენი კერპები და მათთან ერთად ყველა კერპთაყვანისმცემელი, განწირულია. დაე, ისმინონ ჩემი სიტყვები. სჯობს, ახლა დავიღუპო წამებით, ვიდრე ვიტანჯო მთელი წელი - სიკვდილის მოლოდინში. თქვენი ქურუმების მიერ ზღვად დაღვრილი სისხლი ჭეშმარიტი ღმერთის მსჯავრს მოითხოვს და იგი სამაგიეროს მიუზღავს მათ!

ერთი სიტყვით, სიბრაზით გამოვხატავდი ჩემს შიშსა და უძლურებას. ოთომი შეშფოთებული და განცვიფრებული ისმენდა ჩემს წყევლა-კრულვას, უკან კი ფლეიტები წრი პინებდნენ და მოცეკვავეები წრეს უვლიდნენ.

უცებ შევნიშნე, რომ ოთომი უკვე აღარ მისმენდა, ის აღმოსავლეთისკენ იცქირებოდა და ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს რაღაც მოჩვენება დაინახაო. მეც მივიხედე. ჩემ უკან მთელი ცა განათებულიყო. მასზე, ჰორიზონტიდან ზენიტამდე, მარაოსავით იშლებოდა ცეცხლოვანი ნაპერწკლებით დაწინწკლული, მკვდრისებრ ფერმკრთალი ციალი; გეგონებოდათ, ამ საშინელი მარაოს სახელური სადღაც მიწაზეა, მისი ფრთები კი მთელი აღმოსავლეთის ცის ნახევარს ფარავსო. არაჩვეულებრივი სანახაობით გატაცებული, უნებურად დავდუმდი და იმწამსვე სასახლიდან სასოწარკვეთილი გოდება მომესმა. ყველანი გარეთ გამოცვივდნენ, რათა აღმოსავლეთში მოგიზგიზე ნიშნი-

სათვის შეეხედათ. ცოტა ხანში სასახლიდან გამოვიდა წარჩინებული კაცებით გარშემორტყმული მონტესუმაც. მკრთალ სინათლეზე დავინახე, როგორ საცოდავად უცახცახებდა მას ბაგეები და ხელები. ამ დროს ახალი სასწაული მოხდა: მოწმენდილი ციდან ქალაქზე წამოვიდა ცეცხლოვანი ბურთი, ყველაზე მაღალ ტაძარს დაეცა, თვალისმომჭრელად გააბრწყინა თეოკალი, მისი მოედანი და ჩაქრა. მაგრამ მისი დაცემის ადგილას ახალი ალი ავარდა - იწვოდა კეცალკოატლის ტაძარი.

ყველას, ვინც ეს დაინახა სასოწარკვეთილი კვნესა აღმოხდა. მეც, რატომღაც, შემეშინდა, თუმცა ვიცოდი, რომ ციალი, რამაც გაანათა ცა, ჩვეულებრივი კომეტა იყო და ტაძარში ხანძარი მეხმა გამოიწვია. მაგრამ აცტეკებმა და განსაკუთრებით მონტესუმამ, ვისი გონებაც უცნაური თეთრკანიანების გამოჩენის წინასწარმეტყველებას დაეპყრო, რომლებიც მის იმპერიას დაიმორჩილებდნენ, ბუნების ეს მოვლენა ცუდის მომასწავებლად მიიჩნია. თუ აქამდე მას კიდევ ჰქონდა რაიმე იმედი, ამ შემთხვევამ საბოლოოდ გაუქარწყლა.

როდესაც ყველა შიშისგან გაშეშებული იდგა, ხალხში ქანცგაწყვეტილი და გამტვერიანებული შიკრიკი შემოიჭრა. იგი იმპერატორის წინ მუხლებზე დაემხო, ტანსაცმლის ნაკეცებიდან გრაგნილი ამოიღო და ერთ-ერთ მრჩეველს გაუწოდა. მაგრამ მონტესუმას მოუთმენლობამ სძლია და ადათი დაარღვია - მრჩეველს გრაგნილი ხელიდან გამოსტაცა, გაშალა და გაწითლებული ცისა და მოგიზგიზე ტაძრის სინათლეზე კითხვა დაიწყო. მონტესუმამ უცებ ხმამაღლა დაიყვირა და ხელები სახეზე აიფარა. გრაგნილი შემთხვევით ჩემ ახლოს დავარდა, მასზე ესპანეთის ხომალდი და ესპანურ აბჯრებში ჩაცმული მეომრების უხეში გამოსახულებები დავინახე. ჩემთვის ცხადი გახდა მონტესუმას

სასოწარკვეთილების მიზეზი: მის მიწაზე ესპანელები გადმოსხდნენ.

იმპერატორს რამდენიმე მრჩეველი მიუახლოვდა და შეეცადა ენუგეშებინა იგი, მაგრამ მან ყველას ხელი ჰკრა.

- დამანებეთ თავი! - ოხრავდა მონტესუმა, - ნუ მიშლით ხელს, გამოვიტირო ჩემი ხალხი. წინასწარმეტყველება აღსრულდა, ანაუაკი განწირულია. კეცალკოატლის შვილები უკვე ბატონობენ ჩვენს მიწაზე და ხოცავენ ჩემს შვილებს! მომშორდით თავიდან, ნუ მიშლით ტირილს!

ამ დროს მასთან მოვარდა მეორე სასოწარკვეთილი შიკრიკიც.

- თქვი! - უბრძანა მონტესუმამ.

- მეუფეო, შემიბრალე ცუდი ამბის მომტანი; შენი და პაპანცინი კვდება!

სასოწარკვეთილმა მონტესუმამ მდუმარედ მიიფარა სახეზე თავისი მანტიის ბოლო და ნელი ნაბიჯით სასახლისკენ წავიდა.

ალისფერი დაფიონი წინანდებურად ელვარებდა აღმოსავლეთში, მზის არაბუნებრივი ჩასვლის მსგავსად. ქვევით, ქალაქში კი ცეცხლი გააფთრებით შთანთქავდა კეცალკოატლის ტაძარს.

მე აკანკალებულ ოთომის მივუბრუნდი.

- ხომ გითხარი, პრინცესა ოთომი, ეს ქვეყანა დაწყევლილია-- მეთქი.

- კი, მითხარი, თეულო, - მი პასუხა ოთიმიმ. - მეც ვხედავ, რომ ჩვენი ქვეყანა დაწყევლილია.

შემდეგ სასახლისკენ გავემართეთ და წარმოიდგინეთ, ამ საშინელ წუთებშიც კი, მუსიკოსები და მოცეკვავენი უკან გამოგვედევნენ.

17

იმის გაფიქრებასაც კი, რომ მსხვერპლად შეწირვა მელოდა, პირველ ხანებში სასოწარკვეთილებამდე მივყავდი, მერე თანდათან დავწყნარდი და ჩემს თავს ვუთხარი: სიკვდილი ბევრჯერ გემუქრებოდა, მაგრამ ყოველთვის ახერხებდი გადარჩენას; ვინ იცის, ბედმა იქნებ ამჯერადაც გაგიღიმოს-მეთქი. თანაც, სიკვდილამდე ჯერ კიდევ საკმაო დრო იყო. გადავწყვიტე, სანამ ღმერთად მთვლიდნენ, დროც ღმერთივით გამეტარებინა და ღმერთისთვის განკუთვნილი ყველა უპირატესობით დავმტკბარიყავი. არა მგონია, ვინმეს როდესმე ჰქონოდა მეტი შესაძლებლობა, ისიც - ასეთი არაჩვეულებრივი. ამასთან, გადაჭრით ვამბობ, რომ ვერავინ მოახერხებდა ამ შესაძლებლობის ჩემზე უკეთესად გამოყენებას. ოჯახისა და შორეული სატრფოს სევდას რომ არ შევეწუხებინე, რაც ზოგჯერ დაუძლეველი სიმძიმით მაწვებოდა გულზე, თავს თითქმის ბედნიერად ვგრძნობდი. ჩემი ძალაუფლება უსაზღვრო იყო, ირგვლივ ყველაფერი გასაკვირი და არაჩვეულებრივი. მაგრამ...

პაპანცინის გარდაცვალებას მთელი ქალაქი რამდენიმე დღე გლოვობდა. ვრცელდებოდა უცნაური ხმები, რაც ხალხში მღელვარებას იწვევდა. მნათობი ყოველ ღამით ცის აღმოსავლეთით ჩნდებოდა და ბუნება ყოველდღე თავის ბრჭყალებს აჩენდა, რაც ხალხს თრგუნავდა. ამას ემატებოდა ესპანელთა შემოსევის ახალ-ახალი ცნობები. ადგილობრივების უმრავლესობა მათ თეთრკანიან ღმერთებად, კეცალკოატლის შვილებად თვლიდა,

რომლებიც დაბრუნდნენ იქ, სადაც ერთ დროს მათი წინაპრის სამფლობელო იყო.

ამ ალიაქოთში ყველაზე ცუდად თავს იმპერატორი გრძნობდა. იგი ბოლო დროს თითქმის აღარაფერს ჭამდა და ძილიც გაუკრთა. სასოწარკვეთილმა მონტესუმამ შიკრიკები გაუგზავნა თავის ძველ მეტოქეს, ბრძენსა და პირქუშ ნესაულპილის, მოკავშირე ქვეყნის, ტესკოკოს ბელადს და სთხოვა, ტენოჩტიტლანში ჩამოსულიყო. მოხუცი ნესაულპილი მალე გამოჩნდა. მას მრისხანე თვალები ჰქონდა. ბუნებრივია, ამ შეხვედრას მეც ვესწრებოდი, როგორც ღმერთი. მისალმების შემდეგ, მონტესუმამ ნესაულპილის თეულთა გამოჩენაზე უამბო და სთხოვა, თავისი სიბრძნით აეხსნა, რას მოასწავებდა ყოველივე ეს. ნესაულპილიმ გრძელ ჭაღარა წვერზე გადაისვა ხელი და უპასუხა: - მონტესუმა, მძიმე დარდი გაწევს, მაგრამ მალე კიდევ უფრო უარესი დღე მოგელის. მომისმინე, ვატყობ, ჩვენი მეფობის დღეები დათვლილია. ამაში იმდენად ვარ დარწმუნებული, რომ სანაძლეოდ შემიძლია ბურთი გეთამაშო მთელ ჩემს სამეფოზე, რომელიც შენ და შენს წინაპრებს ასე დაჟინებით გინდოდათ დაგეპყროთ.

- მე რა სანაძლეო უნდა დავდო? - შეეკითხა მონტესუმა.

- შენ სამ მოჩხუბარ მამალს ჩამოხვალ, თუ მე მოვიგებ; მე კი მთელ ჩემს სამეფოს ვდებ!

- ჩვენი სანაძლეო თანაბარი არ არის. მამლები ბევრია, სამეფოები კი ძალიან ცოტაა, - შენიშნა მონტესუმამ.

- მერე რა? - უპასუხა ბელადმა. - ვთამაშობთ ბედისწერის წინააღმდეგ. თამაში როგორც წარიმართება, ისე მოხდება. თუ სამეფოს მომიგებ, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება. თუ მე მოვიგე მამლები, სამუდამოდ გაქრება ანაუაკის დიდება და ჩვენს მიწას მოსულები დაეპატრონებიან.

- რა გაეწყობა, ვითამაშოთ და ვნახოთ, - დაეთანხმა მონტესუმა და სათამაშო მოედნისაკენ წავიდნენ.

თამაში დაიწყო. პირველად მონტესუმა იგებდა და უკვე ხმამაღლა იკვეხნიდა, მალე ტესკოკოს მბრძანებელი გავხდებიო. იმ წამიდან ბედმა უმტყუნა აცტეკთა

იმპერატორს: რამდენიც არ ეცადა, ერთხელაც ვერ მოახვედრა ბურთი რგოლში! ბოლოს, ნესაულპილიმ მოიგო მამლები. გაისმა მუსიკის ხმა. კარისკაცები მოხუცი ბელადის ირგვლივ შეიკრიბნენ, რათა მიელოცათ გამარჯვება. მან მძიმედ ამოიოხრა და თქვა: - მოგებას მერჩია, ჩემი სამეფო წამეგო, ვინაიდან იგი კვლავ ჩვენი ხალხის შვილის ხელში იქნებოდა. ახლა კი ვაი, რომ ორივეს დაეპატრონებიან უცხოტომელები, რომლებიც დაამხობენ ჩვენს ღმერთებს და ჩვენს დიდებას არარაობად აქცევენ! იგი მონტესუმას დაემშვიდობა და სამშობლოში გაემგზავრა. მისდა საბედნიეროდ, მოხუცი ბელადი ამ საშინელი წინასწარმეტყველების აღსრულებამდე გარდაიცვალა.

ნესაულპილის გამგზავრების მეორე დღესვე ესპანელთა მოქმედების ახალი ცნობა მოვიდა, რამაც კიდევ უფრო შეაშფოთა მონტესუმა. შეშინებულმა ცნობილი ასტროლოგი მოიხმო. არ ვიცი, რა უთხრა მან იმპერატორს, ოღონდ, აშკარა იყო, იგი აღშფოთებული ჩანდა. იმავე ღამეს მონტესუმამ მეომრებს მისი სახლის დანგრევა უბრძანა, რათა იგი ნანგრევებში მომკვდარიყო.

ასტროლოგის სიკვდილიდან ორი დღის შემდეგ მონტესუმამ იფიქრა, რომ მისთვის საჭირო ცნობების მიცემა შემეძლო. საღამო ჟამს გამომიძახა და მთხოვა, მასთან ერთად ბაღში გამესეირნა. მე მივედი, რა თქმა უნდა, მუსიკოსთა თანხლებით. მაგ-

რამ იმპერატორმა ყველას იქაურობის დატოვება უბრძანა. იმპერატორს ერთი ნაბიჯით უკან მივყვებოდი.

- თეულო, - დაიწყო მონტესუმამ, - მომიყევი შენი ძმების ამბავი! რისთვის გადმოვიდნენ ისინი ჩემი ქვეყნის ნაპირებზე? ოღონდ იცოდე, არ გაბედო ტყუილის თქმა!

- ოო, მონტესუმა! ისინი ჩემი ძმები არ არიან, მხოლოდ დედა-ჩემი იყო მათი ტომიდან. - ვუპასუხე მე.

- მე გიბრძანე, მხოლოდ სიმართლე თქვა. გესმის, თეულო? თუ დედაშენი იმათი ტომელია, მაშინ, განა, შენც ისეთივე არ ხარ, როგორიც ისინი? განა შენში დედის სისხლი არ არის?

- როგორც გნებავთ, მბრძანებელო, - ვუპასუხე თავდახრით და მოვუყევი ესპანელებსა და ესპანეთზე: მათ დიდებაზე, სისასტიკესა და ოქროთი გაუმაძღრობაზე. მონტესუმა გულდასმით მისმენდა, ოღონდ, ეტყობოდა, ჩემი ნათქვამის ნახევარიც არ სჯეროდა, ვინაიდან ბოლო დროს უაღრესად ეჭვიანი გახდა. როცა გავჩუმდი, ისევ მკითხა: - რისთვის მოვიდნენ ისინი ანაუაკში?

- ვშიშობ, მბრძანებელო, რომ ისინი ამ ქვეყნის დასაპყრობად მოვიდნენ ან, უკეთეს შემთხვევაში, მთელი მისი სიმდიდრის წასაღებად და აქაური ღმერთების დასამხობად.

- რას მირჩევ, თეულო? როგორ გავუმკლავდე მეომრებს, რომლებსაც ლითონი აცვიათ და გააფთრებულ მხეცებზე შემჯდარნი დაქრიან? მათ რაღაც ისეთი მილები მოეპოვებათ, რასაც მეხივით გააქვს გრიალი და რის ხმაზეც ასობით კაცი უსულოდ ეცემა, ხელში კი მოელვარე ვერცხლის იარაღი უჭირავთ. როგორ ვებრძოლო მათ? ვაი, რომ მათთვის წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელია, რადგან ისინი შვილები არიან კეცალკოატლის, რომელიც საკუთარი მიწა-წყლის დასაბრუნებლად დაბ-

რუნდა. ეს ამბავი ბავშვობიდან ვიცი, მთელი ცხოვრება მეშინოდა მათი, რომლებიც დღეს ჩემი ქვეყნის კართან დგანან.

- მე მხოლოდ ღმერთი ვარ, მაგრამ თუ შენ, მიწიერი მეუფე, ნებას დამრთავ, უბრალო რჩევას მოგცემ, - ვუპასუხე მას. - ძალას ძალა უნდა დაუპირისპირო! თეულები ცოტანი არიან. თითოეული მათგანის წინააღმდეგ შეგიძლია ათასი მეომარი გამოიყვანო. პირველი დაესხი მათ, ნუ დაელოდები, სანამ ისინი აქ მოკავშირეებს მოძებნიან... ერთბაშად გასრისე მტერი!

- ამას მირჩევ შენ, რომელსაც დედა თეულთა ტომიდან გყავდა? - გესლიანი დაცინვით ჩაილაპარაკა იმპერატორმა. - მითხარი კიდევ, მრჩეველო, როგორ გავიგო, რომ ადამიანები მებრძვიან თუ ღმერთები? როგორ გავიგო მათი ნამდვილი სურვილი და განზრახვა, როცა ისინი არ ლაპარაკობენ ჩემს ენაზე და მეც არ მესმის მათი ენა?

- ოო, მონტესუმა! ეს ადვილია, მე ვიცი მათი ენა. გამგზავნე მათთან და ყველაფერს გავიგებ!

ესპანელებამდე თუ მივაღწიე, მაშინ ხომ სამსხვერპლო ქვას გადავრჩებიმეთქი! იქნებ, სამშობლოშიც დავბრუნდე. ესპანელები ხომ გემებით ჩამოვიდნენ, რომლებიც ალბათ, უკან წავლენ-მეთქი, გავიფიქრე. მართალია, ჯერჯერობით ბედის სამდურავი არაფერი მქონდა, მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ ყველაზე მეტად ახლა კვლავ ქრისტიანებთან ყოფნა მინდოდა.

რამდენიმე ხანს მონტესუმა მდუმარედ მაკვირდებოდა, მერე კი მი პასუხა: - თეულო, შენ ალბათ სულელი გგონივარ. ნუთუ ფიქრობ, გაგაგზავნი მათთან, რათა შენს ძმებს ჩემს შიშზე, სისუსტესა და ყველა ჩვენს ნაკლზე უამბო? თუ გგონია, რომ ვერ ვხვდები, რისთვის ჩამოხვედი აქ? ბრიყვო! ვიცი, რომ თეულების ჯაშუში ხარ, შენ მოახერხე ჩვენთან შემოძრომა, რათა ჩვენზე

ყველაფერი გაიგო! ეს შენი გამოჩენის პირველ დღესვე ცხადი იყო! გეფიცები ღმერთ უიცილოპოჩტლის, შეწირული რომ არ იყო ტესკატლი პოკასთვის, შენი გული ხვალვე საკურთხეველზე დადგმულ ლანგარში იცურავებდა! მიფრთხილდი, მეტი ცრუ რჩევა არ მომცე, თორემ მოკვდები უფრო ადრე, ვიდრე გგონია. იცოდე, ეს ყველაფერი განგებ გკითხე, რადგან ღმერთებმა ასე მიბრძანეს. მათი ნება-სურვილი დღევანდელ მსხვერპლთა გულებზე ამოვიკითხე და დაგელაპარაკე იმიტომ, რომ გამეგო შენი იდუმალი ზრახვები და ისინი შენს წინააღმდეგ გამომეყენებინა. შენ მირჩევ თეულებს შევებრძოლო, მე პირიქით მოვიქცევი, მათ თბილად და საჩუქრებით დავხვდები! შენ მირჩევ იმას, რაც მე დამღუპავს!

გააფთრებული მონტესუმა ნაწყვეტ-ნაწყვეტ და ხმადაბლა ლაპარაკობდა. გულზე ხელები დაეკრიფა და ნერვიულობისგან ცახცახებდა. მე შემეშინდა. მართალია, ღმერთი ვიყავი, მაგრამ შესანიშნავად მესმოდა, რომ საკმარისი იყო მისი ხელის ერთი უბრალო გაქნევა, წარმოუდგენელი ტანჯვით მომკლავდნენ. მიუხედავად შიშისა, იმ მომენტში ყველაზე მეტად ამ კაცის სისულელემ განმაცვიფრა, უნდობლად მიყურებდა და ბრმად სჯეროდა კერპების, რომლებიც მას და მის ხალხს უეჭველი დაღუპვისკენ მიაქანებდა.

მონტესუმა თვითონ არ იყო დამნაშავე - ყოველ მის ნაბიჯს წარმართავდა ბედისწერა, რომელიც მისი პირით ლაპარაკობდა. ანაუაკის ღმერთები ცრუღმერთები იყვნენ. ახლა ვაცნობიერებ, რომ ამ ღმერთთა ქვის მახინჯი ქანდაკებების უკან ულმობელი, ცოცხალი ქურუმების ბოროტი გონება იმალებოდა.

ისინი ამაოდ როდი ქადაგებდნენ, ღმერთებს ადამიანთა სისხლიანი მსხვერპლი უყვართო. ამიტომ, როცა იმპერატორი თავის კერპებს ქურუმთა პირით რაიმეს ეკითხებოდა, ისინი მას ისეთ არასწორ რჩევა-დარიგებებს აძლევდნენ, რაც დაღუპვის გზაზე აყენებდა ქურუმებსაც და ყველას, ვინც მათ ეთაყვანებოდა, რადგან ბედისწერით ასე იყო წინასწარ განსაზღვრული.

სანამ ვლაპარაკობდით, ჩამობნელდა. მხოლოდ პოპოკატეპეტლისა და ისტაქსიუატლის ვულკანების თოვლიან მწვერვალებს ანათებდა ავისმომასწავებელი სისხლისფერი დაფიონი. ისტაქსიუატლის მწვერვალზე განსვენებული ქალის ფიგურა არასდროს გამოსახულა ისე მკაფიოდ, როგორც იმ ღამეს. იქნებ, ეს ჩემი წარმოსახვა იყო, მაგრამ ნათლად დავინახე ქალის სისხლიანი, გიგანტური სხეული. ცხადია, ეს არ იყო მარტო ჩემი ფანტაზიის ნაყოფი, რადგან მონტესუმამაც, შემთხვევით, ვულკანის მწვერვალს შეხედა და ადგილზე გაშეშებულმა, მას თვალი ვეღარ მოაცილა. - შეხედე, თეულო! - ჩაილაპარაკა მან მწარე ღიმილით. - შეხედე! იქ განისვენებს ანაუაკის ხალხის სული, სისხლით განბანილი და დასამარხად გამზადებული.

ის-ის იყო მონტესუმა წასვლას აპირებდა, რომ ისტაქსიუატლის მთის მხრიდან ველური, არაადამიანური გოდება მოისმა. ტანში ჟრუანტელმა დამიარა. შეშინებულმა იმპერატორმა ხელი ჩამჭიდა; ორივე ისტაქსიუატლის მივაშტერდით, მოგვეჩვენა, თითქოს მძინარე ქალის დასისხლიანებული და მუქ-წითლად განათებული ფიგურა ქვის კუბოდან წამოიწია. იგი ნელ-ნელა დგებოდა, გეგონებოდათ, ძილიდან იღვიძებსო; ბოლოს თავისი გიგანტური სიმაღლით მწვერვალზე აღიმართა. აკანკალებულნი შევყურებდით გამოღვიძებულ გოლიათ ქალს, რომელიც თოვლივით თეთრ სამოსელში გახვეულიყო და რომელსაც თითქოს

სისხლის ლაქები აჩნდა. რამდენიმე წამს მოჩვენება უძრავად იდგა და ტენოჩტიტლანს დაჰყურებდა, შემდეგ სიბრალულით აღსავსე ჟესტით ქალაქისკენ გაიშვირა ხელები და იმწამსვე წყვდიადში გაუჩინარდა.

- მითხარი, თეულო, განა საშინელება არაა, ყოველდღე ასეთი მინიშნებების დანახვა?! - ჩაიჩურჩულა იმპერატორმა. - დაუგდე ყური, ქალაქი კვნესის, ყველამ დაინახა მოჩვენება. გესმის, ქურუმებმა დოლებით როგორი განგაში ატეხეს, რათა თავიდან აგვაცილონ შეჩვენება? იტირე, იტირე, ჩემო ხალხო! ილოცეთ, ქურუმებო, ამრავლეთ მსხვერპლი, ვინაიდან თქვენი დაღუპვის დღე მოახლოვდა! ოო, ტენოჩტიტლანო, ყველა ქალაქის მეფეო! ვაი, რომ დანგრეულსა და პატივახდილს გხედავ, შენს სასახლეებს - გადამწვარს, ტაძრებს - შებილწულს, შესანიშნავ ბაღებს - გაველურებულს! შენს კეთილშობილ დედებს უცხო ქვეყნიდან მოსულთა ხასებად ვხედავ, შენს უფლისწულებს - მათ მსახურებად, შენს არხებს - შენი ბავშვების სისხლით გაჯერებულს, ჯებირებს - მათი დანახშირებული ძვლებით მოფენილს! ირგვლივ სიკვდილი და შერცხვენა შენი პური იქნება, სასოწარკვეთა - შენი ხვედრი! შენ გამზარდე მე, ქალაქთა მეფეო, ჩემი წინაპრების აკვანო! ახლა კი გეუბნები შენ - მშვიდობით, სამუდამოდ!

ასე ხმამაღლა იგლოვა მონტესუმამ ღამის სიბნელეში მთელი თავისი მწუხარება. მალე სავსე მთვარემ გაანათა მისი მაღალი ფიგურა და სევდით დამანჭული სახე, წინასწარმეტყველურ ექსტაზში ხან მაღლა აქნეული, ხან დაბლა დაშვებული მისი ნაზი ხელები, ჩემი საუცხოო სამკაულები, შიშისგან გარინდ ებული კარისკაცები და მუსიკოსები, რომლებსაც თავიანთი საკრავები

დავიწყებოდათ. სუსტმა ნიავმა წამოიქროლა, ნაღვლიანად გაიშრიალა ვეებერთელა ხეების ტოტებში და მიწყნარდა.

არასოდეს მინახავს შიშის ასეთი უცნაური და ავისმომასწავებელი გამოვლენა. მონარქი თავისი ხალხისა და საკუთარი ძლიერების დაცემას წინასწარ დასტიროდა, თუმცა ჯერ არავის არაფერი დაშავებოდა! ერთი რამ ფაქტი იყო, მონტესუმას ყველგან მომავალ უბედურებათა აჩრდილი ელანდებოდა.

იმ ღამის საკვირველებანი ამით არ დამთავრებულა. როცა სევდით შეპყრობილმა მონტესუმამ თავისი წინასწარმეტყველური სიტყვები წამოიყვირა, მორიდებით შევეკითხე, ხომ არ მოვუხმო-მეთქი კარისკაცებს, რომლებიც ჩვენგან ოდნავ მოშორებით იდგნენ.

- არა, - მი პასუხა აცტეკთა იმპერატორმა. - არ მინდა ჩემს სახეზე ტანჯვა და შიში წაიკითხონ. მათ აქვთ შიშის უფლება, მე კი არა! ცოტა გავისეირნოთ, თეულო, თუ ჩემი მოკვლა გინდა - მომკალი, წინააღმდეგობას არ გაგიწევ!

არაფერი მი პასუხია, დუმილით მივყვებოდი. მართლაც, რომ მდომებოდა, ადვილად მოვკლავდი. მაგრამ, რას მომცემდა ეს! დიახ, მონტესუმა ჩემი მტერი იყო, მაგრამ ახლა ამის გაფიქრებაც კი გულს მირევდა. ერთი მილი ისე გავიარეთ, იმპერატორს ხმა არ ამოუღია. ხან ხეების ჩრდილში მივდიოდით, ხან საუცხოო ყვავილებით დამშვენებულ ბაღში, სანამ არ აღმოვჩნდით ალაყაფის კართან, რომლის იქით სამეფო გვარის აკლდამა იყო. კარის პირდაპირ კაშკაშა მთვარის შუქით განათებული ფართო მინდორი ჩანდა. მონტესუმა გაშტერებით უცქერდა ალაყაფის კარს, გარშემო სხვას ვერაფერს ამჩნევდა. ბოლოს ჩაილაპარაკა: - ეს კარი ოთხი დღის წინ გაიღო ჩემი დისთვის, რამდენიმე დღის შემდეგ ის გაიღება ჩემთვის!

უცებ ბალახებიდან ისეთივე ფიგურა წამოდგა, როგორც გიგანტური თოვლის ქალი - მთის მწვერვალზე, და ხელები აღაპყრო. იგი მონტესუმამაც დაინახა და აკანკალდა. ვიგრძენი, რომ მეც ერთიანად ვცახცახებდი. ორივემ დავიყვირეთ, რადგან ქალს პრინცესა პაპანცინის ფერმკრთალი, ნაზი სახე ჰქონდა. ფეხს მსუბუქად და უხმოდ აბიჯებდა და ჩვენკენ მოდიოდა, მერე გაჩერდა და წარმოთქვა: - მონტესუმა, ძმაო, ვგრძობ, შენ აქ ხარ, თუმცა, ვერ გხედავ...

მაშინ მონტესუმა მოჩვენების პირდაპირ დადგა: - ვინ ხარ შენ, რომელსაც მკვდრის სახე მიგიღია და მკვდრის სამოსელს ატარებ?

- მე პაპანცინი ვარ, - უპასუხა ქალმა. - მკვდრეთით აღვსდექი, რათა შენთვის ამბავი მომეტანა, ძმაო.

- რა ამბავი? - ჩახლეჩილი ხმით იკითხა იმპერატორმა.

- დაღუპვის ამბავი, ჩემო ძმაო! შენი სამეფო დაემხობა, მალე მოკვდები, შენთან ერთად ათი ათასობით შენი მოძმე დაიღუპება. ოთხი დღე მკვდრებს შორის ვიყავი და იქ ვნახე შენი ცრუღმერთები. ისინი ღმერთები კი არა, ეშმაკები არიან! იქვე ვნახე ისინიც, ვინც მათ ეთაყვანებიან და ქურუმებიც, რომლებიც მათ ემსახურებიან. აუტანჯელი ტანჯვა - აი, მათი ხვედრი. ანაუაკის ხალხი განწირულია, რადგან ამ ჯოჯოხეთურ კერპებს ეთაყვანება.

- პაპანცინ, დაო, ნუთუ არაფრით შეგიძლია მანუგეშო?

- არაფრით, - უპასუხა მან. - თუ ცრუღმერთებს უარყოფ, იქნებ, სული იხსნა, მაგრამ საკუთარი და ხალხის სიცოცხლის გადარჩენას უკვე ვეღარ შეძლებ!

ამის შემდეგ პაპანცინი მობრუნდა და ხეების ჩრდილში ჩაიკარგა. მონტესუმა გააფთრდა.

- შეჩვენებულ იყავ შენ, ჩემო დაო, პაპანცინ! - დაიყვირა მან მთელი ძალით.

- რისთვის აღსდექი მკვდრეთით? ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემთვის ასეთი შემზარავი ამბავი მოგეტანა?! შენ რომ ჩემთვის იმედი მოგეცა, გადარჩენის გზა გეჩვენებინა - სიხარულით მოგესალმებოდი. ახლა კი წადი უკან, წყვდიადში, დაე, მიწის სიმძიმემ სამუდამოდ გასრისოს შენი გული! რაც შეეხება ჩემს ღმერთებს, მათ ეთაყვანებოდნენ ჩემი მამა-პაპანი და მათზე უარს ვერ ვიტყვი! ღმერთები განრისხებულნი არიან, რადგან საკურთხევლებზე მსხვერპლშეწირვამ თანდათან იკლო; დღეიდან გავაორკეცებ! ვუბრძანებ, საკურთხეველზე დადონ ყველა ქურუმი, რადგან მათ ღმერთების გულის მოგება ვერ შეძლეს! მონტესუმა მძვინვარებდა, როგორც შიშისგან შეშლილი სუსტი ნებისყოფის ადამიანი. დიდებულნი და კარისკაცები, რომლებიც შორიახლო მოგვყვებოდნენ, ახლა მის გარშემო შემოიკრიბნენ, დამფრთხალნი და საგონებელში ჩავარდნილნი. ბოლოს იმპერატორმა სამეფო სამოსელი სულ შემოიხია, თმა და წვერი ბღუჯა-ბღუჯად ჩამოიგლიჯა და დაკრუნჩხული მიწაზე გაგორდა. იგი კარისკაცებმა სასახლეში წაიღეს.

სამი დღე-ღამე იმპერატორი არავის უნახავს. მეორე დილიდანვე მსხვერპლთა რაოდენობა მთელ ანაუაკში თითქმის ორჯერ გაიზარდა. ჯვრის აჩრდილი უკვე დაეცა ანაუაკის საკურთხევლებს და წინანდებურად ისმოდა შეწირულთა საშინელი ყვირილი. ჯოჯოხეთურ ღმერთთა დამხობის საათმა უკვე დაჰკრა, ისინი თავიანთ უკანასკნელ სისხლიან და საკმაოდ უხვ მოსავალს იმკიდნენ. მე, თომას ვინგფილდმა, საკუთარი თვალით

ვნახე ეს ზეციური ნიშნები, მაგრამ რა იყო ეს - განგების გაფრთხილება, თუ უბრალოდ ბუნების მოვლენა, ამის თქმა არ შეიძლია. იმ დღეებში მთელი ანაუაკი შიშს შეეპყრო და სავსებით შესაძლებელია, რომ ადამიანთა არეული გონება ავისმომასწავებლად თვლიდა რაღაც ნიშნებს, რასაც სხვა დროს ყურადღებასაც არავინ მიაქცევდა.

რაც შეეხება პაპანცინის გაცოცხლებას, ეს ჭეშმარიტი სიმართლეა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ მკვდარი კი არა, ღრმად გულწასული დამარხეს. იმ ღამის შემდეგ, მას აღარ შევხვედრივარ; ამბობდნენ, რომ ბოლოს მან ქრისტიანობა მიიღო და ხშირად ჰყვებოდა იმ საკვირველ და უცნაურ ამბებს, რაც სიკვდილის სამეფოში ნახაო.

18

ძველთაგანვე ტლასკალანელები მონტესუმას მოსისხლე მტრები იყვნენ, ოღონდ აქამდე აცტეკებსა და თეთრკანიან დამპყრობლებს შორის ერთგვარ ბარიერს ქმნიდნენ.

მალე ცნობა მოვიდა, დამარცხებული ტლასკალანელები დამპყრობთა მოკავშირენი და მსახურნი გახდნენ და ახლა მათი ათასობით გაწვრთნილი მეომარი, ესპანელებთან ერთად საღმრთო ქალაქ ჩოლულუსკენ მიემართებაო. ორიოდე დღის შემდეგ გავრცელდა ხმები ჩოლულუს დიდი ხოცვა-ჟლეტის შესახებ, სადაც გამარჯვებულებმა კვარცხლბეკებიდან ჩამოაგდეს ამ ქალაქის ყველა წმინდანი, უფრო სწორად - ცოდვილი ღმერთები.

ადგილობრივები ესპანელებზე ათასგვარ საშინელებას ჰყვებოდნენ, ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ მათ მამაცობასა და

ძლიერებაზე, დამცავ აბჯრებზე, იარაღზე, რომელიც ბრძოლის დროს ცეცხლს აფრქვევდა; მძვინვარე მხეცებზე, რომლებსაც ისინი დააჭენებდნენ. ერთხელ მონტესუმას ერთ-ერთ შეტაკებაში მოკლული ორი თეთრკანიანის საოცრად ბანჯგვლიანი თავი და ცხენის თავი მოუტანეს. მათ დანახვაზე იმპერატორს კინაღამ გული წაუვიდა, მერე ბრძანა, ისინი დიდ ტაძარში საჯაროდ გამოეფინათ და ხალხისთვის გამოეცხადებინათ, ასეთივე ბედი ეწევა ყველას, ვინც ანაუაკში შემოჭრას გაბედავსო.

ამასობაში იმპერიის საქმეებიც აირ-დაირია. სათათბიროდ ყოველდღე იკრიბებობდნენ დიდებულნი, უზენაესი ქურუმები და მეგობრულად განწყობილი მეზობელ ტომთა ბელადები. ზოგი ერთს ამბობდა, ზოგი - მეორეს; ერთი რამ კი ნათელი იყო - ყველას აკლდა საკუთარი ძალების რწმენა და გამბედაობა. მონტესუმას რომ ჭკვიანი კუაუტემოკისთვის დაეჯერებინა, ანაუაკს ესპანელები ვერასდროს დაი პყრობდნენ; იგი სულ უჩიჩინებდა მონტესუმას, დაეძლია შიში და მტერს შებრძოლებოდა. კმარა ელჩებისა და საჩუქრების გზავნა! დროა შევკრიბოთ აცტეკთა ურიცხვი ჯარი და გავსრისოთ მტერი, - ეუბნებოდა იგი იმპერატორს. მაგრამ ყველაფერი ამაო იყო - კუაუტემოკის ყოველ დარიგებაზე მონტესუმა მუდმივად პასუხობდა: - არაფერი გამოვა, ძმისწულო. განა შეიძლება ამ ხალხის წინააღმდეგ ბრძოლა, როცა თვით ღმერთები მათ მხარეზე არიან?! ღმერთები თუ ინებებენ, ისინი გამოგვესარჩლებიან, თუ არა - ვაი, ჩვენი ბრალი! საკუთარ თავს არ ვჩივი, რა ელის ჩემს ხალხს? რა მოუვათ ქალებსა და ბავშვებს, ავადმყოფებსა და მოხუცებს?

მერე სახეს იფარავდა და ბავშვივით ტიროდა. იმპერატორის საქციელით ბრაზმორეული კუაუტემოკი სიტყვის თქმას ვერ ახერხებდა და სასახლიდან გარბოდა. მარტო კი რა შეეძლო?

კუაუტემოკიც ჩემსავით ფიქრობდა, განგებამ წაართვა მონტესუ-მას გონება, რათა დაესაჯა და მოესპო ანაუაკი.

აქვე უნდა ითქვას, რომ, თუმცა ჩემი ღვთაებრივი მდგომა-რეობა საშუალებას მაძლევდა ყველაფერი მცოდნოდა და დამე-ნახა, მე მხოლოდ იმ დიდი ამბების ტალღით ჩათრეული უბად-რუკი სათამაშო ვიყავი, ამბებისა, რომლებმაც შემდგომი ორი თაობის მანძილზე მიწიდან აღგავა აცტეკთა სახელმწიფო. მე იმ-დენივე ძალაუფლება მქონდა, რამდენიც ტალღაზე მოდებულ ერთ მუჭა ქაფს. მონტესუმა ჯაშუშად მთვლიდა და ჩემი არაფერი სჯეროდა. ქურუმები ისე მიყურებდნენ, როგორც ღმერთს და მათ მომავალ მსხვერპლს. მხოლოდ კუაუტემოკი და ოთომი, რო-მელსაც ვგრძნობდი, რომ ვუყვარდი, მენდობოდნენ და ხშირად ვმსჯელობდით ამ საკითხებზე. ვცდილობდი, მათთვის სიმარ-თლე დამენახვებინა, მაგრამ, სამწუხაროდ, ორივე ჩემსავით უძ-ლური იყო.

რეალობისგან მოწყვეტილი მონტესუმა კვლავ სრულ ძალა-უფლებას ინარჩუნებდა და აცახცახებული მართავდა იმპერიას, რომელსაც სტიქია ზღვაში ნებაზე მიშვებული გემივით ხან აქეთ მიაქანებდა, ხან იქით.

მომავლის შიშმა უკლებლივ ყველა მოიცვა. ხალხი უფრო დაეწაფა რელიგიას - იმ დღეებში არავინ აკლდებოდა არც ერთ დღესასწაულს და არც ერთი სამსხვერპლო არ რჩებოდა ცა-რიელი. მსგავსად მდინარისა, რომლის დინება უფსკრულიდან გადაშვებისას უფრო და უფრო სწრაფი რომ ხდება, ანაუაკის ხალხმაც, თითქოს წინასწარ დაინახა რა თავისი აღსასრული, ძილიდან გამოიღვიძა და მთელი დაძაბულობით დაიწყო ცხოვ-რება. თეოკალზე მდებარე საკურთხევლებიდან დილიდან საღა-მომდე მსხვერპლთა გოდება ისმოდა და საღამოდან დილამდე

ქუჩებს უაზრო ველური მუსიკა აყრუებდა. „ზღვისიქითელი ღმერთები მოდიან ჩვენზე. სჯობს ვსვათ, ვიქეიფოთ, ხვალ მაინც დავიხოცებით“, - ამბობდა უმეტესობა; უსათნოესი ქალები გაირყვნენ და ყველაზე კეთილშობილმა მამაკაცებმაც, რომლებიც აქამდე თავიანთ პატიოსან სახელს უფრთხილდებოდნენ, სულერთიას პრინცი პით დაიწყეს ცხოვრება. წარმოიდგინეთ, რომ ქუჩებში მთვრალი ბავშვებიც კი დაბარბაცებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ აცტეკებისთვის ეს გაუგონარი დანაშაული იყო.

მონტესუმამ დატოვა ჩაპულტეპეკი და ოჯახით მეორე სასახლეში გადავიდა, რომელიც დიდი თეოკალის პირდაპირ, ფართო მოედანზე იდგა. იგი იყო ნამდვილი ქალაქი ქალაქში, სადაც ყოველ ღამე თავს იყრიდა ათასობით კაცი; აქ იშვიათი ჯიშის ფრინველებსა და მხეცებს დაედოთ ბინა. მეც ყოველდღე აქ ვქეიფობდი... ოღონდ ამისთვის ჯერ მდიდრული ტანსაცმელი უნდა ჩამეცვა და წარჩინებულ მამაკაცთა და ჭაბუკ მსახურთა თანხლებით ქუჩაში უნდა გამოვსულიყავი - აცტეკური ფლეიტით ხელში (რამდენადმე დავეუფლე ამ საძაგელ ინსტრუმენტზე დაკვრას). ხალხი ყვირილით გამორბოდა სახლებიდან, ბავშვები ყვავილებს მაყრიდნენ, ქალიშვილები ჩემს ირგვლივ ცეკვავდნენ, ხელებსა და ფეხებს მიკოცნიდნენ, უკან კი ათასკაციანი ბრბო მომდევდა... იმათი შემყურე, მეც ვცეკვავდი და ვგოდებდი, როგორც ღვთის გლახა, რადგან საერთო ფანატიზმის დღეებში რაღაც უცნაურმა სიგიჟემ შემი პყრო. ვცდილობდი, ჩამეხშო შიში, დამეიწყებინა, რომ რამდენიმე დღეში სამსხვერპლოდ დამდებდნენ. არაფრის შეცვლა არ შემეძლო! რამდენიც არ უნდა დამელია მესკალი თუ პულკე აღარ მათრობდა. აღარ მაღელვებდა ყვავილების სურნელება, ლამაზი ქალები და ხალხის თაყვანისცემა. განუწყვეტლივ სიკვდილზე ვფიქრობდი, სევდით ვიგონებდი

მშობლიურ სახლ-კარსა და შორეულ სატრფოს. იმ დღეებში მეგონა, ჩემი გული ამდენს ვეღარ გაუძლებდა; ოთომი რომ არა, ალბათ თავს მოვიკლავდი. ის მუდამ ჩემთან იყო და ყველანაირად ცდილობდა დავეწყნარებინე.

როცა მონტესუმას სასახლეში ოთომის პირველად შევხვდი, იგი ძალიან ლამაზი მეჩვენა. თუმცა მას წინანდებურად მშვენიერ არსებად ვთვლიდი, შიშისგან გაქვავებულ ჩემს გულში უკვე აღარ დარჩა ნაზი გრძნობების ადგილი. მე ხშირად ვუყვებოდი ოთომის ჩვენი სარწმუნოებისა და სხვა ამბებს, ისევე, როგორც ოდესღაც ტაბასკოში - მარიანას, რომელიც, როგორც ამბობდნენ, ესპანელთა წინამძღოლ კორტესის საყვარელი და თარჯიმანი გამხდარიყო. ოთომი ყურადღებით მისმენდა და თან თავის სათნო თვალებს არ მაშორებდა. ოღონდ, ყველაფერი ამით ამოიწურებოდა, ვინაიდან ის ისეთივე თავდაჭერილი იყო, როგორიც - გულადი და ლამაზი. ასე გრძელდებოდა, სანამ ესპანელები ჩოლულუდან ტენოჩტიტლანისკენ არ დაიძრნენ.

ერთ დილას ბაღში ვიჯექი. ჩემი ამალის წარჩინებული მამაკაცები და დამრიგებლები მოშორებით იდგნენ და რაღაცაზე ლაპარაკობდნენ. აქედან ვხედავდი ეზოს, სადაც ყოველდღე იკრიბებოდა საიმპერატორო საბჭო; შევნიშნე, რომ, როცა ბელადები წავიდნენ, ეზოში ქურუმები აწრიალდნენ, შემდეგ კი რამდენიმე საშუალო ხნის ქალის თანხლებით, ლამაზი ქალიშვილების ჯგუფი გამოჩნდა. მალე ჩემთან უფლისწული კუაუტემოკი მოვიდა. მას უკანასკნელ ხანებში გაღიმებულს იშვიათად ვხედავდი, მაგრამ ახლა სიცილით მკითხა: - იცი, აქ რა ხდება? მე ვუპასუხე: - არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე; მონტესუმა, ალბათ,

ახალ საჩუქრებს აგროვებს, თავის ესპანელ ბატონებს რომ გაუგზავნოს-მეთქი.

- უკვირდები, რას ამბობ, თეულო? - რისხვით ჩაილაპარაკა მან. - მართალიც რომ იყო, მაინც განანებდი ამ სიტყვებს. არაფრად ჩავაგდებდი, რომ შენში ღმერთის სულია. მხოლოდ შენდამი ჩემს სიყვარულს უმადლოდე, რომ გადარჩი. მერე თითქოს დაწყნარდა და განაგრძო: - აფსუს! ბიძაჩემის უგუნურებამ იქამდე მიიყვანა საქმე, რომ ამგვარი სიტყვები გათქმევინა. ეეჰ, რატომ არ ვარ ანაუაკის იმპერატორი! ერთ კვირაში ჩოლულუდან დაძრულ თეულთა თავები დაამშვენებდა ჩვენი ტაძრების ლაგვარდანებს!

- უკვირდები, რას ამბობ, უფლისწულო? - დაცინვით ვუპასუხე მე. - ვინმემ რომ გაიგონოს, ეგ სიტყვები სანანებელი გაგიხდება. თუ ოდესმე გახდები იმპერატორი, მაშინ ვნახოთ, როგორ გაუმკლავდები თეულებს. ყოველ შემთხვევაში, სხვები დაინახავენ, მე ამას ვეღარ მოვესწრები. ჰო, რა ხდება იქ? მონტესუმა ახალ ცოლებს ხომ არ ირჩევს?

- ჰო, ცოლებს არჩევს, მხოლოდ არა თავისთვის. თეულო, დიდი ხნის სიცოცხლე არ დაგრჩა, ამიტომ მონტესუმა ქურუმებთან ერთად უკვე არჩევს შენს ცოლებს.

- ჩემი ცოლები? - დავიყვირე მე და წამოვხტი. - ისინი უნდა გახდნენ იმ კაცის ცოლები, რომელიც სასიკვდილოდაა განწირული? განა ახლა სიყვარულისა და ცოლის შერთვის თავი მაქვს?! მე სიკვდილს გადაგარჩინე... თუ მართლაც გიყვარვარ, მიხსენი ახლა! ხომ შემფიცე, სამაგიეროს გადაგიხდიო!

- მზად ვარ, სიცოცხლე შემოგწირო, ვინაიდან ყველა როდი აფასებს სიცოცხლეს ისე, როგორც შენ, ჩემო მეგობარო. მაგრამ დახმარებას ვერ შევძლებ. შენ ღმერთებს უნდა შეეწირო და ათასჯერაც რომ მოვკვდე, ეს არაფერს შეცვლის. მხოლოდ ზეციურ ძალას შეუძლია შენი ხსნა. ამიტომ გამხნევდი, თეულო, და

როცა უკანასკნელი საათი დადგება - მოკვდი ვაჟკაცურად! შენი ხვედრი ოდნავადაც არ არის უფრო უარესი, ვიდრე ჩემი და ბევრი სხვის ხვედრი, რადგან ჩვენ ყველას სიკვდილი გველოდება; ახლა კი - მშვიდობით!

წავიდა თუ არა უფლისწული, დავბრუნდი ოთახში. ოქროს სარეცელზე ჩამოვჯექი და თამბაქოს ბოლში გავეხვიე. საბედნიეროდ, მარტო ვიყავი. ჩემს უნებართვოდ ოთახში შემოსვლას ვერავინ ბედავდა.

მალე მსახურმა მომახსენა, ვიღაც მოვიდა და თქვენთან სურს ლაპარაკიო. ფიქრებით ვიყავი გაოგნებული და ჯავრი რომ ოდნავ მაინც გამექარვებინა, თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე. მსახური გავიდა და ჩემ წინაშე შეფუთნული ქალი აღმოჩნდა. განცვიფრებით შევხედე, ვუბრძანე, სახე გამოეჩინა და ეთქვა, რისთვის მოვიდა. ქალი დამემორჩილა. იგი პრინცესა ოთომი იყო.

მაშინვე წამოვხტი და საპატიო სტუმარს შევეგებე. პრინცესა აქამდე ჩემთან მარტო არასოდეს შემოსულა. ამიტომ ვიფიქრე, მას ალბათ ჩემთან საქმე აქვს ან ამით ჩემთვის რაიმე უცნობ რელიგიურ წესს ასრულებს-მეთქი.

- დაჯექი, - დაიმორცხვა მან. - შენ ჩემ წინაშე ფეხზე არ უნდა იდგე.

- რატომ? - შევეკითხე მე. - პატივს რომ არ გცემდე, როგორც პრინცესას, მაშინაც, სულერთია, მაინც ჯეროვნად უნდა დავაფასო შენი სილამაზე.

- კმარა, სიტყვები! - შემაწყვეტინა ოთომიმ ხელის აქნევით. - ოო, ტესკატლი პოკა, მოვედი აქ ადათისამებრ, რათა მეთქვა ახალი ამბავი: შენი ცოლები, არჩეულია; მე ვალდებული ვარ

გითხრა მათი სახელები... და მან დაასახელა ანაუაკის სამი ლამაზმანი, რომლებსაც ვიცნობდი.

- ჩემთვის, მგონი, ოთხი ცოლი უნდა აერჩიათ ან იქნებ, მეოთხე წამართვეს? - შევნიშნე მწარე ღიმილით.

- ისინი ოთხნი არიან, - თქვა და ისევ გაჩუმდა.

- თქვი ჩქარა! - დავიყვირე მე. - მითხარი, კიდევ რომელი საბრალო გოგო აურჩიეს ცოლად სამსხვერპლოდ განწირულ თაღლით კაცს?

- მეოთხე მე ვარ, ოთომი! ოთომის ტომთა პრინცესა, მონტესუმას ასული.

- შენ? ნუთუ მართლა, შენ? - წამოვიძახე და ბალიშებზე დავვარდი.

- ჰო, მე. მომისმინე! ქურუმებმა ამირჩიეს, როგორც ანაუაკის ულამაზესი ქალიშვილი, თუმცა არ ვარ ასეთი პატივის ღირსი. მამაჩემი გაბრაზდა, ჩემს ასულს არ მივცემ ცოლად ტყვეს, რომელიც სამსხვერპლო საკურთხეველზე უნდა მოკვდესო. მაგრამ ქურუმებმა უპასუხეს, ასეთ დროს, როცა ღმერთები განრისხებულნი არიან, არ უნდა მოითხოვო გამონაკლისი შენი ქალიშვილისთვის, „განა, ქვეყნის ყველაზე დიდგვაროვანი არ არის ღმერთის ღირსეული ცოლი?“ - შეეკითხნენ ისინი. მაშინ მამაჩემი დაეთანხმა და უთხრა: - იყოს ისე, როგორც ჩემი ასული მოისურვებსო. მეც ავდექი და ქურუმების მსგავსად განვაცხადე: - ჩვენი საყოველთაო უბედურებისა და ცრემლისღვრის დღეებში ყველაზე ამაყმა ქალმაც კი უნდა დაიმციროს თავი და გახდეს იმ ტყვე მონის ცოლი, რომელსაც თქვენ ღმერთი უწოდეთ და სამსხვერპლოდაა განწირულიმეთქი. ტესკატლიოპოკა! ასე დავთანხმდი შენს ცოლობაზე. მაგრამ, რომ მცოდნოდა ის, რასაც ახლა შენს თვალებში ვკითხულობ, აუცილებლად უარს ვიტყო-

დი ამაზე. საკუთარი თავის დამცირებით მინდოდა მეპოვა თუნდაც ხანმოკლე სიყვარული, რათა შემდეგ შენს გვერდით მოვმკვდარიყავი სამსხვერპლოზე, ვინაიდან ჩემი ხალხის ადათი, თუ მე მოვისურვებ, მაძლევს ამის უფლებას. ოღონდ ახლა ვხედავ, შენ ეს არ გიხარია. უკან დახევა უკვე გვიანია, მაგრამ საშიში არაფერია, მე არ შეგაწუხებ! აი, რისი თქმაც მინდოდა. შემიძლია წავიდე? საზეიმო ქორწილი თორმეტი დღის შემდეგ იქნება.

ოთომის ხელი მოვკიდე და ვუთხარი: - მადლობელი ვარ, შენ ძალიან კეთილი ხარ, რომ არა შენ და კუაუტემოკი, მე, ალბათ, დიდი ხნის მკვდარი ვიქნებოდი. ახლა გინდა მანუგეშო და გადაგიწყვეტია, რომ ჩემთან ერთად მოკვდე. რატომ იქცევი ასე, ოთომი? ჩვენს ქვეყანაში ქალს რაღაც წარმოუდგენლად უნდა უყვარდეს მამაკაცი, რომ მასთან გაიყოს ისეთი სარეცელი, რომელიც მე თეოკალზე მომელის. ვერ დამიჯერებია, ნუთუ შეგიყვარდი მე, საბრალო მონა?! როგორ გავიგო შენი სიტყვები, პრინცესა?

- პასუხი შენს გულში მონახე, - ჩაიჩურჩულა და ხელი აუთრთოლდა. ოთომის შევხედე: იგი მომხიბლავი იყო! ამასთან, საოცრად ერთგული. მას ისე ვუყვარდი, რომ მზად იყო, თავი გაეწირა; სიყვარულის სიმები ჩემს გულშიც დაირხა. თუმცა, მაშინვე ლილი გამახსენდა და ერთმანეთისადმი მიცემული ფიცი. ვგრძნობდი, ის ცოცხალი და ჩემი ერთგული იყო. გადავწყვიტე, სანამ პირში სული მიდგას, მას გულში მაინც არ ვუღალატებდი; მართალია, ოთომის შერთვა მომიწევს, მაგრამ სიტყვა „მიყვარხარ“ თქმას არ ვაპირებდი, ეს უკვე ფიცის გატეხა იქნება-მეთქი, - ვფიქრობდი. მაგრამ იმასაც ვხედავდი, რომ ოთომის სიყვარული უნდოდა, ნაკლებზე იგი არ დათანხმდებოდა. თუმცა, ძალიან აღელვებული ვიყავი, მისთვის ეს სიტყვა მაინც არ მითქვამს.

- ჩამოჯექი, ოთომი და მომისმინე, აი, ხომ ხედავ ამ ოქროს ბეჭედს, - თითიდან წავიძრე ლილის ბეჭედი და ვუჩვენე მას. - ხედავ მასზე წარწერას?

ოთომიმ თავი დაიქნია, მაგრამ ხმა არ ამოუღია. მის თვალებში შიში შევნიშნე.

- ოთომი, წაგიკითხავ ამ წარწერას, - ვუთხარი მას და აცტეკურ ენაზე გადავუთარგმნე ამაღელვებელი ორსტრიქონიანი ლექსი: „თუმცა ერთმანეთს დავშორიშორდით, სულით კი ერთად დავრჩით მარადის.”

- რას ნიშნავს ეს წარწერა? - მკითხა პრინცესამ.

- ეს იმას ნიშნავს, ოთომი, რომ შორეულ ქვეყანაში, საიდანაც მოვედი, ცხოვრობს ერთი ქალიშვილი, მას ვუყვარვარ და მეც მიყვარს იგი.

- ის შენი ცოლია?

- არა, ოთომი, იგი ჩემი ცოლი არ არის, მხოლოდ საცოლეა.

- ესე იგი, ისიც შენი ისეთივე საცოლეა, როგორც მე ვარ, - ნაღვლიანად გაიმეორა ოთომიმ. - ამ მხრივ ჩვენ თანასწორნი ვყოფილვართ, თეულო. ოღონდ განსხვავება ისაა, რომ ის გიყვარს, მე კი - არა. ასე გინდოდა გეთქვა, ხომ? მაგრამ მე თუ დაგკარგე, მისთვისაც დაკარგული ხარ. შენსა და შენს სატრფოს შორის უზარმაზარი ოკეანეა, შუაში აღმართულია სამსხვერპლო და ყოვლისშთანმთქმელი სიკვდილი. ახლა, თეულო, ნება მომეცი, წავიდე. მე შენი ცოლი უნდა გავხდე, ეს აუცილებელია, მაგრამ დიდად არ მოგაბეზრებ თავს, მალე ეს ყველაფერი გათავდება. შენ გაემგზავრები „ვარსკვლავურ სახლში“. ვილოცებ, რათა იქ ნახო ის, რასაც დაეძებ. ბოლო დროს შენს გამხნევებას ვცდილობდი, გამოსავალს ვეძებდი და მეგონა, რომ ვი პოვე, თურმე ვცდებოდი. ჩემთვის გულწრფელად რომ გეთქვა, მიყ-

ვარხარო, ორივესთვის ბევრად უკეთესი იქნებოდა. თუ ამას სიცოცხლის უკნასკნელ წუთებში მეტყვი, მაინც მესიამოვნება, ოღონდ ამას აღარ გთხოვ, რა საჭიროა სიცრუე! მივდივარ, თეულო, თუმცა წასვლის წინ მინდა გითხრა: - ახლა მეტ პატივს გცემ, ვიდრე აქამდე, რადგან მე, მონტესუმას ასულს, გამიბედე სიმართლის თქმა, თუმცა სულ ადვილად შეგეძლო, მოგეტყუებინე. ის ქალიშვილი, ზღვების გაღმა რომ გყავს, შენი მადლობელი უნდა იყოს. მას ცუდს არ ვუსურვებ, მხოლოდ ამიერიდან, მე და იგი მოსისხლე მტრები ვართ. მე და ის ერთმანეთისთვის უცხონი ვართ და ასეთებად დავრჩებით; შენ შეგვაერთე ჩვენ და შენვე გვაქციე მტრებად. მშვიდობით, ჩემო მომავალო ქმარო! ჩვენ ერთმანეთს აღარ შევხვდებით იმ დღემდე, როცა „საბრალო გოგოს“ ცოლად მისცემენ „თაღლით კაცს“. შენ თვითონ ასე არ თქვი, თეულო?!

ოთომი წამოდგა, თავის სამოსელში გაეხვია და ოთახიდან გავიდა. მხოლოდ სულელს შეეძლო მის სიყვარულზე უარის თქმა. ჩემს საქციელს ვნანობდი. საკუთარ თავს ვეკითხებოდი: ლილი რომ ოთომისებრ დიდების მწვერვალზე ყოფილიყო, გადააგდებდა ის ჩემი გულისთვის საიმპერატორო მანტიას და დამიწვებოდა გვერდით სამსხვერპლო ქვაზე? უთუოდ არა, რადგან ამგვარ ველურ თავგანწირვას ევროპაში ვერსად შეხვდებით. მხოლოდ მზის ასულებს შეუძლიათ ასე თავდავიწყებით სიყვარულიცა და უსაზღვრო სიძულვილიც. მათ არ სჭირდებათ ქურუმები სასიყვარულო კავშირის საკურთხებლად, მაგრამ თუ სიყვარულში არ გაუმართლათ, ვეღარაფერი შეაჩერებთ. სურვილი და გრძნობა - მათთვის ეს ისეთი კანონია, რომელსაც ყველა ბრმად ემორჩილება.

19

კორტესის გვერდით მოდიოდა თეთრად ჩაცმული, ლამაზი ინდიელი ქალი, რომელსაც თავზე ყვავილების გვირგვინი დაემაგრებინა. როცა პროცესიამ სასახლის ახლოს გაიარა, მაშინვე ვიცანი მარიანა. მან უამრავი უბედურება მოუტანა საკუთარ სამშობლოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეტყობოდა, თავს ბედნიერად გრძნობდა, კმაყოფილი იყო მოპოვებული დიდებითა და თავისი მბრძანებლის სიყვარულით.

ბუნდოვანი იმედით გულდასმით ვაკვირდებოდი ყველა ესპანელს; რა თქმა უნდა, შეიძლება იგი მოკვდა კიდეც, მაგრამ რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ კონკისტადორთა შორის ჩემს მტერსაც აღმოვაჩენდი, რადგან დე გარსია პირველი შემთხვევისთანავე შეუერთდებოდა ამ ლაშქრობას, ვინაიდან სისხლი, ოქრო და ძარცვა-გლეჯა უდავოდ იზიდავს მისნაირ გულქვა ადამიანებს. სამწუხაროდ, იმ დღეს იგი მათთან ერთად არ იყო.

ღამით კუაუტემოკს შევხვდი და ვკითხე, როგორ მიდის საქმეები-მეთქი.

- მტრედის ბუდეში შემოჭრილ ძერასთვის კარგად, ხოლო თვითონ მტრედისთვის ძალიან ცუდად მიდის, - მწარე ღიმილით მი პასუხა უფლისწულმა. - ახლა ბიძაჩემი და ესპანელთა წინამძღვარი იქ, - მიმითითა მან ახაიაკატლის სასახლეზე, - ერთად ღუღუნებენ. მაგრამ მის მტრედისებრ ღუღუნში ქორის ყი პყი პი გავიგონე. მალე საშინელი ამბების მომსწრენი გავხდებით!

უფლისწული მართალი აღმოჩნდა. ერთი კვირის შემდეგ ესპანელებმა მუხანათურად დაიჭირეს მონტესუმა და თავიანთ ტყვედ გამოაცხადეს; იგი თავისსავე სასახლეში დაამწყვდიეს და დარაჯები დაუყენეს.

მოვლენები ძალიან სწრაფად ვითარდებოდა... სანაპიროებზე მცხოვრები ტომები აჯანყდნენ და რამდენიმე ესპანელი მოკლეს. კორტესის შეგულიანებით, მონტესუმამ აჯანყებული ტომის ბელადები ტენოჩტიტლანში გამოიძახა. როგორც კი მოვიდნენ, ესპანელებმა ისინი სასახლის მოედანზე ცოცხლად დაწვეს და ბორკილდადებულ მონტესუმასაც საკუთარი თვალით აყურებინეს, როგორი წამებით იხოცებოდნენ მისი ერთგული ბელადები. აცტეკთა იმპერატორი იმდენად დაამცირეს, რომ ბორკილები დაადეს, როგორც ჩვეულებრივ ქურდს. ამგვარი დამცირების მიუხედავად, მონტესუმამ ერთგულება შეჰფიცა ესპანეთის მეფეს, თვალთმაქცურად შემოიტყუა ტესკოკოს მმართველი კოკამაცინი (იგი ესპანელებზე თავდასხმას გეგმავდა) და მტერს გადასცა. მონტესუმამ ესპანელებს გადასცა მთელი საიმპერატორო განძიც, რომლის ღირებულება ასეულ ათასობით გირვანქა სტერლინგს შეადგენდა. ეს ყველაფერი კი იმიტომ გააკეთა, რომ ხალხის თვალში ძალაუფლება შეენარჩუნებინა. თავზარდაცემული ხალხიც ყველაფერს ითმენდა და, ჩვეულებისამებრ, თავისი დატყვევებული იმპერატორის ბრძანებებს ასრულებდა. მაგრამ, როცა მონტესუმამ ესპანელებს დიდი ტაძრის ერთ-ერთ საკურთხეველში წირვა-ლოცვის ნება დართო, ხალხი აღშფოთდა. ათასობით აცტეკი მდუმარე მძინვარებამ შეი პყრო, რაც ყველგან და ყველაფერში იგრძნობდა. ღრუბლები ჩამოწვა; ყოველ წამს ქარიშხლის ამოვარდნა იყო მოსალოდნელი.

მიუხედავად ამისა, ჩემი ცხოვრება კვლავინდებურად მიდიოდა, თუ არ ჩავთ

ლით იმას, რომ ახლა სასახლიდან გამოსვლის უფლებას აღარ მაძლევდნენ - ეშინოდათ, ესპანელებს არ დავკავშირებოდი. იმ დღეებში პრინცესა ოთომის თითქმის აღარ ვხვდებოდი. მას შემდეგ, რაც ჩვენ უცნაური საუბარი გვქონდა სიყვარულზე, ის სულ გამირბოდა; თუ მაინც ერთად აღმოვჩნდებოდით - სასადილო მაგიდასთან ან ბაღში, მხოლოდ ზოგად თემებზე ან სახელმწიფო საქმეებზე მელაპარაკებოდა. ასე გაგრძელდა ჩვენს შეუღლებამდე. მახსოვს, ეს მოხდა უიცილოპოჩტლისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე.

ქორწინების დღეს ისეთი პატივი მომაგეს, როგორიც ნამდვილ ღმერთს შეეფერებოდა. ქალაქის ყველა წარჩინებული მოდიოდა თაყვანისსაცემად და მაკმევდნენ სხვადასხვა სურნელებას, რამაც კინაღამ გული ამირია.

ქვეყანა დამწუხრებული იყო, თუმცა ქურუმები წინანდებურად ასრულებდნენ რელიგიურ წესებს და მათი სისასტიკე ოდნავადაც არ შენელებულა. ხალხი ჩემზე დიდ იმედებს ამყარებდა. მათ სჯეროდათ, ჩემი შეწირვით აიცილებდნენ ღმერთების რისხვას, რადგან მათთვის მე ერთ-ერთი თეულთაგანი ვიყავი.

საღამოს ჩემს პატივსაცემად გამართეს საუცხოო ლხინი, რომელიც ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა. დასასრულს დამსწრენი წამოდგნენ და ერთხმად შეუდგნენ ჩემს ქება-დიდებას: - დიდება შენდა, ო, ტესკატლი პოკა! ბედნიერი იყავ აქ, დედამიწაზე! ბედნიერი იყავ იქ, მზის სახლში! როცა იქ მიხვალ, მოგვიგონე ჩვენ! გაიხსენე, რომ აქ თაყვანს გცემდით, გაძლევდით ყველაფერ საუკეთესოს და მოგვიტევე ჩვენი შეცოდებანი, დიდება შენდა, ტესკატლი პოკა!

მერე წინ გამოვიდა ორი დიდგვაროვანი უხუცესი, ჩირაღდნები აანთეს და წამიყვანეს შესანიშნავ დარბაზში, სადაც მანამდე არასოდეს ვყოფილვარ. მისვლისთანავე ყველაფერი გამხადეს და თუთიყუშის მოელვარე ფრთებით ამოქარგული ბამბის მეტად ნაზი ქსოვილის ძალზე მდიდრული სამოსელი ჩამაცვეს, თავზე ყვავილების გვირგვინი დამადგეს, კისერზე ზურმუხტის გულქანდა ჩამომკიდეს, მაჯებზე კი არნახული სიდიდისა და ღირებულების ძვირფასი ქვებით მოოჭვილი სამაჯურები გამიკეთეს. ასეთი მოკაზმულობა ქალს მეტად დაამშვენებდა, მე კი თავს ძალიან უბედურად ვგრძნობდი.

როცა ჩემი მორთვა-მოკაზმა მოათავეს, ჩირაღდნები ჩააქრეს და ერთი წამით სიჩუმე ჩამოვარდა. მალე ქალების ხმა მომესმა - საქორწინო ჰიმნს მღეროდნენ. როცა სიმღერა შეწყდა, ახლა მხოლოდ ტანსაცმლის შრიალი და ჩურჩული მესმოდა. უცებ წყვდიადიდან მამაკაცის ხმაც გაისმა: - თქვენ აქ ხართ, ზეცის მიერ გამორჩეულნო?

- აქ ვართ, - გამოეხმაურა ქალის ხმა. მომეჩვენა, რომ იგი ოთომი იყო.

- ოო, ანაუაკის ქალწულნო! - ისევ დაილაპარაკა სიბნელიდან უხილავმა კაცმა. - ოო, ტესკატლი პოკა, ღმერთთა ღმერთო! მისმინეთ მე! თქვენ, ქალწულნო, წილად გვხვდათ უდიდესი პატივი! განგებამ დაგაჯილდოვათ ოთხი დიდი ქალღმერთის წარჩინებულობით, სათნოებითა და სილამაზით აგირჩიათ თანამგზავრებად დიდი ღმერთისა, თქვენი გამჩენისა და მბრძანებლისა, რომელიც მცირე ხნით გვეწვია; შემდეგ იგი დაბრუნდება თავის სახლში, მზის სამკვიდრებელში. იყავით ამ პატივის ღირსნი! აამეთ მას, რათა მოწყალებით მიიღოს თქვენი ალერსი და როცა ზეცაში მისი დაბრუნების დრო დადგება, თან წაიღოს კეთილი

მოგონება თქვენს ხალხზე. მიწიერ ცხოვრებაში მასთან ერთად ყოფნა დიდხანს არ მოგიხდებათ, ვინაიდან მისი სული, გალიაში დამწყვედული ფრინველის მსგავსად, უკვე შლის ფრთებს და მალე გამოსხლტება ხორციელი საპყრობელიდან, რათა დაგვტოვოს ჩვენ. ახლოა დღე, როცა ის კვლავ მოი პოვებს თავისუფლებას! თუ გსურთ, ერთ-ერთ თქვენგანს ნება მიეცემა, გაჰყვეს მას ნათელ სახლში და მასთან ერთად ამაღლდეს მზის სამკვიდრებელში. მაგრამ გეუბნებით ყველას, იმისგან დამოუკიდებლად, გაჰყვებით მას თუ აქ დარჩებით, უნდა იგლოვოთ ის თქვენი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე, - გიყვარდეთ და იყავით მის მიმართ სათუთი და ალერსიანი! თორემ სასჯელი მოგელით მიწიერ და ზეციერ საუფლოში და განგების რისხვა არ აგცდებათ თქვენ და თქვენს ხალხს. შენ კი, ოო, ტესკატლი პოკა, გთხოვთ, მიიღო ეს ქალიშვილები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ მათი ზეციური ქალღმერთ-მფარველთა სახელები და ღირსებანი, ვინაიდან ისინი არიან ყველაზე დიდგვაროვნები და ლამაზები ანაუაკის ქალწულთა შორის, ერთი მათგანი კი ჩვენი იმპერატორის ასულია. რა თქმა უნდა, ისინი არ არიან სრულყოფილი ქმნილებანი, რადგან ჭეშმარიტი სრულქმნილება შესაძლებელია მხოლოდ შენს ზეციურ სამეფოში. ისინი მხოლოდ აჩრდილები, განსხეულებანი არიან ზეციური ქალღმერთებისა, შენი ნამდვილი ცოლებისა. ჩვენ გაძლევთ საუკეთესოებს. იმედი გვაქვს, როცა დაგვტოვებ, ცუდად არ იფიქრებ ჩვენს ქალებზე და დალოცავ მათ ზეციდან, რადგან მათგან თან გაგყვება სასიამოვნო მოგონებანი.

ხმა შეწყდა, მერე ისევ გაისმა: ქალებო, ყველა ღმერთის სახელით და თქვენი ღვთიური სახელებით - ხოჩი, ხილო, ატლა, კლიხტო - გაკავშირებთ ჩვენს გამჩენ ტესკატლი პოკასთან, სა-

ნამ იგი ამქვეყნიურია! განსხეულებული ღმერთი, თქვენი გამჩენი, თქვენ ცოლებად გირთავთ! დაე, დამთავრდეს წესი ქორწინებისა, დაე, ბედნიერი იყოს თქვენი შეუღლება! ოღონდ იცოდეთ, თქვენი სიხარული სამარადისო როდია!

ამ დროს დარბაზის ბოლოში ურიცხვი ჩირაღდანი აინთო და შესაზარი სცენა გაანათა - სამსხვერპლოზე კაცი იდო. მსხვერპლის ხელები, ფეხები და თავი ხუთ ქურუმს ეკავა, მეექვსე იქვე იდგა და ორივე ხელს დანას უჭერდა. ქურუმმა დანა მოიქნია თუ არა, ყველა ჩირაღდანი ჩაქრა. სიბნელიდან ყრუ დარტყმა და გაბმული კვნესა მოისმა, მერე ყველაფერი მიწყნარდა.

პატარძლებმა კვლავ წამოიწყეს საქორწინო სიმღერა. იმის შემდეგ, რაც სულ ერთი წუთის წინ დავინახე, ამ ნაზმა ჰანგებმაც ვეღარ ამაღელვა. ისინი თანდათან ხმას უწევდნენ, სანამ შორეულ კუთხეში თანმიმდევრობით არ აინთო ჩირაღდნები. ვერაფრით მივხვდი, ვინ ანთებდა მათ. ბოლოს მთელი დარბაზი განათდა. სამსხვერპლო, მსხვერპლი, ქურუმები - ყველანი ერთბაშად სადღაც გაქრნენ. ჩვენ მარტონი დავრჩით - მე და ჩემი ოთხი ცოლი.

ტანადი და ლამაზი ქალები ყვავილებითა და ძვირფასი ქვებით დამშვენებულ თეთრ საპატარძლო ტანსაცმელში გამოწყობილიყვნენ. შუბლზე ყველას ერთერთი ქალღმერთის სიმბოლო ეხატა. ოთომი, რომელიც ყველაზე მშვენიერი იყო, მართლაც რომ ქალღმერთს ჰგავდა. თითოეული რიგ-რიგობით მოდიოდა ჩემთან, ღიმილით იჩოქებდა, ხელებს მიკოცნიდა და მეუბნებოდა: - ოო, ტესკ ატლი პოკა! ამირჩიეს, რათა დროებით შენი ცოლი ვიყო. მე უბედნიერესი ვარ. დაე, კეთილმა ღმერთებმა ინებონ, რომ მოგეწონო და შეგიყვარდე ისევე ძლიერად, როგორც გეთაყვანები შენ!

შემდეგ ქალიშვილი გვერდზე დგებოდა, რომ არ გაეგო, რას იტყოდა მეორე. სულ ბოლოს მომიახლოვდა ოთომი. მან დაიჩოქა, საღმრთო სიტყვები წარმოთქვა, მერე კი ხმამაღლა დაუმატა: მე გელაპარაკე შენ, როგორც პატარძალი და ქალ-ღმერთი უნდა ელაპარაკებოდეს თავის ქმარს, ღმერთ ტესკატ-ლი პოკას, ახლა კი, თეულო, მინდა ცოტა რამ გითხრა, როგორც ქალმა - კაცს. ვიცი, არ გიყვარვარ და თუ ნებას მომცემ, მოდი, ნუ ვიქნებით ცოლ-ქმარი, რადგან სხვისმა სურვილმა შეგვაერ-თა. ამით გადამარჩენ დამცირებას. იმათი ნუ გეშინია, - მან გაიხედა სამ დანარჩენ პატარძლისკენ, - ისინი ჩემი მეგობრები არიან და არ გამცემენ.

- როგორც გნებავს, ოთომი. - მოკლედ ვუპასუხე მე.

- გმადლობ გულკეთილობისთვის, თეულო, - სევდიანი ღიმი-ლით ჩაიჩურჩულა ოთომიმ ერთხელ კიდევ დაიხარა ჩემ წინაშე. ისეთი დიდებული და მომხიბლავი იყო, რომ გული ამიძგერდა. იმ ღამიდან მოყოლებული, მსხვერპლის მიტანის საშინელ საათამდე, მე და პრინცესას ერთხელაც არ გვიკოცნია ერთმანე-თისთვის, ერთხელაც არ წამოგვცდენია სატრფიალო სიტყვები.

მიუხედავად ამისა, ჩვენი მეგობრობა ყოველდღიურად მტკიცდებოდა. ხშირად ვსაუბრობდით. მე ყველაფერს ვაკეთებ-დი იმისთვის, რომ ოთომი ჭეშმარიტი სარწმუნოების გზაზე და-მეყენებინა, რაც მეტად რთული იყო. მამის მსგავსად, პრინცესას თავისი ხალხის ღმერთები სწამდა, თუმცა ქურუმები ეჯავრებო-და. ადამიანთა მსხვერპლშეწირვა, თუ ისინი მტრები არ იყვნენ, მის აღშფოთებას იწვევდა. იგი ამბობდა, ყველაფერი ეს ქურუ-მებმა მოიგონეს, უწინ ღმერთთა საკურთხევლებზე ყვავილებს დებდნენ და არა ადამიანებსო.

ჩემი გრძნობა მისდამი თანდათან და შეუმჩნევლად ღრმავდებოდა. ბოლოს, თვითონაც არ ვიცი, როგორ, ოთომი ისე ძლიერ შემიყვარდა, რომ ყველას მერჩია დედამიწაზე - ლილის შემდეგ.

რაც შეეხება დანარჩენ სამ ქალიშვილს, მათი გულკეთილობისა და მიმზიდველობის მიუხედავად, მალე შემჯავრდნენ. თუმცა წინანდებურად მათთან ვატარებდი ღამეებს ქეიფსა და ღრეობაში, ვინაიდან საკმარისი იყო გაეგოთ, რომ მათ ვერ შეძლეს ჩემი გამხიარულება, სამარცხვინო სიკვდილი ელოდათ. გარდა ამისა, თვითონაც ვცდილობდი, საკუთარი შიში მაგარ სასმელებსა და განცხრომაში ჩამეხშო, რადგან ჩემი დღეები ხომ დათვლილი იყო...

ჩემი ქორწინების მეორე დღეს, მუხანათურად მოკლეს ექვსასი დიდგვაროვანი აცტეკი, რაც ესპანელებმა იდალგო ალვარადოს ბრძანებით ჩაიდინეს. კორტესი ამ დროს სანაპიროზე იმყოფებოდა, სადაც თავისი ძველი მტრის - კუბის გუბერნატორ ველასკეზის გამოგზავნილ ნარვაესის რაზმს ებრძოდა.

იმ დღეს სავაჭრო მოედანზე ღმერთ უიცილოპოჩტლისადმი მიძღვნილი დღესასწაული უნდა გამართულიყო - მსხვერპლშეწირვით, სიმღერებითა და ცეკვებით. მისდა საბედნიეროდ, უფლისწულ კუაუტემოკს ტაძარში წასვლამდე ჩემთან შემოვლა გადაეწყვიტა.

დავინახე თუ არა, რომ ის მდიდრულად იყო გამოწყობილი, მაშინვე ვკითხე, ხომ არ აპირებ დღესასწაულში მონაწილეობის მიღებას-მეთქი.

- კი, ვაპირებ, რატომ მეკითხები? - მი პასუხა მან.

- იმიტომ, რომ შენ ადგილას მე არ წავიდოდი. მოცეკვავეებს იარაღი ექნებათ?

- არა, ეს ადათს ეწინააღმდეგება.

- მაშასადამე, ეს კეთილშობილი ჭაბუკები, ქვეყნის სიამაყენი, უიარაღონი იქნებიან. შეიარაღებული თეულები კი მათ ცქერას დაუწყებენ. მითხარი ახლა, უფლისწულო, რა მოუვა ყველა ამ დიდგვაროვან მოცეკვავეს, თეულებმა რომ ჩხუბი აუტეხონ?

- ვერ გამიგია, რატომ მეუბნები ამას. დარწმუნებული ვარ, თეთრკანიანები არ იკადრებენ ამგვარ ლაჩრულ და მუხანათურ საქმეს, მაგრამ მაინც გავითვალისწინებ შენს რჩევას! დღესასწაული, სულ ერთია, დაიწყება, ყველანი უკვე შეგროვდნენ, ოღონდ, მე არ წავალ.

- შენ ბრძენი ხარ, კუაუტემოკ! - ვუთხარი გახარებულმა.

ცოტა ხნის შემდეგ ოთომი, კუაუტემოკი და მე პატარა პირამიდის - მინიატურული თეოკალის მწვერვალზე ავედით, რათა ზევიდან გვეცქირა იმისთვის, რაც სავაჭრო მოედანსა და ტაძრების ეზოებში ხდებოდა. ჩვენ კარგად ვხედავდით მუსიკისა და სიმღერის ხმაზე მოცეკვავე დიდგვაროვან აცტეკებს. ფრინველთა ფრთებისგან შეკერილი მათი მოსასხამები მზის სხივებზე ძვირფასი ქვებივით ელვარებდა. დიდებული სანახაობა იყო! მოცეკვავეთა შორის ჯგუფჯგუფად იდგნენ აბჯარასხმული, მახვილებითა და არკებუზებით აღჭურვილი ესპანელები. მალე შევნიშნე, რომ ისინი აცტეკებს თანდათან გამოეყვნენ და, როგორც ფუტკრებმა სკებში, გალავნის შესასვლელებთან დაიწყეს შეგროვება.

- რას ნიშნავს ეს? - შევეკითხე კუაუტემოკს და იმწამსვე დავინახე, როგორ აიქნია ჰაერში ერთ-ერთმა ესპანელმა თეთრი ქსოვილის ნაჭერი.

თეთრი ნაჭერი არც კი დაშვებულიყო, რომ ტაძრის ეზო მთლიანად კვამლში გაეხვია და მაშინვე არკებუზების ბათქი და-

იწყო. დაჭრილ-დახოცილებით გაივსო მოედანი. შიშისგან ენაჩავარდნილი უიარაღო მოცეკვავეთა ძირითადი ბრბო დაფეთებული ცხვრის ფარასავით იდგა შუა ეზოში. ესპანელებმა მახვილები იშიშვლეს და თავიანთ წმინდათა სახელების წამოყვირებით, რასაც ისინი ყოველთვის მიმართავდნენ, როცა რაიმე ბოროტმოქმედებას სჩადიოდნენ, უმწეო აცტეკებს შეუბრალებლად დაერივნენ და ერთიანად ამოხოცეს. გაქცევაც ვერავინ შეძლო, რადგან გასასვლელებთან დარაჯები იდნენ, კედელი კი ძალიან მაღალი იყო და მასზე ვერავინ გადახტებოდა. საოცრად სწრაფად, ათ წუთში, მოათავეს მათ ეს ბინძური საქმე! ესპანელებს გამარჯვების ყიჟინა უკვე აეტეხათ და მკვდრებს ძვირფას სამკაულს აგლეჯდნენ.

უფლისწულს მივუბრუნდი: - კარგად მოიქეცი, იქ რომ არ წახვედი, მეგობარო. მან პასუხი არ გამცა. მდუმარედ იდგა და მოედანს თვალს არ აშორებდა. მხოლოდ ოთომიმ მითხრა მწარე ღიმილით: - თქვენ, ქრისტიანები, კეთილი ხალხი ყოფილხართ! აი, ასე გვიხდით მადლობას სტუმართმოყვარეობისთვის?! მამაჩემი ახლა, ალბათ, სავსებით კმაყოფილია თავისი სტუმრებით. ერთი მის ადგილზე ვყოფილიყავი, ეს თეულები უკვე სამსხვერპლოებზე იქნებოდნენ დაწყობილნი! შენ მითხარი, თქვენი ღმერთები სატანები არიანო, ვინღა არიან მაშინ ეს მკვლელები, რომლებსაც შენი ღმერთი სწამთ?

ბოლოს კუაუტემოკმაც ხმა ამოიღო: - ჩვენ მხოლოდ ერთი რამ დაგვრჩა - შურისძიება! მონტესუმა ქალაჩუნა გახდა. ის ჩემთვის უკვე მკვდარია. თუ საჭირო იქნება, მას საკუთარი ხელით მოვკლავ! მაგრამ ანაუაკში კიდევ ვართ ორი მამაკაცი - ბიძაჩემი კუიტლაუაკი და მე. კმარა! მივდივარ ჯარის შესაგროვებლად! და იგი მაშინვე წავიდა.

მთელი ღამე ქალაქი კრაზანების ბუდესავით ზუზუნებდა.

დილით სავაჭრო მოედანი და ყველა ქუჩა ათი ათასობით შეიარაღებულმა მეომარმა გაავსო. რამდენჯერაც არ ეკვეთნენ ისინი ახაიაკატლის სასახლეს, იმდენჯერვე უკან დაიხიეს - ესპანელთა ცეცხლს ვერ უძლებდნენ.

აცტეკების მორიგი იერიშის წინ, კედელზე მდგარი მონტესუმა გამოჩნდა - მშიშარა და ქალაჩუნა მონარქი. იგი შეევედრა ხალხს: - დაიშალეთ, თორემ მომკლავენო. აცტეკთა მოკრძალება იმპერატორის საღმრთო ძალაუფლების წინაშე ჯერ კიდევ იმდენად ძლიერი იყო, რომ მათ ბრძოლა შეწყვიტეს. თუმცა დაშლას არავინ აპირებდა. რაკი მონტესუმამ ესპანელთა დახოცვა აკრძალა, აცტეკებმა გადაწყვიტეს, ისინი შიმშილით ამოეჟლიტათ და მაშინვე სასახლის ყრუ ბლოკადა დაიწყო.

პირველი შეტაკებისას აცტეკთა ასობით მეომარი დაიღუპა, სამაგიეროდ, ალყაშემორტყმულმა ესპანელებმა კიდევ უფრო მეტი ზარალი განიცადეს. აცტეკებმა ტყვედ ჩაიგდეს რამდენიმე ესპანელი და მრავალი მათი მოკავშირე ტლასკალანელი. საწყალი ტყვეები იქვე დიდ თეოკალზე აათრიეს და მათი ამხანაგების თვალწინ მსხვერპლად შესწირეს თავიანთ ღმერთებს.

რამდენიმე დღის შემდეგ, კორტესი მაშველი ჯარებით დაბრუნდა ტენოჩტიტლანში. მას ნარვაესის რაზმი გაენადგურებინა და იქიდან ბევრი ჯარისკაცი კორტესის მხარეზე გადმოსულიყო. მათ შორის აღმოჩნდა ერთი კაცი, რომელსაც ძალიან კარგად ვიცნობდი.

არ ვიცი, რატომ მისცეს აცტეკებმა კორტესს საშუალება, შეუფერხებლად შეერთებოდა თავის თანამებრძოლებს, ახაიაკატლის სასახლეში. მეორე დღეს მან ბრძანა, ტყვეობიდან გაეთავისუფლებინათ მონტესუმას ძმა, პალაპინის მმართველი

კუიტლაუაკი, დაიმედებულმა, რომ იგი შეძლებდა აღშფოთებული ხალხის დაწყნარებას. მაგრამ კუიტლაუაკი არ იყო მხდალი. გამოვიდა თუ არა საპყრობილის გალავნიდან, მაშინვე მოიწვია საბჭო, რომელსაც მისი არყოფნისას კუაუტემოკი მეთაურობდა.

საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, ბოლომდე ებრძოლათ. მონტესუმა საკუთარი ქვეყნის მოღალატედ გამოაცხადეს. ამგვარი გადაწყვეტილება სულ რაღაც ორი თვით ადრე რომ მიეღოთ, ტენოჩტიტლანში უკვე არც ერთი ესპანელი ცოცხალი აღარ იქნებოდა. მართალია, კორტესის საყვარელმა მარიანამ თავისი ხრიკებით ბევრად შეუწყო ხელი ესპანელთა წარმატებას, მაგრამ აცტეკების იმპერიის დაღუპვის მთავარი მიზეზი მაინც თავად იმპერატორი მონტესუმა იყო.

20

მალე მზის პირველი სხივები შეეხო ტაძრების სახურავებსა და სასახლის კედლებს; ერთ მხარეს აცტეკ მეომართა ნაირფრად მოელვარე ფრთები და უამრავი შუბის წვეტი ააელვარა, მეორეზე კი - სიმაგრეებს ამოფარებულ ესპანელთა საბრძოლო იარაღი და ჯავშნები. ესპანელები გაცხარებით ემზადებოდნენ თავდასაცავად.

როგორც კი მზე ამოვიდა, ქურუმმა განმგმირავად ააყვირა ზუმილი და თითქოს მას გამოეხმაურაო, ესპანელთა ბანაკშიც მაშინვე გაისმა ბუკის ხმა. ათასობით აცტეკი გააფთრებული ყიჟინით დაიძრა საიერიშოდ. ცა ისრებისა და ქვების წვიმამ დააბნელა.

ახაიაკატლის სასახლის კედლებს უცებ ცეცხლისა და კვამლის კლაკნილი ზოლი შემოერტყა. ქრისტიანთა არკებუზები და ქვემეხები მუსრს ავლებდა მოიერიშე აცტეკებს და შემოდგომის ფოთლებივით აქეთ-იქით ფანტავდა.

აცტეკები ერთი წამით შედრკნენ. ამ დროს წინ გამოვარდა კუაუტემოკი - საბრძოლო ნიშნით ხელში და მისი მეომრები, შემჭიდროებულ რიგებად სასახლისკენ გაეშურნენ. ისინი მალე ახაიაკატლის კედლებს მიადგნენ. იერიშიც დაიწყო. აცტეკები თავგანწირულად იბრძოდნენ. დახოცილთა გვამებზე გადადიოდნენ და დაჟინებით ცდილობდნენ, კედელზე ასულიყვნენ, მაგრამ მალე იძულებულნი ხდებოდნენ, დიდი დანაკლისით უკან დაეხიათ.

დაინახეს თუ არა, რომ ასეთი საშუალებით სასახლეში შეჭრას ვერ მოახერხებდნენ, აცტეკებმა დიდი მორებით კედლის ქვედა ნაწილის დანგრევა სცადეს და მიზანს მიაღწიეს. ისინი არეულ-დარეულად შეიჭრნენ სასახლეში, მაგრამ ესპანელები მათ ქვემეხების ცეცხლით გაუმასპინძლდნენ. თითოეული ბათქი მოზღვავებული აცტეკების გრძელ, სისხლიან განაკაფს ქმნიდა - ადგილზე ათობით დახოცილი რჩებოდა.

აცტეკებმა ახლა მტერს ცეცხლიანი ისრები დაუშინეს - სასახლეს გარედან ცეცხლი წაუკიდეს, ოღონდ თვით სასახლეს, რომელიც ქვისგან იყო აშენებული, არაფერი მოსვლია. გაშმაგებული იერიშები თორმეტ საათს გაგრძელდა, შემდეგ კი, უცბად ჩამოწოლილი სიბნელის გამო, ბრძოლა შეწყდა. ქალაქში მთელ ღამეს ენთო ჩირაღდნები, ყველგან მომაკვდავთა კვნესა და ქალების ქვითინი ისმოდა - აცტეკებს დახოცილები გაჰყავდათ.

გარიჟრაჟზე ბრძოლა ისევ განახლდა. კორტესი ესპანელ ჯარისკაცთა უმეტესი ნაწილით და რამდენიმე ათასი მოკავშირე

ტლასკალანელით თავდასხმაზე გადავიდა. მეგონა, იგი პირველად მონტესუმას სასახლეზე მიიტანდა იერიშს და გადარჩენის ბუნდოვანი იმედი გამიჩნდა. ვიფიქრე, ბრძოლის აურზაურში ეგებ გაქცევა მოვახერხო-მეთქი, მაგრამ შევცდი. კორტესმა ჯერ ახლომახლო სახლების განადგურება მოინდომა, ვინაიდან ამ სახლების ბრტყელი სახურავებიდან მის ჯარისკაცებს აცტეკები ისრებსა და ქვებს აყრიდნენ, რაც დიდ ზარალს აყენებდა მის რაზმს. ესპანელთა იერიში სასტიკი იყო და წარმატებით დამთავრდა. აცტეკებმა ვერ გაუძლეს ცხენოსანთა შეტევას, შიშველი ხალხი უძლური აღმოჩნდა ესპანური ფოლადის წინააღმდეგ. ბევრს სახლი გადაუწვეს, ბევრი იმათგანი კი, ვინც იმ დილას ახაიაკატლის სასახლიდან გამოვიდა ცხენზე მჯდარი ან ქვეითად, უკან აღარ დაბრუნებულა. აცტეკები ფეხებში უვარდებოდნენ ცხენებს და უნაგირებიდან აგდებდნენ მხედრებს. იმავე დღეს ყველა ტყვე დიდ თეოკალზე უიცილოპოჩტლის შესწირეს ისე, რომ მათ თანამებრძოლებს დაენახათ. სამსხვერპლოზე ასევე დადეს ერთ-ერთი წართმეული ცხენი, რომელიც გაჭირვებით აათრიეს საფეხურებიანი პირამიდის მწვერვალზე. მსხვერპლთა რაოდენობა არასოდეს ყოფილა ასე დიდი. სამსხვერპლოზე სისხლის ღვარი იდგა, შეწირულთა გაბმული ყვირილისა და გოდებისგან ყურები მიწი ოდა. ქურუმები კი დაუღალავად შრომობდნენ, რადგან ამით ცდილობდნენ თავიანთი ღმერთების გულის მოგებას, რომლებიც თეულებზე გამარჯვებაში დაეხმარებოდათ.

მსხვერპლშეწირვა ახლა ღამითაც ხდებოდა. მარადიული ცეცხლის სინათლეზე. ისინი, რომლებიც მასში მონაწილეობდნენ, შორიდან გეგონებოდათ ავი სულები, რომლებიც თითქოს ჯოჯოხეთის ალში აწამებდნენ საბრალო ცოდვილებს. ეს სცენა

ძალიან ჰგავდა „საშინელ სამსჯავროს“, რომელიც გამოსახულია დითჩინჰემის ეკლესიაში.

სიბნელიდან ყოველ საათში გაისმოდა მრისხანე ხმა. იგი წყევლა-კრულვას უთვლიდა ესპანელებს: - ჰეი, თეულებო, უიცილოპოჩტლის სწყურია თქვენი სისხლი! მალე, სულ მალე გაჰყვებით იმათ, ვინც უკვე ფეხი შედგა მის სამსხვერპლოზე. ისინი თქვენ თვითონ დაინახეთ! თქვენი აღსასრული მოახლოებულია, გალიები გამზადებულია, დანები გალესილია, საწამებელი რკინა გავარვარებულია! მოემზადეთ, თეულებო! შეგიძლიათ, კიდევ ბევრი დახოცოთ, მაგრამ, სულერთია, ვერსად გაიქცევით!

ბრძოლა გრძელდებოდა. აცტეკები ყოველდღე დიდ ზარალს განიცდნენ, რამდენიმე ათასი მეომარი უკვე დაიღუპა. ესპანელებსაც ძალიან უჭირდათ, - განუწყვეტელი შეტაკებებით ქანცგაწყვეტილებს, დაჭრილებსა და მშივრებს ახლა ერთი წუთით მოსვენება აღარ ჰქონდათ.

ერთხელ, დილაადრიან, გაცხარებული იერიშის დროს, სასახლის მთავარ კოშკზე თვით მონტესუმა გამოჩნდა, დიდებულ სამოსელში გამოწყობილი და დიადემით თავზე. მის წინ იდგნენ გამომცხადებლები ოქროს კვერთხებით ხელში, ირგვლივ იდგნენ ტყვე იმპერატორის კარისკაცები და ესპანელი მცველები.

მონტუსამამ ხელი გამოიშვირა და ბრძოლა იმწამსვე შეჩერდა. მთელ მოედანზე სამარისებრი სიჩუმე ჩამოვარდა. იმპერატორმა სიტყვით მიმართა მრავალათასიან ბრბოს. ძალიან შორს ვიყავი და ვერ გავარკვიე მისი სიტყვები, მაგრამ მითხრეს, რომ მან შეკრებილებს ომის შეწყვეტისკენ მოუწოდა, ესპანელებს სტუმრად მოსული მეგობრები უწოდა და ხალხს შეჰპირდა, ისინი ტენოჩტიტლანიდან მალე თვითონვე წავლენო. წარ-

მოთქვა თუ არა მან ეს ლაჩრული სიტყვები, გამძვინვარებული ხალხი, რომლებიც აქამდე თავის მბრძანებელს ისე ეთაყვანებოდნენ, როგორც ღმერთს, აღრიალდა. ყველა მხოლოდ ორ სიტყვას იმეორებდა: - ქალაჩუნავ! მოღალატევ!

ქვევიდან უცებ ისარმა გაიზმუილა და იმპერატორს მოხვდა. ისარს ქვების სეტყვა მოჰყვა. დავინახე, როგორ დაბარბაცდა მონტესუმა და კოშკის ბრყელ სახურავზე დაეცა.

ვიღაცამ დაიყვირა: - მონტესუმა მოკვდა! ჩვენ მოვკალით ჩვენი იმპერატორი! შეშინებული აცტეკები ღაღადით აქეთ-იქით მიმოიფანტნენ და ერთ წუთში მოედანი დაცარიელდა. მთელი ამ ამბების დროს ოთომი ჩემ გვერდით იყო. როცა მამამისი წაიქცა, მან ტირილი დაიწყო. შევეცადე, როგორმე მენუგეშებინა იგი და სასახლეში წავიყვანე. გზაში უფლისწულ კუაუტემოკს შევეჩეხეთ. თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული, ის ძალიან გამძვინვარებული იყო.

- მართლა მოკლეს მონტესუმა? - შევეკითხე.

- არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე, - მი პასუხა მან და ველურად ჩაიცინა.

მერე ოთომის მიუბრუნდა და დაუმატა: - შეგიძლია შემაჩვენო, დაო, რადგან ის ქალაჩუნად და მოღალატედ ქცეული ბელადი, რომელიც ატყუებდა თავის ხალხსა და ქვეყნას, ჩემმა ისარმა განგმირა.

ოთომიმ ცრემლები მოიწმინდა.

- არა, კუაუტემოკ, არ დაგწყევლი, - უთხრა პრინცესამ, - ღმერთებმა უფრო ადრე განგმირეს მამაჩემი უგუნურებით, ვიდრე შენ, ისრით. იგი თუ მოკვდება, ეს უკეთესი იქნება მისთვისაც და მისი ხალხისთვისაც. მაგრამ არც შენ დარჩები დაუსჯელი. ამ მკრეხელობისთვის შენც სამარცხვინო სიკვდილით დაიღუპები.

- შეიძლება! მაგრამ დარწმუნებული ვარ, არასოდეს მოვკვდები, როგორც მოღალატე, - უპასუხა უფლისწულმა და წავიდა.

უნდა გითხრათ, რომ ეს დღე ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ დღედ მიმაჩნდა, რადგან ოცდაოთხი საათის შემდეგ ზუსტად ერთი წელი სრულდებოდა, რაც მე, თომას ვინგფილდი, ღმერთ ტესკატლი პოკის განსხეულებად გამომაცხადეს და ხვალ მსხვერპლად შეწირვა მელოდა. მთელი ქალაქი შიშს მოეცვა, თუმცა რელიგიურ ცერემონიებსა და დღესასწაულებს ისევე ზედმიწევნით და შეიძლება კიდევ უფრო სასტიკადაც იცავდნენ, ვიდრე ადრე. იმ ღამეს ჩემს პატივსაცემად გამართეს გამოსათხოვარი ნადიმი, სადაც ჩემ ცოლებს შუა ვიჯექი, ყვავილებით დაგვირგვინებული და მილოცვებს ვღებულობდი ქალაქის ჯერ კიდევ ცოცხალი დიდგვაროვანი პირებისგან. მათ შორის იყო კუიტლაუაკიც, რომელიც მონტესუმას შემდეგ ანაუაკის იმპერატორი უნდა გამხდარიყო.

ეს მწუხარების ნადიმი იყო. როგორადაც არ ვცდილობდი, მაგარი სასმელებით ჩამეხშო შიში, ვერაფერს გავხდი, არც სტუმრებს ჰქონდათ მხიარულების რაიმე საბაბი. ბევრი მათი თანატომელი დაიღუპა, ესპანელები კვლავ ციხესიმაგრეში რჩებოდნენ. იმპერატორი ერთ-ერთმა მათგანმა მოკლა და სხვებიც თავს განწირულებად თვლიდნენ. უღიმღამო ნადიმის შემდეგ ჩემს ოთახში წავედი.

ოთომი დარჩა, სხვა სამი ცოლი კი თან გამომყვა. ისინი ყველაზე ბედნიერ და დალოცვილ ადამიანს მიწოდებდნენ, ხვალ ამაღლდები შენს ღვთიურ სახლში, ზეცაშიო! მაგრამ, მე არ დავლოცე ჩემი ცოლები ასეთი კეთილი სურვილისთვის, პირიქით, საშინლად გავბრაზდი, სამივე გარეთ გავაგდე და გამოთხოვები-

სას ვუთხარი: ჩემი ერთადერთი ნუგეში ის იქნება, რომ თქვენ მოგიცილებთ-მეთქი. მერე ბალიშებზე ჩავემხე და მწარედ ავქვითინდი. აი, სადამდე მიმიყვანა ფიცმა, დამესაჯა დე გარსია! ვქვითინებდი და ვფიქრობდი: ხვალ გულს ამომგლეჯენ, რათა იგი საჩუქრად მიართვან ეშმაკს. რა მართალი იყო ბრძენი ანდრეს დე ფონსეკა, როცა მირჩია, მესარგებლა ბედნიერი შემთხვევით და შურისძიება დამევიწყებინა. ეეჰ, მისთვის რომ დამეჯერებინა!...ახლა კი ჩემი ბედი ეშმაკების ხელშია. ღმერთს ცოდვების მიტევებას ვევედრებოდი, რათა ხვალ დამშვიდებული შევხვედროდი სიკვდილს. შეუმჩნევლად ჩამთვლიმა. სიზმრად თითქოს იმ ბილიკზე მივდიოდი, რომელიც დითჩინჰემის ეკლესიისკენ მიიკლაკნებოდა. ფერდობებზე ნიავი ბალახებს ეჩურჩულებოდა, ინგლისური ყვავილების სუნი მათრობდა და ივნისის სურნელოვანი ჰაერი შუბლს მიგრილებდა. უცებ სიმღერა მომესმა, ვიღაც იმას უმღეროდა, ვინც შორს გაემგზავრა და აღარასოდეს დაბრუნდება. მალე ვაშლის ხეებქვეშ თეთრი ფიგურა გამოჩნდა. იგი ნელ-ნელა მიახლოვდებოდა და ვიცოდი, რომ ის ჩემი ლილი იყო! მან სიმღერა შეწყვიტა, ამოიოხრა და სევდიანი სახე ასწია. ეს შუახნის ქალის სახე იყო, მაგრამ - უფრო მშვენიერი, ვიდრე ახალგაზრდობის წლებში. მე ლილის წინ გავჩერდი. მას შეეშინდა, კივილით უკან დაიხია, მერე მომაცქერდა და ოდნავ გასაგონად ჩამჩურჩულა: - ნუთუ? ნუთუ შენ ხარ თომას? როგორ გამოცვლილხარ... მართლა ცოცხალი ხარ, თუ ეს მხოლოდ შენი აჩრდილია? მოჩვენება ჩემკენ მორცხვად გამოიწია, რათა მომხვეოდა.

უცებ გამომეღვიძა და დავინახე: ჩემ წინ იდგა თეთრად ჩაცმული უცხო ქალი. მთვარე მასაც ისევე ანათებდა, როგორც სიზმარში ნანახს, ისიც ხელებს სიყვარულით ჩემკენ იწვდიდა.

- ეს მე ვარ, ძვირფასო და არა ჩემი აჩრდილი! - წამოვიყვირე და საყვარელი არსება ჩავიხუტე. ოღონდ, ვიდრე მის კოცნას მოვასწრებდი, ვიდრე ჩემი ტუჩები მისას შეეხებოდა, ძილბურანიდან გამოვერკვიე. მე გულში ვიხუტებდი არა ლილის, არამედ ოთომის ტომთა პრინცესას, ჩემს ცოლად წოდებულ ოთომს. მივხვდი, ყველაზე საშინელი და ნაღვლიანი სიზმარი ვნახე, თითქოს დასაცინად მოვლენილი, რამაც მწარე სინამდვილე კიდევ უფრო მწვავედ მაგრძნობინა.

ხელი გავუშვი ოთომის, ღრმად ამოვიოხრე და სარეცელზე დავენარცხე. პრინცესას შერცხვა და სახე გაუწითლდა, ვინაიდან ვუყვარდი და ჩემმა ქცევამ შეურაცხყო. მიუხედავად ამისა, ალერსიანად მითხრა: - მაპატიე, თეულო, მაინტერესებდა, როგორ გეძინა, შენს გაღვიძებას არ ვაპირებდი. გარდა ამისა, მზის ამოსვლამდე შენთან ლაპარაკი მსურდა. იქნებ, კიდევ შევძლო შენს გადასარჩენად რაიმეს გაკეთება, ყოველ შემთხვევაში, ნუ-გეშისცემა მაინც, რადგან აღსასრული უკვე ახლოსაა. მითხარი, გინდოდა მომხვეოდი იმიტომ, რომ სიზმარში სხვა ქალი გეგონე? ის შენთვის ალბათ უფრო ლამაზია...

- სიზმარში ჩემი საცოლე ვნახე, რომელიც მიყვარს. იგი შორს, ზღვებსიქითაა, - ძლივს ამოვღერღე. - ახლა ზედმეტია ასეთ რამეებზე ლაპარაკი, მე ხომ ბნელეთში მივდივარ...

- სიმართლე გითხრა, არც მე ვიცი, თეულო, მაგრამ ბრძენნი ამბობენ, ჭეშმარიტი სიყვარული წყვდიადშიც აინთება და მას გაანათებსო. ნუ წუხხარ! თუ შენს ან ჩვენს სარწმუნოებაში სიმართლის ნატამალი მაინცაა, მზის ამოსვლამდე დაინახავ შენს საყვარელ არსებას ამქვეყნად ან ზეცაში, მე კი ვილოცებ, რათა ის შენი ერთგული დარჩეს. მითხარი, მას ძალიან უყვარხარ? დაწვებოდა იგი შენთან ერთად სამსხვერპლოზე, როგორც ამას

მე ვაპირებდი, ჩვენი ურთიერთობა სხვაგვარად რომ წასულიყო?

- არა, არ დაწვებოდა. ჩვენს ქალებს არ სჩვევიათ, სიცოცხლეს გამოესალმონ, როცა ქმარს სიკვდილი ელის.

- ისინი ალბათ ამჯობინებდნენ, ცოცხლები დარჩნენ და სხვას მისთხოვდნენ, - დამშვიდებით ჩაილაპარაკა ოთომიმ. შევნიშნე, როგორ დააბრიალა მან თვალები და მთვარით განათებულ მკერდში სუნთქვა როგორ გაუხშირდა.

- კმარა ამ სისულელეებზე ლაყბობა, - შევაწყვეტინე მე. - მომისმინე, ოთომი, შენ რომ ნამდვილად გყვარებოდი, ამ საშინელი სასჯელისგან გადამარჩენდი ან დაიყოლიებდი კუაუტემოკს, დახმარება აღმოეჩინა ჩემთვის. შენ მონტესუმას ასული ხარ; ნუთუ ამ თვეების განმავლობაში ვერ შეძელი, მამაშენისგან ჩემი შეწყალების ბრძანება მიგეღო?!

- ცუდი წარმოდგენა გქონია ჩემზე, თეულო! - აღელვებით მიპასუხა ოთომიმ.

- შენი საუკეთესო მეგობარი ვიყავი, იცოდე, მთელი ამ თვეების მანძილზე სულ შენზე ვფიქრობდი და დღედაღამ ვეძებდი რაიმე საშუალებას, რომ როგორმე გადამერჩინე. სანამ მამაჩემი თვითონ გახდებოდა ტყვე, ისე მოვაბეზრე თავი, რომ კარისკაცებს უბრძანა, ოთომი ჩემთან აღარ შემოუშვათო. შევეცადე, ქურუმები მომესყიდა და ყველაფერი მოვამზადე შენს გასაქცევად. ამაში კუაუტემოკიც დამეხმარა, რადგან მასაც უყვარხარ. ეს წყეული თეულები და ომი რომ არ ყოფილიყო, უთუოდ გიხსნიდი, ვინაიდან ქალს უფრო მეტი ინტუიცია აქვს და მუდამ იპოვის გამოსავალს იქაც კი, სადაც მამაკაცი უკან დაიხევდა. მაგრამ ომმა ყველაფერი შეცვალა. ვარსკვლავთმრიცხველებმა და ქურუმებმა შენი მსხვერპლად მიტანა გადაწყვიტეს. მათი აზ-

რით, შენი სისხლი თუ ხვალ, ზუსტად შუადღეზე, წითლად შეღებავს საკურთხეველს, ჩვენი ხალხი გაიმარჯვებს თეულებზე და მათ ერთიანად მოსპობენ. მაგრამ თუ მსხვერპლშეწირვა დანიშნულ საათზე უფრო ადრე ან უფრო გვიან მოხდება, მაშინ ტენოჩტიტლანის დაღუპვა გადაწყვეტილია. გარდა ამისა, ქურუმებმა გამოაცხადეს, შენ უნდა მოკვდე არა „საჭურვლის სახლში“, ტბის შუაში რომ დგას, არამედ - დიდი თეოკალის მწვერვალზე, ღმერთის მთავარი ქანდაკების წინ. ეს ამბავი მთელმა ანაუაკმა იცის. ამჟამად ათასობით ქურუმი ლოცულობს, რათა მსხვერპლმა ბედნიერება მოუტანოს ქვეყანას. სამსხვერპლო ქვის ზემოთ უკვე ჩამოკიდებულია ოქროს რგოლი, რომელშიც გავლილი მზის სხივი ზუსტად შუადღეზე დაეცემა შენს მკერდს, სწორედ იმ ადგილას, სადაც გული გიცემს. უკანასკნელ დღეებში ქურუმებს ეშინოდათ, არ გაქცეულიყავი თეულებთან და ყოველ შენს ნაბიჯს უთვალთვალებდნენ, როგორც იაგუარები - თავიანთ ნადავლს. ჩვენც, შენს ცოლებს, გვითვალთვალებდნენ. ამ ღამით სასახლის გარშემო სამ წყებად დგას მცველები, კართან და ფანჯრებთან კი ქურუმები გდარაჯობენ. თვითონ განსაჯე, ასეთ პირობებში, როგორ უნდა გაიქცე?!

- მაინც არის ერთი გამოსავალი: თავს თუ მოვიკლავ, ისინი ვეღარ შეძლებენ ჩემს მსხვერპლად შეწირვას.

- არა, არა! - სწრაფად წამოიძახა ოთომიმ. - რას მოგცემს ეს? ვიდრე ცოცხალი ხარ, კიდევ არის იმედი, თავს თუ მოიკლავ, ყველაფერი გათავდება. ამასთან, თუ სიკვდილამდე მივა საქმე, უმჯობესია, ქურუმების ხელით მოკვდე. დამიჯერე, თუმცა ასეთი სიკვდილი, ერთი შეხედვით,. მეტად საშინელია, - ამ სიტყვებზე ოთომი აკანკანლდა, - სამაგიეროდ, იგი წამიერი და თითქმის უმტკივნეულოა, ასე ამბობს ყველა ქურუმი. პირველად მათ უნ-

დოდათ შენი წამება, რათა უდიდესი პატივი მიეზღოთ ღმერთისთვის, მაგრამ მე და კუაუტემოკმა ამისგან გადაგარჩინეთ.

ოთომი ჩემ გვერდით ჩამოჯდა სარეცელზე, ხელი მომკიდა და განაგრძო: - ოო, თეულო, ნუღარ ფიქრობ მიწიერ საშინელებაზე! იფიქრე იმაზე, რა მოჰყვება მას. ნუთუ სიკვდილი ასე საშინელია? ჩვენ ყველანი მოვკვდებით: ზოგი დღეს, ზოგი ხვალ ან ზეგ, საერთოდ, მნიშვნელობა არ აქვს - როდის. შენი სარწმუნოება, ისევე, როგორც ჩვენი, ამბობს, სიკვდილის შემდეგ სამარადისო მადლი მოგელითო. იფიქრე ამაზე, ხვალ გათავისუფლდები ყოველგვარი წუხილისა და ცხოვრების ამაოებისგან. ბრძოლა, ტანჯვა, შიში მომავლის წინაშე, რაც ასე გვიწამლავს სულს, ყველაფერი ეს უკან დაგრჩება და მოი პოვებ მყუდროებას, რომელსაც უკვე ვერავინ დაგირღვევს. იქ შეხვდები დედაშენს, რომელიც ასე გიყვარდა! შეიძლება, შენთან მოვიდეს ის, ვისაც დედაშენზე ძლიერ უყვარხარ და, ვინ იცის, იქნებ, მეც შემხვდე იქ...

უკანასკნელ სიტყვებზე ოთომის თვალები უცნაურად გაუბრწყინდა.

- შენ მოგიხდება ბნელი გზის გავლა, სამაგიეროდ, იგი კარგად არის გათელილი და მის ბოლოში შუქი კაშკაშებს. იყავი ვაჟკაცი, ჩემო მეგობარო და ნურაფერზე ინაღვლებ! გიხაროდეს, რომ ასე ახალგაზდა გათავისუფლდები ყოველგვარი მწუხარებისა და ეჭვისგან და მალე მიაღწევ ბედნიერების კარამდე. გიხაროდეს, რომ გადალახავ ცხოვრების უდაბნოს და ნახავ მოელვარე ტბებს, აყვავებულ ბაღებს და წმინდანთა ქვეყნის ტაძრებს. ახლა კი მშვიდობით! ჩვენ უკანასკნელად შევხვდებით ერთმანეთს მსხვერპლშეწირვამდე. როცა შენი ცოლები შენთან გამოსამშვიდობებლად მოვლენ თეოკალის ქვედა საფერხურზე.

დარწმუნებული ვარ, ვაჟკაცურად შეხვდები სიკვდილს, რადგან ამას მე გთხოვ და იმიტომაც, რომ სხვაგვარად თავს შეირცხვენ. უნდა მოკვდე ისე მამაცურად, თითქოს მთელი შენი ხალხის ბედი შენზე ჰკიდია. ოთომი მოულოდნელად დაიხარა, ნაზად, როგორც დამ, შუბლზე მაკოცა და ოთახიდან გავარდა.

ვერავითარი ძალა აიძულებს ადამიანს, სიხარულით შეხვდეს მოახლოებულ სიკვდილს. მე კი ისეთი აღსასრული მელოდა, რომლის წინაშე ნებისმიერი შეძრწუნდებოდა. ამავე დროს, მესმოდა, რომ ოთომი მართალი იყო. სიკვდილი ზოგჯერ კარგ გამოსავლად გვეჩვენება, თუ ცხოვრება ბევრად უფრო საშინელია. მალე არაბუნებრივი სიმშვიდე დამეუფლა; თითქოს მოვწყდი ჩემს მიწიერ არსებას და ახლა ჩემთვის უცნობი გრძნობით ყველაფერს შორიდან ვუყურებდი. ჩემი ცხოვრება უკვე მთავრდებოდა, სიკვდილის ნაპირი სულ ახლოს იყო. იმ ღამეს გავაცნობიერე, რომ სიცოცხლის მიწურულს ჩვენთვის, უბრალო მოკვდავთათვის, სიკვდილი თურმე ბევრად მეტს ნიშნავს, ვიდრე წამიერი სიცოცხლე. ამიტომ მშვიდად ვისხენებდი წარსულს, ვფიქრობდი იმაზეც, რა მოელოდა მომავალში ჩემს სულს და ეს ყველაფერი ამ კეთილშობილი ინდიელი ქალის გავლენა იყო.

დიახ, რაც არ უნდა მოხდეს, მას იმედს არ გავუცრუებ: მოვკვდები ისე ვაჟკაცურად, როგორც კვდებიან ნამდვილი ინგლისელები. ეს ბარბაროსები ვერ გაბედავენ, ჩემზე თქვან, ლაჩარი იყოო. განა ჩემისთანები არ კვდებიან სამსხვერპლოზე ისე, რომ კრინტსაც არ ძრავენ? განა დედაჩემი მკვლელის ხელით არ დაიღუპა? განა ცოცხლად არ ამოქოლეს იზაბელა დე სიგუენსა მხოლოდ იმისთვის, რომ არამზადა შეუყვარდა? ეს ქვეყანა სავსეა ტანჯვითა და საშინელებებით და ვინ ვარ მე, რომ ამდენს მოვთქვამდე!

ამ ფიქრებში გათენდა. მზის ამოსვლისთანავე საბრძოლველად მზადმყოფი მეომრები ახმაურდნენ. ბრძოლები დღითი დღე სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა. ჩემში არავითარ ინტერესს არ იწვევდა ინდიელთა ომი ესპანელებთან, - მე თვითონ ვემზადებოდი უკანასკნელი შეტაკებისთვის, ვინაიდან სიკვდილმა უკვე გამომიწოდა თავისი გაძვალტყავებული ხელი.

21

აქ თავი უკვე მოეყარა სადღესასწაულოდ გამოწყობილ ყველა დიდგვაროვანს. ჩემი ცოლები ამაღლებულ ადგილზე იდგნენ. მათ ოთხი ქალღმერთის - ხოჩის, ხილოს, ატლისა და კლიტხოს სამოსელი ეცვათ. ეს სახელები ქალიშვილებს ჩემთან ქორწინების დღეს მიანიჭეს. ატლა პრინცესა ოთომი იყო.

როცა მეც დავდექი ამაღლებულ ადგილზე, ცოლები მომიახლოვდნენ, რიგრი გობით შუბლზე მაკოცეს და ოქროს ლანგარზე დაწყობილი სხვადასხვა ტკბილეული შემომთავაზეს, აგრეთვე - ცხელი შოკოლადი და მესკალი. არაფრის ჭამის თავი არ მქონდა და მხოლოდ მაგარი მესკალი დავლიე, რათა ოდნავ მაინც გავმხნევებულიყავი.

როგორც კი ცერემონია დამთავრდა, ერთი წამით სიჩუმე ჩამოვარდა. დარბაზის მეორე ბოლოში გამოჩნდა წითელ სამსხვერპლო ტანსაცმელში გამოწყობილთა საშინელი პროცესია - თავიდან ფეხებამდე სისხლში ამოთხუპნული ქურუმები. მათი გრძელი, აბურძგნილი თმები სისხლით იყო შეწებებული. სისხლი წაესვათ შიშველ მკლავებზეც, ელვარე თვალებიც კი თითქოს სისხლით ჰქონდათ ამოვსებული. ქურუმები ამაღლებულ

ადგილთან მოვიდნენ და მაშინ უზენაესმა ქურუმმა უცებ ხელი აიქნია და შეჰღაღადა: - ხალხნო, ქედი მოიხარეთ უკვდავი ღმერთის წინაშე!

ყველა, ვინც დარბაზში იყო, პირქვე დაემხო: - ჩვენ თაყვანს ვცემთ ღმერთს!

ქურუმმა სამჯერ თქვა ეს სიტყვები და იქმყოფებმაც სამჯერვე გაიმეორეს. ბოლოს, როცა ყველა წამოდგა, უზენაესმა ქურუმმა მე მომმართა: - გვაპატიე, ტესკატლი პოკა, რომ ვერ შევძელით ადათის შესაბამისად შენი პატივისცემა, რადგან, ჩვენს მბრძანებელსაც ქედი უნდა მოეხარა შენს წინაშე, ჩვენთან ერთად. მაგრამ, ხომ იცით, რა უბედურება დაგვატყდა თავს შენს მონებს: ახლა საკუთარ სახლში ვებრძვით იმათ, ვინც მკრეხელობს და შეურაცხყოფას გაყენებს შენ, შენს ძმებსა და სხვა ღმერთებს. ჩვენი საყვარელი იმპერატორი მძიმედაა დაჭრილი და მკრეხელთა ხელშია. მალე, სულ მალე მიაღწევ შენი სურვილების მწვერვალს და ამაღლდები ზეცაში! შენ დატოვებ მიწიერ გარსს და გვიჩვენებ ყველას, რომ ადამიანის კეთილდღეობა წარმავალია, აჩრდილია. ჩვენი შენდამი სიყვარულის სახელით გევედრებით, ტესკატლი პოკა, როცა ზეცაში მოხვდები, ინებე ისე, რომ გავიმარჯვოთ მკრეხელებზე, შენს მტრებზე და შევძლოთ, პატივი გცეთ - მათი შეწირვით შენს საკურთხეველზე. ტესკატლი პოკა, ცოტა ხანს იყავი ჩვენთან და აღარ გსურს აქ დარჩენა, ვინაიდან სამარადისო დიდება გელის! დიდხანს ელოდი ამ ბედნიერ დღეს და აი, ისიც მოვიდა. ჩვენ გვიყვარდი და თაყვანს გცემდით. მოიქეცი ისე, რომ ჩვენ, შენმა შვილებმა, დიდების სხივებით გაბრწყინებული დაგინახოთ! ოო, ტესკატლი პოკა, მოგვივლინე მიწიერი კეთილდღეობა და სიხარული ხალხს, რომელთანაც სრულ თანხმობაში გაატარე ერთი წელი!

ასე ღაღადებდა უზენაესი ქურუმი. მის ხმას დროდადრო შეკრებილთა ხმამაღალი ქვითინი და ჩემი ცოლების ტირილი ახშობდა. მხოლოდ ოთომი დუმდა. ბოლოს უზენაესმა ქურუმმა ნიშანი მისცა, მუსიკა ახმიანდა და ყველა მხრიდან ქურუმები შემოგვეხვივნენ. ჩემი ორი ცოლი, ანუ ქალღმერთი, წინ დამიდგა, ორიც - უკან და დარბაზიდან გამოვედით. პროცესია ალაყაფის კარისკენ დაიძრა და მალე სასახლის კედლები დავტოვეთ. გაქვავებული სიმშვიდით აქეთ-იქით ვიყურებოდი და მხედველობიდან არაფერი გამომპარვია. ჩემ წინაშე უცნაური სანახაობა გადაიშალა! აქედან ასამდე ნაბიჯზე აცტეკები გააფთრებით განაგრძობდნენ იერიშს ახაიაკატლის სასახლეზე, სადაც ესპანელები იყვნენ შეფარებულნი. მეომრები კედელზე აძრომას ცდილობდნენ. ესპანელები მოიერიშეებს ცეცხლით ჟლეტდნენ, მათი მოკავშირე ტლასკალანელები კი თავდამსხმელებს კედ ლებიდან შუბებითა და საბრძოლო კეტებით ყრიდნენ. ამავე დროს, აცტეკთა სხვა რაზმები, რომლებიც გაფანტული იყვნენ ხანძრისგან გადარჩენილი მეზობელი სახლების სახურავებსა და დიდი თეოკალის შვერილებზე, სადაც მე შემწირავდნენ, ისარსა და ქვას უშენდნენ ესპანელების მიერ დაკავებულ სასახლეს.

ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ადგილიდან დაახლოებით ხუთასი იარდის დაშორებით, მოედნის მეორე ბოლოში, მონტესუმას სასახლის ალაყაფის კართან სულ სხვა სურათი დავინახე. აქ თავი მოეყარა აუარებელ ხალხს, რათა ჩემი სიკვდილისთვის ეცქირა. მათ ხელში ყვავილები ეჭირათ. როცა მათ წინაშე წარვსდექი, მისასალმებელმა ყიჟინამ ერთი წამით ულმობელი ბრძოლის ხმაური დაფარა; დროდადრო ქვემეხის ყუმბარა ბრბოში ეცემოდა. მოკლულებსა და დაჭრილებს ყურადღებას არავინ აქცევდა, არც არავინ გარბოდა; ხალხი ხმამაღლა

მხოლოდ ამას ღრიალებდა: - დიდება შენ, ტესკატლი პოკა, მშვიდობით! კურთხეულ იყავ, ჩვენო მხსნელო!

გარშემო უზარმაზარი ბრბო გვერტყა და ყვავილებით მოფენილ ვიწრო გასასვლელში ჩვენი პროცესია ნელა მიიწევდა წინ. როგორც იქნა, მოედანი გავიარეთ და თეოკალთან მივაღწიეთ. იქ იმდენი ხალხი შეგროვილიყო, რომ იძულებული გავხდით, შევჩერებულიყავით. სანამ ქურუმები გზას გვიკაფავდნენ, ვიღაც მეომარმა რკალი გაარღვია და ჩემ წინ ქედი მოიდრიკა. იგი უფლისწული კუაუტემოკი იყო. - თეულო, იმისთვის, რომ გამოგთხოვებოდი, ჩემი ხალხი მივატოვე, - მომმართა მან და თავი გაიქნია ახაიაკატლის სასახლის საიერიშოდ მომზადებული მეომრებისკენ. - ერთმანეთს ალბათ მალე ისევ შევხდებით. დამიჯერე, თეულო, ვაი, რომ არ შეიძლება, თორემ შენს ადგილს მე სიამოვნებით დავიკავებდი. მშვიდობით, მეგობარო. შენ მე სიკვდილს გადამარჩინე, მე კი ვერაფერი გავაკეთე შენთვის...

- მშვიდობით, კუაუტემოკ, ღმერთი იყოს შენი შემწე, ვინაიდან ჩემი ერთგული მეგობარი იყავი. - ვუპასუხე და ერთმანეთს დავშორდით.

თეოკალის ძირში მთელი პროცესია ხელახლა ჩამწკრივდა და აქ ერთ-ერთი ჩემი ცოლი ცრემლიანი თვალებით მომეკრა და გამომემშვიდობა. მე ქვასავით ვიყავი. ნელა და დიდი ამბით დავიწყეთ ასვლა ქვის კიბეებზე. ეს უსასრულო პროცესია მთელ საათს მიბობღავდა თეოკალის მწვერვალისკენ, შენობის სპირალისებურ კიბეებზე. ყოველ მოსახვევში ვჩერდებოდით, რათა ერთ-ერთ ცოლს ან ერთ-ერთ მუსიკალურ საკრავს (სხვათა შორის, ამას ყოველგვარი სინანულის გარეშე ვაკეთებდი), ან კიდევ ჩემი უცნაური ტანსაცმლის რაიმე ნაწილს გამოვთხოვებოდი.

როგორც იქნა, უკანასკნელი კიბის ფართო საფეხურები ავიარეთ და თეოკალის ბრტყელ მწვერვალს მივაღწიეთ. მოედანი შემოზღუდული არ იყო. ამ თავბრუდამხვევ სიმაღლეზე იდგა უიცილოპოჩტლისა და ტესკატლი პოკას ტაძრები, ქვისა და ხისგან აგებული უზარმაზარი შენობები, რომელთა შიგნით მსხვერპლთა სისხლით მორწყულ საშინელი ოთახებში ამ ღმერთების მახინჯი კერპები იდგა. ტაძრების წინ მარადიული საღმრთო ცეცხლი ლაპლაპებდა და სამსხვერპლო ქვები, საწამებელი იარაღები და გველის ტყავგადაჭიმული ვეებერთელა დოლი იდო. თეოკალის მწვერვალის დანარჩენ ნაწილი სავსებით შიშველი იყო, ოღონდ არა - უკაცური. აქ შევნიშნე ასიოდე მეომარი, რომლებიც განუ წყვეტლივ უშენდნენ მტერს ქვებსა და ისრებს. მოპირდაპირე კიდეზე, ჩემი სიკვდილის მოლოდინში, შეჯგუფებულად იდგნენ ქურუმები. ქვევით დანგრეული სახლებით გარშემორტყმული უზარმაზარი მოედანი ხალხით იყო გაჭედილი. ზოგიერთი აცტეკი ისევ ებრძოდა ესპანელებს, მაგრამ უმრავლესობამ მიატოვა ბრძოლის ველი და ჩემი მსხვერპლად შეწირვის სანახავად მოვიდა.

თეოკალის მწვერვალზე ორი საათით ადრე ამიყვანეს, რადგან მსხვერპლის შეწირვამდე კიდევ მთელი რიგი წესი უნდა შეესრულებინათ. რადგან ღმერთ ტესკატლი პოკას სახელს ვატარებდი, უპირველეს ყოვლისა, მის საკურთხეველში შემიყვანეს. აქ იდგა შავი მარმარილოსგან გამოთლილი და ოქროს სამკაულებით დამშვენებული მისი ქანდაკება. კერპს ხელში ეჭირა გაკრიალებული ფარი, რომელსაც თავისი ძვირფასი ქვების თვალებით უყურებდა. ქურუმები ამბობდნენ, იგი ყველაფერს ხედავს, რაც იყო და რაც იქნებაო.

კერპის წინ იდგა ოქროს ლანგარი. უზენაესმა ქურუმმა აიღო ის, რაღაც ლოცვები ჩაიბუტბუტა და თავისი შეწებებული, გრძელი თმის ბოლოებით გაწმინდა. როცა ლანგარი გაპრიალდა, პირზე მომადო, რათა მის გაბრჭყვიალებულ ზედაპირზე მესუნთქა. უცებ თავბრუ დამესხა და საშინელი სისუსტე ვიგრძენი: მივხვდი, ამ რიტუალის მერე ლანგარი მზად იყო, მიეღო გული, რომელიც ჯერ კიდევ ჩემს მკერდში ფეთქავდა.

არ ვიცოდი, კიდევ რა წესები უნდა აღესრულებინათ ამ დაწყევლილ საკერპეში. პირამიდის ირგვლივ მოედანზე დაწყებულმა არეულობამ აიძულა ქურუმები, ყველაფრისთვის თავი დაენებებინათ და ტაძრიდან სასწრაფოდ გამოვეყვანე. ძირს ჩავიხედე და გავშეშდი: შვერილებიდან დაშენილი ისრებისა და ქვების სეტყვით გაცოფებული ესპანელები დიდი თეოკალისკენ მოდიოდნენ.

ესპანელთა რაზმი, კორტესის მეთაურობით, აცტეკებით გავსებულ მოედანზე გზას იკაფავდა. ესპანელებს თან მოჰყვებოდა რამდენიმე ასეული მათი მოკავშირე ტლასკალანელი. ამასობაში კიბეების პირველ საფეხურებთან ათასობით აცტეკი მეომარი გაჩნდა, რათა იქვე გაესრისათ თეთრკანიანი დამპყრობლები. ხუთი წუთის შემდეგ მათ შორის თავგანწირული, ულმობელი ბრძოლა დაიწყო. არკებუზებისა და ჯაზიარების ბათქის ქვეშ ესპანელები განუწყვეტლივ უტევდნენ აცტეკებს, თუმცა მათ ცხენებს პირამიდის ქვის ფილებზე ფეხი უსრიალდებოდათ და ეცემოდნენ. ესპანელები იერიშზე ქვეითად წამოვიდნენ. მათ აუარებელი აცტეკი მოკლეს და ქვედა კიბის პირველ საფეხურამდე მოაღწიეს, მაგრამ ზევით მთელი ხვეული ასასვლელი, ყველა შვერილი და თეოკალის მწვერვალი - მთლიანად აცტეკებს ეკავათ. შეძლებდენ ესპანელები ასეთ მასაში გზის გაკაფვას? ეს

ხომ თითქმის შეუძლებელი იყო! და მაინც, როცა ეს გავიფიქრე, იმედის რაღაც ნაპერწკალი ჩამესახა. ესპანელებმა ტაძარი თუ აიღეს, მსხვერპლშეწირვა ხომ ვეღარ შედგება! შუადღემდე მსხვერპლშეწირვას ვერ გაბედავენ (ასე უთხრეს ოთომის). მაშასადამე, წინ კიდევ ორი საათია; თუ ამ ორ საათში ესპანელებმა აცტეკებს სძლიეს, გადავრჩები, თუ არა და, სიკვდილი არ ამცდება-მეთქი, გავიფიქრე.

ტესკატლი პოკის ტაძრიდან გამოყვანისას სახტად დავრჩი, როცა პრინცესა ოთომი დავინახე, ანუ, როგორც მას ახლა უწოდებდნენ, ქალღმერთი ატლა. ჩემს ოთხ ცოლთაგან იგი უკანასკნელი გამომეთხოვა ტაძრის შესასვლელთან, მაგრამ წასვლის ნაცვლად, ზევით ამოსულა, ახლა ქურუმებს შორის იდგა და მათ რაღაცას ედავებოდა. ხმაურის გამო ვერაფერი გავიგონე, მხოლოდ შევატყვე მან რაღაცაში დაარწმუნა ქურუმები. ისინი შემკრთალნი ჩანდნენ და ამავე დროს, თვალები სიხარულით უბრწყინავდათ. მათ ქედი მოიხარეს პრინცესას წინაშე. ოთომი დინჯად მობრუნდა და ჩემკენ წამოვიდა. ამ მძიმე წუთებშიც კი არ შემეძლო, არ მოვხიბლულიყავი მისი მედიდურ-მეფური ნაბიჯებით. მოახლოებულ პრინცესას პირდაპირ შევხედე. მისი ჩაფიქრებული სახე თავდადების ღრმა შინაგანი ცეცხლით იყო განათებული და ბედნიერიც ჩანდა, თითქოს საყვარელი არსების ჩასახუტებლად მიეშურებაო.

- რატომ არ წახვედი, ოთომი? - შევეკითხე მას. - უკვე გვიანია: ესპანელები გარშემოერტყნენ თეოკალს. ახლა რომ წახვიდე ან მოგკლავენ, ან დაგატყვევებენ.

- რაც იქნება, იქნება! - მოკლედ მი პასუხა და ორივემ ბრძოლის ველს უხმოდ გადავხედეთ.

იერიში სულ უფრო და უფრო სასტიკი ხდებოდა. აცტეკი მეომრები იცავდნენ თავიანთი ღმერთების საკურთხევლებს და თავს არ ზოგავდნენ. მოედნის გარშემო შეკრებილი ხალხი ბრძოლას სულგანაბული აკვირდებოდა. აცტეკები შეუპოვრად იბრძოდნენ, შიშველი ხელებით თავს ესხმოდნენ მტერს და ცდილობდნენ, ისინი თეოკალიდან გადაეყარათ. მაგრამ მიუხედავად აცტეკთა მთელი სიმამაცისა, ისინი თანდათან უკან იხევდნენ და ესპანელები ნაბიჯ-ნაბიჯ მოიწევდნენ თეოკალის მწვერვალისკენ. ისინი საკუთარი სიცოცხლის, ღირსებისა და სულის გადასარჩენად იბრძოდნენ, რადგან ესმოდათ, რომ დამარცხების შემთხვევაში მათ საკურთხევლებზე სიკვდილი არ ასცდებოდათ.

ასე გავიდა ერთი საათი. ესპანელებმა უკვე თეოკალის შუამდე მოაღწიეს. შემზარავი ხმაური სულ უფრო ძლიერდებოდა. დამპყრობლები ყიჟინით მოუწოდებდნენ თავიანთ წმინდანებს დახმარებისკენ; აცტეკები მათ ველური გოდებით პასუხობდნენ, ქურუმები ღმერთებს ევედრებოდნენ და ყვირილით მეომრების გამხნევებას ცდილობდნენ, ზევით კი ნახევრად შიშველი ქურუმი ისეთი გაშმაგებით ურტყამდა გველის ტყავგადაკრულ უზარმაზარ დოლს, რომ მისი მრისხანე გუგუნი არკებუზებისა და ქვემეხების გრიალს ფარავდა. ამ დროს მე და ოთომი სამსხვერპლო ქვის ახლოს, ქურუმების გარემოცვაში ვიდექით. ქვის ზევით, განსაკუთრებულ ღრმულებში ჩადგმულ ოთხ ბოძს შორის, გაჭიმული იყო შავი ქსოვილის დიდი ნაჭერი, რომელსაც შუაში ექვსდიუმიანი დიამეტრის ოქროს ძაბრი ჰქონდა დამაგრებული. მასში შემოჭრილი მზის სხივები ვაშლისოდენა ბრჭყვიალა ლაქად ეცემოდა შავი ნაჭრით დაჩრდილულ სივრცეს. რაც უფრო

მაღლა იწევდა მზე, სინათლის ეს ლაქა ადგილს იცვლიდა, ბოლოს კი სამსხვერპლო ქვის კიდეც გააშუქა.

ამის დანახვაზე უზენაესმა ქურუმმა ნიშანი მისცა და მეც ხელი მტაცეს; ტანსაცმელი შემომაგლიჯეს, მოხატულ სხეულზე აღარაფერი დამრჩა, გარდა თეძოსახვევისა. ჩემი აღსასრულის საათი დადგა. უცნაურია, მაგრამ სიმხნევე ვიგრძენი. მიხაროდა, რომ ჩემი მწამებლებისგან მალე გავთავისუფლდებოდი!

- მშვიდობით, ოთომი! - მკაფიო ხმით წარმოვთქვი მისკენ შებრუნებულმა და უცებ, ენა ჩამივარდა: მწვალებლები ახლა ოთომის აშიშვლებდნენ! ერთ წამში მის შიშველ სხეულს გრძელი თმის ტალღები, თეძოებს კი ბამბის მოქარგული ქსოვილის ნაჭერი ფარავდა.

- ნუ გიკვირს, თეულო, - მითხრა მან, - შენი ცოლი ვარ და ეს ქვა იქნება ჩვენი პირველი და უკანასკნელი საქორწინო სარეცელი. თუმცა არ გიყვარვარ, მაგრამ დღეს შენს გვერდით მოვკვდები. ამის უფლება მაქვს! ვერ შევძელი შენი გადარჩენა, სამაგიეროდ, შემიძლია შენთან ერთად სიკვდილი.

განცვიფრებისგან დავმუნჯდი და სანამ ისევ ხმის ამოღებას მოვახერხებდი, ქურუმებმა წამაქციეს. ჩემს ცხოვრებაში მეორედ აღმოვჩნდი შეჩვენებულ სამსხვერპლოზე! იმავე წამში ესპანელ მეომართა კიდევ უფრო გაშმაგებული ხმები მომესმა, რაც სამსხვერპლოზე მათ ამოსვლას მოწმობდა.

როგორც კი სამსხვერპლოზე დამდეს, ოთომი მყისვე ჩემ გვერდით გაჩნდა. იგი თითქმის მეკვროდა, რადგან მე ქვის შუაში უნდა ვწოლილიყავი და მისთვის ადგილი თითქმის აღარ დარჩა. მსხვერპლშეწირვის რიტუალის დრო ჯერ კიდევ არ იყო. ქურუმებმა თოკებით მიგვაბეს თეოკალის სახურავში ჩამაგრე-

ბულ სპილენძის რგოლებზე და ბრძოლის საყურებლად მიბრუნ-დნენ.

რამდენიმე წუთს ჩუმად ვიწექით. ჩემში გაკვირვებისა და მის-დამი მადლიერების გრძნობა უსაზღვროდ იზრდებოდა: გაკვირ-ვებისა - ამ ქალის გამბედაობის გამო და მადლიერებისა, ასეთი დიდი სიყვარულისთვის. ამ საოცარმა ფაქტმა რაღაც აქამდე ჩემთვის უცნობი სიხარული მომანიჭა. ვიგრძენი, რომ ჩემთვის არავინ იყო ამ კეთილშობილ ქალზე უფრო ძვირფასი და ახლო-ბელი, თვით ჩემი საცოლეც კი! ცრემლები თქრიალით მომ-დიოდა და მისკენ მივბრუნდი.

მთელი ძალ-ღონის დაძაბვით, რამდენადაც ამას თოკი მანე-ბებდა, შევეცადე მარცხენა გვერდზე გადავბრუნებულიყავი. მისი გრძელი თმა სამსხვერპლო საკურთხევლიდან ქვის ფილებზე ეფინა, სახე კი ჩემკენ ჰქონდა მოპყრობილი. ისე ახლოს ვიწე-ქით, რომ ჩვენი ბაგეები თითქმის ერთმანეთს ეხებოდა.

- ოთომი, - ჩავჩურჩულე მე. - ოთომი, გესმის? მიყვარხარ!

მას თოკით შებოჭილი გულ-მკერდი აუთრთოლდა და სახე აეტკიცა.

- ბედნიერი ვარ, - მი პასუხა მან და ჩვენი ბაგენი შეერთდნენ. დიახ, ერთმანეთს სამსხვერპლო ქვაზე, ქურუმის დანის ქვეშ ვა-კოცეთ, როცა ორივეს სიკვდილის აჩრდილი დაგვტრიალებდა. სიყვარულის ამგვარი სცენა იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს და პირადად მე არც არასდროს არავისგან მსმენია!

- ახლა ბედნიერი ვარ, - გაიმეორა ოთომიმ. - ასეთი წამის-თვის მზად ვარ, ათჯერ მოვკვდე და ვევედრები ღმერთს, გამო-მიგზავნოს სიკვდილი უფრო ადრე, ვიდრე ამ სიტყვებს უკან წაიღებ, რადგან მგონია, რომ მხოლოდ ჩემმა თავდადებამ მო-გილბო გული.

- ნუ მეუბნები ამას! - ძლივს ვუპასუხე, რადგან ასეთ წამშიც კი ლილი გამახსენდა. - ჩემი გულისთვის სიცოცხლე გაწირე, ამიტომაც მიყვარხარ!

- ჩემი სიცოცხლე არაფერს ნიშნავს, შენი სიყვარული კი ჩემთვის ყველაფერია, - ღიმილით ჩაილაპარაკა ოთომიმ. - აჰ, თეულო, რა იდუმალი ძალაა შენში?! შენ შეძელი, რომ მე, მონტესუმას ასული, საკუთარი ნებით დავწოლილიყავი შენს გვერდით, ჩვენი ღმერთების საკურთხეველზე?! სხვანაირი სარეცელი მე არც მინდა...

22

ამ დროს ესპანელები უკვე პირამიდის მწვერვალზე ამოვიდნენ. არასოდეს მინახავს ასეთი ულმობელი შერკინება. განწირული აცტეკები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ესპანელი მოეკლათ, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად. აცტეკთა პრიმიტიული იარაღი ხშირად სრულიად უძლური იყო მტრის ფოლადის საჭურვლის წინააღმდეგ, მაგრამ მათ კიდევ დარჩათ ერთი გამოსავალი - ესპანელები ზედა მოედნიდან გადაეყარათ. ისინი სწორედ ასე იქცეოდნენ.

მოწინააღმდეგენი დამოუკიდებელ ჯგუფებად გაიყვნენ და ხან ერთმანეთს ესხმოდნენ თავს, ხან უკან იხევდნენ, ხან კიდევ თავს იყრიდნენ ზედ უფსკრულის პირას, საიდანაც დროდადრო ათი-ოცი კაცი ძირს ვარდებოდა. ბრძოლაში ზოგიერთი ქურუმიც ჩაერთო. დავინახე, ერთი ზორბა ტანის ქურუმი როგორ შემოეჭდო ესპანელ ჯარისკაცს და მასთან ერთად ძირს გადავარდა. ბრძოლა უკვე სამსხვერპლო ქვასთანაც მიმდინარეობდა.

ორას ორმოცდაათამდე აცტეკი და რამდენიმე ქურუმი ცოცხალ კედლად აღიმართნენ ჩვენ გარშემო. ამასობაში მზის ულმობელმა სხივმა ჩემს მოხატულ სხეულს დაანათა; თითქოს გავარვარებული რკინა დამადეს, მაგრამ არ შემეძლო მზის შეჩერება, როგორც ოდესღაც მოიქცა იესუ ნაველი ელონის ხევში.- ხუთი ქურუმი მაშინვე ჩამებღაუჭა ხელებში, ფეხებსა და თავზე, უზენაესმა ქურუმმა ორივე ხელით აიღო ობსიდიანის დანა. ცივმა ოფლმა დამასხა და თვალები დავხუჭე. ამ დროს უზენაესმა ვარსკვლავთმრიცხველმა, ველური შესახედაობის კაცმა, რომელიც, როგორც შევნიშნე, ოდნავ მოშორებით იდგა, მკვლელი შეაჩერა: - ტესკატლი პოკას ქურუმო, ჯერ კიდევ არ არის დრო! თუ უფრო ადრე ჩაარტყამ დანას, ვიდრე მზე გაბრწყინდება მსხვერპლის მკერდზე, დაიღუპებიან ანაუაკის ღმერთები და დაიღუპება თვით ანაუაკიც!

უზენაესმა ქურუმმა ბრაზისგან კბილები გააკრაჭუნა, სინათლის მცოცავ ლაქას დააცქერდა და მერე მებრძოლებისკენ მიიხედა. ირგვლივ მეომართა რკალი ნელ-ნელა იკუმშებოდა და ასევე ნელ-ნელა ოქროს სხივი ჩემს მკერდზე ადგილს იცვლიდა. ქურუმმა კვლავ აიღო თავისი საშინელი დანა, მე ხელახლა დავხუჭე თვალები და ისევ გავიგონე ვარსკვლავთმრიცხველის გამაფრთხილებელი ღაღადი: - ჯერ კიდევ არ არის დრო! შეჩერდი, თორემ შენი ღმერთები დაიღუპებიან!

სწორედ ამ დროს ოთომიმ ხმამაღლა დაიყვირა: - გვიხსენით, თეულებო! გვიხსენით, გვკლავენ!

- ჩემკენ, მეგობრებო! ეს ქოფაკები ვიღაცას კლავენ სამსხვერპლოზე! - დაიყვირა ვიღაც ესპანელმა კასტილიურ კილოზე, რასაც მაშინვე მოჰყვა მძლავრი იერიში, რომელმაც უკუაგ-

დო აცტეკი მეომრები და ისე გადმოაყირავა უზენაესი ქურუმი, რომ იგი ჩემს გარდიგარდმო გაიშხლართა.

ასეთი შეტევა კიდევ განმეორდა ზღვის ზვირთცემის მსგავსად და ყოველ შეტევაზე თხელდებოდა სამსხვერპლოს დამცველთა რკალი, რომელიც მალე სულ დაიშალა და ყველა მხრიდან გამოჩნდა ესპანელთა მოელვარე მახვილები. ამასობაში მზის სხივი უკვე დამეცა გულზე მოხაზული წრის შუაში.

- ჩაარტყი დანა ტესკატლი პოკას, ქურუმო! ჩაარტყი, შენი ღმერთების სადიდებლად! - დაიღრიალა ვარსკვლავთმრიცხველმა.

ქურუმმა შემზარავი ღმუილით აიქნია დანა. დავინახე, როგორ გაბრწყინდა დანის პირი ზედ ჩემს გულზე. მოულოდნელად ფოლადის დაშნამ გაიელვა და ჯალათს პირდაპირ გულში შეერჭო. ობსიდიანის უშველებელი დანა ქურუმს ხელიდან გაუვარდა. იგი ჩემსა და ოთომის შუა, სამსხვერპლოზე, დავარდა და ორივე მსუბუქად დავიჭერით.

როგორც სიზმარში, ისე მესმოდა ვარსკვლავთმრიცხველის საცოდავი ხმა, რომელიც ანაუაკის ღმერთების დაღუპვის გამო მოთქვამდა: - დაემხო ქურუმი და მისი ყველა ღმერთიც დაემხო! ტესკატლი პოკამ არ მიიღო მსხვერპლი და ახლა განწირულია! დაიღუპნენ ანაუაკის ღმერთები და გაიმარჯვეს მოსულთა ჯარებმა!

მალე წინასწარმეტყველიც მოკლეს.

ვიღაცის ღონიერმა ხელმა ჩვენზე დავარდნილი მომაკვდავი ქურუმი გადააგდო. იგი საკურთხევლისკენ გაგორდა და მისმა სიმძიმემ თუ სისხლმა ჩააქრო ის ცეცხლი, რომელიც ათწლეულების მანძილზე გიზგიზებდა. მალე ვიღაცამ

თოკები შემოგვაჭრა. სამსხვერპლო ქვაზე წამოვიწიე, აქეთ--იქით ველურივით გავიხედ-გამოვიხედე და უცებ ყური მოვკარი, როგორ უთხრა ერთ-ერთმა ესპანელმა თავისიანებს, ერთი წამიც რომ დამეგვიანებინა, ამ საწყლებს ბოლო მოეღებოდათ. ის ველური ამ ჯეელს ჩემი თავისოდენა ნახვრეტს გაუკეთებდა. გოგონას, არა უშავს რა, კაცი თუ კარგად დაბანს. გეფიცებით ყველა წმინდანს, მას უსათუოდ გამოვთხოვ კორტესს! ის ჩემი ნადავლია!

ეს ხმა მეცნო. დედამიწაზე მხოლოდ ერთ კაცს ჰქონდა ასეთი ცივი ტემბრი და იგი ახლაც კი ვიცანი, სამსხვერპლო ქვაზე. როცა ძირს ჩამოვხტი, თავი ავწიე და აბჯარასხმული ჩემი ძველი მტერი ხუან დე გარსია დავინახე. მისმა მახვილმა განგმირა ქურუმი, მან გადამარჩინა სიკვდილს. რა თქმა უნდა, გარსიას ეს რომ სცოდნოდა, იგი დაშნას საკუთარ გულში უფრო ჩაიცემდა, ვიდრე ჩემს ჯალათს მოკლავდა.

ყველაფერი ეს სიზმარი ხომ არ არის? - გავიფიქრე და უნებლიეთ წამოვიყვირე: - დე გარსია!

გაიგონა თუ არა ჩემი ხმა, იგი ტყვიანაკრავივით შეკრთა, მოიხედა და თვალები მოიფშვნიტა. ახლა იმანაც მიცნო, მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად მოხატული ვიყავი.

- ჰოი, ღვთისმშობელო! - ჩაიხიხინა მან. - შეჩვენებული თომას ვინგფილდი!

და მე თვითონ გადავარჩინე იგი სიკვდილს?!

მხოლოდ მაშინ მოვედი გონს და მივხვდი, რომ შეცდომა დავუშვი. გაქცევა მოვინდომე, მაგრამ დე გარსია არ აპირებდა თავისი მსხვერპლის ხელიდან გაშვებას. მან მახვილი იძრო და

მხეცური ღმუილით უკან დამედევნა. მთელი სისწრაფით დავრბოდი სამსხვერპლო ქვის გარშემო და ვცდილობდი, მისი გაშიშვლებული იარაღი ამეცდინა. გარსია მიზანს მალე მიაღწევდა, რადგან დასუსტებული ვიყავი და თოკებისგან ფეხები მქონდა გასიებული. საბედნიეროდ, ვიღაც ოფიცერმა (საჭურველსა და მბრძანებლურ ტონზე ეტყობოდა, რომ იგი კორტესი იყო) უკანასკნელ წამს დე გარსიას ჩემკენ მოქნეული მახვილი გადაუგდო.

- რა მოგივიდათ, სარსედა? - უთხრა მან. - თქვენ რა, მთლად გაგაგიჟათ სისხლმა და ქურუმივით მსხვერპლშეწირვას აპირებთ? დაანებეთ თავი მაგ საბრალო კაცს!

- ის ინდიელი კი არა, ინგლისელი ჯაშუშია! - შესძახა დე გარსიამ და მახვილი ისევ მოიმარჯვა.

- ჰო, ცხადია, იგი ნამდვილად გაგიჟდა, - ჩაილაპარაკა კორტესმა და მე გადმომხედა. - საიდან მოგივიდა თავში, რომ ეს საწყალი არსება ინგლისელია?! ჰეი, თქვენ, მოუსვით აქედან! წადით! - გვიბრძანა მან მე და ოთომის, დარწმუნებულმა, რომ ესპანური ენა არ მესმოდა, თან მახვილი ააქნია.

ცოფმორეული დე გარსია კვლავ შეეცადა, თავს დამსხმოდა, მაგრამ კორტესმა მრისხანედ შეუყვირა: - შეჩერდი, ღვთის გულისთვის! ასეთ რამეს არ მოვითმენ! ჩვენ აქ მოვედით, როგორც ქრისტიანები, მსხვერპლთა გადასარჩენად, და არა - მათ დასახოცად! აქეთკენ, მეგობრებო! დაიჭირეთ ეს ბრიყვი, რომ ამ მკვლელობით სული არ წაიწყმიდოს!

რამდენიმე ესპანელმა ხელი სტაცა დე გარსიას, რომელმაც მათ გინება დაუ წყო, რადგან, როგორც უკვე ვთქვი, გააფთრებისას იგი უფრო მეტად მხეცს ჰგავდა, ვიდრე ადამიანს. დაბნეულმა არ ვიცოდი, საით გავქცეულიყავი. საბედნიეროდ, ჩემ გვერ-

დით ოთომი აღმოჩნდა, რომელიც იმ მომენტში ჩემზე უფრო სწრაფად აზროვნებდა.

- ჩქარა გავიქცეთ! - ჩამჩურჩულა მან და სამსხვერპლოს მომაცილა.

- სად უნდა გავიქცეთ? არ სჯობს, ესპანელებს მივენდოთ? - შევეკითხე მე.

- ვის მივენდოთ, ამ მახვილიან ეშმაკს?! - წამოიძახა მან. - არა! გაჩუმდი და მომყევი!

მან ხელი ჩამკიდა. ესპანელები ყველგან გზას გვაძლევდნენ და ერთგვარი თანაგრძნობითაც გვიყურებდნენ. უცებ ერთ-ერთი ტლასკალანელი გამოხტა კეტით, მაგრამ ესპანელმა ჯარისკაცმა მას მხარი გაუხვრიტა და გასისხლიანებული არამზადა მოკირწყლულ ბაქანზე გაგორდა.

თეოკალის კიდესთან რომ მივედი და უკან მოვიხედე, დე გარსია უკვე აღარ იყო სამსხვერპლო ქვასთან; იგი ახლა ჩვენგან ორმოცდაათ იარდზე მოგვდევდა. მე და ოთომი მთელი სისწრაფით დავეშვით კიბეზე, სადაც დროდადრო წავბორძიკდებოდით ხოლმე დახოცილ ქურუმთა გვამებზე, რომლებსაც ესპანელები თეოკალის მწვერვალიდან ყრიდნენ. ბოლოს, ერთხელ კიდევ მივიხედე და დავინახე, რომ დე გარსია ძალიან ჩამოგვრჩა. იგი, შესაძლოა, დაიღალა, მაგრამ უფრო სარწმუნოა, რომ შეეშინდა, დაბლა ჩამოსვლისას ხელში არ ჩავარდნოდა აცტეკ მეომრებს, რომლებიც ჯერ კიდევ ირეოდნენ პირამიდის ძირში.

იმ დღეს, ვიდრე დროებით სიმშვიდეს მოვი პოვებდით, მე და პრინცესა ოთომი კიდევ ერთ საშინელებას გადავურჩით. როდესაც თეოკალის ძირამდე ჩავაღწიეთ, ზევიდან უცებ მეხის გრუხუნისებრი ხმაური მოისმა - თეოკალიდან უზარმაზარი ლოდი მოგორავდა. ეს ესპანელების მიერ კვარცხლბეკიდან ჩამოგდებუ-

ლი ღმერთ ტესკატლი პოკას ქანდაკება იყო! ბოროტი სულის შურისძიების მსგავსად, ქანდაკება პირდაპირ ჩემკენ მოექანებოდა! ერთი წამიც და მარმარილოს კერპი გაგვსრესდა. გაქცევა გვიანღა იყო და სიკვდილი გარდაუვალი ჩანდა. ნუთუ, მხოლოდ იმიტომ გადავურჩით მსხვერპლად შეწირვას, რომ მისმა ქანდაკებამ მტვრად გვაქციოს-მეთქი?! - გავიფიქრე.

კერპი ესპანელთა საზეიმო ყიჟინის თანხლებით გვიახლოვდებოდა. საბედნიეროდ, იგი ჩვენგან სამიოდე ნაბიჯზე დავარდა. ვიგრძენი, როგორ შეზანზარდა თეოკალის სქელი კედელი და იმწამსვე ჰაერი მისი ნამსხვრევების წვიმამ დააბნელა. ყველა მხრიდან გაიზუზუნა უშველებელმა ქვებმა. ტესკატლი პოკას ქანდაკება ნატეხ-ნატეხ მიმოიფანტა და ისრებივით გაიზუილა ჩვენს თავზე, მაგრამ არც ერთი არ მოგვხვედრია. ცრუღმერთი უძლური აღმოჩნდა მისგან თავდაღწეულ მსხვერპლთა წინაშე! მერე რა მოხდა, არ მახსოვს...

გონს მოვედი მხოლოდ ჩემს ოთახში, მონტესუმას სასახლეში. ოთომი ჩემთან იყო. მან წყალი მოიტანა, რათა ჩემთვის საღებავი და სისხლი მოებანა. მას საკუთარი თავი აღარ ახსოვდა; უპირველეს ყოვლისა, ჭრილობა ოსტატურად შემიხვია, ხოლო შემდეგ თეთრ, სუფთა სამოსელში გამოეწყო და მეც მიშოვა ტანსაცმელი და საჭმელი. ვაიძულე, ჩემთან ერთად მასაც ეჭამა. როცა დავნაყრდით, შევეცადე, გონება მომეკრიბა.

- როგორ მოვიქცეთ ახლა? - შევეკითხე ოთომის. - ქურუმები მოვლენ და ისევ წაგვათრევენ შესაწირად. აქ არაფრის იმედი არ უნდა გვქონდეს; უნდა მივენდოთ ესპანელებს და გავიქცეთ მათთან.

- გჯერა, რომ ის მახვილიანი კაცი შეგიწყალებს? იცნობ მას, თეულო?

- სწორედ ის ესპანელია, რომელზედაც ბევრჯერ გიამბე. ოთომი, იგი ჩემი მოსისხლე მტერია, მისი გულისთვის გადმოვლახე ოკეანე.

- და ახლა შენი ბედი მას უნდა მიანდო? გონება ხომ არ გიბნელდება, თეულო!

- უმჯობესია, ქრისტიანების ხელში ჩავვარდე, ვიდრე, თქვენი ქურუმების!

- ნუ წუხხარ, ქურუმები ახლა საშიშნი აღარ არიან, - დამაწყნარა ოთომიმ.

- რაკი ერთხელ გაუსხლტი მათ, ხელს მეტად აღარ გახლებენ. დღემდე არავის დაუძვრენია თავი მათი ბრჭყალებისგან - ამისათვის კაცი ნამდვილი ჯადოქარი უნდა ყოფილიყო... ეტყობა, შენი ღმერთი მართლაც ძლიერი ყოფილა ჩვენს ღმერთებზე, რაკი გადაგვარჩინა. ეეჰ, თეულო, რა მიყავი ეს? იქამდე მივედი, რომ დავეჭვდი ჩვენს ღმერთებში და დახმარებისთვის მტრებს დავუძახე. დამიჯერე, საკუთარი თავისთვის ამას არასოდეს ჩავიდენდი.

- ამიერიდან ჩემი სიცოცხლე შენ გეკუთვნის... შენ ყველაზე ნაზი და გამბედავი ქალი ხარ დედამიწაზე! მიყვარხარ, ოთომი, ჩემო ცოლო! ჩვენი სისხლი ერთმანეთს შეერწყა და ჩვენი ბაგეები სამსხვერპლოზე შეერთდნენ. შეიძლება, დიდხანს ვერ ვიცოცხლო, მაგრამ სანამ სული მიდგას, შენი ვარ!

გრძნობამორეულმა, ძალაგამოლეულმა და ვაჟკაცობაშერყეულმა ოთომს ერთგულება შევფიცე; შიშმა და მარტოობამ დამტანჯა და ერთადერთი, რაც კიდევ შემრჩა, ეს იყო განგების იმედი და იმ ქალის სიყვარული, რომელმაც ამდენი რამ გააკეთა ჩემთვის. რა თქმა უნდა, ეს არ უნდა ჩამედინა, მაგრამ, ერთი მაჩვენეთ მამაკაცი, ვინც ჩემს ადგილას სხვაგვარად მოიქ-

ცეოდა! სხვა არა იყოს რა, არ შემეძლო, უკან წამეღო საბედისწერო სიტყვები, რომელიც სამსხვერპლოზე ვუთხარი. მაშინ მეგონა, ეს ჩემი უკანასკნელი დღე იყო და ახლა მასზე უარის თქმა, როცა სიკვდილი უკვე აღარ მემუქრებოდა, ნიშნავდა აღიარებას, რომ ლაჩარი ვიყავი. საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ჩემი ბედი მონტესუმას ასულს მივანდე და ან მისი ერთგული უნდა ვყოფილიყავი ან სამუდამოდ თავს შევირცხვენდი! ასე იყო საქმის რეალობა!

ოღონდ ოთომის კეთილშობილება იმდენად დიდი იყო, რომ ახლაც არ უნდოდა, სიტყვაზე დავეჭირე. მან სევდიანი ღიმილით გადამისვა თავზე ხელი და თქვა: - თეულო, ჯერ კიდევ არ ხარ გონზე; სულელი ვიქნებოდი, რომ ასეთი კავშირი შემეკრა ისეთ კაცთან, რომელმაც თვითონაც არ იცის, რას ამბობს. იქ, საკურთხეველზე, როდესაც სიკვდილის პირისპირ იდექი, მითხარი, მიყვარხარო. ვთქვათ, არ მატყუებ და ცოტათი კიდეც გიყვარვარ, მაგრამ სადღაც, ზღვებს იქით, არის მეორე ქალი, რომელიც ჩემზე მეტად გიყვარს. ყველაფერ ამას შემიძლია, შევურიგდე. ყველა მამაკაცთაგან შენ ერთი აგირჩიე და თუ ჩემ მიმართ, სხვა თუ არაფერი, გულკეთილი მაინც იქნები, მე გამათბობს შენი გულის მადლიანი სხივები. მაგრამ სინათლის შემდეგ, უკვე გამიჭირდება სიბნელეში ყოფნა. ვერ გამიგე? კარგი, გეტყვი, რა მაშინებს... ვშიშობ, რომ, როდესაც... როდესაც ჩვენ ცოლ-ქმარი გავხდებით, მალე მოგბეზრდები, როგორც ეს ხშირად მოსდით მამაკაცებს და წარსულის მოგონებანი თანდათან ისევ შეგიპყრობს. და მაშინ, ადრე თუ გვიან, გაემგზავრები სამშობლოში, შენს სატრფო სთან, მე კი მიმატოვებ, რასაც ვერ გავუძლებ. სჯობს, ისევ მეგობრებად დავრჩეთ. იცოდე, ჩემთან, იმპერატორ მონტესუმას ასულთან, არ შეიძლება ასე თამაში, როგორც რო-

მელიმე მოცეკვავე ქალთან, ერთი ღამის მეგობართან! ცოლად თუ შემირთავ, ჩვენი კავშირი სიცოცხლის ბოლომდე უნდა გაგრძელდეს. შენ ხომ არ ფიქრობდი ასეთ გრძელ ვადაზე? ჰო, არ ფიქრობდი... შენ ისე, უბრალოდ მაკოცე საკურთხეველზე, თუმცა, დაღვრილმა სისხლმა მართლაც შეგვაერთა.

ოთომიმ ჭრილობაზე დაიხედა და განაგრძო: - ახლა კი წავალ, თეულო! უნდა მოვნახო კუაუტემოკი, თუ კიდევ ცოცხალია, სხვა ჩემი ახლობლებიც. რაკი ქურუმების ძალაუფლებას ბოლო მოეღო, ისინი შეძლებენ შენს დაცვას. სანამ დავბრუნდები, იფიქრე ჩემს სიტყვებზე და საკითხის გადაწყვეტას ნუ იჩქარებ. ან, იქნებ გინდა, ერთბაშად მოათავო ეს საქმე და თეთრკანიანებთან გაიქცე? თუ ეს გინდა, ვეცდები დაგეხმარო!

- მომწყინდა ამდენი გაქცევ-გამოქცევა, - ვუპასუხე მე. - ამასთან, ნუ დაივიწყებ: ესპანელთა შორის იმყოფება ჩემი მტერი, რომლის მოკვლა დაფიცებული მაქვს. მისი მეგობრები ჩემი მტრები არიან, ჩემი მტრების მტრები კი - ჩემი მეგობრები. ოთომი, არსად ვაპირებ გაქცევას!

- აი, ახლა ბრძნულად ლაპარაკობ, - მითხრა მან. - თეულებთან რომ წახვიდე, ის კაცი აუცილებლად მოგკლავს. ეს კარგად ამოვიკითხე მის თვალებში. ახლა კი დაისვენე, მე ვიზრუნებ შენს უსაფრთხოებაზე, თუ საერთოდ კიდევ შეიძლება ლაპარაკი უსაფრთხოებაზე ამ სისხლით მორწყულ ქვეყანაში...

23

ლოგინზე შევდექი, ფიცრებს ჩავეჭიდე და, მიუხედავად იმისა, რომ ჭრილობა ძალიან მაწუხებდა, თავს ძალა დავატანე და მაღლა ჭუჭრუტანისკენ ავფოფხდი. დავინახე, რომ ესპანელები არ დაკმაყოფილებულიყვნენ დიდი თეოკალის აღებით და ღამით ასობით სახლისთვის წაეკიდებინათ ცეცხლი. მთელი ქალაქი წითლად იყო განათებული. შევამჩნიე, აგრეთვე, რომ აცტეკი მეომრებით შევიწროებული თეთრკანიანები ახლა თავიანთი სიმაგრეებისკენ იხევდნენ. ფანჯრიდან საწოლზე მოცელილივით დავეცი და ფიქრებმა გამიტაცა. როგორ მოვიქცე? - ვეკითხებოდი საკუთარ თავს, მივატოვო ოთომი და პირველი შემთხვევისთანავე ესპანელებთან გავიქცე? მაგრამ იქ ხომ დე გარსიას ხელიდან უეჭველი სიკვდილი მელის. დავრჩე აცტეკებთან, თუ ისინი თავშესაფარს მომცემენ?! მაშინ, ოთომი უნდა შევირთო. იყო კიდევ ერთი გამოსავალი: დავრჩენილიყავი აცტეკებთან, ხელი ამეღო პატიოსნებაზე, ჩემს სიტყვაზე და უარი მეთქვა პრინცესას შერთვაზე. ჩემთვის ერთი რამ ნათელი იყო: ოთომის თუ ცოლად შევირთავდი, უნდა დამევიწყებინა სამშობლო, ჩემი სატრფო და მათიანი გავმხდარიყავი. მართალია, ინგლისში დაბრუნების იმედი თითქმის დაკარგული მქონდა, მაგრამ, სანამ პირში სული მედგა და თავისუფალი ვიყავი, კიდევ შემეძლო, ამაზე მეოცნება. სულ სხვა საქმე იყო, თუ ოთომიზე დავქორწინდებოდი. მაშინ ყოველგვარ ოცნებაზე ხელი უნდა ამეღო და ლილი ბოზარდი სამუდამოდ დამეკარგა. მე ისედაც ვუღალატე მას!

მაგრამ, როგორ შემეძლო ხელი მეკრა ოთომისთვის, რომელმაც თავი შემომწირა და, სიმართლე გითხრათ, ისეთივე ძვირფასი გახდა ჩემთვის, როგორც - ლილი? არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ანგელოზი ან გმირი ი პოვიდა გამოსავალს ასეთი მდგომარეობიდან მე კი, ვაი რომ, არც ანგელოზი ვიყავი და არც გმირი, არამედ - ჩვეულებრივი ადამიანი, თავისი სუსტი მხარეებით. ოთომი ყველაზე მშვენიერ და ნაზ ქმნილებად მეჩვენებოდა და, რაც მთავარია იგი ჩემ გვერდით იყო.

სულიერად განადგურებულს ამგვარი ფიქრები მტანჯავდა და ვერც კი წარმომედგინა, რომ არჩევანი აღარ მქონდა, ჩემთვის ერთადერთი გზა არსებობდა; ან ამ გზას უნდა დავდგომოდი, ან თავი მომეკლა. დაე, ეს ფიქრები იყოს ჩემი პატიოსნების დამამტკიცებელი საბუთი. სიმართლის დამალვა რომ მდომოდა, არაფერს დავწერდი ჩემს მერყეობაზე, სუსტ მხარეებსა და სინდისის ქენჯნაზე. უნდა ვაღიარო, რომ შევირთე რა ოთომი, რეალურად, ამ საქმეში მე მხოლოდ სათამაშო ვიყავი ბედისწერის, რომელმაც სხვა გამოსავალი არ დამიტოვა. ოღონდ, მარტო ამის თქმა ნახევრად სიმართლის თქმას ნიშნავს. მთელი არსებით ვიტანჯებოდი და საქმე ჩემს დაუკითხავად რომ არ გადაეწყვიტათ, არ ვიცი, რით დამთავრდებოდა ეს სულიერი ბრძოლა.

დღეს, როცა ვუბრუნდები შორეულ წარსულს და, როგორც მიუკერძოებელი მსაჯული, ვიხილავ ჩემს მაშინდელ საქციელს, შემიძლია ვთქვა, მეტი დრო რომ მქონოდა მოფიქრებისთვის, კიდევ ვი პოვიდი ერთ საბუთს ოთომის სასარგებლოდ. დე გარსია იქვე იყო; ვაღიარებ, მისდამი სიძულვილი ჩემში ბევრად უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე - ამ ორი ქალის სიყვარული. მიუხედავად იმისა, რომ დე გარსიას სიკვდილის შემდეგ დიდი დრო გავიდა, იგი ახლაც წინანდებურად მძულს, რაც უნდა არაქ-

რისტიანულად ჩანდეს ეს. მაშინ კი მხოლოდ აცტეკებთან დარჩენით შემეძლო მას სადმე გადავყროდი და მომეკლა. ესპანელების ბანაკში მისვლაც რომ მომეხერხებინა, უეჭველი სიკვდილი მელოდა. დე გარსიას, ცხადია, ჩემზე უკვე შეთხზული ექნებოდა ისეთი ბრალდებები, რომ ესპანელები მაშინვე ჩამომახრჩობდნენ, როგორც ინგლისელ ჯაშუშს.

ამ ფიქრებში ვიყავი, როცა ოთახში კუაუტემოკი შემოვიდა ჩირაღდნით ხელში; იგი პირდაპირ ბრძოლის ველიდან მოდიოდა. მას მუზარადზე ფრთები შემოგლეჯოდა, ოქროს ჯაჭ-კურტაკი ესპანელების მახვილით ჰქონდა დაჩეხილი და კისრიდან სისხლი სდიოდა.

- სალამი შენ, თეულო, - წარმოთქვა მან. - აღარ მეგონა, კიდევ ცოცხალს თუ გნახავდი! მეც ძლივს გადავრჩი. ახლა ტენოჩტიტლანში ისეთი რამ ხდება, რასაც წინათ კაცი ვერც კი წარმოიდგენდა. მაგრამ, დროს ტყუილუბრალოდ ნუ დავკარგავთ; მოვედი, რათა საბჭოს სხდომაზე წაგიყვანო!

- რას მი პირებენ? ნუთუ ისევ სამსხვერპლო ქვაზე უნდა წამათრიონ? - შევეკითხე მე.

- არა, ამის ნუ გეშინია. მაგრამ, რას გადაწყვეტენ იქ, თვითონაც არ ვიცი. ერთ საათში ან მოკვდები ან ამაღლდები, თუკი საერთოდ შეიძლება ლაპარაკი ამაღლებაზე ამ საყოველთაო შერცხვენის დღეებში. ოთომიმ ბევრი რამ გაა კეთა. მან მითხრა, თეულის შესახებ ბელადებსა და მრჩევლებს უკვე ველაპარაკეო. ბევრ რამეს მას უნდა უმადლოდე, მხოლოდ ერთეულ ქალს შეუძლია ასეთი სიყვარული! რაც შემეხება მე, სხვა საქმეებით ვიყავი დაკავებული, - უფლისწულმა თავის შემოგლეჯილ საჭურველზე დაიხედა, - მაგრამ საბჭოზე მეც ვიტყვი ჩემს აზრს. ახლა

კი წავიდეთ, მეგობარო, თორემ ჩირაღდანი ქრება. დღეს ორივემ ბევრი ტანჯვა გამოვიარეთ.

კუაუტემოკთან ერთად შევედი სწორედ იმ დარბაზში, სადაც ჯერ კიდევ დილას ყველა თაყვანს მცემდა, როგორც ღმერთ ტესკატლი პოკას. ახლა კი მე ვიყავი უბრალო ტყვე, რომლის ბედი უნდა გადაეწყვიტათ.

ამაღლებულ ადგილას, სადაც სულ ცოტა ხნის წინ ჩემს ღვთაებრივ სამოსელში ვიდექი, ნახევარწრედ იდგნენ ცოცხლად დარჩენილი ბელადები და მრჩევლები. ზოგი, კუაუტემოკის მსგავსად, საჭურველასხმულნი იყო, ზოგი ტრადიციულ სამოსში, მხოლოდ ერთს ეცვა ქურუმის სამოსელი. ყველას ორი რამ ჰქონდა საერთო - დიდგვაროვნება და პირქუში სახე. მათი შეკრების მიზანი არა ჩემი ბედის გადაწყვეტა, არამედ მომავალი ბრძოლის წარმართვა იყო.

ამაღლებულ ადგილას, ნახევარწრის ცენტრში, იჯდა ერთი საჭურვლიანი კაცი. მაშინვე ვიცანი კუიტლაუაკი, ვინც მონტესუმას სიკვდილის შემდეგ იმპერატორი უნდა გამხდარიყო. როცა დარბაზში შევედი, მან შემომხედა და თქვა: - ვინ მოიყვანე ეს, კუაუტემოკ? ჰოო, მახსოვს, მახსოვს! ეს ხომ ის თეულია, რომელიც ღმერთი ტესკატლი პოკა იყო და დღეს მსხვერპლად შეწირვას გადაურჩა! მისმინეთ, ბელადებო! რა ვუყოთ ამ კაცს? კანონიერი იქნება თუ არა, მისი ხელახლა სამსხვერპლოზე გაყვანა?

- არ იქნება კანონიერი, - გამოეხმაურა ქურუმი. - სამწუხაროდ, ეს ეწინააღმდეგება ადათს, უკეთილშობილესო უფლისწულო! იგი უკვე იდო სამსხვერპლო ქვაზე, დაიჭრა კიდეც წმინდა დანით, მაგრამ საბედისწერო წუთებში ღმერთმა უარყო ის. თუ გსურთ, მოკალით ეს თეული, ოღონდ არა - საკურთხეველზე.

- როგორ გადავწყვიტოთ? - ისევ შეეკითხა კუიტლაუაკი დანარჩენებს, - იგი სისხლით თეულია, მაშასადამე, ჩვენი მტერია! მთავარია, არ მოახერხოს ამ წყეულ თეთრ ეშმაკებთან გაქცევა და არ ამცნოს მათ ჩვენი დანაკლისის ამბავი. ხომ არ სჯობს, მოვკლათ?

ბევრმა თანხმობის ნიშნად თავი დახარა, საბჭოს სხვა წევრები კი დუმდნენ.

- გადაწყვიტეთ! - გაიმეორა კუიტლაუკმა. - დრო არ იცდის! ათასების სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია. ერთხელ კიდევ გეკითხებით: უნდა მოკვდეს თუ არა?

მაშინ კუაუტემოკი ადგა და წარმოთქვა: - მაპატიე, კეთილშობილო მამა, ვფიქრობ, უფრო მომგებიანია, სიცოცხლე შევუნარჩუნოთ ამ ტყვეს. მას კარგად ვიცნობ; ის მამაცი და პატიოსანი კაცია, ნახევრად თეულია. მასში სხვა თეთრი ტომის სისხლი ჩქეფს, რომელსაც ისევე სძულს თეულები, როგორც ჩვენ. გარდა ამისა, მან იცის ჩვენი მტრების ზნე-ჩვეულება, იცის, როგორ იბრძვიან ისინი, ჩვენ კი გვაკლია ეს ცოდნა. დარწმუნებული ვარ, ამ გაჭირვებაში თავისი საქმიანი რჩევით დაგვეხმარება.

- მგელმა ირემს ურჩია და მისგან მარტო რქები დარჩა, - ცივად შენიშნა კუიტლაუაკმა. - მისი რჩევა-დარიგება მტრის ხახაში ჩაგვაგდებს. ვინ იქნება თავდები, რომ ეს უცხოელი არ გვიღალატებს, მას რომ ვენდოთ?

- ჩემი სიცოცხლით ვაგებ პასუხს! - წამოიძახა კუაუტემოკმა.

- შენი სიცოცხლე ძალიან ბევრია ასეთ თამაშში, ყველა თეთრკანიანი მატყუარაა! თვითონაც რომ მოგვცეს სიტყვა, იგი თითქმის არაფერი ეღირება. ჩემი აზრით, უმჯობესია, მოვკლათ.

- ეს კაცი, - ისევ დაიწყო კუაუტემოკმა, - მონტესუმას ასულის, ოთომის ტომთა პრინცესას და შენი ძმისწულის ქმარია. მას ისე

ძლიერ უყვარს ეს თეული, რომ გადაწყვიტა, მასთან ერთად მომკვდარიყო სამსხვერპლოზე. მჯერა, ისიც დაუდგება მას თავდებად. ნება მომეცით, დავუძახო პრინცესას, დაე თვითონ თქვას!..

- როგორც გინდა. ოღონდ, შეყვარებული ქალი ბრმაა, რა თქმა უნდა, თეულმა ალბათ უკვე მოასწრო მისი მოტყუება. გარდა ამისა, ის მისი ცოლი გახდა მხოლოდ საღმრთო წესების თანახმად. მაგრამ დაე, ყველაფერი საბჭომ გადაწყვიტოს.

- მოვუსმინოთ პრინცესა ოთომის? - შეეკითხა კუიტლაუაკი საბჭოს წევრებს. ზოგიერთმა თქვა „არა“, ხოლო უმრავლესობამ, რომლებიც ოთომიმ გადმოიბირა, დადებითად უპასუხა და საბჭოს ერთ-ერთი წევრი პრინცესას დასაძახებლად წავიდა.

სამეფო სამოსელში გამოწყობილი პრინცესა გარეგნულად დამშვიდებული ჩანდა. მან საბჭოს წინაშე ქედი მოიხარა.

- გვინდა შეგეკითხოთ, პრინცესა, რა ვუყოთ ამ თეულს? - მიმართა მას კუიტლაუაკმა. - მოვკლათ თუ, ერთგულებაზე ფიცის დადების შემთხვევაში, ჩვენიანად მივიღოთ? პრინცი კუაუტემოკი მას თავდებად უდგება და განაცხადა, თითქოს შენც თანახმა ხარ, იგივე იკისრო. მაგრამ ქალს ეს შეუძლია გააკეთოს ერთი პირობით - ცოლად გაჰყვეს იმას, ვისაც თავდებად დაუდგება. შენ უკვე დაკავშირებული ხარ ამ უცხოელთან საღმრთო წესით. თანახმა ხარ თუ არა, მისი ცოლი გახდე ჩვენი ქვეყნის ადათის მიხედვით და შენი სიცოცხლე მის სიცოცხლეს დაუკავშირო?

- თანახმა ვარ, თუ ისიც თანახმა იქნება, - წყნარად უპასუხა ოთომიმ.

- დიდი პატივი არ იქნება ეს ამ თეთრი ძაღლისთვის? - გაბრაზდა კუიტლაუაკი - მოიფიქრე, ძმისწულო! შენ ოთომის ტომთა პრინცესა და ჩვენი იმპერატორის ქალიშვილი ხარ. ყველას

იმედი გვქონდა, ჩვენს მხარეზე გადმოიბირებდი ოთომის მთიელთა ტომებს, რომლებიც ახლა დაკავშირებულნი არიან ტლასკალანელებთან, თეულების ამ შეჩვენებულ მონებთან. შენი სიცოცხლე მეტად ძვირი გვიღირს, რომ ის უცხოელს მივანდოთ. მხოლოდ იცოდე, ოთომი, თუ მან გვიღალატა, სიკვდილისგან შენი დიდგვაროვნებაც ვერ გიხსნის!

- ვიცი, - კვლავ მშვიდად უპასუხა ოთომიმ. - მიყვარს ეს კაცი და მის მაგივრად პასუხს ვაგებ საკუთარი სისხლით. მასთან ერთად მინდოდა წავსულიყავი ჩემს ტომთან და ოთომის ხალხისთვის მისი მოვალეობა მეცნობებინა. მაგრამ ახლა თვითონ თქვას, რას ფიქრობს: იქნებ, არ უნდა ჩემი შერთვა...

კუიტლაუაკმა პირქუშად გაიღიმა და ჩაილაპარაკა: - ჩემო ძმისწულო, როდესაც კაცმა არჩევანი უნდა გააკეთოს სიკვდილის ბრჭყალებსა და ულამაზესი ქალის სიყვარულს შორის, პასუხის გამოცნობა ძნელი არ უნდა იყოს. რაკი ასეა, ახლა შენ თქვი, თეულო, ოღონდ ჩქარა!

- მე არ დაგაყოვნებთ, ბატონებო, პრინცესა თუ თანახმაა ჩემს ცოლობაზე, მეც თანახმა ვარ, მისი ქმარი გავხდე, - ვუპასუხე მას.

გაიგონა თუ არა ჩემი სიტყვები, ოთომი თვალებში მომაშტერდა და ჩუმად მკითხა: - გახსოვს, თეულო, რაც ვილაპარაკეთ? იცოდე, ამ ქორწინებით უარს ამბობ საკუთარ წარსულზე და შენს მომავალს მე მაბარებ.

- მახსოვს, - ვუპასუხე მე და თვალწინ წარმომიდგა ლილი, ისეთი, როგორიც უკანასკნელად ვნახე, განშორების დღეს. მე კი ასე გავტეხე ჩემი პირობა.

კუიტლაუაკმა ისე შემომხედა, თითქოს უნდოდა, ჩემს გულში ჩაეხედა.

მან თქვა: - მომისმინე, თეულო! შენ, ჩამოსულმა თეთრკანიანმა, კეთილი ინებე და დათანხმდი, ცოლად შეირთო პრინცესა ოთომი, რათა მისი შემწეობით გახდე ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე წარჩინებული ბელადი. მაგრამ მითხარი, შეიძლება, გენდოთ? თუ მოგვატყუებ, შენი ცოლი მოკვდება! ან, იქნებ, ეს შენთვის არაფერს ნიშნავს?

- მზად ვარ, ერთგულება შემოგფიცოთ! - ვუთხარი, - ესპანელები მძულს, ვინაიდან მათთან არის ჩემი მოსისხლე მტერი, რომელსაც გუშინ ჩემი მოკვლა უნდოდა. იმისთვის, რომ მასზე მეძია შური, ოკეანე გადმოვლახე. მეტი სათქმელი არაფერი მაქვს. თუ ჩემი არ გჯერათ, უმჯობესია, საქმე ერთბაშად მოვათავოთ. თქვენი ხალხისგან იმდენი ტანჯვა გადავიტანე, რომ ახლა ჩემთვის სულ ერთია - სიკვდილიც და სიცოცხლეც.

- გაბედულად ლაპარაკობ, თეულო! გადაწყვიტეთ, ბელადებო: მივცეთ იგი ქმრად ოთომის, ფიცს თუ დადებს და ერთ-ერთი ჩვენი კაცი გახდება, თუ აქვე, ადგილზე მოვკლათ? თქვენ უკვე ყველაფერი იცით. თუ იგი სანდოა, როგორც ამას კუაუტემოკი და ოთომი ამბობენ, მაშინ მთელ ჯარად ეღირება, რადგან იცის ღმერთების მიერ ჩვენზე წარმოგზავნილი ამ თეთრი ეშმაკების ენა, ზნეჩვეულება, იარაღი და სამხედრო ხერხი. თუ მასზე დანდობით მოვტყუვდებით - მისი ტომის ხალხზე დანდობა კი ძნელია - მას შეუძლია მრავალი უბედურება მოგვიტანოს: ადრე თუ გვიან, იგი გაიქცევა თეულებთან და გაუმჟღავნებს მათ ყველაფერს - ჩვენი საბჭოს, ჩვენი ძალებისა და სუსტი მხარეების საიდუმლოებას. გადაწყვიტეთ, ბელადებო, მისი ბედ-იღბალი!

საბჭოს წევრები ერთმანეთს შეეკამათნენ - ზოგი ერთს ამბობდა, ზოგიც მეორეს. ჩანდა, რომ მათ შორის ერთსულოვნება არ იყო. ბოლოს, კუიტლაუაკს მოსწყინდა ეს დაუსრულებელი

კამათი და დამსწრეებს მოუწოდა, საკითხი ხმის უმრავლესობით გადაეწყვიტათ. პირველად ხელი ასწიეს იმათ, რომლებიც ჩემი მოკვლის მომხრენი იყვნენ, მერე იმათ, ვინც ფიქრობდა, რომ უმჯობესი იყო, ცოცხლად დავეტოვებინე. საბჭოს სხდომას სულ ოცდაექვსი წევრი ესწრებოდა. ხმები შუაზე გაიყო.

- ეტყობა, ჩემი ხმა გადამწყვეტი იქნება, -წარმოთქვა კუიტ-ლაუაკმა, როცა ყველაფერი ნათელი გახდა. მის სიტყვებზე მთელ ტანში ჟრუანტელმა დამიარა, რადგან ვიცოდი, იგი არ დამზოგავდა, მაგრამ აქ ისევ ოთომი ალაპარაკდა: - მაპატიე, ბი-ძაჩემო, - დაიწყო მან, - ვიდრე გადაწვეტილებას მიიღებდე, გთხოვ, მომისმინო! მე თქვენ ხომ გჭირდებით? ოთომის ხალხს მხოლოდ ჩემი სჯერა და ჩემ გარდა, არავის შეუძლია მისი გად-მობირება თქვენს მხარეზე. დედაჩემი ოთომის ბელადთა ძველი მოდგმის უკანასკნელი წარმომადგენელი იყო, მე მისი ერთა-დერთი ქალიშვილი ვარ, მამაჩემი კი იმპერატორია. თუ ჩემი სი-ცოცხლე არაფერია, სამაგიეროდ, ჩემი სახელი ცოტა რამეს მა-ინც ნიშნავს, ვინაიდან მხოლოდ მე შემიძლია თქვენს დროშებ-ქვეშ ოცდაათი ათასი მეომარი გამოვიყვანო. დიდი თეოკალის ქურუმებმაც იცოდნენ ეს. როცა ჩემთვის მონიჭებული უფლების ძალით, თეულის გვერდით სამსხვერპლოზე დავწექი, ისინი ამის წინააღმდეგი იყვნენ. ახლა მისმინე, მბრძანებელო! მისმინეთ თქვენც, ბელადებო! თუ გსურთ, მოკალით ეს კაცი, ოღონდ გაფ-რთხილებთ, მაშინ დავასრულებ, რაც გუშინ დავიწყე, მე მას საფლავში ჩავყვები! თქვენ კი სხვა ვინმე მონახეთ, აჯანყებული ოთომის ტომების დასაშოშმინებლად!

ოთომი გაჩუმდა. გაკვირვებულმა შეკრებილებმა ერთმანეთ-ში ჩურჩული დაიწყეს. არავის ეგონა, თუ შეყვარებული ქალი ამ-

დენ გამბედაობას გამოიჩენდა. მხოლოდ კუიტლაუაკი გააცოფა ოთომის სიტყვებმა.

- მოღალატევ! - დაიყვირა მან. - შენ საყვარელი არჩიე სამშობლოს! როგორ გაბედე! სირცხვილი შენ, იმპერატორის უნამუსო ასულო! გეტყობათ, თქვენ ეს სისხლში გაქვთ. როგორიც მამაა, ისეთივეა ქალიშვილიც! განა მონტესუმამ არ მიატოვა თავისი ხალხი და არ ამჯობინა თეულების, კეცალკოატლის ცრუშვილებს შორის დარჩენა?! ახლა შენც იმავე გზით მიდიხარ! აღიარე, როგორ გადაურჩი თეოკალზე სიკვდილს, როცა სხვები დაიღუპნენ! იქნებ, უკვე შეთქმული ხარ თეულებთან? ჩვენი საქმეები რომ სხვაგვარად მიდიოდეს, ამ კაცთან ერთად მოკვდებოდი... შენ ხომ ეს გინდა? ეს გინდა ხომ?..

კუიტლაუაკს ბრაზისგან ენა ჩაუვარდა და თვალებიდანაც ნაპერწკლები გადმოყარა. მაგრამ ოთომი არ შედრკა. ფერწასული და თავდახრილი პრინცესა მშვიდად იდგა ბიძამისის წინაშე.

- ნუ მძრახავ ჩემი უსაზღვრო სიყვარულისთვის, - უპასუხა მან. - თუმცა დამძრახე, თუ გინდა; მე ვთქვი ჩემი უკანასკნელი სიტყვა. თუ ამ კაცს სიკვდილს მიუსჯი, მაშინ მოგიწევთ სხვა ელჩის მონახვა, მბრძანებელო, რომელიც აიძულებს ოთომის ტომებს, ანაუაკის დასაცავად იბრძოლონ.

ჩაფიქრებულმა კუიტლაუაკმა წვერები მოიჩქმიტა და თვალები სივრცეს მიაპყრო. დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ცოტა ხნის შემდეგ მან წარმოთქვა: - დაე ასე იყოს! ქვეყანას სჭირდება ჩემი ძმისწული ოთომი. ქალის სიყვარულის წინააღმდეგ ბრძოლა უგუნურებაა. თეულო, გვიჩუქებია შენთვის სიცოცხლე, მასთან ერთად გაძლევთ სიმდიდრეს, ღირსებას, ჩვენი ქვეყნის ყველაზე მაღალგვაროვან ქალსა და ადგილს ჩვენს საბჭოში. მიიღე ყველაფერი ეს, ოღონდ მოიფიქრეთ, - ამას ორივეს

გეუბნებით, - როგორ მოიხმაროთ ასეთი წყალობა. თუ გაგვცემ, თუნდაც მხოლოდ განიზრახავ ჩვენს ღალატს, გეფიცები, მოკვდები ისეთი ნელი და საშინელი სიკვდილით, რომ მის წარმოდგენაზეც გული გაგისკდება. შენთან ერთად მოკვდება ყველა - შენი ცოლი, შვილები და მსახურები,. ხომ გაიგე?! ამით დავამთავროთ ყველაფერი. ახლა ერთგულება შემოგვფიცე, თეულო.

ვუსმენდი მას და გული ამოვარდნას მქონდა. თვალები დამებინდა. ერთხელ კიდევ დავაღწიე თავი თითქმის გარდაუვალ სიკვდილს. როცა გონზე მოვედი, ოთომი სევდიანი ღიმილით შემომყურებდა.

მალე ქურუმი მომიახლოვდა - უცნაურად მოჩუქურთმებული ხის ფიალითა და კაჟის დანით ხელში. მან მკლავი გამიშიშვლა და კაჟით დამისერა, ისე, რომ სისხლი ფიალაში ჩაიქცა, მერე რაღაც ლოცვების ბუტბუტით იქიდან რამდენიმე წვეთი ძირს გადაასხა. ამის შემდეგ ქურუმმა კუიტლაუაკს კითხვის თვალებით შეხედა. მან ნაძალადევი ღიმილით უთხრა: - აკურთხე იგი პრინცესა ოთომის სისხლით, ის ხომ მას თავდებად დაუდგა.

- ეგ არ არის საჭირო, მბრძანებელო! - შეეპასუხა კუაუტემოკი. - მათი სისხლი უკვე შეერია ერთმანეთს სამსხვერპლოზე და, გარდა ამისა, ისინი ცოლ-ქმარი არიან. თუ მაინცდამაინც სისხლია საჭირო, თეულის თავდები, როგორც იცით, მეც ვიყავი, ამიტომ სისხლს მე მოგცემთ.

- ამ თეულს კარგი მეგობრები ჰყოლია, - ჩაილაპარაკა კუიტლაუაკმა.

- უფლისწულო, მას მეტისმეტ პატივს სდებ! რას იზამ, დაე, შენებურად იყოს! კუაუტემოკი წინ გამოვიდა. ქურუმმა მისი მკლავიდან სისხლის აღება დააპირა, მაგრამ უფლისწულმა შეაჩერა და შეახედა კისრის ჭრილობაზე. ქურუმმა სახვევი გადაუწია,

რამდენიმე წვეთი სისხლი მეორე პატარა ფიალაში შეაგროვა, შიგ თითი ჩააწო და შუბლზე ჯვარი გამომისახა, როგორც მონათვლისას ქრისტიანი მღვდელი აკეთებს ხოლმე.

- ჩვენი ღმერთის წინაშე, - ნელა დაილაპარაკა მან, - ყველგანმყოფი და ყოვლისმხილველი ღმერთის სახელით, აღგნიშნავ შენ ამ სისხლით. დაე, იყოს იგი შენი! ჩვენი ღმერთის წინაშე, ყველგანმყოფი და ყოვლისმხილველი ღმერთის სახელით, ვაქცევ შენს სისხლს მიწაზე!

მან ჩემი სისხლის ნაწილი გადააქცია და განაგრძო: - როგორც ეს სისხლი გაქრა მიწაში, დაე, ასევე გაქრეს და დავიწყებას მიეცეს შენი წარსული ცხოვრება, ვინაიდან, ხელახლა დაიბადე ანაუაკის ხალხში! ჩვენი ღმერთის წინაშე, ყველგანმყოფი და ყოვლისმხილველი ღმერთის სახელით ვურევ სისხლს სისხლში, - ქურუმმა ერთმანეთში აურია ორივე ფიალის სისხლი, თითი ჩააწო ფიალაში და ენის წვერზე მომისვა.

- ახლა გაიმეორე ფიცი, - მითხრა მან.

„მე, თეული, ვფიცავ, ერთგული ვიყო ანაუაკის ხალხისა და მისი კანონიერი მმართველებისა; ვფიცავ, ვებრძოლო ყველა მის მტერს მათ სრულ გაჟლეტამდე, განსაკუთრებით თეულებს, სანამ ყველას ზღვაში არ გადავყრით; ვფიცავ, არ განვარისხო ანაუაკის ღმერთები; ვფიცავ, სიკვდილამდე ერთგული ქმარი ვიყო ოთომის, ოთომის ტომთა პრინცესის, მონტესუმას ასულისა! ვფიცავ, ამ ქვეყნიდან არ გავიქცევი; ვფიცავ, იმ ქვეყნის გამო, რომელიც ჩემი ახალი სამშობლო გახდა, დავივიწყო დედ-მამა და ის მიწა-წყალი, სადაც დავიბადე! დაე, ჩემი ფიცი დაურღვეველი იყოს, სანამ პოპოკატეპეტლის ვულკანიდან იტყორცნება ცეცხლი, სანამ ჩვენი ბელადები იმეფებენ ტენოჩტიტლანში, სა-

ნამ ჩვენი ქურუმები განაგრძობენ მსხვერპლშეწირვას ღმერთების საკურთხევლებზე და სანამ იარსებებს ანაუაკის ხალხი“!

ბევრი რამ ამ ფიციდან არ მომწონდა, მაგრამ გამოსავალი არ მქონდა. საყურადღებოა, რომ იმ ღამიდან თხუთმეტი წელიც არ გასულა, რომ პოპოკატეპეტლიდან კვამლისა და ცეცხლის ამოტყორცნა შეწყდა, ტენოჩტიტლანში აღარ დარჩა არც ერთი აცტეკი ბელადი, ქურუმებმა თავი დაანებეს მსხვერპლშეწირვას ღმერთების საკურთხევლებზე, მოისპო ანაუაკის სახელმწიფო და, მაშასადამე, ჩემს ფიცსაც დაეკარგა ყოველგვარი ძალა!

ფიცის დადების შემდეგ კუაუტემოკი მომეხვია: - მოგესალმები შენ, თეულო, სისხლითა და ხორცით ჩემო ძმაო! ახლა ერთ--ერთი ჩვენგანი ხარ და შენგან დახმარებასა და რჩევა--დარიგებას ველით. დაჯექი ჩემ გვერდით.

მე უნდობლად შევხედე კუაუტემოკს, მაგრამ მან ალერსიანი ღიმილით მიპასუხა: - თეულო, შენი ბედი გადაწყვეტილია; ჩვენ მიგიღეთ, შენ კი ერთგულებისა და ძმობის დიდი ფიცი მოგვეცი. მისი დარღვევა ნიშნავს იმას, რომ საშინელი სიკვდილით დაიღუპები და საიქიოშიც ტანჯვა მოგელის. დაივიწყე ყველაფერი, რაც აქამდე ითქვა. თუ ეჭვის საბაბს არ მოგვცემ, შეგიძლია, დარწმუნებული იყო ჩვენს ერთგულებაში. ამიერიდან, როგორც ოთომის ქმარი, ბელადთა ბელადი ხარ, დაჯილდოებული სიმდიდრით, ძალაუფლებით და ნება გაქვს, დაჯდე ჩვენს საბჭოში შენი ძმის, კუაუტემოკის გვერდით.

მე დავიკავე მითითებული ადგილი და ოთომი დარბაზიდან გავიდა. კუიტლაუაკი საჭირბოროტო სახელმწიფო საკითხებს დაუბრუნდა. იგი ნელა, ძლივსძლივობით ლაპარაკობდა და მწუხარებისგან ხშირად ხმა უწყდებოდა. მან გაიხსენა სამშობლოს თავზე დამტყდარი საშინელი უბედურება, ასობით მამაც აცტეკ-

თა დაღუპვა, ქურუმებისა და მეომრების გაჟლეტა დიდ თეოკალ-თან, ანაუაკის ღმერთების შებილწვა... მდგომარეობა საშინელი იყო.

- რა ვქნათ? - შეეკითხა საბჭოს წევრებს კუიტლაუაკი. - ტყვედ აყვანილი მონტესუმა თეულთა ბანაკში კვდება, ამ დროს ჩვენს ქვეყანას ნთქავს ცეცხლი, რომელიც მან თვითონ გააღვივა. ჩვე-ნი ყოველგვარი ცდა, დავამარცხოთ საშინელი იარაღით აღჭურ-ვილი ეს თერთკანიანი ეშმაკები, უშედეგოდ მთავრდება. თი-თოეულ დღეს ახალ-ახალი დამარცხება მოაქვს. რისი იმედი უნ-და გვქონდეს, როცა ჩვენი ღმერთები დამხობილია, როცა მათი საკურთხევლები მორწყულია ქურუმების სისხლით, როცა მისნე-ბი დუმან ან დაღუპვას გვიწინასწარმეტყველებენ?

ბელადები და ჯარის მეთაურები აზრის გამოსათქმელად რიგ-რიგობით დგებოდნენ. ბოლოს, კუიტლაუკმა მე შემომხედა და თქვა: - ჩვენს შორისაა საბჭოს ახალი წევრი, სამხედრო საქმეში გამოცდილი და თეთრკანიანების ზნე-ჩვეულებათა მცოდნე. მან გვითხრას რაიმე სანუგეშო!

მე ავდექი და შემდეგი სიტყვებით მივმართე მათ: - უკეთილ-შობილესო კუიტლაუაკ, ბელადებო და უფლისწულებო! თქვენ პატივი დამდეთ, რომ რჩევას მთხოვთ. ვეცდები, მოკლედ გი პა-სუხოთ! ამაოდ ხარჯავთ ძალებს, როცა რაზმებს გზავნით კედ-ლებისა და თეულთა იარაღის წინააღმდეგ. გამარჯვების მისაღ-წევად საჭიროა სხვაგვარი მოქმედება. ესპანელები ღმერთები არ არიან, როგორც უმეცრები ამბობენ; ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არიან და სხედან არა რაღაც დემონებზე, არამედ ჩვეულებრივ სასაპალნე ცხენებზე. იმ ქვეყანაში, სადაც მე დავი-ბადე, ამ ცხოველებს სხვადასხვა მიზნისთვის იყენებენ. ესპანე-ლები, როგორც უკვე ვთქვი, ჩვეულებრივი ადამიანები არიან;

განა ადამიანები არ განიცდიან შიმშილს და წყურვილს? განა მათ შეუძლიათ, გაძლონ უჭმელუსმელი? განა, მათი ამოჟლეტა არ შეიძლება ათასგვარი საშუალებით? ნუთუ ვერ ამჩნევთ, რომ ისინი ილაჯგაწყვეტილნი არიან? დაე, ეს იყოს ჩემი სანუგეშო სიტყვები. შეწყვიტეთ იერიშები და ისე მჭიდროდ გარშემოერტყით თეუ ლთა ბანაკს, რომ მათთან და მათ მოკავშირე ტლასკალანელებთან ერთი ნამცეცი საჭმელიც ვერ მოხვდეს. ათი დღეც არ გავა, რომ ისინი ან იარაღს დაყრიან, ან სანაპიროსკენ გაიჭრებიან. ამისთვის ისინი, პირველ ყოვლისა, ქალაქიდან უნდა გავიდნენ. თუ ყველა ჯებირზე ორმოებს გავაკეთებთ, თეულები ცუდ მდგომარეობაში ჩაცვივდებიან და როცა ოქროთი დატვირთულნი (რის საშოვნელადაც აქ მოვიდნენ) აქედან გაღწევას შეეცდებიან, მაშინ უნდა დავესხათ თავს და გავჟლიტოთ!

ჩემს სიტყვებს ყველა მოწონებით შეხვდა.

- ვატყობ, არ შევცდით, ამ კაცს სიცოცხლე რომ შევუნარჩუნეთ, - წარმოთქვა კუიტლაუაკმა, - მისი აზრი მომწონს. ვნანობ, რომ თავიდანვე არ მოვიქეცით ასე პირადად მე მზად ვარ, დავუჯერო მის რჩევას. თქვენ რას იტყვით, ბელადებო?

- ჩვენც შენთან ერთად ვამბობთ: მისი სიტყვები ბრძნულია, - უპასუხა კუაუტემოკმა. - ახლა საჭიროა, სიტყვა საქმედ ვაქციოთ.

საბჭოს სხდომა მალე დამთავრა. იმ დღეების მღელვარებამ ისევ მომთენთა, ცოცხალმკვდარმა ჩემი ოთახისკენ გავწიე. ღამე იწურებოდა და აღმოსავლეთის ცისკარი დამეხმარა, გზა გამეკვლია სასახლის უკაცრიელ გასასვლელებში. ბოლოს, როგორც იქნა, მივაღწიე ოთახამდე, რომლის შორეულ კუთხეში ქალი დავლანდე. გარედან შემოჭრილი სინათლის შუქი ციმციმებდა მის თოვლივით თეთრ სამოსელზე, გაშლილ შავ თმებსა და

სამკაულებზე. იგი ოთომი იყო. მისკენ წავედი. იგი ხელგამოწ-ვდილი შემომეგება, კისერზე მომეხვია და შუბლზე მაკოცა.

- აღსრულდა! - ჩაიჩურჩულა მან. - ოო, ჩემო ძვირფასო, ჩემო მბრძანებელო!

საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ახლა ჩვენ ერთნი ვართ, ვი-ნაიდან ფიცს ვერასდროს გავტეხთ.

- ჭეშმარიტად, ოთომი, ჩვენი ფიცი ურღვევია კუბოს კარამდე, თუმცა, ამის გამო, მეორე ფიცს ვუღალატე, - ვუპასუხე მას.

ამგვარად, მე, თომას ვინგფილდი, გავხდი ოთომის ტომთა პრინცესას, ანაუაკის იმპერატორ მონტესუმას ასულის, ოთომის ქმარი.

24

საღამოს ინდიელი მეომრის სამოსელში გამოვეწყვე და კუაუტემოკისა და სამხედრო მეთაურების თანხლებით კორტეს-თან წავედი მოსალაპარაკებლად. კორტესი მელაპარაკა სწო-რედ იმ კოშკიდან, სადაც მონტესუმა კუაუტემოკის ნასროლმა ისარმა დაჭრა. მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა. ამას ვი-გონებ მხოლოდ იმიტომ, რომ ტაბასკოდან წამოსვლის შემდეგ მარიანა ახლოდან პირველად მაშინ დავინახე და მისი ნაზი ხმაც გავიგონე. როგორც ყოველთვის, ის ახლაც კორტესის გვერდით იდგა და აცტეკებს მათი ახალი ბატონის დროებითი ზავის პირო-ბებს უთარგმნიდა. ერთ-ერთმა ამ პირობათაგანმა დამარწმუნა, რომ დე გარსიას ამაოდ არ დაუკარგავს დრო. კორტესმა განაც-ხადა: ტყვეობიდან გავათავისუფლებ რამდენიმე დიდგვაროვან აცტეკს, თუ მათ მაგივრად გადმომცემთ სამსხვერპლო ქვიდან

გაქცეულ თეთრკანიან კაცს, რომელმაც უღალატა ესპანეთს; მისი ჩამოხრჩობა გვინდა, როგორ ცჯაშუშისა და დეზერტირისო. „საინტერესოა, - გავიფიქრე, - იცის თუ არა მარიანამ, რომ ის „თეთრკანიანი კაცი“ მისი ძველი ტაბასკოელი მეგობარია-- მეთქი.”

- როგორც ხედავ, ბედმა გაგიმართლა, თეულო, - სიცილით მითხრა კუაუტემოკმა. - ჩვენი კაცი რომ არ გამხდარიყავი, შენი თანამოძმეები თოკით შეგხვდებოდნენ!

კორტესს უფლისწულმა უპასუხა, ოღონდ ისე, რომ ჩემი სახელი არც უხსენებია.

მან ურჩია ესპანელებს, სასიკვდილოდ მომზადებულიყვნენ.

- ბევრი ჩვენგანი დაიღუპა, მაგრამ თქვენც დაიღუპებით, - გასძახა კუაუტემოკმა. - თეულებო, თქვენ დაიხოცებით შიმშილითა და წყურვილით, ან ჩვენი ღმერთების საკურთხევლებზე! ვერ გადარჩებით, ვინაიდან ხიდები დანგრეულია! მრავალათასიანმა ბრბომ ერთხმად გაიმეორა: - ვერ გადარჩებით, თეულებო, ხიდები დანგრეულია!

ამ დროს ისრებმა გაიზუილა, მე კი სასახლეში დავბრუნდი, რათა ოთომისთვის მეთქვა ის, რისი გაგებაც მძევლად აყვანილ მის ორ ძმასა და მამაზე შევძელი. ესპანელთა სიტყვით, მონტესუმა სიკვდილის პირას იყო.

ოთომის დე გარსიას გაიძვერობაზეც მოვუყევი. მან მაკოცა და მითხრა: - როგორც ჩანს, ჩვენთან ყოფნა გაცილებით უკეთესია შენთვის, ვიდრე ესპანელთა ხელში ჩავარდნაო.

ორი დღის შემდეგ, ქალაქში ხმები გავრცელდა, მონტესუმა მოკვდაო. მალე ესპანელებმა მართლაც გადასცეს აცტეკებს დიდებულ სამეფო სამოსელში გახვეული მონტესუმას ცხედარი. იმპერატორი სასახლის დიდ დარბაზში დაასვენეს, იქიდან კი ღა-

მით ჩაპულტეპეკში წაიღეს და ცერემონიის გარეშე დაასაფლავეს, რადგან შეეშინდათ, გამძინვარებულ ბრბოს ნეშტი ნაკუწ--ნაკუწ არ დაეგლიჯა. მტირალი ოთომის გვერდით მდგომმა უკანასკნელად დავხედე უბედურ მონარქს, რომლის წარმატებული მეფობა ასე სამწუხაროდ დამთავრდა.

„ვისი ტანჯვა შეედრებოდა მისას?!- ვფიქრობდი მე, - იგი მოკვდა ძალაუფლებაჩამორთმეული და როგორც მოღალატე, რომელიც სძულდა საკუთარ ხალხს და ტყვეობაში დალია სული. გასაგებია, რატომაც იგლეჯდა მონტესუმა ჭრილობებიდან სახვევებს და არავის ანებებდა მკურნალობას; ყველაზე ღრმა იარა მას სულში ჰქონდა და მისი მორჩენა შეეძლო მხოლოდ ერთ წამალს - სიკვდილს. კაცმა რომ თქვას, მონტესუმა არც ისე დამნაშავე იყო! მშიშარა და ცრუმორწმუნე იგი კერპებმა გახადეს, რომლებსაც ის ღმერთებად თვლიდა და რომლებიც დღეს, თავიანთ ქურუმებთან ერთად, დამხობილი იყვნენ. მათ რომ არ შთაეგონებიათ მონტესუმასთვის ის უსაზღვრო შიში, ვინ იცის, იქნებ, ესპანელები ტენოჩტიტლანში ვერც შემოსულიყვნენ...

თვალცრემლიანმა ოთომიმ მიცვალებულს აკოცა და წამოიძახა: - კარგია, რომ მოკვდი, მამაჩემო, რადგან ვისაც უყვარდი, აღარ უნდოდა, დამცირებული და დამონებული ენახე! ვევედრები ღმერთებს, მომცენ ძალ-ღონე, შენს მაგიერ შური ვიძიო! თუ ღმერთები ამას არ გააკეთებენ, მაშინ ძალას თვითონ ვი პოვი საკუთარ თავში! გეფიცები, მამაჩემო, შურს ვიძიებ მტერზე!

უცებ დადუმდა, ხელი მომკიდა და ორივემ დავტოვეთ იქაურობა. ამ ფიცის ერთგული დარჩა იგი სიცოცხლის ბოლომდე.

იმ დღეს და მეორე დღესაც ესპანელები რამდენჯერმე გამოვიდნენ თავიანთი გამაგრებული ადგილებიდან, რათა ჯებირებთან ჩვენი ამოთხრილი ორმოები ამოევსოთ. მათ შეძლეს ეს, თუმცა ერთგვარი ზარალიც განიცადეს. მაგრამ როგორც კი უკან დაიხიეს, ჩვენ ისევ ამოვთხარეთ კიდევ უფრო ღრმა ორმოები, ასე რომ, მათი მცდელობა უნაყოფო გამოდგა.

იმ დღეებში პირველად ვმონაწილეობდი შეტაკებებში. ჩემმა ინგლისურმა მშვილდ-ისარმა კარგი სამსახური გამიწია. პირველი ისარი ჩემს მოსისხლე მტერს, დე გარსიას ვესროლე. სამწუხაროდ, ბედმა ისევ მიმტყუნა. არ ვიცი, ზედმეტი მღელვარებისგან თუ სროლას გადავეჩვიე, ძალიან მაღლა მომივიდა და ისრის სათიხარმა მხოლოდ რკინის მუზარადის წვერი გაუხვრიტა. იგი ოდნავ შეტორტმანდა უნაგირზე, ეს იყო და ეს. ამ მეტად მოკრძალებულმა წარმატებამაც კი არაჩვეულებრივად ამამაღლა აცტეკთა თვალში. ისინი ცუდი მშვილდოსნები იყვნენ და ამასთან, აქამდე არასოდეს ენახათ, რომ ისარს ესპანელის საჭურველი გაეხვრიტოს. ამას მეც ვერ შევძლებდი, ესპანელების არბალეტებისგან მძიმე ისრები და რკინის სათიხრები რომ არ გამეკეთებინა. როცა მანძილი დიდი არ იყო და მიზანი კარგად ჩანდა, ასეთი ისრისგან კაცს ვერავითარი ჯავშანი ვერ დაიცავდა.

პირველი ბრძოლის შემდეგ რაზმის უფროსად დამნიშნეს, რომელშიც სამი ათასი მშვილდოსანი შედიოდა. ახლა ჩემ წინ საბრძოლო ნიშანი მიჰქონდათ, თვითონ კი სამხედრო ბელადის მდიდრულ ტანსაცმელში ვიყავი გამოწყობილი, თუმცა ყველაზე მეტად მომწონდა აბჯარი, რომელიც მკვდარ ესპანელს გააძვრეს. იგი მრავალი წლის მანძილზე მეცვა დალიანდაგებული ბამბის ორმაგ ჯავშან-ქურთუკის ქვეშ და არაერთხელ გადამარჩინა სიკვდილს, მასში ხომ ტყვიაც კი ვერ ატანდა!

მშვილდოსნების უფროსად სულ ორი დღე ვიყავი, რაც ძალიან მცირე დრო იყო იმისთვის, რომ ჯარში დისცი პლინა დამენერგა, რაზეც წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, თუმცა, თითოეული მათგანი საკმაოდ მამაცი მეომარი იყო. მალე დადგა ბრძოლაში მათი ჩაბმის დროც. ამ ღამეს ესპანელები დღემდე „მწუხარების ღამეს“ უწოდებენ.

წინა დღეს, შებინდებისას, სასახლეში საბჭო შეიკრიბა. მე ვთქვი: - თეულები უეჭველად შეეცდებიან ქალაქიდან გასვლას და ამას, ალბათ, ღამით გააკეთებენ-მეთქი. კუიტლაუაკმა (მონტესუმას შემდეგ ის გახდა იმპერატორი, თუმცა, ჯერ კიდევ გვირგვინოსანი არ იყო), მი პასუხა: - ცხადია, თეულები გაქცევას აპირებენ, მაგრამ ვერ გაბედავენ ღამით გასვლას, რადგან ქუჩებისა და ჯებირების ლაბირინთებში გზას ვერ გაიკვლევენო.

მე შევეპასუხე: - აცტეკები არ არიან ჩვეულნი ღამით ბრძოლასა და ლაშქრობებს, თეთრკანიანი მეომრებისთვის კი ეს ჩვეულებრივი საქმეა. თქვენ თვითონ გქონდათ ბევრი შემთხვევა, ამაში დარწმუნებულიყავით. ესპანელებმა იციან, რომ აცტეკები ღამით არ იბრძვიან. სწორედ ამ იმავალი ჯებირის დაცვა მან მე და კუაუტემოკს მოგვანდო.

ღამით მე და კუაუტემოკი ჯებირზე საგუშაგოების შესამოწმებლად წავედით. შუაღამე ახლოვდებოდა. ჟინჟლავდა და სიბნელეში არაფერი ჩანდა. ძლივს ვი პოვეთ და შევცვალეთ დარაჯები, რომლებმაც გვითხრეს, ყველგან სიწყნარე იყოო. დიდი მოედნისკენ დაბრუნებისას უცებ გავიგონე ხმაური, რაც ასობით კაცის ფეხის ხმას ჰგავდა.

- დაუგდე ყური! - ჩავულაპარაკე კუაუტემოკს.

- თეულებია, - ჩურჩულით მი პასუხა მან. - ისინი მიდიან!

ჩვენ გავიქეცით იმ ქუჩისკენ, რომელიც დიდი მოედნიდან ჯებირზე გადიოდა. წვიმისა და სიბნელის მიუხედავად, ჯავშნების ბრჭყვიალი შევნიშნეთ.

- მოემზადეთ! - ვიყვირე. - თეულები ჯებირით ტლაკოპანისკენ მიემართებიან!

ბრძანებას გუშაგები სადარაჯოდან სადარაჯოზე გადასცემდნენ და მალე იგი მთელ ქალაქს მოედო. აღშფოთებული ქალაქი სწრაფად იღვიძებდა. ტბაზე ათიათასობით ნიჩაბი ახმაურდა. ყველგან - ხან აქ, ხან იქ, ენთებოდა და ქრებოდა ჩირაღდნები, ყოველი მხრიდან ნაღარების ველური ღმუილი და ზუმილების ხრინწიანი ხმა ისმოდა. თეოკალზე შემზარავად გუგუნებდა დოლი, რომელზეც გაშმაგებით უბრაგუნებდნენ ქურუმები. მალე ყრუ შფოთვა ღრიალად იქცა და აცტეკთა მრავალრიცხოვანი რაზმი ტლაკოპანის ჯებირებს მიადგა.

ამ დროს გამოჩნდნენ ესპანელებიც. ისინი დაახლოებით ათას ხუთას კაცამდე იქნებოდნენ. თეთრკანიანებს ექვსი-რვა ათასი ტლასკალანელი მოჰყვებოდა. თეულები ჯებირზე ავიდნენ და წაგრძელებულ მწკრივად გაიჭიმნენ.

კუაუტემოკი და მე გზადაგზა მტრის შესახვედრად მეომრებს ვკრებდით, შემდეგ კი წავედით პირველი არხისკენ, რომელიც ჯებირს კვეთდა. აქ უკვე იდგა ათობით ჩვენი ნავი. ამასობაში ესპანელთა კოლონის ავანგარდმა არხის მოპირდაპირე ნაპირამდე მოაღწია და ბრძოლა დაიწყო.

აცტეკები იბრძოდნენ არეულ-დარეულად, ყოველგვარი გეგმის გარეშე. მეთაურები სიბნელის გამო თავიანთ მეომრებს ვერ ხედავდნენ, მათი ბრძანებები კი არ ესმოდათ. მაგრამ აცტეკები მრავლად იყვნენ და, რაც მთავარია, თითოეული მათგანი შეეპყრო ერთ სურვილს: მოესპოთ თეულები!

იგრიალა ქვემეხმა და მის სინათლეზე დავინახეთ, რომ ესპანელები არხზე წინასწარ დამზადებულ ხიდს დებდნენ. ვეკვეთეთ მტერს და ყველაფერი ერთმანეთში აირია - თითოეული აცტეკი დამოუკიდებლად იბრძოდა.

ესპანელთა პირველმა იერიშმა, როგორც ქარბუქმა შემოდგომის ფოთლები, ისე მიფანტ-მოფანტა ჩემი და კუაუტემოკის მეომრები. იმ ღამეს ერთმანეთს აღარ შევხვედრივართ. ესპანელთა და ტლასკალანელთა გრძელი რიგები ფეხდაფეხ მოგვდევდა ჯებირზე. ამავე დროს, აცტეკთა სხვა რაზმები ისეთი თავგანწირვით იჭრებოდნენ მტრის კოლონის გვერდითა ფლანგებზე, თითქოს ჭიანჭველები დაჭრილ მატლს მიესივნენო.

იმ ღამეზე სათქმელი ბევრი არაფერი მაქვს, რადგან თავად ცოტა რამ ვნახე. ვიცი მხოლოდ, რომ ორი საათის განმავლობაში თავდაუზოგავად ვიბრძოდი.

მტერმა მოახერხა პირველ არხზე გადასვლა, მაგრამ მათმა სახელდახელო ხიდმა სიმძიმეს ვერ გაუძლო, ძირს ჩავარდა და ისე ჩაეფლო ლაფში, რომ ადგილიდან მისი დაძვრა შეუძლებელი გახდა. წინ კი, ექვსასი იარდის დაშორებით, ჯებირებს მეორე არხი კვეთდა, კიდევ უფრო ფართო და ღრმა, ვიდრე პირველი. მასზე გადასვლა ესპანელებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლოთ, თუ მთლიანად დახოცილებით ამოავსებდნენ.

გეგონებოდათ, რაც ავსულია ქვეყანაზე, ყველამ ერთბაშად აიწყვიტა და მიწის ამ ვიწრო ზოლზე აბობოქრდაო. ქვემეხების, ჯაზიარებისა და არკებუზების გრიალი, მომაკვდავთა კვნესა და გოდება, ესპანელ ჯარისკაცთა ძახილი და აცტეკთა საბრძოლო ყიჟინა, დაჭრილი ცხენების ჭიხვინი, ქალების ტირილი, ხელ--შუბების სტვენა, ისრების ზუილი და დარტყმების ყრუ ხმაური - ყველაფერი აირია ველურ, საზიზღარ და შემაძრწუნებელ კაკა-

ფონიაში. ესპანელთა გრძელი კოლონა გააფთრებული ჯოგივით ხან აქეთ, ხან იქით, ეხეთქებოდა. ბევრი მათგანი ჯებირიდან ვარდებოდა ტბაში, სადაც აცტეკები კლავდნენ ან ნავებში აგდებდნენ და ტაძრებში მსხვერპლშეწირვისთვის მიჰყავდათ. ზოგი თვითონ იხრჩობოდა, მაგრამ ყველაზე მეტი ესპანელი არხებზე გადასვლისას ტალახში გათელეს.

ამ ბრძოლაში ასობით აცტეკი დაეცა, უმთავრესად - თავიანთ თანამემამულეთა ხელიდან, რომლებიც სიბნელეში მტერ--მოყვარეს ვერ არჩევდნენ, არ ზოგავდნენ არავის და ისრებს ისროდნენ ისე, თითქოს მათთვის სულ ერთი იყო, ვის მოკლავდნენ.

ჩემს ირგვლივ შემოკრებილ მეომართა პატარა რაზმით გათენებამდე ვიბრძოდი. მზის პირველმა სხივებმა ხოცვა-ჟლეტის საშინელი სურათი გაანათა. ცოცხლადდარჩენილმა ესპანელებმა და მათმა მოკავშირე ტლასკალენელებმა მაინც მოახერხეს თანამებრძოლთა გვამებით, ქვემეხებით, აღჭურვილობის ნარჩენებითა და მოტაცებული განძეულობით ამოვსებულ მეორე არხზე გადასვლა. ბრძოლა ახლა არხის მეორე ნაპირზე მიმდინარეობდა. ესპანელთა და ტლასკალანელთა მცირე ნაწილი ჯერ კიდევ ცდილობდა, მეორე, საშინელი არხის გადალახვას. ჩემი მეომრებით სწორედ მათზე მივიტანე იერიში.

მტრის შუაგულში შევიჭერი და უცებ დე გარსიას მოვკარი თვალი. ერთი დავიყვირე და მისკენ გავქანდი. ამ ხმაზე იგი მობრუნდა და მაშინვე მიცნო. მან წყევლა-კრულვით მომიქნია თავზე თავისი მძიმე მახვილი, მაგრამ ფოლადმა ჩემს მუზარადს მხოლოდ ნაწილი წაატეხა და მსუბუქად დამჭრა. ვიდრე დავეცემოდი, მოვასწარი და დე გარსიას ისე მაგრად ვატაკე საბრძოლო კეტი მკერდში, რომ ისიც წაიქცა. ნახევრად გაბრუებული და

დაბრმავებული, ფორთხვით წავედი მისკენ. ამ საერთო ჭყლეტ-ვაში ვერაფერს ვამჩნევდი, ტალახში მოელვარე მისი აბჯრის გარდა. ესპანელს ყელში ჩავეჭიდე. ჯებირის კიდესთან მივათ-რიე და ორივე ტბაში გადავგორდით. ჯებირის ახლოს წყალი ღრმა არ იყო. მტერს ზურგზე მოვაჯექი და სიხარულით მოვიწ-მინდე სახეზე სისხლი, - ახლა მაინც უეჭველად გავუსწორებოდი.

ჩემს მტერს მთელი ტანი წყალში ჰქონდა და მარტო თავი ედო ჯებირის შვერილზე. კეტი დავკარგე, ამიტომ ერთადერთი გზა მისი დახრჩობა იყო.

- გაები მახეში, დე გარსია! - დავუყვირე ესპანურად და ხელე-ბი ყელში წავუჭირე.

- გამიშვი, თუ ღმერთი გწამს! - ჩაიხიხინა წყალში უხეშმა ხმამ. - ბრიყვო, შენ ალბათ ინდიელი ქოფაკი გეგონე.

განცვიფრებული დავაშტერდი მტერს. იგი უბრალო ესპანე-ლი ჯარისკაცი იყო.

- ვინ ხან შენ? - შევეკითხე მას და ყელში წაჭერილი ხელები ოდნავ მოვუშვი.

- სად გაქრა დე გარსია, ვისაც თქვენ სარსედას ეძახით?

- სარსედა? აბა, რა ვიცი! ერთი წუთის წინ, იგი პირაღმა ეგდო ჯებირზე. ის სულელი პირდაპირ ფეხებში ჩამიგორდა და წამაქ-ცია. გეუბნები, გამიშვი-მეთქი! არ ვარ სარსედა და რომც ვიყო, განა ახლა პირადი ანგარიშების გასწორების დროა? მე ბერნალ დიასი ვარ. ჰოი, ღვთისმშობელო! შენ ვინღა ხარ, ესპანურად მოლაპარაკე აცტეკი?!

- აცტეკი კი არა, ინგლისელი ვარ, - ვუპასუხე მას. - ვიბრძვი აცტეკების მხარეს მხოლოდ იმიტომ, რომ მოვკლა ის სარსედა, როგორც თქვენ მას უწოდებთ. შენთან სამტრო არაფერი მაქვს.

ადექი, ბერნალ დიას, თავს უშველე, თუ შეგიძლია. მხოლოდ შენს მახვილს მე დავიტოვებ.

- ინგლისელი ხარ, ესპანელი თუ ეშმაკის ფეხი, - ჩაიბუზღუნა წუმპედან ამოსულმა დიასმა, - ვინც არ უნდა იყო, კარგი ბიჭი ხარ და ვფიცავ, თუ დღეს გადავრჩი და ოდესმე ყელში წაგავლე ხელი, შენს პატივისცემას გავიხსენებ. მშვიდობით!

მან დამიტოვა მახვილი, მეტი აღარაფერი უთქვამს, ჯებირზე აცოცდა, რათა თავიასიანებს დაწეოდა. ჯერ დავაპირე, მას უკან გავყოლოდი და მომეძებნა დე გარსია, რომელიც ისევ დამიძვრა ხელიდან, მაგრამ ფეხზე ძლივს ვიდექი. ჭრილობიდან სისხლი მდიოდა და ღონემიხდილი წყალში ვიჯექი, სანამ ნავი არ მოვიდა და ოთომისთან არ წამიყვანა. იგი მივლიდა, ვიდრე ისევ შევძლებდი ფეხზე წამოდგომას.

ასეთი იყო „მწუხარების ღამე“. დასანანია, რომ ჩვენმა გამარჯვებამ ფუჭად ჩაიარა - მიუხედავად იმისა, რომ იმ ღამეს ხუთასზე მეტი ესპანელი და ათასობით ტლასკალანელი დაიღუპა; აცტეკებს არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ არც სამხედო ხელოვნებაზე და არც დისცი პლინაზე, ამიტომ თავიანთი უპირატესობა ვერ გამოიყენეს: იმის ნაცვლად, რომ დამარცხებულ ესპანელებს დადევნებოდნენ და ერთიანად გაეჟლიტათ, მათ ტბაში მოკლულების ძარცვა და ცოცხლების დაჭერა დაიწყეს, რათა თავიანთი ღმერთებისთვის მსხვერპლად შეეწირათ. ამ საშინელმა ღამემ ოთომისაც ბევრი მწუხარება მოუტანა. მისი ორი ძმა, რომლებიც მძევლებად ჰყავდათ ესპანელებს, დამპყრობელთა უკან დახევისას დაიღუპა. რაც შეეხება დე გარსიას, მისი ამბავი ვერ გავიგე.

25

ოთომი დიდი მზრუნველობით მივლიდა. უცნაური რამაა ქალის გული! იმის გამო, რომ გადავრჩი და ბრძოლაში თავიც ვისახელე, მას თითქოს დაავიწყდა საკუთარი მწუხარება, მამისა და ძმების სიკვდილი და გატაცებით მომიყვა კუიტლაუაკის მეფედ კურთხევის ამბავს.

აცტეკები სიხარულისგან კინაღამ გაგიჟდნენ. როგორც იქნა, თეულები განდევნეს! ყველამ დაივიწყა ათასობით მოკლული უბრალო მეომარი თუ დიდგვაროვანი, ერის საუკეთესო შვილები; ხალხი თითქოს აღარ ფიქრობდა მომავალზე. ყველა გარეთ გამოსულიყო, ახალგაზრდებს თავზე ყვავილების გვირგვინები დაედგათ და გაჰყვიროდნენ: - თეულები აღარ არიან! გაიხარეთ ჩვენთან ერთად! თეულები გაიქცნენ, გამხიარულდით, ხალხო! და ვაი, მის დღეს, ვინც არ გაიცინებდა, - მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა ამ ბრძოლაში უკანასკნელი მარჩენალი დაკარგა.

დიდ პირამიდაზე აღადგინეს ტაძრები და ღმერთების ქანდაკებები დადგეს. ესპანელების მიერ აღმართულ ქრისტეს ჯვარს კი აცტეკები ისევე მოექცნენ, როგორც მოსულები, თავის დროზე - უიცილოპჩტლისა და ტესკატლი პოკას კერპებს; ესე იგი, თეოკალიდან ძირს გადმოაგდეს და შესწირეს ტყვედ აყვანილი რამდენიმე ესპანელიც. ამ მკრეხელობის შესახებ კუაუტემოკმა მიამბო, სხვათა შორის, ყოველგვარი აღტაცების გარეშე.

მან ჩემგან ზოგი რამ უკვე იცოდა ქრისტიანობაზე და მიუხედავად იმისა, რომ წარმართობა ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი, გულის სიღრმეში მაინც ფიქრობდა, ქრისტიანთა

ღმერთი ჭეშმარიტი და ყოვლისშემძლეაო. გარდა ამისა, კუაუტემოკს, ისევე, როგორც ოთომის, ადამიანების მსხვერპლშეწირვა არ მოსწონდა, მაგრამ ამას ორივე გულმოდგინედ მალავდა, რადგან ქურუმების ძალაუფლებისა ეშინოდათ.

ამ ამბის მოსმენის შემდეგ ისე გავბრაზდი, რომ წინანდელი ფიცი უცებ გადამავიწყდა და წამოვიყვირე: - მისმინე, ძმაო კუაუტემოკ! შეგფიცეთ ერთგულება და დავუმოყვრდი თქვენს ხალხს; ახლა გეუბნები: ამიერიდან თქვენი საქმე წასულია! თქვენმა სისხლისმსმელმა კერპებმა და ქურუმებმა თავი თვითონ გასწირეს დასაღუპად. ისინი, რომლებიც თაყვანს სცემენ ჭეშმარიტ ღმერთს, ისევ დაბრუნდებიან ახალი ძალებით, შებილწულ ჯვარს კვლავ დადგამენ თქვენი კერპების ადგილას და მას უკვე ვერასოდეს ვერავინ დაამხობს!

სიტყვები, რომლებიც უბრალოდ, ბრაზმორეულმა წარმოთქვი, წინასწარმეტყველური აღმოჩნდა, - წარმართთა საკურთხევლების ადგილას ახლა ეკლესიებია აღმართული.

- გაფრთხილდი, ჩემო ძმაო, - მი პასუხა კუაუტემოკმა. უფლისწული გარეგნულად დამშვიდებული ჩანდა, მაგრამ შევატყვე, ჩემმა სიტყვებმა ააღელვა. - გიმეორებ, შენი სიტყვები ვინმემ რომ გაიგონოს, ისევ ჩაუვარდები ხელში ქურუმებს და მაშინ ვეღარაფერი გიხსნის: ვერც შენი მდგომარეობა, ვერც დამსახურება ბრძოლაში და საბჭოს წინაშე, ვერც გაქცევა სამსხვერპლო ქვიდან. ესეც რომ არ მოხდეს, რა დავუშავეთ ჩვენ ქრისტიანთა ღმერთს?! შენმა თეთრკანიანმა თანამორწმუნეებმაც ხომ შებილწეს და ბილწავენ ჩვენს ღმერთებს! მაგრამ დავანებოთ თავი ამას! ძმაო, გთხოვ, თუ ჩემი სიყვარული გაქვს, მეტს ნუღარ იწინასწარმეტყველებ, რათა უბედურება არ შეგემთხვეს. უკეთესია მითხრა, მართლა ფიქრობ, რომ თეულები დაბრუნდებიან?

- დიახ, კუაუტემოკ, ეს ისევე ცხადია, როგორც მზე ანათებს. კორტესი ხელში გყავდათ და გაუშვით. ამის შემდეგ მან შეძლო ოტუმბესთან ბრძოლის მოგება. ნუთუ გგონია, ასეთი კაცი ფარ-ხმალს დაყრის და სირცხვილნაჭამი უგზო-უკვლოდ დაიკარგება?! ერთი წელიც არ გაივლის, რომ ესპანელები ტენოჩტიტლანთან ისევ გამოჩნდებიან.

- ეტყობა, დღეს სანუგეშოს ვერაფერს მეტყვი, - ჩაილაპარაკა კუაუტემოკმა.

- ვშიშობ, რომ შენ მართალი ხარ. რას ვიზამთ, თუ კვლავ მოგვიხდება შებრძოლება მტერთან, ვეცდებით გავიმარჯვოთ. ყოველ შემთხვევაში, ახლა მონტესუმა აღარ გვყავს და არავინ ჩაიხუტებს გულში გველს და მის კბენას არ დაელოდება.

ეს თქვა და სევდიანმა იქაურობა დატოვა.

მეორე დღეს ლოგინიდან წამოდგომა შევძელი, ერთ კვირაში კი სავსებით გამოვჯანმრთელდი. კუაუტემოკმა ისევ მინახულა და მითხრა, იმპერატორმა კუიტლაუაკმა გვიბრძანა ისეთი მნიშვნელოვანი დავალების შესრულება, რაც აბსოლუტურ საიდუმლოებას მოითხოვსო. როცა გავიგე, რაზეც იყო ლაპარაკი, დავრწმუნდი, რამდენად მენდობოდნენ აცტეკთა ბელადები. საქმე ეხებოდა „მწუხარების ღამეს“ ესპანელებისთვის წართმეულ და იმპერიის საიდუმლო განძსა და უამრავ სხვა სიმდიდრეს.

მე და კუაუტემოკს ამ განძის საიმედოდ დამალვა მოგვანდეს.

როგორც კი დაღამდა, მე და კუაუტემოკი სხვა წარჩინებულ აცტეკებთან ერთად ნავსადგომში წავედით, სადაც გველოდა მძიმე საგნებით დატვირთული ათი ნავი, რომლებსაც ზევიდან ბამბის ქსოვილები ეფარა. უფლისწულის მეთაურობით სულ ოცდაათი კაცი ვიყავით. დაიმედებულნი, რომ არავინ გვხედავდა, ნავებში ჩავსხედით - თითოში სამ-სამი კაცი და ორი საათის გან-

მავლობაში ტესკოკოს ტბაში ნიჩბებს ვუსვამდით, სანამ არ მივადექით მოპირდაპირე ნაპირს, სადაც კუაუტემოკს დიდი მამულები ჰქონდა. აქ ხმელეთზე გადმოვედით და ჩვენს საიდუმლო ტვირთს საფარველები მოვაძრეთ.

ნავებში აღმოჩნდა ოქროთი, ძვირფასი ქვებით, საიუველირო სამკაულებით გავსებული თიხის დიდრონი ლარნაკები და ტომრები. გარდა ამისა, ფასეული საგნები, მათ შორის, ოქროსგან ჩამოსხმული მონტესუმას თავი, რაც ისეთი მძიმე იყო, რომ მე და კუაუტემოკმა ძლივს ავწიეთ. თიხის ლარნაკი, როგორც მახსოვს, სულ ჩვიდმეტი ცალი იყო და თითოეული ნიჩბებისგან გაკეთებული ორხელით ექვსმა კაცმა დიდი გაჭირვებით გადმოიტანა.

განძი თანდათან ბორცვზე ავზიდეთ და შვეული შახტის ჩასასვლელის ახლოს, ქვევიდან ამოყრილი მიწის გროვაზე დავალაგეთ. როდესაც ნავები დავცალეთ, კუაუტემოკმა ხელი მოგვკიდა მე და ერთ დიდგვაროვან აცტეკს, რომელსაც დედა ტლასკალანელი ჰყავდა, და შეგვეკითხა, ხომ არ ჩამოხვალთ ჩემთან ერთად შახტაში, განძის დაწყობაში რომ მომეხმაროთო.

- დიდი სიამოვნებით, - მაშინვე ვუპასუხე მე, რადგან მიწისქვეშეთის ნახვა მაინტერესებდა. აცტეკმა კი პასუხის გაცემა დააყოვნა, მაგრამ ბოლოს მაინც დაძლია ყოყმანი და, მისდა საუბედუროდ, შახტაში ჩასვლაზე დათანხმდა.

კუაუტემოკი ჩირაღდნებით ხელში დაბლა ჩაუშვეს. მერე ჩემი რიგი მოვიდა. როგორც ობობა აბლაბუდაზე, ისე ვეკიდე თოკზე და სულ ქვევით ჩავდიოდი. შახტა ძალიან ღრმა აღმოჩნდა. ბოლოს ძირამდე მივაღწიე და უფლისწულის გვერდით დავდექი. ჩირაღდნების შუქზე შახტის გვერდებთან დავინახე თიხის მშრალი აგურებისგან კაცის სიმაღლეზე ამოშენებული კარნიზი.

ზედ კედელზე მიყუდებული იყო ვეებერთელა ქვის ფილა - აცტეკური დამწერლობით, რასაც ახლა უკვე ადვილად ვკითხულობდი. წარწერაში ნათქვამი იყო: ანაუაკის იმპერატორ კუიტლაუაკის მმართველობის პირველ წელს, აქ დამარხულია მისი ქვეყნის განძი. შემდეგ ეწერა საშინელი შეჩვენება, რაც თავს დაატყდებოდა იმას, ვინც ამ სიმდიდრის ხელის ხლებას გაბედავდა. ჩვენს უკან, შახტის მარჯვენა კუთხეში, შევნიშნე ათი ნაბიჯის სიგრძის, საკმაოდ მაღალი ჰორიზონტალური შესასვლელი, სადაც კაცი თავისუფლად გაივლიდა. ზედ გამოქვაბულის შესასვლელთან მომზადებული იყო კირის ხსნარი და ადობის წყო ბილები, რამაც, უნებერად, გამოთლილი ქვების წყობილები გამახსენა სევილიის მონასტრის მიწისქვეშეთში, სადაც ცოცხლად ამოქოლეს იზაბელა დე სიგუენსა.

- ვინ გათხარა ეს გამოქვაბული? - შევეკითხე უფლისწულს.

- იმათ, რომლებმაც არ იცოდნენ, რისთვის თხრიდნენ მას. - მი პასუხა მან. - აი, ჩვენი თანაშემწეც! - კუაუტემოკმა შახტისკენ მომავალ აცტეკზე მიმითითა.

- გთხოვ, ძმაო, არაფერი გაიკვირვო, თუ უცნაურად მოვიქცევი, მაშასადამე, მიზეზიც მაქვს...

ვიდრე რაიმეს ვკითხავდი, დიდგვაროვანი აცტეკი უკვე ჩვენს გვერდით იდგა. ზემოდან თოკებით ტომრებსა და თიხის ჭურჭელს გვაწვდიდნენ. კუაუტემოკი თოკებიდან ხსნიდა ტვირთს, რომელსაც მე და აცტეკი გამოქვაბულში ზუსტად ისე ვაგორებდით, როგორც ინგლისში - არყით სავსე კასრებს.

ამ საქმეს ორ საათზე მეტი მოვანდომეთ. ბოლო ტომარა დაშვებისას გასკდა და ზევიდან ჩვენზე ძვირფასი ქვების ნამდვილი წვიმა წამოვიდა. განსაცვიფრებელი სილამაზისა და სიდიდის

ზურმუხტის გულქანდა პირდაპირ თავზე დამეცა და მერე მხარზე ჩამომეკიდა.

- წაიღე, ძმაო, ამ ღამის სამახსოვროდ შეინახე! - სიცილით მითხრა კუაუტემოკმა. გახარებულმა მაშინვე უბეში ჩავიდე უძვირფასესი საჩუქარი.

ეს ყელსაბამი დღემდე მაქვს. მან დიდი სამსახური გამიწია, ესპანეთში რომ დავბრუნებულიყავი. სწორედ მისგან ამოვიღე ის ერთი პატარა ზურმუხტი, რომელიც დედოფალ ელისაბედს მივართვი. მრავალი წლის მანძილზე მას ოთომი ატარებდა, ამიტომ მინდა, იგი საფლავში ჩამატანონ. ამბობენ, ფასდაუდებელიაო; რამდენიც არ უნდა ღირდეს, იგი ჩემთან ერთად დაიმარხება დითჩინჰემის სასაფლაოზე და ვაი იმას, ვინც განიზრახავს მიცვალებულს ეს ძვირფასი ნივთი წამართვას! დაე, თავს დაატყდეს მას ის წყევლა-კრულვა, რაც ამოკვეთილია იმ ქვაზე, რომლის ქვეშაც აცტეკთა განძი იმალება.

დავამთავრეთ თუ არა მუშაობა, გამოქვაბულიდან გამოვედით და ადიბებისგან კედლის ამოშენებას შევუდექით. როცა ორი-სამი ფუტის სიმაღლემდე ავიყვანეთ, კუაუტემოკი წელში გასწორდა და მთხოვა, ჩირაღდნები უფრო მაღლა ასწიეო. გამიკვირდა, ნეტავ აქ კიდევ რაღა უნდა დაათვალიეროს-მეთქი. კუაუტემოკმა უცებ გასასვლელისკენ სამი ნაბიჯით უკან დაიხია და ჩვენს თანამგზავრ აცტეკს დაუძახა: - იცი, მეგობარო, რა ბედი მოელის მოღალატეს? - უჰკითხა და ქამრის მარყუჟიდან ობსიდიანის წამახვილებული ნატეხებით მოჭედილი საბრძოლო კეტი გამოაძრო. უფლისწული ამას სრულიად დამშვიდებული ამბობდა, რამაც კიდევ უფრო შემაშინა.

შავგვრემანი აცტეკი გაფითრდა და შიშისგან აკანკალდა.

- რა გინდათ, ამით რომ თქვათ, ჩემო ბატონო? - ჩაიხიხინა მან.

- თვითონაც კარგად იცი, რისი თქმაც მინდა! - უპასუხა კუაუტემოკმა ისეთივე შემაძრწუნებლად დამშვიდებული ტონით და კეტი მოიმარჯვა.

განწირული აცტეკი მუხლებზე დაეცა და უფლისწულს შეევედრა, შემიბრალეო. მისი გოდება მდუმარე მიწისქვეშეთში ისე გულშემზარავად გაისმა, რომ თავზარდაცემულს ჩირაღდანი კინაღამ ხელიდან გამივარდა.

- მტრის შებრალება კიდევ შემიძლია, მაგრამ მოღალატის, არასოდეს! - წარმოთქვა კუაუტემოკმა, აცტეკს მივარდა და კეტის ერთი დარტყმით იქვე მოკლა. მერე თავისი ღონიერი ხელებით ცხედარი განძით სავსე გამოქვაბულში გადაისროლა. იგი დღემდე იქაა, ოქროებსა და ძვირფას ქვებს შორის, როგორც ხელებგაფარჩხული, საშინელი დარაჯი.

კუაუტემოკს შევხედე და გავიფიქრე, ახლა, ალბათ, ჩემი ჯერიც დადგა-მეთქი. ვიცოდი, როცა დიდგვაროვნები საიდუმლოდ ინახავენ თავიანთ სიმდიდრეს, ცდილობენ, ზედმეტი მოწმეები მოსპონ. კუაუტემოკმა მითხრა: - ნუ გეშინია, ძმაო. ის კაცი მოღალატე იყო, ლაჩარი და ქურდი. გავიგეთ, რომ ორჯერ უკვე გვიღალატა. ამ სამალავის ნახვას ესწრაფვოდა, რათა მტრისთვის ეცნობებინა მისი ადგილსამყოფელი და მერე განძს გაიყოფდნენ. ეს ცნობა იმ ქალმა მოგვაწოდა, რომელსაც ის თავის საყვარლად თვლიდა, სინამდვილეში კი ჩვენი მიგზავნილი იყო. დღეს მან ამ განძის წილი მიიღო! შეხედე, თეთრკანიან კაცსაც კი არ შეუძლია, ოქროს ამნაირად ჩაებღაუჭოს. ასეა, თეულო, ანაუაკის მიწაწყალზე სიმინდის, კაჟისა და სპილენძის მეტი რომ არაფერი მოი პოვებოდეს, ჩვენს თავისუფლებას არა-

ვინ დაემუქრებოდა. წყეული იყოს მთელი ეს განძი! სწორედ მისი გულისთვის უნდათ ზღვისიქითა ყაჩაღებს ყელი გამოგვღადრონ. შეჩვენებული იყოს ეს ოქრო და ძვირფასი ქვები! დაე, ისინი ნურასოდეს იბრწყინებენ მზის სინათლეზე! დაე, დაიკარგოს სამუდამოდ! ამ სიტყვების თქმისას თან გაშმაგებით მუშაობდა, რომ ჩქარა ამოექოლა გამოქვაბული.

მალე კედელი თითქმის მზად იყო - სულ რამდენიმე ადობის (ჩვენი აგურის მსგავსი, რომლითაც ინგლისში ბეღელსა და მოსამსახურეების სადგომს აგებენ) დადებაღა აკლდა; ჩირაღდანი შევყავი და უკანასკნელად შევიხედე საგანძურში, რომელიც დასაკრძალ აკლდამადაც გამოდგებოდა. ზურმუხტის თვლებით მოჭედილი მონტესუმას ოქროს თავი თითქოს პირდაპირ მე მიყურებდა. მომეჩვენა, რომ განძში ჩაფლულმა, ნახევრადმწოლიარე მოღალატემ თვალები გაახილა და მომაშტერდა, მონტესუმას ოქროს ქანდაკების მსგავსად, ოღონდ მისი გამოხედვა კიდევ უფრო საშინელი იყო.

ხვრელიდან ჩირაღდანი სწრაფად გამოვიღე და უსიტყვოდ განვაგრძეთ მუშაობა. როგორც კი კედლის ამოშენება დავამთავრეთ, შახტისკენ გამოვბრუნდით. თოკის ბოლოში ორმაგი მარყუჟი გავაკეთეთ, ნიშანი მივეცით და მაღლა აგვწიეს შავი მარმარილოს უზარმაზარი ლოდის კიდემდე, რომელიც ამიერიდან მონტესუმას განძისა და მოღალატე აცტეკის საფლავის ქვად იქცა. ლოდი, რომ იტყვიან, ძაფზე ეკიდა. ოდნავ მივაწექით თუ არა, იგი საგანგებოდ გაკეთებულ აგურის შვერილზე ჩავარდა და შახტის ხვრეტილი გადაკეტა. ახლა შიგ შესვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ მას ვინმე დენთით ააფეთქებდა.

თოკები კვლავ ასწიეს და მალე მიწაზე მშვიდობიანად ამოვედით. ვიღაცამ მოღალატე აცტეკი მოიკითხა.

- როგორც ღირსეულმა და ერთგულმა მსახურმა, იქ დარჩენა არჩია, რათა განძს უდარაჯოს, სანამ მის მბრძანებელს დასჭირდება, - პირქუშად უპასუხა კუაუტემოკმა.

კრინტი აღარავის დაუძრავს. აცტეკებმა იქვე დაყრილი მიწით ვიწრო შახტა ამოავსეს. ერთ-ერთმა თესლით სავსე ტომსიკა აიღო, მიწა გააფხვიერა და დათესა. მერე შახტის ზევით ორი წინასწარ მომზადებული ნერგი დარგო, ალბათ იმიტომ, რომ ეს ადგილი აღენიშნა. მზის ამოსვლისას აქ შახტის არავითარი კვალი აღარ იყო. ბოლოს, შევაგროვეთ თოკები და ბარები, ნავებში ჩავსხედით და ტენოჩტიტლანში დავბრუნდით. ნავები ზედა ნავსაბმელთან დავტოვეთ და თითო-თითოდ, ზოგიც ორ-ორად, ქალაქში ფრთხილად შევედით, რათა თვალში არავის მოვხვედროდით.

ასე დავმარხეთ მონტესუმას მთელი განძი, რის გამოც მოგვიანებით სასტიკად მაწამეს. საეჭვოა, მისი პოვნა ახლა ვინმემ შეძლოს! იმ დროისთვის, როცა ანაუაკს ვტოვებდი, სამალავის მიგნება ვერავინ მოახერხა; ვფიქრობ, რომ არც ერთი მათგანი, ვინც იმ საქმეში მონაწილეობდა, ცოცხალი აღარ იყო.

განძის სამალავის ადგილი დავინახე, როცა უკანასკნელად მივდიოდი მეხიკოში, ესპანელ ჯარისკაცთა თანხლებით. ნერგები გაზრდილიყო. იქაურობა ვიცანი და დავიფიცე, ამ საიდუმლოს საფლავში ჩავიტანდი.

ვიდრე ტენოჩტიტლანის ბლოკადაზე რაიმეს ვიტყოდე, მინდა გიამბოთ, როგორ გავემგზავრეთ მე და ოთომი ოთომის ტომის ხალხთან.

აცტეკების სახელმწიფო აერთიანებდა სხვადასხვა ხალხებს. ირგვლივ მრავალი ტომი ცხოვრობდა. ზოგი მათგანი აცტეკების ქვეშევრდომი იყო, ზოგი მოკავშირე და ზოგიც - მოსისხლე მტე-

რი, მაგალითად, ტლასკალანელები - ტენოჩტიტლანსა და ზღვის სანაპიროს შუა მცხოვრები პატარა, მაგრამ მეომარი ტომი, რომლის დახმარებითაც კორტესმა მონტესუმა და კუაუტემოკი დაამარცხა. მათ დასავლეთით, მთებში ცხოვრობდა და, შეიძლება, ახლაც ცხოვრობს რამდენიმე ტომად დაყოფილი ოთომის ხალხი.

მთიელი ოთომის მეომრები აცტეკებზე ბევრად მამაცები იყვნენ და მათგან ენითა და წარმოშობით გამოირჩეოდნენ. ისინი ხან აცტეკთა მძლავრ სახელმწიფოში შედიოდნენ, ხანაც ტლასკალანელებთან ერთად მათ უპირისპირდებოდნენ. საერთოდ, ანაუაკის მცხოვრებთათვის ოთომის ტომები დაახლოებით იგივენი იყვნენ, რაც ჩვენთვის, ინგლისელებისთვის, შოტლანდიის კლანებია.

აცტეკთა და ოთომის ტომთა კავშირის განმტკიცების მიზნით, მონტესუმამ ცოლად ითხოვა მათი დიდი ბელადის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე ქალი, რომელიც მშობიარობას გადაჰყოლია. მისი ქალიშვილი, ოთომის ხალხის პრინცესა ოთომი კი ჩემი ცოლი გახდა. მიუხედავად მაღალი მდგომარეობისა, ის მხოლოდ ორჯერ იყო ნამყოფი საკუთარ ხალხთან და ისიც - ბავშვობაში. მან ჩინებულად იცოდა ოთომის ენა და ზნე-ჩვეულება, რომელიც მისთვის ოთომის ტომის ძიძებს უსწავლებიათ. თავისი ქვეშევრდომებისგან, რომლებიც მას გაცილებით მეტი ხალისით ემორჩილებოდნენ, ვიდრე მონტესუმას, ოთომი უზარმაზარ ხარკს ღებულობდა და მათზე დიდი გავლენითაც სარგებლობდა.

როგორც უკვე ვთქვი, ოთომის ზოგიერთი ტომი ტლასკალანელებს შეუერთდა და მათთან ერთად ომში ესპანელების მხარეს მონაწილეობდა. ამიტომ დიდმა საბჭომ გადაწყვიტა, ოთომი და მე, როგორც მისი ქმარი, გავეგზავნეთ ფიჭვთა ქალაქში, რო-

მელიც ოთომის ხალხის დედაქალაქად ითვლებოდა. ჩვენ მეტად მნიშვნელოვანი საქმე მოგვანდეს - მთიელები აცტეკთა დროშებქვეშ უნდა დაგვებრუნებინა.

ადათის თანახმად, შიკრიკები წინ წავიდნენ, მერე ჩვენ გავუდექით გზას. გზადაგზა საპატიო ესკორტი იზრდებოდა - გაიგეს თუ არა ოთომის ტომებმა მათი პრინცესისა და აცტეკების მხარეზე გადმოსული მისი თეული ქმრის მოახლოება, გზადაგზა ჩვენს ამალას უერთდებოდნენ. როცა მერვე დღეს ფიჭვთა ქალაქს მივაღწიეთ, გამაყრუებული ველური მუსიკით უკან მოგვყვებოდა სულ ცოტა ათი ათასი ახოვანი მთიელი.

ოთომი გზაში არაფერს ეუბნებოდა არც მეომრებს, არც მათ ბელადებს და მხოლოდ ჩვეულებრივი მისალმებით კმაყოფილდებოდა. მთიელები ყოველ დილას, როგორც კი დავიძრებოდით - მე ესპანელებისთვის წართმეულ ცხენზე ამხედრებულს, ოთომს ტახტრევანზე - ხმამაღალი შეძახილებითა და ხმაურით გვხვდებოდნენ.

რამდენადაც წინ მივიწევდით, ქვეყანა, მისი მცხოვრებლებითურთ, სულ უფრო ველური და თვალწარმტაცი ხდებოდა. ახლა მივდიოდით ფიჭვნარში, სადაც აქა-იქ კუნძულებად მოჩანდა მუხის, ლამაზი ბუჩქებისა და გვიმრის ჭალები. ზოგჯერ ბობოქარი მდინარეების გადალახვა და მაღალი მთების ხეობებსა თუ კლდეკარში გაღწევა გვიხდებოდა. აქაური მთები ინგლისს მაგონებდა, ოღონდ ბევრად უფრო მზიანი იყო.

მგზავრობის მერვე დღეს შევედით წითელ კლდეებს შორის მოქცეულ ხეობაში, რომელიც ერთი მილი სიგრძისა თუ იქნებოდა და ალაგ-ალაგ ისეთი ვიწრო იყო, ერთად სამი ცხენოსანიც ვერ გაივლიდა. ხეობას ორივე მხარეს თითქმის ორი ათასი ფუტი სიმაღლის ციცაბო კლდეები მიჰყვებოდა. ეს ფიჭვთა ქალაქ-

ში მისასვლელი ძირითადი გზა იყო, თუმცა ადგილობრივებმა რამდენიმე საიდუმლო ბილიკიც იცოდნენ.

- შეხედე, ასეულ მეომარს აქ შეუძლია მთელი არმია შეაჩეროს, - ვუთხარი ოთომის, - მაშინ ვერც წარმოვიდგენდი, რომ მომავალში თვითონ მომიხდებოდა ამის გაკეთება.

ვიწრო გზის დასასრულს განცვიფრებულმა ცხენი შევაჩერე: ჩემ წინ, დაახლოებით თორმეტი მილი დიამეტრის მრგვალ ხეობაში, მთელი თავისი სილამაზით გადაიშალა ფიჭვთა ქალაქი - გარშემორტყმული მთებით, რომელთა ფერდობები მთლიანად კედრისა და მუხის ტყეებს დაეფარა; მხოლოდ ქალაქის უკან, მთებშუა, ერთი მწვერვალი ლავისგან გაშავებულიყო. მის თოვლიან ქუდზე დღისით კვამლის სვეტი იდგა, რასაც ღამით ბობოქარი ცეცხლის ალი აშუქებდა. ეს იყო ვულკანი ხაკა, ანუ „დედოფალი“. იგი არ არის ისე მაღალი, როგორც მისი თანამოძმე ვულკანები - ორისაბა, პოპოკატეპეტლი და ისტაქსიუატლია, მაგრამ, ჩემი აზრით, ხაკა ყველას სჯობია თავისი ფორმის სრულყოფილებით და ღამღამობით ამოხეთქილი ცეცხლის სილამაზით, რომელიც ხან ლურჯად და ხან წითლად ანათებს აქაურობას.

ოთომის ტომები თაყვანს სცემდნენ ამ ვულკანს და, როგორც ღმერთს, მსხვერპლად სწირავდნენ ადამიანებს; გასაკვირიც არაფერი იყო, ვინაიდან ერთხელ მისი კრატერიდან ამოფრქვეულ ლავას გზა გაუკაფავს მთელ ქალაქში. მათი აზრით, საღმრთო მწვერვალზე სულები ცხოვრობდნენ და თოვლის მიჯნის გადაღმა ფეხის გადადგმას ვერავინ ბედავდა. თუმცა ბედმა მარგუნა მე და კიდევ ერთ კაცს, ეს ბარიერი რომ გადაგველახა.

მთების შუაგულში, კვამლის ქუდიან მძლავრ ვულკან ხაკას ძირთან, მდებარეობდა ფიჭვთა ქალაქი. დიახ, მდებარეობდა,

რადგან, როცა იგი დავტოვე, მისგან მხოლოდ ნანგრევებიღა იყო დარჩენილი. მე და ოთომი რომ ჩავედით, ის ნამდვილი ქალაქი იყო, თუმცა არც ისე დიდი, როგორც ანაუაკის სხვა ქალაქები, რომლებიც მე მენახა. აქ სულ ოცდათხუთმეტი ათასი კაცი ცხოვრობდა, ვინაიდან ოთომის მთიელი ინდიელები ქალაქში ნაკლებად სახლდებოდნენ. ფიჭვთა ქალაქი პატარა, მაგრამ ინდიელთა დანარჩენ ქალაქებს შორის ყველაზე ლამაზი იყო. სწორი ქუჩები ცენტრალურ მოედანზე გამოდიოდა. ქუჩების გასწვრივ, გადამწვანებულ ბაღებში იდგა ლავისგან აგებული სახლები, კირით შეთეთრებული სახურავებით; მოედნის შუაში აღმართული იყო თეოკალი - საღმრთო პირამიდა ტაძრებით, რომლებსაც ადამიანის თავის ქალის მთელი მწკრივები ეკრა. თეოკალის პირდაპირ იდგა ოთომის წინაპართა სასახლე - გრძელი, დაბალი და ძალიან ძველი შენობა - რამდენიმე ეზოთი და გველებისა და მომღიმარე ღმერთების ურიცხვი ქანდაკებით. სასახლე და თეოკალი მოპირკეთებული იყო შესანიშნავი თეთრი ქვით, რომელიც მზის სინათლეზე ვერცხლივით ბრწყინავდა. ამის გამო, ორივე შენობა ლავისგან აგებული მუქი ფერის სახლების საერთო ფონზე, მკვეთრად გამოირჩეოდა.

ასეთი იყო ფიჭვთა ქალაქი; ხოლო, როცა იგი დავტოვე, კვამლში გახვეულ ნანგრევებს წარმოადგენდა, სადაც, დღეს, ალბათ, „ბუების სამეფოა“ - „ქაოსს მოუცავს ქალაქი ესე და ცარიელი ქვები აღავსებს მის ქუჩებს“.

ხეობას გამოვცილდით და თითქმის ერთი მილი ვიარეთ ველზე, სადაც ყოველ ნაკვეთზე დათესილი იყო სიმინდი, აგავა და სხვა კულტურები. ცოტა ხნის შემდეგ ქალაქის ოთხი ალაყაფის კარიდან ერთ-ერთს მივადექით. შევამჩნიე, რომ ქუჩის ორივე მხარეს ჩამწკრივებული სახლის ბანები ქალებითა და

ბავშვებით იყო სავსე. ისინი თავზე ყვავილებს გვაყრიდნენ და გაჰყვიროდნენ: - სალამი ოთომის, ოთომის ტომის პრინცესას.

ბოლოს ცენტრალურ მოედანს მივაღწიეთ, სადაც უამრავ ხალხს მოეყარა თავი. მეომრები ოთომის ისეთი ყიჟინით შეხვდნენ, ვიფიქრე, კლდეები ჩამოინგრევა-მეთქი. მეც მესალმებოდნენ - მარჯვენა ხელით ჯერ მიწას ეხებოდნენ და მერე შუბლთან მიჰქონდათ. ვფიქრობ, ამგვარი პატივისცემა იმდენად მე არ მეკუთვნოდა, რამდენადაც ჩემს ცხენს. ისინი პირველად ხედავდნენ ცხენს, ამიტომ ის ან რაღაც საშინელებად, ან ეშმაკად მიაჩნდათ.

მეომრებით გარშემორტყმულნი ნელ-ნელა წინ მივიწევდით. ბევრ მათგანს ფრინველთა ფრთებისგან შეკერილი ტანსაცმელი ეცვა და ხელში მოქარგული საბრძოლო ნიშანი ეჭირა. მეომრების ერთი ნაწილი გზას გვიკაფავდა, მეორე - უკან მოგვყვებოდა, ვიდრე მთელი მოედანი არ გადავლახეთ და თეოკალის გავლით, სადაც ქურუმები თავიანთ სისხლიან საქმეს ასრულებდნენ, სასახლეში არ აღმოვჩნდით. მხოლოდ მის ერთ უცნაურ ოთახში, რომლის კედლებზე მოცინარი დემონები იყო გამოსახული, ამოვისუნთქეთ თავისუფლად.

მეორე დღეს სასახლის დიდ დარბაზში შეიკრიბა საბჭო, რომელსაც ასზე მეტი ბელადი და უხუცესი დაესწრო. როცა ყველა მოვიდა, მათ წინაშე მდიდრულ სამოსელში გამოვჩნდი. ჩემთან ერთად ოთომიც შემოვიდა. მასაც მეფურად ეცვა - იმ დღეს განსაკუთრებით ლამაზი იყო.

საბჭოს წევრები წამოდგნენ და მოგვესალმნენ. ოთომიმ ყველას სთხოვა დამსხდარიყვნენ და შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა: - მისმინეთ, დედაჩემის ხა ლხის ბელადებო და სამხედრო მეთაურებო! გელაპარაკებით მე, თქვენი პრინცესა, წარმოშობით

თქვენი უკანასკნელი მმართველების გვარიდან, ასული მონტეზუმასი, აცტეკების იმპერატორისა, ამჟამად გარდაცვლილისა, მაგრამ მარად ცოცხლისა - მზის სამყოფელში! ეს ჩემი ქმარია, თეული! მაშინ მიმათხოვეს, როცა მასში ღმერთ ტესკატლი პოკას სული ბუდობდა; ისევ გავხდი მისი მეუღლე ჩვენი მიწიერი ადათის შესაბამისად, როდესაც იგი უვნებლად გადაურჩა სამსხვერპლოს და მიემხრო ჩვენს ხალხს, რათა დაგვეხმაროს მტერთან ბრძოლაში. ასეთი იყო ზეცისა და ჩემი ძმების ნება--სურვილი.

იცოდეთ ბელადებო და სამხედრო მეთაურებო, ჩემი ქმარი, მართალია, არ არის ჩვენი ხალხის შვილი, მაგრამ მთლად არც იმ თეულთა ტომიდანაა, რომელსაც ჩვენ ვებრძვით. იგი ჩრდილოეთის ზღვების ნაპირებზე მცხოვრებ კაცელკოატლის ნამდვილი შვილების მოდგმიდანაა, რომლებიც თეულთა მტრები არიან. ამიტომ ჩემი ქმარიც მტრობს მათ. თქვენ უთუოდ გაგონილი გაქვთ, რომ მან პირველმა შეიტყო მტრის გაქცევის ამბავი და ყველაზე მამაცურად იბრძოდა. ოთომის ხალხის ბელადებო და სამხედრო მეთაურებო! მე მოვედი ჩემს ქმართან ერთად, თქვენი იმპერატორის, კუიტლაუაკის ბრძანების შესასრულებლად. ჩვენს იმპერატორს აცნობეს და მეც გავიგე, რომ ჩვენი ტომების ბევრი მეომარი მიემხრო ტლასკალანელებს, რომლებიც უნამუსოდ გაურიგდნენ აცტეკთა მტერ თეულებს. ახლა თეთრკანიანები დამარცხებულნი და განდევნილნი არიან ჩვენი ქვეყნიდან, ოღონდ მათ უკვე იგრძნეს ოქროს გემო და ისევ დაბრუნდებიან, როგორც ფუტკრები უბრუნდებიან ყვავილში დარჩენილ ნექტარს.

თეულები ვერასოდეს მოერევიან ძლიერ ტენოჩტიტლანს, მაგრამ თუ მათ გვერდით იბრძოლებს ჩვენი ათასობით მეომა-

რი, მაშინ ეს ქვეყანა განწირულია დასაღუპად. ამ შფოთიან დროში, როცა სახელმწიფოები ირყევიან, როცა ზეცა სავსეა ავ-ბედითი ნიშნებით და თვით ღმერთებიც უძლურნი ჩანან, ბევრს სურს, ეს არეულ-დარეულობა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს.

ზოგიერთი ჩვენგანი იგონებს გარდასულ ომს, მიყენებულ მწუხარებასა თუ ზარალს და გაიძახის: შურისძიების დრო მოვიდა! ქვრივად დარჩენილთა ცრემლებს, მსხვერპლად მიტანილ ტყვეებს, აკრეფილ ხარკს ანაუაკს ახლა გავახსენებთო!

განა ასე არ არის? დიახ, ასეა, ვიცი ეს და არც მიკვირს, მაგრამ გთხოვთ, დაფიქრდეთ! თუ თქვენ თეულებს ქალაქთა მბრძანებელ ტენოჩტიტლანის დაპყრობაში დაეხმარებით, თქვენც მონებად იქცევით. ნუთუ ფიქრობთ, თეულები თუ დაანგრევენ ტენოჩტიტლანს და მოსპობენ აცტეკებს, თქვენ დაგინდობენ?! არ დაგინდობენ! ამას გეუბნებით მე, თქვენი პრინცესა. ისინი სათითაოდ გატეხენ სწორედ იმ ისრებს, რომლებსაც თქვენ ტენოჩტიტლანს უმიზნებდით და ნატეხებს თავიანთ კოცონებზე დაწვავენ.

ანაუაკთა სახელმწიფო თუ დაემხო, ჩვენი მიწის დანარჩენი ტომებიც, ადრე თუ გვიან, ერთი მეორეზე მიყოლებით განადგურდება. ანაუაკელებს გაჟლეტენ, ქალაქებს მიწასთან გაასწორებენ, გაძარცვავენ და ჩვენს შვილებს მონობაში ცხოვრება მოუწევთ. ოთომის ხალხო! ვის მხარეზე გინდათ იყოთ: თქვენი ყოფილი მტრების, მაგრამ სისხლითა და ზნე-ჩვეულებებით ახლობელი ანაუაკის, თუ შეჩვენებულ უცხოელთა მხარეს? აირჩიე, ოთომის ხალხო, ოღონდ გახსო ვდეთ, თქვენს და ინდიელთა სხვა ტომთა არჩევანზეა დამოკიდებული ჩვენი მომავალი. მე მინდა, სწორი გადაწყვეტილება მიიღოთ - არა ჩემი ბრძანებით,

არამედ, ეს უნდა იყოს თქვენი არჩევანი, რომელიც აცტეკებთან კავშირსა და თეულთა მონობას შორის უნდა გააკეთოთ. დაე, ღმერთთა ღმერთი, ყოვლისშემძლე და უხილავი მეუფე იყოს თქვენი დამხმარე სწორი გადაწყვეტილების მიღებაში!

პრინცესა გაჩუმდა. დარბაზში მოწონების ჩურჩული გაისმა.

აფსუს, რომ არ შემიძლია, სიტყვებით გადმოგცეთ ოთომის მიმართვის მთელი მგზნებარება; მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ოთომმა მრისხანე ბელადებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ზოგი მათგანი ანაუაკელებს ლაჩრებად თვლიდა, ზოგს კი მთელი თაობების მანძილზე დაგროვილი შურისძიების წყურვილი ამოძრავებდა. ოღონდ, ახლადშექმნილ ვითარებაში ყველას ესმოდა, რომ პრინცესა მართალი იყო.

თეულების გამარჯვება ტენოჩტიტლანზე - ეს იქნებოდა გამარჯვება აცტეკთა ყველა ქალაქზე. იცოდნენ რა ეს, მათ დიდხანს არ უყოყმანიათ და გადაწყვეტილება ერთიანობის სასარგებლოდ მიიღეს (თუმცა შემდეგ, უკანდახევის დროს, ბევრმა უღალატა საკუთარ სიტყვას).

- პრინცესა! - წამოიძახა საბჭოს მაცნემ, როცა ყველამ გამოთქვა თავისი აზრი, - ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება! შენი სიტყვები ძალზე დამაჯერებელი იყო; ჩვენ აცტეკებთან ერთად წავალთ თეულთა წინააღმდეგ და ჩვენი თავისუფლებისთვის უკანასკნელ კაცამდე ვიბრძოლებთ!

- ახლა კი ვხედავ, თქვენ ჭეშმარიტად ჩემი ხალხი ხართ, და მე - ჭეშმარიტად თქვენი პრინცესა! ასე გეტყოდნენ თქვენ წარსულ დროთა დიდი ბელადები, ჩემი წინაპრები, თქვენი მთავრები. ასევე გეუბნებით ახლა მეც, - უპასუხა ოთომიმ. - იმედი მაქვს, არასოდეს ინანებთ ამ არჩევანს, ჩემო ძმებო, ოთომის ხალხო!

ასე წამოვიღეთ ფიჭვთა ქალაქიდან ოთომის ხალხის დაპირება: კუიტლაუაკის პირველი ნიშნისთანავე იქიდან გამოგზავნიდნენ ოციათასიან ჯარს, რომელიც ესპანელთა წინააღმდეგ იბრძოლებდა.

26

- აბა, რას მეუბნები, - სიცილით წამოიძახა მან. - ნუთუ უნდა შევუშინდე იმას, რაც შენ არ გაშინებს? წავიდეთ ერთად და ჩავაბაროთ ჩვენი მოგზაურ ობის ანგარიში. თუ ავად გავხდები და მოვკვდები, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი აღსასრულის დღე დადგა.

ჩვენ შეგვიშვეს ოთახში, სადაც კუიტლაუაკი იწვა. მის ირგვლივ ოქროს ფიალებში კეთილსურნელებანი ბოლავდა. ავადმყოფი გონმიხდილი იწვა, მაგრამ მალე გამოფხიზლდა და მას ჩვენს შესახებ მოახსენეს.

- გამარჯობა, ძმისწულო, - საბანქვეშ ხრინწიანი ხმით ჩაილაპარაკა იმპერატორმა. - ხომ ხედავ, საქმე ცუდადაა, ჩემი დღეები დათვლილია. თეულთა დაავადება ბოლოს უღებს ყველას, ვინც მათ მახვილს გადაურჩა. მალე ჩემს ადგილს სხვა მბრძანებელი დაიკავებს, ისევე, როგორც მე დავიკავე მამაშენის ადგილი. ამაზე არ ვნაღვლობ, რადგან მას მოუწევს ანაუაკის უკანასკნელი ბრძოლის მთელი დიდებისა და სიმძიმის ატანა. ილაპარაკე, ძმისწულო, ნუ კარგავ დროს; რა გი პასუხა შენმა ოთომის ხალხმა?

- მბრძანებელო, დაე, დაგინდოს ამ ავადმყოფობამ, რათა დიდხანს იმეფო ჩვენზე, - მოკრძალებით უპასუხა თავდახრილმა ოთომიმ. - მე და ჩემმა ქმარმა ჩვენს მხარეზე გადმოვიბირეთ და

შენს დროშებქვეშ დავაბრუნეთ ოთომის ტომთა დიდი ნაწილი. ოცი ათასი მთიელისგან შემდგარი ჯარი შენს ბრძანებას ელოდება; თუ ისინი ბრძოლაში დაიხოცებიან, მათ სხვები ჩაენაცვლებიან.

- კარგი ამბავი მოგიტანია შენ, მონტესუმას ასულო და შენც, თეთრკანიანო!

- ჩაიხიხინა მომაკვდავმა იმპერატორმა. - ღმერთები ბრძენები არიან, მათ თქვენ არ მიგიღეს მსხვერპლად, როცა საკურთხეველზე იწექით, მე კი სულელი ვიყავი, როდესაც შენი მოკვლა მინდოდა, თეულო. ახლა გიბარებთ ყველას: გული გაიმაგრეთ და თუ სიცოცხლის გაწირვა მოგიხდებათ, მოკვდით ღირსეულად! ბრძოლა ახლოვდება... მე უკვე ვეღარ მივიღებ მასში მონაწილეობას... ვინ იცის, რით დამთავრდება იგი...

კუიტლაუაკი რამდენიმე ხანს მდუმარედ იწვა, მერე უცებ საარეცელზე წამოჯდა და წინასწარმეტყველივით ალაპარაკდა: - ვაი, რომ ტენოჩტიტლანის ქუჩებს ცეცხლსა და სისხლში ვხედავ! ვხედავ, როგორ თელავენ თეულთა ცხენები დახოცილ აცტეკებს! ვხედავ, ჩემი ხალხის სულს. მათი ხმა წყდება, კისერზეც ჯაჭვები ჰკიდიათ... შვილებს ანგარიშს უსწორებენ მამების ცოდვებისთვის; ჩემი ხალხი, რომელსაც ისე ვზრდიდი, როგორც არწივი - თავის მართვეს, განწირულია. მის ფეხქვეშ მიწა გასკდება და უფსკრული ჩაყლაპავს ყველას ჩვენივე ბოროტმოქმედებისთვის! ისინი კი, რომლებიც ცოცხლები დარჩებიან, მუდამ მონები იქნებიან, ვიდრე სამაგიეროს გადახდის ჟამი არ დადგება!

ანაუაკის იმპერატორი ბალიშებზე დავარდა და ყველა ამქვეყნიური ტანჯვისგან გათავისუფლდა. მისმა სიტყვებმა ჩვენი გულის სიმები შეარხია (ამ დროს იქ კუაუტემოკიც იყო).

ასე მოკვდა ჩვენს თვალწინ იმპერატორი კუიტლაუაკი, რომელიც სულ ოთხ თვეს მართავდა აცტეკთა სახელმწიფოს. ხალხი კვლავ გლოვობდა თავის ბელადს, მრავალი ათასი ბავშვის სულიერ მამას, რომელიც სენმა მზის სამყოფელში თუ ვარსკვლავთიქითა წყვდიადში წაიღო.

გლოვის დიდხანს გაგრძელება არ შეიძლებოდა, რადგან დრო არ ითმენდა. საჭირო იყო ახალი იმპერატორის სასწრაფოდ არჩევა, რათა იგი ჯარსა და ხალხს სათავეში ჩასდგომოდა. ამიტომ კუიტლაუაკის დაკრძალვის მეორე დღესვე ოთხმა მთავარმა ამომრჩეველმა მოიწვია უფლისწულთა და დიდგვაროვანთა საბჭო, სულ - სამასზე მეტი კაცი; მასში მეც ვმონაწილეობდი, როგორც სამხედრო მეთაური და პრინცესა ოთომის ქმარი.

კაცმა რომ თქვას, აქ სადავო არაფერი იყო; ყველამ იცოდა, რომ აცტეკების სახელმწიფოს მართვა წარმოშობის, გონიერებისა და სიმამაცის მიხედვით, შეეძლო მხოლოდ ერთ კაცს - ჩემს მეგობარსა და ძმადნაფიცს, ორი უკანასკნელი იმპერატორის ძმისწულს, ოთომის დის, ტეჩუიშპოს ქმარ კუაუტემოკს. ეს ყველამ იცოდა, გარდა თავად კუაუტემოკისა. როდესაც საბჭოს სხდომაზე შევდიოდით, მან იმპერატორად ორი სხვა უფლისწული დაასახელა და მითხრა, ერთ-ერთ მათგანს აირჩევენო.

საბჭოს სხდომა დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა: ოთხი დიდი ბელადი დარბაზის ცენტრში იდგა. მათ ირგვლივ, ცოტა დაშორებით, მხოლოდ ისე, რომ ყველას დაენახა და გაეგონა, განლაგდა სამასი უფლისწული და ბელადი, რომლებსაც ამომრჩეველთა გადაწყვეტილება უნდა დაედასტურებინათ. უზენაესმა ქურუმმა, რომლის შავი სამოსელიც ისე გამოირჩეოდა, როგორც ნახშირის ნატეხი - ოქროს ქვიშაში, ხელები აღაპყრო და საზეიმო ლოცვა წარმოთქვა: - ოო, ყოვლის მხილველო და

ყველგან მყოფო ღვთაებავ! ჩვენი მბრძანებელი კუიტლაუაკი წამოვიდა შენთან და დაე, მშვიდად განისვენოს! მან გაიარა ის გზა, რომლის გავლა ყველას მოგველის; მან მიაღწია მკვდართა სამეფოს, უკვდავ აჩრდილთა სამყოფელს. ის მიეცა ძილს, რასაც ამიერიდან ვერავინ დაურღვევს. მისი ხანმოკლე გარჯა დამთავრდა და ახლა იგი შენთან წამოვიდა მთელი თავისი ტანჯვითა და ცოდვებით. შენ გაასინჯე მას სიხარულით სავსე ფიალა, მაგრამ არ მიეცი დრო, ბოლომდე შეესვა იგი. ხელისუფალის დიდებამ მის თვალწინ მოჩვენებასავით გაიელვა, შენკენ მომართული ვედრებითა და ცრემლებით აიღო მან ეს ტვირთი და სიხარულითა და იმედით მოიშორა! ის წავიდა თავის წინაპრებთან და აღარ დაბრუნდება; ალი ნაცრად იქცა, ლამპარი - წყვდიადად. იმათ, რომლებიც მის გამეფებამდე მეწამული ფერის მანტიას ატარებდნენ, მანტიასთან ერთად გადასცეს მას ძალაუფლების მთელი სიმძიმე და ახლა მან სხვას დაუტოვა ის. მან ჭეშმარიტად მადლობა უნდა შემოგწიროს შენ, ბელადთა ბელადო, ვარსკვლავთმბრძანებელო, ყველაზე მაღლა მყოფო, ვინაიდან მოხსენი მას ძნელი ტვირთი, გაათავისუფლე ზრუნვისგან, ომის მაგივრად მშვიდობა მომადლე, შრომის ნაცვლად კი - მოსვენება. ოო, ღმერთო, იმედით გევედრებით შენ! აირჩიე ის, ვინც შეცვლის ჩვენს ცხოვრებას. აირჩიე ის, ვინც არ იცის შიში და ყოყმანი, უყვარს შრომა და არ იცის დაღლა, რათა უწინამძღვროს ჩვენს ხალხს, როგორც დედა წარუძღვება საკუთარ შვილებს. ოო, ბელადთა ბელადო! იყავ შენი შვილის, ჩვენი რჩეული კუაუტემოკის შემწყალე, დალოცე ის საგმირო საქმეებისთვის და მიეც ნება, ჩვენი ვედრების შესაბამისად დარჩეს ამქვეყნიურ ტახტზე სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. დაე, მტრები მტვრად იქცნენ მის ფეხქვეშ, დაე, ამაღლდეს მისი სახე-

ლი, დაე, განამტკიცოს მან რწმენა ღმერთებისადმი და თავისი სამეფო ძლიერება! გევედრები ჩვენი ხალხის სახელით; დაე, აღსრულდეს ღვთაებრივი ნება შენი!

როცა უზენაესმა ქურუმმა ლოცვა დაამთავრა, იმ ოთხთაგან ერთ-ერთი ამომრჩეველი წამოდგა და განაცხადა:

- ღვთის სახელითა და ანაუაკის ხალხის სურვილით, საიმპერატორო ტახტზე აგვყავხარ შენ, კუაუტემოკ! იცოცხლე დიდხანს, მართე სამართლიანად; დაე, მოი პოვო გამარჯვება მტრებზე, რომლებსაც ჩვენი მოსპობა უნდათ! გადაყარე ისინი ზღვაში! დიდება შენ, კუაუტემოკ, აცტეკთა და აცტეკების ქვეშევრდომი ყველა სხვა ტომის იმპერატორო!

- დიდება შენ, იმპერატორო კუაუტემოკ! - შესძახა დიდი საბჭოს სამასივე წევრმა, რაც ამ არჩევანის დადასტურებას ნიშნავდა.

უფლისწული წინ გამოვიდა და წარმოთქვა: - მისმინეთ თქვენ, მთავარო ამომრჩევლებო და თქვენც, უფლისწულებო, სამხედრო მეთაურებო, ბელადებო, დიდი საბჭოს წევრებო! ღმერთები არიან მოწმენი, როცა აქ მოვდიოდი, ფიქრადაც არ მქონდა, თუ თქვენს ასეთ მაღალ ნდობას დავიმსახურებდი. მარტო ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ტახტზე უარს ვიტყოდი, მაგრამ რაკი ანაუაკი მომიწოდებს, მე ვალდებული ვარ, მას დავემორჩილო. ჩვენი სამშობლო განსაცდელშია. მას სამკვდრო--სასიცოცხლო ომი ემუქრება. ვერ განვდგები განზე მაშინ, როცა ჩემი ხელი ძლიერია დარყტმისთვის, გონება კი სავსეა საბრძოლო გეგმებით! ამიერიდან, სანამ პირში სული მიდგას, სამშობლოს სამსახურსა და თეულებთან ბრძოლას მოვანდომებ. არ მოვისვენებ, სანამ ზღვებს იქიდან მოსულებს ისევ ზღვაში არ გადავყრი. არავინ იცის, რას გვიმზადებენ ღმერთები - გამარჯვე-

ბას თუ განადგურებას. მაგრამ, რაც არ უნდა გველოდეს, სიკ-ვდილი თუ დიდება, ყველამ ფიცი დავდოთ, რომ ჩვენი ქალაქე-ბის, ოჯახებისა და საკურთხევლების დასაცავად ვიბრძოლებთ თეულებისა და მათ მხარეზე გადასულ მოღალატეთა წინააღ-მდეგ მანამ, სანამ ჩვენს გულისცემას არ შეწყვეტს სიკვდილი, სანამ ჩვენი ქალაქები არ გადაიქცევა ცეცხლში გახვეულ ნან-გრევებად და საკურთხევლები არ შეიღებება იმათი სისხლით, ვინც მათ თაყვანს სცემს! თუ დაღუპვა გვიწერია, ჩვენ სახელს მომავალი თაობები გაიხსენებენ, ჩემო ხალხო, ჩემო ძმებო, დებთ თუ არა ფიცს?

- ვფიცავ! - ერთხმად უპასუხა ყველამ.

- სამუდამო შერცხვენა იმას, ვინც ამ ფიცს დაარღვევს! - წა-მოიძახა კუაუტემოკმა. ასე ავიდა თავისი წინაპრების ტახტზე ანაუაკის უკანასკნელი და ყველაზე დიდი იმპერატორი - კუაუტე-მოკი. საბედნიეროდ, მაშინ მან არ იცოდა, თეულების ხელიდან რა სამარცხვინო სიკვდილი ელოდა. მას წილად ერგო განწირუ-ლი ქვეყნის წინამძღოლის ხვედრი. ისედაც, რაც უფრო მაღლა დგას კაცი, მით უფრო ადვილია მისი დაღუპვა.

ცერემონიის დამთავრებისთანავე, სასწრაფოდ წავედი სასახ-ლეში, რათა ყველაფერი ოთომისთვის მეამბა. იგი ლოგინში დამხვდა.

- რა დაგემართა, ოთომი? - ვკითხე შეცბუნებულმა.

- ეჰ, ძვირფასო, ვგონებ სენი მეც შემეყარა, - მი პასუხა მან. - ახლოს არ მომეკარო... გთხოვ, არ მომეკარო! დაე, ქალებმა მო-მიარონ; ჩემი გულისთვის შენ არ უნდა გაწირო სიცოცხლე!

- დაწყნარდი, - ვუთხარი დაღონებულმა და მასთან მივედი. სამწუხაროდ, იგი არ შემცდარა... როგორც ექიმი, მაშინვე მივ-ხვდი, რაც სჭირდა.

მთელი ჩემი ცოდნა გამოვიყენე, რათა ოთომი გადამერჩინა. სამი კვირა არ მოვცილებივარ მის საწოლს. ჩემმა მონდომებამ შედეგი გამოიღო - მას სიცხე დაუვარდა და არც მშვენიერ სახეზე დარჩენია ყვავილის კვალი. რვა დღის მანძილზე განუწყვეტლივ ბორგავდა; ამ ხნის განმავლობაში გავიგე, რამდენად ღრმა იყო მისი ჩემდამი სიყვარული: გონმიხდილი სულ ჩემზე ლაპარაკობდა, აშინებდა, რომ მომბეზრდებოდა და მივატოვებდი; რომ თავისი ჯადოსნური თილისმით გამიტაცებდა ზღვისიქითა „ქალიშვილი - ყვავილი“. ასე ეძახდა იგი ლილის. ბოლოს, ოთომი მოსულიერდა.

- დიდხანს ვიყავი ავად? - მკითხა.

- საკმაოდ.

- შენ მართლა არ მომცილებიხარ მთელი ამ ხნის განმავლობაში?

- ჰო, ოთომი, მე გივლიდი.

- რად ხარ ჩემ მიმართ ასეთი კეთილი? - ჩაიჩურჩულა ოთომიმ. უცებ რაღაც საშინელმა აზრმა გაუელვა და წამოიყვირა: - სარკე! მომეცი ჩქარა სარკე!

შევუსრულე თხოვნა. ოთომიმ სარკე ხელიდან გამომტაცა და თავისი სახის ანარეკლს დააშტერდა; მერე დააგდო, სარეცელზე მიწვა და გახარებულმა წამოიძახა: - რომ იცოდე, როგორ მეშინოდა... როგორ მეშინოდა, არ დავმახინჯებულიყავი, როგორც სხვები, ვინც ეს ავადმყოფობა გადაიტანა! შემეშინდა, რომ აღარ გეყვარებოდი... მაშინ სიკვდილს ვამჯობინებდი!

- გრცხვენოდეს! - ვუსაყვედურე ოთომის. - ნუთუ ფიქრობ, ყვავილის რაღაც ბუგრები ჩემს სიყვარულს გააქარწყლებდა?!

- კი, ვფიქრობ, - მი პასუხა ოთომიმ. - ასეთია მამაკაცთა სიყვარული. მე სხვანაირად მიყვარხარ, ჩემო ქმარო, მაგრამ შენ, მე რომ სახეზე რაიმე მომსვლოდა, - ამაზე ფიქრიც კი მაშინებს, - მალე შეგძულდებოდი. არ ვიცი, შეიცვლებოდი თუ არა ასეთ შემთხვევაში იმ შორეული ქალიშვილის მიმართ, მაგრამ მე აუცილებლად შეგძულდებოდი. ეს მჯერა ისევე, როგორც ის, რომ შენს სიძულვილს მე ვერ გავუძლებდი. ნეტავ იცოდე, რა მადლობელი ვარ შენი, რომ გადამარჩინე!

მისი სიყვარულის ძლიერებით გაკვირვებულმა რამდენიმე ხნით მარტო დავტოვე. „ნუთუ, მართალს ამბობს? მამაკაცის გული ასეთი ფლიდი და უმადურია? რას ვიზამდი, ოთომი რომ მართლაც დამსგავსებოდა იმ საბრალო ქალებს, რომლებიც ახლა ტენოჩტიტლანის ქუჩებში იარებიანი - თმაგაცვენილნი, დაბრმავებულნი, თვალებზე ლიბრგადაკრულნი? ნუთუ მას ზურგს შევაქცევდი? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არც ახლა შემიძლია და მადლობა ღმერთს, რომ მაშინაც არ დამჭირვებია. ერთი რამ კი ცხადი იყო ჩემთვის, ოთომი არასდროს მიმატოვებდა, კეთროვანიც რომ ვყოფილიყავი.

ოთომი მალე სავსებით გამოჯანმრთელდა; რამდენიმე ხნის შემდეგ ტენოჩტიტლანში ყვავილის ეპიდემია შეწყდა.

ახლა ბევრი საქმე მქონდა; ჩემი მეგობრისა და ძმადნაფიცის, კუაუტემოკის იმპერატორად არჩევამ ერთბაშად ამამაღლა - მისი მთავარი მრჩეველი და ერთ-ერთი უმაღლესი სამხედრო მეთაური გავხდი, ამიტომ ძალ-ღონეს არ ვზოგავდი, რომ კუაუტემოკს ქალაქის დაცვაში დავხმარებოდი. დღედაღამ ვმუშაობდით. მე ჯარებს ვწვრთნიდი, განსაკუთრებით - ოთომის ტომთა რაზმებს, რომლებიც, დაპირებისამებრ, ოცი ათასი გამოცხადდა. ეს ჭეშმარიტად ჯოჯოხეთური შრომა იყო! მთიელებს წარ-

მოდგენა არ ჰქონდათ დისცი პლინასა და ერთიანობაზე, ურომლისოდაც მათ მრავალათასიან არმიას ფასი ეკარგებოდა. მეტოქეობა და შური თიშავდა სხვადასხვა ტომის ბელადებს და ყოველ საათში მიხდებოდა ამის წინააღმდეგ ბრძოლა, თუ არ ჩავთვლით იმ დაბოღმილ თვალებს, რომლითაც ყველანი მე მიყურებდნენ. აცტეკების ბევრმა ქვეშევრდომმა ტომმა არეულ--დარეულობით ისარგებლა, ზოგი ესპანელების მხარეზე გადავიდა, ზოგმაც სეირის ყურება ამჯობინა...

მიუხედავად ამისა, ჩვენ მუშაობას ვაგრძელებდით. ჯარები ევროპელთა წესისამებრ, ათასეულებად დავყავით და თითოეულ ნაწილს თავისი ბანაკი მივუჩინეთ. მეომრები ვაიძულე, იარაღის ხმარება ესწავლათ, ქალაქში სურსათსანოვაგეც შემოვზიდეთ, იმ შემთხვევისთვის, თუ ალყას შემოგვარტყამდნენ. შეძლებისდაგვარად, შევამცირეთ კიდეც უსარგებლო მჭამელთა რიცხვი. ტენოჩტიტლანში ჩემზე მეტად მხოლოდ ერთი კაცი შრომობდა, ეს იყო იმპერატორი კუაუტემოკი, რომელიც დღედაღამ არ ისვენებდა. მე შევეცადე, რომ დენთი დამემზადებინა, რისთვისაც ვულკან პოპოკატეპეტლიდან გოგირდი მოვატანინე, მაგრამ მისი შემადგენლობა ვერ დავადგინე და არაფერი გამომივიდა. ამასთან, დენთი რომც გვქონოდა, დიდად არ დაგვეხმარებოდა, რადგან არც ქვემეხები გვქონდა, არც არკებუზები და არც მათი დამზადება შეგვეძლო. თოფის წამლის გამოყენება მხოლოდ გზებისა და ჯებირების დასანაღმად და, აგრეთვე, პატრუქიანი ხელყუმბარების დასამზადებლად შეგვეძლო.

მშვიდობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მზვერავებმა ესპანელთა მოახლოების ცნობა მოგვიტანეს, მათ მოჰყვებოდა მოკავშირეების ურიცხვი რაზმი.

ძალიან მინდოდა, ოთომი გამეგზავნა თავის ხალხთან, სადაც მას საფრთხე არ ელოდა, მაგრამ მან ამაზე უარი მითხრა: - მე იქ ვიქნები, სადაც შენ, ჩემო ქმარო! ეს ჩემი მოვალეობაა. თუ შენ მოკვდები, არც მე მიწერია დიდი დღე. თეთრკანიანი ქალები თუ სხვაგვარად იქცევიან, ეს მათი საქმეა.

27

პირველად ქალაქი ისტაპალაპანი დაეცა. მისი მცხოვრებნი - კაცები, ქალები და ბავშვები - მახვილით გაჟლიტეს ან კოცონებზე ცოცხლად დაწვეს. მერე სხვა ქალაქების ჯერი დადგა. კორტესი მათ ერთი მეორის მიყოლებით იმორჩილებდა. თავისუფალი მხოლოდ ტენოჩტიტლანი იყო. ბევრი ქალაქი მტერს უბრძოლველად ჩაბარდა, რაც იმით აიხსნება, რომ სხვადასხვა ტომისგან შემდგარი აცტეკთა იმპერია უფრო მეტად ძნას ჰგავდა, ვიდრე ხეს. როცა ესპანე ლებმა იმპერატორის გავლენის შესუსტებით ძნის ულო გადაჭრეს, თავთავები აქეთ-იქით დაცვივდა. ამგვარად, რამდენადაც კუაუტემოკის ძალები მცირდებოდა, იმდენადვე იზრდებოდა კორტესის ძლიერება, ვინაიდან გაბნეულ თავთავებს იგი თავის კალათში აგროვებდა. როგორც კი ტენოჩტიტლანი გასაჭირში ჩავარდა, სხვა ტომებში მაშინვე გაიღვიძა ძველმა დაპირისპირებამ. ირგვლივ სიძულვილი, შური და გაუტანლობა ბატონობდა. გაავებული ადამიანები ეცნენ თავიანთ მბრძანებელს, რათა ნაკუწ-ნაკუწად დაეგლიჯათ ზუსტად ისე, როგორც ნახევრადმოშინაურებული მგლები ეძგერებიან მომთვინიერებელს, თუ მას მათრახი გადაუტყდება. სწორედ ასეთმა გარემოებამ დაღუპა ანაუაკი. ყველა ტომი რომ გაერ-

თიანებულიყო, ძველი მტრობა, მეტოქეობა დაევიწყებინათ და ესპანელებს ერთსულოვნად შებრძოლებოდნენ, ტენოჩტიტლანი არასოდეს დაეცემოდა, კორტესი კი თავისიანებთან ერთად სამსხვერპლოზე აღმოჩნდებოდა. დასაწყისშივე ვთქვი, რომ ბოროტება დაუსჯელი არ დარჩება, ვინც არ უნდა ჩაიდინოს იგი, ერთმა კაცმა თუ ერმა-მეთქი. ტენოჩტიტლანი დაინგრა ღმერთებისთვის მსხვერპლშეწირვის საშინელი წესის გამო, რომელმაც ტომთა შორის სიძულვილი წარმოშვა. კორტესამდე სულ ცოტა ხნის წინ, ანაუაკელებს ტყვეები ყველა დაპყრობილი ქალაქიდან მიჰყავდათ, რათა ისინი ტენოჩტიტლანის საკურთხევლებზე თავიანთი ღმერთებისთვის შეეწირათ, გვამები კი დასაგლეჯად ფანატიკოსებისთვის მიეგდოთ. ტენოჩტიტლანს მთელი ეს მხეცობა შეახსენეს. ახლა, როცა ქალაქთა მბრძანებლის ძალა შესუსტდა, მის წინააღმდეგ მსხვერპლშეწირულთა შვილები დაიძრნენ, რათა მიწის პირისგან აღეგავათ იგი და მისი შვილები საკუთარ საკურთხევლებზე დაედოთ.

ჩვენი თავგანწირული მცდელობის მიუხედავად, ქალაქის ბლოკადა დაიწყო. ჩვენი მოკავშირეები სასტიკად დამარცხდნენ, ზოგმაც გვიღალატა.

ტენოჩტიტლანზე შეტევა ზღვიდან და ხმელეთიდან ერთდროულად მოხდა. კორტესმა, ამ უშრეტი გამომგონებლობის ნიჭის კაცმა, ტლასკალაში ცამეტი საბრძოლო ბრიგანტინას აგება მოახერხა. ისინი მთებით, ოცი ლიგის მანძილიდან ნაწილ--ნაწილად ჩამოიტანეს, ბანაკში ააწყვეს და არხიდან ტბაში ჩაუშვეს, რის ამოთხრაზეც ათათასობით ინდიელი ორ თვეს მუშაობდა. გადმოტანისას ბრიგანტინებს ოცი ათასი ტლასკალანელი იცავდა. ჩემთვის რომ ნება მოეცათ, მტერს კლდეკარში დავესხმოდი, მით უმეტეს, რომ ამ აზრს კუაუტემოკიც იზიარებდა. მაგ-

რამ ჩვენ ცოტა მეომარი გვყავდა, ვინაიდან იძულებული გავ-ხდით, მეომართა ერთი ნაწილი ქალაქ ჩალკოში გადაგვესრო-ლა. აქაურებმა სამარცხვინოდ გვიღალატეს, მიუხედავად იმისა, რომ ანაუაკის მონათესავე ტომს ეკუთვნოდნენ. ასეთ ვითარება-ში სამხედრო საბჭოს შევთავაზე, ტლასკალანელთა წინააღმდეგ ჩემი ოცი ათასი მთიელი დაგვეძრა. ცხარე კამათი გაიმართა. უმრავლესობამ უარყო ჩემი წინადადება იმ მოტივით, რომ ქა-ლაქიდან ასეთ დიდ მანძილზე ესპანელებთან ან მათ მოკავში-რეებთან შებმა საშიშიაო. ასე გაუშვეს ხელიდან განუმეორებე-ლი შესაძლებლობა, რაც ტენოჩტიტლანის დაცემის ერთ-ერთი მიზეზი იყო. შემდეგში საბედისწერო როლი ითამაშეს სწორედ ბრიგანტინებმა, რომელთა საშუალებით ესპანელებმა ტბაზე ინ-დიელების ნავებს გზა გადაუჭრეს და ქალაქში სურსათ--სანოვაგის შემოზიდვა შეუძლებელი გახდა. ცნობილია, რომ შიმშილის წინაშე უმამაცესი ადამიანებიც კი უკან იხევენ! ინ-დიელები ამბობენ, შიმშილი - დიდი კაციაო!

ამგვარად, ანაუაკი მტრების წინააღმდეგ მარტო აღმოჩნდა და ბრძოლა დაიწყო. ესპანელებმა პირველად დაანგრიეს აკვენ-დუკი, რომლითაც ქალაქში სასმელი წყალი შემოდიოდა. აქე-დან მოყოლებული - ბლოკადის დამთავრებამდე, იძულებული ვიყავით, ტბისა და ნაჩქარევად ამოთხრილი ჭების ჭუჭყიანი და მლაშე წყლით გვესარგებლა. მისი დალევა მხოლოდ ადუღების შემდეგ შეიძლებოდა, მაგრამ მასში მაინც რჩებოდა მავნე ნივ-თიერებები, რაც კუჭის მწვავე აშლილობასა და ციებას იწვევდა.

როცა აკვედუკი გადაჭრეს, ოთომიმ იმშობიარა. ბლოკადის გამო ქალაქში დიდი გაჭირვება იყო, საჭმლის შოვნა კი - ძალი-ან ძნელი. ოთომი რომ უფრო სუსტი ქალი ყოფილიყო ან მე - ნაკლებ გამოცდილი ექიმი, საეჭვოა, მას მშობიარობა გადაეტა-

ნა. ჩემდა სასიხარულოდ, ოთომი გამოჯანმრთელდა და ახალშობილი ქრისტიანული ეკლესიის წესით თავად მოვნათლე, თუმცა მღვდელი სულაც არა ვარ. მას ჩემი სახელი - თომასი დავარქვი.

გააფთრებული ბრძოლები ცვალებადი წარმატებით გრძელდებოდა - ხან ქალაქის მისადგომებთან, ხან ტბაზე, ხან კიდევ პირდაპირ ქუჩებში. ესპანელები ზოგჯერ დიდი დანაკლისის გამო უკან იხევდნენ, მაგრამ შემდეგ ისევ ყველა მხრიდან გვიტევდნენ. ერთხელ ტყვედ ჩავიგდეთ სამოცი ესპანელი და ათასზე მეტი მათი მოკავშირე ინდიელი. ისინი მსხვერპლად მიიტანეს უიცილოპოჩტლის საკურთხეველზე, გვამები კი დასაგლეჯად ფანატიკოსებს გადაეცათ. აცტეკები მისდევდნენ ამ მხეცურ ადათს და ჭამდნენ თავიანთი ღმერთებისთვის მსხვერპლად მიტანილებს - არა იმიტომ, რომ მათ მოსწონდათ ადამიანის ხორცი, არამედ იმის გამო, რომ ასე მოითხოვდა მათი რელიგიური წესი.

ამაოდ ვევედრებოდი კუაუტემოკს, ამ საზიზღრობისთვის ბოლო მოეღო.

- ახლა მაგის დრო არაა! - ბრაზობდა იგი, - მე არ შემიძლია საკურთხევლისგან მათი ხსნა და რომც შემეძლოს, არც ვიხსნიდი. დაე, ეს ძაღლები ჩვენი ქვეყნის ადათით აღესრულონ! შენ კი, თეულო, ჩემო ძმაო, გირჩევ, ძალიან შორს ნუ შეტოპავ!

სამწუხაროდ, კუაუტემოკი დღითი დღე გულქვა ხდებოდა - არც იყო გასაკვირი. კორტესს ქალაქის დანგრევის მუხანათური გეგმა ჰქონდა: როგორც კი ესპანელები რომელიმე უბანს დაიკავებდნენ, ათასობით ტლასკალანელი ერთმანეთზე მიყოლებით წვავდა სახლებს, მის მობინადრეებთან ერთად. ბლოკადის დასასრულს, ტენოჩტიტლანი, ანაუაკის ქალაქთა მარგალიტი, ნანგრევებად იქცა. მე ყველა ბრძოლაში ვმონაწილეობდი,

თუმცა ამაში საამაყო არაფერი იყო. ესპანელები მცნობდნენ; დამინახავდნენ თუ არა, მაგინებდნენ, „გამცემს“, „მოღალატეს“, „კუაუტემოკის ძაღლს“ მეძახდნენ. კორტესს მისმა ჯაშუშებმა აცნობეს, რომ თუ კუაუტემოკი მათთან ბრძოლაში რაიმე წარმატებას აღწევდა, ყველაფერი ჩემი რჩევა-დარიგებით ხდებოდა. ამიტომ ჯილდოც კი დააწესა იმისთვის, ვინც მე ცოცხალს ან თუნდაც მკვდარს მიმგვრიდა. ვცდილობდი, ამისთვის ყურადღება არ მიმექცია, თუმცა მათი შეურაცხყოფა გულში ისარივით მესობოდა. მიუხედავად იმისა, რომ ესპანელები მძულდა, მიუხედავად იმისა, რომ აცტეკთა შორის ბევრი მეგობარი მყავდა, ჩემთვის, ქრისტიანი კაცისთვის, წარმართების მხარეზე ბრძოლა მაინც სამარცხვინოდ მეჩვენებოდა...

ესპანელებს არ ვემალებოდი, - მინდოდა, დე გარსია მეპოვა. ვიცოდი, ის აქ იყო; რამდენჯერმე კიდეც დავინახე, მაგრამ მასთან პირისპირ შებმა ვერაფრით მოვახერხე. ეტყობა, ისიც მითვალთვალებდა, ოღონდ მხოლოდ იმისთვის, რომ დროულად დამალულიყო, რადგან დე გარსიას ახლაც ისევე ეშინოდა ჩემი, როგორც ადრე. მას სჯეროდა, რომ ჩემთან შეხვედრა მისთვის საბედისწერო იქნებოდა.

ადათის თანახმად, დაპირისპირებულები ერთმანეთს იწვევდნენ ორთაბრძოლაში, რომელიც ყველას თვალწინ იმართებოდა და არც ერთი მხარე არ ერეოდა მასში. როცა საბოლოოდ დავკარგე დე გარსიასთან შეხვედრის იმედი, ესპანელებთან გავგზავნე მაცნე, რომელიც მათ შეატყობინებდა, რომ ორთაბრძოლაში ვიწვევდი კაცს, მეტსახელად - სარსედას. მალე მაცნემ ესპანურად დაწერილი პატარა ბარათი მომიტანა: „ქრისტიანი არ იკადრებს, დუელში გამოიწვიოს მოღალატე, თეთრკანიანი კერპთაყვანისმცემელი და კაციჭამია. ასეთებისთვის მხოლოდ

იარაღი და თოკი არსებობს, რომელიც დიდი ხანია, გელოდება შენ, თომას ვინგფილდ!“

გაცოფებულმა ბარათი ნაკუწ-ნაკუწ დავფლითე და ფეხით გავთელე. დე გარსიამ ჩემ მიმართ ჩადენილ ყველა ბოროტებას საზიზღარი ცილისწამებაც დაუმატა. ჩემი მცდელობა ამაო იყო, ვინაიდან ვერაფრით მოვახერხე მასთან ახლოს მისვლა. ერთხელ ოთომის ტომის ათი მეომრით ესპანელთა შუაგულში შევიჭერი, დე გარსიას რომ გავსწორებოდი. მე, როგორც იქნა, ცოცხალმა დავაღწიე თავი, ათი ოთომელი კი, ჩემი ახირების გამო დაიღუპა.

როცა სურსათი გაგვითავდა, არა მხოლოდ მამაკაცები, არამედ დასუსტებული ქალებიცა და ბავშვებიც ისეთ საჭმელს ჭამდნენ, როგორსაც ღორიც კი პირს არ დააკარებდა. მათთვის ყველაზე სანატრელი საკვები გახდა ბალახი, ხის ქერქი, ლოკოკონა, მწერი და კიდევ მსხვერპლად შეწირულ ტყვეთა ხორცი. ამავე დროს, ყველა ტბის მლაშე წყალს სვამდა.

ასობით და ათასობით ადამიანი კვდებოდა, მათ დამარხვას ვერ ასწრებდნენ. ისინი ეყარნენ ყველგან, სადაც სიკვდილი დაეწეოდათ. გვამები იხრწნებოდა, რის გამოც ქალაქს საშინელი ეპიდემია მოედო, რაც მუსრს ავლებდა მოსახლეობას. ამას გარდა, ესპანელებმა, ცეცხლითა და მახვილით სულ ცოტა, სამოცდათხუთმეტი ათასი კაცი მოკლეს!

ერთ საღამოს, როგორღაც მივაღწიე თავშესაფრამდე, სადაც, სასახლეების გადაწვის შემდეგ, იმყოფებოდნენ ოთომი და მისი და ჩეშუიშპო, კუაუტემოკის ცოლი. შიმშილით ფეხზე ძლივს ვიდექი. ოთომიმ სიმინდისა და დაფქული ხის ქერქის ნარევისგან გამომცხვარი ლავაში მომცა. მივხვდი, თვითონაც მშიერი იყო და ვაიძულე, ჩემთან ერთად გაეყო ეს მცირე ულუფა. ოთომი

მწარე ლავაშის ნატეხებს ძლივს ყლაპავდა და სახეზე ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები.

- რა მოხდა? - ვკითხე. ოთომი საშინლად აქვითინდა.

- ჩემო ძვირფასო, უკვე ორი დღეა, რაც ძუძუში ერთი წვეთი რძეც კი აღარ მაქვს. შიმშილმა სულ გამომიშრო... ჩვენი ბიჭუნა მოკვდა! შეხედე, იგი მოკვდა! - და ბავშვს საბანი გადახადა.

- ნუ ტირი, მან თავისი ტანჯვა მოათავა, - ვუთხარი მე. - ნუთუ გინდოდა, ის გაზრდილიყო და მოსწრებოდა ისეთ დღეებს, როგორიც ახლაა?

- კი მაგრამ, იგი ხომ ჩვენი შვილი, ჩვენი პირმშო იყო? ოჰ, რატომ გვარგუნა ბედმა ასეთი ტანჯვა?! - ქვითინებდა ოთომი.

- უნდა მოვითმინოთ, რადგან ტანჯვისთვის ვართ გაჩენილნი. იყავი ბედნიერი იმით, რომ ჭკუიდან კიდევ არ შევშლილვართ. არაფერი მკითხო, ვინაიდან პასუხის გაცემის თავიც არ მაქვს. ამაზე პასუხი არც შენს და არც ჩემს ღმერთს არ მოეპოვება, - ვუთხარი მას და მკვდარი ბავშვის დანახვაზე მეც ტირილი წამსკდა.

ამ საშინელი თვეების მანძილზე ყოველ საათში მიხდებოდა ასეთი შემაძრწუნებელი სურათის დანახვა, მაგრამ უმწეო ბავშვის ცხედარმა ყველაზე მეტად იმოქმედა ჩემზე. იგი ჩემი შვილი იყო, ჩემი ბიჭუნა, ჩემი სიყრმის შვილი! ვგრძნობდი, თითქოს მისი პაწაწინა თითები გულს მიღრღნიდა. ღმერთმა უწყის, საიდან პოულობს ადამიანი ძალას, ამგვარი ტანჯვის ასატანად, ან რისთვის ატყდება იგი თავზე; ასეა, ღვთის ნებას ჩვენ ვერ გავუგებთ!

ნიჩაბი წავიღე და სახლის ახლოს ორმოს ამოთხრა დავიწყე, სანამ წყლამდე არ დავედი - ტენოჩტიტლანში იგი სულ რაღაც ორი ფუტის სიღრმეზე იყო. პატარას ცხედართან ლოცვა წარმოვთქვი და წყალში ჩავუშვი, ზევიდან კი მიწა დავაყარე. რაც არ

უნდა იყოს, სხვებივით ძერების ნადავლი მაინც არ გახდება-- მეთქი, ვიფიქრე.

როდესაც შინ დავბრუნდი, მე და ოთომი ერთმანეთს გადავეხვიეთ და მანამდე ვიტირეთ, ვიდრე არ ჩაგვეძინა. ოღონდ ის ძილშიც ვერ ისვენებდა და ჩურჩულებდა: - ოჰ, ძვირფასო, რა კარგი იქნებოდა, რომ სამუდამოდ დაგვეძინებოდეს ჩვენს შვილთან ერთად...

- ცოტაც დაიცადე, სიკვდილი არც ისე შორსაა, - ვუპასუხე მე.

გათენდა. ისევ გაჩაღდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომელიც რამდენიმე დღეს გაგრძელდა. ხალხს სიკვდილი უმოწყალოდ ცელავდა. კუაუტემოკის წყალობით, რომელიც საკუთარ ულუფას გვიყოფდა, მე და ოთომი ჯერ კიდევ ცოცხლები ვიყავით. კორტესმა კაცები გამოგვიგზავნა და იარაღის დაყრა მოგვთხოვა. ქალაქის სამი მეოთხედი უკვე ნანგრევებად იქცა, ხოლო მის დამცველთა სამი მეოთხედი - ცხედრებად. ყველგან მკვდრები ეყარა, როგორც დახოცილი ფუტკრები - სკებში. ქუჩები ისე იყო გაჭედილი გვამებით, რომ მათზე გადაბიჯება გვიხდებოდა.

კორტესის მოთხოვნის განსახილველად საბჭო მოიწვიეს. შიმშილითა და ჭრილობებით გატანჯული, გამძინვარებული ერთი მუჭა ხალხი ხმას არ იღებდა.

- რას იტყვი შენ, კუაუტემოკ? - შეეკითხა ბოლოს ერთ-ერთი კუაუტემოკს.

- მე ხომ მონტესუმა არა ვარ, ასეთ შეკითხვას რომ მაძლევ, - უპასუხა გაბრაზებულმა. - მე ფიცი დავდე, ქალაქს ბოლომდე დავიცავ-მეთქი და კიდეც დავიცავ! სჯობს, დავიხოცოთ, ვიდრე ტყვედ ჩავუვარდეთ თეულებს!

- ჩვენ თანახმა ვართ! - წარმოთქვეს მრჩევლებმა და ბრძოლა განახლდა. მაგრამ დადგა ის დღეც, როცა ესპანელები კვლავ გადმოვიდნენ იერიშზე და ქალაქის კიდევ ერთი ნაწილი დაიკავეს. ხალხი ახლა უკანასკნელ უბნებში გაიჭედა, როგორც ცხვრები - ფარეხში. ჩვენ მათ დაცვას ვცდილობდით, მაგრამ შიმშილისგან დასუსტებულებს ძალა არ გვყოფნიდა. ესპანელთა ტყვიები მოცელილი ბალახივით აფენდა ჩიხში მომწყვდეულ აცტეკებს. ბოლოს, ესპანელებმა ტლასკალანელები მოგვისიეს. ისინი არავის ზოგავდნენ - ამ დღეს ორმოცი ათასი აცტეკი მოკლეს. ეს ტენოჩტიტლანის ბლოკადის დასასრული იყო.

კორტესმა ელჩის პირით შემოთვალა, კუაუტემოკთან შეხვედრა მინდაო, რაზეც უარი მიიღო. ვერაფერმა მოდრიკა ეს კეთილშობილი ადამიანი.

- გადაეცი კორტესს, რომ მასთან ლაპარაკს მირჩევნია მოვკვდე იქ, სადაც ვდგავარ, - უთხრა ელჩს იმპერატორმა, - ჩვენ უმწეონი ვართ, დაე, მოიქცეს ისე, როგორც სურს.

ქალაქი მთლიანად დანგრეული იყო და ისინი, რომლებიც ცოცხლები გადარჩნენ - კაცები, ქალები, ბავშვები, ჯებირზე ერთად შეიკრიბნენ, ზოგიც ნანგრევებს ამოეფარა. აქ ისევ მოიტანეს ჩვენზე იერიში.

უკანასკნელად დაიგრუხუნა დიდმა დოლმა თეოკალზე, უკანასკნელად ავარდა ცაში ინდიელ მეომართა ველური ყიჟინა. ჩვენ თავს ვიცავდით, რითაც შეგვეძლო. მე მშვილდ-ისრით ოთხი მოწინააღმდეგე მოვკალი. ისრებს მაწვდიდა ოთომი, რომელიც ერთი ნაბიჯითაც არ მშორდებოდა. ესპანელებმა მალე წყალთან მიგვიმწყვდიეს და იმდენი ადამიანი ჩაახრჩეს, რომ ყველა არხი მკვდრებით ამოივსო. როგორ გადავრჩით მე და ოთომი, დღესაც არ ვიცი.

და ბოლოს, ჩვენი პატარა ჯგუფი, რომელშიც კუაუტემოკი და მისი ცოლიც იყვნენ, აღმოჩნდა ტბის ნაპირზე, სადაც ნავები იდგა. დაუყოვნებლივ ჩავსხედით შიგ, თუმცა არც ვიცოდით, საით წავსულიყავით. მთელი ქალაქი მტერს ეკავა, მხოლოდ გაქცევით თუ ვუშველიდით თავს. მაგრამ ესპანელებმა ბრიგანტინებიდან შეამჩნიეს ნავები და უკან დაგვედევნენ. ზურგის ქარი უბერავდა - ამ ბრძოლაში ქარიც კი მტერს ეხმარებოდა! რა ძალითაც არ დავაწექით ნიჩბებს, ერთ-ერთი ბრიგანტინა მაინც დაგვეწია და სროლა აგვიტეხა. მაშინ კუაუტემოკი მთელი სიმაღლით წამოდგა ნავში და დაუყვირა ესპანელებს: - მე კუაუტემოკი ვარ! წამიყვანეთ მალინცინთან, ოღონდ, შეიბრალეთ დანარჩენები, რომლებიც ძლივს გადაურჩნენ სიკვდილს!

- აი, ჩემო ცოლო, ჩემი აღსასრულიც დადგა, - ვუთხარი გვერდით მჯდომ ოთომის - ესპანელები უეჭველად ჩამომახრჩობენ. სჯობს, თვითონ მოვიკლა თავი, ვიდრე ამათ ხელში სამარცხვინო სიკვდილით მოვკვდე.

- არა, ჩემო ქმარო, ამას ნუ ჩაიდენ, - ნაღვლიანად მი პასუხა ოთომიმ. - ერთხელ უკვე გითხარი, სანამ ცოცხალი ხარ, კიდევ არის იმედი-მეთქი, მკვდრებისთვის კი ყველაფერი დაკარგულია. გადარჩენისთვის უნდა ვიბრძოლოთ! შენ თუ სხვაგვარად ფიქრობ, მზად ვარ, შენთან ერთად მოვკვდე.

- შენ უნდა იცოცხლო, ოთომი!

- სიცოცხლისთვის უნდა იბრძოლო! ამიერიდან, სადაც შენ, იქაც მე!

- მომისმინე, ოთომი, - ჩავჩურჩულე მას, - არავის უთხრა, ჩემი ცოლი რომ ხარ. თავი შენი დის, ტეჩუიშპოს ახლობლად გაასაღე. იმ შემთხვევაში, თუ ერთმანეთი არ დავკარგეთ და გაქ-

ცევა მოვახერხეთ, ფიჭვთა ქალაქში ჩავიდეთ, შენი ხალხი თავ-შესაფერს მოგვცემს.

- კარგი, ჩემო ძვირფასო, - ჩაილაპარაკა მან. - მხოლოდ, არ ვიცი, როგორ მიმიღებს ოთომის ხალხი, მისი ოცი ათასი საუკეთესო შვილის დაღუპვის შემდეგ.

ამასობაში ბრიგანტინაზე აგვიყვანეს და პასუხის გაცემა ვეღარ მოვასწარი. ესპანელები ერთმანეთში რაღაცაზე დავობდნენ, მაგრამ მალე ნაპირზე გადმოგვსხეს და სასწაულად გადარჩენილი ერთადერთი სახლისკენ წაგვიყვანეს. ამალით გარშემორტყმული ესპანელთა ჯარის მეთაური ქუდმოხდილი შეგვხვდა; მის გვერდით მარიანა იდგა. მას შემდეგ, რაც იგი ტაბასკოში დავტოვე, კიდევ უფრო დამშვენებულიყო. ჩვენ შემთხვევით ერთმანეთს შევხედეთ. იგი მოულოდნელობისგან შეკრთა, აშკარა იყო, მიცნო, თუმცა ახლა მე, მის ძველ მეგობარ თეულს, იმდენად დატანჯული სახე მქონდა და ისეთი გასისხლიანებული ძონძები მეცვა, რომ ჩემი გამოცნობა არც თუ ისე ადვილი იყო. ერთმანეთისთვის სიტყვაც არ გვითქვამს. ამ მომენტში ყველა შესცქეროდა კორტესსა და კუაუტემოკს - გამარჯვებულსა და დამარცხებულს.

კუაუტემოკი ცოცხალ ჩონჩხს ჰგავდა, მაგრამ წინანდელივით სიამაყითა და კეთილშობილებით აღსავსე იყო. იგი ესპანელთა სარდალს მიუახლოვდა და დაელაპარაკა. მის სიტყვებს მარიანა თარგმნიდა: - მე იმპერატორი კუაუტემოკი ვარ, მალინცინო. მე ყველაფერი გავაკეთე, რის გაკეთებაც შემეძლო ჩემი ხალხის დასაცავად. შეხედე, რა შეგრჩა ხელში! - მიუთითა მან სულ ერთიანად გადაბუგულ ტენოჩტიტლანზე. - მაგრამ შენ მაჯობე, ვინაიდან თვით ღმერთები იყვნენ ჩემი წინააღმდეგი. რაც გინდა მიყავი, ყველაზე უკეთესი იქნება, თუ მომკლავ! აი, ეს, - კუაუტე-

მოკმა ხელი დაადო კორტესის ხანჯალს, - ერთბაშად გამათავი-სუფლებს ყველა ტანჯვისგან.

- ნუ შიშობ, კუაუტემოკ! - უპასუხა კორტესმა. - შენ იბრძოდი, როგორც მამაც მეომარს შეშვენის. ასეთ ადამიანებს პატივს ვცემ! ჩემთან არავითარი საფრთხე არ მოგელის, ვინაიდან ესპა-ნელები აფასებენ პატიოსან მოწინააღმდეგეს. ჯერ ჭამე! - კორ-ტესმა მიუთითა მაგიდაზე, რომელზედაც იდო ხორცი, რაც დიდი ხანი იყო, არ გვენახა და განაგრძო: - შენიანებიც დანაყრდნენ, ეს თქვენთვის აუცილებელია, მერე კი საქმეზე ვილაპარაკოთ.

ხარბად დავეძგერეთ საჭმელს. ვიფიქრე, სჯობს მაძღარი მოვკვდე, ვიდრე ცარიელი კუჭით-მეთქი. სანამ საჭმელს შევექ-ცეოდით, ესპანელები იქვე იდგნენ და ლამის სიბრალულით შე-მოგვყურებდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ, კორტესთან მოიყვანეს ტეჩუიშპო და ოთომი, აგრეთვე - ექვსი სხვა დიდგვაროვანი ქალი. მან ბრძანა, სასმელ-საჭმელი ამათაც მიეცითო. ამასობაში, ერთ-ერთი ესპა-ნელთაგანი გულდასმით მომაცქერდა და კორტესს რაღაც გა-დაუჩურჩულა. იგი ერთბაშად მოიღუშა.

- მითხარი ერთი, შენ ხარ ის გამცემი და მოღალატე, აცტე-კებს რომ ეხმარებოდი ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში? - მკითხა მან ესპანურად.

- მე გამცემი და მოღალატე არ ვარ, გენერალო, - ღვინითა და საჭმლით მოსულიერებულმა გაბედულად ვუპასუხე. - მე ინგლი-სელი გახლავარ და აცტეკების მხარეზე ვიბრძოდი იმიტომ, რომ ბევრი საბაბი მაქვს მძულდეთ თქვენ, ესპანელები.

- დაიცა, ამ წუთშივე გაგიჩენ კიდევ მეტ საბაბს, მოღალატევ! - ეი, ჩამოკიდეთ ეს კაცი ბრიგანტინის ანძაზე! - დაუყვირა ჯარის-კაცებს გაცოფებულმა კორტესმა. სიკვდილისთვის მოვემზადე.

მარიანამ კორტესს რაღაც უთხრა. მხოლოდ ორი სიტყვა გავიგე - „დამალული ოქრო“. კორტესი წამით შეყოყმანდა, მერე კი ხმამაღლა ბრძანა: - დაიცადეთ, მაგის ჩამოხრჩობას ყოველთვის მოვასწრებთ. კარგად უდარაჯეთ! ხვალ თავად გავარკვევ ყველაფერს!

28

ჯარისკაცებმა, რომლებსაც მივყავდი, უხეშად გადაიხარხარეს, ერთმა წიხლიც კი ჩამცხო. ოთომი დაიხარა და ხელი გამომიწოდა. სანამ წამოვდგებოდი, რამდენიმე სიტყვის თქმა მოვასწარით.

- მშვიდობით, ჩემო ცოლო! - ჩავჩურჩულე მას. - რაც არ უნდა მოხდეს, ხმა არ ამოიღო!

- მშვიდობით! - მი პასუხა ოთომიმ. - თუ შენ სიცოცხლე აღარ გიწერია, სიკვდილის კართან დამელოდე... მეც მალე მოგაკითხავ.

- არა, შენ უნდა იცოცხლო. იარებს დრო მოგიშუშებს...

- ძვირფასო, ჩემი სიცოცხლე შენა ხარ! უშენოდ ყოფნა არაფრად მიღირს!

ამასობაში ფეხზე წამოვდექი. დავრწმუნდი, ჩვენი ჩურჩული არავის გაუგია, რადგან ყველა კორტესს შესცქეროდა. იგი ლანძღავდა ჯარისკაცს, რომელმაც წიხლი ჩამარტყა.

- რა გიბრძანე შენ? - ბრაზობდა კორტესი. - გიბრძანე, ტყვეს უდარაჯე და არა, ჩექმა ჩასცხე-მეთქი! რატომ მარცხვენ ამ ველურებთან? თუ კიდევ განმეორდა მსგავსი რამ, ძვირად დაგიჯდება! ამ ქალისგან მაინც ისწავლე ზრდილობა. შეხედე, თვითონ

შიმშილისგან დასუსტებულია, მაგრამ წაქცეულ კაცს მიეშველა წამოდგომაში. შენ კი... წაიყვანეთ იგი ბანაკში და თვალყური ადევნეთ, რომ არაფერი დაუშავდეს! ის კიდევ გამომადგება!

უკმაყოფილო ჯარისკაცებმა ბუზღუნით გამიყვანეს. უკან მოხედვისას ოთომის ტანჯვით აღსავსე სახე დავინახე.

კიბეზე ჩასვლისას იქვე მდგომმა კუაუტემოკმა ხელი ჩამომართვა.

- მშვიდობით, ძმაო, - ჩაილაპარაკა მან ნაღვლიანად. - ჩვენ ბოლომდე ვიბრძოდით, რაც შეგვეძლო გავაკეთეთ, ახლა შეიძლება, დავისვენოთ. გმადლობ, დახმარებისა და მამაცობისთვის.

- მშვიდობით, კუაუტემოკ, - ვუპასუხე მე. - შენ დამარცხდი, მაგრამ ნუ წუხხარ! ეს დამარცხება უკვდავყოფს შენს სახელს.

- გაიარე, გაიარე! - დამაჩქარეს ჯარისკაცებმა და კუაუტემოკს დავშორდი. ჯარისკაცებმა ნავში ჩამსვეს, ტლასკალანელებმა ნიჩბებს დაავლეს ხელი და ტბის გავლით, ესპანელთა ბანაკში მიმიყვანეს. კორტესის შიშით ჩემი მცველები ცემას ვეღარ მიბედავდნენ, სამაგიეროდ, აბუჩად მიგდებდნენ. მეკითხებოდნენ, კარგია თუ არა კერპთაყვანისმცემლობა, როგორ ჭამდი ადამიანის ხორცს - უმად თუ შემწვარსო და სხვა ამისთანებს. დასაწყისში უხმოდ ვიტანდი დაცინვას, ვინაიდან აცტეკებმა მოთმინებას შემაჩვიეს. ბოლოს მაინც ვეღარ მოვითმინე და მოკლედ გავეცი შესაფერისი პასუხი: - ხმა გაიკმინდეთ, ლაჩრებო! მე რომ თქვენსავით მაძღარი და შეიარაღებული ვიყო, თქვენი მოსმენა არ მომიწევდა! ახლა კი მხოლოდ ჩემი უძლურებით სარგებლობთ!

ამის მერე ჯარისკაცებმა ხმა ჩაიწყვიტეს.

სანამ სატუსაღომდე მივიდოდით, გავიარეთ გამძვინვარებულ ტლასკალანელთა შორის, რომლებსაც კორტესის ეშინოდათ, თორემ შუაზე გამგლეჯდნენ. რამდენიმე ესპანელიც შემოგვხვდა, მაგრამ ისინი არავის და არაფერს ამჩნევდნენ, გახარებულები, ტენოჩტიტლანის აღებას აღნიშნავდნენ - ბრძოლა დამთავრებული იყო! არასოდეს მინახავს ადამიანები ამგვარ მდგომარეობაში, ნამდვილ გიჟებს ჰგავდნენ. უბედურებს ეგონათ, ამიერიდან მათ ჯარისკაცებს შეჭამანდს ოქროს ლანგარით მიართმევდნენ! ოქრო, რისთვისაც კორტესს გამოჰყვნენ და სამსხვერპლოებზე მოხვედრის რისკის ფასად ბრძოლებში მონაწილეობდნენ, მათი აზრით, უკვე ხელთ ჰქონდათ.

მე ჩამკეტეს ქვის სახლის ერთ-ერთ ოთახში, რომლის ფანჯრები ხის გისოსით იყო ამოჭედილი. აქედან ვხედავდი და მესმოდა, რას საქმიანობდნენ ჯარისკაცები. მთელ დღეებს და ღამის უმეტეს დროს, თუ საქმე არ ჰქონდათ, ლოთობდნენ და ფულზე თამაშობდნენ, რის გადახდასაც წაგებული აცტეკთა უამრავი სიმდიდრის საკუთარი წილისგან კისრულობდა. ახლა ესპანელებს არ აწუხებდათ წაგება, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ აცტეკების მთელი ქონება უკვე მათი იყო. თამაშს მხოლოდ მაშინ წყვეტდნენ, როდესაც მაგარი სასმელებისგან გონდაკარგულები მიწაზე ენარცხებოდნენ ანდა შეშლილებივით მცხუნვარე მზის ქვეშ ველურ ცეკვას იწყებდნენ და გაჰყვიროდნენ: - ოქრო! ოქრო! ოქრო!

ჩემი ფანჯრიდან ხანდახან ახალი ამბებიც მესმოდა. მაგალითად, გავიგე, ბანაკში მოვიდა კორტესი, რომელმაც თან მოიყვანა კუაუტემოკი და რამდენიმე წარჩინებული ინდიელი მამაკაცი და ქალი. თვითონ დავინახე, როგორ დაიწყეს ჯარისკაცებმა ფულის ნაცვლად ამ ქალებზე თამაში; მათ თავისებურ ნიშნებს ქა-

ღალდის ცალკე ფურცლებზე წერდნენ. ამ ნიშნების მიხედვით ერთ-ერთი ქალი ჩემს ცოლს, ოთომის მივამსგავსე. იგი რომელიღაც არამზადამ მოიგო და მაშინვე მეორეს 100 პესოდ მიჰყიდა. მათ ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ მათი იქნებოდა ყველაფერი - ოქროცა და ქალებიც.

დიდი ხანი გავატარე ციხეში და არავინ მაწუხებდა, გარდა ინდიელი ქალისა, რომელიც ოთახს მილაგებდა და საჭმელი მოჰქონდა. ამ დღეებში ჭამისა და ძილის მეტს არაფერს ვაკეთებდი. თავზე დატეხილმა უბედურებამ ჭამისა და ძილის მადა ვერ დამიკარგა. თვითონ არ მჯეროდა, მაგრამ კვირის ბოლოს საკმაოდ მოვიმატე წონაში. ძველებურ ჯანზე მოვედი...

იმ იმედით, რომ ოთომის ან კუაუტემოკს შორიდან მაინც დავინახავდი, ფანჯარას არ ვცილდებოდი, მაგრამ - ამაოდ. სამაგიეროდ, ერთ საღამოს სატუსაღოს წინ დე გარსია დავინახე. სახეზე მას ჯოჯოხეთური, მგლური ღიმილი დასთამაშებდა. ტანში ჟრუანტელმა დამიარა. დაახლოებით ათ წუთს იდგა ასე დე გარსია და ვიგრძენი, იგი ჩემი კარის გაღებას უცდიდა. სწორედ ამ დღეს მაწამეს.

სხვათა შორის, შევამჩნიე, რომ ჯარისკაცებს ხასიათი თანდათან გაუფუჭდათ. მათ თავი მიანებეს აცტეკების ქონებაზე ბანქოს თამაშს, წინანდებურად უკვე აღარ ლოთობდნენ და შმაგი მხიარულებაც შეწყვიტეს. ესპანელები ხშირად ჯგუფჯგუფად იკრიბებოდნენ და რაღაცაზე გაცხარებით კამათობდნენ. იმ დღეს, როცა დე გარსია ჩემს სატუსაღოსთან მოვიდა, დიდ მოედანზე, ჩემი ფანჯრის პირდაპირ, ჯარისკაცთა ბრბო შეგროვდა. მალე გამოჩნდა თეთრ ცხენზე შემჯდარი და საზეიმო ტანსაცმელში გამოწყობილი კორტესიც. მოედანი ისე შორს იყო, რომ არაფერი მესმოდა, მაგრამ ვხედავდი, როგორი გაბრაზებით საყვედურობ-

და მას რაღაცას რამდენიმე ოფიცერი და სხვებიც შეძახილებით მხარს უჭერდნენ. კორტესი მათ დიდხანს ელაპარაკებოდა. ბოლოს ყველანი დაიშალნენ.

მეორე დილით, ის-ის იყო, ვისაუზმე, რომ ჩემთან ოთხი ჯარისკაცი შემოვიდა და მიბრძანეს, მათ გავყოლოდი.

- საით? - შევეკითხე მე.

- კაპიტანთან, მოღალატევ! - მი პასუხა მათმა უფროსმა.

„აი, რაში ყოფილა საქმე“, გავიფიქრე გულში, ხმამაღლა კი წარმოვთქვი: - კეთილი. ამ ჯურღმულში ჯდომას ყველაფერი ჯობს!

- მჯერა, - გამომეხმაურა ჯარისკაცი. - მაგრამ შენთვის ეს უკანასკნელი გასეირნება იქნება.

ხუთი წუთის შემდეგ უკვე კორტესის წინ ვიდექი, მისსავე სახლში. მის გვერდით მარიანა იჯდა, ირგვლივ კი - რამდენიმე უახლოესი თანამებრძოლი. ესპანელთა მეთაურმა ერთხანს უსიტყვოდ მიცქირა, მერე ხმა ამოიღო: - შენი სახელი ვინგფილდია, შერეული სისხლის ხარ, ნახევრად ესპანელი, ნახევრად ინგლისელი. შენ გადმოხვედი მდინარე ტაბასკოს შესართავთან და იქიდან მეხიკოში მოხვდი. აქ გაიძულეს, აცტეკების ღმერთი ტესკატლი პოკა განგესახიერებინა. სიკვდილს გადაურჩი, როდესაც ჩვენ დიდი თეოკალი ავიღეთ. შემდეგ აცტეკებს შეუერთდი და მონაწილეობა მიიღე „მწუხარების ღამის“ სისხლისღვრაში. მერე კუაუტემოკის მეგობარი და მრჩეველი გახდი და ქალაქის დაცვაში ეხმარებოდი. მითხარი, ტყვეო, ეს მართალია?

- მართალია, გენერალო, - ვუპასუხე მე.

- კარგი. ახლა ტყვედ ჩაგვივარდი და ათასი სიცოცხლეც რომ გქონდეს, ვეღარაფერი გიშველის, რადგან უღალატე შენს რჯულსა და ხალხს. არ მსურს, გავარკვიო მიზეზები, რამაც აქამ-

დე მიგიყვანა; ჩემთვის მთავარი ფაქტებია! შენ მოკალი ბევრი ესპანელი და ჩვენი მოკავშირე, ვინგფილდ, დახოცე ისინი ვერაგულად, მუხანათურად და ამჟამად ჩემთვის მხოლოდ მკვლელი ხარ! შენ სიკვდილი გელის; როგორც მოღალატესა და მკრეხელს, ჩამოხრჩობას გისჯი!

- რაკი ასეა, სათქმელიც არაფერი მაქვს, - მშვიდად ვუპასუხე, თუმცა ძარღვებში სისხლი გამეყინა.

- არა გაქვს, - შემეპასუხა კორტესი. - მიუხედავად შენი დანაშაულისა, მზად ვარ, გაჩუქო სიცოცხლე და თავისუფლება. უფრო მეტიც, პირველი შესაძლებლობისთანავე გაგაგზავნო ევროპაში, იქ კი, თუ ღმერთმა ინება, იქნებ შეძლო შენი დანაშაულების დამალვა. მაგრამ ამისთვის ერთი პირობა უნდა შეასრულო. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მონაწილეობდი მონტესუმას ოქროს გადამალვაში, რომელიც „მწუხარების ღამეს“ მოგვპარეს. ნუ უარყოფ, ჩვენ ვიცით, რომ ეს ასეა, რადგან დაგინახეს, როცა განძით სავსე ნავში ჯდებოდი. ახლა კი არჩევანი შენზეა - ან ლაჩრული სიკვდილი, როგორც მოღალატეს ან განძის საიდუმლო ადგილის გამხელა!

წუთით შევყოყმანდი. გამყიდველობით შევინარჩუნებდი სიცოცხლეს, თავისუფლებასა და სამშობლოში დაბრუნების იმედს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საზარელი სიკვდილი მელოდა. მაგრამ უეცრად გამახსენდა ფიცი, ვიფიქრე, რას იტყვის ჩემზე ოთომი, მკვდარსა თუ ცოცხალზე, თუკი ფიცს ვუღალატებმეთქი და ჩემს ყოყმანსაც ბოლო მოეღო.

- არაფერი გამიგია ამ განძზე, გენერალო, - ცივად ჩავილაპარაკე. - შეგიძლიათ, მომკლათ.

- ესე იგი, არაფრის თქმა არ გსურს, მოღალატევ? მოიფიქრე! თუ რამე ფიცი მიეცი, ღმერთი გაგათავისუფლებს მისგან. აცტე-

კების სამეფო დამხობილია, მათი იმპერატორი ჩემი ტყვეა, მათი დედაქალაქი დანგრეულია. ჭეშმარიტმა ღმერთმა მომცა ძალა, დაწყევლილ კერპებს მოვრეოდი! მტრის ოქრო ჩემი კანონიერი ნადავლია და უნდა მივიღო იგი, რათა თანამებრძოლებს გავუნაწილო. კიდევ ერთხელ დაფიქრდი!

- არაფერი ვიცი ამ განძზე, გენერალო, - კვლავ გავიმეორე.

- მეხსიერება ხანდახან ღალატობს ადამიანებს. თუ შენც გიღალატა, მოკვდები, გამცემო, ამაში ეჭვი ნუ გეპარება. მაგრამ სიკვდილი ყოველთვის როდი მოდის სწრაფად! არსებობს მრავალი საშუალება, რომელთა შესახებ შენ, რასაკვირველია, გაგებული გექნება, რამდენადაც ესპანეთში ცხოვრობდი...

კორტესმა წარბები ასწია, მრავალმნიშვნელოვნად შემომხედა და განაგრძო: - ადამიანი კვდება, და მაინც განაგრძობს სიცოცხლეს თვეების მანძილზე. სამწუხაროდ, უნდა მივმართო ისეთ საშუალებებს, რომ მეხსიერება დაგიბრუნო, ვიდრე მოკვდები.

- თქვენს ხელში ვარ, გენერალო, - ვუპასუხე მე. - მოღალატეს მეძახით, მაგრამ მე არ ვარ მოღალატე. მე ინგლისის მეფის ქვეშევრდომი ვარ და არა ესპანეთისა. აქ გამოვეკიდე ერთ არამზადას, რომელმაც ჩემი ოჯახი გაამწარა. ის ერთ-ერთი თქვენი თანამებრძოლია, ვინმე დე გარსია, ანუ, როგორც თქვენ მას უწოდებთ, სარსედა. აცტეკებს შევუერთდი, რათა ის მომეძებნა და კიდევ სხვა მიზეზის გამოც. აცტეკები დამარცხდნენ და ახლა თქვენი ტყვე ვარ. მომეპყარით ისევე, როგორც პატიოსანი მეომრები ეპყრობიან მტერს. განძზე არაფერი ვიცი. მომკალით და ამით დავამთავროთ ყველაფერი!

- როგორც ადამიანი, მე იქნებ ასეც მოვქცეულიყავი, მაგრამ ახლა უბრალო ადამიანი არ ვარ. აქ, ანაუაკში, ეკლესიას წარ-

მოვადგენ! შენ კერპთაყვანისცემლებს მიემხრე; მშვიდად უცქერდი, როგორ სწირავდნენ თავიანთ ღმერთებს და სანსლავდნენ ქრისტიანებს, შენს ძმებს, შენი ველური მეგობრები. მარტო ამისთვის უნდა ეწამო სამუდამოდ და ეს უთუოდ ასეც იქნება. რაც შეეხება იდალგო დონ სარსედას, მას ვიცნობ, როგორც გაბედულ თანამებრძოლს და არ დავიჯერებ შენისთანა მკრეხელის მოჩმახულ არაკებს! თუ თქვენ შორის მართლაც იყო რაღაც მტრობა, შენს ადგილზე ყოფნას არ ვინატრებდი, - თქვა მან და თვალებში სიბრაზემ გაუელვა, - რადგან განზრახული მაქვს, მისი მზრუნველობის ქვეშ გადაგცე. უკანასკნელად გიმეორებ - აირჩიე! ან გვეტყვი, სად არის განძი და თავისუფლებას მიიღებ ან მიგანდობ დონ სარსედას, რომელიც შენი ენის ასახსნელ საშუალებას ი პოვის.

უცნაურმა სისუსტემ შემი პყრო, როდესაც წარმოვიდგინე, რომ წამება მელოდა და მწამებელი დე გარსია იქნებოდა. ვიცოდი, ამ სასტიკი ადამიანისგან არავითარი შეწყალების იმედი არ უნდა მქონოდა. მოსისხლე მტერი უვარდებოდა ხელში და, რა თქმა უნდა, გულს იჯერებდა! მაგრამ ჩემი შიში ისევ პატიოსნების გრძნობამ და ნებისყოფამ დაძლია და მას ვუპასუხე: - გენერალო, უკვე გითხარით, განძზე არაფერი ვიცი-მეთქი. ახლა შეგიძლიათ მაწამოთ, დაე, ღმერთმა გაპატიოთ ეს სისასტიკე!

- აჰ, მკრეხელო! ღვთის სახელის ხსენებას როგორ ბედავ, საბრალო კერპთაყვანისცემელო და კაციჭამიავ? დაუძახეთ სარსედას! - გასცა მან განკარგულება. სიჩუმე ჩამოვარდა. მარიანას შევხედე და მის თვალებში სიბრალული ამოვიკითხე. მაგრამ მას ჩემი შველა არ შეეძლო. კორტესი გააფთრებული იყო. აქამდე ვერ შეძლო ოქროს პოვნა. ჯარისკაცები კი გასამრჯელოს მოითხოვდნენ. სწორედ აჯანყების შიშმა აიძულა იგი,

ასეთი სამარცხვინო გზისთვის მიემართა. თუმცა, ბუნებით არც ისე სასტიკი იყო.

მიუხედავად ამისა, მარიანამ ჩემი დახმარება სცადა. რამდენიმე ხანს კორტესი მის აღელვებულ ჩურჩულს ისმენდა, მაგრამ მერე უხეშად ჰკრა ხელი და მოაყოლა: - გაჩუმდი, მარიანა! ნუთუ ფიქრობ, დავინდობ ამ ინგლისელ ძაღლს, როდესაც ჩემი ძალაუფლება და, შესაძლებელია, სიცოცხლეც დამოკიდებულია იმაზე, ი პოვიან თუ არა განძს?! მან იცის, სად არის იგი დამალული. შენ თვითონ მითხარი, როდესაც მისი ჩამოხრჩობა მინდოდა. ჯაშუშიც, ცხადია, არ შემცდარა. მან ხომ იგი ტბაზე დაინახა! მათთან იყო ერთი ჩვენი მეგობარიც, მაგრამ ის არ დაბრუნებულა, - ეტყობა, ამათ მოკლეს. რატომ ესარჩლები ამ კაცს? თავი დამანებე, ისედაც უამრავი საზრუნავი მაქვს!

კორტესმა სახეზე ხელები აიფარა და უსიხარულო ფიქრებს მიეცა. მარიანამ სევდიანად გადმომხედა, თითქოს უნდოდა ეთქვა: „მე გავაკეთე ყველაფერი, რაც შემეძლოო“. მადლობა მას თვალებით გადავუხადე.

გაისმა ნაბიჯების ხმა. როცა თავი ავწიე, ჩემ წინ დე გარსია იდგა. დროსა და გაჭირვებას თითქმის არ შეეცვალა იგი. წაწვეტებულ წვერსა და ხუჭუჭ თმებში ვერცხლისფერი შეპარვოდა, რაც მხოლოდ ღირსებას მატებდა ჩემი მტრის ზვიად გარეგნობას. როდესაც ეს ოქროს ძეწკვებით მორთული, ძვირფას ტანსაცმელში გამოწყობილი ლამაზი ესპანელი ქუდის მოხდით მიესალმა კორტესს, არ შემეძლო არ მეღიარებინა, რომ არასოდეს მინახავს ასეთი ბრწყინვალე კავალერი, რომლის მომხიბვლელობა ასე ოსტატურად მალავდეს მის შავბნელ გულს. მე ყველაზე კარგად ვიცოდი, იგი რასაც წარმოადგენდა და მის დანახვაზე სიბრაზისგან სისხლი თავში ამივარდა. მაგრამ, როცა

მომაგონდა საკუთარი უძლურება და ის, რა დავალებაც უნდა მიეღო მას ახლა, კბილები გავაკრაჭუნე და ჩემი დაბადება დავწყევლე. რაც შეეხება დე გარსიას, იგი სასტიკი ღიმილით ნაჩქარევად მომესალმა და კორტესს მიმართა: - თქვენ მეძახდით, გენერალო?

- გამარჯობა, მეგობარო, - გამოეხმაურა კორტესი, - იცნობთ ამ მოღალატეს?

- მეტისმეტადაც, გენერალო; მან სამჯერ სცადა ჩემი მოკვლა.

- რას იზამ, მან ეს ვერ შეძლო, ახლა კი თქვენი ჯერი დადგა, სარსედა. ჰო, ის ამბობს, ერთმანეთში მტრობა გვაქვსო. რაშია საქმე?

დე გარსია შეყოყმანდა. წაწვეტებულ წვერზე ხელი გადაისვა და უპასუხა: - არ მინდოდა ამაზე ლაპარაკი, რადგან ეს ამბავი სინანულსა და ტკივილს მაყენებს, მაგრამ მაინც გეტყვით, რათა ჩემზე არ იფიქროთ უფრო ცუდად, ვიდრე ამას ვიმსახურებ. ამ კაცს აქვს საფუძველი, მტრად მიგულოს. გულახდილად გეტყვით: როდესაც ახალგაზრდა ვიყავი და ფუქსავატივით ვიქცეოდი, ინგლისში შევხვდი მის დედას, ლამაზ ესპანელ ქალს. მისდა საუბედუროდ, იგი ცოლად გაჰყოლოდა ამ ჯეელის მამას, სოფლის ხეპრეს, ბოროტ ლაზღანდარას, რომელიც მას ტანჯავდა. მოკლედ, ქალს შევუყვარდი და დუელში მისი ქმარი მოვკალი. აი, რატომ ვძულვარ ამ მოღალატეს.

სანამ დე გარსია ლაპარაკობდა, მეგონა, ბოღმისგან გული გამისკდებოდა. ყველა თავისი ბოროტმოქმედებასა და შეურაცხყოფას კიდევ ერთი მიუმატა: ჩირქი მოსცხო განსვენებული დედაჩემის პატიოსან სახელს!

- ცრუობ, მკვლელო! - დავუყვირე მას და თან თოკებისგან გათავისუფლებას ვცდილობდი. - შენ ცრუობ!

- გთხოვთ, გენერალო, დამიცვათ ამგვარი შეურაცხყოფისგან, - მშვიდად ჩაილაპარაკა დე გარსიამ. - ტყვე რომ ღირსი იყოს, დროებით მის გაშვებას გთხოვდით და დუელში გამოვიწვევდი. მაგრამ ასეთებზე ვერ გავსვრი ჩემს მახვილს. ჩემთვის საკუთარი პატიოსნება უფრო ძვირფასია.

- თუ კიდევ გაბედავ ესპანელი აზნაურის შეურაცხყოფას, - ცივად წარმოთქვა კორტესმა, - გახურებული მარწუხით ამოგგლეჯენ მაგ საძაგელ ენას, წყეულო ერეტიკოსო! თქვენ კი, სარსედა, მადლობას გიხდით გულახდილობისთვის. თუ ამ სასიყვარულო ამბის გარდა, სხვა ცოდვები არ მიგიძღვით, ვფიქრობ, ჩვენი კეთილი კაპელანი ოლმედო გიხსნით სალხინებლის ალისგან, მაგრამ დროს ტყუილად ვკარგავთ. ამ კაცმა იცის კუაუტემოკისა და მონტესუმას განძის საი დუმლო. თუ კუაუტემოკი და მისი ახლობლები არაფერს იტყვიან, მაშინ იძულებით უნდა ავალაპარაკოთ ეს თეთრკანიანი წარმართი. მხოლოდ ინდიელებს შესწევთ ძალა, უხმოდ გადაიტანონ ყოველგვარი წამება, ამას კი ადვილად გაეხსნება ენა! წაიყვანეთ, სარსედა, და განსაკუთრებული „მზრუნველობა“ არ მოაკლოთ. ჯერ სხვებთან ერთად აწამეთ, თუ ვერაფერს ათქმევინებთ, ცალკე გაიყვანეთ. როგორც გინდათ, ისე აწამეთ. როცა გამოტყდება, შემატყობინეთ.

- ბოდიშს ვიხდი, გენერალო, ეს ესპანელი აზნაურისთვის შეუფერებელი საქმეა! დაჩვეული ვარ ჩემი მტრების მახვილით განგმირვას და არა, მათ დაგლეჯას მარწუხებით, - შეეპასუხა ვითომდა განაწყენებული დე გარსია. თუმცა შევამჩნიე, სიხარულისგან როგორ გაუბრწყინდა ღვარძლიანი შავი თვალები.

- ვიცი, მეგობარო, - უპასუხა კორტესმა. - მაგრამ რა ვქნა? თვითონაც არ მომწონს ეს საქმე. სამწუხაროდ, სხვა გამოსავალი არაა. ოქრო! ოქრო! ღმერთო ჩემო, ჯარისკაცები უკვე გაჰ-

ყვირიან, რომ იგი მე მივითვისე. შეჩვენებულ ინდიელებს, ალბათ, სიტყვაც არ დასცდებათ წამებითაც კი. სამაგიეროდ, ამ კაცმა იცის ყველაფერი და სპეციალურად გაბარებთ, არ დაინდოთ! გახსოვდეთ, მან უნდა ილაპარაკოს!

- თქვენ მიბრძანეთ კორტეს და, თუმცა არ ვარ ჩვეული ამნაირ საქმეს, გემორჩილებით; ოღონდ ერთი პირობით: მომეცით წერილობითი ბრძანება.

- მას დაუყოვნებლივ მიიღებთ, - უპასუხა კორტესმა. - მანამდე გაგზავნეთ ტყვე!

- სად?

- დილეგში, სადაც იჯდა. ყველაფერი მზადაა. იქ თავის მეგობრებს შეხვდება. შემოვიდნენ ჯარისკაცები და წამიყვანეს. ოთახიდან გასვლისას დე გარსიამ მოგვაძახა, მალე დაგეწევითო.

29

კარი გაიღო და საგუშაგოში საშინელი შესახედაობის ორი ტლასკალანელი შემოვიდა. მათ ყურებსა და თმებში უხეშად მტაცეს ხელი და ოთახში წამათრიეს. ამ დროს გავიგონე, როგორ უთხრა ერთმა ესპანელმა მეორეს: - საწყალი! მკრეხელია იგი თუ არა, მაინც მებრალება. ოო, ეს წყეული სამსახური! ჩვენს უკან კარი მიიხურა და აღმოვჩნდი წამების საკანში, რომელსაც ნაკვერცხლები ოდნავ ანათებდა. ოთახის შუაში სამი უხეშად ნაკეთები ხის სავარძელი იდგა. ერთი ცარიელი იყო, ორში აცტეკთა იმპერატორი კუაუტემოკი და ჩემი ძველი ნაცნობი, ტაკუბის ბელადი ისხდნენ. სავარძლების უკან სამელნითა და ქაღალდით მწერალი მოკალათებულიყო. ტყვეების ირგვლივ ფუსფუსებ-

დნენ საზარელი საქმით გართული ტლასკალანელები, რომელთაც ორი ესპანელი ჯარისკაცი ხელმძღვანელობდა. ცარიელი სავარძლის წინ იდგა დე გარსია, რომელსაც თავი ისე ეჭირა, თითქოს არ მონაწილეობდა იმაში, რაც გარშემო ხდებოდა.

უცებ ერთ-ერთმა ტლასკალანელმა ტაკუბის ბელადს შიშველ ფეხში ხელი სტაცა და გავარვარებულ ტაფაზე დაადებინა. რამდენიმე წამს სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, მერე ტაკუბის ბელადმა ყრუდ დაიკვნესა. კუაუტემოკი მისკენ მიბრუნდა. იგი მხოლოდ მაშინ შევამჩნიე, როდესაც ფეხი აგიზგიზებულ ნაკვერცხალზე დაადებინეს.

- რას უჩივი, მეგობარო? - დაილაპარაკა მან მტკიცე ხმით. - მეც ვიტანჯები, მაგრამ ვდუმვარ. გირჩევ, ნუ გამოამჟღავნებ შენს ტანჯვას.

გავიგონე, როგორ აწრი პინდა კალამი ქაღალდზე: მწერალმა კუაუტემოკის სიტყვები ჩაიწერა. ამასობაში, იმპერატორმა ჩემკენ მოიხედა და დამინახა. ტკივილებისგან სახეზე ტყვიისფერი დასდებოდა, მაგრამ ისეთივე აუჩქარებელი, მკაფიო ხმით დამელაპარაკა, თითქოს დიდ საბჭოზე ვყოფილიყავით.

- როგორ, შენც აქ ხარ, ჩემო მეგობარო თეულო? - მითხრა კუაუტემოკმა. - მეგონა, შენ მაინც შეგიბრალებდნენ. ახლა თვითონ ხედავ, რას ნიშნავს ესპანელების ნდობა. მალინცინმა შემომფიცა, პატივისცემით მოგეპყრობიო და აი, როგორ მცემს პატივს, გავარვარებული ნაკვერცხლებითა და გახურებული მარწუხებით. ისინი ფიქრობენ, ჩვენ დავმალეთ განძი და ამიტომაც გვაწამებენ. მაგრამ ხომ იცი, ეს არ არის მართალი. განძი ჩვენ რომ გვქონდეს, განა თვითონ არ გადავცემდით გამარჯვებულებს, კეცალკოატლის ღვთაებრივ შვილებს?! შენც იცი, გარდა

ქალაქების ნანგრევებისა და ახლობელთა გვამებისა, ჩვენ არაფერი დაგვრჩა.

- ჩუმად, ძაღლო! - შეაწყვეტინა მას ერთ-ერთმა ჯალათმა და სახეში გაარტყა, მაგრამ სათქმელს მივუხვდი. დავიფიცე, უმალ მოვკვდებოდი, ვიდრე ჩემი თანამოძმის საიდუმლოს გავამჟღავნებდი. კუაუტემოკი იმით მაინც გაიმარჯვებდა ხარბ ესპანელებზე, რომ რისთვისაც ისინი თავებს იხოცავდნენ, იმას მაინც ვერ მიიღებდნენ. ეს იყო მისი უკანასკნელი ბრძოლა, სადაც მეც ვმონაწილეობდი!

დე გარსიას ბრძანებით, ტლასკალანელებმა ხელი მტაცეს და მესამე სავარძელს მიმაკრეს. შემდეგ იგი დაიხარა ჩემს ყურთან და ესპანურად მითხრა: - ღვთის ზრახვანი მიუწვდომელია, ბიძაშვილო ვინგფილდ! ჩემზე ნადირობაში მთელი ქვეყანა მოიარე, არა ერთხელ შევხვდით ერთმანეთს, რომელიც ყოველთვის შენდა სავალალოდ დამთავრდა. მეგონა, მონათა ხომალდზე მოგიღებდი ბოლოს ან ზღვაში ზვიგენები შეგჭამდნენ, მაგრამ როგორღაც მუდამ ახერხებდი, ჩემო მდევარო, თავის დაღწევას. ამჯერად ვეღარსად წამიხვალ, ვინგფილდ! იმედი მაქვს, რამდენიმე სასიამოვნო დღეს გავატარებთ ერთად, სანამ ერთმანეთს სამუდამოდ დავშორდებოდეთ. მე თავაზიანად მოგეპყრობი. თვითონ აირჩიე, რით დავიწყოთ. სამწუხაროდ, არჩევანი ისე ფართო არ არის, როგორიც მსურს. წმინდა ინკვიზიცია ჯერ კიდევ არ ჩამოსულა თავისი ლმობიერი იარაღებით, მაგრამ შევარჩიე, რაც შესაძლებელი იყო. ამ ველურებს თავისი საქმის არაფერი გაეგებათ. მათი გონება ცხელ ნაკვერცხალს არ სცილდება. მე კი, როგორც ხედავ, მეტი ფანტაზია მაქვს, - დე გარსიამ წამების სხვადასხვა იარაღზე მიმანიშნა - მაშ, ასე, აირჩიე, რა უფრო მოგწონს.

პასუხი არ გამიცია. გადავწყვიტე, კრინტი არ დამეძრა, რაც უნდათ, ის მიქნანმეთქი.

- ახლავე მოვიფიქრებთ, ყველაფერს მოვიფიქრებთ, - განაგრძო დე გარსიამ და თან წვერი მოიწიწკნა. - აი, ესეც! ეი, მონებო, მოდით აქ!

არ მინდა, აღვწერო ჩემი ტანჯვა, რათა მკითხველი არ შევაძრწუნო. საკმარისია ვთქვა, რომ ამ სატანამ, ტლასკალანელთა დახმარებით, ორ საათზე მეტხანს მაწამა - ყველა საშუალებით, თანაც ამ საქმეში დაუშრეტელი გამომგონებლობა და არაჩვეულებრივი ნიჭი გამოამჟღავნა. როცა დროდადრო გრძნობას ვკარგავდი, გონზე მოსასვლელად პირში ცივ წყალსა და არაყს მასხამდნენ. მიუხედავად ამისა, სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ ერთხელაც არ დამიკვნესია და ერთი სიტყვაც არ წამომცდენია.

მე მარტო ფიზიკურ ტკივილებს როდი განვიცდიდი. მტრის დაცინვა და მასხრად აგდება ჩემს სულს უფრო ტანჯავდა, ვიდრე წამების იარაღები და ცხელი ნაკვერცხლები - ჩემს სხეულს. ბოლოს დე გარსიას არაქათი გამოელია, ინგლისური ღორი მიწოდა და წამება შეაჩერა. ამ დროს სისხლით მოსვრილ ოთახში შემოვიდა კორტესი, მას მარიანაც შემოჰყვა.

- როგორ არის საქმე? - მშვიდად იკითხა კორტესმა, თუმცა ამ საშინელების დანახვაზე გაფითრდა.

- ტაკუბის ბელადი გამოტყდა, რომ ოქრო მის ბაღშია დამალული, - უპასუხა მწერალმა. - დანარჩენი ორი ხმას არ იღებს, გენერალო.

გავიგონე, როგორ წაიბუტბუტა თავისთვის კორტესმა: - ეს რა ხალხია! ნამდვილად რკინის ადამიანები არიან...

შემდეგ ხმამაღლა ბრძანა: - წაიყვანეთ ბელადი იმ ბაღში. გვიჩვენოს, სად არის ოქრო. ამ ორს კი დღეს თავი დაანებეთ; იქნებ, ამაღამ საკუთარი კეთილდღეობისთვის მოვიდნენ ჭკუაზე!

კორტესმა მოშორებულ კუთხეში სარსედასა და სხვა ჯალათებთან თათბირი დაიწყო. ჩემსა და კუაუტემოკის წინ მარტო მარიანა დარჩა. რამდენიმე ხანს იგი კუაუტემოკს თითქმის შეშინებული უცქერდა, მერე რაღაც უცნაურმა ნაპერწკალმა გაიელვა მის ლამაზ თვალებში და მას აცტეკურ ენაზე ჩუმად მიმართა: - გახსოვს, კუაუტემოკ, როგორ მომიცილე თავიდან იქ, ტაბასკოში; რა გითხარი მაშინ? გითხარი, შენი სურვილის წინააღმდეგ და შენს დაუხმარებლად ავმაღლდები-მეთქი. ხედავ, ყველაფერი აღსრულდა. მეტიც, ხომ უყურებ, რა მდგომარეობამდე მიხვედი! მითხარი, არ ნანობ იმ შორეულ დღეზე, კუაუტემოკ? მე, ჩემი მხრივ, ვნანობ, თუმცა სხვა ქალს ჩემ ადგილზე უსათუოდ გაუხარდებოდა, ასეთ უბედურებაში რომ ენახე.

- დედაკაცო, - უპასუხა კუაუტემოკმა ჩახლეჩილი ხმით, - შენ უღალატე საკუთარ ხალხს, დაამცირე და გაანადგურე. დიახ, შენ რომ არ ყოფილიყავი, ალბათ, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა. დიახ, ვნანობ, ვნანობ იმას, რომ მაშინვე არ მოგკალი. დაე, შენი სახელი დარჩეს სამარცხვინო გინებად ყოველი პატიოსანი კაცისთვის და სამუდამოდ წარწყმდეს იმქვეყნად! დაე, სიცოცხლეშივე გაიგო საშინელი ღალატისა და დამცირების გემო! შენი წინასწარმეტყველება აღსრულდა, დედაკაცო, მაგრამ ჩემიც აღსრულდება!

მარიანა აკანკალდა, მიბრუნდა და კარგახანს ხმა ვერ ამოიღო. უეცრად ინდიელი ქალის თვალები ჩემზე შეჩერდა და ცრემლებიც გადმოსცვივდა.

- ჩემო მეგობარო... საბრალო, საბრალო... - წაიბუტბუტა მან.

- ნუ დამტირი, მარიანა, - ვუთხარი მე აცტეკურად. - რა აზრი აქვს შენს ცრემლებს; თუ შეგიძლია, სჯობს, დამეხმარო!

- ოო, ნეტავ შემეძლოს! - წამოიძახა მან და დილეგიდან ტირილით გავარდა. კორტესი უკან გაჰყვა.

ესპანელები ისევ მოგვიახლოვდნენ. მათ ხელით გაიყვანეს კუაუტემოკი და ტაკუბის ბელადი. ერთს ფეხზე დგომა აღარ შეეძლო, მეორე კი საერთოდ გონწასული იყო.

- მშვიდობით, თეულო! - მითხრა კუაუტემოკმა, როცა ჩემ ახლოს გაატარეს, - შენ ჭეშმარიტად კეთილშობილი ადამიანი ხარ, ნამდვილი შვილი კეცალკოატლისა. დაე, ღმერთებმა მოგიზღონ სამაგიერო, რაც ჩემთვის და ჩემი ხალხისთვის გადაიტანე, რადგან მე თვითონ ვეღარასდროს დაგაჯილდოვებ!

ტლასკალანელთა და დე გარსიას პირისპირ მარტო დავრჩი. მან ჩემი დაცინვა გააგრძელა: - რაო, ჩემო მეგობარო ვინგფილდ, ცოტა ხომ არ დაიღალე? არაუშავს, ყველაფერი შეჩვევის საქმეა! თამაში მხოლოდ დასაწყისშია ძნელი. ღამით ძილი მოგაღონიერებს, დილით სრულიად ახალი ადამიანი ადგები. შენ, ალბათ, გგონია, ყველაფერი განვლილია და მეტს ვეღარაფერს მოვიგონებ?! ბრიყვო, ეს მხოლოდ დასაწყისია. შენ, ცხადია ფიქრობ, შენი სიჯიუტე მაბრაზებს, მაგრამ ცდები! ღმერთს ვევედრები, შენ ენა არ ამოგადგმევინოს, მეგობარო! მზად ვარ, უარი ვთქვა დამალული ოქროს ჩემს წილზე, ოღონდ შენთან კიდევ ორი ამნაირი დღე გავატარო! ბედმა გამიღიმა, რომ სამაგიეროს გადახდის საშუალება მომეცა. როდესაც გადავწყვიტე, შური მეძია მამაშენზე, მოვუკალი ის, ვინც უყვარდა. ახლა კი შენი ჯერი დადგა. შენ, რასაკვირველია, ვერ ხვდები, რაზეა ლაპარაკი?! კარგი, გეტყვი: იქნებ, იცნობ ერთ დიდგვაროვან ინდიელ ქალს, სამეფო გვარის ჩამომავალს, სახელად ოთომის?

- ოთომი? რა მოუვიდა? - პირველად ამოვიღე ხმა.

- ოო, რა წარმატებაა! როგორც იქნა, აგალაპარაკე, ხვალ კი ბულბულივით აჭიკჭიკდები! საშუალება კი მარტივია: ოთომი, მონტესუმას ასული, თანაც მეტად სასიამოვნო ბანოვანი, ინდიელთა ადათის თანახმად, შენი ცოლი გახდა, ვინგფილდ; თქვენი ამბავი ვიცი. ამჟამად იგი ჩემ ხელშია. ახლა მასაც აქ მოიყვანენ. აბა, ანუგეშეთ ერთმანეთი. ხვალიდან შენ თვალწინ გადაიტანს იმას, რაც აქ თვითონ გამოსცადე. გესმის, ქოფაკო! ოო, მაშინ კი ალაპარაკდები! ყველაფერს იტყვი, მხოლოდ ვშიშობ, ძალიან გვიანი არ იყოს!

მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად ვიგრძენი თავი უღონოდ და ჩემს მოსისხლე მტერს შეწყალება ვთხოვე.

- შეიბრალე იგი! - ვკვნესოდი მე. - რაც გინდა მიყავი, ოღონდ ის შეიბრალე! ბოლოს და ბოლოს, ადამიანი არ ხარ, გული არ გაქვს?! ამას არასოდეს იზამ, არც კორტესი მოგცემს ამის ნებას.

- კორტესი? - გაიცინა დე გარსიამ. - კორტესი ვერაფერს გაიგებს, სანამ ყველაფერი არ დამთავრდება. მე მაქვს მისი წერილობითი ბრძანება, ყოველგვარი საშუალება გამოვიყენო შენს გამოსატეხად. რადგან წამებამ არ გიშველა, მაშასადამე, მხოლოდ ეს გზა დარჩა. ჰოო, გეტყობა, ცუდად მიცნობ. შენ იცი, რა არის სიძულვილი, რადგან მე გძულვარ. ჰოდა, გააათკეცე ეგ სიძულვილი და მიხვდები, როგორ მეჯავრები. მეჯავრები იმის გამოც, რომ დედაშენის თვალები გაქვს, მაგრამ უფრო მეტად - თვითონ, შენ გამო! მე, ესპანელი აზნაური, ჯოხით მცემე, როგორც ძაღლი! განა ახლა რაიმე შემაჩერებს, როდესაც შემიძლია, ჩემი სურვილი დავიკმაყოფილო?! შენ გაბედული კაცი ხარ, მაგრამ ახლა კანკალებ, დღეს შენც გამოსცადე ტანჯვის საშინელება. რა ბედ ნიერი ვარ! ახლა შემიძლია გულახდილად

გითხრა: მეშინია შენი, თომას ვინგფილდ! შევშინდი, როცა პირველად შეგხვდი. მქონდა საამისო მიზეზი და ამიტომაც შევეცადე შენს მოკვლას. ზოგჯერ ვერ ვიძინებდი აუხსნელი შიშის გამო, რასაც შენ მგვრიდი. შენ გამო გამოვიქეცი ესპანეთიდან, შენ გამო ლაჩარივით ვიქცეოდი ბევრ ბრძოლაში. ამ ბოლო დროს ბედი ყოველთვის მე მწყალობდა, ოღონდ მაინც წინანდებურად მეშინოდა შენი. დღესაც მეშინია; რომ შემეძლოს, ახლავე მოგკლავდი, თუმცა შენი და დედაშენის აჩრდილი მოსვენებას არ მომცემს და, რაც მთავარია, შენი გულისთვის კორტესთან პრობლემა შემექმნება. შიში მაიძულებს, დაუნდობელი ვიყო. ვიცი, საბოლოოდ მაინც მაჯობებ, ცოცხალი თუ მკვდარი, მაგრამ დღეს ჩემი ზეიმის ჯერია. სანამ შენ და შენს ახლობლებს ჯერ კიდევ სული გიდგათ, ყველაფერს გავაკეთებ, რომ დაგამციროთ და სიკვდილამდე მიგიყვანოთ. რატომაც არა? მე მოვკალი დედაშენი, რათა საკუთარი სიცოცხლე გადამერჩინა. შენ დამდევდი, რომ შური გეძია და ადრე თუ გვიან, შენი ხელით ან შენი დახმარებით შურისძიება აღსრულდება. ოღონდ დღეს ჩემს უპირატესობას გამოვიყენებ, ამისთვის ყასბობაც რომ დამჭირდეს!

დე გარსია უეცრად ოთახიდან გავიდა, მე კი სისუსტისა და ტკივილებისგან გონება დავკარგე.

როცა გონს მოვედი, რაღაც საწოლის მსგავსზე ვიწექი და ვიგრძენი, ბორკილები მოხსნილი მქონდა. თავს ვიღაც ქალი მადგა და სასიყვარულო სიტყვების ჩურჩულით ჭრილობებს მიხვევდა. უკვე ღამე იყო. ლამპრის შუქზე გავარჩიე, რომ იგი ოთომი იყო, არა - გაწამებული და არაქათგამოცლილი, არამედ თითქმის ისეთივე მშვენიერი, როგორიც იყო ტენოჩტიტლანის ბლოკადამდე.

- ოთომი, შენ აქ ხარ? - წავიჩურჩულე დახეთქილი ტუჩებით და დავიკვნესე, რადგან დე გარსიას მუქარა გამახსენდა.

- ჰო, მე ვარ, - ჩუმად მი პასუხა ოთომიმ. - ნება დამრთეს, მოგიარო. რა უქნიათ წყეულებს შენთვის? ნეტა შემეძლოს სამაგიეროს გადახდა!..

ოთომი აქვითინდა.

- სუუ! - ჩავილაპარაკე ჩუმად. - საჭმელი გაქვს?

- რამდენიც გინდა. მარიანამ გამოგვიგზავნა.

- მაჭამე, ოთომი.

ოთომი მაჭმევდა და სისუსტემაც თანდათან გამიარა. მხოლოდ ტკივილები დამრჩა, მთელ სხეულში თითქოს რაღაც მგლეჯდა.

- მისმინე, ოთომი, დე გარსია ნახე?

- არა. ორი დღეა, ჩემიანებს მომაშორეს და აქ მომიყვანეს, ჯერჯერობით კარგად მეპყრობიან. არც ერთი ესპანელი არ მინახავს, გარდა იმ ჯარისკაცებისა, რომელთაც აქ მომიყვანეს. მათ შენზე მითხრეს, ავად არისო. ახლა უკვე ვიცი, რა ავადმყოფობაც გჭირს! იგი ისევ ატირდა.

- ეტყობა, ვიღაცამ დაგვინახა და დაგვასმინა, რომ შენ ჩემი ცოლი ხარ, - ვუთხარი მას.

- ეს გასაგებია, - მი პასუხა ოთომიმ. - ყველა აცტეკმა იცის ჩვენი ამბავი. ამნაირი რამის დამალვა ძნელია. მითხარი, რისთვის გაწამეს ასე? იმიტომ, რომ მათ წინააღმდეგ იბრძოდი?

- მარტონი ვართ? - შევეკითხე მე.

- გარეთ დარაჯები დგანან, ოთახში კი მარტონი ვართ.

როცა ოთომის ყველაფერი ავუხსენი, იგი ანთებული თვალებით საწოლიდან წამოვარდა, ხელები გულზე მიიდო და თქვა: - ოო, მე წინათაც მიყვარდი და ახლა კიდევ უფრო მეტად მიყვარ-

ხარ! ვინ გაუძლებდა მსგავს წამებას და თავისი ფიცისა და დამარცხებული მეგობრების ერთგული დარჩებოდა?! დაილოცოს ის დღე, როდესაც პირველად გნახე, ძვირფასო, ადამიანთა შორის ყველაზე ერთგულო! სად არიან ისინი, რომლებმაც ასეთ დღეში ჩაგაგდეს? ახლა ისინი აღარ მოვლენ, ხომ მართალია? უკვე ყველაფერი დამთავრდა; მე მოგივლი, სანამ არ მოიკეთებ. აბა, ისე ხომ არ შემომიშვებდნენ შენთან?!

- ოთომი, სამწუხაროდ, სიმართლე ისაა, რომ ჯერ არაფერი დამთავრებულა! აღელვებულმა ნაწყვეტ-ნაწყვეტ ვუამბე ყველაფერი, დიახ, ყველაფერი, რადგან არ მქონდა დამალვის უფლება. ავუხსენი, რა მიზნით მოიყვანეს აქ. ის ჩუმად მისმენდა, ბოლოს კი გაფითრებულმა თქვა: - თეულებმა გადააჭარბეს ჩვენს ქურუმებს, ქურუმები ადამიანებს აწამებენ და მსხვერპლად სწირავენ ღმერთების სადიდებლად და არა ოქროსა და ფარული შურისძიებისთვის. რა ვქნათ ახლა? მითხარი, შენ უნდა მითხრა!

- ვერ ვბედავ, - დავიკვნესე მე.

- შენ ისე იქცევი, თითქოს ქალი იყო, რომელსაც ვერ გადაუწყვეტია თავისი სიყვარულის გამხელა, - ჩაილაპარაკა ოთომიმ ნაღვლიანად და ამაყად. - კარგი, მე ვიტყვი: შენ ფიქრობდი, რომ ჩვენ ამაღამ უნდა მოვკვდეთ.

- ჰო, ამას ვფიქრობდი, - ვუპასუხე მე. - უნდა მოვკვდეთ ახლა ან ხვალ, სხვა გამოსავალი არა გვაქვს. ღმერთი თუ არ გვიშველის, თვითონ უნდა ვუშველოთ თავს, ამისათვის ერთადერთი გზა გვაქვს.

- ღმერთი? არ არსებობს არავითარი ღმერთი! იყო დრო, როდესაც დავეჭვდი ჩვენი ხალხის ღმერთებში და შენს ღმერთს მივმართე. მაგრამ ახლა უარვყოფ და ვწყევლი მას! მოწყალე ღმერთი რომ არსებობდეს, რომელზედაც შენ მელაპარაკებოდი, განა

ასეთ რამეებს დაუშვებდა? შენ ხარ ჩემი ერთადერთი ღმერთი და მხოლოდ შენ გცემ თაყვანს. ამაოა, მოუხმო იმას, რაც არ არსებობს! და თუკი მაინც რაიმე არსებობს, სულ ერთია, ვერავინ გაიგებს ჩვენს ვედრებას და ვერც ჩვენს ტანჯვას დაინახავს. ამიტომ, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ვიქონიოთ. აგერ თოკები. ფანჯარაზე გისოსია. ერთი წამიც და ჩვენ გავფრინდებით მზის იქით, თეულთა სისასტიკისგან შორს ანდა სამუდამოდ დავიძინებთ. ჯერ კიდევ გვაქვს დრო. მოდი, ცოტა ვილაპარაკოთ. არა მგონია, გათენებამდე გვაწამონ, გათენებისას კი უკვე შორს ვიქნებით.

ჩვენ დავიწყეთ საუბარი, რამდენადაც ამას ტკივილი მანებებდა. მოვიგონეთ ჩვენი პირველი შეხვედრა, როგორ მარგუნეს ოთომი მე, ღმერთ ტესკატლიპოკას, სამყაროს სულს; როგორ ვიწექით გვერდი-გვერდ სამსხვერპლო ქვაზე; გავიხსენეთ ჩვენი ნამდვილი ქორწინება, ტენოჩტიტლანის ბლოკადა, ჩვენი შვილის სიკვდილი. ასე გავატარეთ თითქმის მთელი ღამე და გარიჟრაჟამდე მხოლოდ ორი საათით ადრე, დავდუმდით. მძიმე სიჩუმე ჩამოწვა დილეგში.

ბოლოს ოთომი ალაპარაკდა. მისი ხმა ყრუდ და საზეიმოდ ჟღერდა: - ჩემო ქმარო, შენ ტკივილებმა დაგტანჯეს, მე კი დაღლამ. სამწუხაროა ჩვენი ბედი, სამაგიეროდ, წინ მოსვენება გველის. მადლობას გიხდი, ჩემო ქმარო, გულკეთილობისთვის და კიდევ უფრო მადლობელი ვარ ჩემი ოჯახისა და ჩემი ხალხის ერთგულებისთვის. დროა, ჩვენი უკანასკნელი მგზავრობისთვის მოვემზადოთ!

- მოამზადე, რაც საჭიროა, - ვუპასუხე მე.

ოთომი ადგა და თოკების მიბმას შეუდგა. მალე ყველაფერი დაამთავრა და დადგა სიკვდილის ჟამი.

- მომეხმარე, ოთომი, - ვთხოვე მე. - ფეხის გადადგმა მიჭირს.

მან მიმიყვანა თავისი ღონიერი, ნაზი ხელებით გისოსიანი ფანჯრის წინ და ტაბურეტზე დამაყენა. მერე თავზე ყულფი ჩამომაცვა, ჩემ გვერდით დადგა და მეორე ყულფი თვითონ მოიბა კისერზე. საზეიმო სიჩუმეში უკანასკნელად გადავკოცნეთ ერთმანეთი. ყველაფერი უკვე ნათქვამი გვქონდა.

მაგრამ უცებ ოთომიმ მკითხა: - რაზე ფიქრობ ამ წამში, ჩემო ქმარო? ჩემზე და ჩვენს მკვდარ ბავშვზე, თუ იმ ქალიშვილზე, რომელიც შორს, ზღვისგაღმა ცხოვრობს? არა, ნუ მი პასუხებ! მე ბედნიერი ვიყავი ჩემი სიყვარულით, ესეც საკმარისია. ახლა, სიცოცხლესთან ერთად, ჩემი სიყვარულიც შეწყდება. არაფერს ვნანობ, მხოლოდ შენ მეცოდები. მიბრძანე და ტაბურეტს ფეხს ვკრავ!

- ჰო, ოთომი, სიკვდილის გარდა არაფრის იმედი აღარ მაქვს. არ შემიძლია, ვუღალატო კუაუტემოკს, ვერც შენს შერცხვენასა და წამებას ვერ ავიტან.

- უკანასკნელად მაკოცე...

ისევ ვაკოცე და ოთომიმ ის-ის იყო დააპირა ტაბურეტი გადაებრუნებინა, რომ უეცრად კარი გაიღო და სწრაფადვე დაიხურა. ჩვენ წინ იდგა შეფუთნილი ქალი. მას ერთ ხელში ჩირაღდანი ეჭირა, მეორეში - რაღაც ფუთა.

ეს საშინელი სცენა რომ დაინახა, ყვირილით ჩვენკენ გამოქანდა: - რას სჩადიხართ? გაგიჟდი, თეულო?

მაშინვე ვიცანი მარიანას ხმა.

- ვინ არის ეს ქალი? - იკითხა ოთომიმ. - საიდან გიცნობს და სიკვდილში ხელს რატომ გვიშლის?

- მე მარიანა ვარ, - უპასუხა შეფუთვნილმა სტუმარმა. - მოვედი, რომ გიხსნათ, თუკი შევძლებ...

30

ოთომი არასოდეს ყოფილა ასე მეფურად ქედმაღალი, როგორც ამ წამში, როცა უარს ამბობდა გადარჩენის უკანასკნელ შესაძლებლობაზე, რათა გამოეთქვა თავისი სიძულვილი მოღალატისადმი. დიახ, მარიანა მართლაც მოღალატე იყო. ის რომ არა, საეჭვოა, კორტესს ანაუაკის დაპყრობა მოეხერხებინა. ოთომის მრისხანე სიტყვების გაგონებაზე ავცახცახდი. მიუხედავად ამდენი ტანჯვისა, სიცოცხლე მაინც ძვირფასი იყო ჩემთვის, თუმცა, სულ ათი წამის წინ მზად ვიყავი სიკვდილთან შესახვედრად. ნუთუ, მარიანა ახლა წავა და ჩვენ დავიღუპებით? - გავიფიქრე მე, მაგრამ ასე არ მოხდა. მან მხოლოდ უკან დაიხია, რადგან შეაკრთო ოთომის ტონმა.

განსაცვიფრებელ კონტრასტს წარმოადგენდა დილეგში ერთმანეთის პირისპირ მდგომი ამ ორი ქალის სილამაზე. კიდევ უფრო გასაოცარი იყო სამარცხვინო სიკვდილისთვის ან სათაკილო სიცოცხლისთვის განწირული პრინცესას სულიერი უპირატესობა ამ ინდიელ ქალზე, რომელიც ბედმა უეცრად ცამდე აამაღლა.

- მითხარი, პრინცესა, - ნაზი ხმით მიმართა მას მარიანამ, - თუ არ ვცდები, შენ თვითონ ასულხარ ამ კაცთან ერთად სამსხვერპლოზე. რატომ ჩაიდინე ეს?

- იმიტომ, რომ მიყვარს.

- მეც ამის გამო დავდე ჩემი პატიოსნება სხვა სამსხვერპლოზე და წავედი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. ამიტომ, ნუ დამძრახავ. შენი სიყვარული დაგეხმარება, გაამართლო ჩემიც,

რადგან ჩვენთვის, ქალებისთვის, სიყვარული ყველაფერია. ბრალი თუ მიმიძღვის, ამისთვის მზად ვარ, ყველაზე მძიმე სასჯელი ავიტანო.

- შენ ჭეშმარიტად დაიმსახურე იგი! - შეეპასუხა ოთომი. - ჩემს სიყვარულს არავისთვის მიუყენებია ზიანი, შენმა კი რა გააკეთა?! შეხედე, ეს მხოლოდ ერთი ნაყოფია შენი ნამოქმედარისა! ამ სავარძელზე შენმა ბატონმა კორტესმა, დაარღვია რა ყველა თავისი ფიცი, კუაუტემოკი აწამა. მის გვერდით კ,ი მეორე სავარძელში, იჯდა ჩემი ქმარი და შენი მეგობარი თეული, რომელიც კორტესმა საჯიჯგნად გადასცა მის მოსისხლე მტერს, დე გარსიას, ანუ სარსედას. ნახე, რა უქნა მას! ოო, არა, პირს ნუ იბრუნებ, კეთილო ქალო, შეხედე მის იარებს! წარმოიდგინე, სადამდე მიგვიყვანეს, რომ ორივე მზად ვართ, მოვკვდეთ აქ, როგორც ძაღლები: ჩემი ქმარი - იმიტომ, რომ არ უნდა უყუროს ჩემს წამებას, მე კი იმიტომ, რომ ვარ მონტესუმას ასული, ოთომის ტომთა პრინცესა და სირცხვილს სიკვდილი მიჯობს! და ეს ხომ შენი მომკილის მხოლოდ ერთი თავთავია, განკიცხულო მოღალატევ! ტენოჩტიტლანის ნანგრევებზე მოიწევ სირცხვილისა და სიკვდილის უხვ მოსავალს. ჩემი ნება რომ იყოს, ათჯერ მოვკვდებოდი, ვიდრე შენი ხელიდან დახმარებაზე დავთანხმდებოდი! შენი ხელი ხომ შეღებილია ჩემი ხალხის სისხლით, რომელიც ოდესღაც შენიც იყო...

- გაჩუმდი, გევედრები, გაჩუმდი! - დაიკვნესა მარიანამ და სახეზე ხელები აიფარა, თითქოს ოთომის შეხედვის შეეშინდაო. - რაც მოხდა, მოხდა, რისთვის მტანჯავ? ნუთუ შენც, პრინცესა ოთომი, აქ საწამებლად მოგიყვანეს?

- დიახ, საწამებლად, თანაც, ჩემი ქმრის თვალწინ! რით არის მონტესუმას ასული, ოთომის ხალხის პრინცესა, ანაუაკის იმპერატორზე უკეთესი?!

- ვფიცავ, კორტესმა არაფერი იცის ამაზე, - წამოიძახა მარიანამ. - ყველაფერი დანარჩენი კი ჯარისკაცებმა აიძულეს, გაეკეთებინა. ისინი აუჯანყდნენ და გაჰყვიროდნენ, კორტესმა თვითონ მოი პარა განძიო, რომელიც მას თვალითაც არ უნახავს. მას ბრალი არ მიუძღვის. მან არ იცის...

- მაშინ, ჰკითხოს სარსედას, თავის ხელქვეითს...

- პირობას გაძლევ, ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლია, რათა ამისთვის სამაგიერო გადავუხადო სარსედას. დრო მიდის, პრინცესა. აქ კორტესის ნებართვით მოვედი, რათა შენს ქმარს მონტესუმას განძის საიდუმლო გამოვტყუო. მაგრამ ჩვენი მეგობრობის გულისთვის მზად ვარ, კორტესი მოვატყუო და ორივეს დაგეხმაროთ გაქცევაში. უარს ამბობ ჩემს დახმარებაზე?

ოთომიმ პასუხი არ გასცა. მაშინ მე პირველად დავილაპარაკე: - მარიანა, მე სრულებით არ მინდა, თოკზე დაკიდებული მოვკვდე, როგორც ვიღაც ვიგინდარა. მაგრამ, როგორ დავაღწიოთ ამას თავი?

- სიმართლე რომ ვთქვა, გადარჩენის იმედი ცოტაა; ვფიქრობ, გადაცმულები თუ გააღწევთ აქედან. იქნებ, მიმალვა შეძლოთ? არა მგონია, ბანაკში გათენებამდე ვინმეს გაეღვიძოს და ასეთებიც რომ აღმოჩნდნენ, ცოტა მათგანი თუ გაარჩევს ადამიანს ხისგან. ყველანი მთვრალები არიან. თეულო, ესპანელი ჯარისკაცის ტანსაცმელი მოგიტანე. შავგვრემანი ხარ და ნახევრად სიბნელეში ყველას ესპანელი ეგონები. შენი ცოლისთვის უბრალო კაბა ვიშოვე; სასირცხვილოა, მაგრამ ამით თავისუფ-

ლად შეიძლება ღამით ბანაკში სიარული. გარდა ამისა, შენი ჩამორთმეული მახვილიც მოგიტანე.

მარიანამ ფუთა გახსნა და ამოიღო ტანსაცმელი და მახვილი, რომელიც ესპანელ დიასს წავართვი „მწუხარების ღამეს“. ოთომისთვის ისეთი კაბა მოეტანა, როგორსაც ის მეძავები ატარებდნენ, ჯარისკაცებთან რომ ვხედავდი.

- შენ ჩემთვის საკუთარი კაბა მოგიტანია, - ჩაილაპარაკა მან მშვიდად და ისეთი ზიზღით, ისეთი ველური სიამაყით, რომ მეც კი, რომელიც მიჩვეული ვიყავი მის ამგვარ საქციელს, სახტად დავრჩი. - ალბათ შეცდი. ამას არ ჩავიცვამ.

- ოო, ეს უკვე მეტისმეტია, - ჩაიბუტბუტა მოთმინებადაკარგულმა მარიანამ და შეეცადა, სიბრაზისგან თვალსმომდგარი ცრემლები დაეფარა. - ამის ატანა აღარ შემიძლია. მშვიდობით, მივდივარ.

მან ფუთის შეკვრა დაიწყო. მე სასწრაფოდ ჩავერიე საქმეში.

- აპატიე მას, მარიანა! ეს უბედურება აიძულებს ოთომის, ასე ილაპარაკოს!

გაქცევის სურვილი თანდათან მიძლიერდებოდა და ოთომის ვთხოვე: - იყავ ლმობიერი, ჩემი გულისთვის მაინც. მარიანა ჩვენი უკანასკნელი იმედია.

- უკეთესი იყო, ჩემთვის მშვიდად სიკვდილი ეცლია; კარგი, შენი გულისთვის ჩავიცვამ მეძავის კაბას. მაგრამ, როგორ დავაღწევთ თავს ჯერ აქედან და მერე ბანაკიდან? ვინ გაგვიღებს კარს, ვინ მოგვაცილებს დარაჯებს? კიდეც რომ არ შეგვამჩნიონ, შეძლებ სიარულს?

- კარი არ გაიღება, პრინცესა, - უპასუხა მარიანამ. - ვინც აქ შემომიშვა, გარეთ მიცდის, გავალ თუ არა, კარს ჩაკეტავს. მაგრამ დამიჯერეთ, დარაჯები საშიშნი არ არიან. შეხედე, თეულო,

ფანჯარას ხის გისოსი აქვს, შენი მახვილი ადვილად დაამტვრევს მას! მერე თუ შეგამჩნევენ, თავი მოიკატუნე, ვითომ მთვრალი ხარ და ქალს რაზმში მიჰყავხარ. რა მოხდება შემდეგ - თვითონაც არ ვიცი. მხოლოდ ის ვიცი, რომ თქვენი გულისთვის საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში ვიგდებ. რომ შეიტყონ, მე დაგეხმარეთ გაქცევაში, განრისხებული კორტესის გულის მოლბობა გამიჭირდება. მადლობა ღმერთს, ომი დამთავრდა, მაგრამ ვაი რომ, ახლა მას ისე აღარ ვჭირდები, როგორც წინათ.

- ვაი-ვაგლახით შემიძლია მარჯვენა ფეხზე დგომა, - ვთქვი მე. - ბედს უნდა მივენდოთ. ამაზე უარესი რაღა უნდა დაგვემართოს.

- მშვიდობით, თეულო, ჩემი დაყოვნება აღარ შეიძლება. ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო; ღმერთმა ხელი მოგიმართოს! თუ ჩვენ ერთმანეთს ვერასოდეს შევხვდებით, გთხოვ, შენ მაინც ნუ იფიქრებ ჩემზე ცუდად, რადგან ქვეყნად ისედაც ბევრი მიზეზია, რომელიც მე შემაჩვენებს.

- მშვიდობით, მარიანა! - ვუპასუხე მე.

გავიგონეთ, როგორ დაიხურა ციხის კარი. თანდათან მიწყდა იმათი ხმაც, რომლებმაც მარიანა ტახტრევნით წაიყვანეს. მერე ყველაფერი მიყუჩდა. ისე ჩანდა, თითქოს დარაჯები წასულები იყვნენ, რისთვის და სად - დღემდე არ ვიცი. შორიდან მხოლოდ მთვრალი ჯარისკაცების ღრიანცელი ისმოდა.

- დროა, საქმეს შევუდგეთ! - ვუთხარი ოთომის.

- როგორც გსურს, ოღონდ ვშიშობ, ყველაფერი ამაოა. არ მჯერა ამ ქალის, მოღალატე ჩვენც არ დაგვინდობს. ახლა მახვილი მაქვს და უკიდურეს შემთხვევაში, როგორმე გამოვიყენებ.

- აქ სალაპარაკო არაფერია, - შევეპასუხე მას. - წამებასა და სიკვდილზე საშინელი რაღა უნდა იყოს! ჩვენ კი ერთიც მოგველის და მეორეც. ნეტავ კიდევ რისი უნდა გვეშინოდეს?

რადგან ხელები ღონიერი და უვნებელი შემრჩა, ფანჯრის გისოსები მახვილით დავამტვრიე. ამ ხნის განმავლობაში ახლომახლო არავინ გამოჩენილა. შემდეგ ოთომი დამეხმარა მარიანას მიერ მოტანილი ესპანელი ჯარისკაცის ფორმის ჩაცმაში, რადგან ეს თვითონ არ შემეძლო. ძნელი წარმოსადგენია, რა ტანჯვას განვიცდიდი ამ დაწყევლილი ფორმის ჩაცმისას, განსაკუთრებით, - როცა დამწვარ ფეხებს გრძელ და ვიწრო ესპანურ ჩექმებში ვყოფდი. რამდენჯერმე შევჩერდი და ჩემს თავს შევეკითხე: იქნებ სჯობს, მოვკვდე, ვიდრე ასეთი ჯოჯოხეთური ტკივილები გადავიტანო-მეთქი. ბოლოს, დიდი გაჭირვებით ყველაფერი მოვათავე და ახლა დადგა ოთომის ჯერი, გამოწყობილიყო ტანსაცმელში, რომლის ტარებაც ინდიელ ქალთა უმეტესობისთვის ძალზე სამარცხვინო იყო. ამის გამო, იგი უფრო მეტად იტანჯებოდა, ვიდრე მე. როგორც იქნა, ჩაცმა დავამთავრეთ. ოთომიმ გაიარ-გამოიარა და ველური, დამცინავი ღიმილით მკითხა: - აბა, ჯარისკაცუნა, ლამაზი ვარ? ეჰ, ჩემო საყვარელო!

- მე პირველი გავძვრები ფანჯარაში და ქვევით დაგელოდები, - მითხრა ოთომიმ, - თუ შენ ვერ გადმოძვრები, მაშინ მეც უკან დავბრუნდები და მასკარადსაც ბოლო მოეღება.

ოთომი სწრაფად გაძვრა, იგი ოცელოტივით მოქნილი და ღონიერი იყო. ტაბურეტზე ავფოფხდი და შევეცადე, იგივე გამეკეთებინა, რამდენადაც ამას ჩემი ჭრილობები მანებებდა. ნახევრად გაძრომა მოვახერხე, მაგრამ მერე გავეჩხირე და მკვდარი კატასავით ჩამოვეკიდე. ბოლოს ოთომიმ გამომათრია და ორივენი მიწაზე დავეცით. თავი ვერ შევიკავე, რომ არ დამეკვნესა.

ოთომიმ ფეხზე დამაყენა, უფრო სწორად, ცალ ფეხზე, ვინაიდან მხოლოდ ერთზე შემეძლო დგომა. აქეთ-იქით მივიხედ--მოვიხედეთ, გარშემო არავინ ჩანდა, ბანაკში მთვრალების ყაყანიც კი აღარ ისმოდა. პოპოკატეპეტლის მწვერვალი უკვე წითლდებოდა მზის პირველი სხივებისგან. ხეობაში განთიადი ეშვებოდა.

- ახლა საით? - ვკითხე ოთომის.

კიდევ კარგი, რომ ოთომის თავის დასთან და სხვა ქალებთან ერთად ნებადართული ჰქონდა ბანაკში თავისუფლად სიარული. იგი ყველა ინდიელის მსგავსად, გზას შესანიშნავად იმახსოვრებდა. ასე რომ, აქედან ჩემი გაყვანა მას ადვილად შეეძლო.

- სამხრეთის ჭიშკრისკენ წავიდეთ, - ჩაიჩურჩულა მან, - შესაძლოა, მას აღარ იცავენ, რადგან ომი დამთავრდა. ყოველ შემთხვევაში, ეს გზა ვიცი.

ჩვენ წინ გავწიეთ. ოთომიზე დაყრდნობილი, ცალი ფეხით მივხტოდი. დიდი გაჭირვებით გავიარეთ სამასიოდე იარდი, ისე, რომ არავინ შეგვხვედრია, მაგრამ უეცრად ბედმა გვიმტყუნა: ერთ-ერთი სახლის კუთხეში რომ შევუხვიეთ, პირისპირ შევეჩეხეთ სამ ჯარისკაცს, რომლებიც, რამდენიმე მსახურის თანხლებით, ღამის ღრეობიდან ბრუნდებოდნენ.

- ეს ვინღაააა? - დაიღრიალა ერთ-ერთმა მათგანმა, - რა გქვია, მეგობარო?

- ღამე ნებისა, ძმობილო, ნა-ნა, ნა-ნი-ნა! - წავუღიღინე მას ესპანურად ჩახლეჩილი ხმით.

- გინდა თქვა, დილა მშვიდობისა? - სიცილით მითხრა ჯარისკაცმა, რადგან

უკვე თენდებოდა. - რა გქვია? რაღაც არ გიცნობ, თუმცა შენი სიფათი მეცნობა.

- უფლება არა გაქვს, სახელი მკითხო! - მედიდურად ვუპასუხე და თან მთვრალივით ბორძიკი დავიწყე. - ღმერთმა ნუ ქნას, ჩვენმა კაპიტანმა გაიგოს, თორემ ყველას შავი დღე დაგვადგება. იგი მსმელი არაა. მომეცი გოგონა ხელი, ძილის დროა, ნა--ნა! ხომ ხედავ, მზე უკვე ჩადის!

ჯარისკაცებმა გადაიხარხარეს. ერთი მათგანი ოთომის მიუბრუნდა: - მოეშვი, ლამაზო, ამ მთვრალ შტერს. ჩვენთან წამოდი!

ჯარისკაცმა ხელი წაავლო ოთომის, მაგრამ მან ისე მრისხანედ შეხედა, რომ გაკვირვებულმა ესპანელმა უკან დაიწია და ჩვენც ბარბაცით განვაგრძეთ გზა. სანამ ჯარისკაცები გვხედავდნენ, იძულებული ვიყავი, დაჭრილი ფეხითაც მევლო, რომ არ დაეჭვებულიყვნენ. როცა ისინი თვალს მიეფარნენ, ძალამ მიმტყუნა და მიწაზე დავენარცხე. ოთომი შეეცადა ჩემს აყენებას.

- ადექი, ძვირფასო! - შემევედრა იგი. - უნდა ვიჩქაროთ, თორემ დავიღუპებით. წვალებით წამოვდექი, ენით აუწერელ ტკივილს განვიცდიდი. სამხრეთის ჭიშკრამდე ტანჯვით მივაღწიეთ; მეგონა, მოვკვდებოდი, სანამ იქამდე მივიდოდი. საბედნიეროდ, ჭიშკრის ახლოს არც ერთი ჯარისკაცი არ იყო: ზოგს იქვე ეძინა, ზოგიც ლაბადა-საბნებში გახვეულიყო და პატარა კოცონთან თვლემდა.

- ჭიშკარი გააღეთ, ძაღლებო! - ამაყად მოვთხოვე მე.

ესპანელი ჯარისკაცის ფორმაში რომ დამინახეს, ერთი ტლასკალანელი წამოდგა, ცოტა დააყოვნა და მერე მკითხა: - რატომ გავაღოთ? ვინ ბრძანა?

სახეს ლაბადის კაპიუშონი უფარავდა, მაგრამ ხმა მეცნო და შიშმა შემი პყრო. პასუხის გაცემა კი აუცილებელი იყო.

- რატომ და, მინდა ბალახში გამოვიძინო, სანამ გამოვფხიზ-ლდები. ვინ ბრძანა და მე, მორიგე ოფიცერმა! აბა, ცოცხლად, თორემ განკარულებას გავცემ, გაგროზგონ, რათა ერთხელ და სამუდამოდ გადაეჩვიო სულელურ კითხვებს, გესმის?

ტლასკალანელი შეყოყმანდა.

- იქნებ, თეულები გავაღვიძო? - მიმართა მან თავის ამხანაგს.

- არ არის საჭირო, - უპასუხა მან, - სარსედამ ბრძანა, ტყუილად არ შემაწუხოთო. გინდ გაუშვი, გინდ არა, ოღონდ მას ნუ გააღვიძებ.

შიშისგან გავშეშდი. სადარაჯოზე თურმე დე გარსია იყო! ვაითუ, მან უკვე გაიღვიძა! რა იქნება, რომ გამოვიდეს და დამი-ნახოს? ტლასკალანელის ხმაც ვიცანი, - ის ერთ-ერთი ჩემი მწვა-ლებელთაგანი იყო. ნეტავ, ჩემს სახეს არ დაინახავდეს, თორემ ჯალათი უთუოდ მიცნობს-მეთქი; აშკარად დავიბენი.

შიშმა ისე დამამუნჯა, რომ სიტყვის თქმა ვერ მოვახერხე. რომ არა ოთომი, ეს ამბავი ცუდად დასრულდებოდა. მან შესა-ნიშნავად გაითამაშა თავისი როლი: ჯარისკაცული უხეში ხუმ-რობით გააცინა ტლასკალანელი, რომელმაც კარი გაგვიღო. ჭიშკარს გავცდით თუ არა, რაღაცას ფეხი წამოვკარი და მძიმედ დავეცი.

- ადექი, დროზე ადექი! - მომქაჩა ოთომიმ. - ცოტაც მოითმი-ნე, სანამ რომელიმე მოფარებულ ადგილამდე მივაღწევთ და იქ დაიძინე. იგი ჩემს ასაყენებლად დაიხარა, გამხიარულებული ტლასკალანელიც მის დასახმარებლად წამოვიდა და ორივეზე დაყრდნობით ფეხზე წამოვდექი. ადგომისას ძირს დამივარდა ქუდი, რაც ისედაც ძლივს მიფარავდა სახეს. ტლასკალანელმა ქუდი მომაწოდა და წამით ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. კიდევ კარგი, რომ სინათლე უკნიდან მცემდა და სახეს მიჩრდი-

ლავდა. წინ სწრაფად, ხტუნვახტუნვით გავქანდი და როცა უკან მივიხედე, შევნიშნე, დაეჭვებული ტლასკალანელი ისევ მიყურებდა.

- მიცნო, - ჩავჩურჩულე ოთომის. - ახლავე გონს მოვა და დაგვედევნება.

- ჩქარა, ჩქარა! - შემევედრა იგი. - აი, იმ მოსახვევის იქით აგავას ბუჩქნარია, იქ დავიმალებით.

- აღარ შემიძლია! ძალა არ მყოფნის! - დავიკვნესე და მუხლები მომეკვეთა. ოთომიმ ძლივს მოასწრო ჩემი დაჭერა. მან უცებ მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა, თითქმის ხელში აყვანილმა მატარა ორმოცდაათიოდე ნაბიჯი. ეს სიყვარულმა და სასოწარკვეთილებამ შეაძლებინა. ბუჩქებამდე მივაღწიეთ თუ არა, ორივე მიწაზე დავეხეთქეთ.

გავხედე ბილიკს, რომლითაც მოვედით. უცებ, ტლასკალანელი დავლანდე - ობსიადინის კეტით ხელში. ეტყობა, უნდოდა დარწმუნებულიყო, ვინ ვიყავით.

- ჩვენი აღსასრული დადგა! - ჩავიხიხინე მე. - იგი აქეთ მოდის. ოთომიმ ქარქაშიდან ჩემი მახვილი ამოაძრო და იქვე ბუჩქში დამალა.

- ახლა თვალები დახუჭე, ვითომ გძინავს, - მითხრა მან.

სახეზე ხელი ავიფარე და თავი მოვიმძინარე. მესმოდა, როგორ გვიახლოვდებოდა ტლასკალანელი. წუთიც და, იგი ჩემ წინ იდგა.

- რა გინდა? - შეეკითხა ოთომი. - ხომ ხედავ, სძინავს, არ გააღვიძო!

- ჯერ უნდა შევხედო ამ კაცს, დედაკაცო! - უპასუხა მან და ხელი სახიდან გადამიწია. - ოო, ღმერთო, სწორედ ასე ვფიქრობდი! ეს ის თეულია, გუშინ რომ ვაწამე! გაქცეულა!

- ხომ არ გაგიჟდი! - გაიცინა ოთომიმ. - ეს მხოლოდ ჩხუბსა და ლოთობას გამოექცა!

- სტყუი, დედაკაცო, ან არაფერი იცი! ამან მონტესუმას განძის სამალავი იცის. მასში მეფურ ჯილდოს მომცემენ! - თქვა ტლასკალანელმა და კეტი მომიქნია.

- შეჩერდი! თუ ასეა, მაშინ, რატომ უნდა მოკლა? მე, რასაკვირველია, არაფერი ვიცი. წაიყვანე, თუ გინდა. ამ ლოთმა ჩერჩეტმა თავი მომაბეზრა.

- მართალი ხარ! მართლაც სისულელეა მისი მოკვლა. უმჯობესია, ცოცხლად მივგვარო სარსედას. ამისთვის შემაქებს და დამაჯილდოვებს. მოდი, მომეხმარე!

- თვითონ მოუარე, - გაბრაზებით უთხრა ოთომიმ. - ოღონდ ჯერ ჯიბეები გაუჩხრიკე, იქნებ ორივემ რაიმე სახეირო ვუპოვოთ.

- ესეც სწორია, - ჩაილაპარაკა ტლასკალანელმა, ჩემ წინ ჩაიჩოქა და ჯიბეების სინჯვა დამიწყო.

ოთომი თავზე ადგა. უეცრად დავინახე, ისეთივე საზარელმა ცეცხლმა გაუელვა თვალებში, ქურუმებს რომ აქვთ ხოლმე მსხვერპლშეწირვის დროს. მან თვალის დახამხამებაში ბალახიდან მახვილი გამოაძრო და მთელი ძალით ჩაარტყა ტლასკალანელს კეფაში. იგი უხმოდ დავარდა. ოთომიც დაეცა, მაგრამ მაშინვე წამოხტა, ხმალს ხელი მოუჭირა და მოკლულს მრისხანე თვალებით დააცქერდა.

- ადექი, სანამ ამას სხვები მოიკითხავდნენ! შენ უნდა ადგე, გესმის?!

როგორც იქნა, გზა განვაგრძეთ. გონება და თვალები მებინდებოდა და მეჩვენებოდა, თითქოს გავარვარებულ რკინაზე დავდიოდი. როგორც ბურუსში, ისე შევნიშნე ვიღაც შუბებიანი კაცე-

ბი და ოთომი, რომელიც მათკენ მირბოდა. მეტი არაფერი მახსოვს.

31

გადავრჩით, ძვირფასო, - მიპასუხა ოთომიმ. - ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით საფრთხე არ გვემუქრება. ჭამე, მერე ყველაფერს გეტყვი.

მან შეჭამანდი და ლავაშები მომიტანა, მეც ხარბად ვეცი საჭმელს. შიმშილი რომ მოვიკალი, ოთომიმ მითხრა: - გახსოვს, ტლასკალანელი რომ დაგვედევნა, როგორ მოვიშორე იგი თავიდან?

- მახსოვს, თუმცა არ მესმის, როგორ მოახერხე მისი მოკვლა...

- სიყვარულმა და სასოწარკვეთილებამ ძალა შემმატა. ნუ გამახსენებ, ძვირფასო, საშინელებაა ამაზე ფიქრი... ერთადერთი ის მამშვიდებს, რომ მგონი არ მომიკლავს ტლასკალანელი - მხოლოდ დავარეტიანე. მერე ჩვენ გამოვიქეცით. ცოტა ხნის შემდეგ, უკან მოვიხედე და ორი ტლასკალანელი მოგვდევდა. მათ, ეტყობა, თავიანთი თანამებრძოლი უგრძნობლად დაგდებული ნახეს და მიხვდნენ, რაც ხდებოდა, ამიტომაც მაშინვე დაგვედევნენ. შენ ძლივს მოდიოდი, გონება გეკარგებოდა, მე კი ძალა გამომელია და ვერ გეხმარებოდი. ისინი თანდათან გვეწეოდნენ. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც წინ მივიწევდით. როცა ისინი თითქმის ორმოცდაათ ნაბიჯზე მოგვიახლოვდნენ, უცებ შევნიშნე, რომ ბუჩქებიდან ჩვენკენ რვა შეიარაღებული მეომარი გამოქანდა, რომლებიც ჩემი ტომის, ოთომის ინდიელები აღ-

მოჩნდნენ, შენი ყოფილი მეომრები. ისინი, თურმე, თეულთა ბანაკს უთვალთვალებდნენ და კინაღამ დაგვხოცეს. სულს ძლივს ვითქვამდი და უცებ ვერაფრის თქმა ვერ მოვახერხე. ბოლოს, ძლივს ამოვღერღე, ვინც ვიყავით. ამასობაში ტლასკალანელებიც გამოჩნდნენ. მე ოთომის მეომრებს მოვუხმე და ვიდრე მდევრები გონზე მოსვლას მოასწრებდნენ, ერთი იქვე მოკლეს, მეორე - ტყვედ წამოიყვანეს. შემდეგ მეომრებმა საკაცე გააკეთეს და კარგა მანძილზე შეუსვენებლად გატარეს მთებში, სანამ ამ თავშესაფარს მოვაღწევდით. აქ სამ დღე-ღამეს იწექი. თეულები ყველგან გეძებდნენ, მაგრამ ვერ გი პოვეს. გუშინ ორმა მათგანმა, ათიოდე ტლასკალანელთან ერთად, გამოქვაბულს ასიოდე ნაბიჯზე ჩაუარა. ძლივს შევაჩერე ჩემი მეომრები, რომ თავს არ დასხმოდნენ. ვფიქრობ, დროებით მაინც საფრთხე არ გვემუქრება. ოდნავ მოიკეთებ თუ არა, აქედან დავიძრებით.

- მერე სად წავალთ, ოთომი? ჩვენ ხომ ახლა უსახლკარონი ვართ!

- ისღა დაგვრჩენია, თავშესაფარი ფიჭვთა ქალაქში ვითხოვოთ ან ზღვის გაღმა გავიქცეთ. არჩევანი ცოტაა, ძვირფასო.

- ზღვაზე ფიქრიც ზედმეტია; იქ მხოლოდ ესპანელთა ხომალდები დგანან, ფიჭვთა ქალაქში კი როგორ შეგვხვდებიან, არ ვიცით: ჩვენ ხომ დავმარცხდით და ათასობით ოთომი მეომარი დაღუპულია.

- რისკი აუცილებელია. ამ საშინელ დროში ანაუაკში კიდევ მოიძებნებიან ერთგული ადამიანები, რომლებიც საკუთარი თავისა და ჩვენს დაცვას შეძლებენ. ჩვენ ხომ ამაზე უარესი საფრთხე გადავიტანეთ! ახლა კი ჭრილობებს შეგიხვევ. გამოქვაბულში კიდევ სამ დღეს ვიწექი. ოთომი თავს მევლებოდა. მეოთხე დღეს, როცა ოდნავ მოვმჯობინდი და საკაცით ჩემი წაყვანა

შეიძლებოდა (დამოუკიდებლად სიარული მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ შევძელი), გზას გავუდექით.

ფიჭვთა ქალაქს რომ მივუახლოვდით, გუშაგებმა შეგვაჩერეს. ოთომიმ მათ ყველაფერი უამბო და სთხოვა, ვინმე წინასწარ წასულიყო ქალაქში უხუცესთა გასაფრთხილებლად. მაცნეებს კვალდაკვალ ჩვენც გავყევით. დაქანცული მეომრები ნელა მიიწევდნენ წინ და ჩვენც მშვენიერი ქალაქის შესასვლელს სწორედ მაშინ მივაღწიეთ, როდესაც დაისმა მასზე აღმართული ვულკან ხაკის თოვლიანი მწვერვალი გაანათა და მისი შებოლილი ქუდი გავარვარებულ რკინისფრად შეღება.

ჩვენი ჩამოსვლის ამბავი უცებ მოედო მთელ ქალაქს. ქუჩაში ადგილობრივები თვალს მდუმარედ გვაყოლებდნენ. ზოგჯერ რომელიმე ქალი, ვისაც ქმარი ან შვილი დაეღუპა ტენოჩტიტლანის ბლოკადის დღეებში, წყევლა-კრულვას არ გვაკლებდა. ეეჰ, ეს ხალხი ერთი წლის წინ სულ სხვაგვარად შეგვხვდა! ახლა კი, ვინ ვიყავით მათთვის? - ორი საბრალო ლტოლვილი, რომელიც თეულთა შურისძიებას ემალებოდა. მე ოთხ მეომარს საკაცით მივყავდი. ოთომი ფეხით მომდევდა, რადგან არავინ იყო მისი წამომყვანი. ქუჩის ქალის ტანსაცმლის გამო დასცინოდნენ კიდეც. კიდევ კარგი, რომ მარტო ამას ჯერდებოდნენ!

ბოლოს, გავიარეთ მოედანი, რომელსაც უკვე თეოკალის ჩრდილი დასცემოდა. როდესაც ძველისძველ, ქანდაკებებით დამშვენებულ სასახლეს მივუახლოვდით, ბინდიც ჩამოწვა.

სასახლეში საჭმელიც არ დაგვხვდა. იმ დღეს გამხმარი ლავაშებით ჩირადღნის შუქზე ვივახშმეთ, მერე დავწექით. ჭრილობებმა ისე შემაწუხა, რომ ვერ დავიძინე. უცებ ოთომის ტირილი მომესმა, - მას ეგონა, მეძინა და ჩუმად ქვითინებდა. ეს ამაყი ქა-

ლიც კი სულიერად გატყდა; შვილის სიკვდილის შემდეგ მას ასე მწარედ არ უტირია.

- რატომ ტირი, ოთომი? - ვკითხე.

- ვიფიქრე, გეძინა, თორემ არ შეგაწუხებდი. ოჰ, ძვირფასო, დავტირი ყველაფერს, რაც მე და ჩემს ხალხს ბედმა გვარგუნა, მაგრამ ყველაზე მეტად შენი დარდი მკლავს. სადამდე მიგიყვანეს! უკანასკნელ ადამიანად გთვლიან; ხომ ნახე, როგორ შეგვხვდნენ?

- ხომ იცი ამის მიზეზი, - ვუპასუხე მე. - უკეთესია მითხრა, რას გვი პირებენ შენი ხალხი, დაგვხოცავენ? თეულებს გადაგვცემენ?

- ხვალ ყველაფერს გავიგებთ. ერთი კია, რაც უნდა მოხდეს, ხელში ცოცხლად ვერ ჩამიგდებენ.

- ვერც მე. კორტესისა და მის დამქაშ დე გარსიას დიდსულოვან მოწყალებას სიკვდილი მირჩევნია. არის კი თუნდაც მცირეოდენი იმედი?

- კი, ძვირფასო, არის; ოთომელებს ახლა მარტო ის ახსოვთ, რომ მათი საუკეთესო მეომრები სასიკვდილოდ წავიყვანეთ. მაგრამ ისინი საოცრად გულკეთილები არიან და თუ მათში თანაგრძნობას გამოვიწვევ, იქნებ, ყველაფერი კარგად შემოტრიალდეს. გაჭირვებამ, უბედურებამ და ტანჯვამ ძლიერ დაგვასუსტა; ბევრი რამ გადავიტანეთ, თუმცა სწორედ ახლა გვმართებს, ვიყოთ გაბედულები. დაიძინე, ძვირფასო, რამეს მოვიფიქრებ! ყველაფერი მოგვარდება! ამ უბედურებას როდისმე ხომ უნდა მოეღოს ბოლო!

მაშინვე დამეძინა. დილით თავს ბევრად უკეთ ვგრძნობდი - დასვენებით გამოცოცხლებული და დღის ბრწყინვალებით გამხნევებული.

თვალი რომ გავახილე, მზე უკვე მაღლა იყო. ოთომი დილაუთენია ამდგარიყო, თან, როგორც მითხრა, დრო უქმად არ დაუკარგავს: უპირველეს ყოვლისა, ნორმალურ საჭმელსა და ჩვენი ღირსების შესაბამის ტანსაცმელზე უზრუნია; შემდეგ ერთგული დიდებულები მოუწვევია და ქალაქში გაუგზავნია, რათა ხალხისთვის ეცნობებინათ, რომ ოთომი შუადღისას სასახლის კიბეებთან შეხვდებოდა. ოთომის მშვენივრად ესმოდა, რომ ხალხის გულის მოლბობა უფრო ადვილი იყო, ვიდრე უხუცესებისა.

- იმედი გაქვს, რომ ხალხი მოვა? - შევეკითხე ოთომის.

- ნუ გეშინია, - მი პასუხა მან. - მათ აუცილებლად დააინტერესებთ, მოუსმინონ იმას, ვინც თავის თავზე გამოსცადა მტრის ბლოკადა და მისგან გაიგონ სიმართლე. ცხადია, მოვლენ ისეთებიც, რომლებსაც ჩვენზე შურისძიება სწყურიათ.

ოთომი მართალი აღმოჩნდა. შუადღე რომ მოახლოვდა, ათასობით ადგილობრივი მოედნისკენ დაიძრა და მალე იქაურობა ხალხით გაივსო.

ოთომიმ ხვეული თმები ლამაზად დაივარცხნა, ყვავილებით მოირთო და ოქროსქამრიანი, თეთრი სამოსელის ზემოდან მოელვარე ფრთებისგან შეკერილი ლაბადა მოისხა, ხოლო ყელი ზურმუხტის ყელსაბამით დაიმშვენა, რომელიც კუაუტემოკმა განძის დამალვისას მაჩუქა. სასახლეში გადანახული ძალაუფლების სიმბოლოებიდან ოთომიმ შავი ხის ოქროს ორნამენტებიანი პატარა კვერთხი ამოარჩია. დაღლილობისა და გადატანილი ტანჯვის მიუხედავად, ახლა იგი ყველაზე დიდებულ ქალად გამოიყურებოდა, როგორიც კი ოდესმე მინახავს. შემდეგ ოთომი უხეშ საკაცეზე დაწოლაში დამეხმარა და მეომრებს, რომლებმაც მთებზე გადმოვლით აქ მომიყვანეს, უბრძანა, მის გვერდით

ეტარებინათ საკაცე. ასე გამოვჩნდით სასახლის კარში და ფართო კიბის ზედა მოედანზე ჩვენი ადგილი დავიკავეთ.

ხალხი ისეთი ველური ღრიალით შეგვხვდა, გულადსაც კი შეაძრწუნებდა.

- სიკვდილი მათ! - ყვიროდნენ ისინი. - გადავცეთ ეს ლაჩრები თეულებს!

ოთომი მოედნის კიდესთან დადგა და უხმოდ ასწია თავისი შავი კვერთხი. მზემ გააბრწყინა მისი მშვენიერი სახე და დიდებული აღნაგობა. ქვევით ხალხი თანდათან ცოფდებოდა, ღრიალებდა და ყვიროდა. მღელვარებამ კიდევ უფრო იმატა და ბოლოს ოთომისკენ დაიძრნენ, რათა იგი ნაფლეთებად ექციათ, მაგრამ უკანასკნელ საფეხურთან გაქვავდნენ, მერე კი კლდეზე მიხეთქილ ტალღასავით უკან-უკან დაიწიეს.

ვიღაცამ ქვევიდან გამოისროლა შუბი, რამაც ოთომის ზედ მხართან გაუზუზუნა. როგორც კი მეომრებმა შეატყვეს, რომ მე და ოთომის სიკვდილი გვემუქრებოდა, ჩემი საკაცე ქვის მოედანზე დადეს და სასახლეში მიიმალნენ. ოთომი არ შემდრკალა მაშინაც კი, როცა შუბმა კინაღამ მოკლა. ურყევად იდგა გაცოფებული ბრბოს წინ, როგორც ჭეშმარიტი დედოფალი - გაანჩხლებულ ქალებს შორის. მისმა სიდიადემ და გაბედულებამ თანდათან აიძულა დამსწრენი, დადუმებულიყვნენ. ბოლოს, როცა სიჩუმე ჩამოვარდა, ოთომიმ ხმამაღლა, ისე, რომ ყველას გაეგო, წარმოთქვა მეტად მწარე სიტყვები: - სადა ვართ?! ნუთუ, თქვენ ჩემი ოთომის ხალხი ხართ?! იქნებ, გზა აგვერია და ველურ ტლასკალანელებთან მოვხვდით? მისმინეთ, ოთომის ხალხო! მე ერთი ვარ და ხმაც ერთი მაქვს, არ შემიძლია ბრბოს ველაპარაკო! აირჩიეთ ერთი, ვინც გსურთ, დაე, მან თქვას ყველაფერი, რაც გულში გაქვთ!

ხალხი კვლავ აღელდა. ზოგი ერთს ასახელებდა, ზოგი - მეორეს. ბოლოს, შეკრებილებიდან გამოვიდა ერთი ქურუმი - სახელად მახტლა. ოთომის ინდიელთა შორის ის დიდი უფლებით სარგებლობდა. თავის დროზე იგი თავის ტომს ესპანელთა მხარეზე გადასვლას ურჩევდა და ტენოჩტიტლანის დასაცავად კუიტლაუაკისთვის ჯარის გაგზავნის სასტიკი წინააღმდეგი იყო.

მახტლა მარტო არ მოსულა, - მასთან ერთად ბრბოს გამოეყო კიდევ ოთხი ბელადი. მათ ჩაცმულობას რომ შევხედე, მაშინვე მივხვდი, კორტესის გამოგზავნილი ტლასკალანელები იყვნენ და გული ჩამწყდა. მათი გამოჩენის მიზეზი აშკარა იყო.

- ილაპარაკე, მახტლა! - მიმართა ოთომიმ. - შემდეგ ჩვენ გაგცემთ პასუხს. თქვენ კი, ოთომის ხალხო, სიჩუმე დაიცავით, მოგვისმინეთ და მერე განსაჯეთ, როცა ყველაფერს ვიტყვით.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ხალხი გამომსვლელთან ახლოს შეიკრიბა, როგორც - ცხვრები ფარეხში და გაინაბა, რათა არაფერი გამოპარვოდა.

- შენთან, პრინცესა და შენს უკანონო ქმართან, მოკლე საუბარი გვექნება, - თავხედურად დაიწყო მახტლამ. - სულ ახლახანს აქ ჩამოხვედი, რომ ჯარი გეთხოვა აცტეკთა იმპერატორის დასახმარებლად, თეულების, კაცელკოატლის შვილების წინააღმდეგ ბრძოლაში. შენ მოგცეს ეს ჯარი, თუმცა ამის მომხრე ბევრი არ ვიყავით. შენი დაშაქრული ენით დაარწმუნე საბჭო და აღარავინ გვიგდო ყური ჩვენ, რომელთაც თეთრკანიან ხალხთან, ღმერთის შვილებთან, კავშირი და დამეგობრება გვინდოდა. წახვედი და ოცი ათასი საუკეთესო მეომარი გამოგყვა ტენოჩტიტლანში. სად არის ახლა ეს ხალხი? მე გეტყვით: ორასი მეომარი ძლივს დაბრუნდა შინ, დანარჩენები კი ცაში დაფრინავენ - ძერების ჩიჩახვებში ან მიწაზე, მხეცების მუცელში

ფოფხავენ. ისინი შენ სასიკვდილოდ წაიყვანე. თქვენი ორი სიცოცხლე - ჩვენი ხალხის ოცი ათასი მამის, შვილისა და ძმის სიცოცხლის ნაცვლად, მეტად მცირე ფასია. მაგრამ ჩვენ ამასაც არ მოვითხოვთ. აქ ჩემ გვერდით დგანან თეულთა მეთაურის, მადანცინის მაცნეები, რომლებიც ერთი საათის წინ მოვიდნენ. აი, რას გვითვლის მალანცინი: „გადმომეცით ოთომი, მონტესუმას ქალიშვილი, თავის საყვარელთან, მოღალატე თეულთან ერთად, რომელიც ჩადენილი ბოროტმოქმედებისთვის სამართლიან სასჯელს გამოექცა და მე სულგრძელი ვიქნები თქვენ მიმართ, ოთომის ხალხო! მაგრამ, თუ მათ დამალავთ ან უარს იტყვით გადმოცემაზე, ფიჭვთა ქალაქს ისეთივე დღე დაადგება, რაც ქალაქთა მბრძანებელს - ტენოჩტიტლანს. აირჩიეთ, ოთომის ხალხო ან ჩემი წყალობა, ან რისხვა! თუ დამემორჩილებით, წარსულს დავივიწყებ და ჩემი მმართველობა თქვენთვის მსუბუქი იქნება. თუ არადა, თქვენს ქალაქსაც მიწასთან გავასწორებ“!

- თქვით, მალანცინის გამოგზავნილებო, - მიმართა მახტლამ ტლასკალანელებს, - ხომ ასე დაგაბარათ მალინცინმა?

- ეს მისი სიტყვებია, - უპასუხა მაცნემ. ხალხი ისევ აღელვდა. გაისმა შეძახილები: - გადავცეთ! გადავცეთ ესენი მალინცინს, როგორც მშვიდობის საწინდარი!

ოთომიმ ნაბიჯი გადადგა და კვლავ სიჩუმე გამეფდა. ყველას უნდოდა, მისი პასუხი მოესმინა: - ოთომის ხალხო! ვხედავ, ჩემი ქვეშევრდომები დღეს მე და ჩემს ქმარს გვასამართლებენ. მართალია, ქალი ვარ, მაგრამ მაინც დავიცავ თავს, როგორც შევძლებ, თქვენ კი, ჩემო ხალხო, თავად განსაჯეთ, ვინაა მართალი, მე თუ მახტლა და მისი მეგობრები - მალანცინი და ტლასკალანელები.

- რით დავიმსახურეთ თქვენი რისხვა? დიახ, ჩვენ მართლაც ჩამოვედით აქ კუიტლაუაკის ბრძანებით, რათა თეულების წინააღმდეგ დაგვხმარებოდით. მაგრამ, რა გითხარით მაშინ თქვენ? გითხარით, თუ ინდიელები გაერთიანებული ძალებით არ გამოვიდნენ თეთრკანიანთა წინააღმდეგ, მაშინ მათ საერთო კონიდან ამოძრობილი ისარივით თითო-თითოდ გადატეხენ და ცეცხლში შეაგდებენ-მეთქი. განა ტყუილი ვთქვი?! არა, მართალი მოგახსენეთ, რადგან სწორედ ცალკე ტომების, უმთავრესად კი ტლასკალანელთა ღალატის შედეგად დამარცხდა ანაუაკი, ტენოჩტიტლანი კი გვამებით მოფენილ ნანგრევებად იქცა.

- სწორია! ეს სიმართლეა! - გაისმა ხმები.

- დიახ, ოთომის ხალხო, ეს სიმართლეა. ანაუაკის ტომების ყველა მეომარს რომ ისე ებრძოლა, როგორც ჩემი ტომის ხალხი იბრძოდა, ყველაფერი რიგზე იქნებოდა. მაგრამ ისინი აღარ არიან, ამის გამო, ახლა გინდათ გადაგვცეთ ჩვენს მტრებს, რომლებმაც ეს მეომრები გაჟლიტეს? მეც ბევრი ახლობელი დავკარგე, ჩემი სისხლი და ხორცი! დაიოკეთ თქვენი აღშფოთება და მომისმინეთ! მე არ ვგლოვობ მათ იმიტომ, რომ უმჯობესია სახელოვანი სიკვდილი მტერთან ბრძოლაში და უკვდავება - მზის სამყოფელში, ვიდრე მონური სიცოცხლე, როგორც ეს, მგონი, თქვენ გსურთ, ოთომელებო. მე სიმართლეს გეუბნებით: მალინცინმა უკვე გადატეხა ის ისრები, რომლებსაც კუაუტემოკს უმიზნებდა, ცეცხლში ჩაყარა და ახლა თეულები მასზე წვნიანს ამზადებენ. თეულთა მოღალატენი უკვე მონებად იქცნენ. ხომ გაიგეთ მალინცინის ბრძანება? მან უბრძანა ყველა მოკავშირე ტომს, ქვის სამტეხლოებში და ტენოჩტიტლანის ქუჩებში იმუშაოს, სანამ მისივე დანგრეული ქალაქი წყლის ზედაპირზე მთელი თავისი სიმშვენიერით კვლავ არ აღსდგება. ოთომელებო, იქნებ

თქვენც იქ ოფლისღვრა და გასამრჯელოდ თეულ ზედამხედველთა მათრახი გსურთ? მაშინ იჩქარეთ, მამაცო მთიელებო! რა გასაკვირია! თქვენი ხელები ხომ ბარსა და ნიჩაბსაა ჩვეული და არა შუბსა და მშვილდ-ისარს! გატყობთ, მალინცინს ყველა სურვილს უსრულებთ, რათა მცხუნვარე მზის ქვეშ, ნესტიანი ქვის სამტეხლოებში შრომით გაამდიდროთ, ვიდრე, თავისუფლად იცხოვროთ ამ მთებში, სადაც დღემდე მტერს ფეხი არ დაუდგამს.

ოთომი წამით შეჩერდა. მრავალათასიანი ბრბო შეკრთა და აღელვება დაეტყო. მახტლა წინ გამოვიდა, უნდოდა, რაღაც კიდევ ეთქვა, მაგრამ ყური არავინ დაუგდო. ხალხი ყვიროდა: - ოთომი! ოთომი! ოთომიმ ილაპარაკოს!

- მადლობელი ვარ თქვენი, ჩემო ხალხო! - განაგრძო მან. - კიდევ ბევრი მაქვს სათქმელი. ამგვარად, ჩვენი დანაშაული თურმე ისაა, რომ თქვენი ჯარი წავიყვანეთ. გავიხსენოთ, როგორ მოხდა ეს? განა გიბრძანეთ, მწყობრში ჩამდგარიყავით და გამომყოლოდით? არა, ყველაფერი აგიხსენით და გითხარით: „თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ-მეთქი“. თქვენ გამოგზავნეთ იმ მამაც მეომართა რაზმები, რომლებიც დაიღუპნენ. ახლა გამოდის, თითქოს ჩემი ბრალია, რომ არასწორი არჩევანი გააკეთეთ, თუმცა მიმაჩნია, რომ თქვენ სწორად მოიქეცით. მაშასადამე, ამიტომ გსურთ, მშვიდობის სანაცვლოდ მე და ჩემი ქმარი თეულებს გადაგვცეთ? სანამ თქვენი წყალობით, ჩვენ სამუდამოდ დავდუმდებოდეთ, ამ ომზე სიმართლე უნდა იცოდეთ.

მე შვილი მყავდა. მას რომ ეცოცხლა, თქვენი უფლისწული იქნებოდა. ჩემი ბიჭუნა ტენოჩტიტლანის ბლოკადის დღეებში მოკვდა. ის პირდაპირ თვალწინ, ნელ-ნელა გამომეცალა ხელიდან შიმშილის გამო. ვინა ვარ მე, რომ ვიწუწუნო და ვიტირო

ამის გამო, როცა ჩვენი ათასობით შვილი დაიღუპა. იქნებ ფიქრობთ, რომ ხელები მათ სისხლში მაქვს გასვრილი?

ოთომიმ თავისი საშინელი ამბის მოყოლა განაგრძო: აღწერა ბლოკადის საშინელება, ესპანელთა მხეცობა და სასახელო გმირობა ოთომის მეომრებისა, რომლებსაც მე ვმეთაურობდი. მთელ საათს ილაპარაკა ოთომიმ და ხალხიც მის სიტყვებს ხარბად იჭერდა. შეკრებილებში რამდენიმე მეომარი ერია, ვინც ჩემთან ერთად იბრძოდა და რაღაც სასწაულით გადაურჩა სიკვდილს. ისინი ხმამაღლა ყვიროდნენ: - მართალია! ყველაფერი მართალია! ეს თვითონ ვნახე!

- და ბოლოს, - განაგრძო ოთომიმ, - ყველაფერი დასრულდა: ტენოჩტიტლანი ნანგრევებად იქცა, ჩემი ძმა, იმპერატორი, კეთილშობილი კუაუტემოკი და მასთან ერთად ჩემი ქმარი თეული, ჩემი და, თვითონ მე და ბევრი სხვა წარჩინებული ინდიელი მალინცინის ტყვეები გავხდით. მან დაიფიცა, რომ კუაუტემოკსა და მის ახლობლებს ისე მოექცეოდა, როგორც მათ მაღალ წოდებას შეეფერებოდა. იცით, როგორ შეასრულა ფიცი? რამდენიმე დღის წინ ჩვენი იმპერა ტორი გავარვარებული ნაკვერცხლებით აწამა, რომ მისგან მონტესუმას განძის ადგილსამყოფელი შეეტყო. ახლა რამდენიც გინდათ, იყვირეთ: „სირცხვილი!“

„სირცხვილი!“ იყვირებთ კიდევ უფრო ხმამაღლა, როცა გაიგებთ, რომ მარტო კუაუტემოკი არ უწამებიათ. თქვენს თვალწინ წევს ერთი იმათგანი, ვინც მასთან ერთად იტანჯებოდა, მაგრამ ერთი სიტყვაც არ დასცდენია. მეც, ქალს და თქვენს პრინცესას, წამება მქონდა მისჯილი! მაგრამ მინდა, ყველაფერი ბოლომდე შეიტყოთ. სიკვდილი კარზე იყო მომდგარი, როდესაც გაქცევა მოვახერხეთ. ჩემს ქმარს ვუთხარი: ჩემი ხალხი ერთგულია და უბედურებაში არ მიგვატოვებსმეთქი. მე მჯეროდა თქვე-

ნი! სიკვდილი მინდოდა, როცა იძულებული გავხდი, მეძავის ტანსაცმელი ჩამეცვა. რომ მცოდნოდა, თქვენ ასე შემხვდებოდით, ასჯერ სიკვდილს ვამჯობინებდი აქ დგომასა და შეწყალების თხოვნას!

ჩემო ხალხო, მოგიწოდებ შენ, უარყავი ცრუ თეულები! დარჩი მუდამ თავისუფალი და ამაყი! შენ არ შეგეფერება მონური უღელი, შენი შვილები მეტად კეთილშობილები არიან საიმისოდ, რომ უცხოებს ემსახურონ და მათ თავშესაქცევ საგნებად იქცნენ; მოერიდეთ მალინცინს! არ დაუჯეროთ მას! მრავალი ჩვენი მეომარი დაეცა ამ ბრძოლებში, მაგრამ ათასობით ხომ კიდევ ცოცხლები ვართ. ჩვენ ისევე შეგვიძლია, გავანადგუროთ ანაუაკში შემოჭრილი ყველა თეული, როგორც წინათ მატყუარა ტლასკალანელები ანადგურებდნენ თავის ტომელებს. თუმცა, მაშინ ტლასკალანელები თავისუფალი ტომი იყო, ახლა კი მონები არიან. იქნებ, გშურთ მათი? ჩემო ხალხო, არავინ იფიქროს, თავს ან ქმარს ვიცავდე. ნუთუ გგონიათ, ცოცხლად გადაგვცემთ იმ ძაღლ ტლასკალანელებს, მალინცინმა აქ თქვენდა სამარცხვინოდ რომ გამოგზავნა? შეხედეთ!

ოთომიმ ხელი დასტაცა მის მოსაკლავად ნასროლ, იქვე დაგდებულ შუბს და ჰაერში აიტაცა: - აი, იარაღი, რომელიც უცნობმა კეთილმა მეგობარმა მესროლა. თუ უარს იტყვით ჩვენს დაცვაზე, ამით თქვენს თვალწინ მოვკვდებით და ჩვენი გვამები გაუგზავნეთ მალინცინს, თქვენი მშვიდობისმოყვარეობის ნიშნად. მაგრამ თქვენივე კეთილდღეობისთვის გევედრებით, დამიჯერეთ! ნუ ენდობით მალინცინს და თუ მომავალში თავგანწირვა დაგჭირდებათ, სჯობს თავისუფალ ადამიანებად მოკვდეთ, ვიდრე თეულთა მონებად. აი, მისი მოწყალების შედეგი. ასეთივე ჯილდო გელით თქვენც, თუ მახტლას დაუჯერებთ!

ოთომი ჩემს საკაცესთან მოვიდა, სწრაფად გამაძრო ტანსაცმელი. სახვევები შემომაგლიჯა და ნახევრადშიშველი წამომაყენა.

- შეხედეთ! - გააფთრებით დაიყვირა მან და მიუთითა ჩემს იარებსა და ღია ჭრილობებზე, რომლებიც სახესა და ფეხებზე საშინლად მაჩნდა. - აი, თეულებისა და ტლასკალანელების ნამოქმედარი, ესაა მათი მოწყალება! აი, ეს ელის თითოეულს, ვინც მათ დაუჩოქებს. თუ გინდათ, დანებდით მტერს, ოღონდ გაფრთხილებთ: ასეთივე ტანჯვა მოგელით! გაუმაძღარი და უსაქმური თეულები იქამდე გაწამებენ, სანამ უკანასკნელ მისხალ ოქროს არ წაგართმევენ და ყველას მონებად არ გაქცევენ.

ოთომი გაჩუმდა, ნელ-ნელა საკაცეზე დამაწვინა და შუბით ხელში თავზე დამადგა, რათა თუ ხალხი მაინც გადაწყვეტდა კორტესისთვის ჩვენს გადაცემას, იქვე მოვეკალი.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. მერე მოედანს ყვირილი და გოდება მოედო, - ათჯერ უფრო ძლიერი, ვიდრე დასაწყისში. ოღონდ ახლა, ამ ყვირილში ჩვენთვის საშიში არაფერი იყო. ოთომიმ გაიმარჯვა. მისმა სიტყვებმა, ჩვენი ხიფათით აღსავსე ამბებმა და ჩემი ჭრილობების დანახვამ თავისი გაიტანა. ახლა ხალხი ბრაზობდა თეულებსა და მათ მოკავშირე ტლასკალანელებზე, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლაშიც დაიღუპნენ ოთომის მეომრები. ქალის გონებასა და მჭევრმეტყველებას აქამდე არასოდეს მოუხდენია ხალხთა მასაში ასეთი განსაცვიფრებელი გარდატეხა. მახტლა რამდენჯერმე შეეცადა, სიტყვით გამოსულიყო, მაგრამ ძირს ჩაათრიეს. მან თავს გაქცევით უშველა. ხალხის მთელი რისხვა ახლა ტლასკალანელ მაცნეებს დაატყდათ.

- აი, ჩვენი პასუხი მალინცინს! - ყვიროდნენ ოთომელები და ჯოხებით სცემდნენ მათ. - წაეთრიეთ აქედან, ძაღლებო! გაიქეცით თქვენს პატრონთან! ასე გააძევეს ისინი ფიჭვთა ქალაქიდან. მოედანზე შეკრებილი ხალხი თანდათან დაწყნარდა. ამასობაში ერთ-ერთი წარჩინებული ბელადი ოთომის მიუახლოვდა, ხელზე ეამბორა და უთხრა: - პრინცესა, ჩვენ შენი შვილები ვართ და შენთან ვიქნებით სიკვდილამდე, რადგან ახალი სული შთაგვბერე. სამართლიანი იყო შენი ნათქვამი: უმჯობესია, თავისუფალი მოკვდე, ვიდრე მონად იცოცხლო!

- ხომ ხედავ, - მომმართა ოთომიმ, - არ შევმცდარვარ, როცა გითხარი, ჩემი ხალხი ერთგული და სამართლიანია-მეთქი. მაგრამ ახლა საომრად უნდა მოვემზადოთ. საქმე ძალიან გამწვავდა, უკან დახევა არ გამოვა; მალინცინი ამ ამბავს გაიგებს თუ არა, შვილწართმეულ პუმასავით განრისხდება. ახლა დროა, წავიდეთ, დავისვენოთ, ძალიან დავიღალე.

- ოთომი, - ვუთხარი მე, - შენ ყველაზე დიდებული ქალი ხარ, რომელსაც კი ოდესმე უცხოვრია დედამიწაზე.

- არ ვიცი, ძვირფასო, არ ვიცი, - ღიმილით მი პასუხა მან. - მაგრამ, რაკი შენი გადარჩენა შევძელი და თან ასეთი ქებაც დავიმსახურე, უკვე კმაყოფილი ვარ.

32

როდესაც ესპანელებს ხეობის შესასვლელამდე ნახევარი დღის სავალი დარჩათ, ჩემთან გამოცხადდა ერთ-ერთი მზვერავი, რომელსაც მტრის გადაადგილება უნდა დაეფიქსირებინა. იგი გამომიტყდა: მახტლამ მომისყიდა, რათა ესპანელები ჩასაფრებულ ოთომელთა შესახებ გამეფრთხილებინა. ამაში კარგად გადამიხადეს და გზას გავუდექი. მაგრამ მალე სინდისის ქენჯნამ შემაწუხა და სასწრაფოდ უკან დავბრუნდი, რათა ყველაფერი შენთვის მეთქვაო. ბრძანება გავეცი, მახტლა დაუყოვნებლივ შეეპყროთ და სიკვდილით დაესაჯათ.

მეორე დილით ესპანელთა რაზმი ხეობაში შემოვიდა. ხუთასი მეომრით მას ბანაკიდან შუა გზაზე დავხვდით და ბრძოლა გავუმართეთ, მაგრამ მალე უმნიშვნელო დანაკლისით უკან დავიხიეთ. ესპანელები სულ უფრო და უფრო გვიტევდნენ. უკან სწრაფად ვიხევდით და, ბოლოს, უკანმოუხედავად გავიქეცით.

ფიჭვთა ქალაქიდან დაახლოებით ნახევარი მილის დაშორებით ხეობა მკვეთრად უხვევდა და ძალიან ვიწროვდებოდა. ჩვენ სწორედ ამ მოსახვევისკენ გავიქეცით და მტერს ისე მოვაჩვენეთ თავი, თითქოს პანიკამ მოგვიცვა. იოლი გამარჯვებით აღფრთოვანებული ესპანელები ფეხდაფეხ მოგვდევდნენ. მაგრამ, როგორც კი ვიწრობში შემოუხვიეს, მაშინვე სხვანაირად ამღერდნენ: იმათ, რომლებიც ათასი ფუტის სიმაღლიდან მტერს უთვალთვალებდნენ, ნიშანი მივეცით და მტრის თავზე ლოდებისა და ქვების ისეთი სეტყვა წამოვიდა, რომ ცა გაშავდა და ესპანელთა უმეტესობა იქვე გასრისა; დანარჩენები გაიქცნენ წინ, სა-

დაც გასასვლელი ფართოვდებოდა. აქ მათ ჩემი მშვილდოსნები დახვდნენ და ქვების ნაცვლად, ისრები დააყარეს. ბოლოს, შეშინებულები ისე გაიქცნენ, რომ წინააღმდეგობის გაწევაც კი არ უცდიათ. ერთი სიტყვით, ძალზე ცოტა ესპანელი თუ ტლასკალანელი დაბრუნდა უკან, საბაზო ბანაკში.

ბრძოლა დამთავრდა. ამ დამარცხების შემდეგ ესპანელებს რამდენიმე წლის მანძილზე აღარ შევუწუხებივართ. ისინი მხოლოდ მუქარას სჯერდებოდნენ, მე კი ოთომის ტომში დიდი სახელი გამივარდა.

ერთი ტყვე ესპანელი სიკვდილს გადავარჩინე და მოგვიანებით გავათავისუფლე. მისგან გავიგე, რომ დე გარსია ისევ კორტესთან მსახურობდა. მარიანას თავისი დაპირება შეუსრულებია - კორტესი განურისხებია დე გარსიას განზრახვას, ოთომი ეწამებინა და მარიანას ჩვენი გაქცევაც დე გარსიასთვის დაუბრალებია. მას უთქვამს, დე გარსიამ, ალბათ, იმიტომ გააპარა ბანაკიდან ოთომი და მისი ქმარი, რომ დიდი ქრთამი აიღოო.

ჩემი ცხოვრების თოთხმეტი წელი, რაც ესპანელთა სასტიკი დამარცხების შემდეგ გავატარე, წინანდელთან შედარებით მშვიდობიანი იყო. ამ ხნის განმავლობაში შეგვეძინა სამი ვაჟი - ჩემი სიცოცხლის ნუგეში. ძალიან მიყვარდა ისინი, რომლებიც სიყვარულითვე მპასუხობდნენ. სამივე ნამდვილ ინგლისელს ჰგავდა, რადგან ქრისტიანული წესით მოვნათლე და საკუთარი ენა და რჯული შევასწავლე. მათ ჩემი თვალები გამოჰყვათ და გარეგნობით, თუ არ ჩავთვლით ძალიან მუქი ფერის კანს, ინგლისელებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ინდიელებს.

მაგრამ, ჩემს საყვარელ შვილებს მწარე ბედი ერგოთ - სიკვდილმა გამომტაცა ისინი ისევე, როგორც ის უბედური ბალღი, რომელიც დიდი ხნის შემდეგ ლილისთან შემეძინა. ორი მათგა-

ნი გარდაიცვალა: ერთი ციებისგან, რომლის გადარჩენა, მიუხედავად მთელი ჩემი სამედიცინო ცოდნისა, ვერ შევძელი, მეორე კი ძერას ბუდის საძებნელად მაღალ ხეზე აცოცდა და იქიდან გადმოვარდა. ამგვარად, სამი ვაჟიდან - უკვე აღარაფერს ვამბობ ჩვენი სიყრმის პირმშოზე, ბლოკადის დროს რომ დაგვეღუპა - შეგვრჩა მხოლოდ უფროსი.

ესპანელებსა და მათ მოკავშირეებზე გამარჯვების შემდეგ დიდმა საბჭომ მე, ოთომისთან ერთად, ფიჭვთა ქალაქის მმართველად ამირჩია. ამრიგად, ჩვენ დიდი უფლებები მივიღეთ, თუმცა არა - აბსოლუტური. ვისარგებლე რა ამით, ბოლოს და ბოლოს, მოვახერხე ადამიანთა მსხვერპლშეწირვის საშინელი წესის მოსპობა, რამაც ქურუმები უკიდურესად აღაშფოთა და ბევრი მთიელი ტომი გაანაწყენა. უკანასკნელი მსხვერპლშეწირვა, თუ არ ჩავთვლით ერთ, ყველაზე საშინელს, რომელზეც ქვემოთ გიამბობთ, თეოკალზე ესპანელთა დამარცხების შემდეგ იდღესასწაულეს.

ფიჭვთა ქალაქში ყოფნის მესამე წელს (ამ დროს ჩვენ უკვე ორი ვაჟი გვყავდა) ჩემთან ფარულად მოვიდნენ კუაუტემოკის მომხრეთა მაცნეები, რომლებმაც შეგვატყობინეს, რომ მან ყველა წამებას გაუძლო და ისევ კორტესის ტყვეობაშიაო. მათ მიამბეს, კორტესი გონდურასის ყურისკენ იუკატანის გავლით სალაშქროდ ემზადება და გადაწყვეტილი აქვს, თან წაიყვანოს კუაუტემოკი და სხვა წარჩინებული ინდიელებიცო. გარდა ამისა, მითხრეს, ანაუაკის დაპყრობილ ტომებში უკმაყოფილება იზრდება, რასაც ესპანელთა სისასტიკე და უზომო გადასახადები განაპირობებსო. ბევრი ფიქრობდა, რომ საერთო აჯანყების დრო დადგა, რაც, შეიძლება, გამარჯვებით დამთავრდესო.

ისინი, ვინც მაცნეები გამომიგზავნეს, მთხოვდნენ, ოთომელთა რაზმი შემეკრიბა და იუკატანისკენ დავძრულიყავი. იქ, მათი სიტყვით, სხვა რაზმებიც დამხვდებოდა. როცა ყველანი შევერთდებოდით, ესპანელებისთვის ალყა უნდა შემოგვერტყა ტყეებსა და ჭაობებში, შესაფერის მომენტში თავს დავსხმოდით მათ და მტრის განადგურების შემდეგ, გაგვეთავისუფლებინა კუაუტემოკი. ეს უნდა ყოფილიყო ესპანელთა წინააღმდეგ ბრძოლის პირველი ნაბიჯი.

მათი გეგმა უიმედო მეჩვენა. მაცნეთაგან ყველაზე უფროსმა განზე გამიხმო და კუაუტემოკის დანაბარები გადმომცა: „გავიგე, ჩემო ძმაო, რომ ჩემს დასთან, ოთომისთან ერთად თავისუფლად ცხოვრობ ოთომის მთებში. მე კი - ვაგლახ! თეულთა ჯურღმულში ვიღუპები, როგორც დაჭრილი არწივი გალიაში. ჩემო ძმაო, გევედრები, დამეხმარე, თუ შეგიძლია. იქნებ, დადგეს დრო, კვლავ ანაუაკის მბრძანებლი ვიყო და მაშინ ადგილს ჩემს გვერდით დაიკავებ“.

ვუსმენდი და გული მეკუმშებოდა.

- დაბრუნდი და გადაეცი კუაუტემოკს ჩემი პასუხი. - ვუთხარი მაცნეს. - იმედი ცოტაა, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ, რაც შეიძლია. იუკატანის ტყეებში დამელოდოს.

როცა ჩემი დაპირება შეიტყო, ოთომი ძალიან შეწუხდა. მან ჩემი გადაწყვეტილება არ მოიწონა და მითხრა, იგი მხოლოდ დაღუპვამდე მიგიყვანსო. ოღონდ, რაკი დაპირება მიცემული მქონდა, აღარ შემკამათებია.

შევადგინე ხუთასკაციანი რაზმი და გავუდექი ძნელ და შორეულ გზას იმ ანგარიშით, რომ ესპანელებს იუკატანის ვიწრობებში შევხვდებოდით. უკანასკნელ მომენტში ოთომიმ ჩემთან ერთად წამოსვლა მოინდომა, მაგრამ უარი ვუთხარი, - მას არ

ჰქონდა უფლება, მიეტოვებინა თავისი ხალხი და შვილები. ჩვენ ერთმანეთს გამოვეთხოვეთ. პირველად ვიგრძენი მასთან განშორების სევდა.

არ დავიწყებ იმის აღწერას, რა გაჭირვება გადავიტანეთ გზაში. ორნახევარი თვის განმავლობაში მივიწევდით წინ - მთებისა და მდინარეების, ტყეებისა და ჭაობების გადალახვით, სანამ არ მივაღწიეთ დიდ, მკვდარ ქალაქს, რომელიც დიდი ხნის წინ მიეტოვებინათ. ინდიელები მას პალენკეს უწოდებდნენ. ეს ქალაქი ერთ-ერთი ყველაზე განსაცვიფრებელი ადგილი იყო, რაც კი ოდესმე მენახა. იგი თითქმის ბუჩქნარს დაეფარა. საითაც გაიხედავდი, ნახევრადდანგრეული მარმარილოს სასახლეები, შიგნიდან და გარედან მოჩუქურთმებული, ძეგლებით შემკული თეოკალები და მომღიმარი ღმერთების მახინჯი გამოსახულებანი ჩანდა. ხშირად ვეკითხებოდი საკუთარ თავს: რომელმა ხალხმა ააშენა ეს ქალაქი? ვინ იყვნენ აქაური მეფეები?

ყველა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ალბათ, მაშინ გახდება შესაძლებელი, როდესაც მეცნიერები ამოხსნიან იმ სიმბოლოებისა და წარწერების მნიშვნელობას, რომლებითაც მთლიანად დაფარულია ამ შენობათა კედლები.

ჩვენ თავი შევაფარეთ მკვდარ ქალაქს, თუმცა ბევრი შრომა დამჭირდა, ჩემი მეომრები აქ შემოსვლაზე დამეყოლიებინა. ისინი შიშობდნენ, რომ ამ სახლებში ოდესღაც მცხოვრებ ადამიანთა სულებს შეაწუხებდნენ. გარდა ამისა, ეშინოდათ გველებისა და მტაცებლებისა, რომლებსაც ნანგრევებში დაედოთ ბინა. მალე ცნობა მივიღე, ესპანელები ჭაობებში გაივლიან, მდინარისა და მკვდარ ქალაქს შორისო. გადავწყვიტე, მტერს სწორედ იქ ჩავსაფრებოდი.

მერვე დღეს, მზვერავებმა მომახსენეს, კორტესმა დინების ზემოთ დიდი მდინარე გადალახა და ახლა ტყეებში მიიკვლევს გზას, რადგან ჭაობებში სიარული მობეზრდაო. ჩვენც სასწრაფოდ დავიძარით მდინარისკენ, რათა მათ ფეხდაფეხ დავდევნებოდით; მაგრამ უეცრად ისეთი კოკისპირული წვიმა წამოვიდა, როგორიც სხვაგან არსად იცის დედამიწაზე. მთელი დღე-ღამე განუწყვეტლივ ასხამდა... მუხლამდე წყალში მივდიოდით, ხოლო როცა მდინარეს მივადექით, გზა თვალუწვდენელმა ნაკადმა გადაგვიღობა. მასზე გადასასვლელად, სულ მცირე, კარგი იარმუტული სათევზაო ორჩხომელა მაინც იყო საჭირო.

სიცივით, შიმშილითა და წყალდიდობით შეწუხებულებს, სამ დღეს მოგვიხდა ნაპირზე ლოდინი, სანამ მდინარე კალაპოტში ჩადგებოდა. გადასვლისას ოთხი მეომარი დავკარგეთ.

გადავედით თუ არა მეორე ნაპირზე, ჩემიანებს ვუბრძანე, ბუჩქებსა და ლერწმებში ჩამალულიყვნენ, თვითონ კი ექვსი მეომრით წინ წავედი, რათა ესპანელთა ნაკვალევისთვის მიმეგნო. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მათ მიერ ტევრში გაკაფულ გასასვლელს წავაწყდით და ფრთხილად გავყევით. მალე ტყე შეთხელდა და აღმოვჩნდით მინდორზე, სადაც, ეტყობოდა, სულ ცოტა ხნის წინ კორტესი იყო დაბანაკებული. იქვე ეგდო ავადმყოფობით გარდაცვლილი ინდიელის გვამი. კოცონებში ნაკვერცხლები ჯერ კიდევ ღვიოდა.

ბანაკიდან ორმოცდაათი იარდის დაშორებით იდგა უზარმაზარი ხე - სეიბა, რომლის ტოტებზეც ჩამოხრჩობილ სამი კაცის გვამს სუსტი ქარი აქანავებდა.

- აი, ესპანელთა ნაკვალევი! ვნახოთ, ვინ არიან ისინი, - ჩავილაპარაკე მე და ვეებერთელა ხის ქვეშ შევჩერდით. ძერები შესეოდნენ იქაურობას.

ჩვენს მიახლოებაზე ისინი დაფრთხნენ და ფრინველის ფრთეების შეხებისა თუ მოქნევის გამო ერთი ჩამოხრჩობილი პირით ჩემკენ მობრუნდა. შევხედე მას და უკან დავიხიე... ისევ შევხედე და გაოგნებული ძირს დავეცი: იგი ანაუაკის უკანასკნელი იმპერატორი, კუაუტემოკი იყო. ჩემდა უნებურად გამახსენდა აცტეკთა სახელმწიფო ძალაუფლების ამაყი სიმბოლო - მტაცებელი ფრინველი ბრჭყალებში ჩაჭერილი გველით. ჰოი, საშინელებავ! ძერა უცებ ბრჭყალებით ჩაებღაუჭა ერთ-ერთ გვამს.

ეს იყო საზარელი ალეგორია - ანაუაკისა და მის მმართველთა დამხობისა. აღშფოთებული წამოვხტი, ხელი ვტაცე მშვილდს და ძერა მოვკალი. მეომრებს ვუბრძანე, თოკები გადაეჭრათ. კუაუტემოკის, ტაკუბის ბელადისა და წარჩინებული ინდიელის გვამები მიწაზე დავასვენეთ, ხის ქვეშ ღრმა ორმო ამოვთხარეთ და სამივე ერთად დავასაფლავეთ.

უკანასკნელად გამოვეთხოვე ჩემს მეგობარ კუაუტემოკს. იგი ახლაც იქ განისვენებს სამარადისო ძილით. დიდი მანძილი გავიარე ჩემი ძმის გადასარჩენად, მაგრამ ესპანელებმა მაჯობეს, მე მხოლოდ მისი დამარხვა შევძელი.

ანაუაკმა დაკარგა თავისი ბელადი, გადასარჩენი აღარავინ იყო და ჩვენც დაბრუნებაზე უნდა გვეფიქრა.

სანამ სახლისკენ ვიზამდით პირს, შემთხვევით, ერთი ტლასკალანელი ჩაგვივარდა ტყვედ, რომელიც ესპანურად ლაპარაკობდა - ამ ლაშქრობით გაწამებული, კორტესს გამოქცეოდა.

მას უნახავს, როგორ მოკლეს კუაუტემოკი, მისი მეგობრები და ანაუაკის იმპერატორის უკანასკნელი სიტყვებიც მოესმინა.

ალბათ, ვიღაც არამზადამ აცნობა კორტესს, რომ კუაუტემოკის გათავისუფლება იგეგმებოდა. ამის გაგებისთანავე კორტესს ტყვეების ჩამოხრჩობა უბრძანებია. კუაუტემოკი ისევე ვაჟკაცუ-

რად შეხვედრია სიკვდილს, როგორც ყველა დანარჩენ უბედურებას ხვდებოდა თავისი ტრაგიკული ცხოვრების მანძილზე. სიკვდილის წინ უთქვამს: „ვნანობ, მალინცინო, რომ თავი არ მოვიკალი, სანამ ჩემს თავს შენ ჩაგაბარებდი. გული მეუბნებოდა, რომ ყველა შენი დაპირება ყალბი იყო და არც შევმცდარვარ. სიკვდილი ჩემთვის მისწრებაა, ვინაიდან განვიცადე დამარცხება, შერცხვენა, წამება და მივაღწიე იმ დღემდე, რომ ანაუაკის ხალხი ჩემ თვალწინ თეულთა მონებად იქცა. მაგრამ დარწმუნებული ვარ: ჩადენილი ბოროტებისთვის შურისძიება არ აგცდება!”

ამის შემდეგ ის ჩამოუხრჩვიათ.

მშვიდობით, კუაუტემოკ, ინდიელთა შორის ყველაზე მამაცო, ბრძენო და კეთილშობილო! დაე, ამ სიკვდილის შავი აჩრდილი წარუხოცელ ლაქად ედოს კორტესის დიდებას, ვიდრე ხალხს თქვენი სახელები ემახსოვრება!

უკან დაბრუნებას კიდევ ორი თვე დასჭირდა. დაბოლოს, სავსებით ღონემიხდილებმა და გატანჯულებმა ფიჭვთა ქალაქს მივაღწიეთ. სხვადასხვა უბედური შემთხვევის გამო გზაში ორმოცი კაცი დავკარგეთ. ოთომი ჯანმრთელი დამხვდა და სიხარულისგან დაფრინავდა, რადგან ჩემი დაბრუნების იმედი აღარ ჰქონდა. როცა კუაუტემოკის ამბავი გაიგო, კარგა ხანს ვერ დამშვიდდა, - აცტეკთა უკანასკნელი იმედის დაღუპვას დიდხანს დასტროდა.

33

მოგონებები არ მასვენებდა. ხშირად ღამით მეღვიძებოდა და გაურკვეველი სინანული მტანჯავდა, - თუკი საერთოდ შეიძლება, ადამიანმა ინანოს ის, რაც მასზე არ არის დამოკიდებული. თუმცა ჩემი სახლი აქ იყო და შვილებიც ჩემთან იყვნენ, მაგრამ მაინც ვერ ვივიწყებდი მეორე სახლსა და ლილის, რომელიც დავკარგე. მის ბეჭედს წინანდებურად თითზე ვატარებდი და მასზე არაფერი ვიცოდი. რაც დრო გადიოდა, ჩვენ შორის სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა უფსკრული, მაგრამ მასზე ფიქრი აჩრდილივით მუდამ თან მდევდა. ოთომის მგზნებარე სიყვარულიც და შვილების თბილი ალერსიც კი ვერ მავიწყებდა მას. ყველაზე საშინელი ის იყო, რომ ამ დროს საკუთარი თავი მძულდა. კიდევ უფრო მაშინებდა ოთომი, რომელიც არასოდეს მელაპარაკებოდა ამაზე, მაგრამ ნათლად კითხულობდა ჩემს გულისნადებს: „თუმცა ერთმანეთს დავშორიშორდით, სულით კი ერთად დავრჩით მარადის“.

ასე ეწერა ლილის ბეჭედზე და ასეც იყო სინამდვილეში. დიახ, შორს ვიყავით ერთმანეთისგან, ისე შორს, რომ ძნელი წარმოსადგენი იყო ხიდი, რომელიც ჩვენ შეგვაერთებდა, მაგრამ სულით მაინც მასთან ვიყავი, მიუხედავად იმის დაშვებისა, რომ შესაძლოა, იგი გათხოვილიყო და ჩემ მიმართ გული გასცივებოდა. წინანდებურად ვოცნებობდი იმ სიყვარულზე, რომელსაც თავად ვუღალატე.

მკითხველს ალბათ ახსოვს იზაბელა დე სიგუენსას ცოცხლად ამოქოლვის ამბავი; ახსოვს ისიც, როგორ დაწყევლა მან უკანასკნელ წუთებში მღვდელი, რომელმაც განწირულ ქალს ტანჯვა გინებითა და შეურაცხყოფით გაუორკეცა. ეს მღვდელი, მამა პედრო, სხვებთან ერთად ჩამოვიდა ესპანეთიდან, რათა ინდიელებში ცეცხლითა და მახვილით გაევრცელებინა ქრისტეს რწმენა. თავის თანამოძმეთა შორის, რომლებიც ასეთივე „კეთილმოწყალებას“ იჩენდნენ, იგი ყველაზე მეტი გულმოდგინებით გამოირჩეოდა.

ინდიელი ქურუმები დიდ სისასტიკეს სჩადიოდნენ, როცა თავიანთ მსხვერპლს უიცილოპოჩტლის ან კეცალკოატლის სწირავდნენ, მაგრამ საბრალო კაცის სულს ისინი მზის სამყოფელში მაინც ისტუმრებდნენ. ქრისტიანმა მღვდლებმა კი სამსხვერპლოები არა მარტო შეცვალეს წამების დახვეწილი იარაღებითა და კოცონებით, რაზეც ცოცხლად წვავდნენ ადამიანებს, არამედ, ახლა ყველაფერ ამასთან ერთად, ამქვეყნიური ცხოვრებიდან გათავისუფლებულთა სულს სატანის სამყოფელში გზავნიდნენ.

ამ ურჯულოთა შორის ყველაზე უტიფარი და სასტიკი მამა პედრო იყო. იგი ხან აქ, ხან იქ გამოჩნდებოდა და ყველგან კერპთაყვანისმცემელთა გვამებს ტოვებდა, რისთვისაც „ქრისტეს ეშმაკი“ შეარქვეს. მაგრამ ერთხელ, თავის „წმინდა“ მოვალეობის შესრულებისას, ძალიან ღრმად შეიჭრა დაუპყრობელ ტერიტორიაზე და ოთომის ერთ-ერთ ტომს ტყვედ ჩაუვარდა. ეს მოხდა ფიჭვთა ქალაქში, ჩვენი მმართველობის მეთოთხმეტე წელს.

ეს ამბავი რომ გავიგე, პატარა რაზმით მაშინვე ტომის კასიყთან გავეშურე - იმ განზრახვით, რომ მღვდლის გათავისუფლება მეთხოვა. მართალია, ეს ტომი ჩვენი კავშირიდან მსხვერპლშეწირვის აკრძალვის გამო გავიდა, მაგრამ კასიყთან გარეგნულად ჯერ კიდევ ვინარჩუნებდით ერთგვარ მეგობრობას.

სოფელში რომ მივედით, „ქრისტეს ეშმაკი“ უკვე მიჰყავდათ სამსხვერპლოსკენ, რომელიც ბოძზე დადგმული საზიზღარი კერპის წინ იდო. მღვდელი რაღაც ლოცვას ბუტბუტებდა და მუქარის თვალებით შეჰყურებდა ირგვლივმყოფებს.

შევხედე თუ არა, მაშინვე ვიცანი; ჩემს მეხსიერებაში უეცრად გაცოცხლდა პირქუში მიწისქვეშეთი სევილიაში, სუდარაში გახვეული მშვენიერი ახალგაზრდა ქალი და შავანაფორიანი მღვდელი, რომელმაც განწირულს სპილოს ძვლის ჯვარცმით გაუხეთქა ტუჩები და ღვთისმგმობელობისთვის შეაჩვენა. არავითარი სურვილი არ მქონდა, მას დავხმარებოდი. როცა „ქრისტეს ეშმაკმა“ ახლოს ჩამიარა, მას ესპანურად ვუთხარი: - იქნებ დაგავიწყდა, წმინდა მამაო, მაგრამ ახლა გაიხსენე სიკვდილისწინა ვედრება იზაბელა დე სიგუენსასი, რომელიც შენ სასიკვდილოდ გაწირე დიდი ხნის წინ, სევილიაში.

მღვდელმა გაიგონა ჩემი სიტყვები, მკვდრისფერი დაედო და აღელდა. შეძრწუნებული მომაშტერდა ცოტა ხანს, მაგრამ ჩვეულებრივ ინდიელ ბელადად მიმიჩნია.

- სატანა! - ჩაიხიხინა მან. - ჯოჯოხეთიდან მოხვედი, რომ სიცოცხლის უკანასკნელ საათში დამტანჯო?

- გაიხსენე სიკვდილისწინა ვედრება იზაბელა დე სიგუენსასი, რომელსაც დაარტყი და შეაჩვენე, - დამცინავად ვუპასუხე მე. - ნუ ცდილობ, ჩემი ვინაობის გაგებას, გაიხსენე მხოლოდ იმ ქალის სიტყვები და სამარეშიც კი არ დაივიწყო! ის ერთი წამით გა-

ხევდა ისე, რომ მუჯლუგუნებისთვისაც არ მიუქცევია ყურადღება. მერე კი გამბედაობა დაუბრუნდა და შემზარავი ხმით დაიღრიალა: - შორს ჩემგან, სატანა, არ მეშინია შენი! მახსოვს ის ცოდვილი ქალი. დაე, განისვენოს იმქვეყნად! მისმა წყევლამ მიწია, მაგრამ ეს მახარებს, რადგან საკურთხევლის მიღმა ჩემს წინაშე სამოთხის კარი გაიხსნება. შორს ჩემგან სატანა, არ მეშინია შენი!

იგი წაათრიეს, მაგრამ ყვირილი არ შეუწყვეტია: - ოო, უფალო, მიიღე ჩემი სული! გევედრები, მიიღე!

დაე, მანაც განისვენოს იმქვეყნად! მართალია, იგი სასტიკი იყო, მაგრამ არა - ლაჩარი. იგი ღირსეულად შეხვდა ისეთ წამებას, როგორსაც თვითონ იმეტებდა უამრავი ადამიანისთვის.

ამ თითქოს უმნიშვნელო შემთხვევას დიდი ამბები მოჰყვა. მამა პედრო ქურუმების ხელიდან რომ დამეხსნა, დღეს ალბათ მშობლიური უეივნის ხეობაში არ ვიქნებოდი და, რა თქმა უნდა, ამ წიგნსაც ვერ დავწერდი. ვის შეუძლია განმსაჯოს, კარგი ვქენი თუ ცუდი, რომ მისი გადარჩენა არც კი მიცდია?! მაგრამ ყველა, ვინც ცოცხლად ამოქოლილ იზაბელა დე სიგუენსას საკუთარი თვალით ნახავდა, უეჭველად გამამართლებდა.

იმ დროისთვის ესპანეთიდან ახალი მეფისნაცვალი ჩამოვიდა. გაიგო თუ არა, მღვდლის მოკვლის ამბავი, საშინლად განრისხდა და ურჩ, წარმართ ოთომელებზე შურისძიება გადაწყვიტა.

მალე ჩემამდე მოაღწია ხმამ, რომ ჩვენს წინააღმდეგ დაიძრა ტლასკა ლანელებისა და სხვა ინდიელთა ტომების ჯარი, რათა ერთიანად გაეწყვიტათ ოთომელები. მათ მოჰყვებოდა ასზე მეტი ესპანელიც. ჯარს მეთაურობდა კაპიტანი ბერნალ დიასი, სწო-

რედ ის ჯარისკაცი, რომელიც „მწუხარების ღამის“ ხოცვა-ჟლეტის დროს დავინდე და რომლის მახვილი სულ თან მქონდა.

თავდაცვისთვის წინასწარ მომზადება აუცილებელი იყო; ერთხელ ხომ დავამარცხეთ ისინი, ახლაც შეგვიძლია, იგივე გავიმეოროთ, - დარწმუნებით მეუბნებოდა ამაყი და დაუმორჩილებელი სულის ოთომი. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ თოთხმეტ წელიწადში ბევრი რამ შეიცვალა!

თოთხმეტი წლის წინ ჩვენ მთიანეთში გვყავდა ბევრი მოკავშირე, რომლებიც ერთი დაძახებისთანავე გზავნიდნენ ასობით მეომარს. ახლა ისინი აღარ გვემორჩილებოდნენ და მხოლოდ ფიჭვთა ქალაქისა და რამდენიმე ახლომახლო სოფლის მცხოვრებლების იმედადღა ვიყავით. როცა ესპანელებმა პირველად შემოგვიტიეს, მათ წინააღმდეგ ათი ათასი მეომარი გამოვიყვანე, ახლა კი ძლივს შევაგროვე სამი ათასამდე კაცი.

მიუხედავად სიძნელეებისა, სულით დაცემის უფლება არ მქონდა; შეძლებისდაგვარად, კარგად უნდა გამომეყენებინა არსებული ძალები. სიმართალე გითხრათ, წარმატებისა ძალიან მეეჭვებოდა, მაგრამ საკუთარ შიშს ოთომისთან გულმოდგინედ ვმალავდი, რადგანაც მისი ჩემდამი რწმენა უსაზღვრო იყო. მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ჩემი სიბრძნე საკმარისი იქნებოდა მთელი ესპანეთის ჯარების შესამუსრად.

მტერი მოგვიახლოვდა და ჩვენც საბრძოლველად მოვემზადეთ. გეგმა ისეთივე მქონდა, როგორიც - თოთხმეტი წლის წინ. მცირე რაზმით მტერს უნდა დავხვედროდი ხეობაში, ფიჭვთა ქალაქისკენ მიმავალ ერთადერთ გზაზე. ორ თანაბარ ნაწილად გაყოფილ ძალებს გასასვლელის ორივე მხარეს კლდეების მწვერვალები უნდა დაეკავებინა, რათა ესპანელებისთვის ზევიდან ქვები დაეშინა; როცა მტრის დანახვაზე ჩემი რაზმით უკან

გავიქცეოდი, კლდეებში ჩასაფრებულთათვის ეს უნდა ყოფილიყო პირობითი ნიშანი. გარდა ამისა, დამატებითი ზომებიც მივიღე. მიუხედავად ყველაფრისა, მოსალოდნელი იყო, უკან დაგვეხია, ამიტომ ალაყაფის კარი და კედლები გავამაგრებინე და იქ უკიდურესი შემთხვევისთვის მეომრები დავტოვე. თეოკალის თავზე, სადაც ადამიანის მსხვერპლშეწირვის აკრძალვის შემდეგ არსენალი გვქონდა, წყლისა და სურსათ-სანოვაგის დიდი მარაგი ავატანინე. პირამიდის გვერდები ვულკანური შუშის ნამსხვრევებით გავამაგრეთ და მიუვალ ციხესიმაგრედ ვაქციეთ, რომლის აღება შეუძლებელი იყო, თუ იქ ათიოდე მცველი მაინც გადარჩებოდა ცოცხალი. ოთომის დავემშვიდობე და მთავარ ძალებს ვუბრძანე კლდეებთან ჩასაფრებულიყვნენ, თავად კი რამდენიმე ასეული მეომრით ბნელი გასასვლელისკენ დავიძარი. თან მახლდა ჩემი ვაჟიც. იგი უკვე იმ ასაკში იყო, როცა, ინდიელთა ადათის თანახმად, საბრძოლო ნათლობა უნდა მიეღო.

მზვერავებმა მაცნობეს, ესპანელები ხეობის იქით დაბანაკდნენ, გარიჟრაჟამდე ერთი საათით ადრე გასასვლელში შემოიჭრებიან და მოულოდნელად თავს დაგვესხმიანო. ცნობა ზუსტი აღმოჩნდა. ის-ის იყო, განთიადისას, მზის პირველმა სხივებმა შეაფერადეს ჩვენს უკან აღმართული ვულკან ხაკის თოვლიანი წვერო, რომ მთის ექოთი გაძლიერებულმა ყრუ ხმაურმა მტრის მოახლოება გვამცნო. ჩემი მეომრებით მაშინვე ხეობისკენ დავიძარი. ჩუმად მივიწევდით წინ, აქ ხომ ჩვენთვის ყოველი ქვა ნაცნობი იყო. სამაგიეროდ, ესპანელებს უჭირდათ მოძრაობა, ბევრი მათგანი ცხენზე იჯდა და, გარდა ამისა, ორი ქვემეხიც მოჰქონდათ. მძიმე იარაღი დროდადრო ქვებში იჭედებოდა, რადგან მონები, რომლებიც ქვემეხებს მოათრევდნენ, სიბნელეში გზას ვერ იკვლევდნენ. ბოლოს, კაპიტანმა დიასმა თავისი რაზმი გა-

თენებამდე შეაჩერა, რადგან არ უნდოდა ბრძოლის დაწყება მისთვის არახელსაყრელ პირობებში.

გათენდა. მკრთალმა სინათლემ ღრმა ხეობაც გაანათა. მალე მოელვარე აბჯრებში ჩამჯდარ ესპანელთა გრძელი კოლონა და მათ უკან ათასობით მოკავშირე ინდიელი გამოჩნდა, რომლებიც შეღებილ მუზარადებსა და სხვადასხვა ფერის ფრინველის ბუმბულის მოსასხამებში იყვნენ. მტრის კოლონა კლდეებს შორის ისე მოდიოდა თითქოს საზარელი გველი მოიკლაკნებაო. როცა ას ნაბიჯზე მოგვიახლოვდნენ, ცხენოსნებმა საბრძოლო ყიჟინით შუბები დახარეს, წმინდა პეტრეს შველა შესთხოვეს და იერიშზე წამოვიდნენ. მტერს ისრის სეტყვით შევეგებეთ. ამან შეაჩერა ისინი, ოღონდ - მცირე ხნით; ესპანელები მალე სულ ახლოს მოვიდნენ და თავიანთი გრძელი შუბებით თანდათან შეგვავიწროვეს. ბევრი მეომარი დაგვეღუპა, რადგან შეჯავშნული ცხენოსნების წინააღმდეგ ჩვენი შეიარაღებით ვერაფერს გავხდით. იძულებული ვიყავით უკან დაგვეხია, რაც ჩემს გეგმაშიც შედიოდა: მინდოდა, მტერი ვიწრობში შემეტყუებინა, სადაც ჩემი ჩასაფრებული მეომრები ლოდებით გასრესდნენ.

ყველაფერი კარგად მიდიოდა, - ჩვენ გავრბოდით, გამარჯვებაში დარწმუნებული ესპანელები კი თვითონ მოიწევდნენ ხაფანგისკენ. პირველმა დაგორებულმა ლოდმა ერთი ცხენი მოკლა, მეორე წააქცია, რასაც მოჰყვა მესამე... გული სიხარულით მევსებოდა, მეგონა, საფრთხე ავიცილეთ და ჩემმა გეგმამ კვლავ მოგვიტანა გამარჯვება.

მაგრამ უცებ ზევიდან მოისმა ხმაური, რაც სრულებით არ ჰგავდა დაგორებული ქვების ხმას. ეს იყო შეტაკება, რომელიც სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. მერე ჰაერში რაღაცამ ჩაიქროლა. დავინახე, რომ ეს ქვა კი არა, ადამიანი იყო, ერთ--

ერთი ჩემი მეომარი. იგი შემდგომი წვიმის პირველი წვეთი აღმოჩნდა. ყველაფერს მივხვდი: მტერმა ზურგიდან დაგვარტყა! ესპანელები მეტად გამოცდილი მეომრები იყვნენ იმისთვის, რომ ორჯერ გაბმულიყვნენ ერთსა და იმავე ხაფანგში. ისინი ხეობაში ქვემეხებით შემოვიდნენ; ისარგებლეს რა სიბნელით, ჯარის ნაწილი მთებში გაგზავნეს, მოღალატეების მიერ ნაჩვენები ბილიკებით ტაფობზე ავიდნენ და ახლა უტევდნენ გასასვლელის დამცველებს, რომლებსაც მტრის თავზე ქვები ზევიდან უნდა გადმოეყარათ.

ეს ბრძოლა კი არა, ანგარიშსწორება იყო! უფსკრულის პირას აგავასა და ეკლიან ბუჩქებს შორის დამალული ჩემი მეომრები თვალს ადევნებდნენ ხეობაში მტრის წინსვლას; არავინ მოელოდა, რომ იგი ზურგიდან დაარტყამდა. ეს იმდენად სწრაფად მოხდა, რომ ბევრმა იარაღის აღებაც კი ვერ მოასწრო. რიცხოვნობით მეტმა მტერმა ველური ყიჟინით მიიტანა მათზე იერიში და ძალიან მოკლე დროში გაიმარჯვა კიდეც.

როცა ყველაფერს მივხვდი, თავბედი ვიწყევლე, ეს რომ ვერ გავითვალისწინე. სიმართლე გითხრათ, აზრადაც არ მომსვლია, რომ ესპანელები ფარულ ბილიკებს ადგილობრივი მოღალატეების წყალობით მიაგნებდნენ. გავბრიყვდი! დამავიწყდა, რომ მოღალატეთა ხელით მიუღწეველის მიღწევა ესპანელთა ხელწერა იყო.

34

ბოლოს ესპანელებმა მაინც შეტევა არჩიეს, რაც ორივე მხარისთვის სისხლისმღვრელი იყო. ჯერ კიდევ ცოცხლებმა გადავწყვიტეთ, უკან დაგვეხია. თავიანთი გრძელი შუბებით ჩემი მეომრები ესპანელებმა თანდათან გამოდევნეს ხეობიდან, რომლის იქით, სულ რაღაც სამ-ოთხ მილზე, ფიჭვთა ქალაქი მოჩანდა. ბრძოლის გაგრძელება გაშლილ ადგილას უაზრობა იყო. სხვა გზა არ გვქონდა: ან სიკვდილი უნდა აგვერჩია, ან - გაქცევა და ჩვენც, ცოლ-შვილის გადარჩენის მიზნით, უკანასკნელი ვამჯობინეთ.

დაქანცული ირმებივით გავრბოდით ველზე. ესპანელები და მათი მოკავშირეები ძაღლების ხროვასავით უკან მოგვდევდნენ. საბედნიეროდ, გზა უსწორმასწორო იყო და ისინი ცხენებს მთელი სისწრაფით ვერ მოაჭენებდნენ, ამიტომ ოცამდე მეომარმა ქალაქის ალაყაფის კარამდე უვნებლად მივაღწიეთ. ბრძოლის შემდეგ ჩემი ჯარიდან მხოლოდ ხუთასი მეომარი დაბრუნდა უკან, დაახლოებით ამდენივე ქალაქში დარჩა.

დროულად დაიხურა მძიმე ალაყაფის კარი, რომელიც, ის-ის იყო მსხვილი ძელებით გავამაგრეთ, რომ ესპანელებიც მოგვიახლოვდნენ. მშვილდი მოვიზიდე და ისარი დავუმიზნე ერთ-ერთ ახალგაზრდა მხედარს, რომელიც ყველაზე წინ მოჰქროდა. მან ხელები აიქნია, ცხენზე გადაწვა და გაქვავდა. ამის დანახვაზე სხვებმაც ცოტა ხნით უკან დაიხიეს, მაგრამ მერე ერთ-ერთი მათგანი ისევ მოუახლოვდა კარს თეთრი ნაჭრით. თავის

ბრწყინვალე საჭურველში, იგი ნამდვილ რაინდს ჰგავდა. მხედარი ალაყაფის კარის წინ შეჩერდა.

იგი მაშინვე ვიცანი! ჩემს წინ იდგა ჩემი ძველი მტერი, დე გარსია, რომელზეც, აგერ, თორმეტი წელია, აღარაფერი გამეგო. დროს შეეცვალა ის, თუმცა, რა იყო გასაკვირი, იგი ახლა სამოცისა მაინც იქნებოდა, თუ მეტის არა. წაწვეტებულ წაბლისფერ წვერში ჭაღარა უხვად შეპარვოდა, ლოყები ჩაცვენოდა, ტუჩები კი შორიდან ორ წვრილ წითელ ძაფს მიუგავდა; მხოლოდ ელვარე და გამჭრიახი თვალები შერჩენოდა, ტუჩებს იგივე ცივი ღიმილი უღრეცდა. როგორც ყოველთვის იგი გზაზე ახლაც ყველაზე კრიტიკულ მომენტში გადამეღობა. ალბათ, ეს ჩვენი უკანასკნელი და გადამწყვეტი შეხვედრა იყო. ვიფიქრე, გაივლის კიდევ რამდენიმე დღე და ორივესი ან ერთ-ერთი ჩვენგანის წლობით დაგროვილი სიძულვილი, სიკვდილის დუმილში სამუდამოდ გაყუჩდება-მეთქი. ბედი წინანდებურად არ მწყალობდა. სულ რამდენიმე წუთის წინ ერთი წამით შევყოვნდი, არ ვიცოდი, ვისთვის მესროლა - ახალგაზრდისთვის, თუ მის უკან მომავალი რაინდისთვის. და აი, ახალგაზრდა კაცი, რომელსაც პირადად ჩემთვის არაფერი დაუშავებია, მკვდარი დაეცა. ჩემი მოსისხლე მტერი კი წინ მედგა, ცოცხალი და უვნებელი.

დე გარსიამ მუზარადი აიწია და ესპანურად თქვა: - ეი, თქვენ! ჩვენი მეთაურის, კაპიტან დიასის სახელით, ოთომელთა ბელადთან მინდა ლაპარაკი.

კიბით კედელზე ავედი და გადავძახე: - თქვი! მე ის ვარ, ვინც გჭირდება!

- შენ კარგად ლაპარაკობ ესპანურად, მეგობარო, - მი პასუხა დე გარსიამ, მომიახლოვდა და წარბშეკრული მომაშტერდა. - მითხარი, სად ისწავლე ეს ენა? საიდან ხარ და რა გქვია?

- მე იგი შემასწავლა ვინმე დონა ლუისამ, რომელსაც შენ ახალგაზრდობაში იცნობდი, ხუან დე გარსია, ჩემი სახელი კი თომას ვინგფილდია!

დე გარსია უნაგირზე შეტორტმანდა და საშინელი წყევლა აღმოხდა.

- დედავ, ღვთისაო! - წამოიძახა მან. - შენზე მითხრეს, თავი რომელიღაც ველურ ტომს შეაფარაო; მე ესპანეთში ვიყავი, მეგონა, უკვე ჩაძაღლდი, თომას ვინგფილდ! ამდენმა წელმა განვლო. ჭეშმარიტად ბედი გწყალობს! აქამდე ყოველთვის ხელიდან მისხლტებოდი, მოღალატევ და ეს ყველაზე მეტად მაწუხებდა. სამაგიეროდ, ახლა ვეღარსად წამიხვალ, შეგიძლია, დარწმუნებული იყო ამაში.

- ვიცი, ხუან დე გარსია, ამჯერად ერთ-ერთი ჩვენგანი აქედან ცოცხალი ვეღარ წავა, - ვუპასუხე მე. - უკანასკნელ ფსონს ჩამოვდივარ! ოღონდ, წინასწარ ნუ ტრაბახობ, რადგან ჯერ კიდევ არ ვიცით, ჩვენ შორის რომელი გაიმარჯვებს. მართალია, დიდხანს გწყალობდა ბედი, მაგრამ, შესაძლოა, ახლოსაა ის დღე, როდესაც იღბალი ჩემკენ შემოტრიალდება. თქვი, რა დაგავალეს! იგი წამით შეჩერდა, წამახვილებული წვერი მოიწიწკნა და მომეჩვენა, თითქოს შიშმა გაუელვა თვალებში. დე გარსია სწრაფად მოვიდა გონს, თავი ასწია და გაბედულად თქვა: - მისმინე, თომას ვინგფილდ! დავალებული მაქვს, გადმოგცე შენ და შენს ჯერ კიდევ ცოცხლად დარჩენილ ქოფაკ ოთომელებს, ჩვენი კაპიტნის, ბერნალ დიასის წინადადება, რომლითაც იგი მოგმართავთ თქვენ, მისი უდიდებულესობის, მეფისნაცვალის სახელით.

- რა წინადადებაა ეს? - შევეკითხე.

- საკმაოდ დიდსულოვანი, - ღიმილით მი პასუხა მან. - ჩაგვბარდით ყოველგვარი წინაპირობების გარეშე და მოწყალე მეფისნაცვალი სამართლიანი იქნება თქვენ მიმართ. მაგრამ, მერე რომ არ თქვათ, სიტყვა არ შეასრულეთო, წინასწარ გეუბნებით: პასუხს აგებთ დღემდე ჩადენილი დანაშაულისთვის, თუმცა სასჯელი ლმობიერი იქნება. ყველას, ვინც უშუალოდ ან არაპირდაპირ მონაწილეობდა ნეტარხსენებული წმინდა მამა პედროს საზიზღარ მკვლელობაში, ცოცხლად დაწვავენ კოცონზე, სხვებმაც რომ ჭკუა ისწავლონ. მოსამართლეთა შერჩევით, საჯაროდ ჩამოახრჩობენ ოთომელთა რამდენიმე ბელადს, მათ შორის - შენც, ჩემო ძმობილო ვინგფილდ. და, რასაკვირველია - კიდევ ერთ ქალს, სახელად ოთომის, განსვენებულ იმპერატორ მონტეზუმას ასულს. რაც შეეხება ფიჭვთა ქალაქის მცხოვრებლებს, მათ ქონება უკანასკნელ გროშამდე უნდა ჩააბარონ მეფისნაცვალის ხაზინას. შემდეგ ყველას - კაცს, ქალსა და ბავშვს - წაიყვანენ ქალაქიდან და მეფისნაცვალის განკარგულებით, ჩამოსახლებულ ესპანელთა მამულებში გაანაწილებენ, რათა სამეურნეო საქმე შეისწავლონ და მაღაროებში იმუშაონ. ნაბრძანები მაქვს გადმოგცეთ, რომ ერთი საათი გაქვთ ამ პირობების მისაღებად ან უარსაყოფად.

- რა მოხდება მაშინ, თუ თქვენი პირობები არ მივიღეთ? - შევეკითხე მე.

- ასეთ შემთხვევაში, კაპიტან დიასს დავალებული აქვს, ააწიოკოს და დაანგრიოს მთელი ქალაქი, თორმეტი საათით გადასცეს იგი ტლასკალანელებს და სხვა ჩვენს ერთგულ მოკავშირეებს. შემდეგ, ვინც ცოცხალი გადარჩება, ერთად შეკრიბოს და მეხიკოში მონებად გაყიდოს.

- კარგი, - ვუთხარი მას. - პასუხს ერთ საათში გაგცემთ.

მცველები კართან დავაყენე და შიკრიკებს ვუბრძანე, დაუყოვნებლივ შეეკრიბათ ფიჭვთა ქალაქის გადარჩენილი საბჭოს წევრები. მე კი სასახლისკენ გავეშურე. გახარებული ოთომი კართან დამხვდა. მან უკვე ყველაფერი იცოდა და იმედი აღარ ჰქონდა, რომ ცოცხალს მნახავდა.

- წავიდეთ, დარბაზში ვიკრიბებით, უნდა მოვილაპარაკოთ, - ვუთხარი მას. შევედით დარბაზში, სადაც მრჩეველთა უმეტესობა უკვე მოსულიყო (სულ რვა იყო ცოცხალი). მე ყოველგვარი კომენტარების გარეშე გადავეცი მათ დე გარსიას სიტყვები. შემდეგ, როგორც ყველაზე პირველმა საბჭოში, თავისი აზრი ოთომიმ გამოთქვა.

მე უკვე ორჯერ მქონდა მოსმენილი მისი მიმართვა ხალხისადმი და ორივეჯერ ოთომიმ გაიმარჯვა - სახელოვანი გვარიშვილობის, იშვიათი კეთილშობილების, სიმართლისა და მჭევრმეტყველების წყალობით. ახლა კი მდგომარეობა სულ სხვაგვარი იყო. ოთომის მთელი თავისი უნარიც რომ გამოეყენებინა, აღარაფერს მოგვცემდა. მისი წარსული სიდიადისგან მხოლოდ აჩრდილიღა დარჩა, ერთ-ერთი აჩრდილთაგანი იმ დამხობილი იმპერიისა, რომლის დიდება სამუდამოდ გაქრა - ისევე, როგორც ოთომის ახალგაზრდობა. ის ახლა უკვე აღარ უხმობდა განწირული ხალხის სიამაყესა და დიდ ტრადიციებს. და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, როდესაც იგი თავისი ვაჟის გვერდით გაჩერდა და სიტყვით მიმართა დაბნეულ, სასოწარკვეთილ და შიშისგან თავგზააბნეულ მრჩევლებს, რომლებიც მის წინ თავჩაქინდრულნი და სახეზე ხელებაფარებულნი იდგნენ, გავიფიქრე, ოთომი არასოდეს ყოფილა ასეთი მშვენიერი, ხოლო მისი უბრალო სიტყვები - ასეთი მჭევრმეტყველური-მეთქი.

- მეგობრებო! - დაიწყო მან, - თქვენ იცით, რა უბედურება დაგვატყდა თავს: ჩემმა ქმარმა უკვე გაგაცნოთ თეულთა პიროობები. არავითარი იმედი აღარ არის. ქალაქის, ჩვენ წინაპართა წმინდა ადგილის დასაცავად ათასი კაციღა დაგვრჩა. ჩვენ ანაუაკის ერთადერთი ხალხი ვართ, რომელიც იარაღით ხელში თეთრკანიანებთან ბრძოლას ვბედავთ. დიდი ხნის წინ გითხარით: გააკეთეთ არჩევანი სახელოვან სიკვდილსა და ნაძრახ სიცოცხლეს შორის-მეთქი! დღესაც გიმეორებთ: აირჩიეთ, რომელი გსურთ! ჩემთვის და ჩემი ახლობლებისთვის არჩევანი არ არსებობს, ვინაიდან, ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ მხოლოდ სიკვდილი მოგველის. სულ სხვაა თქვენი მდგომარეობა: შეგიძლიათ, დაიხოცოთ მტერთან ბრძოლაში ან დარჩენილი დღეები შვილებთან ერთად მონობაში გაატაროთ. არჩევანი თქვენზეა!

შვიდმა მრჩეველმა ერთმანეთთან მოითათბირა, მერე ერთ--ერთმა მათგანმა უპასუხა: - ოთომი და შენ, თეულო! კარგად იცით, რომ წლების მანძილზე თქვენს რჩევას ვემორჩილებოდით, მაგრამ ამან ბედნიერება არ მოგვიტანა. ჩვენ ბრალს არ გდებთ ამაში, ვინაიდან თვით ღმერთებმა შეგვაქციეს ზურგი, რადგან ჩვენ უარვყავით ისინი, ადამიანთა ბედი კი ღმერთების ხელშია. თქვენ დიდხანს იზიარებდით ჩვენთან ერთად სიხარულსა და მწუხარებას; დღეს, როდესაც აღსასრული მოახლოვდა, გვინდა, გავიყოთ თქვენი ხვედრი. უკანასკნელ საათებში ოთომის ხალხი არ უღალატებს თავის სიტყვას. ჩვენ გავაკეთეთ არჩევანი: თქვენთან ერთად თავისუფალნი ვცხოვრობდით და თავისუფალნი, ერთად დავიხოცებით. როგორც თქვენ, ჩვენც ასე ვფიქრობთ, რომ სჯობს დავიღუპოთ, ვიდრე მთელი სიცოცხლე თეულთა მონობაში გავატაროთ.

- კარგი! - თქვა ოთომიმ. - ჩვენ დავიხოცებით ისეთი სიკვდილით, რომელზეც ადამიანები, საუკუნეების მანძილზე ლექსებს შეთხზავენ! ძვირფასო, - მომმართა მე, - ხომ გაიგონე ჩვენი პასუხი? გადაეცი იგი ესპანელებს.

ქალაქის კედელთან თეთრი დროშით ხელში დავბრუნდი. დე გარსიას ნაცვლად ახლა სხვა ესპანელი დაგვხვდა პასუხის გასაგებად. მე ვაცნობე, რომ ოთომელები იბრძოლებენ მანამ, სანამ ექნებათ თუნდაც ერთი შუბი და ერთი ხელი - მის გასატყორცნად. ტენოჩტიტლანის მცხოვრებთა მსგავსად, ოთომელები მზად არიან, დაიღუპონ საკუთარი ქალაქის ნანგრევებში, ვიდრე ჩაბარდნენ ესპანელებს, რომელთა „დიდსულოვნებაზე“ მათ ყველაფერი კარგად იციან-მეთქი.

მხედარი ესპენელთა ბანაკში დაბრუნდა. ერთი საათიც არ გასულა, რომ ბრძოლა დაიწყო. ესპანელებმა საალყო ქვემეხები მოაგორეს და კედლიდან დაახლოებით ას ნაბიჯზე დადგეს. ჩვენი ისრები და ხელშუბები მათ ვერავითარ ზიანს ვერ მიაყენებდა. შემდეგ ყუმბარები დაუშინეს ალაყაფის კარს. არც ჩვენ ვისხედით გულხელდაკრეფილნი. მეომრებს ვუბრძანე, წინასწარ მომზადებული მიწაყრილის უკან ამოეთხარათ ღრმა ორმო, რომელზეც ცხენები ვერ გადმოვიდოდნენ. მით უმეტეს, ვერ გადმოიტანდნენ ქვემეხებს. წინიდან და ზურგიდან თხრილებით დაცული ამგვარი ბარიკადები აღვმართეთ მთავარი ქუჩის გარდიგარდმო, რომელიც მიემართებოდა დიდი, ანუ სავაჭრო მოედნისკენ, სადაც თეოკალი იდგა. იმ შემთხვევისთვის, თუ მტერი გვერდზე შემოვლით დაგვარტყამდა, მოედნის ოთხივე გამოსასვლელი ბარიკადებით ჩავხერგეთ.

ესპანელები დაღამებამდე განაგრძობდნენ ალაყაფის კარის ნარჩენებისა და მის უკან აღმართული მიწაყრილების დაბომ-

ბვას, ისე, რომ ჩვენთვის მაინცდამაინც დიდი ზიანი არ მოუყენებიათ. მთელი დღის განმავლობაში ქვემეხების ყუმბარებითა და ჯაზიარების ტყვიებით ათიოდე კაცი მოგვიკლეს. იმ დღეს იერიშზე გადმოსვლა მაინც ვერ გაბედეს.

დაღამებისას ბრძოლა შეწყდა, თუმცა ქალაქში არავის ეძინა. მამაკაცთა უმეტესობა ალაყაფის კარს და კედლების ყველაზე საშიშ ადგილებს იცავდა, ბარიკადებს ახლა უმთავრესად ქალები აგებდნენ. მათ მე და ჩემი სამხედრო მეთაურები ვხელმძღვანელობდით. მაგალითი ოთომიმ მისცა, მას სხვა დიდგვაროვანმა ქალებმაც მიბაძეს და ბოლოს, ყველა ქალი გამოვიდა სამუშაოდ. ისინი არცთუ ისე ცოტანი იყვნენ. საერთოდ, ოთომელებში ქალები მეტი იყვნენ, ვიდრე მამაკაცები, დილის ბრძოლის შემდეგ კი, რამაც მრავალი ქალი დააქვრივა, ეს განსხვავება კიდევ უფრო საგრძნობი გახდა.

საოცარი სანახავი იყო ფისოვანი ფიჭვის (აქედან წარმოიშვა ამ ქალაქის სახელწოდებაც) ასობით ჩირაღდნის შუქზე ქუჩებში მოსიარულე წელშიმოხრილი ქალები, რომლებიც ძლივს მიათრევდნენ მძიმე ქვებსა და მიწით სავსე კალათებს, ხის ბარებით თხრიდნენ მიწას ან ანგრევდნენ სახლების კედლებს. ყოველგვარი ცრემლისა და ოხვრის გარეშე, ისინი თავგამოდებით მუშაობდნენ. არადა, ყველამ იცოდა, რომ წინააღმდეგობა ამაო იყო, რომ განწირულნი ვიყავით, მაგრამ არც ერთი არ ნებდებოდა. თუ ვინმეს რაიმე წამოსცდებოდა, ოთომის სიტყვებს იმეორებდნენ: უმჯობესია, მოვკვდეთ თავისუფალნი, ვიდრე მონებად ვიცოცხლოთო. მთელი ქალაქი, დიდი თუ პატარა, უხმოდ მუშაობდა...

- თეულებისთვისაც ასე იმუშავებთ? - მწარე ღიმილით თქვა ერთმა ჯარისკაცმა, როცა ახლოს ქვების სიმძიმით წელში მოხ-

რილმა ქალებმა ჩაუარეს. - ისინი ხომ თქვენი მომავალი ბატონები არიან!

- ბრიყვო, განა მკვდრები მუშაობენ? - უპასუხა დიდგვაროვანმა ლამაზმანმა.

- მკვდრები არა, - შეეპასუხა ჯარისკაცი, - მაგრამ შენისთანებს თეულები არ კლავენ. ჯერ ახალგაზრდა ხარ და მონობას დიდხანს გაუძლებ.

- ბრიყვო! - გაუმეორა ქალმა. - ნუთუ გგონია, სინათლე ლამპარში მხოლოდ ზეთის ნაკლებობის გამო ქრება ან ადამიანი მარტო სიბერით კვდება? ცეცხლის ჩაქრობა, აი, ასეც შეიძლება!

მან ხელიდან გააგდო ჩირაღდანი, ფეხით გასრისა და გზა განაგრძო. დავრწმუნდი, რომ ქალებს უკვე მიღებული ჰქონდათ გადაწყვეტილება. თუმცა, მაშინ ვერც კი წარმომედგინა, ეს რამდენად საშინელი იქნებოდა. ოთომისაც სიტყვა არ დასცდენია. როცა იმ ღამეს მას შემთხვევით შევხვდი, ვუთხარი: - ოთომი, ცუდი ამბავი გავიგე.

- რაკი ამ დროს ამას მეუბნები, ეტყობა, მართლაც საშინელი ამბავია.

- ჩვენს მტრებს შორის დე გარსიაც არის.

- ვიცი, ძვირფასო!

- საიდან? - შევეკითხე მას.

- შენს თვალებში ამოვიკითხე, - მი პასუხა ოთომიმ.

- ეტყობა, მისი გამარჯვების დღე მოახლოვდა, - ვუთხარი მე.

- მისი კი არა, შენი გამარჯვებისა, ძვირფასო. მას სამაგიეროს გადაუხდი ყველაფრისთვის, ოღონდ ეს გამარჯვება ძვირი დაგიჯდება. ნურაფერს მკითხავ, ამას უბრალოდ ვგრძნობ; შეხედე! - მან მიმანიშნა ვულკან ხაკის თოვლიან მწვერვალზე, რომელიც განთიადის სხივებში ვარდისფრად ელვარებდა. - შეხედე, „დე-

დოფალი“ უკვე გვირგვინს იდგამს! ახლავე წადი ალაყაფის კართან, ესპანელები მალე შეტევაზე გადმოვლენ.

ოთომიმ სიტყვის დამთავრება ვერც კი მოასწრო, რომ ქალაქის კედლის მიღმა საყვირის ხმა გაისმა და მეც იმწამსვე კარისკენ გავეშურე.

გარიჟრაჟის მკრთალ სინათლეზე შევამჩნიე, რომ ესპანელები იერიშისთვის ემზადებოდნენ. ბრძოლა მზის ამოსვლისთანავე დაიწყო.

ისინი ქვემეხებიდან გვესროდნენ, რამაც ნაფოტებად აქცია კარვები. მოულოდნელად სროლა შეწყდა, კვლავ გაისმა საყვირის ხმა და ათასზე მეტი ტლასკალანელისგან შემდგარი დამკვრელი კოლონა, რომელსაც უკან ესპანელი ჯარისკაცები მოჰყვებოდნენ, იერიშზე წამოვიდა. სამასი ოთომელი მეომრით მიწაყრილის უკან ვიყავი ჩასაფრებული და მტერს ველოდი. არ გასულა ორი წუთიც, რომ ტლასკალანელები თხემზე გამოჩნდნენ და ბრძოლა გაჩაღდა.

სამჯერ მოვიგერიეთ მოწინააღმდეგე - შუბებითა და ისრებით, მაგრამ მოიერიშეთა მეოთხე ტალღამ გადმოლახა მიწაყრილი და ორმოს მოაწყდა. ასეთ ურიცხვ მტერთან გაშლილ ქუჩაში ბრძოლა უიმედო იყო - სასწრაფოდ დავიხიეთ უკან შემდეგი მიწაყრილისკენ.

აქ კვლავ განახლდა ბრძოლა. ბარიკადები საგულდაგულოდ იყო გაკეთებული, მოწინააღმდეგე ორი საათით შევაჩერეთ და დიდი ზარალი მივაყენეთ. სამაგიეროდ, ჩვენც ბევრი მეომარი დავკარგეთ, რის გამოც ისევ უკან დავიხიეთ. ამას ესპანელთა ახალი იერიში მოჰყვა. ჩვენი რიგები სულ უფრო და უფრო მცირდებოდა; დაღლილობის გამო იარაღი ძლივს გვეჭირა ხელში,

მაგრამ მაინც გაშმაგებით ვაგრძელებდით ბრძოლას. ქმრებისა და ძმების გვერდით ოთომელი ქალებიც იბრძოდნენ.

ესპანელები მზის ჩასვლისას უკანასკნელ მიწაყრილს მოადგნენ. ცოცხლად დარჩენილმა ჩემმა მეომრებმა ჩამოწოლილი სიბნელით ისარგებლეს და თეოკალის კედლებს ამოეფარნენ.

ღამემ მშვიდად ჩაიარა.

35

მაგრამ ახალ სიძნელეს წავაწყდით: მართალია, პირამიდის მოედანი ფართო იყო, მაგრამ თეოკალის ეზოში შეგროვილი ხალხის ნახევარსაც ვერ დაიტევდა. ბრძოლა რომ გაგვეგრძელებინა, დანარჩენებს თავი სხვაგან უნდა შეეფარებინათ. ტომის უხუცესები შევკრიბე, მოკლედ ავუხსენი შექმნილი მდგომარეობა და შევეკითხე, როგორ მოვიქცეთ-მეთქი. მათ მოითათბირეს და გადაწყვიტეს, რომ დაჭრილებსა და ღრმა მოხუცებს, ბავშვების უმეტეს ნაწილთან ერთად, აგრეთვე იმათაც, რომლებიც მათთან ერთად წასვლას მოისურვებდა, ამ ღამესვე უნდა დაეტოვებინათ ქალაქი. იმ შემთხვევაში, თუ მათ დააკავებდნენ, ტყვედ ჩაბარდებოდნენ. მე დავეთანხმე. საბრალოებს ყველგან სიკვდილი ელოდათ, ხოლო სად წააწყდებოდნენ მას, ამას უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

შეკრებილთაგან შევარჩიეთ ათას ხუთასზე მეტი კაცი. შუაღამისას მათ ტაძრის ეზოს კარი გავუღეთ. საშინელი იყო გამოთხოვების წუთები! აქ ქალიშვილი ეხვეოდა მოხუც მამას, იქ ქმარი ემშვიდობებოდა ცოლს, აგერ, დედა უკანასკნელად კოცნიდა თავის შვილს... ყოველი მხრიდან ისმოდა იმ ადამიანთა ტან-

ჯვით აღსავსე გოდება, რომლებიც ერთმანეთს სამუდამოდ ეთხოვებოდნენ. ამ სურათით შეძრწუნებულმა, სახეზე ხელები ავიფარე და მერამდენედ შევეკითხე თავს: „ღმერთი თუ მართლაც მოწყალეა, რატომ ითმენს ასეთ ბოროტებას, რომლის დანახვა ცოდვილ კაცსაც კი გულს გაუხეთქავს-მეთქი?“ ჩემთან მდგომ ოთომის მივუბრუნდი და ვკითხე, ჩვენი ბიჭიც სხვებთან ერთად ხომ არ გაგვეშვამეთქი.

- არა, - მი პასუხა მან, - სჯობს ჩვენთან მოკვდეს, ვიდრე მტრის მონა გახდეს.

ბოლოს ყველა წავიდა და ალაყაფის კარი ისევ დაიკეტა. მალე ესპანელებმა განგაში ატეხეს, მერე სროლა და ყვირილი გავიგონეთ.

- ტლასკალანელები უეჭველად გაჟლეტენ მათ, - ვთქვი მე.

მაგრამ შევცდი. ესპანელებმა რამდენიმე კაცი მოკლეს და მალე მიხვდნენ, რომ ებრძოდნენ უიარაღო ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს. მათმა მეთაურმა, ბერნალ დიასმა, თუმცა უხეშმა, ოღონდ ლმობიერმა, ბრძანება გასცა, დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ ხოცვა-ჟლეტა. მან მონად გასაყიდად, ცოტად თუ ბევრად, შრომისუნარიანი მამაკაცები შეარჩია და, აგრეთვე, ისეთი ბავშვები, რომლებიც შორეული გზის სიძნელეებს გაუძლებდნენ, დანარჩენები კი გაუშვა. სად დაიფანტნენ ისინი და რა ბედი ეწიათ, არ ვიცი.

ის ღამე ტაძრის ეზოში გავატარეთ, რადგან განთიადისას კვლავ იყო მოსალოდნელი, რომ ესპანელები შეტევაზე გადმოვიდოდნენ. ექვსასამდე ქალსა და ბავშვს თეოკალზე მივუჩინე ადგილი. თითქმის ყველა ქალმა, ქმრიანმა თუ უქმრომ, უარი თქვა წასვლაზე. სამაგიეროდ, ასზე მეტმა ჯანსაღმა მამაკაცმა ამჯობინა, ესპანელებს ჩაბარებოდა და ლტოლვილებს გაჰყვა.

დარჩენილი სამასი მეომრით, მტრის თავდასხმის მოლოდინში, ტაძრის ეზოს კედლებს ამოვეფარე. გათენდა თუ არა, ესპანელები შეტევაზე გადმოვიდნენ. მიუხედავად ჩვენი წინააღმდეგობისა, შუადღისას მათ იერიშით აიღეს ერთი კედელი. ასზე მეტი კაცი დავკარგეთ, რის გამოც უკან ვიხევდით და ციცაბო სპირალისებრი გზით პირამიდის ზედა მოედნისკენ მივიწევდით. გზა იმდენად ვიწრო იყო, რომ რიცხობრივმა უპირატესობამ მტერს წარმატება ვერ მოუტანა. მათ დიდი ზარალი ნახეს და შეტევა აღარ უცდიათ.

ღამით თეოკალის მწვერვალზე გავმაგრდით. ისე ვიყავი დაქანცული, რომ ჭამისთანავე მაგრად ჩამეძინა. დილით ბრძოლა კვლავ განახლდა, ამჯერად - ესპანელთა უპირატესობით. განუწყვეტლად გვიშენდნენ ჯაზიარებს. მათ თანდათან შეგვავიწროვეს და გვაიძულეს, ნაბიჯ-ნაბიჯ დაგვეხია უკან, თეოკალის მწვერვალისკენ. პირამიდის ვიწრო და ხვეული კიბის საფეხურებზე სისხლის ღვრა მთელ დღეს გრძელდებოდა. შებინდებისას მტრის მოწინავე რაზმი გამარჯვების შეძახილებით ზედა მოედანზე შემოიჭრა და შუა ტაძრისკენ წამოვიდა.

მაღლა მყოფი ქალებიდან ერთ-ერთმა ხმამაღლა დაიყვირა: - არ გაუშვათ წყეულები! ისინი ცოტანი არიან!

ქალთა ბრბო შემზარავი წივილ-კივილით ეკვეთა მოქანცულ მტერს და გათელა. მართალია, მრავალი ქალი დაიღუპა, მაგრამ გამარჯვება, საბოლოდ, მათ დარჩათ. გააფთრებული ქალები იჭერდნენ მომხდურებს, მაგრად თოკავდნენ და იქვე აბამდნენ სპილენძის რგოლებზე, რაც მარმარილოს ფილებზე შემორჩენილი იყო ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა ქურუმები მასზე თავიანთ მსხვერპლს აკრავდნენ, რომ არ გაქცეოდათ.

რამდენიმე წამს განცვიფრებული ვუყურებდი ამ უჩვეულო სანახაობას, მერე გონს მოვედი და მეომრებს შევყვირე: - ნუთუ ოთომის ქალები მამაკაცებზე გამბედავები არიან?! წინ, ჩემთან ერთად!

მეტი არაფერი მითქვამს. ჩემი ასი მეომრით ვიწრო, ხვეულ კიბეზე ქვევით დავეშვი. პირველ მოსახვევშივე შევეჩეხეთ მტრის ძირითად ძალებს, რომლებიც, გამარჯვებაში დარწმუნებულნი, აუჩქარებლად მოიწევდნენ ზევით. ჩვენი დარტყმა იმდენად ძლიერი და მოულოდნელი იყო, რომ ბევრი მათგანი მაშინვე პირამიდის ციცაბო კედლებზე დაგორდა. შეშინებული ესპანელები ერთხანს შეჩერდნენ, მერე კი უკანდახევა დაიწყეს. ჩვენი ძლიერი იერიშის გამო ისინი ერთმანეთს ეხეთქებოდნენ და აქცევდნენ იმათ, ვინც ქვედა საფეხურებზე იდგა. პანიკა მალე მოედო წაგრძელებულ კოლონას, რომელიც სპირალისებრი გზით თეოკალის მწვერვალზე ამოსვლას ცდილობდა. თავზარდაცემულები ქვევით გაიქცნენ, მაგრამ ბევრი მაინც ვერ გადარჩა, რადგან კიბეზე დაგორებულ ადამიანთა ტალღა, ლავის მსგავსად, სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და გზად შემხვედრთაც ქვევით, უფსკრულში ყრიდა. საკმარისი იყო, კაცს ფეხი ასცდენოდა, რომ აუცილებლად გადაიჩეხებოდა - პირამიდის კედლებს ეხეთქებოდა და ქვაფენილს ასკდებოდა.

თხუთმეტი წუთის განმავლობაში ესპანელებმა დაკარგეს ის, რაც მთელი დღის ბრძოლით ძლივს მოი პოვეს. თეოკალზე არც ერთი ცოცხალი თეული აღარ დარჩა, თუ არ ჩავთვლით ტყვეებს. შეშინებულებმა ტაძრის ეზოც კი მიატოვეს და ქალაქში თავიანთ ბანაკს მიაშურეს. დაღლილნი, მაგრამ გამარჯვებით გახარებულნი, უკვე თეოკალის მწვერვალზე ვბრუნდებოდით, როცა კიბის მეორე მოსახვევთან, რაც მიწიდან დაახლოებით ასი ფუ-

ტის სიმაღლეზე იყო, უეცრად თავში ერთმა აზრმა გამიელვა და ირგვლივმყოფთა დახმარებით მის განხორციელებას შევუდექი: ავყარეთ კიბის საფეხურებზე დადებული ქვები და პირამიდის კედლებზე გადავაგორეთ. ამასთან, გადავყარეთ მიწაც, რაზედაც ქვები იდო. ასე ვიშრომეთ მანამდე, ვიდრე ჩვენს ქვევით, სპირალისებური ჩასასვლელის ნაცვლად, ოცდაათ ფუტზე მეტი სიგრძის ფლატე არ გაკეთდა. ამგვარად, თეოკალზე ამოსასვლელი კიბე დანგრეული იყო.

- ახლა, ჩვენი ბუდე რომ ხელში ჩაიგდონ, ესპანელებს ფრთები დასჭირდებათ, - ვუთხარი მეომრებს, როცა მთვარის შუქზე ჩვენს ნამოქმედარს შევხედე.

- აჰ, თეულო, - შემეპასუხა ერთ-ერთი მეომარი. - ჩვენ თვითონ რომელი ფრთებით გავფრინდებით აქედან?!

- სიკვდილის ფრთებით, - მკვახედ ვუპასუხე და მაღლა ასვლა განვაგრძეთ. კიბის დანგრევას დიდი დრო მოვანდომეთ. ისე რომ, თეოკალის მოედანზე თითქმის შუაღამეს დავბრუნდი. ტაძრიდან საზეიმო გალობა შემომესმა და გამიკვირდა; კიდევ უფრო განვცვიფრდი, როდესაც დავინახე, რომ უიცილოპოჩტლის ტაძრის კარები ღია იყო, ხოლო საკურთხევლებზე კვლავ გიზგიზებდა საღმრთო ცეცხლი, რაც უკვე წლების მანძილზე არ ანთებულა. რა არის ეს? - ვიფიქრე მე, - სმენა მატყუებს, თუ ნამდვილად მესმის მსხვერპლშეწირვის საშინელი გალობა?! სიჩუმეში ისევ გაისმა ველური მისამღერი: „შენ გწირავთ მსხვერპლს! გვიხსენ ჩვენ, უიცილოპოჩტლო, უიცილოპოჩტლო, დიადო ღმერთო!”

წინ გავქანდი, კუთხეში მოვუხვიე და ახლო წარსულთან პირისპირ აღმოვჩნდი: როგორც დიდი ხნის წინ, აქ კვლავ ირეოდნენ შავსამოსიანი ქურუმები, მხრებამდე ჩამოყრილი თმითა და

ობსიდიანის საშინელი დანებით ხელში. სამსხვერპლო ქვის მარჯვნივ წყება-წყებად ელაგა ღმერთისთვის შეწირული გათოკილი ტყვეები. ქურუმებს უკვე მიჰყავდათ პირველი მსხვერპლი - ტლასკალანელი, რომელსაც გასისხლიანებულ სამოსელში გახვეული ერთ-ერთი ჩემი სამხედრო მეთაური დაჰყურებდა. გამახსენდა, რომ იგი ოდესღაც, სანამ ფიჭვთა ქალაქში კერპთაყვანისმცემლობას ავკრძალავდი, ღმერთ ტესკატლი პოკას ქურუმი იყო. მის ირგვლივ ფართო წრედ იდგნენ ქალები და თავიანთ შემაძრწუნებელ ჰიმნს მღეროდნენ.

ყველაფერი ნათელი იყო. სასოწარკვეთილების ჟამს, გარდაუვალი სიკვდილის წინ, ძველი სარწმუნოების ცეცხლმა კვლავ იფეთქა მწუხარებით გათანგულ იმ ქალთა ველურ გულებში, რომლებმაც დაკარგეს მამები, ქმრები და შვილები. აქ იდო სამსხვერპლო ქვა და იდგა ტაძარი, სადაც რიტუალისთვის საჭირო ნივთები ინახებოდა. გამწარებულ ქალებს უკანასკნელი შურისძიებით დატკბობა უნდოდათ. დაე, მოვკვდეთ, - ფიქრობდნენ ისინი, - სამაგიეროდ, ჩვენი სული წყეულ თეულთა სისხლით მოლბობილ მზის სამყოფელში წავაო!

ჩემ პირდაპირ, ქალების წრის შუაში, ავბედითი ჰიმნის ყოველ ტაქტს პატარა კვერთხის აქნევით აღნიშნავდა თეთრ სამოსელში გამოწყობილი პრინცესა ოთომი, მონტესუმას ასული, ჩემი ცოლი... მოელვარე ზურმუხტის ყელსაბამით დამშვენებულს თმაში სამეფო მწვანე ფრთები გაერჭო. პირველად ვხედავდი მას, ერთდროულად მშვენიერსა და საშინელს. სად გაქრა მისი ნაზი ღიმილი და კეთილი თვალები? - ვეკითხებოდი თავს. ჩემ თვალწინ შურისძიების ცოცხალი განსახიერება იდგა. ამ ფაქტით ბევრი რამ გავაცნობიერე, თუმცა არა - ყველაფერი. ოთომი, რომელიც ყოველთვის ჩვენი სარწმუნოებისკენ იხრებოდა

და მთელი ამ წლების განმავლობაში ზიზღით ლაპარაკობდა თავისი ხალხის საშინელ წესებზე, სიტყვითაც და საქმითაც, მუდამ გულმოწყალე და კეთილი იყო, მაგრამ, როგორც გაირკვა, შინაგანად ისევ წარმართად და ველურად რჩებოდა. იგი ან გულმოდგინედ მალავდა ამ ნაკლს ან საკუთარ თავს ბოლომდე თვითონაც არ იცნობდა. ერთად ცხოვრების მანძილზე ოთომიმ სულ ორჯერ გამოავლინა თავისი ველური ბუნება: ერთხელ, როცა კორტესის ბანაკიდან გაქცევისას უარი თქვა მარიანას მოტანილი მეძავის კაბის ჩაცმაზე და მეორედ იმავე დღეს, როცა ტლასკალანელს მახვილი ჩასცა.

ყველაფერმა ამან უცებ გამიელვა თავში, სანამ ქურუმები ტლასკალანელს საკურთხევლისკენ მიათრევდნენ; ოთომი ხელმძღვანელობდა გუნდს, რომელიც სიკვდილის ჰიმნს გალობდა. წამში მის გვერდით გავჩნდი.

- რა ხდება აქ?! - ვკითხე მკაცრად.

ოთომიმ უაზრო თვალებით ცივად შემომხედა, თითქოს ვერ მიცნოო.

- წადი აქედან, თეთრკანიანო, - ჩაილაპარაკა მან. - უცხოელებს უფლება არ გაქვთ, ჩვენს ადათებში ჩაერიოთ!

ადგილზე გავშეშდი. არ ვიცოდი, რა მექნა და უიცილოპოჩტლის ქანდაკების წინ მოგიზგიზე ცეცხლს უაზროდ შევავლე თვალი.

კვლავ ჟღერდა საზეიმო ჰიმნი. ოთომი ისევ განაგრძობდა „დირიჟორობას“. მლოცველ ქალთა გოდება ზეცამდე აღწევდა. მეგონა, საშინელ სიზმარს ვხედავდი. ამ კოშმარისგან უცებ გამოვფხიზლდი, მახვილი ვიშიშვლე და ქურუმისკენ გავქანდი, რათა იგი საკურთხევლის წინ ამეკუწა. ვერც ერთმა მამაკაცმა ვერ მოასწრო გონს მოსვლა, სამაგიეროდ, ქალები ჩემზე ბევრად

მარდები აღმოჩნდნენ: სანამ მახვილს მოვიქნევდი, ისინი წივილ-კივილით ჩამებღაუჭნენ.

- წადი, თეულო, თორემ სამსხვერპლო ქვაზე დაგკლავთ შენს ძმებთან ერთად! - ყურში ჩამჩხავლეს ქალებმა და იქიდან კინწისკვრით გამომაგდეს.

ტაძრის ჩრდილში გავირინდე; მინდოდა, რაიმე მომეფიქრებინა. ჩემი თვალები უცებ შეჩერდა ტყვეებზე, რომლებიც ერთმანეთზე იყვნენ გადაბმული და თავის რიგს ელოდნენ. ოცდათერთმეტი კაცი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მათ შორის - ხუთი ესპანელი. შევამჩნიე, რომ ისინი სულ ბოლოში იყვნენ, - ეტყობოდა, ზეიმის ბოლოსთვის შემოინახეს. თავს ვიმტვრევდი იმაზე ფიქრით, როგორ გადამერჩინა ეს ხუთი კაცი. მივხვდი, რომ მე უკვე აღარაფერს წარმოვადგენდი. გაგიჟებული ქალების შურისძიების დაოკება შეუძლებელი იყო; უფრო ადვილი იყო პუმასთვის შვილის წართმევა, ვიდრე - მათი ხელიდან ტყვეების გამოგლეჯა. მამაკაცებს სხვაგვარად ეჭირათ თავი; მართალია, ზოგი მათგანი შეუერთდა ქალების ფანატიკურ ორგიას, მაგრამ უმრავლესობა შიშით შეჰყურებდა ამ სანახაობას და მასში არ მონაწილეობდა.

ჩემთან ახლოს იდგა ოთომელთა ერთ-ერთი ბელადი, ჩემი ასაკის კაცი. ჩვენ დიდი ხნის მეგობრები ვიყავით და ჩემ შემდეგ, იგი ტომის პირველ სამხედრო მეთაურად ითვლებოდა. მასთან მივედი და ვუთხარი: - მისმინე, მეგობარო, თუ შენი ხალხის ღირსებას პატივს სცემ, დამეხმარე ამ საზიზღრობის აღკვეთაში!

- არ შემიძლია, - მი პასუხა მან. - არც შენ გირჩევ, ჩაერიო, ეს კარგს არაფერს მოგიტანს! ახლა ძალაუფლება ქალების ხელშია და ხომ ხედავ, როგორც იყენებენ მას. მალე ყველანი დავიხოცებით; სიკვდილის წინ მათ უნდათ, გააკეთონ ის, რასაც მამა-

პაპა აკეთებდა, ვინაიდან დასაკარგი აღარაფერი აქვთ. რამდენიც არ უნდა ებრძოლო ძველ ადათებს, სულ ერთია, ასეთ დროს მაინც წამოყოფს თავს.

- იქნებ, თეულების გადარჩენა მაინც შევძლოთ? - შევეკითხე მე.

- რატომ?! განა ისინი გვიხსნიან, როცა ხელში ჩავუვარდებით?!

- შესაძლოა, არ გვიხსნან, მაგრამ თუ სიკვდილი გვიწერია, ჯობს შეუბღალავი სინდისით მოვკვდეთ, - ვუპასუხე მე.

- რას მოითხოვ ჩემგან, თეულო?

- აი, რას: მონახე სამი-ოთხი მეომარი, რომლებიც ამ სიგიჟეს არ აჰყვნენ და მათთან ერთად დამეხმარე თეულების გათავისუფლებაში, რაკი დანარჩენების გადარჩენა შეუძლებელია. მათ თოკებით ჩავუშვებთ ჩამონგრეული კიბის კიდიდან. მერე თვითონ გაიკვლევენ გზას.

- შევეცდები, - მი პასუხა ბელადმა მხრების აჩეჩვით. - ოღონდ, ამას გავაკეთებ შენთვის და არა იმიტომ, რომ წყეული თეულები მიყვარს. ჩემი აზრით, სულაც არ იქნება ცუდი, თუ ყველა ესპანელს სამსხვერპლოზე დადებენ!

იგი წავიდა და ტყვეების ირგვლივ თანდათან შეჯგუფდნენ მეომრები. ისინი გაჩერდნენ სწორედ იმ ადგილას, სადაც უკანასკნელი ტყვე ინდიელის შემდეგ ესპანელები იყვნენ მიბმულნი. ფრთხილად მივცოცდი ესპანელებთან. მარმარილოს ფილებში ჩამაგრებულ სპილენძის რგოლებზე ხელ-ფეხით მიკრულნი, გაფითრებული სახითა და შიშისგან გადმოკარკლული თვალებით, უხმოდ იწვნენ იატაკზე და თავიანთ უკანასკნელ წუთს ელოდნენ.

- სუ! ჩუმად! - ყურში ჩავჩურჩულე ერთ ესპანელს (ვიცანი, იგი ადრე კორტესთან მსახურობდა), - სიცოცხლე გინდა?

- ვინ ბოდავს აქ სიცოცხლეზე? - თქვა უკმაყოფილოდ და სწრაფად მოიხედა, - ვინმეს შეუძლია, ამ კუდიანებისგან გვიხსნას?

- მე თეული ვარ, თეთრკანიანი და ქრისტიანი, ამავე დროს, ამ ხალხის ბელადი. ჯერ კიდევ შემომრჩა რამდენიმე ერთგული მეგობარი. გადაგიჭრით თოკებს და მერე ვნახოთ, რა მოხდება. გახსოვდეს, ესპანელო, დიდ რისკზე მივდივარ; თუ გამიგეს, მეც ალბათ იგივე ხვედრი მელის, რომლისგანაც თქვენი დახსნა მინდა.

- აქედან თავი თუ დავაღწიეთ, - მი პასუხა ესპანელმა, - ამ სიკეთეს არ დაგივიწყებთ, ამაში დარწმუნებული იყავით. მაგრამ, როგორ გავაღწევთ ამ ღამეში, ასეთი ველური ქალების შეუმჩნევლად?

- სულერთია, უნდა ვცადოთ! სხვა გამოსავალი არ არის, - ვუპასუხე მე. საბედნიეროდ, შემთხვევა დაგვეხმარა: სანამ ვლაპარაკობდით, ესპანელთა ბანაკში შეამჩნიეს, რაც თეოკალზე ხდებოდა. ქვევიდან შემაძრწუნებელი ყვირილი მოისმა, შემდეგ კი ჯაზიარებიდან და ქვემეხებიდან სროლა დაიწყო. სხვათა შორის, ამას ჩვენთვის არავითარი ზიანი არ მოუყენებია, რადგან პირამიდის ძირიდან ზევითკენ მიმართული ტყვიის სეტყვა ჩვენს ზევით იფანტებოდა. ესპანელთა დიდი რაზმი, ტაძრის ეზოს გავლით, თეოკალზე საიერიშოდ დაიძრა. მათ არ იცოდნენ, რომ პირამიდის ასასვლელი ჩანგრეული იყო.

საინტერესოა, რომ ამ დროს მსხვერპლშეწირვის რიტუალი მაინც გრძელდებოდა. ქვემეხების გრიალი, ესპანელ ჯარისკაცთა შეშინებული და გააფთრებული ყვირილი, ტყვიების ზუზუნი, მტრის მიერ ბრძოლის ველის გასაშუქებლად სახლებზე წაკიდებული ცეცხლის ტკაცატკუცი... ყველაფერი ეს, სიკვდილის ვე-

ლურ ჰიმნში არეულიყო. ამ საერთო არეულობამ და უწესრიგობამ ერთგვარად შეამსუბუქა ჩემი ამოცანა.

ოთომთა სარდალი ერთგულ მეომრებთან ერთად გვერდით მედგა. სწრაფად დავიხარე და დანის რამდენიმე ძლიერი დარტყმით ტყვე ესპანელებს თოკები გადავუჭერი. შემდეგ ჩვენ, თორმეტ კაცზე მეტი, ერთად შევჯგუფდით და შუაში ესპანელები ჩავიყენეთ; მერე, მახვილი ვიშიშვლე და დავიყვირე: - თეულები შეტევაზე გადმოვიდნენ. ისინი თეოკალისკენ მოდიან! ჩვენ უკუვაგდებთ მტერს! ტყუილი არ მითქვამს, ესპანელთა კოლონა უკვე კიბეზე ამოდიოდა. ვისარგებლეთ ამით, მოედანი გადავირბინეთ და ქვევით დავეშვით. არავის შევუნიშნივართ და არც შევუჩერებივართ, ვინაიდან ყველა მსხვერპლშეწირვით იყო გართული. შვებით ამოვისუნთქვე: რაც არ უნდა ყოფილიყო, ქალები ვერ დაგვინახავდნენ. ოღონდ, უნდა გვეჩქარა. სპირალისებურ კიბეზე სწრაფად ჩავდიოდით, თუმცა, ფეხებდასიებულ ტყვეებს ძალზე უჭირდათ... როგორც იქნა, მივაღწიეთ მოსახვევს, რომელსაც ქვევიდან ესპანელთა რაზმიც მოადგა. ფლატის ბოლოსთან თავმოყრილი ესპანელები გაცოფდნენ, როცა დაინახეს, რომ ზემოთკენ გზას ვეღარ გააგრძელებდნენ და ვერც ტყვეებს დაეხმარებოდნენ. ჩვენ მათ ვერ ვხედავდით, თუმცა კარგად გვესმოდა მათი უმწეო შეძახილები.

- დავიღუპეთ, - წაილუღლუღა ხნიერმა ესპანელმა, - კიბე ჩანგრეულია, პირამიდის კედლებზე ფორთხვა კი უეჭველი სიკვდილია.

- სულაც არა, - ვუპასუხე მას. - ორმოცდაათი ფუტის ქვემოთ, კიბე მთელია. იქამდე თითოეულს თოკით ჩაგიშვებთ.

დრო რომ არ დაგვეკარგა, ჩემი მეომრები დაუყოვნებლივ შეუდგნენ საქმეს. პირველ ჯარისკაცს იღლიებქვეშ თოკი შემოაკ-

რეს და ფრთხილად ჩაუშვეს დაბლა, სადაც ესპანელები იდგნენ. ბოლოს, ჯერი ხნიერზე მიდგა.

- მშვიდობით, - მითხრა მან. - მართალია, მოღალატე ხარ, მაგრამ ღმერთი მაინც არ დაივიწყებს შენს სიკეთეს. იქნებ გამომყვე? ხელს არავინ გახლებს, ამის თავდები ვარ ჩემი სიცოცხლითა და პატიოსნებით. ამბობ, ქრისტიანი ვარო. განა არის იქ ქრისტიანის ადგილი? - მან ხელი თეოკალის მწვერვალისკენ აიშვირა.

- რა თქმა უნდა, არა, - ვუპასუხე მე. - მაგრამ, ვერ წამოგყვები. აქ ცოლშვილი მყავს. თუ გინდა, მადლობა გადამიხადო, ეცადე, მათ სიცოცხლე შეუნარჩუნო, საკუთარი თავი კი უკვე გადადებული მაქვს.

- ვეცდები, - მი პასუხა ესპანელმა.

ჩვენ ისიც ჩავუშვით დაბლა. ამის შემდეგ ტაძართან დავბრუნდი და განვაცხადე, ესპანელებმა ვერ გადმოლახეს ფლატე და წავიდნენ-მეთქი.

აქ ისევ გრძელდებოდა საშინელი ორგია. შესაწირი მხოლოდ ორი ინდიელიღა იყო. დაღლილი ქურუმები ფეხზე ძლივს იდგნენ.

- სად არიან თეულები? - დაიყვირა ვიღაცამ. - ჩქარა! აქ მოათრიეთ ისინი! ყველგან ეძებეს ესპანელი ტყვეები, მაგრამ, რასაკვირველია, ვერსად ი პოვეს. მე მოშორებით, ჩრდილში მივიმალე და შეცვლილი ხმით ხმამაღლა დავიძახე: - ისინი თეულთა ღმერთმა წაიყვანა და თავისი ფრთები გადააფარა! უიცილოპოჩტლის არ შეუძლია დასძლიოს თეულთა ღმერთი!

მაშინვე ადგილი გამოვიცვალე, რათა არავინ მიმხვდარიყო, რომ ეს მე ვიყავი. ჩემი სიტყვები მყისვე აიტაცეს და ათასნაირად გაიმეორეს.

- ჯვრის ღმერთმა თავისი ფრთები გადააფარა თეულებს! - გაჰყვიროდნენ ქალები, - მივიტანოთ მსხვერპლად ისინი, ვინც მან უარყო და ამით გავიხაროთ!

მალე უკანასკნელი ტყვეებიც დაკლეს სამსხვერპლოზე.

მეგონა, ამით ყველაფერი დამთავრდებოდა, მაგრამ შევცვდი. ამ უბედურთა გულში სიგიჟის ცეცხლი გიზგიზებდა. მსხვერპლშეწირვა დასრულდა, მაგრამ ნამდვილი „დღესასწაული“ ახლა იწყებოდა.

ქალები ზედა მოედნის კიდესთან შეიკრიბნენ და რაღაცისთვის მზადება დაიწყეს, თუმცა ესპანელთა ტყვია ხან ერთს ცელავდა, ხან - მეორეს. მათთან ერთად მხოლოდ ქურუმები იყვნენ. მამაკაცები კვლავინდებურად ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და პირქუშად შეჰყურებდნენ ქალების ფუსფუსს. არც ერთი მამაკაცი არ ცდილობდა მათ დაოკებას.

ტაძარში, სამსხვერპლო ქვასთან, ერთადერთი ქალი, ოთომი იყო დარჩენილი - მის დანახვაზე გული მომიკვდა: სიგიჟე განელებოდა და ახლა შიშისგან გაფართოებული თვალებით ხან დაგლეჯილ მსხვერპლთა ნეშტს აცქერდებოდა, ხან - თავის ხელებს.

მასთან მივედი და მხარზე ხელი დავადე. იგი უცებ შემობრუნდა.

- ოო, ჩემო ქმარო... ჩემო ქმარო! - მხოლოდ ამის თქმა შეძლო და სული შეეხუთა.

- დიახ, ეს მე ვარ. ოღონდ ამიერიდან ნუღარ დამიძახებ ქმარს!

- ოოჰ, ეს რა ჩავიდინე! რა ჩავიდინე! - დაიკვნესა და უგრძნობლად დაეცა. ახლა გავიხსენებ ერთ ამბავს, რომელიც დიდი ხნის შემდეგ, ჩვენი მრევლის წინამძღვარმა მიამბო. იგი მარ-

წმუნებდა, რომ უძველესი დროიდან, წარმართები, რომლებიც ეთაყვანებიან ისეთ დემონებს, როგორიც ანაუაკის ღმერთებია, ხანდახან ჭკუიდან იშლებიანო. ბოროტი სული შედის იმათშიც კი, ვინც უარყო კერპთაყვანისმცემლობა და ცნობამიხდილობისას მათ შეიძლება, ყველაზე საზარელი დანაშაულიც კი ჩაიდინონო. ამის დასტურად, მან ბერძენი პოეტის, ვინმე თეოკრიტეს „იდილია“ მოიყვანა, რომელშიც აღწერილია ერთი ქალის, აგავას ამბავი. მან წარმართული ღმერთის, დიონისეს სადიდებელ საიდუმლო დღესასწაულზე შეამჩნია, რომ მის ვაჟიშვილს თვალი ეჭირა მისტერიაში მონაწილე ქალებზე. პოეტის თქმით, დიონისეს ბოროტი სული შევიდა აგავაში: ის, სხვა ქალებთან ერთად, დაეძგერა საკუთარ შვილს და ნაკუწ-ნაკუწ აქცია. თეოკრიტე თვითონ იყო დიონისეს თაყვანისმცემელი, ამიტომ არ ძრახავს აგავას ასეთი დანაშაულისთვის, პირიქით - აქებს მას, ვინაიდან, ყველაფერი ეს ღმერთის შთაგონებით ჩაიდინა და ღმერთს ხომ არავინ ასამართლებსო. ოთომიც, ალბათ, ზუსტად ისევე იყო შეპყრობილი უიცილოპოჩტლის სულით, როგორც სასტიკი მკვლელი აგავა - დიონისეს სულით-მეთქი. ასევე ახსნა შემდეგ თავისი საქციელი ოთომიმაც.

კაცმა რომ თქვას, რა არის აქ გასაკვირი? საბერძნეთის დემონებს თუ ამგვარი ძალა ჰქონდათ, ადვილი წარმოსადგენია, როგორი უნდა ყოფილიყო ანაუაკის ღმერთების ზეგავლენა! ამიტომ, დღეს მიმაჩნია, მაშინ საკურთხეველთან იყო არა ოთომი, არამედ თვით ეშმაკი უიცილოპოჩტლი; ოთომი წინათ თაყვანს სცემდა მას და იმ ღამეს, ამ ეშმაკმა შეძლო მასში შესვლა და მისი ნამდვილი სულის დათრგუნვა. ამდენი რომ მცოდნოდა, მაშინ, ალბათ, ოთომის საქციელს უფრო სხვა თვალით შევხედავდი.

36

- დედაშენი გონწასულია, - ვუპასუხე მე. - აქ კი იმიტომ ჩაგკეტა, უსაფრთხოდ რომ ყოფილიყავი. მოუარე მას, სანამ დავბრუნდები.

- კარგი, - ჩაილაპარაკა ბიჭმა. - ისე ჩემი ადგილი შენს გვერდითაა. მე უკვე დიდი ვარ! ესპანელებთან ბრძოლა მინდა და არა ავადმყოფების მოვლა!

- ამაზე ნურც იოცნებებ! - ვუთხარი მას. - გევედრები, შვილო, იყავი აქ, სანამ მოვალ.

თავშესაფრიდან გამოვედი და იმავე წუთს ვინანე: ოთხ ჯგუფად გაყოფილი ქალები სიმღერითა და ცეკვა-ცეკვით ჩემკენ მოდიოდნენ. ბევრ მათგანს ხელში ბავშვი ეჭირა და თითქმის ყველა ნახევრად შიშველი იყო. ისინი, რომლებიც ამ პროცესიას ხელმძღვანელობდნენ, წინ მორბოდნენ, აქეთ-იქით აწყდებოდნენ, ხტოდნენ, მოთქვამდნენ, თავიანთი ღმერთების სახელებს გაჰყვიროდნენ და წინაპართა სისასტიკეს ადიდებდნენ. უკან ქალთა ბრბო მოჰყვებოდათ. ისინი თეოკალზე ავი სულებივით წინ და უკან დარბოდნენ, ზოგიერთები კი უიცილოპოჩტლისა და მისი საზიზღარი დის, სიკვდილის ქალღმერთის ქანდაკებასთან გართხმულები, ქედს იხრიდნენ სამსხვერპლო ქვის წინაშე და ხელებს წმინდა ცეცხლისკენ იშვერდნენ. საათზე მეტხანს გაგრძელდა ეს ჯოჯოხეთური კარნავალი, რომლის დანიშნულებას ვერაფრით მივხვდი, თუმცა კარგად ვიცნობდი ინდიელთა ადათებს. მერე, თითქოს ვიღაცის ბრძანებით, ქალები მოედანზე ერ-

თად შეგროვდნენ და შეკრეს ორი წრე, რომლის შუაში ქურუმები ჩადგნენ.

ერთი წუთიც და გუნდმა წამოიწყო სიმღერა, - ისეთი ველური და შემზარავი, რომ მთელ ტანში ჟრუანტელმა დამიარა.

ეს სანახაობა ზოგჯერ ახლაც მესიზმრება. შეეცადეთ, წარმოიდგინოთ ყველაზე დახვეწილი სისასტიკე, რაც ადამიანის წარმოსახვას შეუძლია შექმნას; ამას დაუმატეთ ათასგვარი საშინელება: მოჩვენებები, მკვლელობები, შემაძრწუნებელი შურისძიების სისხლიანი ზღაპრები... და თუ ყოველივე ამის გადმოცემას სიტყვებით მოახერხებთ, შესაძლოა, ამან ასახოს ოთომის ქალთა იმ ძველთაძველი სიმღერის შინაარსი.

გუნდი თანდათან ხმას უწევდა. ქალებმა ნელ-ნელა, თავიანთი ღმერთებისთვის თვალის მოუშორებლად, უკან დაიხიეს და ტაძრის ყველა მხარეს გაიშალნენ. მათ წინ ქურუმები მიუძღოდნენ. მალე ისინი ნალისებრ ჩამწკრივდნენ ზედ მოედნის კიდეზე - პირით ტაძრისკენ, ზურგით უფსკრულისკენ. წინამძღოლები და ქურუმები მათ გვერდში ამოუდგნენ და წამით სიჩუმემ დაისადგურა. უცებ, რაღაც ნიშანზე ყველა ერთბაშად უკან გადაიხარა და ცას დააცქერდა. ქარმა ააფრიალა განწირულთა გრძელი თმები, ხანძრის შუქი დაეცა მათ გაღეღილ გულ-მკერდს და შეშლილ თვალებში გაკრთა. გაისმა საზარელი გოდება.

- გვიხსენ, უიცილოპოჩტლი! მიგვიღე, ღმერთთა ღმერთო, შენს სამყოფელში!

სამჯერ განმეორდა გოდება და უეცრად შეწყდა. ოთომის ქალები გაქრნენ! თეოკალის მწვერვალი დაცარიელდა.

ასე დასრულდა უკანასკნელი მსხვერპლშეწირვა ფიჭვთა ქალაქში. კერპები დაიღუპნენ და თან გაიყოლეს თავიანთი თაყვანისმცემლებიც. გაისმა მამაკაცების ყრუ გმინვა, შემდეგ ერთ--

ერთმა მათგანმა წამოიძახა: - დაე, ჩვენმა ცოლებმა მშვიდად განისვენონ მზის სამყოფელში! ქალებმა გვიჩვენეს გზა, როგორ უნდა შეხვდეს კაცი სიკვდილს!

- არა, ოღონდ ასე არა! - შევეპასუხე მე. - დაე, ქალებმა მოიკლან თავი, ჩვენ კი მტრისთვის მახვილი მოგვეპოვება.

მოვბრუნდი და ჩემ წინ ოთომი დავინახე.

- რა მოხდა? - შემეკითხა იგი. - სად არიან ჩემი დები? ოო, ალბათ საშინელი სიზმარი ვნახე! დამესიზმრა, თითქოს ჩვენი ღმერთები კვლავ ძლიერები გახდნენ და ისევ სვამდნენ ადამიანის სისხლს...

- ჭეშმარიტად საზარელი სიზმარია, - ვუპასუხე მე, - მაგრამ კიდევ უფრო საშინელია გამოფხიზლება, რადგან ვერაგული ღმერთები მართლაც დღემდე ძლიერნი არიან ამ დაწყევლილ ქვეყანაში. მათ შეიწირეს შენი დები.

- არ ვიცი, ძლიერები არიან ისინი თუ არა, - ნაღვლიანად მიპასუხა ოთომიმ.

- ოღონდ სიზმარში ეს იყო ჩვენი ღმერთების უკანასკნელი მარათონი, რის იქითაც აღარაფერი რჩება, გარდა სიკვდილის უსასრულობისა. შეხედე! - მან ვულკან ხაკის თოვლიან მწვერვალზე მიმითითა.

სიმართლე გითხრათ, ვერ ვიტყვი, ნამდვილად დავინახე ეს, თუ ჩემ თვალწინ გადაშლილი სურათი საშინელი ღამის კოშმარებით გამოწვეული მოჩვენება იყო: ხაკის მწვერვალის თხემზე, როგორც ყოველთვის, ალით განათებული კვამლის სვეტი იდგა. მაგრამ ახლა კვამლი ცეცხლს გამოეყო, მთის მწვერვალზე ალიდან აღიმართა ელვასავით მბრწყინავი ცეცხლოვანი ჯვარი და მთელ ცას მოედო. კვამლი ბოლქვებად შეგროვდა მის ძირთან

და თანდათან მიიღო იმ კერპების ბუნდოვანი ფორმა, რომელთა გამოსახულებებიც ტაძარში იდგა.

- შეხედე! - მომმართა ოთომიმ, - შენი ჯვარი ბრწყინავს ჩემს დაღუპულ ღმერთებზე, რომელთაც ამ ღამით თაყვანს ვცემდი.

რამდენიმე ხანს შიშით შევყურებდი ხაკის თოვლიან მწვერვალს. მალე იგი ამომავალი მზის პირველმა სხივებმა გაანათა და ყველაფერი გაქრა.

ბოლო დღეებში ოთომისთვის ხმა არ გამიცია, - ერთმანეთს გავურბოდით. იგი, მწუხარების ცოცხალ განსახიერებასავით, საათობით იჯდა ტაძრის სენაკში. მის თვალებში ენით აუწერელი ტანჯვა იხატებოდა. შემეცოდა და ორჯერ შევეცადე, დავლაპარაკებოდი, მაგრამ ზურგი შემაქცია და არ მი პასუხა.

ესპანელები თეოკალზე ვეღარ ამოდიოდნენ, ტყვიებით კი ვერაფერს გვაკლდებდნენ. მალე მათ შეიტყვეს, რომ აქ კიდევ ერთი თვის სამყოფი სანოვაგე გვქონდა, ამიტომ მოლაპარაკება არჩიეს.

დავეშვი ფლატესთან, სადაც კიბე მთავრდებოდა. ესპანელთა ელჩი ქვევით გაჩერდა და იქიდან მელაპარაკებოდა. პირველად მან წინადადება მოგვცა, უსიტყვოდ დავნებებულიყავით. ამაზე მან უარი მიიღო. მერე ესპანელმა გვითხრა, თუ გადმოგვცემთ იმათ, რომლებიც მსხვერპლშეწირვაში მონაწილეობდნენ, დანარჩენებს შეუძლიათ, თავისუფლად წავიდნენო. მე განვუცხადე, ეს მხოლოდ ქალებმა და ქურუმებმა ჩაიდინეს და შემდეგ ყველამ ერთდროულად თავი მოიკლა-მეთქი. შემდეგ მკითხა, მათთან ერთად ოთომიც თუ მოკვდა.

- არა, - ვუპასუხე მე, - მაგრამ უნდა შემომფიცოთ, რომ არც მას და არც მის ვაჟს ხელს არ ახლებთ, თორემ არ დაგნებდებით-მეთქი. გარდა ამისა, მოვითხოვე წერილობითი

დასტური, რომ ჩემს ცოლ-შვილს უფლება ექნებოდა, ჩემთან ერთად წამოსულიყვნენ იქ, სადაც მოისურვებდნენ. ამაზე უარი მითხრეს, თუმცა მაინც ჩემი გავიტანე.

მეორე დღეს შუბით თეოკალზე ამომიგდეს კაპიტან ბერნალ დიასის მიერ ხელმოწერილი ეტრატი. მასში ნათქვამი იყო, რომ მსხვერპლშეწირვისას მე დიდი როლი შევასრულე ესპანელების დახსნაში, რისთვისაც მე, ჩემს ცოლშვილსა და აგრეთვე, თეოკალზე დარჩენილ ყველა ოთომელს, სრული უფლება გვეძლეოდა, თავისუფლად წავსულიყავით, სადაც გვინდოდა, მხოლოდ მთელი ჩვენი მოძრავი ქონება და მიწა-წყალი მეფისნაცვლის ხაზინის განკარგულებაში გადადიოდა.

ამაზე უკეთეს პირობებს არც ველოდი. სიმართლე გითხრათ, იმის იმედიც არ მქონდა, რომ ყველას სიცოცხლესა და თავისუფლებას შეგვინარჩუნებდნენ.

რაც შეეხება ჩემს პირად მდგომარეობას, უთუოდ სიკვდილს ვამჯობინებდი. ოთომიმ ჩვენ შორის ბარიერი აღმართა. მე მყავდა ცოლი, რომელმაც ნებსით თუ უნებლიეთ, ადამიანის სისხლში გაისვარა ხელი. კიდევ კარგი, რომ მყავდა შვილი, ჩემი უკანასკნელი ნუგეში. საბედნიეროდ, დედამისის სამარცხვინო საქციელზე მან არაფერი იცოდა.

„ეჰ, ნეტავ შემეძლოს ამ დაწყევლილი ქვეყნიდან გაქცევა - ჩემს ვაჟთან და ოთომისთან ერთად, ინგლისში! იქნებ მას იქ დაევიწყებინა, რომ ოდესღაც ველური ქალი იყო“, - ვფიქრობდი თეოკალზე ასვლისას. სამწუხაროდ, ჩემი ოცნება ოცნებად დარჩა.

როცა მე და ჩემი მხლებლები ტაძარში მივედით, ყველას ვაცნობეთ ესპანელებთან შეთანხმების პირობები. ისინი მდუმარედ გვისმენდნენ. ჩვენ, თეთრკანიანები, ასეთ ვითარებაში სიხარუ-

ლისგან მეშვიდე ცაზე ვიქნებოდით, რადგან ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი სიცოცხლეა, სხვა დანაკარგი სრულიად უმნიშვნელოდ გვეჩვენება. სულ სხვაგვარად ფიქრობდნენ ინდიელები, - ბედმა თუ ზურგი შეგვაქცია, სიცოცხლეს რაღა ფასი აქვსო! თეოკალზე მყოფმა ოთომელმა მეომრებმა დაკარგეს სამშობლო, თავიანთი კერა, ცოლები, შვილები, ძმები და მთელი ქონება. რაღა დარჩათ მათ? მხოლოდ სიცოცხლე და უფლება, წასულიყვნენ, სადაც სურდათ. რისთვის სჭირდებოდათ ახლა მათ სიცოცხლე? აი, რატომ შეხვდნენ ოთომელები მტრის შეწყალებას ისეთივე პირქუში მდუმარებით, როგორც რისხვას შეხვდებოდნენ.

ოთომის ახალი ამბავი ვაცნობე.

- მეგონა, აქ დავასრულებდი სიცოცხლეს, - მი პასუხა მან, - მაგრამ, დაე, ასე იყოს: სიკვდილი ყველგან შეიძლება.

მხოლოდ ჩემს ვაჟს გაუხარდა, როცა გაიგო, რომ შიმშილით სიკვდილი აღარ გვემუქრებოდა.

- მამა, - მითხრა მან, - ესპანელებმა სიცოცხლე გვაჩუქეს, სამაგიეროდ, ისინი წაიღებენ მთელ ჩვენს სამშობლოს და გაგვყრიან აქედან. ჩვენ სად უნდა წავიდეთ?

- არ ვიცი, შვილო, - ვუპასუხე მე.

- მამა, მოდი, დავტოვოთ ანაუაკი. აქ აღარაფერი დარჩა, ესპანელებისა და მწუხარების გარდა. მოდი, გავემგზავროთ ჩვენს ზღვებსგაღმა ქვეყანაში!

ეს ჩემი ფარული ოცნება იყო, მაგრამ რას იტყოდა ამაზე ოთომი? გაუბედავად გადავხედე მას.

- მან კარგი გამოსავალი ი პოვა, თეულო, - სიტყვისუთქმელად მიმიხვდა იგი. - შენთვის და ჩვენი შვილისთვის ეს ყველაზე

კარგი გამოსავალია. რაც შემეხება მე, ჩემი ხალხის ანდაზას გეტყვი: „კაცს მხოლოდ მშობლიურ მიწაზე სძინავს ტკბილად“.

მერე მიბრუნდა და მზადებას შეუდგა. ამ თემაზე მეტი აღარ გვილაპარაკია. საღამოს, დაშლილი ტაძრის ფიცრებისგან შეკრული კიბით, რამდენიმე მამაკაცმა - ქალებთან და ბავშვებთან ერთად, გადალახა ფლატე და ხვეული გზით პირამიდიდან დაეშვა. მზის ჩასვლამდე უკვე ტაძრის ეზოში ჩავედით. ესპანელები ალაყაფის კართან გველოდნენ. ზოგი წყევლა-კრულვით, ზოგიც დაცინვით შეგვეგება, ოღონდ ისინი, რომლებსაც ოდნავ მაინც შერჩათ კეთილშობილება, თანაგრძნობისა და პატივისცემის ნიშნად, დუმდნენ. მოღალატე ინდიელები კი ღრიალებდნენ და ჩვენს გაჟლეტას მოითხოვდნენ, სანამ ესპანელებმა ძალით არ გააჩერეს ისინი. ანაუაკის დაცემის ბოლო აქტი პირველს ჰგავდა: ძაღლები ერთმანეთს ჭამდნენ, ლომის წილი კი ლომს რჩებოდა.

კართან ყველანი დაგვანაწილეს: მცველებმა უბრალო ხალხი მაშინვე დანგრეული ქალაქიდან გაიყვანეს და მთებში გაუშვეს, დანარჩენები კი ესპანელთა ბანაკში წინასწარი დაკითხვისთვის გაგზავნეს. მე, ოთომი და ჩვენი შვილი სასახლეში წაგვიყვანეს, - უწინდელ ჩვენს საცხოვრებელში, რათა იქ ჩვენთვის კაპიტან დიასის ბრძანება გაეცნოთ.

სასახლემდე მოკლე მანძილი იყო, მაგრამ სიურპრიზი ამ გზაზეც მელოდა. ყველასგან მოშორებით, გულხელდაკრეფილი ხუან დე გარსია იდგა. უკანასკნელ დღეებში მისი არსებობა სავსებით გადამავიწყდა. ზუსტად ვიცოდი, სანამ ამ კაცს სული ედგა, საფრთხე და მწუხარება ჩემი თანამგზავრი იქნებოდა.

აშკარა იყო, დე გარსია გვითვალთვალებდა. როცა გვერდით ჩავუარე, გამომელაპარაკა: - ნახვამდის, ბიძაშვილო! ამჯერადაც გადარჩი და ხელშეუხებლობის სიგელიც მიიღე შენს ცოლსა და უჯიშო შვილთან ერთად; ჩემთვის რომ დაეჯერებინა ბებერ ჯაგლაგს, ჩვენს მეთაურს, სამივეს ცოცხლად დაგწვავდით კოცონზე. მაგრამ რას იზამ! ვფიქრობ, მალე გნახავ, ძვირფასო! მივდივარ მეხიკოში, რათა ყველაფერი მეფისნაცვალს ვუამბო. ვიმედოვნებ, იგი ამ საქმეს ასე არ დატოვებს.

პასუხი არ გამიცია. ჩვენს გამყოლს, სწორედ იმ ესპანელს, რომელიც მსხვერპლად შეწირვისგან ვიხსენი, ვკითხე: - რას ნიშნავს ამ სენიორის სიტყვები?

- იმას, რომ დონ სარსედა შენ გამო ჩვენს კაპიტანს წაეჩხუბა. მათ ნურაფერს ჰპირდები ან დაპირდი, რასაც გინდა, მაგრამ, როცა ისინი ციხესიმაგრიდან გამოვლენ, ყველანი დავხოცოთო. ურჯულოებისთვის მიცემული ფიცის შესრულება სავალდებულო არ არისო, - უთხრა მან თქვენზე. მაგრამ ჩვენმა კაპიტანმა სხვაგვარად განსაჯა: წარმართების მიმართაც კი პატიოსნები უნდა ვიყოთო. აქ ჩვენც ჩავერიეთ, ვინც სიკვდილს გადაგვარჩინე და სარსედას ვუყვირეთ: „სირცხვილია! სირცხვილი შენ!“ საქმე ისე გამწვავდა, რომ კინაღამ მუშტიკრივი გაიმართა. სარსედა ჩვენთან წოდებით მესამე კაცია. მან განაცხადა, სამშვიდობო მოლაპარაკებაში მონაწილეობას არ მივიღებ და მეხიკოში მეფისნაცვალთან გიჩივლებთო. ამაზე კაპიტანმა უთხრა: „ეშმაკთანაც წასულხარ, ყოველთვის ვგრძნობდი, რომ შენი ადგილი მხოლოდ ჯოჯოხეთშიაო!“ ასე დაშორდნენ ერთმანეთს. ჯერ კიდევ „მწუხარების ღამიდან“ არა აქვთ მათ კარგი ურთიერთობა. სარსედა ერთი საათის მერე მეხიკოში მიემგზავრება და იქ მეფისნაცვალთან შეეცდება შენს განადგურებას.

- მამა, - შემეკითხა ჩემი ბიჭი, - რატომ გვიყურებდა ის ესპანელი ასე გაბოროტებით?

- ამ კაცზე უკვე ბევრჯერ გიამბე, შვილო; ორი თაობის მანძილზე ის ჩვენი საგვარეულოს უბედურება იყო. მან ინკვიზიციას ჩაუგდო ხელში ბაბუაშენი, მოგიკლა ბებია, მაწამა მე და ვინ იცის, კიდევ რამდენ ბოროტებას მოგვაყენებს. მას მოერიდე, მისი ნდობა არ შეიძლება!

ამასობაში მივედით სასახლეში, რომელიც თითქმის ერთადერთი ნაგებობა იყო, გადაწვას რომ გადაურჩა. ამ გრძელი შენობის ბოლოში ჩვენ ერთი ოთახი გამოგვიყვეს. მალე კაპიტანმა დიასმა ჩემი და ოთომის ნახვა მოისურვა.

ოთომის უნდოდა, შვილთან დარჩენილიყო, მაგრამ იძულებული გახდა, მე წამომყოლოდა. მახსოვს, გასვლის წინ ჩემს ბიჭს ვაკოცე, თუმცა ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ მეგონა, დაბრუნებისას დაძინებული დამხვდებოდა.

კაპიტანი დიასის საბრძანებელი ჩვენი ოთახიდან ორას ნაბიჯზე იყო. რამდენიმე წუთში მის წინ ვიდექით. იგი მკაცრი შესახედაობის, საკმაოდ ხნიერი კაცი იყო, ნათელი თვალებით და ულამაზო, მაგრამ ისეთი პატიოსანი გლეხის სახით, რომელიც შეჩვეულია თავის ყანაში ყოველგვარ ამინდში შრომას. ახლა კაპიტან დიასის ყანა იყო ბრძოლის ველი, სადაც სიკვდილის მოსავალს იმკიდა. როცა ოთახში შევედით, კაპიტანი და იქმყოფი რიგითი ჯარისკაცები ისეთი სიტყვებით ეხუმრებოდნენ ერთმანეთს, რაც ქალის ყურისთვის არ იყო სასიამოვნო მოსასმენი. ჩვენს დანახვაზე იგი მაშინვე გაჩუმდა და ჯგუფს გამოეყო. ინდიელთა ადათისამებრ მივესალმე, - მარჯვენა ხელით იატაკს შევეხე, ახლა ხომ უბრალო ინდიელი ტყვე ვიყავი!

- მოიძრე მახვილი, - მიბრძანა მან და სწრაფად ამხედ--დამხედა.

იარაღი მოვიხსენი და გავუწოდე, თან ესპანურად ვუთხარი: - წაიღეთ იგი, რადგან გაიმარჯვეთ. ბოლოს და ბოლოს, იგი თავის პატრონს უბრუნდება.

დახედა თუ არა მახვილს, დიასმა ხმამაღლა შეიგინა და წამოიძახა: - ეშმაკმა დალახვროს! ვიცოდი, რომ ეს მხოლოდ შენ იქნებოდი! ერთმანეთს ამდენი ხნის შემდეგ მაინც შევხვდით! ერთხელ შენ გადამარჩინე სიკვდილს; მოხარული ვარ, რომ ახლა შემიძლია, სამაგიერო გადაგიხადო. დარწმუნებული რომ არ ვყოფილიყავი, ჩემო მეგობარო, რომ თეოკალზე შენ მეთაურობდი ოთომელებს, შენს პირობებზე არ დავთანხმდებოდი. მართლა, რა გქვია? იქნებ მითხრა შენი ნამდვილი სახელი!

- მე თომას ვინგფილდი ვარ.

- ძალიან კარგი. გიმეორებ, შენს ადგილას იქ რომ სხვა ვინმე ყოფილიყო, მანამდე ვიჯდებოდი იმ სატანის სახლთან, - თეოკალზე მიმანიშნა, - სანამ ყველანი შიმშილით არ ჩაძაღლდებოდნენ. აჰა, მეგობარო ვინგფილდ, გქონდეს ეს მახვილი, ამდენი წლის განმავლობაში უკვე შევეჩვიე მეორეს, შენ მას შესანიშნავად ხმარობ: ჯერ არ მინახავს, ინდიელი ხმალდახმალ ასე ოსტატურად რომ იბრძოდეს. ეს ოთომია, მონტესუმას ასული, შენი ცოლი, ხომ? ვხედავ, იგი წინანდებურად მშვენიერია. ოო, ღმერთო, ღმერთო! რამდენი წელი გავიდა და მაინც მგონია, თითქოს გუშინ ვნახე, როგორ მოკვდა მამამისი.თუმცა ურჯულო იყო, მაგრამ ქრისტიანი კაცის ხასიათი ჰქონდა. ცუდად მოვექეცით მას, დაე, შეგვინდოს უფალმა ჩვენი შეცოდებანი! აი, თქვენს შესახებ კი, სენიორა, - მიუბრუნდა იგი ოთომის, - თუ მართალია ის, რაც სამი დღის წინ მოხდა, ვერ იტყვის კაცი,

ქრისტიანული სული აქვსო. მაგრამ კმარა ამაზე ლაპარაკი, ყველაფერში ველური სისხლია დამნაშავე. დანაშაული გაპატიეთ თქვენი ქმრის გამო, რომელმაც ჩემიანები მსხვერპლშეწირვას გადაარჩინა.

ოთომის პასუხი არ გაუცია. მდუმარედ და უძრავად იდგა, როგორც ქანდაკება. იმ საშინელი ღამის შემდეგ ის იშვიათად ლაპარაკობდა.

- რა უნდა გააკეთო ამიერიდან, მეგობარო ვინგფილდ? - მომმართა კაპიტანმა დიასმა. - შეგიძლია წახვიდე, სადაც გსურს. თავისუფალი ხარ. სად წახვალ?

- ჯერ არ ვიცი, - ვუპასუხე მე, - დიდი ხნის წინათ, როცა აცტეკთა იმპერატორმა სიცოცხლე მაჩუქა და პრინცესა ოთომი ცოლობაზე დავითანხმე, ფიცი მივეცი, რომ მისი ერთგული ვიქნებოდი, ვიდრე ვულკან პოპოკატეპეტლიდან კვამლი ამოდიოდა და ტენოჩტიტლანში ანაუაკის ხალხი გაქრებოდა.

- შენ ახლა თავისუფალი ხარ ამ ფიცისგან, რადგან ყველაფერი ეს დღეს უკვე აღარ არსებობს. პოპოკატეპეტლზე კი, ორი წელია, კვამლის ნასახიც არ ჩანს. თუ გინდა, კარგ რჩევას მოგცემ: დაბრუნდი ქრისტიანებთან და შედი ესპანეთის მეფის სამსახურში. მაგრამ, მოდი, ჯერ ვივახშმოთ, მერეც მოვასწრებთ ლაპარაკს.

ჩირაღდნების შუქზე, ბერნალ დიასსა და რამდენიმე სხვა ესპანელთან ერთად, სასახლის დიდ დარბაზში გაშლილ სუფრას შემოვუსხედით. ოთომიმ, კაპიტნის თხოვნის მიუხედავად, საჭმელს პირი არ დააკარა და თავის ოთახში წავიდა.

37

- მე მხოლოდ სიმართლე ვთქვი, - ვუპასუხე კაპიტანს. - ბევრი რამის დამტკიცებაც შემიძლია. გულახდილად გეუბნებით, სიცოცხლის ნახევარს არ დავიშურებდი იმისთვის, რომ მას პირისპირ შევებრძოლო. მასთან ძველი ანგარიშები მაქვს გასასწორებელი. სამწუხაროდ, ბევრჯერ გამისხლტა ხელიდან.

უცებ რაღაც საშინელმა წინათგრძნობამ შემი პყრო.

- წავიდეთ, ვნახოთ, იქნებ, ჯერ კიდევ აქაა, - მითხრა კაპიტანმა დიასმა, - მცველებს დაუძახა და გასასვლელისკენ გაემართა.

მე მის შემდეგ წამოვდექი და იმწამსვე კარში თმებგაშლილი და მწუხარებისგან განადგურებული ოთომი გამოჩნდა. მაშინვე მივხვდი: მხოლოდ ერთ რამეს შეეძლო მისი ამ მდგომარეობამდე მიყვანა.

- რა მოუვიდა ჩვენს ბიჭს? - შევეკითხე მე.

- მოკვდა, მოკვდა! - შემზარავი ჩურჩულით მითხრა ოთომიმ.

მეტი აღარაფერი მიკითხავს: დანარჩენი გულმა მითხრა, მხოლოდ დიასი ვერ მიხვდა ვერაფერს.

- მოკვდა? რით მოკვდა? ვინ მოკლა?

- დე გარსიამ! თავად დავინახე, როგორ გამოვიდა ოთახიდან, - ჩაილაპარაკა ოთომიმ, ცისკენ აღაპყრო ხელები და ზღურბლთან უხმოდ დაეცა. იმ მომენტში ჩემი გული სამუდამოდ მოკვდა. აქედან მოყოლებული აღარაფერს შეუძლია ჩემი ნამდვილი აღელვება, ეს მოგონება მუდმივად მტანჯავს და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ არ წავალ იქ, სადაც ჩემი შვილი მელოდება.

- ახლა რაღას იტყვი, ბერნალ დიასო? - წამოვიყვირე ხრინწიანი ხმით. - სიმართლე გითხარი თუ არა შენს მეგობარზე?

სწრაფად გადავახტი უგრძნობი ოთომის სხეულს და ოთახიდან გამოვვარდი. კაპიტანი დიასი დანარჩენი ესპანელებით უკან დამედევნა.

გამოვედი თუ არა სასახლიდან, მარცხნივ მოვუხვიე ესპანელთა ბანაკისკენ, მაგრამ ვერც კი მოვასწარი ასი ნაბიჯის გარბენა, რომ მთვარის შუქზე შევამჩნიე ჩემკენ მომავალი ცხენოსანთა პატარა რაზმი. ეს დე გარსია იყო თავისი მსახურებით; ისინი ხეობისკენ მიიჩქაროდნენ, სადაც მეხიკოსკენ მიმავალი გზა გადიოდა. მათ დროზე მივუსწარი.

- შეჩერდით! - დაუყვირა ბერნალ დიასმა.

- ვინ ბედავს მიბრძანოს მე? - გაისმა დე გარსიას ხმა.

- მე, შენი კაპიტანი! - დაიჭექა დიასმა. - შეჩერდი, სატანა, მკვლელო, თორემ აგკუწავ!

დავინახე, რომ დე გარსია შეკრთა და გაფითრდა.

- თქვენ მომართვის უცნაური მანერა გაქვთ, სენიორ, - ჩაილაპარაკა მან, - თუ გნებავთ...

სწორედ ამ დროს დე გარსიამ მეც დამინახა. გააფთრებული ხელიდან გავუსხლტი დიასს, რომელიც მაკავებდა და მისკენ გავქანდი. სიტყვაც არ მითქვამს, მან ჩემ სახეზე ამოიკითხა, რომ ყველაფერი ვიცოდი და, რომ ამჯერად უკვე ვეღარ გადამირჩებოდა.

დე გარსიამ წინ გაიხედა და შეამჩნია, რომ ვიწრო გასასვლელი ჩემ უკან ჯარისკაცებმა გადაკეტეს. მან ჯერ თითქოს მახვილის დაძრობა დააპირა, მერე ცხენი უცბად შეატრიალა და ვულკან ხაკისკენ გააჭენა.

იგი მიაქროლებდა ცხენს, მე კი კვალდაკვალ მივდევდი, როგორც მონადირე ძაღლი. ერთხანს ძალიან გამისწრო, მაგრამ მალე გზა გაფუჭდა და ცხენის ჭენება ვეღარ შეძლო. ქალაქი, უფრო სწორად, მისი ნანგრევები უკან დარჩა. ავდიოდით ვიწრო ბილიკზე, რომლითაც ოთომელებს სიცხეების დროს ვულკანიდან თოვლი მოჰქონდათ. ხუთი მილის შემდეგ ბილიკი წყდებოდა. ზევით იყო წმინდა მიწა, სადაც ვერც ერთი ინდიელი ფეხის დადგმას ვერ ბედავდა.

ავდიოდით ამ ბილიკზე და გული ბოროტი სიხარულით მევსებოდა, რადგან ვიცოდი, ჩემი მტერი ვერსად გადაუხვევდა - ორივე მხარეს უფსკრული ან ციცაბო კლდე იყო. დე გარსია სულ უფრო ხშირად იცქირებოდა - ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, ხან კიდევ წინ, ცეცხლის გვირგვინიანი, თოვლიანი გუმბათისკენ. უკან ერთხელაც არ მოუხედავს, გრძნობდა, რომ მის კვალს სიკვდილი მისდევდა. ძალ-ღონეს არ ვზოგავდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ სატანაზე ამჯერად აუცილებლად გავიმარჯვებდი.

ბოლოს დე გარსიამ მიაღწია თოვლიან ადგილს, სადაც ბილიკი წყდებოდა. აქ მან პირველად მოიხედა ჩემკენ. მისგან, დაახლოებით, ორას ნაბიჯზე ვიყავი. იგი წამით შეყოყმანდა, როცა წინ თოვლი დაინახა. ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეში მისი ცხენის მძიმე სუნთქვა გავიგონე. მერე მან დეზები ჰკრა ცხოველს და ზევითკენ გააჭენა. მაგრამ დე გარსიას ერთადერთი გზა ჰქონდა - ზედ მთის თოვლიან თხემზე, რომელიც იმდენად ციცაბო იყო, რომ იქ თავს ვერც ცხენი შეიმაგრებდა, ვერც კაცი. ორ საათზე მეტხანს მივბობღავდით ამ თხემზე - გადაკარგულნი, მოჯადოებული ვულკანის მარადიული თოვლის მდუმარებაში. ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ ვხედავდი, რა ხდებოდა ჩემი მტრის სულში. ეს მხოლოდ წარმოსახვის უბრალო თამაში იყო, მაგრამ

ამგვარი ფიქრი სიამოვნებას მგვრიდა, ვინაიდან დარწმუნებული ვიყავი, რომ წარსულის შემზარავი აჩრდილებისგან სასოწარკვეთილი სატანა ტანჯვას და მოახლოებული სიკვდილის მძაფრ შიშს განიცდიდა... ცხენს კი არაქათი გამოელია, თან ასეთ სიმაღლეზე სუნთქვა გაუჭირდა. ამაოდ ტანჯავდა დე გარსია კეთილშობილ ცხოველს, რომელიც უეცრად თოვლზე დავარდა. მეგონა, ახლა მაინც შეჩერდებოდა, მაგრამ მან მძიმე აბჯარი მოიხსნა და გაიქცა.

ალაგ-ალაგ გაყინულ მინდორზე გავედით. დე გარსია ყინულს ებღაუჭებოდა, აქ გასვლა კი სრულიად დამშვიდებული კაცისთვისაც კი დიდ სიძნელეს წარმოადგენდა, რადგან ნაპრალიდან ნაპრალზე გადახტომა მხოლოდ ხორკლიანი ყინულის ნემსისებრ შვერილებზე ჩაჭიდებით იყო შესაძლებელი; და, ვაი, იმას, ვისაც ამგვარი ნემსი გადაუტყდებოდა ან ფეხი დაუცდებოდა! ამ შემთხვევაში, სანამ იგი ფხვიერ თოვლამდე ჩაგორდებოდა, ჯერ უნდა გადაგორებულიყო ყინულის ნემსებზე, რომლებიც ხორცს ძვლებამდე გააცლიდა. ღმერთს ვევედრებოდი, ეს დე გარსიას არ მოსვლოდა, რადგან ამ შემთხვევაში არ შედგებოდა შურისძიება, რომელსაც სულ რაღაც ოცი ნაბიჯიღა მაშორებდა. ამიტომ, როგორც კი საფრთხეს შევამჩნევდი, მას ქვევიდან ვუყვიროდი, სად დაედგა ფეხი. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ იგი უსიტყვოდ მემორჩილებოდა. ჩემ თავზე აღარ ვფიქრობდი; ვიცოდი, არ გადავვარდებოდი, თუმცა სხვა დროს აქ არ ამოვიდოდი. კარგა ხანს მთვარის შუქზე ხაკის ცეცხლოვანი მწვერვალისკენ მივცოცავდით, მაგრამ უეცრად მზის პირველი სხივი შეეხო მთას და ალმა, რომელიც კრატერის თავზე კვამლის გიგანტურ ბოძს შიგნიდან ანათებდა, ძალა დაკარგა. სამაგიეროდ, ყინულის ქუდი აბრჭყვიალდა ალისფერ სხივებში. ჩვენ ორნი შა-

ვი ბუზებივით მივბობღავდით მასზე, ქვევით კი, მთის ძირში, ჯერ კიდევ ღამის სიბნელე იწვა. ეს იყო საუცხოო და ამავე დროს, საზარელი სანახაობა.

- ეი, მეგობარო! - გავძახე დე გარსიას, - ასეთ სინათლეზე ასვლა უფრო ადვილია. ყურადღებით იყავი, ფეხი არ დაგიცდეს!

ექოსავით გაისმა ჩემი ხმა ყინულიან ფრიალო კლდეებში, სადაც აქამდე ადამიანს ფეხი არ დაუდგამს. უცებ მთა შეინძრა, თითქოს ჩვენზე განრისხდა, მყუდროება რად დამირღვიეთო. ზევიდან ფერფლის ღრუბელი დაგვეყარა და დე გარსია ვეღარ დავინახე, მხოლოდ მისი შეშინებული ყვირილი გავიგონე, მაგრამ, როცა ფერფლი გაიფანტა, იგი კრატერის ძირთან უვნებლად იდგა.

„აი, ახლა კი უთუოდ გაჩერდება. მას მახვილი აქვს და ადვილად შეძლებს ჩემს მოკვლას, როცა ყინულიდან ცხელ ლავაზე გადაფორთხვას დავაპირებ“, - გავიფიქრე. ეტყობოდა დე გარსიასაც გაუელვა ამ აზრმა, რადგან იგი სატანური მანჭვით ჩემკენ შემობრუნდა, ოღონდ მაშინვე, თითქოს გადაიფიქრაო, ისევ ზევითკენ ცოცვა განაგრძო. ვერაფერს მივხვდი; სად უნდა დაიმალოს? - ვეკითხებოდი ჩემს თავს. ჩვენგან სამას ნაბიჯზე ბუყბუყებდა კრატერი, რომლის ძირიდან ცაში ბოლქვებად იტყორცნებოდა ორთქლი და კვამლი, ხოლო მის თხემსა და ყინულის ნაწიბურს შუა ცივი, ალაგ-ალაგ კი ცხელი ლავის ნაკადები გვხვდებოდა. დე გარსია დაიღალა. იგი უკვე ნელა მიჩანჩალებდა ლავაზე. მე კი აუჩქარებლად, სვენებ-სვენებით მივყვებოდი უკან.

ბოლოს მან კრატერის კიდემდე მიაღწია, ოდნავ გადაიწია და ქვევით ჩაიხედა. ვიფიქრე, დე გარსია ახლა შიგ გადავარდება და თავს მოიკლავს-მეთქი. თუ მას მართლაც გაუელვა ამ აზრმა,

ალბათ, მაშინვე გადაიფიქრა, როგორც კი გააცნობიერა, როგორი მყუდრო სარეცელი ელოდა ქვევით. უცებ მან მახვილი იშიშვლა და ჩემკენ გამოქანდა. კრატერიდან, დაახლოებით, ათ--თორმეტ ნაბიჯზე, ჩვენ ერთმანეთს შევხვდით.

ვამბობ, შევხვდით-მეთქი, რადგან ეს მთლად ასე არ იყო - ჩემგან ოთხ ნაბიჯზე ის კვლავ შეჩერდა. მეგონა, ვერასოდეს გავძღებოდი მისი ცქერით. უჰ, რა სახე ჰქონდა - სახე მკვლელისა, განკითხვის ჟამს! აფსუს, რომ მხატვარი არ ვარ, რადგან სიტყვებით ამის აღწერა შეუძლებელია: შიშით სავსე, ჩაცვენილი თვალები, კბილების ღრჭენა და აცახცახებული ტუჩები. ჩემი წარმოდგენით, როცა თვით ეშმაკი, ადამიანთა მოდგმის დაუძინებელი მტერი, თავის უკანასკნელ მზაკვრობას ჩაიდენს და დაღუპავს უკანასკნელ გონიერ არსებას, მას სიკვდილის წინ ზუსტად, უთუოდ, ასეთი სახე ექნება.

- აი, უკვე შევხვდით ერთმანეთს, დე გარსია, - ვუთხარი მე.

- რაღას აყოვნებ? - ჩაიხიხინა მან. - მომკალი და მოათავე საქმე!

- სად გეჩქარება, ბიძაშვილო? ოცი წელია, დაგეძებ და ახლა რატომ უნდა დაგშორდე ასე სწრაფად?! მოდი, ცოტა ვილაპარაკოთ! სამუდამო გამოთხოვებამდე, ვიმედოვნებ, გამოიჩენ იმდენ თავაზიანობას, რომ მი პასუხებ ერთ შეკითხვაზე: რისთვის მოგვაყენე ამდენი ტანჯვა მე და ჩემს ოჯახს?! ამას რაიმე ახსნა ხომ უნდა ჰქონდეს?!

მას მშვიდად და გულგრილად ველაპარაკებოდი. ამ დროს ვიყავი არა თომას ვინგფილდი, როგორც ცოცხალი ადამიანი, არამედ - უსულო იარაღი, ბრმა ძალა. მაშინ შემეძლო, ასე უბრალოდ მეფიქრა ჩემს მოკლულ ვაჟზე. ჩემთვის ის მკვდარი არ იყო, ვინაიდან თვითონ ვიყავი ნაწილაკი ყოვლისშემოქმედი ბუ-

ნებისა, რაშიც სიკვდილიც შედიოდა. თვით დე გარსიასადმიც კი არ ვგრძნობდი სიძულვილს, - თითქოს, ისიც მხოლოდ სათამაშო იყო ვიღაცის ხელში. ოღონდ, ამავე დროს, ვიცოდი, დე გარსია ახლა მთლიანად ჩემს ხელთ იყო; მჯეროდა, რომ სიმართლეს მეტყოდა. ყოველივე ეს ისევე გარდუვალად მეჩვენებოდა, როგორც ის, რომ იგი მოკვდებოდა, როცა მე მოვისურვებდი.

დე გარსიამაც არ დააყოვნა და მთლიანად გადამიშალა თავისი ბოროტი გული, თითქოს უზენაეს მსაჯულს აღსარებას ეუბნებოდა.

- ჭაბუკობის წლებში შემიყვარდა დედაშენი, - დაიწყო მან ნელა, ძლივს ლაპარაკობდა, - ახლაც მიყვარს. მაგრამ მას ვძულდი, იმიტომ, რომ ბიწიერ ცხოვრებას ვეწეოდი... თან ეშინოდა ჩემი, რადგან მეტად სასტიკი ვიყავი. მერე იგი მამაშენს შეხვდა და ერთმანეთი შეუყვარდათ. იგი ინკვიზიციაში დავაბეზღე - იმ იმედით, რომ იქ კოცონზე დაწვავდნენ. დედაშენმა, როგორღაც მოახერხა მისი გათავისუფლება და მასთან ერთად ინგლისში გაიქცა. ეჭვიანობა მტანჯავდა, ვოცნებობდი შურისძიებაზე. სამწუხაროდ, ყველაფერი ამაო იყო, ვინაიდან დედაშენი ჩემგან ძალიან შორს ცხოვრობდა. თითქმის ოცი წელი გავატარე შავბნელად. ერთხელაც ინგლისში მოვხვდი სავაჭრო საქმეების გამო. აქ შემთხვევით გავიგე, რომ ისინი იარმუტის მახლობლად ცხოვრობდნენ და მათი ნახვა გადავწყვიტე. დედაშენის მოკვლა აზრად არ მქონია. ბედმა გამიღიმა, - ჩვენ ტყეში შევხვდით ერთმანეთს. ის წინანდებურად მშვენიერი იყო და მეც მივხვდი, რომ ახლა უფრო ძლიერ მიყვარდა, ვიდრე ოდესმე. მას არჩევანი შევთავაზე: ან ჩემთან ერთად გაქცევა ან სიკვდილი. დედაშენმა სიკვდილი ამჯობინა. მას ტყიან ფერდობზე დავეწიე, უკვე მახვი-

ლი აღმართე ჩასაცემად, რომ უცებ შეჩერდა და მითხრა: „ჯერ მომისმინე, ხუან! წინასწარმეტყველივით ვგრძნობ, როგორც ახლა გაგირბი შენ, შენც გაექცევი ჩემს ბიჭს და იგი ჩაგაგდებს ჯოჯოხეთის უფსკრულში.“

- ეს ადგილი აქ არის, ბიძაშვილო, - ვუთხარი მე.

- ეს ადგილი აქ არის, - ჩაიჩურჩულა დე გარსიამ და ირგვლივ მიმოიხედა.

- განაგრძე!

მას აღარ სურდა საუბრის გაგრძელება, მაგრამ ჩემმა ნებისყოფამ კვლავ მოტეხა იგი და განაგრძო: - უკან დახევა გვიანღა იყო. თავი რომ გადამერჩინა, ის მოვკალი და გავიქეცი. იმ დროიდან შიში და დედაშენის აჩრდილი არ მასვენებს, თან შენც დაემატე!

- ოღონდ უფსკრულში შენი სხეული გადავარდება და არა სული.

- მხოლოდ სხეული და არა სული! - გაიმეორა მან ჩემი სიტყვები.

- განაგრძე! - ვუბრძანე მე.

- იმ დღესვე შენ შეგვხვდი, თომას ვინგფილდ; როცა დაგინახე, დედაშენის წინასწარმეტყველება გამახსენდა . გადავწყვიტე შენი მოკვლა, რათა თვითონ არ გავმხდარიყავი შენი მსხვერპლი.

- რასაც იგი ახლა ჩაიდენს, ბიძაშვილო.

- რასაც იგი ახლა ჩაიდენს, - თუთიყუშივით გაიმეორა დე გარსიამ და ცოტახნის მერე განაგრძო: - რა მოხდა შემდეგ და როგორ მოვახერხე თავის დაღწევა, უკვე იცი. ესპანეთში გავიქეცი და შევეცადე, ყველაფერი დამევიწყებინა. სამწუხაროდ, ეს ვერ შევძელი. სევილიაში შენმა გამოჩენამ იმდენად ამაღელვა,

რომ გადავწყვიტე, შორეულ ინდოეთში გავქცეულიყავი. შენ სწორედ გამგზავრების წინა ღამეს შემხვდი, როცა ერთ სენიორას ვემშვიდობებოდი.

- იზაბელა დე სიგუენსას, ბიძაშვილო! ახლა ის ბავშვთან ერთად გელოდება. დე გარსია შეკრთა და განაგრძო: - ჩვენ კვლავ შევხვდით ერთმანეთს ოკეანეში. შენ ტალღებიდან გამოჩნდი. ვერ გავბედე შენი მაშინვე მოკვლა, ყველას თვალწინ, რადგან შემეშინდა, მკვლელობაში ბრალი არ დაედოთ. ვიფიქრე, სულერთია, ხომალდის ტრიუმში, მონებს შორის, ისედაც მოკვდება მეთქი, მაგრამ არ მოკვდი და ოკეანემაც კი დაგინდო. თუმცა მეგონა, შენგან სამუდამოდ გავთავისუფლდი. კორტესთან ერთად ანაუაკში ჩამოვედი და აქ ხელახლა შევხვდით ერთმანეთს. ამჯერად კინაღამ მომკალი. ოღონდ მალე ჩემი დროც დადგა და საკმაოდ ვიჯერე გული შენი წამებით. გადაწყვეტილი მქონდა, მეორე დღესვე მომეკალი, მაგრამ მინდოდა, წამება გამეჭიანურებინა, ვინაიდან შიშმა გამხადა ასეთი ულმობელი. სამწუხაროდ, ბანაკიდან გაიქეცი. დიდი დრო გავიდა. მთელი დედამიწა შემოვიარე, ვიყავი ესპანეთში, სხვა ქვეყნებში, ყველგან მკვდრების აჩრდილები, კოშმარები არ მასვენებდა, ვერსად ვპოვე სიმშვიდე, ვერც - ბედნიერება. სულ ცოტა ხნის წინ დიასის რაზმს შევუერთდი. შენზე აღარ ვფიქრობდი; მითხრეს, უკვე დიდი ხანია, მოკვდაო. როცა ფიჭვთა ქალაქს მოვაღწიეთ, გავიგე, რომ ოთომელთა ბელადი - შენ იყავი. დანარჩენი თვითონ იცი.

- მითხარი, რატომ მოკალი, ბიძაშვილო, ჩემი ვაჟი?

- განა იგი დედაშენის შთამომავალი არ იყო?! განა არ შეიძლებოდა, მას მოვეკალი?! მთავარი ისაა, რომ სამაგიერო გადაგიხადე ამდენი წლის მანძილზე განცდილი შიშისთვის. ამასთან,

სისულელეა, ცოცხალი დატოვო შვილი, როცა მამამისის მოკვლა გინდა.

- კმარა, დროა, დავასრულოთ! მახვილი გაქვს, დაიცავი თავი, თუ შეგიძლია. ბრძოლაში სიკვდილი უფრო ადვილია.

- არ შემიძლია! - დაიკვნესა დე გარსიამ, - განწირული ვარ...

- როგორც გინდა, - ვუთხარი მას და მახვილი ავიღე.

დე გარსია განზე გახტა და უკან დაიხია. ის პირდაპირ სახეში მიყურებდა, როგორც ვირთხა - მახრჩობელა გველს, რომელიც მზადაა, ის გადაყლაპოს. ასე მივედით კრატერის კიდემდე. როცა ქვევით ჩავიხედე, ოცდაათ ფუტზე მეტი სიღრმის კრატერის ყელში, კვამლის სქელ საფარქვეშ, ლავა ვარვარებდა. იგი აქეთ-იქით იღვრებოდა და ცოცხალ არსებასავით ბორგავდა. მისგან ამოტყორცნილი ორთქლის ნაკადი საზარლად შიშინებდა, შხამიანი ორთქლი ფერადფერად გრეხილებად ადიოდა მის ზედაპირზე, ერთმანეთში იხლართებოდა და სულისშემხუთველი, ცხელი სიმყრალე წამლავდა გახურებულ ჰაერს. დე გარსიასთვის ეს ჭეშმარიტად შესაფერისი საცხოვრებელი იყო! ამაზე მახვილით მივანიშნე და გადავიხარხარე. დე გარსიამ უცებ დაკარგა ყოველივე ადამიანური და მხეცივით დაიღმუვლა. დიახ, ეს ამაყი, ამპარტავანი ესპანელი სლუკუნებდა, ბღაოდა და შეწყალებას მთხოვდა.

- დროა მოვრჩეთ! - ჩავილაპარაკე მე და მახვილი ავიქნიე.

უეცრად დე გარსია ჭკუიდან შეიშალა. არ მინდა, აღვწერო ყველაფერი ის, რაც ამას მოჰყვა. მას სიგიჟესთან ერთად ვაჟკაცობა დაუბრუნდა და ბრძოლა დაიწყო. ოღონდ არა - ჩემთან: იგი თითქოს ვეღარც მამჩნევდა, შეუპოვრად იბრძოდა - მახვილით ცარიელ სივრცეს აპობდა! საშინელი სანახავი იყო, წყევლა-კრულვითა და ღრიალით ჩეხდა იგი უჩინარ მტრებს და

უკან, კრატერის კიდისკენ იხევდა. უცებ შემზარავი გოდება აღმოხდა, თითქოს გულში მახვილი გაუყარესო, ხელები ფართოდ გაშალა, მახვილი დააგდო და გულაღმა, ვულკანის ყელში გადაიჩეხა.

38

ახლა ყინულიან ფერდობზე ვეშვებოდი, რაც უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე, ზევით ასვლა. შურისძიების შემდეგ, თითქოს, სულ სხვა კაცი გავხდი, განაწამები და დაჩაგრული. ისეთ ცუდ გუნებაზე ვიყავი, ფეხი რომ დამცდენოდა, სიმართლე გითხრათ, არც ვინანებდი.

თუმცა, ფეხი არ დამცდენია. თოვლამდე მივაღწიე და შემდეგ ბევრად იოლად გავიკვალე გზა.

ამგვარად, ფიცი შევასრულე და დე გარსიას სამაგიერო გადავუხადე, მაგრამ - რა ფასად?! დავკარგე საცოლე, ჩემი ჭაბუკობის სიყვარული; ოცი წელი ინდიელთა ბელადი ვიყავი; წარმოუდგენელი გაჭირვება გადავიტანე: ცოლად შევირთე ქალი, რომელმაც თავისი სიყვარული არაერთხელ დამიმტკიცა, ოღონდ, გულის სიღრმეში, მაინც ველური კერპთაყვანისმცემელი დარჩა. ჩემი ტომი დამარცხებულია, ჩემი მშვენიერი ქალაქი - დანგრეული, თვითონ, ღატაკი და უსახლკარო ვარ! ახლა ყველაზე დიდი ბედნიერება ისაა, თუ სიკვდილს ან მონობას გადავურჩები. ყველაფერ ამასაც გავუძლებდი, ვინაიდან, უფრო უარესი რამ გადამხდომია, მაგრამ ვერ შევურიგდი ჩემი გაწამებული ცხოვრების ერთადერთი სიხარულის - უკანასკნელი შვილის სიკვდილს.

ზრდასრულ ასაკში ჩემი ნუგეში შვილები იყო. მე მათ სულით ინგლისელებად ვზრდიდი; ვასწავლე ჩემი მშობლიური ენა და რჯული. უბედურმა შემთხვევამ, ავადმყოფობამ და მახვილმა სამივე წამართვა. მარტოდმარტო დავრჩი...

ჩვენ ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ ჭაბუკობაში განცდილ მწუხარებაზე - დაკარგულ სიყვარულზე ვქვითინებთ და ვირწმუნებით, რომ ამიერიდან სიცოცხლე გროშადაც აღარ გვიღირს. მაგრამ, როცა სასოწარკვეთილნი საკუთარი შვილის ცხედარს დავყურებთ, პირველად შევიცნობთ ნამდვილ მწუხარებას. ამბობენ, დრო ყველაფერს კურნავსო. ეს სიცრუეა, ამგვარი უბედურებისგან განკურნება არაფერს შეუძლია. მოხუცი ვარ და ეს კარგად ვიცი.

ვულკანიდან დაშვებისას გავიშოტე თოვლიან ფერდობზე, სადაც ჩემამდე არც ერთ სულიერს ფეხი არ დაუდგამს. და მე ავტირდი... მამაკაცი ცხოვრებაში ასე მხოლოდ ერთხელ ტირის.

შვილო, აბესალომ! შვილო ჩემო, შვილო ჩემო, აბესალომ! - ვღაღადებდი ბიბლიურ მეფე დავითის მსგავსად, - „ვინმე მიმცეს სიკუდილსა მე შენ წილ, მე ვიქმნე შენ წილ!“ ჩემი მწუხარება უფრო ძლიერი იყო, ვიდრე - ამ მეფისა, რადგან დავკარგე არა ერთი, არამედ სამი ბიჭი. ერთადერთი ის მანუგეშებდა, რომ მე იმქვეყნად აუცილებლად შევხვდებოდი ჩემს შვილებს. ბევრი ვერაფერი ნუგეშია, მაგრამ მან მომანიჭა ძალა, წამოვმდგარიყავი და განადგურებული ფიჭვთა ქალაქის გზას დავდგომოდი.

ქალაქამდე საღამოს მივაღწიე. სასახლესთან თავისიანებით გარშემორტყმული კაპიტანი დიასი შემხვდა. ჯარისკაცებმა ჩემი მწუხარებისადმი თანაგრძნობის ნიშნად ქუდები მოიხადეს. დიასმა მკითხა: - ავაზაკი მოკვდა?

თავი დავუქნიე და ჩემი ოთახისკენ წავედი, რათა ოთომი მენახა.

იგი მარტო იჯდა, გარინდებული და მშვენიერი, როგორც მარმარილოსგან გამოთლილი ქანდაკება.

- ბიჭი ჩემი ძმებისა და წინაპრების გვერდით დავკრძალე. - მი პასუხა ოთომიმ იმაზე, რაც ჩემი თვალებიდან ამოიკითხა. - შენ ამას ვერ გადაიტანდი...

- მართალი ხარ, მართალი, - ჩავილაპარაკე, - მაგრამ ჩემი გული უკვე... ისედაც მკვდარია.

- ავაზაკი მოკვდა? - შემეკითხა ოთომი, ზუსტად ისევე, როგორც დიასი.

- მოკვდა.

- როგორ?

მოკლედ მოვუყევი.

- შენ საკუთარი ხელით უნდა მოგეკლა ის! ჩვენი შვილის სისხლი აუღებელია!

- მართალი ხარ, თვითონ უნდა მომეკლა, მაგრამ იმ დროს აღარ ვფიქრობდი შურისძიებაზე, რადგან დავინახე, რომ იგი თვით განგებამ მოკლა. იქნებ, ეს უკეთესიც იყოს. მეტად ძვირად დამიჯდა ჩემი შურისძიება. ძალიან გვიან მივხვდი, რომ არ უნდა ამეღო ეს საკუთარ თავზე, ხომ არსებობს უზენაესი მსაჯული.....

- ტყუილია! - წამოიძახა ოთომიმ. მან ისეთი სახე მიიღო, როგორიც იმ დროს, როცა ტლასკალანელს კლავდა და თეოკალზე სამსხვერპლოსთან ცეკვავდა, - მე ეს არ მჯერა! შენს ადგილას, მას ავკუწავდი და მერე გადავუგდებდი ეშმაკებს! მაგრამ რა აზრი აქვს ამ ლაპარაკს, ყველაფერი მორჩა! ყველა მკვდარია, აგრეთვე - ჩემი გულიც. დაღლილი ხარ, შეჭამე რამე.

დავნაყრდი თუ არა, არაქათგამოცლილს მაშინვე მიმეძინა. სიბნელეში მომესმა ოთომის ხმა: - გაიღვიძე, საქმე მაქვს.

ამ სიტყვებში იყო რაღაც ისეთი, რამაც ერთბაშად გამომაფხიზლა.

- თქვი, - შევეხმიანე მე. - სად ხარ, ოთომი?

- შენ გვერდით; არ დამეძინა და აქ ჩამოვჯექი. მომისმინე: ჩვენ ერთმანეთს შევხვდით დიდი ხნით წინ, როცა კუაუტემოკმა ტაბასკოდან მოგიყვანა. ეჰ, რა კარგად მახსოვს ის დღე! პირველად ჩაპულტეპეკის სასახლეში გნახე და შემიყვარდი. მე არ მაშინებდა უცხო ღმერთები!

- რატომ ამბობ ამას, ოთომი? - შევეკითხე.

- იმიტომ, რომ ასე მინდა. შეგიძლია, მოუსმინო იმას, ვინც მთელი ცხოვრება შემოგწირა? გახსოვს, როგორ უარყავი ჩემი სიყვარული? როცა შენი ცოლი გავხდი, შენ ზღვებს მიღმა მყოფ ქალიშვილზე მელაპარაკებოდი, იმ ლილიზე, რომლის ნაჩუქარ ბეჭედსაც დღემდე ატარებ. მაშინ მეგონა, დარდისგან მოვკვდებოდი, მაგრამ ყველაფერი გადავიტანე. შენი გულახდილობისთვის კიდევ უფრო მეტად შემიყვარდი. ცოლად იმიტომ შემირთე, რომ სამსხვერპლო ქვაზე შენ გვერდით დავწექი. მაშინ მითხარი, მიყვარხარო. მაგრამ შენ არასოდეს გყვარებივარ; ყოველთვის ლილიზე ფიქრობდი. ეს ადრეც ვიცოდი, თუმცა თავს ვიტყუებდი. იმ დროს ლამაზი ვიყავი, მამაკაცისთვის კი ეს რაღაცას ნიშნავს. ამასთან, ერთგულებაც არ მაკლდა და ყოველივე ამის გამო თვითონაც ბევრჯერ გეჩვენებოდა, რომ გიყვარდი. ახლა ვნანობ, თეულებმა სამსხვერპლოზე სიკვდილისგან რომ გვიხსნეს. მხოლოდ ბედმა გაიძულა ჩემი შერთვა და ერთგულებაც შემომფიცე, რომლისთვისაც არასოდეს გიღალატია. ჩემში მხოლოდ ლამაზ, მოსიყვარულე, ერთგულ მეუღლეს ხედავდი

და ეს მართლაც ასე იყო. სამწუხაროდ, ვერ აცნობიერებდი, რომ შენთვის უცხო ვიყავი. გეგონა, შენი ხალხის ადათები და სარწმუნოებაც კი შევითვისე, იმიტომ, რომ შენი გულისთვის ვცდილობდი ამას. სინამდვილეში, ყოველთვის საკუთარი ხალხის ზნე-ჩვეულებებით ვცხოვრობდი და არასოდეს დამვიწყებია ჩვენი ღმერთები. მათ მომცეს ნება მე, მათ მონას, დამეგმო ისინი. დიდხანს ვცდილობდი, უარი მეთქვა მათზე, მაგრამ დადგა დრო და მათ სამაგიერო გადამიხადეს. ქედი მოვიხარე, უფრო სწორად, ღმერთებმა მომახრევინეს, ამიტომ არ მახსოვს და არც ვიცი, რას ვაკეთებდი იმ ღამეს, თეოკალზე მსხვერპლშეწირვის დროს.

ამ წლების მანძილზე ჩემი ერთგული იყავი; მე გაგიჩინე შვილები, რომლებიც გიყვარდა თავისთავად და არა იმიტომ, რომ მე გავაჩინე ისინი. გულის სიღრმეში გეჯავრებოდა ჩემი სისხლი, რაც შენს სისხლთან ერთად მათ ძარღვებში ჩქეფდა. შენ ხომ მეც ნახევრად გიყვარდი, რამაც კინაღამ ჭკუიდან შემშალა. როდესაც დაინახე, გაგიჟებული და სასოწარკვეთილი როგორ ვასრულებდი ჩემს წინაპართა ძველ საღმრთო წესებს, შენ საბოლოოდ ირწმუნე, რომ ველური ვარ! დაგვეხოცა შვილებიც, რომლებიც გვაერთიანებდა. მათთან ერთად, მოკვდა შენი სიყვარულიც და მე დავრჩი, როგორც წარსულის ცოცხალი მოგონება. ოღონდ ახლა მეც ვკვდები.

შევეცადე, დავლაპარაკებოდი, მაგრამ ოთომიმ სწრაფად შემაწყვეტინა: - არა! გაჩუმდი და მომისმინე! ძალიან ცოტა დრო დამრჩა. როდესაც ამიკრძალე, შენთვის ქმარი მეწოდებინა, მივხვდი, ყველაფერი დამთავრებული იყო. დაგემორჩილე, თეულო! ამოგიგლიჯე გულიდან, ჩემი ქმარი უკვე აღარ ხარ! მიუხედავად ამისა, გთხოვ, ბოლომდე მომისმინო. ამჟამად დამ-

წუხრებული ხარ, გეჩვენება, ცხოვრება დამთავრდა და ბედნიერი ვერასდროს იქნები. სინამდვილეში, ეს ასე არაა. ჯერ მოწიფული და ჯანღონით სავსე კაცი ხარ; იქნებ დატოვო ჩვენი განადგურებული ქვეყანა; როცა მის მტვერს ჩამოიბერტყავ, სამშობლოში დაბრუნდები და შეხვდები მას, ვინც ამდენი წელია, გელოდება; მაშინ გამქრალი საგვარეულოს პრინცესა ბუნდოვან აჩრდილად იქცევა და აქ გატარებული წლებიც სიზმარი გეგონება. ბავშვები კი მუდამ გეყვარება. სიცოცხლის ბოლომდე გაგყვება სევდა მკვდარ შვილებზე, რაკი ამაზე უფრო საშინელი ამქვეყნად არაფერია და ეს მახარებს, რადგან მათი დედა ვიყავი და მათზე ფიქრის დროს, ზოგჯერ, მეც გაგახსენდები. მუდამ თვალყურს გადევნებდი! ვგრძნობდი, როგორ დარდობდი დაკარგულ სატრფოსა და შორეულ სამშობლოზე. იყავი ბედნიერი! მალე ნახავ სამშობლოს და შეხვდები საყვარელ არსებას, - შენმა ლილიმ გაიმარჯვა! თანდათან ვსუსტდები. ჩვენ, ალბათ, სამუდამოდ ვშორდებით ერთმანეთს, უკვე აღარაფერი გვაკავშირებს, გარდა - გარდაცვლილი შვილების სულისა. მე აღარ გჭირდები. მე უარვყოფ შენს ღმერთს და ჩემი ხალხის ღმერთებს ვუბრუნდები. ნუ იფიქრებ ჩემზე ცუდად, რადგან მიყვარდი და ახლაც მიყვარხარ. შვილები ქრისტიანებად გაზარდე და მათ იმქვეყნად აუცილებლად შეხვდები. წაიყვანე ისინი, წაიღე მათი სული ისევე, როგორც ჩემგან წაიღე ყველაფერი. შენ შემომფიცე, მხოლოდ სიკვდილი გაგვთიშავსო და ამისთვის არც გიღალატია. ახლა მზის სამყოფელში, ჩემს წინაპრებთან მივდივარ, თეულო! დიდი ხანი ვიცხოვრე შენთან და ბევრი უბედურება ვნახე. ამჟამად არ შემიძლია, გიწოდო ქმარი, რადგან თვითონ ამიკრძალე ეს. მხოლოდ გთხოვ, ჩემზე ნურაფერს ეტყვი შენს ლილის... იყავი ბედნიერი... მშვიდობით!

უკანასკნელ სიტყვებს ოთომი ძლივს წარმოთქვამდა; გაშეშებული ვუსმენდი. ამასობაში განთიადის შუქი ნელ-ნელა მოეფინა ოთახს. ოთომი სავარძელში იჯდა, ხელები უღონოდ ჩამოეშვა, ხოლო თავი უკან, საზურგეზე ჰქონდა გადაწეული. წამოვხტი და სახეში მივაშტერდი. იგი ცივი და ფერწასული იყო. მაჯაზე ხელი მოვკიდე - ყინულივით მეჩვენა. დავიყვირე, შუბლზე ვაკოცე, მაგრამ არ განძრეულა. ოთომი მკვდარი იყო. მას დაელია საწამლავი, რომლის დამზადება მხოლოდ ინდიელებმა იციან. იგი ნელ-ნელა, უმტკივნეულოდ მოქმედებს ადამიანზე და ბოლომდე უნარჩუნებს საღად აზროვნების უნარს. მივხვდი, ოთომის ყველაფერი გათვლილი ჰქონდა. ტირილი ვერ მოვახერხე. ახლა ოთომი მიყვარ და უფრო ძლიერ, ვიდრე ოდესმე!

მასთან გატარებულმა წლებმა თვალწინ ჩამიქროლა.

ბევრი რამ გავაცნობიერე; მის სიტყვებში სიმართლე იყო. მე მართლაც ვერ დავივიწყე ჩემი პირველი სიყვარული და ხშირად ვოცნებობდი მასზე. ოღონდ ოთომი არ იყო მართალი, როცა მითხრა, შენ არ გიყვარდიო. ის გულწრფელად მიყვარდა და არც ფიცი გამიტეხია. მაგრამ, როცა მოკვდა, ვიგრძენი, რამდენად ძვირფასი იყო იგი ჩემთვის. დიახ, ჩვენ შორის არსებობდა უფსკრული, რაც წლიდან წლამდე სულ უფრო ღრმავდებოდა; ჩვენ გვყოფდა რასა და რელიგია. ვგრძნობდი, ოთომი ვერასდროს შეძლებდა ცრურწმენისგან საბოლოოდ განთავისუფლებას. როცა დავინახე, როგორ მღეროდა ის თეოკალზე სიკვდილის ჰიმნს, შიშმა შემიპყრო. ერთხანს კიდეც შემეზიზღა იგი, ოღონდ შემდეგ მზად ვიყავი, ყველაფერი მეპატიებინა. ის დიდი ხნის მანძილზე ჩემი ერთგული ცოლი იყო. ასე ვფიქრობდი მაშინ და ასევე ვფიქრობ დღესაც. ოთომიმ მითხრა, ერთმანეთს სამუდამოდ ვემშვიდობებითო, მაგრამ მჯერა და იმედი მაქვს, ეს

ასე არ იქნება; ვიცი, ჩვენ ორივეს ბევრი რამ გვეპატიება და ისინი, ვინც აქ, დედამიწაზე, ახლობლები იყვნენ და ერთმანეთი უყვარდათ, იმქვეყნად ოდესმე ისევ შეხვდებიან ერთმანეთს.

როცა დახმარებისთვის სხვების დასაძახებლად წამოვდექი, ვიგრძენი, კისერზე რაღაც მძიმე საგანი მეკიდა. ეს იყო კუაუტემოკის ნაჩუქარი მსხვილი ზურმუხტის ყელსაბამი და მასზე მიბმული ოთომის გრძელი თმის ბღუჯა, - ეტყობა, ღამით გამიკეთა კისერზე, სანამ მეძინა. ამ ორ ნივთს საფლავშიც არ მოვიცილებ!

ოთომი დავასაფლავე ძველ აკლდამაში, მისი წინაპრებისა და ჩვენი შვილების გვერდით. ორი დღის შემდეგ ბერნალ დიასის რაზმთან ერთად მეხიკოში ჩავედი. უკანასკნელად გადავხედე დანგრეულ ფიჭვთა ქალაქს, სადაც ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანების საფლავები დარჩა. უსაზღვროდ სასოწარკვეთილი ვიყავი. ამ დროს დიასმა მითხრა: - რით დაგეხმაროთ, მეგობარო?

- არაფრით, - ვუპასუხე მე, - მხოლოდ სიკვდილიღა დამრჩა.

- არასოდეს თქვათ ეს! - შემეპასუხა იგი, - თქვენ სულ ორმოცი წლისა ხართ, მე კი დიდი ხანია ორმოცდაათს გადავაბიჯე და მაინც არ ვფიქრობ სიკვდილზე. ინგლისში ახლობლები გყავთ?

- მყავდა.

- მშვიდობიან ქვეყნებში ხალხი დიდხანს ცოცხლობს. დაბრუნდით მათთან. ვეცდები, დაგეხმაროთ.

- კარგი, მოვიფიქრებ, - ვუპასუხე მე. დანიშნულ დროს ჩავედით მეხიკოში.

იქ, სადაც ერთ დროს აღმართული იყო თეოკალი, რომელზედაც მსხვერპლად მი პირებდნენ შეწირვას, ახლა აგებდნენ დიდ ქრისტიანულ ტაძარს და მის საძირკველში მახინჯ აცტეკურ კერპებს ყრიდნენ. ოღონდ ამ ქალაქს აღარ ჰქონდა ის ხიბლი, რო-

გორიც მონტესუმას ტენოჩტიტლანს. მისი მცხოვრებლებიც გამოცვლილიყვნენ. ოდესღაც თავისუფალი მეომრები, ახლა მონები იყვნენ.

მეხიკოში დიასმა თავშესაფარი მომინახა. ყველა პატივს მცემდა, რადგან ახლა საშიშროებას არავისთვის წარმოვადგენდი. მაპატიეს „მწუხარების ღამესა“ და ქალაქის დაცვისთვის ბრძოლა; მეტიც: ჩემს თავს დატეხილმა ამდენმა უბედურებამ თვით ესპანელებშიც კი თანაგრძნობა გამოიწვია.

ქალაქში ათ დღეს გავჩერდი. უაზროდ დავეხეტებოდი ქუჩებსა და ჩაპულტეპეკის ბორცვის ფერდობებზე, სადაც წინათ მონტესუმას ქალაქგარეთა სასახლე იდგა და სადაც პირველად შევხვდი ოთომის. იქაურობისგან აღარაფერი იყო დარჩენილი, გარდა რამდენიმე ბებერი კედრისა.

მეხიკოში ყოფნის მერვე დღეს ვიღაც ინდიელმა ქუჩაში გამაჩერა და მითხრა, ერთ-ერთ შენს მეგობარს შენი ნახვა უნდაო. უცნობს გავყევი და თან ვფიქრობდი, ნეტავ, ვინ უნდა იყოს, მე ხომ ყველა მეგობარი მომიკვდა-მეთქი. ინდიელმა სადღაც, ახალ ქუჩაზე, ლამაზ ქვის სახლში შემიყვანა, სადაც, მოულოდნელად, ვიღაცამ აცტეკურად მომმართა: - გამარჯობა, თეულო!

მისი ნაღვლიანი და ნაზი ხმა მეცნო. თავი ავწიე, - ჩემ წინ ესპანურ სამოსში გამოწყობილი ინდიელი ქალი იდგა, ჯერ კიდევ ლამაზი, ოღონდ, სუსტი და თითქოს გაწამებული, ავადმყოფობისა თუ დარდის გამო.

- ვერ მიცანი? მარიანა ვარ, თეულო! - თქვა მან და მეც მაშინვე გავიხსენე.

- მე კი გიცანი. ეჰ, თეულო, დრომ და მწუხარებამ ორივე გამოგვცვალა. მივესალმე და ხელზე ვეამბორე.

- სად არის კორტესი? - შევეკითხე მე. იგი შეცბა.

- კორტესი ესპანეთშია, საჩივარი აქვს სასამართლოში ქონების გამო. იქ სხვა ქალი შეირთო, თეულო. მან კარგა ხანია მიმათხოვა დონ ხუან ჰარამილიოს, რომელმაც ფულის გულისთვის წამიყვანა. კორტესმა ყოფილი საყვარელისადმი გულუხვობა გამოიჩინა! - მითხრა აცრემლებულმა.

მარიანას ისტორია მოსაყოლად არ ღირს, იგი ისედაც იცის მთელმა ქვეყანამ! მთავარი ისაა, რომ ამ ქალმა თავისი თავი ამოწურა, კონკისტადორს ვეღარაფრით დაეხმარებოდა და იმანაც თავიდან მოიცილა. მარიანამ მიამბო, რამდენი ტანჯვა გადაიტანა და როგორ მიახალა კორტესს, ამიერიდან ბედი. ყველაფერში გიმუხთლებსო! მისი წინასწარმეტყველება აღსრულდა.

ჩვენ ორ საათზე მეტხანს ვისაუბრეთ. ჩემი ამბავიც მოვუყევი. იგი მისმენდა და ტიროდა, - მიუხედავად ყველაფრისა, მარიანას კეთილი გული ჰქონდა.

შემდეგ ჩვენ სამუდამოდ დავემშვიდობეთ ერთმანეთს. მარიანამ მომცა ცოტაოდენი ფული, რაც სიამოვნებით მივიღე, ვინაიდან უკვე ღატაკს დახმარება მჭირდებოდა.

სიყვარულის გამო მან სამშობლოს უღალატა, სანაცვლოდ კი დამცირება მიიღო. პირადად ჩემთვის, ის მუდამ დარჩება კეთილ მეგობრად, რომელმაც სიკვდილს ორჯერ გადამარჩინა და არ მიმატოვა მაშინაც კი, როცა ოთომიმ იგი საშინლად შეურაცხყო.

39

ესპანეთამდე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. ველაკ-რუსის ნავსადგურიდან ამოღებული ღუზა ორი თვისა და ათი დღის შემდეგ ჩავუშვით კადისის ნავსადგურში, სადაც მხოლოდ ორ დღეს დავრჩი. ბედმა გამიღიმა! ნავსადგურში ლონდონში მიმავალი ინგლისური ხომალდი იდგა და სამგზავრო ბილეთი რომ შემეძინა, იძულებული გავხდი, ყელსაბამის ერთი პატარა ზურმუხტი გამეყიდა, რადგან მარიანას მიერ მოცემული ფული გამომელია. ზურმუხტში საკმაოდ დიდი თანხა მომცეს. ისე გა-მოვეწყვე, როგორც წარჩინებულ კაცს შეეფერებოდა, დანარჩე-ნი ფული კი შევინახე. სიმართლე გითხრათ, ძალიან დამენანა მისი გაყიდვა, მაგრამ გაჭირვებამ მაიძულა. ხომალდზე ყველა ისე მიყურებდა, როგორც ვესტ-ინდოეთში გამდიდრებულ ესპა-ნელ ავანტიურისტს. არც მიცდია, მათთვის ეს აზრი შემეცვლევი-ნებინა. ვიჯექი ჩემთვის მარტო, ამაყი იდალ გოსავით, ვცდი-ლობდი, ნაკლები მელაპარაკა და მეტი მომესმინა, რათა გამე-გო ყველაფერი, რაც მოხდა ინგლისში, ჩემი ოცი წლის არყოფ-ნის მანძილზე.

თორმეტ ივნისს ხომალდიდან დიდებულ ლონდონში გადმო-ვედი, სასტუმროს ოთახში დავიჩოქე და მადლობა შევწირე ღმერთს იმისთვის, რომ ბედის ამდენი უკუღმართობისა და გან-საცდელის შემდეგ კვლავ ჩემს მიწაზე ვიყავი. მაშინ ყველაზე დიდ სასწაულად მეჩვენებოდა ჩემი საბრალო სხეული, რომელ-მაც ათასგვარი ტკივილი, ავადმყოფობა, გაჭირვება, ჭრილობა,

წამება გადაიტანა და მაინც გაუძლო ადამიანთა სიაფთრესა და ბოროტებას!

ლონდონის სასტუმროს მეპატრონის დახმარებით კარგი ცხენი ვიყიდე და მეორე დღესვე დავტოვე ქალაქი. გზაში კიდევ ერთხელ გადავეყარე ფათერაკს: ინგლისის პეიზაჟით გატაცებული მივჩაქჩაქებდი და ხარბად ვიყნოსავდი ივნისის სურნელოვან ჰაერს, როცა ვიღაც მშიშარა მძარცველმა ზურგში დამბაჩა მესროლა. მას ჩემი მოკვლა და გაძარცვა უნდოდა, მაგრამ ტყვიამ მხოლოდ ქუდი გამიხვრიტა და თავი ოდნავ გამიკაწრა. ვერაფერი მოვასწარი, - ქურდმა დაინახა თუ არა, რომ ვერ მომახვედრა, გაიქცა, მე კი გზა განვაგრძე. მივდიოდი და ვფიქრობდი, მართლაც ბედის ირონია არ იქნებოდა, ამდენი საშინელებების გადატანის შემდეგ ვიღაც ქურდს ინგლისში რომ მოვეკალი?!

სწრაფად მივდიოდი. ცხენიც მუხლმაგარი აღმოჩნდა. ასე რომ, საღამოს რვის ნახევარზე ავედი სწორედ იმ ბორცვზე, საიდანაც უკანასკნელად გადავხედე ბანგს, როცა მამაჩემთან ერთად იარმუტში მივდიოდი. ქვევით წითელი სახურავები მოჩანდა, მარჯვნივ - დითჩინჰემის ამწვანებული მუხები და წმ. მარიამის მშვენიერი ეკლესია. ყველაფერი ისევე გამოიყურებოდა, როგორც წინათ; არაფერი შეცვლილიყო, ჩემ გარდა.

ცხენიდან ჩამოვხტი, გზისპირა გუბურასთან მივედი და კამკამა წყალში საკუთარ სახეს დავაცქერდი. ეეჰ, ძალიან გამოვიცვალე! ჩემში თითქმის აღარაფერი იყო იმ კოხტა ჯეელისა, რომელმაც ოცი წლის წინ ამ გზაზე გაიარა. თვალები ჩაცვენილი და ნაღვლიანი მქონდა, სახის ნაკვთები წაწვეტებული, ხოლო თმა და წვერი - თითქმის მთლიანად გათეთრებული. ზოგჯერ თავად ვერ ვცნობდი თავს და რა გასაკვირია, რომ სხვებმა ვერ მიცნონ! ჩემი ახლობლებიდან არის კი ვინმე დარჩენილი? ოცი წლის

განმავლობაში ზოგი ალბათ მოკვდა, ზოგმაც - აქაურობა მიატოვა. საერთოდ, ვნახავ კი ვინმეს? რა მელის? მთავარია, სად არის ლილი?იქნებ მოკვდა ან სადმე წავიდა ან გათხოვდა? - ფიქრებით დამძიმებული ცხენზე შევჯექი და გზა განვაგრძე. პირნჰოუს ქუჩები გავიარე, ბანგი მარცხნივ დავტოვე და ათი წუთის შემდეგ, აღმოვჩნდი ჭიშკართან, რომლის იქით საცალფეხო ბილიკი იწყებოდა. იგი ნორიჯის გზიდან ბორცვის ძირამდე მიდიოდა და იქ, ტყიან ფერდობზე, სულ ნახევარი მილის მოშორებით, ჩემი სახლი იდგა.

პარკის ჭიშკართან ვიღაც მოხუცი ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივებით თბებოდა. კარგად დავაკვირდი და ვიცანი: ეს ბილი მინსი იყო, სწორედ ის სულელი, რომელმაც შეკოჭილი დე გარსია გაუშვა. ისე გამეხარდა, რომ მიუხედავად მისი სიბინძურისა, კინაღამ კისერზე მოვეხვიე, - ის ხომ ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვისაც ჭაბუკობაში ვიცნობდი!

როგორც კი შემამჩნია, ბილი მინსი თავისი ჯოხით ჭიშკრისკენ წამოჩანჩალდა, გააღო და ნაღვლიანი ხმით მოწყალება მთხოვა.

- აქ ცხოვრობს მისტერ ვინგფილდი? - შევეკითხე მას. პასუხის მოლოდინში გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა.

- მისტერ ვინგფილდი, სერ? რომელი ვინგფილდი გინდათ? უფროსი, უკვე ოცი წელია, ღმერთის წინაშე წარსდგა. თვითონ ვეხმარებოდი ახლობლებს, მისი საფლავის ამოთხრაში. კი, კი, თვითონ! ის ახლაც იქ განისვენებს თავისი ცოლის გვერდით. მაშასადამე, თქვენ გინდათ მისტერ ჯეფრი, არა?

- იგი აქ არის? - შევეკითხე მე.

- ისიც მოკვდა, უკვე თორმეტ წელიწადზე მეტია. ლოთობას გადაჰყვა, კი, კი! მისტერ თომასიც დაიღუპა, ამბობენ, ზღვაში

დაიხრჩოო. ბევრმა ზამთარმა განვლო მას შემდეგ, კი, კი...! ყველანი დაიხოცნენ, ყველანი! ოჰ, რა ბიჭი იყო ეს თომასი! როგორც ახლა მახსოვს, გავუშვი ერთი კაცი, ვიღაც უცხოელი, თომასმა კი... - და შეუდგა ბილი იმის მოგონებას, როგორ შესვა ცხენზე ჩემ მიერ ნაცემი დე გარსია. მისი დადუმება გაჭირდა. გადავუგდე ფული, დაღლილ ცხენს დეზები ვკარი და ვიწრო ბილიკზე გავაჭენე.

ფლოქვების ყრუ თქარათქურში ყურში მისი სიტყვები მიწიოდა: „ყველანი დაიხოცნენ, ყველანი!“ ალბათ ლილიც მოკვდა, ან იქნებ გათხოვდა, როცა გაიგო, თომასი ზღვაში დაიხრჩოო. ლამაზ ქალიშვილს საქმრო ხომ ყოველთვის გამოუჩნდება. მთელ სიცოცხლეს ხომ არ გაატარებდა დაღუპული სიყვარულის გლოვაში! - ვმსჯელობდი ჩემთვის.

ჩემს სახლთან მივედი. იგი თითქმის ძველებურად გამოიყურებოდა, მხოლოდ გაზრდილი სურო და ხვართქლა ლამის სახურავამდე ასულიყო. საკვამურში ამოსულ კვამლსა და შენობის ირგვლივ შესანიშნავ წესრიგზე შევატყვე, რომ შიგ ვიღაც ცხოვრობდა. ჭიშკარი დაკეტილი იყო, ხერგულის იქით კი კაცი არ ჭაჭანებდა. საღამო ახლოვდებოდა და მოსამსახურეებმა ალბათ უკვე დაამთავრეს თავიანთი სამუშაო.

მარცხნივ გადავუხვიე და სახლს უკანა მხრიდან მივადექი, ბორცვის ფერდობთან, სადაც ძირში საჯინიბოები იდგა; ჭიშკარი აქაც დაკეტილი დამხვდა. ცხენიდან ჩამოვხტი, აღარ ვიცოდი, რა მექნა. ეჭვებისა და შიშის გამო სულ დავჩიავდი. ცხენი საბალახოდ ჭიშკართან დავტოვე და ეკლესიისკენ მიმავალ ბილიკს გავყევი, იმ იმედით, რომ ვინმეს შევხვდებოდი.

„ნუთუ, ყველანი დაიხოცნენ? ნუთუ ლილიც მოკვდა?“ - ვფიქრობდი მე. სახეზე ხელი ავიფარე და ღმერთს შევევედრე, ჩემი

უკანასკნელი იმედი არ გაეცრუებინა. ასე ვლოცულობდი კარგა ხანს, ათრთოლებული, როგორც ფოთოლი - ქარის დროს. მერე სახლისკენ გამოვბრუნდი, რათა გამეგო ყველაფერი, რარიგ მწარეც არ უნდა ყოფილიყო იგი. ამასობაში მოსაღამოვდა და ჩამოწოლილ ბინდში ბულბულის სტვენა გაისმა, რამაც ახლო წარსულში გადამისროლა: კვლავ დავინახე ტენოჩტიტლანი, მონტესუმას სასახლის დიდებული დარბაზები და ჩემი თავიც, ოქროს საწოლზე. ვიცოდი, ღმერთი ტესკატლი პოკა ვიყავი და მეორე დილას მსხვერპლად შემწირავდნენ. თითქოს სიზმარს ვხედავდი: სწორედ იმ ადგილას ვიდექი, სადაც ამჟამად ვდგავარ და ჩვენებური ყვავილების სურნელება მიღიტინებდა; ბულბულის ტკბილი ხმა მესმოდა - ზუსტად ისევე, როგორც ამ წუთებში. თითქოს მესიზმრა, რომ, სანამ ვიდექი და ბულბულს ვუსმენდი, მუხებისა და იფნების ამწვანებული კენწეროები მთვარემ გაანათა, როგორც ახლა; მესიზმრა, რომ ვიღაც ამღერდა ბორცვს მიღმა, მაგრამ ამ დროს შორეული წარსულის მოჩვენებებისგან გამოვფხიზლდი.

ცხადად გავიგონე ქალის ნაზი ხმა. არა, ჭკუიდან არ შევშლილვარ, მკაფიოდ გავიგონე ხმა, რომელიც სულ უფრო ახლოვდებოდა, თითქოს მომღერალი ქალი ციცაბო ფერდობზე ეშვებაო. მალე ის ჩემთან იმდენად ახლო მოვიდა, რომ გავარჩიე იმ სევდიანი სიმღერის სიტყვები, რომელიც დღემდე მახსოვს.

მთვარის შუქზე დავინახე მაღალი, ტანადი ქალი. მან თავი ასწია და თვალი გააყოლა ღამურას ლანდს; მთვარემ მისი სახე გაანათა, ეს ლილი ბოზარდი იყო - ისეთივე მშვენიერი, როგორიც წინათ, ოღონდ წლებს ოდნავ შეეცვალა. ისე ავღელდი, ხე-

ლით მესერს ჩავეჭიდე, რომ არ წავქცეულიყავი და მწარედ ამოვიკვნესე.

ჩემს დანახვაზე ქალმა სიმღერა შეწყვიტა და გაქცევა დააპირა. მე ადგილიდან არ დავძრულვარ, ცნობისმოყვარეობამ დასძლია შიშს. იგი უფრო ახლოს მოვიდა და ჩუმი, ნაზი ხმით იკითხა: - ვინ დაეხეტება აქ, ასე გვიან? შენა ხარ, ჯონი? ამ სიტყვების გაგონებაზე კვლავ განმიახლდა ეჭვები. რა თქმა უნდა, ის გათხოვილია და მის ქმარს ჯონი ჰქვია! იგი მხოლოდ იმისთვის ვი პოვე, რათა სამუდამოდ დავკარგო, - გავიფიქრე.

აზრად მომივიდა, დამემალა ჩემი ვინაობა, სანამ არ გავიგებდი მთელ სიმართლეს. ლილის თავმდაბლად, ესპანური მანერით მივესალმე. მერე დამტვრეული ინგლისურით ვკითხე: - სენიორა! პატივი მაქვს ველაპარაკო იმას, ვისაც ერთ დროს ლილი ბოზარდს ეძახდნენ, ასეა?

- დიახ, - მიპასუხა შემკრთალმა, - რა გნებავთ ჩემგან?

მე გაბედულად განვაგრძე: - ვიდრე გი პასუხებდეთ, ნება მომეცით, სენიორა, შეგეკითხოთ, თქვენ ისევ ატარებთ ამ სახელს?

- კი, ისევ. მე გაუთხოვარი ვარ, - ჩაილაპარაკა მან. წამით ჩემს თავზე ცა დატრიალდა, ხოლო ფეხებქვეშ, ვულკან ხაკის ლავით დაფარული ფერდობის მსგავსად, მიწა იძრა. თავს მოვერიე და დაკითხვა განვაგრძე: - სენიორა, მე ესპანელი ვარ, ერთ-ერთი იმათგანი, ვინც ინდიელებთან ომის დროს კორტესთან მსახურობდა; მის შესახებ თქვენ ალბათ გაგონილი გაქვთ.

ლილიმ თავი დაიქნია. მე განვაგრძე: - იმ ომში შევხვდი კაცს, რომელსაც „თეულს“ ეძახდნენ, მაგრამ ორი წლის წინ სიკვდილის ჟამს, მან მითხრა, უწინ სხვა სახელი მქონდაო.

- რა ერქვა? - ჩუმად მკითხა ლილიმ.

- თომას ვინგფილდი.

მან ხმამაღლა წამოიკივლა და ხელი ჩასჭიდა მესერს, რომ არ წაქცეულიყო.

- მთელი თვრამეტი წელიწადია, მას მკვდრად ვთვლიდი, - აღელვებით ჩაილაპარაკა ლილიმ. - მითხრეს, ხომალდი ჩაიძირა და ზღვაში დაიხრჩოო.

- დიახ, მე გავიგე, სენიორა, რომ ის მართლაც მოხვდა ასეთ უბედურებაში, მაგრამ მაშინ სიკვდილს გადაურჩა და ინდიელებთან აღმოჩნდა. მათ იგი ღმერთად გამოაცხადეს და ცოლად მისცეს თავიანთი იმპერატორის ასული.

ლილი შეკრთა და ცივად მომმართა: - განაგრძეთ, სერ, მე გისმენთ.

- ჩემი მეგობარი თეული მონაწილეობდა ინდიელთა ომში, როგორც ერთერთი პრინცესას ქმარი. ის დიდხანს პატიოსნად და მამაცურად იბრძოდა ინ დიელთა მხარეზე. ბოლოს, ქალაქი, რომელსაც იგი იცავდა, მტრებმა აიღეს, მისი ერთადერთი ცოცხლად გადარჩენილი ვაჟიშვილი მოკლეს, ხოლო ცოლმა, პრინცესამ, დარდისგან თავი მოიწამლა. თვითონ ტყვედ ჩავარდა და რამდენიმე ხნის შემდეგ მოკვდა.

- სამწუხარო ამბავია, სერ, - წარმოთქვა ლილიმ სევდანარევი ღიმილით.

- ძალიან სამწუხაროა, სენიორა. მან სიკვდილის წინ ზოგი რამ მიამბო თავისი ცხოვრებიდან. იგი დანიშნული ყოფილა ერთ ინგლისელ ქალიშვილზე, სახელად...

- ვიცი ეს სახელი, განაგრძეთ!

- მან მითხრა, თუმცა სხვა შევირთე და მიყვარდა ჩემი ცოლი, მართლაც დიდებული ქალი, რომელმაც ჩემი გულისთვის არაერთხელ გაწირა თავისი სიცოცხლე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არასოდეს დამვიწყებია ის, ვისზეც დანიშნული ვიყავიო. იგი

მთელი სიცოცხლის მანძილზე მახსოვდა და დღეს, სიკვდილის ჟამს, კიდევ უფრო მეტად მენატრებაო. ამიტომ გევედრები, როცა ევროპაში დაბრუნდები, ჩემი დანიშნული მოინახულე, თუ ის ცოცხალია, ჩემი უკანასკნელი სიტყვები და თხოვნა გადაეციო.

- რა სიტყვები და რა თხოვნა? - წაიჩურჩულა ლილიმ.

- მთხოვა, გადაეცი, რომ სიცოცხლის ბოლო წუთებშიც ისე ძლიერ მიყვარდა, როგორც ჭაბუკობაში და ვთხოვ, მაპატიოს, რამეთუ, ცხოვრების ბედუკუღმართობის გამო, მისთვის მიცემული ფიცი გავტეხეო.

- სერ! - შესძახა ლილიმ. - რა იცით თქვენ ამაზე?

- მხოლოდ ის, რაც მიამბო ჩემმა მეგობარმა, სენიორა.

- ალბათ, თქვენ ახლო მეგობრები იყავით, - წაიბუტბუტა მან, - თანაც გეტყობათ, კარგი მახსოვრობაც გაქვთ.

- ჩემს მეგობარს სხვა გზა არ ჰქონდა, იგი შექმნილმა ვითარებამ აიძულა, ფიცი გაეტეხა. გარდა ამისა, მთხოვა, ამ ქალისგან გამეგო, საპატიებელია თუ არა მისი საქციელი და წინანდებურად უყვარს თუ არა იგი.

- რად უნდა მკვდარს ჩემი პატიება ან სიყვარულის აღიარება? - მკითხა ლილიმ, თან უფრო დაკვირვებით შემომხედა. - განა მკვდრებს ყურები აქვთ, რომ გაიგონონ? ან თვალები, რომ დაინახონ?

- არ ვიცი, სენიორა. მე მხოლოდ დავალებას ვასრულებ.

- აბა, მე საიდან ვიცი, რომ თქვენ ნამდვილად დავალებას ასრულებთ. იქნებ მართალია, რაც მითხრეს, თომას ვინგფილდი ზღვაში დაიხრჩოო. მთელი ეს ამბავი ინდიელებისა და პრინცესების შესახებ მეტისმეტად არაჩვეულებრივია. იგი უფრო ისეთ შემთხვევებს წააგავს, როგორებიც მხოლოდ რომანებში ხდება,

და არა - ჩვენს სინამდვილეში. რით დაამტკიცებთ თქვენი სიტ-ყვების ჭეშმარიტებას? გაქვთ რაიმე საბუთი?

- კი, სენიორა, მაქვს. ოღონდ აქ ძალიან ბნელა და ვერ გაარ-ჩევთ.

- რაკი ასეა, წამომყევით, სახლში სანთელი მოინახება. მხო-ლოდ ცოტა ხანს დამიცადეთ.

ის საჯინიბოს ჭიშკრისკენ მიბრუნდა და ერთხელ კიდევ გას-ძახა: - ჯონ! ჯო-ო-ონ!

მას ვიღაც მოხუცმა უპასუხა; მაშინვე ვიცანი მამაჩემის ერთ--ერთი მსახური.

ლილიმ რაღაც უთხრა მას, მერე კი ბაღის გავლით სახლის მთავარი შესასვლელისკენ წამიყვანა. კარი თავისი გასაღებით გააღო და მანიშნა, შიგ პირველი შევსულიყავი. უცებ დამავიწ-ყდა, რომ სტუმრის როლს ვთამაშობდი და ჩვეულებისამებრ, სასტუმრო ოთახისკენ წავედი, წაუბორძიკებლად გადავაბიჯე მა-ღალ ზღურბლს, სიბნელეში ბუხრამდე მივედი და მის წინ გავ-ჩერდი. ლილი თვალს არ მაცილებდა, შემდეგ ბუხარში მბჟუტა-ვი ნაკვერცხლები გააღვივა, პატარა სანთელი აანთო და მაგი-დაზე დადგა. იძულებული გავხდი, ქუდი მომეხადა, მაგრამ შეევ-ცადე ოთახის ბნელ ადგილას დავმდგარიყავი.

- ახლა კი, სერ, გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი სიტყვების დამადასტურებელი საბუთი.

თითიდან სამახსოვრო ბეჭედი წავიძრე და ლილის მივაწოდე. იგი მაგიდას მიუჯდა და სინათლის შუქზე ბეჭედს დააცქერდა. სა-ნამ ლილი ასე იჯდა, შევნიშნე, რომ ის ახლაც ძალიან ლამაზი იყო, თუმცა უკვე ოცდამეცხრამეტე წელში გახლდათ. მხოლოდ სახე ჰქონდა უფრო ნაღვლიანი. მიუხედავად იმისა, რომ იგი

მღელვარების დაფარვას ცდილობდა, ბეჭდის დანახვაზე სუნთქვა გაუხშირდა და ხელები აუკანკალდა.

- მჯერა თქვენი, - წარმოთქვა მან ბოლოს. - ეს ბეჭედი ჩემთვის ნაცნობია, მას ჯერ კიდევ დედაჩემი ატარებდა. როცა ეს უკანასკნელად ვნახე, არ იყო ასე გალეული... დიდი ხნის წინ, ერთ ყმაწვილს მივეცი, როგორც ჩემი სიყვარულის დასტური; დავპირდი, მისი ცოლი გავხდებოდი. ახლა ეჭვი აღარ მეპარება, სერ, იმაში, რაც მიამბეთ. მადლობას გიხდით ასეთი თავაზიანობისთვის, - მეგობრის დავალების შესასრულებლად თქვენ, ალბათ, გრძელი გზა გამოიარეთ. მართლაც, სამწუხარო ამბავია, მეტად სამწუხარო! მხოლოდ გთხოვთ, მაპატიოთ, ღამის გასათევად ამ სახლში ვერ დაგტოვებთ, რადგან მარტო ვცხოვრობ. ახლომახლო სასტუმროებიც არაა, ამიტომ ვუბრძანებ, ჩემი ძმის სახლში წაგიყვანონ. შორს არ არის, აქედან სულ რაღაც ერთ მილზეა. თქვენ გაგაცილებენ, - ის შეჩერდა და დაამთავრა, - თუ გზა თვითონ არ იცით! იქ სათანადოდ მიგიღებენ. გარდა ამისა, ნახავთ თქვენი განსვენებული მეგობრის დას, მერი ბოზარდს, რომელიც აუცილებლად დაინტერესდება თავისი ძმის უცნაური თავგადასავლით.

თავი დავხარე და ვუთხარი: - სენიორა, ჯერ მინდოდა, მომესმინა ჩემი განსვენებული მეგობრის უკანასკნელი თხოვნის პასუხი.

- პასუხის მიცემა მკვდრებისთვის?! რა ბავშვობაა, სერ!

- მიუხედავად ყველაფრისა, მაინც გთხოვთ, მი პასუხოთ. მე მხოლოდ დავალებას ვასრულებ.

- რა წერია ამ ბეჭედზე?

- „თუმცა ერთმანეთს დავშორიშორდით, გულით კი ერთად დავრჩით მარადის“.

დაუფიქრებლად შევესიტყვე და მაშინვე ენა კინაღამ მოვიკვნიტე, ასეთი წინდაუხედაობისთვის.

- რა, თქვენ ესეც იცით?! ალბათ, თვეობით ატარებდით ამ ბეჭედს და წარწერა დაგამახსოვრდათ. კეთილი, სერ, გი პასუხებთ. ჩვენ ერთმანეთისაგან ძალიან შორს ვიყავით, მაგრამ იმის სახელს, ვინც ამ ბეჭედს ატარებდა, გულში ვინა ხავდი და მის გამო გაუთხოვარი დავრჩი. მან კი თავისი გული სხვას აჩუქა, ვიღაც ველურ ქალს, რომელიც მისი ცოლი და შვილების დედა გახდა. ამიტომ თქვენი განსვენებული მეგობრის თხოვნას ასე ვუპასუხებ: მი პატიებია მისთვის ყველაფერი, ოღონდ ჩემს ფიცზეც უარს ვამბობ, ისევე, როგორც ეს თვითონ ჩაიდინა. გარდა ამისა, შევეცდები, რომ სამუდამოდ დავივიწყო.

ლილი წამოდგა, ხელებით ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს გულიდან რაღაც ამოიგლიჯაო და ბეჭედი იატაკზე დაუვარდა.

აი, რით დამთავრდა ყველაფერი ეს, - გავიფიქრე მე. ის მართალი იყო. ვინანე, მთელი სიმართლე რომ ვუთხარი, ვინაიდან ქალები ხშირად სიცრუეს უფრო გაპატიებენ, ვიდრე ამგვარ გულწრფელობას.

საშინელი სევდა და დაღლილობა ვიგრძენი. დავიხარე, ბეჭედი ავიღე, თითზე წამოვიცვი და კარისკენ წავედი. უკანასკნელად გადავხედე ლილის და ზღურბლთან წამით შევყოყმანდი; სიმართლის თქმა დავაპირე, მაგრამ მაშინვე გადავიფიქრე, - მკვდარს თუ არ მაპატია, ცოცხალს რაღას შემიცოდებს-მეთქი. მისთვის მკვდარი ვარ, დაე, მკვდრად დავრჩე-მეთქი.

ზღურბლს რომ გადავაბიჯე, უცებ უკნიდან ლილის ხმა მომესმა, ნაზი და კეთილი: - თომას, წასვლის წინ ხომ არ ჩაიბარებ იმ ფულის, ქონებისა და მიწის ანგარიშს, რომელიც მე მომანდე?

განცვიფრებული მოვბრუნდი და იქვე გავშეშდი: ლილი ნელა მოდიოდა ჩემკენ, გაშლილი ხელებით...

- ოო, სულელო, სულელო! - ჩურჩულებდა იგი, - ნუთუ გეგონა, მომატყუებდი?! შენ ხომ სულ ადვილად იპოვე გზა ამ ბნელ ოთახში... ახლა მომისმინე: მიპატიებია შენი მეგობრისთვის ფიცის გატეხა, რადგან მან გულახდილად აღიარა ყველაფერი. კაცისთვის მართლაც ძნელია ამდენ წელს მარტოდ გაძლება. რასაკვირველია, უცნობ ქვეყნებში ყველას შეიძლება შეემთხვეს ამგვარი ამბავი. გადაეცი შენს მეგობარს, რომ მიყვარს ისევე ძლიერ, როგორც ვუყვარვარ მას. მხოლოდ, საქმე ისაა, რომ ახლა, ალბათ, დავბერდი სიყვარულისთვის, რომელსაც ამდენ ხანს ველოდი და აღარც მეგონა, თუ მოვესწრებოდი.

ლილი მელაპარაკებოდა და თან სლუკუნებდა. საბოლოოდ ჩვენი ტუჩები შეერთდნენ.

ამ მომენტში ჩემ თვალწინ ისევ გაცოცხლდა ოთომი; გამახსენდა მისი გამოსათხოვარი სიტყვები და ის, თუ როგორ მოიკლა მან თავი ზუსტად ერთი წლის წინ, სწორედ ამ დღეს.

კიდევ კარგი, რომ მკვდრები ვერ ხედავენ ცოცხლებს!

40

ის-ის იყო, წამოვდექით, რომ გარედან ხმაური მოისმა. ოთახში შემოვიდა მსუქანი მანდილოსანი, წარმოსადეგი ჯენტლმენისა და ორი ბავშვის - ბიჭისა და გოგოს თანხლებით. ისინი ჩემი და მერი, მისი ქმარი, უილფრიდ ბოზარდი და მათი შვილები იყვნენ. ლილის თურმე მაშინვე გაუგზავნია ჯონი ჩემიანებთან, რათა მათთვის გადაეცა: ერთი კაცი მესტუმრა, რომლის ნახვა ყვე-

ლას გაგეხარდებათო. ისინიც სასწრაფოდ წამოსულან, თუმცა ეჭვადაც არ ჰქონდათ, ვის ნახავდნენ...

ისინი ჯერ ვერაფერს მიხვდნენ და გაოცებულნი. შუა ოთახში შეჩერდნენ, მიყურებდნენ და ფიქრობდნენ, ეს უცხოელი ვინ უნდა იყოსო. მე მართლაც ძალიან გამომცვალა წლებმა, თან სანთელიც მკრთალად ანათებდა.

- მერი! ნუთუ შენი ძმა ვერ იცანი?!

მერიმ დაიკივლა, გადამეხვია და აქვითინდა, როგორც მის ადგილას მყოფი ნებისმიერი ქალი მოიქცეოდა. უილფრიდ ბოზარდს კი ამასობაში ჩემი ხელი ეჭირა და დაბნეულობის გამო, წამდაუწუმ იმეორებდა: - ეშმაკმა დალახვროს, კაცი რა სასწაულს არ მოესწრებაო! მხოლოდ ბავშვები იდგნენ განზე და გაკვირ ვებით შემომყურებდნენ, ვერ გაეგოთ, რა ხდებოდა. ორივეს მაგრად ჩამოვართვი ხელი, გადავკოცნე და გავეცანი: - დიდი ხნის წინ დაკარგული ბიძათქვენი!

ჩემი მივიწყებული ცხენი საჯინიბოში შეიყვანეს, შემდეგ მაგიდას შემოვუსხედით. უცნაური იყო ეს ვახშამი, ყველაფერი უჩვეულოდ მეჩვენებოდა! მათ მითხრეს, რომ მთელი ქონება, რაც ჩემმა მეგობარმა ფონსეკამ მიანდერძა, სრულიად უვნებლად ჩამოსულა და ძალიან გაზრდილა ლილის ზრუნვის წყალობით. მას არაფერი დაუხარჯავს თავისთვის, რადგან უფიქრია, ეს ფული მიბარებული ჰქონდა და მისი საკუთრება არ იყო. როცა ჩემი დაღუპვის ამბავი თითქოს დადასტურებულა, მერის, ჩემი ანდერძის თანახმად, აუღია თავისი წილი და ამით შეუსყიდია ახლომდებარე მიწები, აგრეთვე - ტყე და ადგილ-მამული თინდეინ-ჰოლი დითჩინჰემსა და ბრუმში. მერის მაშინვე განვუცხადე, ეს მამული შენთვის მიჩუქნია, რადგან ყოველგვარი ქონება უამისოდაც საკმარისად მაქვსმეთქი. ეს სიტყვები განსაკუთ-

რებით მოეწონა მის ქმარს, უილფრიდ ბოზარდს. ადვილი ხომ არ არის, შეელიო იმას, რასაც წლების მანძილზე შენს საკუთრებად თვლიდი!

მათგან გავიგე, როგორ მოკვდა მამაჩემი; როგორ იხსნა ლილი ოქროს მოულოდნელმა მიღებამ ჩემი ძმის ცოლობისგან; როგორ დაადგა ჯეფრი ცუდ გზას და როგორ მოკვდა ჯერ კიდევ ოცდათერთმეტი წლისა. მომიყვნენ, აგრეთვე, ლილის მამის, ჩემი ძველი მტრის - სკვაირ ბოზარდის სიკვდილის ამბავსაც, - მას უეცრად გული გასკვდომოდა. მისი სიკვდილის შემდეგ ლილის ძმას მერი შეურთავს. ლილის გადაუხდია ჩემი ძმის ვალები, მერისგან სამემკვიდრეო უფლება შეუსყიდია და ჩვენს ძველ სახლში გადმოსულა. მთელი ამ წლების განმავლობაში ის, თურმე, აქ განმარტოებულად ცხოვრობდა და ერთადერთ ნუგეშს მხოლოდ ქველმოქმედებაში პოულობდა. ლილი გამომიტყდა, შენი ქონება რომ არ მქონოდა მობარებული, მონასტერში წავიდოდი და იქ გავატარებდი სიცოცხლის დარჩენილ დღეებს, რათა „ქვრივი პატარძლის“ ამპლუაში არ მეცხოვრაო. მკვდარი მეგონე, სხვაზე გათხოვებას კი არ ვაპირებდი, თუმცა ჩემი თანხმობის მიღებას ბევრი ღირსეული კაცი ცდილობდაო.

თუ არ ჩავთვლით კიდევ სხვა წვრილმან ამბებს, როგორიცაა ბავშვების დაბადება ან სიკვდილი, ქარიშხლისა და წყალდიდობის გამო ბანგისა და უეივნის ხეობის წალეკვა, სულ ეს იყო, რაც მიამბეს ჩემებმა. რაც შეეხება პოლიტიკურ საკითხებს, მაგალითად, მეფეების გარდაცვალებას ან ტახტისთვის ბრძოლას, რომის პაპის ძალაუფლების დაცემას ან მონასტრების საყოველთაო გაძარცვას, ამაზე საუბარი ახლა უადგილოდ მიმამჩნია.

ბოლოს ჩემი ჯერიც დადგა. როცა საკუთარ ისტორიას მოვყევი, უნდა გენახათ მათი სახეები! გათენებამდე მისმენდნენ, მაგ-

რამ მაინც ვერ დავამთავრე. ალიონზე დავწექით, დილით კი ისევ განვაგრძე თხრობა. მათ ბერნალ დიასის მახვილი, ზურმუხტის ყელსაბამი და ყველა ნაჭრილობევი ვაჩვენე. როცა ოთომის ქალთა უკანასკნელი მსხვერპლშეწირვისა და დე გარსიას ამბავს ვყვებოდი, უფრო სწორად, როგორ გადაიჩეხა უფსკრულში გონებაშერყეული, მოჩვენებებთან ბრძოლაში, ისინი ხან შეშინებული თვალებით მიყურებდნენ, ხან ხმამაღლა ქვითინებდნენ.

რასაკვირველია, ყველაფრის თქმა არ შემეძლო. ის, რაც იყო ჩემსა და ოთომის შორის, მხოლოდ ლილის ვუთხარი. მასთან სავსებით გულახდილი ვიყავი, რადგან ვგრძნობდი, ახლა რომ მისგან რაიმე დამემალა, შემდეგში ერთმანეთის სრული ნდობა აღარასოდეს გვექნებოდა. მისთვის არ დამიფარავს ჩემი ეჭვები და ყოყმანი, არც ის, რომ შემიყვარდა ოთომი, რომლის სილამაზემ და სინაზემ განმაცვიფრა მონტესუმას სასახლეში პირველი შეხვედრისთანავე; არც - ის, რაც მოხდა ჩვენს შორის სამსხვერპლო ქვაზე.

როცა თხრობა დავამთავრე, ლილიმ გულწრფელობისთვის მადლობა გადამიხადა და მითხრა, მამაკაცები, განსხვავებით ქალებისგან, სხვანაირად არიან მოწყობილნი, ვინაიდან მე, მაგალითად, ცდუნებასთან ბრძოლა არ გამჭირვებიაო. მაგრამ რაკი ღმერთმა და ბუნებამ ჩვენ ასეთი განსხვავებულები გაგვაჩინა, არაფერი მაქვს შენ მიმართ სასაყვედურო და არც მე მაქვს რამე სატრაბახოო. რაც შეეხება ოთომის, ის ველური ქალი, თუ კერპთაყვანისმცემლობას არ ჩავთვლით, სულგრძელი არსება ყოფილა, თუმცა - კეკლუციც, რომელსაც კარგად სცოდნია, მამაკაცი როგორ მოეხიბლაო. მაგრამ, რაც მან სიყვარულისთვის გააკეთა, მე ვერასოდეს გავბედავდიო. ჩემთვის სრულიად გასა-

გებია, რომ უცხო ქვეყანაში დიდი არჩევანი არც გექნებოდა. შენ იძულებული იყავი, ის შეგერთო. როცა საფრთხემ გაირა, შენი მხრიდან, უპატიოსნება იქნებოდა ოთომის მიტოვება. ამიტომ სჯობს, ამაზე არასდროს ვილაპარაკოთო.

ეს სიტყვები მან ცრემლიანი თვალებით და საოცარი სითბოთი წარმოთქვა;

განსაკუთრებით განიცადა, როცა ჩემი შვილების სიკვდილის ამბავი გაიგო. თუმცა, რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ლილიმ საკუთარი შვილის ყოლის იმედი დაკარგა, იგი ჩემს მკვდარ ბიჭებზე ეჭვიანობდა.

ცნობა ჩემი დაბრუნებისა და ინდიელებთან ცხოვრების შესახებ მთელ ოლქში გავრცელდა. ხალხი მოდიოდა ნორიჯიდან და იარმუტიდანაც კი, და ყველა ჩემი ამბის მოყოლას მთხოვდა. ასე რომ, ბოლოს ეს ძალიან მომბეზრდა.

დითჩინჰემის წმ. მარიამის ეკლესიაში სამადლობელი პარაკლისი გადავიხადე ჩემი გადარჩენის გამო, მხოლოდ არა რომაული წესით - ჩემი აქ არყოფნის დროს კათოლიკური წმინდანები თურმე დაემხვნენ ზუსტად ისევე, როგორც ანაუაკის ღმერთები. ინგლისმა მოიგლიჯა რომის უღელი და მე, ზოგიერთებისგან განსხვავებით, ამას სულითა და გულით მივესალმე, რადგან ხუცესთა ულმობლობა და სისასტიკე ნანახი მქონდა.

პარაკლისის შემდეგ, როცა ყველანი დაიშალნენ, დაცარიელებულ ეკლესიაში დავბრუნდი ბოზარდების სახლიდან, - იქ დროებით ვცხოვრობდი, ვიდრე მე და ლილი დავქორწინდით. ივნისის წყნარი საღამო იყო. ჩემი მშობლების საფლავთან დავიჩოქე და ფიქრებმა წამიღო. მივხვდი, რამდენად დიდი სისულელე ჩავიდინე გარსიაზე შურისძიების ფიცის დადებით, ვინაიდან, ამის გამო, როგორც ხეზე ფოთლები, ისე იზრდებოდა და მრავ-

ლდებოდა ჩემი პრობლემები. დიახ, სჯობდა, შურისძიება ღმერთისთვის მიმენდო, მაგრამ ვგრძნობდი, ჩემთვის რამდენად ძნელი იყო, დედაჩემის მკვლელისთვის მიმეტევებინა.

ეკლესიის კართან ლილი შემხვდა.

- ლილი, - ვუთხარი მას, - მინდა გკითხო, თანახმა ხარ, ცოლად გაჰყვე ისეთ უღირს კაცს, როგორიც მე ვარ?

- ამაზე დიდი ხნის წინ დავთანხმდი, თომას, - მი პასუხა მან ჩურჩულით და გაწითლდა. წლების მანძილზე ქმრად გთვლიდი, თუმცა ცოცხალი აღარც მეგონე.

- ამდენი მე არ დამიმსახურებია, - ვუთხარი მე, - რაკი თანახმა ხარ, როდის დავქორწინდეთ? ჩვენ ხომ ახალგაზრდები აღარ ვართ.

- როცა გინდა, თომას! - ჩაილაპარაკა ლილიმ და ხელი გამომიწოდა. ერთი კვირის შემდეგ ჩვენ დავქორწინდით.

ამგვარად, ჩემი ამბავი დასრულდა.

ადრე დავვაჟკაცდი, მძიმე ჭაბუკობა მქონდა, სამაგიეროდ, ბედნიერად გავატარე მოწიფულობისა და სიბერის წლები. აქ აღწერილი ამბები დიდი ხნის წინ მოხდა: რცხილის ნერგი, რომელიც ჩემი ქორწინების დღეს ფანჯრის ახლოს დავრგე, უკვე ხნოვანი ხეა და აქაურობას კარგად ჩრდილავს, რაც ჩემს თვალს ახარებს. აქ, დალოცვილ უეივნის ხეობაში, გაიარა ბედნიერებით, მყუდრეობითა და სიმშვიდით აღსავსე წლებმა, რასაც ყოველთვის თან ახლდა მწარე მოგონებანი, რომელთა დავიწყებას ვერასდროს შევძლებ.

წლიდან წლამდე, სულ უფრო და უფრო მეტად ვგრძნობდი ჭეშმარიტი სიყვარულის სიტკბოებას, ვინაიდან იშვიათად თუ ვინმეს შეხვდება ისეთი ცოლი, როგორიც მე მყავდა. მიუხედავად ახალგაზრდობაში გადატანილი ტანჯვა-მწუხარებისა, ლილი

სულ უფრო და უფრო მეტ კეთილშობილებას იჩენდა. ოღონდ ერთხელ, როცა შვილი მოგვიკვდა, ლილიმ, როგორც უკვე ვთქვი, გამოამჟღავნა, რომ ისიც ჩვეულებრივი ქალი იყო. ეტყობა, ასე გვეწერა - უშვილოდ დავბერებულიყავით. ბედს შევურიგდით. უსიამოვნება აღარ გვქონია. ხელიხელჩაკიდებულნი ვეშვებოდით სიცოცხლის ფერდობზე, სანამ მან სამუდამოდ არ დამტოვა. შობის წინაღამით ის ჩემ გვერდით დაწვა და დილას აღარ გაუღვიძია.

გულწრფელად განვიცადე მისი სიკვდილი, მაგრამ ეს გრძნობა ვერ შეედრებოდა სიჭაბუკეში გადატანილ ტკივილს, ვინაიდან წლები და ცხოვრების გამოცდილება აჩლუნგებს განცდებს. ამასთან, ჩვენ ხომ დიდი ხნით არ დავშორებივართ ერთმანეთს, - მალე მეც მას გავყვები. ეს გზა არ მაშინებს, როგორც ყველა მოხუცს, ვინც ცხოვრების დასასრულს ცოდვებისგან განიწმინდა და ახლა სიკვდილის აღარ ეშინია; ხალისითა და სიხარულით გადავდგამ ფეხს უკანასკნელ ზღვარზე, რადგან მჯერა, იქაც დამეხმარება საკუთარი მარჯვენა, რომელმაც უამრავი ხიფათისგან მიხსნა და უვნებლად მატარა მშფოთვარე ცხოვრების ლაბირინთებში.

და ახლა მე, თომას ვინგფილდი, მადლობას ვწირავ უფალს, რომელიც მიფარავს იმათთან ერთად, ვინც მიყვარდა და მიყვარს; დიდება მის სახელს - აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე! ამინ!

ვინ იყო ჰაგარდი?

ჰენრი რაიდერ ჰაგარდი (22 ივნისი, 1856 — 14 მაისი, 1925) ცნობილი ინგლისელი მწერალია, რომლის სათავგადასავლო რომანებს, მოთხრობებსა და სამეცნიეროპოპულარულ ლიტერატურას დღემდე კითხულობენ მთელ მსოფლიოში.

ჰაგარდი დაიბადა ინგლისის ნორფოლკის საგრაფოს დაბა ბრადენჰემში, მრავალშვლიან, ძალზე მეგობრულ ოჯახში. ჰაგარდი ათიდან მერვე ბავშვი იყო. როდესაც წამოიზარდა, სასწავლებლად გაგზავნეს ოქსფორდშირში. მამამისი მის განათლებაზე უფრო მეტ თანხას ხარჯავდა, ვიდრე ოჯახის სხვა წევრებზე. როცა ჰაგარდმა ვერ ჩააბარა სამხედრო სასწავლებელში, იგი ლონდონში კერძო რეპეტიტორთან გაგზავნეს, რათა ადვოკატი გამხდარიყო და ბრიტანეთის საგარეო სამსახურისთვის მომზადებულიყო.

ჰაგარდის ოჯახი არ იყო მდიდარი, თუმცა ღარიბსაც ვერ იტყოდით. მამამისმა ბრიტანეთის მთავრობისგან დიდი ხნის კარგი მუშაობისთვის სკვაირის ტიტული და ფულადი დახმარება მიიღო. ამის შემდეგ მან ფერმერობა დაიწყო და ოჯახსაც ამითი არჩენდა.

ახალგაზრდობაში ჰაგარდს სიგიჟემდე უყვარდა მეზობელი სკვაირის ქალიშვილი, ლილი ჯექსონი. მამამისმა შვილს არჩევანი არ მოუწონა და ქორწილის ჩაშლის მიზნით, სამხრეთ აფრიკაში გააგზავნა (1885), სადაც პროვინცია ნატალში გუბერნატორის თანაშემწედ მუშაობდა. მოგვიანებით ჰაგარდი წერს,

რომ ამან ხელი შეუწყო მისი, როგორც მწერლის კარიერას, თუმცა დაასამარა მისი დიდი სიყვარული. ასეა თუ ისე, ამ მოვლენებმა აჩუქა მსოფლიოს დიდი მწერალი, რომლის ნაწარმოებებიც უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს და დღემდე აქტუალურია.

აფრიკა ჰაგარდის მეორე სამშობლო გახდა. მან შეისწავლა ადგილობრივების კულტურა, ზულუს ენა და ბელადების უდიდესი პატივისცემით სარგებლობდა. მწერალი აღფრთოვანებას ვერ მალავს ზულუს ტომის მამაცი მეომრების გამო: „ისინი სიკვდილს უშიშრად ხვდებიან და თავიანთი წინაპრების სულებს გაბედულად უერთდებიან, ასეთი უნდა იყოს ნამდვილი მეომარი“. სწორედ აფრიკის აბორიგენებმა შთააგონა მას რამდენიმე სიუჟეტი, რომელიც მისმა ცოცხალმა გონებამ უკვდავ ლიტერატურულ შედევრად აქცია.

1878 წელს ჰაგარდი ტრანსვაალის უმაღლესი სასამართლოს მმართველად დანიშნეს. 1879 წელს მან გადადგომა ითხოვა, ინგლისში დაბრუნდა და ცოლად ითხოვა ნორფოლკის მკვიდრი ლუიზა მარგისტოუნი. ერთი წლის შემდეგ იგი მასთან ერთად მიდის ტრანსვაალში, თუმცა ჰოლანდიელების შემოსვლის შემდეგ კვლავ ინგლისში ბრუნდება. 1884 წელს იგი ადვოკატთა კოლეგიაში მიიღეს, თუმცა ამ სამუშაოსკენ გული აღარ მიუწევდა - ხვდებოდა, რომ მისი მოწოდება მწერლობა იყო.

ჰაგარდის ნაწარმოებები გამოირჩევა ეპოქის სულისა და ადამიანთა ხასიათების არაჩვეულებრივად ზუსტად გადმოცემით და საინტერესო, ემოციურად დატვირთული სიუჟეტებით. ჰაგარდი ერთი მხრივ, თანაუგრძნობდა ინგლისის კოლონიალურ პოლიტიკას, მეორე მხრივ, გრძნობდა ევროპელთა გაღვიძებულ მადას რამდენი უბედურების მოტანა შეეძლო.

პენსიაზე გასვლის შემდეგ იგი ნორფოლკში ცხოვრობდა და დროს მთლიანად ლიტერატურას ანდომებდა. როდესაც პ.ლ.სტივენსონმა თავისი „განძის კუნძული“ გამოაქვეყნა (1883), იგი თავის ძმას დაენაძლევა, რომ უკეთეს ნაწარმოებს დაწერდა. ასე შეიქმნა 6 კვირაში „სოლომონ მეფის საგანძური“, რომელიც სენსაციად იქცა და დღემდე პოპილარულია. მან ერთ წელიწადში, 1887 წელს სამი რომანი გამოაქვეყნა - „ის“, „ჯესი“ და „ალან ქუოტერმენი“. მწერლის ფანტაზიამ არაერთ რეჟისორს შთააგონა ბრწყინვალე ფილმი გადაეღო. მაგალითად, რეჟისორმა ჰარი ნელსონმა ჰაგარდის ნაწარმოების მიხედვით გადაიღო (1985) ფილმი - „მეფე სოლომონი“.

საყოველთაო აღიარება ჰაგარდს სამხრეთ აფრიკის თემებმა მოუტანა, სადაც მთავარ როლს ფანტასტიკური ელემენტი თამაშობს და ძველ ცივილიზაციასთან ჭიდილში მიმდინარეობს. არქაული უკვდავების კულტის და სულის გარდასახვის მისეული ხედვის გამო, ბევრი კრიტიკოსი მას ფენტენზის ფუძემდებლად აღიარებს. თავისი ბიოგრაფია მან საინტერესოდ აღწერა რომანში „ჩემი ცხოვრების დღეები“, რომელიც ნატალში მოგზაურობით იწყება. უმეტეს შემთხვევაში ჰაგარდის რომანის გმირებს რეალური პროტოტიპები ჰყავთ.

34 წლის ჰაგარდი უკვე პოპულარული მწერალი იყო. მის კალამს ეკუთვნის 40-მდე წიგნი. ჰაგარდი იყო სოფლის მეურნეობისა და სოციალური სფეროს კარგად მცოდნე, რაზეც მეტყველებს არაერთი წიგნი ფერმერული მეურნეობის შესახებ.

1912-1917 წლებში სამეფო კომისიის ეგიდით იგი ბევრს მოგზაურობდა. ჰაგარდი გარდაიცვალა ლონდონში 1925 წლის 14 მაისს.

იგი იყო არა მარტო პოპულარული მწერალი, არამედ აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკაშიც. იყო ინგლისის პარლამენტის წევრი. 1912 წელს მას რაინდის წოდება მიენიჭა. 1919 წელს კი ჰაგარდმა ბრიტანეთის იმპერიის უმაღლესი ჯილდო მიიღო.

როგორ დაიწერა „მონტესუმას ასული“?

„მონტესუმას ასული“ მწერლის სათავგადასავლო, ისტორიული რომანია, რომელიც პირველად 1893 წელს გამოიცა. ჰაგარდმა იმოგზაურა მექსიკაში, რათა საკუთარი თვალით ენახა ეს ქვეყანა და შეესწავლა მისი ისტორია და კულტურა. შემთხვევით არ აურჩევია გმირად რეალურად არსებული დაუმორჩილებელი მექსიკის ხალხის, ოთომის ბელადი. მან ფეხით შემოიარა ის ადგილები, რომლებიც რომანშია აღწერილი.

მოვლენები ვითარდება XVI საუკუნის პირველ ნახევარში.

„მონტესუმას ასული“ უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქის საუკეთესო რომანია. განსაკუთრებით მიმზიდველია ორი რამ, რაც დამახასიათებელია ამ რომანისთვის და განასხვავებს მას კვაზიბურჟუაზიული „კოლონიური“ რომანებისგან. პირველი - ღრმა თანაგრძნობა მექსიკელი ხალხის მიმართ ევროპელი დამპყრობლების წინააღმდეგ - ამ შემთხვევაში ესპანელი კონკისტადორების წინააღმდეგ. მეორე — ნათლად გამოხატული ანტიკლერიკული მიმართულება. მწერალი სიმპათიითაა განწყობილი მექსიკის ინდიელთა მიმართ. ზოგჯერ გმირი ინ-

დიელები ჭკუით, კეთილშობილებითა და მამაცობით სჯობნიან ევროპელებს.

ნაწარმოების გმირის, თომას ვინგფილდის სამშობლო ინგლისია, თუმცა მამა ინგლისელი ჰყავს, დედა კი ესპანელი, ორივემ „წმინდა ინკვიზიცია“ საკუთარ თავზე გამოსცადა. დედამისი თავისივე ბიძაშვილის შურისძიების მსხვერპლი ხდება. ამ რომანს ვინგფილდი ღრმა მოხუცებულობაში წერს (1588), როცა

დამარცხებულია „უძლეველი არმადა“, რომელიც კათოლიკურმა ესპანეთმა ინგლისის დასამარცხებლად გაგზავნა. ამ გარემოებების გათვალისწინებით ვინგფილდი წერს: „ესპანელები ისეთ სისასტიკეს სჩადიოდნენ, რომელიც წარმართ აცტეკებსაც კი არ დასიზმრებიათ. ქრისტეს სახელით ისინი ყოველდღე არღვევდნენ მის მოძღვრებას. ესპანეთში „აწამებდნენ ქალებსა და მამაკაცებს და ქრისტეს სახელით ცოცხლად წვავდნენ.

ვინგფილდი არც ათეისტი და არც ღრმა პურიტანელია, რომელიც ფანატურად უარყოფს ყველაფერს, გარდა თავისი რელიგიისა. იგი საშუალო კლასის XVI საუკუნის ინგლისის ქრისტიანი წარმომადგენელია, რომელიც აცნობიერებს, რომ ნებისმიერი ეკლესია, ქრისტიანული თუ წარმართული ადამიანურ მსხვერპლს ითხოვს. დასკვნა არც ანტიეკლესიური, არც ანტირელიგიურია. ავტორი ამას თომასის ცოლის, ინდიელთა ტომის პრინცესას ენით ლაპარაკობს: „ღმერთი? არ არსებობს არანაირი ღმერთი. იყო დრო, როცა დავეჭვდი ჩემი ხალხის ღმერთების არსებობაში და შენს ღმერთს მივმართე. მაგრამ ახლა მასაც ვწყევლი“. ეს არის გამწარებული ქალის წამოძახილი, რომელიც საკუთარი თვალით ხედავს, როგორ იღუპება მისი ხალხი და მისი

ოჯახი. ქმარი-თომასი ცდილობს იგი ამ სიტყვებით დაამშვიდოს: „არსებობს უმაღლესი მსაჯული!“

ოთომი აცტეკების იმპერატორის მონტესუმას ასულია, რომელმაც დედის მხრიდან მემკვიდრეობით მიიღო ოთომის უმაღლესი ბელადის წოდება. უნდა აღინიშნოს, რომ XVI ს-ის I ნახევარში, როცა ესპანელი დამპყრობლები გამოჩნდნენ, ინდიელთა ბელადები ქალები იყვნენ.

ერთ-ერთი ესპანელი კონკისტადორის მოხსენებაში ვკითხულობთ: მზვერავების დაკვირვებით მდინარე სევანესთან მცხოვრები ტომის ბელადი ქალია, რომელსაც ექვემდებარება ბევრი სხვა ტომის ბელადი. ერთნი ტანსაცმლით ამარაგებენ, სხვები სურსათითა და ოქროთი. თუმცა, ჩვენ ინდიელთა დასახლებებში ოქროს ნაცვლად, რამდენიმე მარგალიტი აღმოვაჩინეთ“.

ოთომის ხალხი ნამდვილად არსებობდა და დღემდე არსებობს. ისინი განსაკუთრებულ ენაზე ლაპარაკობენ და ისტორიულად ნამდვილად იდგნენ არჩევანის წინაშე - მიმხრობოდნენ აცტეკებს, ესპანელების წინააღმდეგ თუ უცხოელებს დახმარებოდნენ. როგორც მოიქცნენ მაგალითად, ტლასკალანელები. ოთომმა მხარი დაუჭირა მომხდურთა წინააღმდეგობის მოძრაობას. ისინი არ გადაშენდნენ, არ გადაგვარდნენ, შეინარჩუნეს თავიანთი ენა და ტრადიციები, არ მიიღეს კათოლიკური რელიგია, როგორც მოიქცა მექსიკის მოსახლეობის უმეტესობა. ოთომის ტომი ზოგჯერ დღესაც მიმართავს წარმართულ რელიგიას, თუმცა ფორმალურად ისინიც კათოლიკებად ითვლებიან. როცა ვინგფილდი მექსიკაში მივიდა აღმოჩნდა, იქ 600 ათასამ-

დე ოთომელი ცხოვრობდა, დღეს მათი რაოდენობა (უფრო სწორად ისინი, რომლებიც ოთომის ენაზე ლაპარაკობენ) 300 ათასამდეა. ეს ხალხი ისევე, როგორც კონკისტადორების დროს, დღესაც მექსიკის მთებში ცხოვრობს.

„მონტესუმას ასული“ კონკისტადორების ეპოქისადმის მიძღვნილი ისტორიულეთნოგრაფიულ დოკუმენტური მასალის ღრმად შესწავლის შედეგია და ამდენად ამ ეპოქის გასაცნობად მეტად ღირებული. მსოფლიო ლიტერატურამ ეს ნაწარმოები აღიარა, არა როგორც ჰაგარდის საუკეთესო ისტორიული რომანი, არამედ ერთი-ერთი საუკეთესო, რომელიც კი ოდესმე დაწერილა ისტირიულგეოგრაფიულ თემაზე.